დასაქმების სტანდარტული კლასიფიკაცია

ISCO-88

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტი

თბილისი

2006 წელი

სარედაქციო ჯგუფი: ვ. მაღნარაძე
ა. ვადაჭკორია
მ. მინდორაშვილი

კლასიფიკაციაზე მუშაობდნენ: ჯ. ბერაია
ნ. ბასარია
გ. მამნიაშვილი

მთარგმნელი ნ. გელაშვილი

დასაქმების სტანდარტული კლასიფიკაცია

სტატისტიკური პუბლიკაცია

© საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტი 2006

საქართველო, 0115 თბილისი, პეკინის ქ. 4
ტელეფონი: (+995 32) 33 22 73 ან 33 59 83
ფაქსი: (+995 32) 33 22 97
ელექტრონული ფოსტა: info@statistics.gov.ge

ISBN 99940-67-98-2

ეს გამოცემა თანადაფინანსებულია ევროკავშირის პროგრამა ტასისის მიერ.

This publication is co-financed by the European Union's TACIS programme.

წინასიტყვაობა

დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (ISCO) შედგენა რამდენიმე ათწლეულის წინ დაიწყო (პირველი ასეთი გამოცემა 1968 წელს გამოვიდა, რომელიც 1986 წელს უკვე მეხუთედ დაიბეჭდა. დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია 1988 (ISCO-88) - ხსენებული გამოცემის მაგივრად გამოვიდა) და ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული შრომის საერთაშორისო ბიუროს ეგიდით ჩატარებული შრომის სტატისტიკოსების საერთაშორისო კონფერენციების მუშაობასთან. დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის აუცილებლობა თავდაპირველად 1921 წელს იქნა განხილული, თუმცა მისი შედგენისათვის პირველი ნაბიჯი გადაიდგა შრომის სტატისტიკოსების VII საერთაშორისო კონფერენციაზე 1949 წელს, როცა მიღებულ იქნა პროფესიების ცხრა ძირითადი ჯგუფის წინასწარი კლასიფიკაცია. 1952 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO) გამოაქვეყნა დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკაცია მიგრაციისა და დასაქმების სამსახურებისათვის, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი 1727 პროფესია რვა ინდუსტრიული ქვეყნის ეროვნული კლასიფიკაციების შესაბამისად. ISCO პირველად გამოიცა 1958 წელს, მისი განახლებული გამოცემა კი - 1968 წელს.

ISCO-88 მიღებულ იქნა III რეზოლუციის სახით - „რეზოლუცია დასაქმების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკაციაში შესწორებების შეტანის თაობაზე“ - შრომის სტატისტიკოსების XIV საერთაშორისო კონფერენციაზე 1987 წლის 6 ნოემბერს.

წინამორბედების მსგავსად, ISCO-88-ც იმ მიზნითაა შედგენილი, რომ გაადვილოს სხვადასხვა ქვეყნის შრომის სტატისტიკის მონაცემთა შედარება და გამოყენებულ იქნას როგორც ნიმუში იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ამჟამად ადგენენ დასაქმების ეროვნულ კლასიფიკაციას ან შესწორებები შეაქვთ მასში.

სარჩევი

შესავალი 5

ძირითადი მიზნები 5

კონცეპტუალური ჩარჩოები 5

ჩანაფიქრი და სტრუქტურა 7

ძირითადი ჯგუფების მოკლე დახასიათება 9

მიდგომა ზოგიერთი კონკრეტული საკითხისადმი 11

სხვაობა ეროვნულ საგანმანათლებლო მოთხოვნებში 11

ამოცანებისა და მოვალეობების ფართო სპექტრის მქონე პროფესიები 12

ტექნოლოგიები და კვალიფიკაცია 13

ორი სასოფლო-სამეურნეო სექტორის თანაარსებობა 13

პროფესიები და ქალები 13

არაოფიციალური სექტორის პროფესიები 14

პროფესიები და სტატუსი სამსახურში 14

შენიშვნები ზოგიერთ კონკრეტულ პროფესიაზე 14

დასაქმების ეროვნული კლასიფიკაციების შეთავსება ISCO-88-თან 15

ძირითადი ჯგუფების, ქვეჯგუფების, მცირე და ელემენტარული ჯგუფების ჩამონათვალი 17

ISCO-88-ის ჯგუფების აღწერა:

ძირითადი ჯგუფი 1 - კანონმდებლები, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები და მენეჯერები 32

ძირითადი ჯგუფი 2 - სპეციალისტ-პროფესიონალები 61

ძირითადი ჯგუფი 3 - სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი 114

ძირითადი ჯგუფი 4 - ოფისის პერსონალი 174

ძირითადი ჯგუფი 5 - მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი 190

ძირითადი ჯგუფი 6 - სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები 208

ძირითადი ჯგუფი 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები 228

ძირითადი ჯგუფი 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები 279

ძირითადი ჯგუფი 9 - არაკვალიფიციური მუშები 328

ძირითადი ჯგუფი 0 - შეიარაღებული ძალები 347

შენიშვნები ISCO-88-ის პროფესიების სტრუქტურირებულ დასახელებებთან (ინდექსებთან) დაკავშირებით 348

საქმიანობათა სტრუქტურირებული დასახელებები (ინდექსები) ISCO-88-ში მიღებული დაჯგუფებების შესაბამისად 351

საქმიანობათა სტრუქტურირებული დასახელებები (ინდექსები) ანბანური თანმიმდევრობით 458

შესავალი

„დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის 1988“ (ISCO-88) გადამუშავებული ვარიანტი მოსახლეობის აღწერისა და სტატისტიკური კვლევების, აგრეთვე ადმინისტრაციული წყაროებიდან პროფესიების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის კლასიფიკაციისა და განზოგადების სისტემას წარმოადგენს.

ISCO-88 „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის 1968“-ის გადამუშავებული ვარიანტია და მის ნაცვლად გამოიყენება. განახლებული ვარიანტი შემუშავებულ იქნა 1982 და 1987 წლებში ჟენევაში, შრომის საერთაშორისო ბიუროში ჩატარებული შრომის სტატისტიკოსების XIII და XIV საერთაშორისო კონფერენციების რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. ISCO-88 დამტკიცდა შრომის სტატისტიკოსების XIV საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის რეკომენდაციის თანახმად „პროფესიების მიხედვით კლასიფიცირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისას … ყოველმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს ISCO-88-ის სისტემაში მათი გადაყვანის შესაძლებლობა, რათა გაადვილდეს პროფესიების შესახებ ინფორმაციის საერთაშორისო დონეზე გამოყენება“, რაც იმას ნიშნავს, რომ ISCO-88 შრომის საერთაშორისო სტატისტიკის ერთ-ერთი სტანდარტული სისტემაა.

ძირითადი მიზნები

ISCO-88-ს სამი ძირითადი მიზანი აქვს. პირველი: გააადვილოს პროფესიების შესახებ ინფორმაციის გაცვლა საერთაშორისო დონეზე, რისთვისაც ცალკეული ქვეყნების სტატისტიკოსებისათვის მუშავდება მეთოდები, რომლებიც პროფესიების შესახებ ეროვნული დონის ინფორმაციას ხელმისაწვდომს ხდის საერთაშორისო დონეზე.

მეორე მიზანია შესაძლებელი გახადოს პროფესიების შესახებ საერთაშორისო ინფორმაციის ისეთი ფორმით მიწოდება, რომ ის გამოსადეგი გახდეს კვლევებისათვის, ასევე კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისა და ქმედებებისათვის ისეთ სფეროებში როგორიცაა, მაგალითად, საერთაშორისო მიგრაცია და დასაქმება.

მესამე მიზანია გახდეს ნიმუში იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ამჟამად ამუშავებენ პროფესიების ეროვნულ კლასიფიკაციას ან შესწორებები შეაქვთ მასში. აქ აღსანიშნავია, რომ ნიმუშად გამოყენებისას ISCO-88-ის დანიშნულება არ არის პროფესიების რომელიმე არსებული ეროვნული კლასიფიკაციის ჩანაცვლება, ვინაიდან ცალკეული ქვეყნების პროფესიების კლასიფიკაცია სრულად უნდა ასახავდეს ეროვნული შრომის ბაზრის სტრუქტურას. თუმცა იმ ქვეყნებს, რომელთა პროფესიების კლასიფიკაცია კონცეპტუალურად და სტრუქტურულად უკვე მოყვანილია შესაბამისობაში ISCO-88-სთან, უფრო გაუადვილდებათ აუცილებელი პროცედურების შემუშავება, რათა შესაძლებელი გახდეს პროფესიების შესახებ მათი სტატისტიკური მონაცემების გამოყენება საერთაშორისო დონეზე.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ხშირ შემთხვევაში, ქვეყნებს შეიძლება გაუჩნდეთ სურვილი, სტრუქტურულად და განსაზღვრებების თვალსაზრისით ISCO-88-სთან შედარებით უფრო დახვეწონ თავიანთი ეროვნული კლასიფიკაცია. გარკვეულ შემთხვევებში მათ შეიძლება შეიტანონ კოდირებული ინფორმაცია სამუშაოს შინაარსობრივ ფაქტორზე (Job Content Factor) და პროფესიის დეტალური აღწერა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელფასის თაობაზე ხელშეკრულების შედგენის, პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრის, პროფესიული სწავლების დროს, დასაქმების სამსახურებისათვის და ცალკეული პროფესიებისათვის დამახასიათებელი ავადობისა და სიკვდილიანობის მონაცემთა ანალიზის დროს.

კონცეპტუალური ჩარჩოები

ISCO-88-ის შემუშავებისა და შედგენისათვის აუცილებელი სისტემა ორ ძირითად კონცეფციას ემყარება. ესენია: შესასრულებელი საქმის ანუ სამუშაოს სახეობა და კვალიფიკაცია.

სამუშაო, რომელიც განისაზღვრება როგორც ამოცანებისა და მოვალეობების ერთობლიობა და რომელსაც ასრულებს ერთი პირი ან გამიზნულია ერთი პირის მიერ შესასრულებლად, არის სტატისტიკური ერთეული, რომლის კლასიფიცირებასაც ახდენს ISCO-88. იმ სამუშაოების ერთობლიობა, რომელთა ძირითადი ამოცანები და მოვალეობები მსგავსების მაღალი ხარისხით ხასიათდება, შეადგენს პროფესიას. პირების კლასიფიცირება პროფესიების მიხედვით ხდება იმის მიხედვით, თუ რა მიმართებაში არიან ისინი რომელიმე წარსულ, ახლანდელ თუ მომავალ სამუშაოსთან.

კვალიფიკაციას, რომელიც განისაზღვრება როგორც პირის უნარი შეასრულოს მოცემული სამუშაოს ამოცანები და მოვალეობები, ISCO-88-ში შემდეგი ორი განზომილება აქვს:

(ა) კვალიფიკაციის დონე, რომელიც არის შესასრულებელი ამოცანებისა და მოვალეობების სირთულისა და მოცულობის მაჩვენებელი;

(ბ) კვალიფიკაციის დარგი, რომელიც განისაზღვრება აუცილებელი ცოდნის სფეროს, გამოყენებული ხელსაწყოების, მოწყობილობებისა და მასალების, ასევე წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების სახეობების საფუძველზე.

კვალიფიკაციის ამ განსაზღვრების საფუძველზე შედგა ISCO-88-ის პროფესიული ჯგუფების მონახაზი, რის შემდეგაც მოხდა მათი შემდგომი გამსხვილება.

კლასიფიკაციის საერთაშორისო ხასიათის გათვალისწინებით განისაზღვრა კვალიფიკაციის მხოლოდ ოთხი ტევადი დონე. მათ მიეცა სამუშაო განსაზღვრებები „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციით“ (ISCED, COM/ST/ISCED, Paris, Unesco, 1976) განსაზღვრული საგანმანათლებლო კატეგორიებისა და დონეების შესაბამისად.

ISCED-ის კატეგორიების გამოყენება კვალიფიკაციის ოთხი დონის განსასაზღვრად არ გულისხმობს, რომ მოცემული სამუშაოს ფარგლებში გათვალისწინებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია შეიძლება შეძენილ იქნას მხოლოდ ოფიციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების მეშვეობით. კვალიფიკაციის შეძენა შეიძლება არაოფიციალური კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების მეშვეობითაც, რაც ხშირად ხდება კიდეც. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ ISCO-88-ში ყურადღება მახვილდება პროფესიით გათვალისწინებული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელ კვალიფიკაციაზე და არა იმაზე, თუ რამდენად მეტი ან ნაკლები კვალიფიკაცია აქვს ერთი კონკრეტული პროფესიის მქონე მუშაკს იმავე პროფესიის მქონე სხვა მუშაკთან შედარებით.

ამდენად, იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელი პროფესიული კვალიფიკაცია შეძენილია ოფიციალური საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების ან პროფესიული განათლების მიღების შედეგად, ISCO-88-ის კვალიფიკაციის ოთხი დონისათვის, როგორც წესი, გამოიყენება შემდეგი სამუშაო განსაზღვრებები:

(ა) ISCO-ს კვალიფიკაციის პირველი დონე განისაზღვრა ISCED-ის I კატეგორიის საფუძველზე და მოიცავს დაწყებით განათლებას, რომლის მიღება, საზოგადოდ, 5, 6 ან 7 წლის ასაკში იწყება და დაახლოებით ხუთი წლის განმავლობაში გრძელდება.

(ბ) ISCO-ს კვალიფიკაციის მეორე დონე განისაზღვრა ISCED-ის II და III კატეგორიების საფუძველზე და მოიცავს საშუალო განათლების პირველ და მეორე ეტაპებს. პირველი ეტაპი იწყება 11-12 წლის ასაკში და დაახლოებით სამი წელიწადი გრძელდება, ხოლო მეორე ეტაპი იწყება 14-15 წლის ასაკში და ასევე დაახლოებით სამი წელიწადი გრძელდება. აქ შეიძლება საჭირო გახდეს სწავლების გარკვეული პერიოდი უშუალოდ მუშაობის პროცესში, რასაც ხანდახან ფორმალურად შეგირდობის ფორმა ეძლევა. ეს პერიოდი შეიძლება გახდეს ოფიციალური განათლების დამატება ან გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაანაცვლოს იგი.

(გ) ISCO-ს კვალიფიკაციის მესამე დონე განისაზღვრა ISCED-ის V კატეგორიის საფუძველზე (ISCED-ის IV კატეგორია შეგნებულადაა დატოვებული შინაარსის გარეშე) და მოიცავს განათლებას, რომლის მიღებაც იწყება 17-18

წლის ასაკში და დაახლოებით ოთხი წელიწადი გრძელდება, რის შედეგადაც პირი იღებს უნივერსიტეტის პირველ დიპლომზე დაბალ კვალიფიკაციას.

(დ) ISCO-ს კვალიფიკაციის მეოთხე დონე განისაზღვრა ISCED-ის VI და VII კატეგორიების საფუძველზე და მოიცავს განათლებას, რომლის მიღებაც ასევე იწყება 17-18 წლის ასაკში და დაახლოებით სამი, ოთხი ან მეტი წელიწადი გრძელდება, რის შედეგადაც პირი იღებს უნივერსიტეტის ან ასპირანტურის დიპლომის ან მათი ეკვივალენტის შესაბამის კვალიფიკაციას.

ISCO-88-ის სტრუქტურაში პროფესიების ან პროფესიული ჯგუფების კვალიფიკაციის დონის განსაზღვრისას გარდაუვალი იყო გარკვეული სუბიექტური მოსაზრებების გათვალისწინება. ამის თავიდან ასაცილებლად შეგროვდა და გაანალიზდა მრავალი ეროვნული კლასიფიკაციისა და ეროვნული თავისებურებების შესახებ დიდი მოცულობის ინფორმაცია და იმედია, მიღებული შედეგი ასახავს ზოგად მდგომარეობას და ძირითად ტენდენციებს მოცემულ საკითხზე.

ჩანაფიქრი და სტრუქტურა

ISCO-88-ისთვის გამოყენებული კონცეპტუალური მიდგომის შედეგად მივიღეთ პირამიდა, რომლის იერარქიული სტრუქტურა დაჯგუფების უმაღლეს დონეზე განლაგებული ათი ძირითადი ჯგუფისაგან შედგება, რომლებიც 28 ქვეჯგუფად, 116 მცირე ჯგუფად და 390 ელემენტარულ ჯგუფად იყოფა.

ცხრილი 1. ISCO-88-ის ძირითადი ჯგუფები ქვეჯგუფების რაოდენობისა და კვალიფიკაციის დონის მითითებით

ძირითადი ჯგუფები	ქვეჯგუ-ფები	მცირე ჯგუფები	ელემენტა-რული ჯგუფები	ISCO-ს კვალი-ფიკაციის დონე
1. კანონმდებლები, ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირები და მენეჯერები	3	8	33	--
2. სპეციალისტ-პროფესიონალები	4	18	55	IV
3. სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი	4	21	73	III
4. ოფისის პერსონალი	2	7	23	II
5. მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი	2	9	23	II
6. სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები	2	6	17	II
7. ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	4	16	70	II
8. სამრწეველო მანქანებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	3	20	70	II
9. არაკვალიფიციური მუშები	3	10	25	I
0. შეიარაღებული ძალები	1	1	1	--
სულ	28	116	390	

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ათი ძირითადი ჯგუფიდან რვა უკავშირდება ISCO-ს კვალიფიკაციის ოთხ დონეს, რომლებსაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამუშაოს განსაზღვრებები საგანმანათლებლო კატეგორიებისა და განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის დონეების საფუძველზე მიეცა. კვალიფიკაციის დონის ცნება არ იქნა გამოყენებული 1-ლი ძირითადი ჯგუფის -კანონმდებლები, ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირები და მენეჯერები და მე-10 ძირითადი ჯგუფის - შეიარაღებული ძალები-ს შემთხვევაში. ამის მიზეზი ის იყო, რომ ეროვნული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, ორივე ამ ძირითად ჯგუფში გათვალისწინებული პროფესიების ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი კვალიფიკაციის

დონეები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ შეუძლებელი გახდა მათი დაკავშირება ISCO-88-ის კვალიფიკაციის ოთხი გამსხვილებული დონიდან ერთ-ერთთან.

ISCO-88-ის სხვა პროფესიული ჯგუფები, რომლებიც უფრო დაწვრილებითაა აღწერილი, განისაზღვრა კვალიფიკაციის სპეციალიზაციის ბაზაზე, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ინფორმაციას გამოყენებული ხელსაწყოების, მოწყობილობებისა და მასალების, ასევე წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

28 ქვეჯგუფი ISCO-88-ის მეორე დონეზე სიახლეა იმ გაგებით, რომ პირველ და მეორე დონეებზე პროფესიების ყველა უწინდელ საერთაშორისო კლასიფიკაციაში ჯგუფებს შორის აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი რაოდენობრივი სხვაობა. მაგალითად, ISCO-68-ში პირველ დონეზე რვა ჯგუფი იყო, ხოლო მეორეზე - 83. ეს არღვევდა ჯგუფების რაოდენობრივ ბალანსს, რომელიც აუცილებელია, ერთი მხრივ, პროფესიული სტრუქტურის ფართო გაგებისათვის ისეთ პარამეტრებთან ერთად როგორიცაა „დარგები“, „სქესი“ და „დეტალური ასაკობრივი ჯგუფები“, ხოლო მეორე მხრივ, პროფესიული სტრუქტურის წარმოდგენისათვის ამ პარამეტრების გარეშე.

390 ელემენტარული ჯგუფი, რომლებიც ISCO-88-ის სტრუქტურის ყველაზე დეტალიზებული დონეა, უმრავლეს შემთხვევაში ერთ პროფესიაზე მეტს მოიცავს. კონკრეტული სახელმწიფოს პირობებში პროფესიების რაოდენობა და მათი დაყოფა დიდად არის დამოკიდებული ამ ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბებზე, ტექნოლოგიების დონესა და ტიპზე, შრომის ორგანიზაციასა და ისტორიულ გარემოებებზე. ამ მიზეზით ISCO-88-ში არ შემუშავებულა ამ 390 ჯგუფში შემავალი პროფესიების დაწვრილებითი აღწერილობა, თუმცა ამჟამად ხდება ISCO-68-ში შესული პროფესიებიდან 1506-ის დეტალური აღწერა და შედეგები შევა ISCO-88-ის დამატებით ტომში.

ISCO-88-ის ოთხ დონეზე განთავსებული ყოველი ჯგუფისათვის მოცემულია კოდი, დასახელება და მოკლე აღწერილობა. ელემენტარული ჯგუფების შემთხვევაში მოცემულია ყოველ მათგანში შემავალი პროფესიების ძირითადი ამოცანების მოკლე აღწერილობა და მაგალითად მოყვანილია რამდენიმე მნიშვნელოვანი პროფესიის დასახელება. უმრავლეს შემთხვევაში მაგალითად მოყვანილია აგრეთვე პროფესიები, რომლებიც გარკვეულად დაკავშირებულია კონკრეტულ ჯგუფში შემავალ პროფესიებთან, მაგრამ კლასიფიკაციისას სხვა ჯგუფშია მოხვედრილი. ეს გაკეთდა შესაძლო ორაზროვნების გაფანტვისა და ISCO-88-ის კონცეპტუალური მიდგომისა და მისი სტრუქტურული მახასიათებლების უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით.

ოთხ დონეზე განთავსებული პროფესიული ჯგუფების დეტალურ აღწერას მოყვება ISCO-88-ის პროფესიების დასახელებათა ჩამონათვალი. წარმოდგენილია სამი ასეთი ჩამონათვალი. პირველი შედგენილია ISCO-88-ის რიგობითი თანმიმდევრობით, მეორე - ISCO-68-ის რიგობითი თანმიმდევრობით, ხოლო მესამე - პროფესიების დასახელებათა ანბანური ჩამონათვალია. ჩამონათვალში ასახულია ISCO-68-ის დასახელებათა გაფართოებული ანბანური ჩამონათვალის ხელახალი კოდირებისა და გადამუშავების შედეგები. დამატებითი ინფორმაცია მკითხველს შეუძლია მიიღოს შენიშვნებში ISCO-88-ის პროფესიების დასახელებათა ჩამონათვალის თაობაზე, რომელიც გამოცემაში ხსენებულ ჩამონათვალს ზემოთაა.

ჩამონათვალის გადამუშავების დროს ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო კონცეპტუალური და სტრუქტურული სხვაობა ორ კლასიფიკაციას შორის, და, სადაც ეს შესაძლებელი იყო, შეტანილი ყოფილიყო შესაბამისი ცვლილებები, რაც, სხვათა შორის, გულისხმობდა ჩამონათვალისათვის რამდენიმე ახალი დასახელების დამატებასაც. მაგრამ ISCO-68-ის ზოგიერთი ნაკლოვანება, როგორიცაა მაგალითად უზუსტობები დეტალებში კონკრეტულ პროფესიებთან დაკავშირებული სპეციალობების დასახელების დროს, ამ ჩამონათვალს მაინც გადმოჰყვა. მომხმარებელს უნდა ახსოვდეს, რომ ჩამონათვალის ძირითადი მიზანია ყოველ ჯგუფს თავისი ადგილი მიეჩინოს ISCO-88-ის სტრუქტურაში და რომ ის სრული არ არის. ILO-ს სტატისტიკის ბიუროს განზრახული აქვს შეადგინოს ISCO-88-ის ჩამონათვალის გაფართოებული და განახლებული ვერსია პროფესიათა დასახელებების შესახებ უკანასკნელი ეროვნული მონაცემების გამოყენებით და გამოაქვეყნოს იგი. იმედია, რომ ამ ჩამონათვალში არსებული ნაკლოვანებები მომავალ გამოცემებში წარმატებით იქნება დაძლეული.

<u>ძირითადი ჯგუფების მოკლე დახასიათება</u>

აქ მოკლედაა აღწერილი ISCO-88-ის ძირითადი ჯგუფები, რათა კლასიფიკაციის არსი უფრო ადვილად გასაგები გახდეს. მოცემული ინფორმაცია ვერ შეცვლის პროფესიული ჯგუფების უფრო დაწვრილებით აღწერას, რომელიც ამ გამოცემაშია მოცემული.

1. კანონმდებლები, ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირები და მენეჯერები

ამ ძირითად ჯგუფში შედის პროფესიები, რომელთა წარმომადგენლების ძირითადი ამოცანაა განსაზღვრონ და ჩამოაყალიბონ სახელმწიფო პოლიტიკა, აგრეთვე მიიღონ კანონები და ნორმატიული აქტები, ზედამხედველობა გაუწიონ მათ შესრულებას, წარმოადგინონ მთავრობა და იმოქმედონ მისი სახელით ან დაგეგმონ, წარმართონ და კოორდინაცია გაუწიონ საწარმოების, ორგანიზაციებისა და უწყებების მუშაობას. ამ ძირითადი ჯგუფის განსაზღვრისას არ არის მითითება კვალიფიკაციის დონეზე. ის იყოფა სამ ქვეჯგუფად, რვა მცირე და 33 ელემენტარულ ჯგუფად, რაც ასახავს ხელისუფლების სხვადასხვა შტოსთან და საწარმოებისა და ორგანიზაციების სხვადასხვა ტიპთან დაკავშირებულ ამოცანებს შორის სხვაობას.

2. სპეციალისტ - პროფესიონალები

ეს ძირითადი ჯგუფი მოიცავს პროფესიებს, რომელთა ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია მაღალი დონის პროფესიული ცოდნა და გამოცდილება საბუნებისმეტყველო ან სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ამ პროფესიების წარმომადგენელთა ძირითადი ამოცანაა დაგროვილი ცოდნის სფეროს გაფართოება, სამეცნიერო და მხატვრული კონცეფციებისა და თეორიების გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად და ზემოხსენებულის სისტემატიზებული სახით სწავლება. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის IV დონე. ეს ძირითადი ჯგუფი დაიყო ოთხ ქვეჯგუფად, 18 მცირე და 55 ელემენტარულ ჯგუფად, რაც ასახავს ცოდნისა და სპეციალიზაციის სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებულ ამოცანებს შორის სხვაობას.

3. სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი

ეს ძირითადი ჯგუფი მოიცავს პროფესიებს, რომელთა ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია ტექნიკური ცოდნა და გამოცდილება საბუნებისმეტყველო ან სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ერთ ან მეტ დარგში. ძირითადი ამოცანებია ზემოხსენებული დარგების კონცეფციებისა და მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებული ტექნიკური სამუშაოს შესრულება და სწავლება გარკვეულ საგანმანათლებლო დონეებზე. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის III დონე. ძირითადი ჯგუფი დაიყო ოთხ ქვეჯგუფად, 21 მცირე და 73 ელემენტარულ ჯგუფად, რაც ასახავს ცოდნისა და სპეციალიზაციის სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებულ ამოცანებს შორის სხვაობას.

4. ოფისის პერსონალი

ეს ძირითადი ჯგუფი მოიცავს პროფესიებს, რომელთა ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია ინფორმაციის ორგანიზების, შენახვის, დამუშავებისა და მოპოვების ცოდნა და გამოცდილება. ძირითადი ამოცანებია მდივნის მოვალეობების შესრულება, საოფისე ტექნიკის გამოყენება, ციფრული მონაცემების ჩაწერა და დამუშავება და გარკვეული მოვალეობების შესრულება მომხმარებლებთან მუშაობის დროს, ძირითადად საფოსტო მომსახურებასთან, ფინანსურ ოპერაციებთან და შეხვედრების ორგანიზებასთან დაკავშირებით. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის II დონე. ძირითადი ჯგუფი დაიყოფილია ორ ქვეჯგუფად, შვიდ მცირე და 23 ელემენტარულ ჯგუფად, რაც ასახავს სპეციალიზაციის სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებულ ამოცანებს შორის სხვაობას.

5. მომსახურების სფეროს და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი

ეს ძირითადი ჯგუფი მოიცავს პროფესიებს, რომელთა ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია ინდივიდუალური მომსახურების გაწევადა დაცვა, აგრეთვე მაღაზიებსა და ბაზრებში საქონლის გაყიდვის ცოდნა და გამოცდილება. ძირითადი ამოცანებია მომსახურების გაწევა მოგზაურობის, შინამეურნეობის, საზოგადოებრივი კვების, პირადი ჰიგიენის, პიროვნებების, საკუთრების, კანონიერებისა და წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ სფეროებში ან საქონლის გაყიდვა მაღაზიებსა და ბაზრებში. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის II დონე. ძირითადი ჯგუფი დაიყოფილია ორ ქვეჯგუფად, ცხრა მცირე და 23 ელემენტარულ ჯგუფად, რაც ასახავს სპეციალიზაციის სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებულ ამოცანებს შორის სხვაობას.

6. სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები

ეს ძირითადი ჯგუფი მოიცავს პროფესიებს, რომელთა ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და მეთევზეობის პროდუქციის წარმოების ცოდნა და გამოცდილება. ძირითადი ამოცანებია მოსავლის მოყვანა, ცხოველების მოშენება ან ცხოველებზე ნადირობა, თევზის დაჭერა ან მოშენება, ტყეების დაცვა და გამოყენება და, განსაკუთებით სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის ბაზარზე ორიენტირებული მუშაკების შემთხვევაში, პროდუქციის მიყიდვა მყიდველების ან მარკეტინგული ორგანიზაციებისათვის ან მათი ბაზარზე რეალიზება. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის II დონე. ძირითადი ჯგუფი დაიყოფილია ორ ქვეჯგუფად, ექვს მცირე და 17 ელემენტარულ ჯგუფად, რაც ასახავს სპეციალიზაციის სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებულ ამოცანებს შორის სხვაობას და სხვაობას სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის იმ მუშაკებს შორის, რომელთაგან ერთნი ბაზარზე არიან ორიენტირებულნი, ხოლო მეორენი მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მუშაობენ.

7. ხელოსნები და მონათესავე პროფესიის მუშაკები

ეს ძირითადი ჯგუფი მოიცავს პროფესიებს, რომელთა ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია ხელობის კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რაც სხვა ასპექტებთან ერთად, გულისხმობს გამოსაყენებელი მასალებისა და ხელსაწყოების, აგრეთვე წარმოების პროცესის ყველა ეტაპის, მათ შორის საბოლოო პროდუქციის თვისებებისა და გამოყენების შესაძლო სფეროების ცოდნას. ძირითადი ამოცანებია ნედლეულის მოპოვება, შენობებისა და სხვა ნაგებობების აგება და სხვადასხვა პროდუქციის, ასევე ხელითნაკეთი პროდუქციის დამზადება. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის II დონე. ძირითადი ჯგუფი დაიყოფილია ოთხ ქვეჯგუფად, 16 მცირე და 70 ელემენტარულ ჯგუფად, რაც ასახავს სპეციალიზაციის სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებულ ამოცანებს შორის სხვაობას.

8. სამრწეველო მანქანებისა და მოწყობილობების ოპრატორები და ამწყობები

ეს ძირითადი ჯგუფი მოიცავს პროფესიებს, რომელთა ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია დიდი ზომის და ხშირად მაღალ დონეზე ავტომატიზებული სამრეწველო მანქანებისა და მოწყობილობის მართვისა და ზედამხედველობის ცოდნა და გამოცდილება. ძირითადი ამოცანებია სამთომოპოვებითი, დამამუშავებელი და საწარმოო მექანიზმების და დანადგარების მართვა და ზედამხედველობა, ასევე ავტომანქანების მართვა და მოძრავი აგრეგატების გადაადგილება და მართვა ან ცალკეული კომპონენტებისაგან პროდუქციის აწყობა. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის II დონე. ძირითადი ჯგუფი დაიყოფილია სამ ქვეჯგუფად, 20 მცირე და 70 ელემენტარულ ჯგუფად, რაც ასახავს სპეციალიზაციის სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებულ ამოცანებს შორის სხვაობას.

9. არაკვალიფიციური მუშები

ეს ძირითადი ჯგუფი მოიცავს პროფესიებს, რომელთათვისაც აუცილებელია ძირითადად მარტივი და რუტინული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, მექანიკური ხელსაწყოების გამოყენება და ზოგ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფიზიკური დატვირთვა, ასევე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ მცირედი ინიციატივისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენა. ძირითადი ამოცანებია მუშაობა ქუჩაში საქონლის გამყიდველად, შვეიცარად და დარაჯად, ასევე დასუფთავება, რეცხვა, დაუთოება და მუშად მუშაობა სამთო-მომპოვებელ, სასოფლო-სამეურნეო და მეთევზეობის, მშენებლობისა და წარმოების დარგებში. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის I დონე. ძირითადი ჯგუფი დაიყოფილია 3 ქვეჯგუფად, 10 მცირე და 25 ელემენტარულ ჯგუფად, რაც ასახავს სამუშაოს სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებულ ამოცანებს შორის სხვაობას.

0. შეიარაღებული ძალები

შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებად ითვლებიან ადამიანები, რომლებიც ამჟამად ნებაყოფლობით ან სავალდებულო საფუძველზე მსახურობენ შეიარაღებულ ძალებში, მათ შორის დამხმარე სამსახურებში, და რომლებსაც არ შეუძლიათ თავისუფლად იმუშაონ სამოქალაქო სამუშაოზე. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო ძალებისა და სხვა საჯარისო სამსახურების რიგითი მოსამსახურეები, ასევე სამხედრო წვრთნის ან სხვა სამსახურისათვის ეროვნულ დონეზე დადგენილი კონკრეტული პერიოდით ჯარში მყოფი ახალწვეულები. ამ ჯგუფში არ შედიან თავდაცვის საკითხებით დაკავებულ სახელმწიფო დაწესებულებების სამოქალაქო სამსახურებში მომუშავე პირები, პოლიცია (სამხედრო პოლიციის გარდა), საბაჟოს ინსპექტორები და სასაზღვრო და სხვა შეიარაღებული სამოქალაქო სამსახურების მუშაკები, ეროვნულ დონეზე დადგენილი ვადით სამხედრო წვრთნისთვის ან გადამზადებისთვის სამოქალაქო ცხოვრებას დროებით მოწყვეტილი და სამხედრო რეზერვში მყოფი პირები, რომლებიც ამჟამად არ იმყოფებიან აქტიურ სამსახურში. ძირითადი ჯგუფის კვალიფიკაციის დონე აქ მითითებული არ არის.

მიდგომა ზოგიერთი კონკრეტული საკითხისადმი

<u>სხვაობა ეროვნულ საგანმანათლებლო მოთხოვნებში</u>

რაგინდ ფართოც არ უნდა იყოს პროფესიათა საერთაშორისო კვალიფიკაციის დონეები, კონკრეტული პროფესიის ან პროფესიული ჯგუფებისათვის განსაზღვრული კვალიფიკაციის დონე შეიძლება ზუსტად მაინც არ შეესაბამებოდეს ზოგიერთ ქვეყანაში დადგენილ საგანმანათლებლო მოთხოვნებს. ISCO-88-ზე მუშაობის პერიოდში მიღებული ინფორმაციისა და ასევე შრომის სტატისტიკოსების XIV საერთაშორისო კონფერენციაზე გამართული განხილვის დროს გაირკვა, რომ სხვაობა ოფიციალურ საგანმანათლებლო მოთხოვნებში ყველაზე თვალშისაცემია ზოგიერთი პედაგოგიური, სამედიცინო და სოციალური მომსახურების სფეროების პროფესიებში. ზოგიერთ ქვეყანაში ამ პროფესიებით მუშაობისათვის აუცილებელია საუნივერსიტეტო ხარისხი, ზოგან კი უფრო დაბალი დონის საგანმანათლებლო სერტიფიკატებიც საკმარისადაა მიჩნეული. ამ სხვაობის დაძლევის მიზნით ISCO-88-ში შეიქმნა პარალელური პროფესიული ჯგუფები - მე-2 და მე-3 ძირითადი ჯგუფები -შესაბამისი სახელწოდებით, სპეციალისტ-პროფესიონალები და სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი. ამ ჯგუფების კოდები და დასახელებები შემდეგია:

ძირითადი ჯგუფი 2 - სპეციალისტ-პროფესიონალები

2230 საექთნო საქმიანობისა და მეანობის სპეციალისტ-პროფესიონალები

2331 დაწყებითი განათლების პედაგოგები

2332 სკოლამდელი განათლების პედაგოგები

2340 სპეციალური განათლების პედაგოგები

2446 სოციალური მომსახურების სპეციალისტ-პროფესიონალები

ძირითადი ჯგუფი 3 - სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი

3231 საექთნო საქმიანობის დამხმარე პერსონალი

3232 სამეანო საქმიანობის დამხმარე პერსონალი

3310 დაწყებითი განათლების დამხმარე პერსონალი

3320 სკოლამდელი განათლების დამხმარე პერსონალი

3330 სპეციალური განათლების დამხმარე პერსონალი

3460 სოციალური სამსახურის დამხმარე პერსონალი

ეს იმას ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო მოთხოვნების თანახმად, ISCO-88-ის სტრუქტურის შესაბამისად ეროვნული პროფესიული მონაცემების დაჯგუფებისას შესაძლებელი გახდება საექთნო, სამეანო, პედაგოგიური და სოციალური მომსახურების სფეროების პროფესიების კლასიფიცირება, საჭიროების მიხედვით, ან ძირითად ჯგუფში 2 - სპეციალისტ-პროფესიონალები, ან ძირითად ჯგუფში 3 - სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი.

ამოცანებისა და მოვალეობების ფართო სპექტრის მქონე პროფესიები

ერთი პროფესიის ამოცანებისა და მოვალეობების სპექტრში არსებული სხვაობა ეროვნულ დონეზე უმთავრესად დაწესებულების სიდიდით განისაზღვრება. მაგალითად, პატარა დაწესებულებაში შესაძლებელია ბეჭდვისა და მონაცემთა შენახვის სამუშაოების შეთავსება მდივნის მოვალეობებთან მაშინ, როცა უფრო დიდ საწარმოში შეიძლება ამ ერთ ადგილზე შეიქმნას ორი ან სამი განსხვავებული სამუშაო ადგილი. თუმცა აღიარებულია, რომ ისეთ ფაქტორებს, როგორიცა ტრადიცია ან კოლექტიური ხელშეკრულებები, შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ, საერთაშორისო დონეზე ამ სხვაობის არსებობა ძირითადად ეკონომიკური განვითარების დონეს უკავშირდება შრომის განაწილების მისთვის დამახასიათებელი მარტივი მოდელებით.

პროფესიების როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კლასიფიკაციაში პროფესიები და პროფესიათა ჯგუფები ამოცანებისა და მოვალეობების ყველაზე გავრცელებული კომბინაციების საფუძველზე განისაზღვრება. შესაბამისად, აქ ჩნდება პრობლემა, როცა ზოგიერთი პროფესიის შემთხვევაში, ამოცანებისა და მოვალეობების სპექტრი არ შეესაბამება კლასიფიკაციით განსაზღვრულ სპექტრს.

ასეთ შემთხვევებში ISCO-88 გვთავაზობს შემდეგი წესების გამოყენებას:

(ა) იმ შემთხვევებში, როცა დასახული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელია კვალიფიკაცია, რომელიც განათლებისა და გამოცდილების სხვადასხვა დონეზე მიიღწევა, სამუშაოების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს იმ ამოცანებისა და მოვალეობების მიხედვით, რომელთა შესასრულებლადაც აუცილებელია კვალიფიკაციის ყველაზე მაღალი დონე. მაგალითად, თუ სამუშაო გულისხმობს ფურგონის მართვას და საქონლის დატარებას, ის უნდა მოხვდეს ჯგუფში 8322 - მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები.

(ბ) იმ შემთხვევებში, როცა ამოცანები და მოვალეობები დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებისა და გადაცემის პროცესის სხვადასხვა ეტაპთან, უპირატესობა უნდა მიენიჭოს წარმოების ეტაპთან დაკავშირებულ ამოცანებსა და მოვალეობებს მათთან დაკავშირებულ ამოცანებთან და მოვალეობებთან შედარებით, მაგალითად, იმავე პროდუქციის რეალიზაცია და მარკეტინგი, ტრანსპორტირება ან წარმოების პროცესის მენეჯმენტი, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ მოვალეობებიდან ერთ-ერთი უმთავრესია. მაგალითად, მცხობელი, რომელიც აცხობს პურს და საკონდიტრო ნაწარმს და ყიდის ამ პროდუქციას, კლასიფიკაციისას გამყიდველებს შორის კი არ უნდა

მოხვდეს, არამედ მცხობელებს შორის, ანუ ISCO-88-ის ტერმინოლოგიით მოხვდება ჯგუფში 7412 - მცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები.

ტექნოლოგია და კვალიფიკაცია

ტექნოლოგიების განვითარებამ, განსაკუთრებით კი იმ ტექნოლოგიებისა, რომლებმაც მასობრივი წარმოების მეთოდების განვითარებამდე მიგვიყვანა, დიდი გავლენა იქონია სხვადასხვა ტიპის უნარ-ჩვევებზე, რომლებიც აუცილებელია, როცა პროდუქციას აწარმოებს ხელოსანი ან როცა ამ პროდუქციის წარმოებისას ტექნიკის ერთ-ერთი უკანასკნელი მიღწევა გამოიყენება. მაგალითად, მჭედლის ან მკერავის ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო კვალიფიკაცია განსხვავდება ლითონდამამუშავებელ ან ტექსტილის ნაწარმის მასობრივი წარმოების საწარმოში მომუშავე ოპერატორების კვალიფიკაციისაგან.

ზოგადად, მჭედელი ან მკერავი უნდა იცნობდეს მასალას, ხელსაწყოებს, შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობასა და საბოლოო პროდუქციის თვისებებსა და შესაძლო გამოყენებას. მეორე მხრივ, ოპერატორმა უნდა იცოდეს, როგორ მართოს ძალიან რთული მოწყობილობის მანქანები და დანადგარები, როგორ მიხვდეს, რომ შეიძლება შეიქმნას პრობლემა, რომელიც უნდა აცნობოს სხვებს ან მოაგვაროს თვითონ, სანამ ის სერიოზულად შეაფერხებდეს წარმოების პროცესს. ამას გარდა, ოპერატორის კვალიფიკაცია იმ დონის უნდა იყოს, ხოლო მისი განათლება იმდენად ფართო, რომ პროდუქციის სახეობის შეცვლის ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში, მისი გადამზადების ხარჯები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

ISCO-88-ში ამ სხვაობას ასახავს განსხვავება მე-7 და მე-8 ჯგუფებისათვის განსაზღვრული კვალიფიკაციის ტიპებს შორის. ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, მოხვდა ხელოსნობასთან დაკავშირებული პროფესიები როგორიცაა, მაგალითად, კალატოზი, დურგალი, მექანიკოსი, მცხობელი, მეთუნე, მხატვარ-დეკორატორი, ხეზე ამოკვეთის ოსტატი, ხოლო ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, მოხვდა პროფესიები, რომლებიც ამუშავებენ მანქანებსა და მოწყობილობებს.

ორი სასოფლო-სამეურნეო სექტორის თანაარსებობა

უთანასწორობამ სხვადასხვა ქვეყანას ან ერთი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს შორის გამოიწვია ორი სასოფლო-სამეურნეო სექტორის თანაარსებობა. მათგან ერთ-ერთი ხასიათდება დაბალკვალიფიციური მეურნეობის წარმოებით, რომლის მიზანია მხოლოდ მეურნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ხოლო მეორეში ხშირად დანერგილია მაღალ დონეზე ავტომატიზებული საწარმოო პროცესი, რის შედეგადაც მუშაკების შედარებით მცირე რაოდენობით მიიღწევა შრომის მაღალი ნაყოფიერება. ეს სხვაობა ასახულია ISCO-88-ის ძირითად ჯგუფში 6 - სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები, რომელიც ასხვავებს სოფლის მეურნეობის კვალიფიციურ, ბაზარზე ორიენტირებულ და მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მომუშავე მუშაკებს. ამ სხვაობის ხაზგასმა იმისათვისაა საჭირო, რომ ასახულ იქნას მნიშვნელოვანი სხვაობა ამ ორ სექტორს შორის, აგრეთვე გაუმჯობესდეს იმ მონაცემების ხარისხი, რომლებიც აუცილებელია ანალიზის ჩასატარებლად და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით გადაწყვეტილებების მისაღებად.

პროფესიები და ქალები

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქვეყნების უმრავლესობაში გაიზარდა დასაქმებული ქალების რაოდენობა და თანაფარდობა და მოსალოდნელია, რომ ეს ტენდენცია შენარჩუნდება. მაგრამ ეს დადებითი რაოდენობრივი ზრდა არ ხასიათდება ქალებსა და მამაკაცებს შორის არც სხვადასხვა ტიპის სამუშაოების თანაბარი განაწილებით და არც თანაბარი შემოსავლებით. მდედრობითი სქესის მუშაკები ძირითადად დაბალკვალიფიციურ

სამუშაოებს ასრულებენ, ხოლო მათი ხელფასი უმეტესად ჩამორჩება მამაკაცებისას, რომლებიც იმავე სამუშაოებს ასრულებენ და იგივე მოვალეობები გააჩნიათ.

დასაქმება ერთ-ერთი უმთავრესი პარამეტრია, რომელიც ახასიათებს ქალის მდგომარეობას შრომით რესურსებში. ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიების ამ კლასიფიკაციაში დადგენილი კატეგორიების იმგვარ განსაზღვრას, რომ ინფორმაცია დასაქმების სქესობრივი სტრუქტურის შესახებ უფრო დეტალური და ნათელი გახდეს. ამ საკითხს ISCO-88-ში დიდი ყურადღება ექცევა, განსაკუთრებით იმ ჯგუფების შემთხვევაში, სადაც განთავსებულია პროფესიები, რომლებშიც ქალები სჭარბობენ. ასეთებია ძირითადი ჯგუფი 4 - ოფისის პერსონალი, ძირითადი ჯგუფი 5 - მომსახურების სფეროსა და სავაჭრო საწესებულებების მომსახურე პერსონალი და ძირითადი ჯგუფი 9 - არაკვალიფიციური მუშაკები.

<u>არაოფიციალური სექტორის პროფესიები</u>

ISCO-88-ის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნა არაოფიციალური სექტორის პროფესიების დადგენის აუცილებლობა, განსაკუთრებით ელემენტარული ჯგუფების გამოყოფის შემთხვევაში. არაოფიციალური სექტორის პროფესიების კლასიფიკაციისათვის შესაძლებელია გამოსადეგი იყოს შემდეგი ელემენტარული ჯგუფები: ელემენტარული ჯგუფები 7331 და 7332 სახელწოდებით, შესაბამისად ხეზე და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები და ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები, ასევე ელემენტარული ჯგუფები 9111 - საკვები პროდუქტების გამყიდველები ქუჩაში, 9112 - ქუჩაში არასასურსათო პროდუქტებით მოვაჭრეები და 9120 - ფეხსაცმლის მწმენდავები და ქუჩაში სხვადასხვა მომსახურების არაკვალიფიციური მუშები.

<u>პროფესიები და სტატუსი სამსახურში</u>

თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, ISCO-88-ში არ არის ასახული, არის თუ არა მუშაკი წარმოების მფლობელი, რადგან სამუშაო ძალის ეს და სხვა მსგავსი მახასიათებლები, მაგალითად, დამქირავებლის თუ დაქირავებულის სტატუსი და ა.შ. ასახავს მუშაკის სტატუსს სამსახურში და არა მის ამოცანებსა და მოვალეობებს და ამდენად, ცალკე უნდა იქნას განხილული „სამსახურებრივი სტატუსის კლასიფიკაციაში“.

შენიშვნები ზოგიერთ კონკრეტულ პროფესიაზე

ძირითად ჯგუფში 3 - სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი - ტექნიკური პროფესიები სპეციალისტ-პროფესიონალების განცალკევებითაა კლასიფიცირებული. ამდენად, *ტექნიკოსი, ბიოლოგია* მოხვდა ელემენტარულ ჯგუფში 3211 - სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტები მაშინ, როცა *სამთოტექნიკოსი* მოხვდა ელემენტარულ ჯგუფში 3117 - სამთომოპოვებითი და მეტალურგიული მრეწველობის ტექნიკოსები.

ხარისხის შემოწმებასთან დაკავშირებული პროფესიები, რომელთა ძირითადი ამოცანა ხარისხის სტანდარტებისა და წარმოების მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებაა, კლასიფიცირებულია ელემენტარულ ჯგუფში 3152 - უსაფრთხოების, ჯანდაცვისა და ხარისხის ინსპექტორები“. მეორე მხრივ, გამომცდელები და კონტროლიორები, რომელთა ძირითადი ამოცანა წარმოებული პროდუქციის ტექნიკური შემოწმებაა, რაც უმრავლეს შემთხვევებში უბრალო ვიზუალურ შემოწმებაში გამოიხატება, კლასიფიცირებული არიან ამ პროდუქციის მწარმოებელ მუშაკებთან ერთად.

ზედამხედველობასთან დაკავშირებული პროფესიები, ასევე უფროსი მუშის პროფესიები, რომლებიც ძირითადად შესრულებული სამუშაოს პროფესიულ-ტექნიკურ კონტროლს გულისხმობს, კლასიფიცირებულია იმ სამუშაოებთან ერთად, რომელთა ზედამხედველობაც ევალებათ. მაგრამ, თუ სამუშაოს ძირითადი ამოცანები და მოვალეობები დაქვემდებარებული მუშაკების ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზაცია, კონტროლი და წარმართვაა, პროფესია განხილულ უნდა იქნას როგორც მენეჯერის პროფესია და

კლასიფიცირებულ იქნას ერთ-ერთ შესაბამის ქვეჯგუფში - 12 ან 13 - კორპორაციული მენეჯერები ან გენერალური მენეჯერები, შესაბამისად.

ინსტრუქტორების პროფესიები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, უწყვეტი დაკვირვების, შეფასებისა და მითითებების მეშვეობით სამუშაოზე სწავლებას გულისხმობს, კლასიფიცირებულია იმ პროფესიებთან ერთად, რომლებსაც ისინი ასწავლიან. ეს განსაკუთრებით ეხება ხელოსნობასა და მანქანების მართვასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

განათლების სფეროს პროფესიები, რომლებიც ძირითადად კერძო გაკვეთილების ჩატარებას გულისხმობს, კლასიფიცირებულია სხვა პედაგოგებთან ერთად შესაბამის ინსტიტუციურ დონეზე. აღსანიშნავია, რომ მანქანების, მფრინავი აპარატებისა და ხომალდების მართვის ინსტრუქტორები კლასიფიცირებულია ელემენტარულ ჯგუფში 3340 - განათლების სფეროს სხვა დამხმარე პერსონალი.

კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული პროფესიები კლასიფიცირებულია მათი სპეციალიზაციის დარგების მიხედვით ძირითად ჯგუფში 2 - სპეციალისტ-პროფესიონალები. თუ მკვლევარი მასწავლებლის საქმიანობასაც ეწევა, მისი, როგორც მასწავლებლის კლასიფიცირება უნდა მოხდეს შესაბამის საგანმანათლებლო დონეზე.

შეგირდები და მოსწავლეები კლასიფიცირებულია შესრულებული ამოცანებისა და მოვალეობების და არა მომავალი პროფესიების შესაბამისად, როგორც ეს ზოგიერთ სხვა კლასიფიკაციაშია მიღებული.

დასაქმების ეროვნული კლასიფიკაციების შესაბამისობა ISCO-88-თან

სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონის პროფესიების შედარებისათვის ეროვნული პროფესიული სტატისტიკა გადაყვანილ უნდა იქნას საერთაშორისო სტანდარტებზე. ეს, ჩვეულებრივ, ეროვნული პროფესიული კატეგორიების ზოგად საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემასთან, კერძოდ, ISCO-88-სთან მისადაგების გზით მიიღწევა. პროფესიული სტატისტიკის საერთაშორისო შესაბამისობა მიიღწევა აგრეთვე აღწერებსა და სხვა გამოკვლევებში პროფესიების თავდაპირველი საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემის შესაბამისად ხელახალი კოდირების საშუალებით, თუმცა ამ უკანასკნელის გამოყენება, როგორც წესი, ვერ ხერხდება მისი სიძვირის გამო.

ერთი კლასიფიკაციის შეთავსება მეორესთან გულისხმობს პირველი კლასიფიკაციის ყოველი ჯგუფის კოდირებას მეორე კლასიფიკაციის ყველაზე შესაფერისი ჯგუფის კოდების შესაბამისად. შეთავსების სიზუსტე იმ დონის უკუპროპორციულია, რომელზეც ეს პროცედურა ტარდება. ამდენად, რეკომენდებულია შეთავსების ჩატარება ორი კლასიფიკაციიდან, ანუ ეროვნული პროფესიული კლასიფიკაციიდან (NOC) და ISCO-88-დან, ერთ-ერთ ყველაზე უფრო დაბალ დონეზე.

შეთავსების პროცესში ყველაზე ხშირად ვაწყდებით შემდეგ სამ სიტუაციას:

(ა) დაჯგუფების ყველაზე დაბალ დონეზე მყოფი NOC-ის ჯგუფი უდაოდ ISCO-88-ის ერთ-ერთ ელემენტარულ ჯგუფს განეკუთვნება. ეს რა თქმა უნდა, უმარტივესი სიტუაციაა და, თუ NOC-ს ISCO-88-ის ანალოგიური კონცეპტუალური და სტრუქტურული საფუძველი აქვს, ეს მდგომარეობა ალბათ, ყველაზე ხშირი იქნება.

(ბ) NOC-ის ჯგუფი, რომელიც დაჯგუფების ყველაზე დაბალ დონეზეა, თავისი პროფესიული შინაარსით განსხვავდება ISCO-88-ის ყველაზე შესაფერისი ელემენტარული ჯგუფისაგან, მაგრამ ეს სხვაობა შინაარსში ხელს არ უშლის NOC-ის ჯგუფის სამართლიან განთავსებას ISCO-88-ის ერთ-ერთ ჯგუფში, რომელიც დაჯგუფების უფრო მაღალ დონეზეა. მაგალითად, NOC-ში მინის გრავიორები და ზოგადად გრავიორები კლასიფიცირებული არიან მინისა და კერამიკის მხატვარ-დეკორატორებთან ერთად დაჯგუფების ერთსა და იმავე, ყველაზე დაბალი დონის ჯგუფში, ხოლო ISCO-88-ში ეს პროფესიები ორ ელემენტარულ ჯგუფშია კლასიფიცირებული, მაგრამ ამ პროფესიების შემდგომი დაჯგუფება ორივე კლასიფიკაციაში ერთნაირია.

(გ) გარკვეული პროფესიების დაჯგუფების ხერხი NOC-ში განსხვავდება ISCO-88-ისაგან, რის გამოც NOC-ში არსებული ჯგუფი ვერ თავსდება ISCO-88-ის ვერცერთ ჯგუფში. მაგალითად, NOC დაჯგუფების ყველაზე დაბალ დონეზე ერთ ჯგუფში ათავსებს ფერმერებს, ფერმების მენეჯერებსა და ფერმის მუშაკებს, ხოლო ISCO-88-ის კლასიფიკაციით ეს პროფესიები გადანაწილებულია სამ სხვადასხვა ელემენტარულ ჯგუფში, რომლებიც თავის მხრივ, სამ სხვადასხვა მცირე ჯგუფში, ქვეჯგუფსა და ძირითად ჯგუფშია განთავსებული.

თუ ISCO-88-ის დაჯგუფების მცირე ან რომელიმე უფრო მაღალ დონეზე გასათვალისწინებელია საერთაშორისო პროფესიული სტატისტიკის მონაცემები, (ბ) პუნქტში აღწერილ სიტუაციაში არანაირი პრობლემა არ წარმოიქმნება. თუ ეს ინფორმაცია გათვალისწინებულ უნდა იქნას ISCO-88-ის ელემენტარული ჯგუფების შესაბამის დონეზე, ასევე ზემოთ (გ) პუნქტში აღწერილ სიტუაციაში, გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი წესები, რომელთა დასახელების თანმიმდევრობა მათ პრიორიტეტულობას შეესაბამება:

რაოდენობრივი უპირატესობის წესი, რომლის თანახმადაც ეკონომიკური და სხვა სახის სტატისტიკური მონაცემებიდან ან დარგობრივი ექსპერტებისგან მიღებული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე მსჯელობის შედეგად უნდა გადაწყდეს, თუ რა შეფარდებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს NOC-ის ჯგუფში კლასიფიცირებულ პროფესიებს. თუ NOC-ის ჯგუფში შესული პროფესიებიდან 80% ან მეტი ISCO-88-ის რომელიმე ჯგუფშია განთავსებული, NOC-ის მთელი ჯგუფი ISCO-88-ის ამავე ჯგუფში უნდა განთავსდეს.

კვალიფიკაციის დონის წესი, რომლის თანახმადაც NOC-ის პროფესიების ნარევი უნდა გაანალიზდეს ISCO-88-ის კვალიფიკაციის დონეების კონცეფციის შესაბამისად. ამის შემდეგ ISCO-88-ის ჯგუფებში განთავსება უნდა მოხდეს იმ პროფესიების საფუძველზე, რომლებიც ყველაზე კვალიფიციური აღმოჩნდება.

წარმოების წესი, რომლის თანახმადაც ISCO-88-ში განსათავსებლად NOC-ის პროფესიების ნარევში საწარმოო პროფესიებს უპირატესობა უნდა მიენიჭოს გამყიდველებისა და მენეჯერების პროფესიებთან შედარებით.

ძირითადი ჯგუფები, ქვეჯგუფები, მცირე და ელემენტარული ჯგუფები

ძირითადი ჯგუფი 1

კანონმდებლები, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები და მენეჯერები

11 კანონმდებლები და მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები

111 კანონმდებლები

1110 კანონმდებლები

112 მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები

1120 მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები

113 დასახლების ტრადიციული მმართველები და სოფლის თავები

1130 დასახლების ტრადიციული მმართველები და სოფლის თავები

114 პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაღალი რანგის თანამდებობის პირები

1141 პოლიტიკური პარტიების მაღალი რანგის თანამდებობის პირები

1142 დამქირავებლების, მომუშავეების გაერთიანებებისა და სხვა ეკონომიკური ინტერესების მქონე ორგანიზაციების მაღალი რანგის თანამდებობის პირები

1143 ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაღალი რანგის თანამდებობის პირები

12 კორპორაციული მენეჯერები [1]

121 დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები

1210 დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები

122 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები

1221 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში

1222 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები დამამუშავებელ მრეწველობაში

1223 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები მშენებლობაში

1224 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები საბითუმო და საცალო ვაჭრობაში

1225 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები რესტორნებსა და სასტუმროებში

1226 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სატრანსპორტო, სასაწყობო მეურნეობებსა და კავშირგაბმულობაში

1227 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები კომერციულ მომსახურებაში

1228 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები კომუნალურ, პერსონალურ და მათთან დაკავშირებულ მომსახურების სფეროებში

1229 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

123 სხვა განყოფილების მენეჯერები

1231 საფინანსო და ადმინისტრაციული განყოფილების მენეჯერები

1232 კადრებისა და საწარმოო ურთიერთობების განყოფილების მენეჯერები

1233 პროდუქციის გასაღებისა და მარკეტინგის განყოფილების მენეჯერები

[1] ამ ჯგუფში შედიან პირები, რომლებიც დირექტორების, აღმასრულებელი დირექტორების ან სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების რანგში ხელმძღვანელობენ საწარმოებს და ორგანიზაციებს, ან მათ ქვედანაყოფებს, სადაც სამი ან მეტი მენეჯერია.

1234 სარეკლამო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მენეჯერები

1235 მომარაგებისა და განაწილების განყოფილების მენეჯერები

1236 კომპიუტერული მომსახურების განყოფილების მენეჯერები

1237 სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავების განყოფილების მენეჯერები

1239 სხვა განყოფილების მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

13 გენერალური მენეჯერები [1]

131 გენერალური მენეჯერები

1311 გენერალური მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში

1312 გენერალური მენეჯერები დამამუშავებელ მრეწველობაში

1313 გენერალური მენეჯერები მშენებლობაში

1314 გენერალური მენეჯერები საბითუმო და საცალო ვაჭრობაში

1315 გენერალური მენეჯერები რესტორნებსა და სასტუმროებში

1316 გენერალური მენეჯერები სატრანსპორტო, სასაწყობო მეურნეობებსა და კავშირგაბმულობაში

1317 გენერალური მენეჯერები კომერციულ მომსახურებებში

1318 გენერალური მენეჯერები კომუნალურ, პერსონალურ და მათთან დაკავშირებული მომსახურების სფეროში

1319 გენერალური მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ძირითადი ჯგუფი 2

სპეციალისტ-პროფესიონალები

21 ფიზიკის, მათემატიკისა და საინჟინრო მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები

211 ფიზიკოსები, ქიმიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2111 ფიზიკოსები და ასტრონომები

2112 მეტეოროლოგები

2113 ქიმიკოსები

2114 გეოლოგები და გეოფიზიკოსები

212 მათემატიკოსები, სტატისტიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ- პროფესიონალები

2121 მათემატიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2122 სტატისტიკოსები

213 კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტ-პროფესიონალები

2131 კომპიუტერული სისტემების დიზაინერები და ანალიტიკოსები

2132 კომპიუტერული პროგრამისტები

2139 კომპიუტერის სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

214 არქიტექტორები, ინჟინრები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2141 არქიტექტორები, ქალაქისა და სატრანსპორტო კვანძების დაგეგმარების სპეციალისტ-პროფესიონალები

2142 სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრები

2143 ინჟინერ-ელექტრიკოსები

[1] ამ ქვეჯგუფში შედიან პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საწარმოებს ან ზოგ შემთხვევაში ორგანიზაციებს საკუთარი ან მფლობელის სახელით, რომელთაც ექვემდებარებათ უფრო დაბალი რანგის პერსონალი და არაუმეტეს ერთი მენეჯერისა, რომელიც კლასიფიცირდება ამავე ქვეჯგუფში, რადგან უმრავლეს შემთხვევაში მისი ამოცანები გაცილებით ფართო იქნება, ვიდრე სპეციალიზებული მენეჯერისა უფრო დიდ საწარმოსა ან ორგანიზაციაში. არამენეჯერული პერსონალის კლასიფიკაცია უნდა მოხდეს მათი კონკრეტული ამოცანების შესაბამისად.

2144 ინჟინერ-ელექტრიკოსები და ტელეკომუნიკაციების ინჟინრები

2145 ინჟინერ-მექანიკოსები

2146 ინჟინერ-ქიმიკოსები

2147 სამთო ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2148 კარტოგრაფები და ტოპოგრაფები

2149 არქიტექტორები, ინჟინრები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

22 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები

221 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები

2211 ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2212 ფარმაკოლოგები, პათოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2213 აგრონომები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტები

222 ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები (საექთნო საქმიანობის გარდა)

2221 ექიმები

2222 სტომატოლოგები

2223 ვეტერინარები

2224 ფარმაცევტები

2229 ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები (საექთნო საქმიანობის გარდა), სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

223 საექთნო საქმიანობისა და მეანობის სპეციალისტ-პროფესიონალები

2230 საექთნო საქმიანობისა და მეანობის სპეციალისტ-პროფესიონალები

23 სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში

231 კოლეჯის, უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების სასწავლებლების პედაგოგები

2310 კოლეჯის, უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების სასწავლებლების პედაგოგები

232 საშუალო განათლების პედაგოგები

2320 საშუალო განათლების პედაგოგები

233 დაწყებითი და სკოლამდელი განათლების პედაგოგები

2331 დაწყებითი განათლების პედაგოგები

2332 სკოლამდელი განათლების პედაგოგები

234 სპეციალური განათლების პედაგოგები

2340 სპეციალური განათლების პედაგოგები

235 სხვა პედაგოგები

2351 განათლების მეთოდიკის სპეციალისტები

2352 სკოლის ინსპექტორები

2359 განათლების სფეროს სხვა სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

24 სხვა სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში

241 კომერციული საქმიანობის სპეციალისტ-პროფესიონალები

2411 ბუღალტრები

2412 კადრებისა და პროფორიენტაციის სპეციალისტები

2419 კომერციული საქმიანობის სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

242 სამართლის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები

2421 იურისტები

2422 მოსამართლეები

2429 სამართლის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

243 არქივარიუსები, ბიბლიოთეკარები და ინფორმაციასთან დაკავშირებული მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2431 არქივარიუსები და მუზეუმის მცველები

2432 ბიბლიოთეკარები და ინფორმაციასთან დაკავშირებული მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

244 საზოგადოებრივი და მონათესავე მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები

2441 ეკონომისტები

2442 სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2443 ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და პოლიტოლოგები

2444 ფილოლოგები, მთარგმნელები და თარჯიმნები

2445 ფსიქოლოგები

2446 სოციალური მომსახურების სპეციალისტ-პროფესიონალები

245 ლიტერატორები და ხელოვნების მოღვაწეები

2451 მწერლები, ჟურნალისტები და სხვა ავტორები

2452 მოქანდაკეები, მხატვრები და მონათესავე ხელოვანები

2453 კომპოზიტორები, მუსიკოსები და მომღერლები

2454 ქორეოგრაფები და მოცეკვავეები

2455 ფილმის, თეატრისა და მონათესავე სფეროების მსახიობები და რეჟისორები

246 რელიგიის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები

2460 რელიგიის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები

ძირითადი ჯგუფი 3

სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი

---

31 ფიზიკური და ტექნიკური მეცნიერებების სპეციალისტები

311 ფიზიკური და ტექნიკური მეცნიერებების ტექნიკოსები

3111 ქიმიური და ფიზიკური მეცნიერებების ტექნიკოსები

3112 სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკოსები

3113 ელექტროტექნიკოსები

3114 ელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციების ტექნიკოსები

3115 მექანიკური მოწყობილობების ტექნიკოსები

3116 ქიმიური მანქანა-მოწყობილობების ტექნიკოსები

3117 სამთომოპოვებითი და მეტალურგიული მრეწველობის ტექნიკოსები

3118 მხაზველები

3119 ფიზიკურ და ტექნიკურ მეცნიერებათა სპეციალისტები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

312 დამხმარე პერსონალი კომპიუტერული მომსახურების სფეროში

3121 ასისტენტები კომპიუტერული მომსახურების სფეროში

3122 კომპიუტერული მოწყობილობის ოპერატორები

3123 სამრეწველო რობოტების კონტროლიორები

313 ოპტიკური და ელექტრონული მოწყობილობის ოპერატორები

3131 ფოტოგრაფები და გამოსახულებისა და ხმის ჩამწერი მოწყობილობის ოპერატორები

3132 სამაუწყებლო და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის ოპერატორები

3133 სამედიცინო მოწყობილობის ოპერატორები

3139 ოპტიკური და ელექტრონული მოწყობილობის ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

314 სანაოსნო და საჰაერო ხომალდების კონტროლიორები და ტექნიკური სპეციალისტები

3141 გემების მექანიკოსები

3142 კაპიტნის ვახტის თანაშემწეები და ლოცმანები

3143 თვითმფრინავების პილოტები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტები

3144 თვითმფრინავების გადაადგილების კონტროლიორები

3145 თვითმფრინავების უსაფრთხო გადაადგილების სპეციალისტები

315 უსაფრთხოებისა და ხარისხის ინსპექტორები

3151 სამშენებლო და სახანძრო ინსპექტორები

3152 უსაფრთხოების, ჯანდაცვისა და ხარისხის ინსპექტორები

32 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი

321 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტები და მონათესავე დარგების დამხმარე პერსონალი

3211 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტები

3212 აგრონომიისა და სატყეო მეურნეობის სპეციალისტები

3213 სასოფლო და სატყეო მეურნეობის კონსულტანტები

322 თანამედროვე ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი (საექთნო საქმიანობის გარდა)

3221 ფერშალები

3222 სანიტრები

3223 დიეტოლოგები და რაციონალური კვების სპეციალისტები

3224 ოპტომეტრისტები და ოპტიკოსები

3225 სტომატოლოგის ასისტენტები

3226 ფიზიოთერაპევტები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი

3227 ვეტერინარის ასისტენტები

3228 ფარმაცევტის ასისტენტები

3229 თანამედროვე ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი (საექთნო საქმიანობის გარდა), სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

323 სამეანო და საექთნო საქმიანობის დამხმარე პერსონალი

3231 საექთნო საქმიანობის დამხმარე პერსონალი

3232 სამეანო საქმიანობის დამხმარე პერსონალი

324 ხალხური და არატრადიციული მედიცინის პრაქტიკოსები

3241 ხალხური მედიცინის პრაქტიკოსები

3242 არატრადიციული მედიცინის პრაქტიკოსები

33 განათლების სფეროს დამხმარე პერსონალი

331 დაწყებითი განათლების დამხმარე პერსონალი

3310 დაწყებითი განათლების დამხმარე პერსონალი

332 სკოლამდელი განათლების დამხმარე პერსონალი

3320 სკოლამდელი განათლების დამხმარე პერსონალი

333 სპეციალური განათლების დამხმარე პერსონალი

3330 სპეციალური განათლების დამხმარე პერსონალი

334 განათლების სფეროს სხვა დამხმარე პერსონალი

3340 განათლების სფეროს სხვა დამხმარე პერსონალი

34 სხვა დამხმარე პერსონალი

341 საფინანსო და გაყიდვების სფეროს დამხმარე პერსონალი

3411 ფასიანი ქაღალდების დილერები და ბროკერები

3412 სადაზღვევო აგენტები

3413 უძრავი ქონების აგენტები

3414 მოგზაურობის კონსულტანტები და მისი ორგანიზატორები

3415 გაყიდვების აგენტები

3416 შესყიდვების აგენტები

3417 საქონელმცოდნეები, შეფასების ექსპერტები და აუქციონისტები

3419 საფინანსო და გაყიდვების სფეროს დამხმარე პერსონალი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

342 კომერციული მომსახურების აგენტები და სავაჭრო ბროკერები

3421 სავაჭრო ბროკერები

3422 კლირინგისა და ფორვარდული გარიგების აგენტები

3423 დაქირავებისა და შრომითი ხელშეკრულების აგენტები

3429 კომერციული მომსახურების აგენტები და სავაჭრო ბროკერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

343 ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი

3431 მდივან-ადმინისტრატორები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი

3432 იურიდიული და მონათესავე სფეროების დამხმარე პერსონალი

3433 ბუღალტერ-მოანგარიშეები

3434 სტატისტიკის, მათემატიკისა და მონათესავე სფეროების დამხმარე პერსონალი

3439 ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

344 საბაჟო, საგადასახადო და მსგავსი სახელმწიფო საქმიანობების დამხმარე პერსონალი

3441 საბაჟო და სასაზღვრო ინსპექტორები

3442 სახელმწიფო მოსამსახურეები საგადასახადო და სააქციზო მოსაკრებლების ამოღების სფეროში

2443 სახელმწიფო მოსამსახურეები სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში

3444 სახელმწიფო მოსამსახურეები ლიცენზირების სფეროში

3449 საბაჟო, საგადასახადო და მსგავსი სახელმწიფო საქმიანობების დამხმარე პერსონალი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

345 პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები

3450 პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები

346 სოციალური სამსახურის დამხმარე პერსონალი

3460 სოციალური სამსახურის დამხმარე პერსონალი

347 ხელოვნების, გართობისა და სპორტის სფეროების დამხმარე პერსონალი

3471 დეკორატორები და კომერციული დიზაინერები

3472 რადიო-, ტელე- და სხვა წამყვანები

3473 ქუჩის, ღამის კლუბებისა და მისთ. მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები

3474 მასხარები, ილუზიონისტები, აკრობატები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი

3475 სპორტსმენები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი

348 რელიგიის სფეროს დამხმარე პერსონალი

3480 რელიგიის სფეროს დამხმარე პერსონალი

ძირითადი ჯგუფი 4

ოფისის პერსონალი

---

41 ოფისის მოსამსახურეები

411 მდივნები და საბეჭდი მანქანების ოპერატორები

4111 სტენოგრაფისტები და მბეჭდავები

4112 ტექსტების სარედაქციო მოწყობილობის ოპერატორები და სხვა მსგავსი სამუშაოების შემსრულებლები

4113 მონაცემთა შემყვანი ოპერატორები

4114 გამომთვლელი მანქანების ოპერატორები

4115 მდივნები

412 მოსამსახურეები, დაკავებული ციფრობრივი ინფორმაციის დამუშავებით

4121 მოსამსახურეები, დაკავებული ბუღალტრული ოპერაციებისა და აღრიცხვის წარმოებით

4122 მოსამსახურეები, დაკავებული სტატისტიკური და ფინანსური ინფორმაციის დამუშავებით

413 მოსამსახურეები, დაკავებული მასალებისა და ტრანსპორტირების აღრიცხვით

4131 საწყობში აღრიცხვით დაკავებული მოსამსახურეები

4132 მოსამსახურეები, დაკავებული პროდუქციის აღრიცხვით

4133 მოსამსახურეები, დაკავებული ტრანსპორტირების აღრიცხვით

414 ბიბლიოთეკის, ფოსტისა და სხვა მსგავსი დაწესებულებების მოსამსახურეები

4141 ბიბლიოთეკისა და კარტოთეკის მოსამსახურეები

4142 ფოსტის დამტარებლები და დამხარისხებლები

4143 კოდების მიმნიჭებლები, კორექტორები და მონათესავე პროფესიების მოსამსახურეები

4144 გადამწერები და მონათესავე პროფესიების მოსამსახურეები

419 ოფისის სხვა მოსამსახურეები

4190 ოფისის სხვა მოსამსახურეები

42 მომხმარებლებთან მომუშავე მოსამსახურეები

421 მოლარეები და მონათესავე სპეციალობების მოსამსახურეები

4211 მოლარეები, ბილეთების გამყიდველების ჩათვლით

4212 ბანკის მოლარეები და სხვა მოსამსახურეები

4213 ბუკმეკერები და კრუპიეები

4214 ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტები

4215 ვალების აკრეფითა და მსგავსი საქმიანობით დაკავებული მოსამსახურეები

422 კლიენტების ინფორმირებით დაკავებული მოსამსახურეები

4221 ტურისტული სააგენტოს მოსამსახურეები

4222 მომსვლელთა მიღებითა და ინფორმირებით დაკავებული მოსამსახურეები

4223 ტელეფონის ოპერატორები

ძირითადი ჯგუფი 5

მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი

51 ინდივიდუალური მომსახურებისა და დაცვის სამსახურის მუშაკები

511 თანმხლები პერსონალი მოგზაურობისას და მონათესავე პროფესიის მუშაკები

5111 თანმხლები პერსონალი მოგზაურობისას, ბორტგამცილებლები და სტიუარდები

5112 საზოგადოებრივი ტრანსპორტის კონდუქტორები

5113 გიდები

512 შინამეურნეობების მომსახურებითა და კვების ობიექტებში დასაქმებული მუშაკები

5121 დამხმარე პერსონალი ოჯახებში და ეკონომები

5122 მზარეულები

5123 ოფიციანტები, ბარმენები და მებუფეტეები

513 ინდივიდუალური მომსახურებისა და მონათესავე სფეროების მუშაკები

5131 ბავშვების მომვლელები

5132 პერსონალური მომვლელები სამედიცინო დაწესებულებებში

5133 პერსონალური მომვლელები სახლში

5139 ინდივიდუალური მოვლისა და მონათესავე სფეროების მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

514 ინდივიდუალური მომსახურების სხვა მუშაკები

5141 ქალისა და მამაკაცის პარიკმახერები, კოსმეტოლოგები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

5142 კომპანიონები და მოსამსახურეები

5143 დამკრძალავები და მებალზამეები

5149 ინდივიდუალური მომსახურების სხვა მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

515 ასტროლოგები, მკითხავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

5151 ასტროლოგები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

5152 მკითხავები, ქირომანტები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

516 დაცვის სამსახურების მუშაკები

5161 მეხანძრეები

5162 პოლიციელები

5163 ციხის მცველები

5169 დაცვის სამსახურების მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

52 მოდელები, გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები

521 მანეკენები და სხვა ცოცხალი მოდელები

5210 მანეკენები და სხვა ცოცხალი მოდელები

522 მაღაზიის გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები

5220 მაღაზიის გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები

523 ჯიხურებისა და ბაზრების გამყიდველები

5230 ჯიხურებისა და ბაზრების გამყიდველები

ძირითადი ჯგუფი 6

სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები

61 ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები

611 ბაზარზე ორიენტირებული ბოსტნეულის, ხილისა და მინდვრის კულტურების მწარმოებლები

6111 მემინდვრეები და მებოსტნეები

6112 ხეხილისა და კენკროვანი კულტურების მწარმოებლები

6113 მებაღეები და ნაყოფსანერგეების სხვა მუშაკები

6114 შერეული სასოფლო- სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლები

612 ბაზარზე ორიენტირებული მეცხოველეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

6121 რძისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები

6122 მეფრინველეები

6123 მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები

6124 შერეული ტიპის მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები

6129 ბაზარზე ორიენტირებული მეცხოველეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

613 ბაზარზე ორიენტირებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები

6130 ბაზარზე ორიენტირებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები

614 მეტყევეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

6141 მეტყევეები და ხე-ტყის დამამზადებლები

6142 ხის ნახშირის გამომწველები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

615 მეთევზეები, მონადირეები და ტრაპერები

6151 წყლის მცენარეებისა და ცხოველების მოშენებით დაკავებული მუშაკები

6152 შიდა და სანაპირო წყლებში თევზჭერით დაკავებული მუშაკები

6153 ღრმა წყლებში თევზჭერით დაკავებული მუშაკები

6154 მონადირეები და ტრაპერები

62 საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები

621 საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები

6210 საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები

ძირითადი ჯგუფი 7

ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

71 მოპოვებასა და მშენებლობაზე დასაქმებული მუშები

711 სამთომომპოვებლები, ამფეთქებლები, ქვის მთლელები და მჭრელები

7111 მაღაროელები და კარიერების მუშები

7112 ამფეთქებლები

7113 ქვის მტეხავები, ქვისმთლელები და ქვაზე მჭრელები

712 მშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7121 ტრადიციული მასალებით მშენებლები

7122 კალატოზები და ფილებზე მომუშავეები

7123 ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7124 ხუროები და დურგლები

7129 მშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

713 მომპირკეთებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7131 მხურავები

7132 იატაკისა და ფილების დამგებები

7133 მებათქაშეები

7134 საიზოლაციო სამუშაოებზე დასაქმებული მუშები

7135 მეშუშეები

7136 ზეინკალ-სანტექნიკოსები და ზეინკალ-მილგამყვანები

7137 შენობების ელექტრიკოსები და მონათესავე პროფესიების მუშები

714 მღებავები, შენობების ზედაპირის მწმენდავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7141 მღებავები და მონათესავე პროფესიების მუშები

7142 მლაქავები და მონათესავე პროფესიების მუშები

7143 შენობება-ნაგებობების ზედაპირის მწმენდავები

72 ლითონგადამამუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

721 ლითონის მეყალიბეები, შემდუღებლები, ფურცლოვანი ლითონის დამამუშავებლები, კონსტრუქციული ლითონის დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშები

7211 ლითონის მეყალიბეები და მეკოპეები

7212 შემდუღებლები და აირით მჭრელები

7213 მვალცავები

7214 კონსტრუქციული ლითონის დამამზადებელი მუშები და მემონტაჟეები

7215 მეტაკელაჟეები და მეკაბელე-მრჩილავები

7216 წყალქვეშ მომუშავეები

722 მჭედლები, ზეინკალ-მეხელსაწყოეები და მონათესავე პროფესიების მუშები

7221 მჭედლები, უროებზე და წნეხებზე მჭედლები

7222 ზეინკალ-მეხელსაწყოეები და მონათესავე პროფესიების მუშები

7223 მეჩარხეები და ამწყობი ოპერატორები

7224 მხეხავები, გამპრიალებლები და ინსტრუმენტების მლესავები

723 მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები

7231 ავტომობილების მექანიკოსები და ამწყობები

7232 საავიაციო ძრავების მექანიკოსები და ამწყობები

7233 სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები

724 ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები

7241 ელექტრული მოწყობილობის მექანიკოსები და ამწყობები

7242 ელექტრონული მოწყობილობების ამწყობები

7243 ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსები და მომსახურე მუშები

7244 ტელეგრაფისა და ტელეფონის მემონტაჟეები და მომსახურე მუშები

7245 ელექტროგადამცემი ხაზების მემონტაჟეები, შემკეთებლები და მეკაბელე-მრჩილავები

73 პრეციზიული, ხელით ნაკეთი და პოლიგრაფიული პროდუქციის მწარმოებლები და მონათესავე პროფესიის მუშაკები

731 ლითონისა და სხვა მსგავსი მასალების პრეციზიული ნაკეთობების დამამზადებლები

7311 პრეციზიული ინსტრუმენტების დამამზადებლები და შემკეთებლები

7312 მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებლები და ამწყობები

7313 ძვირფასი ლითონებისა და ქვებისაგან ნაკეთობების დამამზადებლები

732 მეთუნეები, მემინეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7321 აბრაზიული ნაწარმის მეყალიბეები, მეთუნეები და მონათესავე პროფესიების მუშები

7322 მემინეები, შუშის მჭრელები, მხეხავები და გამპრიალებლები

7323 მინის ამომჭრელები და გრავიორები

7324 მინაზე, კერამიკასა და სხვა მსგავს მასალებზე დეკორატიული ხატვის ოსტატები

733 ხეზე, ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები

7331 ხეზე და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები

7332 ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები

734 პოლიგრაფიული წარმოების მუშები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7341 ასოთამწყობები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7342 სტერეოტიპერები და ელექტროტიპერები

7343 საბეჭდი ფორმების გრავიორები და ამომჭრელები

7344 ფოტოგრაფები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7345 მკინძავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7346 აბრეშუმგრაფიის, ქსილოგრაფიისა და ქსოვილების მეტრაფარეტეები

74 მრეწველობის სხვა კვალიფიციური მუშები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

741 კვების პროდუქტების მწარმოებელი და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7411 ხორცის, თევზისა და მსგავსი კვების პროდუქტების მწარმოებელი მუშაკები

7412 მცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები

7413 რძის პროდუქტების დამამზადებლები

7414 ხილის, ბოსტნეულისა და მსგავსი პროდუქტების დამკონსერვებლები

7415 კვების პროდუქტებისა და სასმელების დეგუსტატორები და დამხარისხებლები

7416 თამბაქოს დამამზადებლები და თამბაქოს პროდუქციის მწარმოებლები

742 ხის დამამუშავებლები, მეავეჯეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7421 ხის დამამუშავებლები

7422 მეავეჯეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7423 ხის დამამუშავებელი დაზგების ამწყობები და ოპერატორები

7424 კალათის მწვნელები, ჯაგრისების დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

743 ფეიქრები, მკერავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7431 ბოჭკოს დამამზადებელი მუშაკები

7432 ფეიქრები, დამრთველები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7433 ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის მკერავები და მექუდეები

7434 ბეწვის ტანსაცმლის დამამზადებელი ოსტატები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7435 ტექსტილის, ტყავისა და სხვა მსგავსი მასალებისაგან მრუდთარგების დამამზადებლები და გამომჭრელები

7436 მკერავები, მქარგავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7437 ავეჯის გადამკვრელები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

744 ტყავისა და ბეწვის მწარმოებელი და ფეხსაცმლის დამამზადებელი მუშაკები

7441 ტყავისა და ბეწვის დამამუშავებლები და გამომყვანები

7442 ფეხსაცმლისა და მსგავსი ნაწარმის მწარმოებელი მუშები

ძირითადი ჯგუფი 8

სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები

81 სამრეწველო დანადგარების ოპერატორები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

811 სამთომოპოვებითი და სამთო-გამამდიდრებელი დანადგარების ოპერატორები

8111 სამთო მოწყობილობებისა და მანქანების ოპერატორები

8112 მადნისა და ქვის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

8113 ჭაბურღილებისა და ჭების მბურღავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

812 ლითონის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

8121 მადნისა და ლითონის ღუმელების ოპერატორები

8122 მდნობელები, ჩამომსხმელები და მგლინავები

8123 ლითონის თბური დამუშავების დანადგარების ოპერატორები

8124 ლითონის ამდიდავები და ექსტრუდერები

813 მინის, კერამიკისა და მსგავსი დანადგარების ოპერატორები

8131 მინისა და კერამიკის გამოსაწვავი ღუმელებისა და მსგავსი დანადგარების ოპერატორები

8139 მინის, კერამიკისა და მსგავსი დანადგარების ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

814 ხის დამამუშავებელი და ქაღალდის საწარმოებელი დანადგარების ოპერატორები

8141 ხის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

8142 ქაღალდის მასის დამამზადებელი დანადგარების ოპერატორები

8143 ქაღალდის დამამზადებელი დანადგარების ოპერატორები

815 ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

8151 ქიმიკატების სამსხვრევი, საფქვავი და შესარევი დანადგარების ოპერატორები

8152 ქიმიკატების თერმული დამუშავების დანადგარების ოპერატორები

8153 ქიმიკატების საფილტრავი მოწყობილობებისა და სეპარატორების ოპერატორები

8154 ქიმიკატების გამოსახდელი მოწყობილობებისა და რეაქტორების ოპერატორები (გარდა ნავთობისა და ბუნებრივი აირისა)

8155 ნავთობისა და ბუნებრივი აირის საწმენდი მოწყობილობების ოპერატორები

8159 ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

816 ელექტროენერგიის მწარმოებელი და სხვა მსგავსი მოწყობილობების ოპერატორები

8161 ენერგიის მწარმოებელი დანადგარების ოპერატორები

8162 ორთქლის ძრავებისა და ქვაბების ოპერატორები

8163 მაღალტემპერატურული ღუმელების, წყლის დამამუშავებელი მსგავსი მოწყობილობების ოპერატორები

817 ავტომატიზირებული საამწყობო ხაზებისა და სამრეწველო რობოტების ოპერატორები

8171 ავტომატიზირებული საამწყობო ხაზების ოპერატორები

8172 სამრეწველო რობოტების ოპერატორები

82 სტაციონარული მანქანების ოპერატორები და ზეინკალ-ამწყობები

821 ლითონისა და მინერალური ნედლეულის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8211 ჩარხების ოპერატორები

8212 ცემენტისა და სხვა მინერალური მასალების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

822 ქიმიური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8221 ფარმაცევტული და პარფიუმერული პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8222 საბრძოლო და ასაფეთქებელი მასალების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8223 გასაპრიალებელი, მეტალიზაციისა და ლითონზე დამცავი ფენის დასადები დანადგარების ოპერატორები

8224 ფოტოგრაფიული პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8229 ქიმიური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

823 რეზინისა და პლასტიკატის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8231 რეზინის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8232 პლასტიკური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

824 ხის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8240 ხის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

825 საბეჭდი, საამკინძაო და ქაღალდის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

8251 საბეჭდი მანქანების ოპერატორები

8252 საამკინძაო მანქანების ოპერატორები

8253 ქაღალდის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

826 ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

8261 ბოჭკოს მოსამზადებელი სართავი და სახვევი მანქანების ოპერატორები

8262 საკერავი და საქსოვი მანქანების ოპერატორები

8263 საკერავი მანქანების ოპერატორები

8264 გასათეთრებელი, შესაღები და საწმენდი მანქანების ოპერატორები

8265 ბეწვისა და ტყავის პროდუქციის გამოსაყვანი მანქანების ოპერატორები

8266 ფეხსაცმლისა და მსგავსი პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

8269 ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

827 კვებისა და მსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8271 ხორცისა და თევზის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8272 რძის პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8273 მარცვლეულისა და სანელებლების საფქვავი მანქანების ოპერატორები

8274 ფქვილეული, დაღერღილი მარცვლეულის ნაწარმისა და შოკოლადის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

8275 ხილის, ბოსტნეულისა და თხილის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8276 შაქრის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

8277 ჩაის, ყავისა და კაკაოს დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

8278 ლუდ-სახარში, ღვინისა და სხვა სასმელების დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

8279 თამბაქოს დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

828 ამწყობები

8281 მექანიკური მანქანების ზეინკალ-ამწყობები

8282 ელექტრული მოწყობილობის ამწყობები

8283 ელექტრონული მოწყობილობის ამწყობები

8284 ლითონის, რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის ამწყობები

8285 ხისა და მსგავსი მასალების ნაწარმის ამწყობები

8286 ქაღალდის, ტექსტილისა და მსგავსი მასალების ნაწარმის ამწყობები

829 სხვა მანქანების ოპერატორები და ამწყობები

8290 სხვა მანქანების ოპერატორები და ამწყობები

83 მძღოლები და მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები

831 ლოკომოტივების მემანქანეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

8311 ლოკომოტივების მემანქანეები

8312 რკინიგზის მამუხრუჭებელი მუშები, გადამბმელები და მეისრეები

832 მოტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლები

8321 მოტოციკლების მძღოლები

8322 მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები

8323 ავტობუსისა და ტრამვაის მძღოლები

8324 სატვირთო ავტომობილების მძღოლები

833 სასოფლო-სამეურნეო და სხვა მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები

8331 სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორები

8332 მიწასათხრელი და მსგავსი მანქანების ოპერატორები

8333 ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები

8334 ავტოსაწეველების ოპერატორები

834 გემების ეკიპაჟები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

8340 გემების ეკიპაჟები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

IX ძირითადი ჯგუფი 9

არაკვალიფიციური მუშები

91 ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს არაკვალიფიციური მუშები

911 ქუჩაში მოვაჭრე და მონათესავე პროფესიების მუშები

9111 ქუჩაში სურსათით მოვაჭრეები

9112 ქუჩაში არასასურსათო პროდუქტებით მოვაჭრეები

9113 კარდაკარ და ტელეფონის საშუალებით მოვაჭრეები

912 ფეხსაცმლის მწმენდავები და ქუჩაში სხვადასხვა მომსახურების გამწევი არაკვალიფიციური მუშები

9120 ფეხსაცმლის მწმენდავები და ქუჩაში სხვადასხვა მომსახურების გამწევი არაკვალიფიცირური მუშები

913 შინამოსამსახურეები და დალაგებითა და რეცხვით დაკავებული პირები

9131 შინამოსამსახურეები, დამლაგებლები და მრეცხავები

9132 მოსამსახურეები და დამლაგებლები ოფისებში, სასტუმროებსა და სხვა დაწესებულებებში

9133 ხელით მრეცხავები და დამუთოებლები

914 შენობების მეთვალყურეები, ფანჯრის მწმენდავები და მონათესავე პროფესიების მუშები

9141 შენობების მეთვალყურეები

9142 სატრანსპორტო საშუალებების, ფანჯრების მრეცხავები და მონათესავე პროფესიების მუშები

915 კურიერები, პორტიეები, შვეიცარები და მონათესავე პროფესიების მუშები

9151 კურიერები, პორტიეები და ბარგის დამტარებლები

9152 შვეიცარები, დარაჯები და მონათესავე პროფესიების მუშები

9153 სავაჭრო ავტომატებიდან ფულის ამკრეფები, მრიცხველების კონტროლიორები და მონათესავე პროფესიების მუშები

916 მენაგვეები და მსგავსი არაკვალიფიციური მუშები

9161 მენაგვეები

9162 მეეზოვეები და მსგავსი არაკვალიფიციური მუშები

92 სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები

921 სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები

9211 სოფლის მეურნეობის არაკვალიფიციური მუშები

9212 სატყეო მეურნეობის არაკვალიფიციური მუშები

9213 მეთევზეობის არაკვალიფიციური მუშები, მონადირეები და ტრაპერები

93 მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის არაკვალიფიციური მუშები

931 სამთომოპოვებითი და სამშენებლო სფეროების არაკვალიფიციური მუშები

9311 სამთომოპოვებით სამუშაოებსა და კარიერების დამუშავებაზე დაკავებული არაკვალიფიციური მუშები

9312 სამშენებლო სამუშაოებზე და გზების, კაშხლებისა და ანალოგიური ნაგებობების შეკეთებაზე დაკავებული არაკვალიფიციური მუშები

9313 შენობების მშენებლობაზე დაკავებული არაკვალიფიციური მუშები

932 დამამუშავებელი მრეწველობის არაკვალიფიციური მუშები

9321 არაკვალიფიციური ამწყობები

9322 ხელით მფუთავები და სამრეწველო სფეროს სხვა არაკვალიფიციური მუშები

933 სატრანსპორტო სფეროს არაკვალიფიციური მუშები და მტვირთავები

9331 ხელითა და პედლით სამართავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები

9332 მეეტლეები და გამწევი ძალით სამართავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები

9333 მტვირთავები

ძირითადი ჯგუფი 0

შეიარაღებული ძალები

---

01 შეიარაღებული ძალები

011 შეიარაღებული ძალები

0110 შეიარაღებული ძალები

ძირითადი ჯგუფი 1

კანონმდებლები, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები და მენეჯერები

კანონმდებლები, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები და მენეჯერები განსაზღვრავენ, აყალიბებენ, წარმართავენ სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოლიტიკას; აგრეთვე შეიმუშავებენ კანონებს, დადგენილებებს, ატარებენ ინსტრუქტაჟს, წარმოადგენენ მთავრობას და მოქმედებენ მისი სახელით, ორგანიზებას უწევენ და წარმართავენ სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ სამთავრობო პოლიტიკისა და კანონმდებლობის განხორციელებას, ასევე გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინაციას უწევენ საწარმოებისა და ორგანიზაციების ან მათი შიდა დეპარტამენტებისა და ქვეგანყოფილებების საქმიანობას.

კანონმდებლების, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირებისა და მენეჯერების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი მოიცავს: სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და ჩამოყალიბება, კონსულტაციების გაწევა აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ეროვნული, შტატის, რეგიონული ან ადგილობრივი მმართველობის დონეზე; კანონების, დადგენილებებისა და ინსტრუქციების შემუშავება; მთავრობის წარმოდგენა და მისი სახელით მოქმედება; სახელმწოფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონმდებლობის განხორციელების ორგანიზება და წარმართვა; ანალოგიური ამოცანების შესრულება პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის; საწარმოების, და ორგანიზაციების, ან მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის დაგეგმვა წარმართვა და კოორდინაცია. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ძირითად ჯგუფში იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

11 კანონმდებლები და მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები

12 კორპორაციული მენეჯერები [1]

13 გენერალური მენეჯერები [2]

შენიშვნა

ზოგ შემთხვევაში, როცა საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ ან მენეჯერულ დონეზე მუშაკებს მოეთხოვებათ კონკრეტული პროფესიული, ტექნიკური ან პრაქტიკული კვალიფიკაცია და ცოდნა, რთულდება იმის განსაზღვრა თუ რომელ ძირითად ჯგუფს მიეკუთვნება ესა თუ ის პროფესია. პასუხი დამოკიდებულია ძიითადი ვალდებულებების შინაარსზე. თუ ძირითადი ამოცანების შესასრულებლად კონკრეტული პროფესიული ცოდნის, ან ტექნიკური უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენებაა საჭირო, ,საქმიანობა სხვა ძირითად ჯგუფს უნდა განეკუთვნოს. მაგრამ, თუ პროფესიული ცოდნა ან ტექნიკური უნარ-ჩვევები მხოლოდ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან მენეჯერული ამოცანების შესრულების საფუძველს წარმოადგენს, საქმიანობა ამ ძირითად ჯგუფში უნდა მოხვდეს. მაგალითად, თუ რომელიმე საქმიანობის ძირითადი ამოცანებია დიაგნოზის დასმა და ავადმყოფობის მკურნალობა, საქმიანობა განეკუთვნება ძირითად ჯგუფ 2-ს – სპეციალისტ-პროფესიონალები, მაგრამ თუ ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა კვლევებისა და დამუშავებისათვის გამოყოფილი სახსრების განაწილება სამედიცინო ცოდნის საფუძველზე, მაშინ საქმიანობა მიეკუთვნება ამ ძირითად ჯგუფს.

[1] ამ ჯგუფში შედიან პირები, რომლებიც დირექტორების, მთავარი ან განყოფილების მენეჯერების რანგში ხელმძღვანელობენ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ან მათ ქვედანაყოფებს, სადაც აუცილებელი სამი ან მეტი მენეჯერი.

[2] ამ ჯგუფში შედიან პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საწარმოებს და ზოგ შემთხვევაში, ორგანიზაციებს საკუთარი ან მფლობელის სახელით, რომელთაც ექვემდებარება უფრო დაბალი რანგის პერსონალი და არაუმეტეს ერთი მენეჯერისა, რომელიც კლასიფიცირდება ამავე ჯგუფში, რადგან უმრავლეს შემთხვევავში მისი ამოცანები უფრო ფართო იქნება, ვიდრე სპეციალიზებული მენეჯერის ამოცანები უფრო დიდ საწარმოს ან ორგანიზაციაში. არამენეჯერული პერსონალის კლასიფიკაცია უნდა მოხდეს მათი კონკრეტული ამოცენების შესაბამისად.

ძირითადი ქვეჯგუფი 11

კანონმდებლები და მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები

კანონმდებლები და მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები განსაზღვრავენ, აყალიბებენ, წარმართავენ სახელმწიფო პოლიტიკას და იძლევიან რეკომენდაციებს აღნიშნულ საკითხებზე, ადგენენ, ამტკიცებენ, ასწორებენ და აუქმებენ კანონებსა დადგენილებებს, წარმოადგენენ მთავრობას და მოქმედებენ მისი სახელით, ზედამხედველობას უწევენ მთავრობის პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესრულებას, ან ასრულებენ ანალოგიურ სამუშაოებს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის.

ამ ძირითადი ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ეროვნული, შტატის, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკის განსაზღვრა, ჩამოყალიბება და წარმართვა და კონსულტაციების გაწევა აღნიშნულ საკითხებზე; კანონებისა დადგენილებების შემუშავება, რატიფიცირება, შესწორება ან გაუქმება; მთავრობის წარმოდგენა და მისი სახელით მოქმედება; სამთავრობო ან მთავრობათაშორისი განყოფილებებისა და სააგენტოების მიერ მთავრობის პოლიტიკისა და კანონმდებლობის აღსრულების ზედამხედველობა; ანალოგიური ფუნქციების შესრულება პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე მოლაპარაკებების წარმოება ამგვარი ორგანიზაციების, მათი წევრებისა და კლიენტების სახელით. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ძირითად ჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

111 კანონმდებლები

112 მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები

113 დასახლების ტრადიციული მმართველები და სოფლის თავები

114 პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაღალი რანგის თანამდებობის პირები

შენიშვნა

ზოგ შემთხვევაში, როცა საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ ან მენეჯერულ დონეზე მუშაკებს მოეთხოვებთ კონკრეტული პროფესიული, ტექნიკური ან პრაქტიკული კვალიფიკაცია და ცოდნა, რთულდება იმის განსაზღვრა თუ რომელ ქვეჯგუფს მიეკუთვნება ესა თუ ის პროფესია.პასუხი დამოკიდებულია ძიითადი ვალდებულებების შინაარსზე. თუ ძირითადი ამოცანების შესასრულებლად კონკრეტული პროფესიული ცოდნის ან ტექნიკური უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენებაა საჭირო, საქმიანობა სხვა ქვეჯგუფს უნდა განეკუთვნოს. მაგრამ თუ პროფესიული ცოდნა ან ტექნიკური უნარ-ჩვევები მხოლოდ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან მენეჯერული ამოცანების შესრულების საფუძველს წარმოადგენს, საქმიანობა ამ ქვეჯგუფში უნდა მოხვდეს. მაგალითად, თუ რომელიმე საქმიანობის ძირითადი ამოცანებია დიაგნოზის დასმა და ავადმყოფობის მკურნალობა, საქმიანობა განეკუთვნება ძირითად ჯგუფ 2-ს – სპეციალისტ-პროფესიონალები, მაგრამ თუ ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა კვლევებისა და დამუშავებისათვის გამოყოფილი სახსრების განაწილება სამედიცინო ცოდნის საფუძველზე, მაშინ საქმიანობა მიეკუთვნება ამ ქვეჯგუფს.

მცირე ჯგუფი 111

კანონმდებლები

კანონმდებლები საზღვრავენ, აყალიბებენ და წარმართავენ ეროვნული, შტატის, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკას ან ადგენენ, ამტკიცებენ, შესწორებები შეაქვთ და აუქმებენ კანონებსა და დადგენილებებს.

შესასრულებელი ვალდებულებები, როგორც წესი, შემდეგია: საკანონმდებლო ორგანოებსა და ეროვნული, შტატის, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობის ადმინისტრაცულ საბჭოებში მიმდინარე პროცესების მართვა ან მათში მონაწილეობა; ეროვნული, შტატის, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკის განსაზღვრა,

ჩამოყალიბება და წარმართვა; კანონებისა და დადგენილებების შედგენა, დამტკიცება, შესწორება ან გაუქმება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ძირითად ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

1110 კანონმდებლები

1110 კანონმდებლები

კანონმდებლები საზღვრავენ, აყალიბებენ და წარმართავენ ეროვნული, შტატის, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკას ან ადგენენ, ამტკიცებენ, ასწორებენ და აუქმებენ კანონებსა და ნორმატიულ აქტებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საკანონმდებლო ორგანოებსა და ეროვნული, შტატის, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობის ადმინისტრაცულ საბჭოებში მიმდინარე პროცესების მართვა ან მათში მონაწილეობა;
2. ეროვნული, შტატის, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკის განსაზღვრა, ჩამოყალიბება და წარმართვა;
3. კანონებისა და ნორატიული აქტების შედგენა, დამტკიცება, შესწორება ან გაუქმება კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;
4. მთავრობის ადმინისტრაციულ საბჭოებსა და კომიტეტებში მუშაობა;
5. თავისი ამომრჩევლების ინტერესების დაცვა
6. ხელისუფლების წარმომადგენლების რანგში სახელმწიფო ორგანოების მაღალი რანგის ხელმძღვანელი პირების ზედამხედველობა სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მინისტრი, მთავრობა
- პრეზიდენტი, მთავრობა
- პრემიერ-მინისტი
- მდივანი, მთავრობა/საკანონმდებლო ორგანო
- სენატორი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მდივანი, მთავრობა/არასაკანონმდებლო ორგანო - 1120

მცირე ჯგუფი 112

მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები

მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები კონსულტაციებს უწევენ მთავრობას პოლიტიკის საკითხებზე, ზედამხედველობენ მთავრობის პოლიტიკისა და კანონმდებლობის განხორციელებას, წარმოადგენენ თავიანთ ქვეყანას საზღვარგარეთ ან ასრულებენ იმავე ამოცანებს სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებში.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი შემდეგია: ადგილობრივი მთავრობისათვის კონსულტაციების გაწევა პოლიტიკის საკითხებზე; ეროვნული, შტატის, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკისა და კანონმდებლობის განხორციელების ზედამხედველობა; ქვეყნის წარმოდგენა საზღვრგარეთ; ანალოგიური

ამოცანების შესრულებას სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებში. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

1120 მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები

შენიშვნა

მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები, რომლებიც მართავენ სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ ან მის მიერ კონტროლირებად საწარმოო დაწესებულებებს, კომუნალურ დაწესებულებებს, სატრანსპორტო ან სხვა მსგავს საწარმოო დაწესებულებებს ან ორგანიზაციებს, ან ასრულებენ ამოცანებს, რომლებიც პროფესიების 122 - საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები და 123 - სხვა განყოფილების მენეჯერები ანალოგიურია, კლასიფიცირებულია, საჭიროებისდა მიხედვით, ქვეჯგუფში 12 - კორპორაციული მენეჯერები ან 13 - გენერალური მენეჯერები.

ამ მცირე ჯგუფის შემდგომი შესაძლო დაყოფა ელემენტარულ ჯგუფებად უნდა ითვალისწინებდეს თუ რა კონკრეტულ საკითხებზე მუშაობენ მოცემული სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლები და რა ცოდნა ესაჭიროებათ თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად.

სამთავრობო ფუნქციების სხვადასხვა სფერო დადგენილი და კლასიფიცირებულია მთავრობის ფუნქციების კლასიფიკაციაში (Classification of the functions of government - COFOG), რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის ოფისმა 1980 წელს გამოსცა (Statistical papers, Series M. No. 70). პოლიტიკის სფეროში დაყოფის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია: 1. ზოგადი სახელმწიფო სამსახურები (COFOG-ის ძირითადი ჯგუფი 01); 2. თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხები (COFOG-ის ძირითადი ჯგუფები 02+03); 3. განათლების, კულტურისა და რელიგიის საკითხები (COFOG-ის ძირითადი ჯგუფები 04+08); 4. ჯანრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხები (COFOG-ის ძირითადი ჯგუფები 05+06); 5. დასახლების და კომუნალური მომსახურების საკითხები (COFOG-ის ძირითადი ჯგუფი 07); 6. ენერგეტიკის, ეკონომიკისა და მომსახურების საკითხები (COFOG-ის ძირითადი ჯგუფები 09+10+11+12+13).

1120 მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები

მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები კონსულტაციებს უწევენ მთავრობებს პოლიტიკის საკითხებზე, ზედამხედველობენ სამთავრობო სტრუქტურებს და სააგენტოების მიერ მთავრობის პოლიტიკისა და კანონმდებლობის განხორციელებას, წარმოადგენენ თავიანთ ქვეყანას საზღვარგარეთ და მოქმედებენ მისი სახელით, ან ასრულებენ იმავე ამოცანებს სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ეროვნული, შტატის, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობისათვის კონსულტაციების გაწევა პოლიტიკის საკითხებზე;
2. სამთავრობო ბიუჯეტის, კანონებისა და დადგენილებების, ასევე კანონმდებლობაში შესწორებების შეტანის თაობაზე კონსულტაციების გაწევა;
3. სამთავრობო დეპარტამენტებისა და სააგენტოების მიერ მთავრობის პოლიტიკისა და კანონმდებლობის განხორციელებაზე ზედამხედველობის გაწევა;
4. ქვეყნის წარმოდგენა საზღვარგარეთ;
5. ანალოგიური ამოცანების შესრულება სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებში;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ადმინისტრატორი, მთავრობა
- ადმინისტრატორი, სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია
- ელჩი
- გენერალური კონსული
- მდივანი, მთავრობა/არასაკანონმდებლო ორგანო

მცირე ჯგუფი 113

დასახლების ტრადიციული მმართველები და სოფლის თავები

დასახლების ტრადიციული მმართველები და სოფლის თავები ასრულებენ სხვადასხვა საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და ცერემონიალურ ამოცანებსა და მოვალეობებს, განსაზღვრულს უძველესი ტრადიციებითა და ასევე სოფლის მმართველებსა და ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ ხელისუფლებას შორის უფლებამოსილების გამიჯვნის საფუძველზე.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი შემდეგია: დასახლებისა და სოფლის მოსახლეობისათვის საერთო მიწისა და სხვა რესურსების სარგებლობაში გადაცემა; დასახლების და სოფლების ნამატი პროდუქციის შეგროვება და განაწილება; დავების მოგვარება დასახლებებსა და სოფლის მცხოვრებლებს შორის; დასახლებისა და სოფლის მცხოვრებთათვის წეს-ჩვეულებების განმარტება; ცერემონიალური მოვალეობების შესრულება დაბადების, ქორწინების, სიკვდილის, მოსავლის აღებისა და სხვა ტრადიციული დღესასწაულების დროს; სოფლის წარმოდგენა ადგილობრივ ან რეგიონულ დონეზე; დასახლებისა და სოფლის მცხოვრებთა ინფორმირება მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესახებ. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

1130 დასახელების ტრადიციული მმართველები და სოფლის თავები

1130 დასახელების ტრადიციული მმართველები და სოფლის თავები

დასახლების ტრადიციული მმართველები და სოფლის თავები ასრულებენ სხვადასხვა საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და ცერემონიალურ ამოცანებსა და მოვალეობებს, რომელიც განსაზღვრულია უძველესი ტრადიციებითა და ასევე სოფლის მმართველებსა და ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ ხელისუფლებას შორის უფლებამოსილების გამიჯვნის საფუძველზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. დასახლებისა და სოფლის მოსახლეობისათვის საერთო მიწისა და სხვა რესურსების სარგებლობაში გადაცემა;
2. დასახლებისა და სოფლის ნამატი პროდუქციის შეგროვება და განაწილება;
3. დასახლების და სოფლის მცხოვრებლებს შორის დავების მოგვარება;
4. დასახლების და სოფლის მცოვრებთათვის წეს-ჩვეულებების განმარტება;
5. ცერემონიული მოვალეობების შესრულება დაბადების, ქორწინების, სიკვდილის, მოსავლის აღებისა და სხვა ტრადიციული დღესასწაულების დროს;
6. დასახლებისა და სოფლის წარმოდგენა ადგილობრივ ან რეგიონულ დონეზე;
7. დასახლებისა და სოფლის მცხოვრებთა ინფორმირება მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესახებ;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მმართველი, სოფელი
- თავი, სოფელი

მცირე ჯგუფი 114

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაღალი რანგის თანამდებობის პირები

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაღალი რანგის თანამდებობის პირები განსაზღვრავენ, აყალიბებენ და წარმართავენ ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პოლიტიკას, როგორიცაა პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, დამქირავებელთა ორგანიზაციები, სავაჭრო და სამრეწველო ასოციაციები, ჰუმანიტარული და საქველმოქმედო, ან სპორტული ასოციაციები, ასევე ისინი წარმოადგენენ თავიანთ ორგანიზაციებს და მოქმედებენ მათი სახელით.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ორგანიზაციის პოლიტიკის განსაზღვრა, კანონების და წესედებების შედგენა; ორგანიზაციის, მისი წევრებისა და შესაბამისი საზოგადოებრივი ჯგუფების სახელით მოლაპარაკებების წარმოება; ორგანიზაციის, მისი წევრებისა და შესაბამის საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესების დაცვა საკანონმდებლო ხელისუფლების, მთავრობის ან ზოგადად საზოგადოების წინაშე; იმ სექტორების დაგეგმვა, ორგანიზაცია და წარმართვა, რომელთა მოვალეობაა ორგანიზაციების პოლიტიკის, პრინციპებისა და ნორმატიული აქტების შესრულება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

1141 პოლიტიკურ პარტიების მაღალი რანგის თანამდებობის პირები.

1142 დამქირავებლების, მომუშავეების, გაერთიანებების და სხვა ეკონომიკური ინტერესების მქონე ორგანიზაციების მაღალი რანგის თანამდებობის პირები.

1143 ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაღალი რანგის თანამდებობის პირები.

შენიშვნა

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაღალი რანგის თანმდებობის პირები, რომლებიც მართავენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მფლობელობაში მყოფ ან მის კონტროლირებად ბიზნეს-საწარმოს, ან ასრულებენ ამოცანებს, რომლებიც 122 - საწარმოო და საექსპლოატაციო განყოფილების მენეჯერები ან 123 ჯგუფის - სხვა განყოფილების მენეჯერები პროფესიების ანალოგიაურია, კლასიფიცირებულია, საჭიროებისდა მიხედვით, ქვეჯგუფში 12-კორპორაციულ მენეჯერები[1] ან 13 - გენერალურ მენეჯერები[2]

1141 პოლიტიკურ პარტიების მაღალი რანგის თანამდებობის პირები

პოლიტიკურ პარტიების მაღალი რანგის თანამდებობის პირები განსაზღვრავენ პოლიტიკური პარტიის პოლიტიკას, განსაზღვრავენ მის წესდებას, წარმართავენ მათ საქმიანობას, წარმოადგენენ თავიანთ ორგანიზაციებს და მოქმედებენ მათი სახელით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. პოლიტიკურ პარტიების პოლიტიკის, და წესდების შემუშავება;
2. მოლაპარაკებების წარმოება პოლიტიკური პარტიის და მისი წევრების სახელით;
3. პოლიტიკური პარტიისა და მისი წევრების სახელით საარჩევნო კამპანიების დაგეგმვა და ორგანიზება;
4. პოლიტიკური პარტიის რიგების შესავსებად და ასევე მისი წევრების პოლიტიკური განათლებისთვის კამპანიების დაგეგმვა და ორგანიზაცია;

[1] იხილეთ 1-ლი შენიშვნა ძირითადი ჯგუფი 1-ის დასაწყისში.
[2] იხილეთ მე-2 შენიშვნა ძირითადი ჯგუფი 1-ის დასაწყისში.

5. განყოფილებების საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზაცია და წარმართვა, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკური პარტიის პოლიტიკისა და წესდების შესრულებას;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ხელმძღვანელი, პოლიტიკური პარტია
- თავმჯდომარე, პოლიტიკური პარტია
- მაღალი რანგი თანამდებობის პირი, პოლიტიკური პარტია

1142 დამქირავებლების, მომუშავეების, გაერთიანებებისა და სხვა ეკონომიკური ინტერესების მქონე ორგანიზაციების სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირები

დამქირავებლების, მომუშავეების, გაერთიანებებისა და სხვა ეკონომიკური ინტერესების მქონე ორგანიზაციების სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირები განსაზღვრავენ და აყალიბებენ თავიანთი შესაბამისი ორგანიზაციების პოლიტიკას, წესდებას, წარმართავენ მათ საქმიანობას, წარმოადგენენ ამ ორგანიზაციებს და მოქმედებენ მათი სახელით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ორგანიზაციების პოლიტიკისა და წესდების განსაზღვრა და ჩამოყალიბება;
2. ორგანიზაციისა და მისი წევრების სახელით მოლაპარაკებების წარმოება;
3. ორგანიზაციის ან მისი წევრების ინტერესების დაცვა საკანონმდებლო ხელისუფლების, მთავრობის და საზოგადოების წინაშე;
4. კამპანიების დაგეგმვა და ორგანიზება ახლი წევრების მისაღებად და მათი განათლებისთვის;
5. განყოფილებების საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზაცია და წარმართვა, რამლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკური პარტიის პოლიტიკისა და წესდების შესრულებას;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გენერალური მდივანი, დამქირავებელთა ორგანიზაცია
- განერალური მდივანი, პროფკავშირი
- უმაღლესი ღანგის თანამდებობის პირი, დამქირავებელთა ორგანიზაცია
- უმაღლესი რანგის თანამდებობის პირი, პროფკავშირი

1143 ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაღალი რანგის თანამდებობის პირები

ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაღალი რანგის თანმდებობის პირები საზღვრავენ და აყალიბებენ ჰუმანიტარული ორგანიზაციების, სპორტული ასოციაციების ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოლიტიკასა და წესდებას, წარმართავენ მათ საქმიანობას, წარმოადგენენ ამ ორგანიზაციებს და მოქმედებენ მათი სახელით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ორგანიზაციების პოლიტიკისა და წესდების განსაზღვრა და ჩამოყალიბება

2. მოლაპარაკებების წარმოება ორგანიზაციების, მისი წევრების ან კლიენტების სახელით;
3. ორგანიზაციის ან მისი წევრების ინტერესების დაცვა საკანონმდებლო ხელისუფლების, მთავრობის და საზოგადოების წინაშე;
4. კამპანიების დაგეგმვა და ორგანიზება ახალი წევრების მისაღებად და მათი განათლებისთვის;
5. განყოფილებების საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზაცია და წარმართვა, რამლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკური პარტიის პოლიტიკისა და წესდების შესრულებას;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გენერალური მდივანი, გარემოს დაცვის ორგანიზაცია
- გენერალური მდივანი, ბუნების დაცვის ორგანიზაცია
- უმაღლესი რანგის თანამდებობის პირი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია (სპეციალური ინტერესების მქონე ორგანიზაცია)

ძირითადი ქვეჯგუფი 12 [1]

კორპორაციული მენეჯერები

კორპორაციული მენეჯერები განსაზღვრავენ და აყალიბებენ პოლიტიკურ კურსს, გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ ორგანიზაციების, საწარმოების ასევე მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას.

ამ ძირითადი ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, ჩვეულებრივ, მოიცავს: განსაზღვრონ და ჩამოაყალიბონ პოლიტიკა, დაგეგმონ, წარმართონ და კოორდინირება გაუწიონ როგორც საწარმოების ან სხვა ორგანიზაციების ეკონომიკურ საქმიანობას, ისე მათი შიდა დეპარტამენტებისა და ქვეგანყოფილებების საქმიანობას. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

121 დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები

122 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები

123 სხვა განყოფილების მენეჯერები.

შენიშვნა

იმ შემთხვევაში, როცა მენჯერულ დონეზე მომუშავეებს მოეთხოვებათ კონკრეტული პროფესიული, ტექნიკური ან პრაქტიკული ცოდნა, რთულდება იმის განსაზღვრა, თუ რომელ ქვეჯგუფს მიეკუთვნება ესა თუ ის კონკრეტული საქმიანობა. ასეთ შემთხვევაში, შედეგი დამოკიდებული იქნება ძირითადი ვალდებულებების შინაარსზე. თუ ძირითადი ამოცანები მოითხოვს კონკრეტული პროფესიული ცოდნის ან ტექნიკური უნარ-ჩვევების პრაქტიკულ გამოყენებას, მაშინ ასეთი საქმიანობა მიეკუთვნება სხვა ქვეჯგუფს, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული ცოდნა ან ტექნიკური უნარ-ჩვევები წარმოადგენს მხოლოდ საფუძველს მენეჯერული ამოცანების შესასრულებლად, მაშინ ასეთი საქმიანობა მიეკუთვნება ამ ქვეჯგუფს. მაგალითად, თუ საქმიანობის ძირითადი ამოცანებია დაავადებათა დიაგნოზირება და მკურნალობა, მაშინ საქმიანობა მიეკუთვნება ძირითად ჯგუფ 2 _ სპეციალისტ-პროფესიონალი. მაგრამ, თუ მის ერთერთ ძირითად ამოცანაა კვლევებისა და დამუშავებებისათვის გამოყოფილი სახსრების განაწილება სამედიცინო ცოდნის საფუძველზე, მაშინ სამუშაო მიეკუთვნება სწორედ ამ ქვეჯგუფს.
პროფესიონალები და ტექნიკური სპეციალისტები, როგორიცაა მაგალითად კონსულტანტები, რომლებიც კონსულტაციას უწევენ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ზოგად ან სპეციალიზირებულ მენეჯმენტში, ან ფუნქციების შესრულებაში, კლასიპიცირებულ უნდა იქნან მე-2 –სპეციალისტ-პროფესიონალები ან მე-3 ძირითად ჯგუფში – სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი, შესაბამისად.

[1] იხილეთ 1-ლი შენიშვნა ძირითადი ჯგუფი 1-ის დასაწყისში.

მცირე ჯგუფი 121

დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები

დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები ხელმძღვანელობენ საწარმოებს ან ორგანიზაციებს (გარდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა) და, სულ მცირე ორი მენეჯერის დახმარებით, განსაზღვრავენ და აყალიბებენ პოლიტიკას, გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს ან ორგანიზაციის საქმიანობებს, ჩვეულებრივ, ამ ქმედებებს ახორციელებენ დირექტორთა საბჭოს, ან სხვა მმართველი ორგანოს მიერ შემუშავებული ძირითადი პრინციპების შესაბამისად, რომელთა წინაშე პასუხისმგებელნი არიან მიღწეულ შედეგებზე და მიმდინარე პროცესებზე.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: პოლიტიკის განსაზღვრა და ჩამოაყალიბება, სულ მცირე ორი მენეჯერის დახმარებით საწარმოს ან ორგანიზაციის ზოგადი ფუნქციონირების დაგეგმვა, წარმართვა და კოორდინირება, როგორც წესი, ამ ქმედებებს ახორციელებენ დირექტორთა ან სხვა მმართველი საბჭოს მიერ დადგენილი ძირითადი პრინციპების შესაბამისად; საწარმოში ან ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების ზედამხედველობა და მიღწეული შედეგების ანგარიშის წარდგენა დირექტორთა საბჭოს ან სხვა მმართველ ორგანოსადმი. საწარმოს ან ორგანიზაციის წარმოდგენა მთავრობასთან ან სხვა უმაღლეს ორგანოებთან ურთიერთობისას. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

1210 დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები

1210 დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები

დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები ხელმძღვანელობენ საწარმოებს ან ორგანიზაციებს (გარდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა), სულ მცირე ორი სხვა მენეჯერის დახმარებით, განსაზღვრავენ და აყალიბებენ პოლიტიკას და გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს ან ორგანიზაციის ზოგად ფუნქციონირებას, ჩვეულებრივ, ამ ქმედებებს ახორციელებენ დირექტორთა საბჭოს ან სხვა მმართველი ორგანოს მიერ დადგენილი პრინციპების შესაბამისად, რომელთა წინაშე ვალდებულნი არინ მიღწეულ შედეგებზე და მიმდინარე პროცესებზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საწარმოს ან ორგანიზაციის პოლიტიკის განსაზღვრა და ჩამოაყალიბება;
2. საწარმოს ან ორგანიზაციის ზოგადი საქმიანობის დაგეგმვა, წარმართვა და კოორდინირება;
3. ხელქვეითებთან კონსულტაციების საფუძველზე პოლიტიკური კურსის განსაზღვრა და წარმართვა;
4. საწარმოში ან ორგანიზაციაში მიმდინარე ოპერაციების გაანალიზება და ანგარიშის წარდგენა მმართველ ორგანოებისათვის;
5. საწარმოს ან ორგანიზაციის წარმოდგენა სხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის მთავრობასთან ან სხვა უმაღლეს ორგანოებთან ურთიერთობისას;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დირექტორი, საწარმო

- გენერალური დირექტორი, საწარმო
- გენერალური დირექტორი, ორგანიზაცია
- მმართველი დირექტორი, საწარმო
- მმართველი დირექტორი, ორგანიზაცია
- პრეზიდენტი, ორგანიზაცია

მცირე ჯგუფი 122

საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები

საწარმოების ან ორგანიზაციების საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები, რომელთა რიცხვი მთლიანობაში უნდა შეადგენდეს სამ ან მეტ მენეჯერს, გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ მომსახურების სფეროს და საქონლის წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, ამ სამუშაოებს ახორციელებენ დირექტორების და მმართველი პირების აქტიური ხელმძღვანელობით და სხვა განყოფილებების ან ქვეგანყოფილებების მენეჯერების დახმარებით.

შესასრულებელი ვალდებულებები ჩვეულებრივ, შემდეგია: საქონლის წარმოებისა და მომსახურებების სფეროში საწარმოს ან ორგანიზაციის საქმიანობების დაგეგმვა, წარმართვა და კოორდინირება, ყოველდღიური სამუშაოების ხელმძღვანელობა, მომსახურე პერსონალის შერჩევისა და გადამზადების პროცესის ზედამხედველობა. შედეგების ანალიზი და ანგარიშის წარდგენა დირექტორებსა და მმართველი პირებისათვის; კავშირების დამყარება სხვა განყოფილების მენეჯერებთან, თავიანთი განყოფილების წარმოდგენა ორგანიზაციის შიგნით მის სხვა სტრუქტურულ დანყოფებთან და ორგანიზაციის გარეთ. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

1221 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სოფლის-მეურნეობაში, ნადირობაში, სატყევე მეურნეობაში და მეთევზეობაში

1222 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები დამამუშავებელ მრეწველობაში

1223 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები მშენებლობაში

1224 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები საბითუმო და საცალო ვაჭრობაში

1225 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები რესტორნებსა და სასტუმროებში

1226 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სატრანსპორტო, სასაწყობო მეურნეობასა და კავშირგაბმულობაში

1227 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები კომერციულ მომსახურებებში

1228 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები კომუნალურ, პერსონალურ და მათთან დაკავშირებულ მომსახურების სფეროებში

1229 საწარმო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

შენიშვნა

ამ მცირე ჯგუფში განხილული ელემენტარული ჯგუფები საწარმოო და საექსპლოატაციო განყოფილების მენეჯერთა საქმიანობებს ყოფენ ცხრა ფართო სფეროდ. იმისათვის, რომ ეს სფეროები უფრო დეტალურად განვსაზღვროთ შესაძლოა გამოვიყენოთ გაეროს სამდივნოს მიერ გამოშვებული ყველა ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISIC) ST/ESA/STAT/SER.M/4/REV.3/ADD.2, ნიუ-იორკი 1988.

- *1221 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ საწარმოო და საექსპლოატაციო განყოფილების მენეჯერთა პროფესიებს რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის A (სოფლის-მეურნეობა, ნადირობა და სატყევე მეურნეობა) და B (მეთევზეობა) კატეგორიებს.*

- *1222 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ საწარმოო და საექსპლოატაციო განყოფილების მენეჯერების პროფესიებს რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის B (სამთო მოპოვება და კარიერების მოძიება), D (გადამამუშავებელი მრეწველობა) და E (ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირით და წყლით მომარაგება) კატეგორიებს.*
- *1223 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ საწარმოო და საექსპლოატაციო განყოფილების მენეჯერთა პროფესიებს რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის F (მშენებლობა) კატეგორიას.*
- *1224 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ საწარმოო და საექსპლოატაციო განყოფილების მენეჯერთა პროფესიებს რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის G (საცალო და საბითუმო ვაჭრობა; ძრავიანი ავტომობილების, მოტოციკლების, პირადი და საყოფაცხოვრებო ნივთების შეკეთება) კატეგორიას.*
- *1225 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ საწარმოო და საექსპლოატაციო განყოფილების მენეჯერთა პროფესიებს რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის H (სასტუმროები და რესტორნები) კატეგორიას.*
- *1226 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ საწარმოო და საექსპოატაციო განყოფილების მენეჯერთა პროფესიებს რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის I (ტანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა) კატეგორიას.*
- *1227 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ საწარმოო და საეწსპლოატაციო განყოფილების მენეჯერთა პროფესიებს რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის J (საფინანსო შუამავლობა) და K (უძრავი ქონება, რენტა და ბიზნეს საქმიანობები) კატეგორიებს.*
- *1228 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ საწარმოო და საექსპლოატაციო განყოფილების მენეჯერთა პროფესიებს რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC-ს 90-ე (კანალიზაცია და წარჩენების მოცილება, სანიტარული პირობების გაუმჯობესება და მსგავსი სამუშაოები) და 93-ე (სხვა მომსახურებები) დანაყოფებს და ცხრილში უკავიათ P (ოჯახის წევრები და დაქირავებული ადამიანები) კატეგორია.*
- *1229 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ საწარმო და საექსპლოატაციო განყოფილების მენეჯერთა პროფესიებს რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC-ს 92-ე (გასართობი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები) დანაყოფს და ცხრილში უკავიათ L (სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უზრუნველყოფა, გარდა7522 კლასისა - თავდაცვითი ღონისძიებები), M (განათლება), N (ჯანდაცვა და სოციალური დახმარება) და Q (ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები) კატეგორიები.*

<u>1221 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობაში და მეთევზეობაში</u>

საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ სასოფლო-სამეურნეო და სხვა მსგავსი სფეროების საქმიანობებს საქონლის წარმოებასთან დაკავშირებით, დირექტორებისა და მმართველი პირების აქტიური ხელმძღვანელობით, და სხვა განყოფილებების ან ქვეგანყოფილების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საქონლის წარმოებასთან დაკავშირებულ სამუშაოების დაგეგმვა, წარმართვა და კოორდინირება;
2. რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა და საწარმოო გეგმების შესრულება;
3. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
4. ხარჯების კონტროლი;
5. სამუშაო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შემუშავება და ხელმძღვანელობა;
6. მუშობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
7. პერსონალის შერჩევისა, გადამზადების და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
8. განყოფილების წარდგენა საწარმოს სხვა განყოფილებებთან ან გარეშე ორგანოებთან ურთიერთობისას;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სოფლის მეურნეობა
- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/მეთევზეობა
- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სატყეო მეურნეობა
- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/ნადირობა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ფერმერი, საველე კულტურები – 6111

- ფერმერი, შინაური მსხვილფეხა საქონელი – 6121
- გენერალური მენეჯერი, სოფლის მეურნეობა – 1311
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სოფლის მეურნეობა – 1210

1222 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები დამამუშავებელი მრეწველობაში

გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს საქმიანობებს საქონლის წარმოებასთან დაკავშირებით, ამ სამუშაოებს ახორციელებენ დირექტორებისა და მმართველი პირების ხელმძღვანელობით და სხვა განყოფილებების ან ქვეგანყოფილების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საქონლის გადამუშავების, ღია და მიწისქვეშა საბადოებიდან და კარიერებიდან მყარი მინერალების მოპოვება, ან ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის მიწოდება-განაწილების სამუშაოების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
2. რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა და საწარმოო გეგმების შესრულება;
3. საწარმოს მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
4. ხარჯების გაკონტროლება;
5. სამუშაო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შემუშავება და გატარება;
6. მუშაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
7. პერსონალის შერჩევისა, გადამზადების და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
8. განყოფილების წარდგენა საწარმოს სხვა განყოფილებებთან ან გარეშე ორგანოებთან ურთიერთობისას;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექპლუატაციო განყოფილება/დამამუშავებელი მრეწველობა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- გენერალური მენეჯერი, დამამუშავებელი მრეწველობა – 1312
- მმართველი დირექტორი, საწარმო/დამამუშავებელი მრეწველობა – 1210

1223 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები მშენებლობაში

მშენებლობის საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს სამშენებლო საქმიანობებს დირექტორების და მმართველი პირების ხელმძღვანელობით და სხვა განყოფილებების ან ქვეგანყოფილების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საწარმოს სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
2. რესურსების ეფექტური გამოყენება და საწარმოო გეგმების შესრულება;
3. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
4. ხარჯების კონტროლი;
5. სამუშაო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შემუშავება და გატარება;
6. მუშობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
7. პერსონალის შერჩევისა, გადამზადების და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;

8. განყოფილების წარდგენა საწარმოს სხვა განყოფილებებთან ან გარეშე ორგანოებთან ურთიერთობისას;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/მშენებლობა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- გენერალური მენეჯერი, მშენებლობა – 1313
- მმართველი დირექტორი, საწარმო/მშენებლობა – 1210

1224 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები საბითუმო და საცალო ვაჭრობაში

საცალო და საბითუმო ვაჭრობის საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს სავაჭრო საქმიანობებს დირექტორებისა და მთავარი მმართველი პირების ხელმძღვანელობით და სხვა განყოფილებებისა და ქვეგანყოფილების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. გაუწიონ საწარმოს მიერ განხორციელებული სავაჭრო საქმიანობების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
2. რესურსების ეფექტური გამოყენება და სავაჭრო გეგმების შესრულება;
3. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
4. ხარჯების კონტროლი;
5. სამუშაო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შემუშავება და გატარება;
6. მუშობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
7. პერსონალის შერჩევისა, გადამზადების და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
8. განყოფილების წარდგენა საწარმოს სხვა განყოფილებებთან ან გარეშე ორგანოებთან ურთიერთობისას;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დეპარტამენტის მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/საცალო ვაჭრობა
- დეპარტამენტის მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/საბითუმო ვაჭრობა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- გენერალური მენეჯერი, საცალო ვაჭრობა – 1314
- მმართველი დირექტორი, საწარმო/საბითუმო ვაჭრობა – 1210

1225 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები რესტორნებსა და სასტუმროებში

რესტორნებისა და სასტუმროების საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილებათა მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს იმ საქმიანობებს, რომლებიც უკავშირდება საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფას, პროდუქტების მიწოდებას და სხვა მსგავს მომსახურებების გაწევას, ამ სამუშაოებს

ახორციელებენ დირექტორებისა და მმართველი პირების ხელმძღვანელობით და სხვა განყოფილებისა და ქვეგანყოფილებების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. იმ საქმიანობების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება, რომლებიც უკავშირდება საცხოვრებლის, პროდუქტების უზრუნველყოფას და სხვა მსგავს მომსახურებების გაწევას;
2. რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა და გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;
3. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
4. ხარჯების კონტროლი;
5. სამუშაო და ადმინისტრაციული პროცედურების შემუშავება და გატარება;
6. მუშობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
7. პერსონალის შერჩევისა, გადამზადების და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
8. განყოფილების წარდგენა საწარმოს სხვა განყოფილებებთან ან გარეშე ორგანოებთან ურთიერთობისას;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო გამყოფილება/სასტუმრო
- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/რესტორანი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში

- გენერალური მენეჯერი, რესტორანი – 1315
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სასტუმრო – 1210

1226 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სატრანსპორტო, სასაწყობო მეურნეობასა და კავშირგაბმულობაში

სატრანსპორტო, სასაწყობო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს საქმიანობებს შესაბამისი მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, დირექტორებისა და მმართველი პირების ხელმძღვანელობით, და სხვა განყოფილებების და ქვეგანყოფილებების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შესაბამისი მომსახურების უზრუნველყოფის დაგეგმვა, ხელმძრვანელობა და კოორდინირება;
2. რესურსების ეფექტური გამოყენება და შესაბამისი მომსახურების გაწევა;
3. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
4. ხარჯების კონტროლი;
5. სამუშაო და ადმინისტრაციული პროცედურების შემუშავება და გატარება;
6. უსაფრთხოების ზომების დაცვა;
7. პერსონალის შერჩევის, გადამზადების და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
8. განყოფილების წარდგენა საწარმოს სხვა განყოფილებების დონეზე და მის გარეთ;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/კავშირგაბმულობა
- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სასაწყობო მეურნეობა
- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/ტრანსპორტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- გენერალური მენეჯერი, სასაწყობო მეურნეობა – 1316
- მმართველი დირექტორი, საწარმო/კავშირგაბმულობა - 1210
- მმართველი დირექტორი, საწარმო/ტრანსპორტი – 1210

<u>1227 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები კომერციულ მომსახურებაში</u>

კომერციული მომსახურების საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს საქმიანობებს გარე კომერციული მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, დირექტორთა და მთავარი მმართველი პირების ხელმძღვანელობით, სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კომერციულ მომსახურებებთან დაკავშირებული სამუშაოების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება, რომელშიც შედის საბანკო საქმე, დაზღვევა, ოპერაციები უძრავი ქონებით, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება, ბაზრის კვლევა, ბუღალტრული აღრიცხვა, არქიტექტურა, მშენებლობა, შენობების დასუფთავება, ტექნიკური ანალიზი და ტესტირება, რეკლამა და ხარჯები შეფუთვაზე;
2. რესურსების ეფექტური გამოყენება და სამუშაო გრაფიკის შესრულება;
3. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
4. ხარჯების კონტროლია;
5. სამუშაო და ადმინისტრაციული პროცედურების შემუშავება და გატარება;
6. უსაფრთხოების ზომების დაცვა;
7. პერსონალის შერჩევისა, გადამზადების და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
8. განყოფილების წარდგენა საწარმოს სხვა განყოფილებების დონეზე ან და მის გარეთ;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო გამყოფილება/კომერციული მომსახურება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- გენერალური მენეჯერი, კომერციული მომსახურებები – 1317
- მმართველი დირექტორი, საწარმო/ კომერციული მომსახურებები – 1210

1228 საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები კომუნალურ, პერსონალურ და მათთან დაკავშირებულ მომსახურების სფეროებში

კომუნალურ, პერსონალურ და მათთან დაკავშირებულ მომსახურების საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოთა საქმიანობებს შესაბამისი სერვისით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, დირექტორებისა და მთავარი მმართველი პირების ხელმძღვანელობით, სხვა სტუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საქმიანობის დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
2. რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა და სამუშაო გრაფიკის შესრულება;
3. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და წარმართვა;
4. ხარჯების კონტროლი;
5. საწარმოო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შემუშავება და გატარება;
6. უსაფრთხოების ზომების დაცვა;
7. პერსონალის შერჩევისა, გადამზადების და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
8. განყოფილების წარდგენა საწარმოს სტრუქტურული ქვედანაყოფების დონეზე და მის გარეთ;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/დასუფთავება
- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/ინდივიდუალური მომსახურება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- გენერალური მენეჯერი, ინდივიდუალური მომსახურება – 1318
- მმართველი დირექტორი, საწარმო/დასუფთავება – 1210

1229 საწარმო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან იმ განყოფილების მენეჯერები, რომლებიც არ არიან კლასიფიცირებულნი მცირე ჯგუფ 122 - საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები, სხვა ელემენტარულ დაჯგუფებებში.

მაგალითად, აქ შეიძლება განვიხილოთ ისინი, რომელთა მოვალეობაა დაგეგმონ, წარმართონ და კოორდინირება გაუწიონ საწარმოს ან ორგანიზაციის საქმიანობებს, რომლებიც უკავშირდება მთავრობის ადმინისტრაციულ სამუშაოებს, საზოგადოებრივი ან კერძო განათლების სერვისებს, ჯანდაცვის და სოციალურ მომსახურებებს, გასართობ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს, ასევე ექსტერიტორიული ორგანიზაციებისა და ორგანოების მუშაობას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მთავრობის საქმიანობების დაგეგმვა, ხელმძრვანელობა და კოორდინირება, რომელიც უკავშირდება საზოგადოებრივ მომსახურებებს, როგორიცაა ფულადი მარაგების კონროლი, დაბრგვრა, კომერციული

საქმიანობების კონტროლი, ასევე სამოქალაქო სამსახურების ადმინისტრირება და სხვა მსგავსი ღონისძიებები;

2. საგარეო ურთიერთობების, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
3. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
4. საზოგადოებრივ და კერძო განათლებასთან დაკავშირებულ საქმიანობების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
5. ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
6. გასართობი, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
7. ექსტერიტორიული ორგანიზაციებისა და ორგანოების სამუშაოებთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დეკანი
- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/ექსტერიტორიული ორგანიზაციები
- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/ჯანდაცვა
- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/დასვენება და გართობა
- მეთოდისტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- გენერალური მენეჯერი, განათლება - 1319
- გენერალური მენეჯერი, გართობა – 1319
- მმართველი დირექტორი, საწარმო/ჯანდაცვა – 1210
- მმართველი დირექტორი, ორგანიზაცია/ექსტერიტორიული ორგანიზაციები – 1210

მცირე ჯგუფი 123

სხვა განყოფილების მენეჯერები

საწარმოების ან ორგანიზაციების სხვა განყოფილების მენეჯერები, რომელთა რიცხვი მთლიანობაში უნდა შეადგენდეს სამ ან მეტ მენეჯერს გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ კონკრეტულ სამუშაოებს, დირექტორებისა და მთავარი მმართველი პირების ხელმძღვანელობით, ასევე სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების დახმარებით.

შესასრულებელი ამოცანები, ჩვეულებრივ, შემდეგია: თავიანთი განყოფილების სამუშაოების დაგეგმვა, წარმართვა და კოორდინირება; მიმდინარე საქმიანობების ხელმძღვანელობა; მომსახურე პერსონალის შერჩევის, გადამზადებისა და განაწილების პროცესის ზედამხედველობა; შედეგების ანალიზი და ანგარიშების წარდგენა

დირექტორებსა და მთავარი მმართველი პირებისათვის; კავშირების დამყარება სხვა განყოფილებების მენეჯერებთან; თავიანთი დეპარტამენტის წარმოდგენა ორგანიზაციის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების დონეზე და მის გარეთ.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

1231 საფინანსო და ადმინისტრაციული განყოფილების მენერეჯერები

1232 კადრებისა და საწარმოო ურთიერთობების განყოფილების მენეჯერები

1233 პროდუქციის გასაღებისა და მარკეტინგის განყოფილების მენეჯერები

1234 სარეკლამო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მენეჯერები

1235 მომარაგებისა და განაწილების განყოფილების მენეჯერები

1236 კომპიუტერული მომსახურების განყოფილების მენეჯერები

1237 სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავების განყოფილების მენეჯერები

1239 სხვა განყოფილების მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

<u>1231 საფინანსო და ადმინისტრაციული განყოფილების მენეჯერები</u>

საფინანსო და ადმინისტრაციული განყოფილების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს ან ორგანიზაციის შიდა საფინანსო და ადმინისტრაციულ საქმიანობებს, დირექტორებისა და მთავარი მმართველი პირების ხელმძღვანელობით და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საწარმოს ან ორგანიზაციის საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
2. საწარმოს ან ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შეფასება და ბიუჯეტების მომზადება;
3. ხარჯების კონტროლი და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა;
4. საწარმოო (საოპერაციო) და ადმინისტრაციული პროცედურების შემუშავება და გატარება;
5. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და წარმართვა;
6. პერსონალის შერჩევის, გადამზადების და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
7. განყოფილების წარმოდგენა ორაგანიზაციის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების დონეზე, ან მის გარეთ;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, ადმინისტრაცია
- განყოფილების მენეჯერი, ფინანსები

<u>1232 კადრებისა და საწარმოო ურთიერთობების განყოფილების მენეჯერები</u>

კადრებისა და საწარმოო ურთიერთობების განყოფილების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს ან ორგანიზაციის პოლიტიკას კადრებისა და საწარმოო ურთიერთობების საკითხებში, დირექტორებისა და მთავარი მმართველი პირების ხელმძღვანელობით და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საწარმოს ან ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკის და საწარმოო ურთიერთობებთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა, წარმართვა და კოორდინირება;
2. ახალი თანამშრომლების მიღების, გადამზადებისა და დაწინაურების, ასევე ხელფასების განსაზღვრისა და მასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დაგეგმვა და ორგანიზაცია, თანამშრომლებთან მოლაპარაკებები და სხვა მსგავსი საკადრო საქმიანობების განხორციელება;
3. უსაფრთხოების, ჯანდაცვისა და სხვა მსგავსი პროგრამების და ღონისძიებების განხორციელება ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით;
4. ხარჯების კონტროლი და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა;
5. საწარმოო და ადმინისტრაციული პროცედურების შემუშავება და გატარება;
6. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და წარმართვა;
7. პერსონალის შერჩევის, გადამზადების და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
8. განყოფილების წარდგენა ორაგანიზაციის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების დონეზე და მის გარეთ;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო ურთიერთობები
- განყოფილების მენეჯერი, კადრები

1233 პროდუქციის გასაღებისა და მარკეტინგის განყოფილების მენეჯერები

პროდუქციის გასაღებისა და მარკეტინგის განყოფილების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს ან ორგანიზაციის საქმიანობებს პროდუქციის გასაღების საკითხებთან და მარკეტინგთან დაკავშირებით, დირექტორებისა და მთავარი მმართველი პირების ხელმძღვანელობით და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საწარმოს ან ორგანიზაციის პროდუქციის სავაჭრო-სარეალიზაციო საქმიანობების დაგეგმვა, წარმართვა და კოორდინირება;
2. ბაზრების კვლევის საფუძველზე სპეციალური სარეალიზაციო და მარკეტინგული პროგრამების შემუშავება და ორგანიზება;
3. საქონლის ღირებულების, ფასდაკლების პროცენტისა და ადგილზე მიტანის პირობების განსაზღვრა, შემოსავლების ზრდა და სპეციალური წამახალისებელი კამპანიების და ღონისძიებების ჩატარება;
4. ხარჯების კონტროლი და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა;
5. საწარმოო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შემუშავება და გატარება;
6. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და წარმართვა;
7. პერსონალის შერჩევის, გადამზადებისა და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
8. განყოფილების წარდგენა ორაგანიზაციის სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ან მის გარეთ;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, მარკეტინგი
- განყოფილების მენეჯერი, გაყიდვები

1234 სარეკლამო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მენეჯერები

სარეკლამო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს ან ორგანიზაციის საქმიანობებს რეკლამის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხებში, დირექტორების და მთავარი მმართველი პირების ხელმძღვანელობით და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საწარმოს ან ორგანიზაციის საქმიანობების დაგეგმვა, წარმართვა და კოორდინირება რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით;
2. რეკლამასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარმოება გაზეთების, რადიო სადგურებისა და ტელევიზიების, სპორტული და კულტურული ორგანიზაციების და სარეკლამო სააგენტოების წარმომადგენლებთან;
3. საინფორმაციო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება კანონმდებლების, მასმედიის საშუალებების და ზოგადად საზოგადოების ინფორმირების მიზნით საწარმოს ან ორგანიზაციის გეგმების, მიღწევების და პრინციპების შესახებ;
4. თანხების მოძიება საგანმანათლებლო, ჰუმანიტარული და სხვა არაკომერციული ორგანიზაციებისათვის;
5. ხარჯების კონტროლი და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა;
6. საწარმოო და ადმინისტრაციული პროცედურების მომზადება და გატარება;
7. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და წარმართვა;
8. პერსონალის შერჩევის, გადამზადებისა და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
9. განყოფილების წარდგენა ორაგანიზაციის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების დონეზე ან მის გარეთ;
10. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
11. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, რეკლამა
- განყოფილების მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობა

1235 მომარაგებისა და განაწილების განყოფილების მენეჯერები

მომარაგებისა და განაწილების განყოფილების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს ან ორგანიზაციის მომარაგებსა და განაწილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, დირექტორებისა და მთავარი მმართველი პირების ხელმძღვანელობით და სხვა სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საწარმოს ან ორგანიზაციის მატერიალური რესურსების დამზადებისა და განაწილების საქმიანობების დაგეგმვა, წარმართვა და კოორდინირება;

2. სავაჭრო მოლაპარაკებების წარმოება, ფასის შეთანხმება მომწოდებლებთან და შესასყიდი საქონლის ხარისხის უზრუნველყოფა;
3. ინვენტარიზაციის ჩასატარებელი სისტემის ორგანიზაცია;
4. ხარჯების კონტროლი და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა;
5. საწარმოო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შემუშავება და გატარება;
6. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და წარმართვა;
7. პერსონალის შერჩევის, გადამზადებისა და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
8. განყოფილების წარდგენა ორაგანიზაციის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების დონეზე ან მის გარეთ;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, განაწილება
- განყოფილების მენეჯერი, მომარაგება

<u>1236 კომპიუტერული მომსახურების განყოფილების მენეჯერები</u>

კომპიუტერული მომსახურებების განყოფილების მენეჯერები გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს ან ორგანიზაციის კომპიუტერულ მომსახურებებს, დირექტორებისა და მთავარი მმართველი პირების ხელმძღვანელობით და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საწარმოს ან ორგანიზაციის კომპიუტერული მომსახურებების დაგეგმვა, წარმართვა და კოორდინირება;
2. კომპიუტერის ტექნიკური და პროგრამული მოწყობილობების შერჩევის, დამონტაჟების, გამოყენებისა და ტექნიკური მომსახურების ხელმძღვანელობა;
3. საწარმოს ან ორგანიზაციის მონაცემთა სრული დამუშავების დაგეგმვა, ალტერნატიული გადაწყვეტილებების მოძიების კოორდინირება;
4. ხარჯების კონტროლი და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა;
5. საწარმოო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შემუშავება და გატარება;
6. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და წარმართვა;
7. პერსონალის შერჩევის, გადამზადებისა და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
8. განყოფილების წარდგენა ორაგანიზაციის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების დონეზე ან მის გარეთ;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, კომპიუტერული მომსახურება

<u>1237 სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების განყოფილების მენეჯერები</u>

სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების განყოფილების მენეჯერები გეგმავენ, წარმართვენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს ან ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემუშავებების ღონისძიებებს, დირექტორებისა და მთავარი მმართველი პირების ხელმძღვანელობით და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საკუთარი სამეცნიერო დაწასებულების, ან მოზიდული კადრების მიერ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა, წარმართვა და კოორდინაცია არსებული ტექნოლოგიური პროცესების პროცესების სრულყოფის, ან ახლის შექმნის მიზნით, ასევე საწარმოსა და ორგანიზაციაში გამოყენებული პროდუქტებისა და მასალების სრულყოფისათვის;
2. საწარმოს ან ორგანიზაციის კვლევების სრული გეგმის შემუშავება, მიზნებისა და საბიუჯეტო რესურსებზე მოთხოვნის გათვალისწინებით;
3. ხარჯების კონტროლი და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა;
4. საწარმოო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შემუშავება და გატარება;
5. მიმდინარე სამუშაოების დაგეგმვა და წარმართვა;
6. პერსონალის შერჩევის, გადამზადებისა და განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
7. განყოფილების წარდგენა ორაგანიზაციის სხვა სტრუქტურულ ერთეულების დონეზე ან მის გარეთ;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- განყოფილების მენეჯერი, სამეცნიერო კვლევები და გამოგონებები

1239 სხვა განყოფილების მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედის იმ განყოფილების მენეჯერები, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფ 123 - სხვა განყოფილების მენეჯერები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

ძირითადი ქვეჯგუფი 13

გენერალური მენეჯერები[1]

გენერალური მენეჯერები ხელმძღვანელობენ სხვადასხვა მცირე საწარმოებს, მფლობელის ან საკუთარი სახელით, ერთი მენეჯერისა და უფრო დაბალი რანგის თანამშრომლების დახმარებით.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი მოვალეობები როგორც წესი, შემდეგია: პოლიტიკის დაგეგმვა, ჩამოყალიბება და წარმართვა; მიმდინარე საქმიანობების ხელმძღვანელობა და შედეგების ანალიზი, მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა საწარმოებთან; რესურსების გამოყენების დაგეგმვა და კონტროლი, კადრების შერჩევა; საწარმოს მფლობელების არსებობის შემთხვევაში მათთვის ანგარიშების წარდგენა, ასევე სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფად:

131 გენერალური მენეჯერები

[1] იხილეთ მე-2 შენიშვნა ძირითადი ჯგუფი 1-ის დასაწყისში.

მცირე ჯგუფი 131

გენერალური მენეჯერები

გენერალური მენეჯერები, საწარმოს მფლობელის ან თავიანთი სახელით, ხელმძღვანელობენ სხვადასხვა მცირე საწარმოებს, ერთი მენეჯერისა და უფრო დაბალი რანგის თანამშრომლების დახმარებით.

შესასრულებელი მოვალეობები როგორც წესი, შემდეგია: პოლიტიკის დაგეგმვა, ჩამოყალიბება და წარმართვა; მიმდინარე საქმიანობების ხელმძღვანელობა და შედეგების ანალიზი; მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა საწარმოებთან; რესურსების გამოყენების და პერსონალის შერჩევის დაგეგმვა და კონტროლი; მფლობელის არსებობის შემთხვევაში მისთვის ანგარიშების წარდგენა, სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

1311 გენერალური მენეჯერები სოფლის-მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში

1312 გენერალური მენეჯერები გადამამუშავებელ მრეწველობაში

1313 გენერალური მენეჯერები მშენებლობაში

1314 გენერალური მენეჯერები საბითუმო და საცალო ვაჭრობაში

1315 გენერალური მენეჯერები რესტორნებსა და სასტუმროებში

1316 გენერალური მენეჯერები სატრანსპორტო, სასაწყობო მეურნეობასა და კავშირგაბმულობაში

1317 გენერალური მენეჯერები კომერციულ მომსახურებაში

1318 გენერალური მენეგერები კომუნალურ, პერსონალურ და მათთან დაკავშირებულ მომსახურების სფეროში

1319 გენერალური მენეჯერები, სხვა ჯგუფებში ჩაურთველი

შენიშვნა

ელემენტარული ჯგუფები, რომლებიც ამ მცირე ჯგუფში შედიან მოიცავენ ეკონომიკური საქმიანობის ცხრა მსხვილი სფეროს გენერალური მენეჯერების პროფესიებს. იმისათვის, რომ ეს სფეროები უფრო დეტალურად განვსაზღვროთ შესაძლოა გამოვიყენოთ გაეროს სამდივნოს მიერ გამოშვებული ყველა ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISIC) ST/ESA/STAT/SER.M/4/REV.3/ADD.2, ნიუ-იორკი 1988.

- *1311 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ გენერალურ მენეჯერთა სამუშაოებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის A (სოფლის-მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა) და B (მეთევზეობა) კატეგორიებს.*
- *1312 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ გენერალურ მენეჯერთა სამუშაოებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის C (სამთომოპოვება და კარიერული მოძიება), D (გადამამუშავებელი მრეწველობა) და E (ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირით და წყლით მომარაგება) კატეგორიებს.*
- *1313 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ გენერალურ მენეჯერთა სამუშაოებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის F (მშენებლობა) კატეგორიას.*
- *1314 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ გენერალურ მენეჯერთა სამუშაოებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის G (საცალო და საბითუმო ვაჭრობა; ძრავიანი ავტომობილების, მოტოციკლების, პირადი და საყოფაცხოვრებო ნივთების შეკეთება) კატეგორიას.*
- *1315 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ გენერალურ მენეჯერთა სამუშაოებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის H (სასტუმროები და რესტორნები) კატეგორიას.*
- *1316 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ გენერალურ მენეჯერთა სამუშაოებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის I (ტანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა) კატეგორიას.*
- *1317 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ გენერალურ მენეჯერთა სამუშაოებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC ცხრილის J (საფინანსო შუამავლობა) და K (უძრავი ქონება, რენტა და ბიზნეს საქმიანობები) კატეგორიებს.*
- *1318 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ გენერალურ მენეჯერთა სამუშაოებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC-ს 90-ე (კანალიზაცია და ნარჩენების მოცილება, სანიტარული პირობების გაუმჯობესება და მსგავსი სამუშაოები) და 93-ე (სხვა მომსახურებები) დანაყოფებს და ცხრილში უკავიათ P (ოჯახის წევრები და დაქირავებული ადამიანები) კატეგორია.*
- *1319 ელემენტარული ჯგუფი განიხილავს იმ გენერალურ მენეჯერთა სამუშაოებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ISIC-ს 92-ე (გასართობი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები) დანაყოფს და ცხრილში უკავიათ M (განათლება), და N (ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური) კატეგორიები.*

1311 გენერალური მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში

გენერალური მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში, მფლობელის ან თავიანთი სახელით, ხელმძღვანელობენ მცირე სასოფლო-სამეურნეო, სამონადირეო, სატყეო და თევზის მეურნეობებს; გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ ბიზნეს საქმიანობებს ერთი მენეჯერისა და უფრო დაბალი რანგის თანამშრომლების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა და გატარება;
2. ფერმებისა და მეურნეობების ბიუჯეტის შედგენა;
3. მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
4. რესურსების გამოყენების დაგეგმვა და კონტროლი, პერსონალის დაქირავება;
5. მიმდინარე სამუშაობის წარმართვა;
6. ფერმებისა და მეურნეობების მფლობელებისათვის ანგარიშის წარდგენა მათი არსებობის შემთხვევაში;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მოეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გენერალური მენეჯერი, სოფლის მეურნეობა
- გენერალური მენეჯერი, თევზჭერა
- გენერალური მენეჯერი, სატყეო მეურნეობა
- გენერალური მენეჯერი, ნადირობა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სოფლის მეურნეობა - 1221
- ფერმერი, მინდვრის კულტურები – 6111
- ფერმერი, შინაური მსხვილფეხა საქონელი – 6121
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სოფლის მეურნეობა – 1210

1312 გენერალური მენეჯერები დამამუშავებელ მრეწველობაში

გენერალური მენეჯერები დამამუშავებელ მრეწველობაში მფლობელის ან თავიანთი სახელით, ხელმძღვანელობენ მცირე საწარმოებს მოცემულ სფეროში, გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს საქმიანობას ერთი მენეჯერისა და უფრო დაბალი რანგის თანამშრომლების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა და გატარება;
2. საწარმოების ბიუჯეტის შედგენა
3. მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
4. რესურსების გამოყენების დაგეგმვა და კონტროლი, პერსონალის დაქირავება;
5. მიმდინარე სამუშაობის წარმართვა;

6. მფლობელებისათვის ანგარიშის წარდგენა მათი არსებობის შემთხვევაში;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გენერალური მენეჯერი, დამამუშავებელი მრეწველობა

ზოგიერი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/დამამუშავებელი მრეწველობა - 1222
- მმართველი დირექტორი, საწარმო/დამამუშავებელი მრეწველობა – 1210

1313 გენერალური მენეჯერები მშენებლობაში

გენერალური მენეჯერები მშენებლობაში, ხელმძღვანელობენ მცირე სამშენებლო საწარმოებს, მფლობელის ან თავიანთი სახელით, გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ საწარმოს საქმიანობას ერთი მენეჯერისა და უფრო დაბალი რანგის თანამშრომლების დახმარებით.

მათ მოვალებებში შედის:

1. ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა და გატარება;
2. საწარმოს ბიუჯეტის შედგენა;
3. მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
4. რესურსების გამოყენების კონტროლი, პერსონალის დაქირავება;
5. მიმდინარე სამუშაობის წარმართვა;
6. მფლობელისთვის ანგარიშის წარდგენა მათი არსებობის შემთხვევაში;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გენერალური მენეჯერი, მშენებლობა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/მშენებლობა – 1223
- მმართველი დირექტორი, საწარმო/მშენებლობა – 1210

1314 გენერალური მენეჯერები საბითუმო და საცალო ვაჭრობაში

გენერალური მენეჯერები საცალო და საბითუმო ვაჭრობაში მფლობელების ან თავიანთი სახელით, ხელმძღვანელობენ მცირე სავაჭრო ორგანიზაციებს, გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ ორგანიზაციის საქმიანობას ერთი მენეჯერისა და უფრო დაბალი რანგის თანამშრომლების დახმარებით.

მათ მოვალებებში შედის:

1. ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა და გატარება;
2. ორგანიზაციის ბიუჯეტის შედგენა;
3. მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
4. რესურსების გამოყენების დაგეგმვა და კონტროლი, პერსონალის დაქირავება;
5. მიმდინარე სამუშაობის წარმართვა;
6. მფლობელისთვის ანგარიშის წარდგენა მათი არსებობის შემთხვევაში;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გენერალური მენეჯერი, საცალო ვაჭრობა
- გენერალური მენეჯერი, საბითუმო ვაჭრობა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/საცალო ვაჭრობა - 1224
- მმართველი დირექტორი, საწარმო/საბითუმო ვაჭრობა – 1210

<u>1315 გენერალური მენეჯერები რესტორნებსა და სასტუმროებში</u>

გენერალური მენეჯერები რესტორნებსა და სასტუმროებში, მფლობელის ან თავიანთი სახელით, ხელმძღვანელობენ მცირე ზომის რესტორნებსა და სასტუმროებს გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ დაწესებულების საქმიანობას ერთი მენეჯერისა და უფრო დაბალი რანგის თანამშრომლების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა და გატარება;
2. საწარმოს ბიუჯეტის შედგენა;
3. მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
4. რესურსების გამოყენების დაგეგმვა და კონტროლი, პერსონალის დაქირავება;
5. მიმდინარე სამუშაოების წარმართვა;
6. მფლობელებისთვის ანგარიშის წარდგენა მათი არსებობის შემთხვევაში;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გენერალური მენეჯერი, სასტუმრო
- გენერალური მენეჯერი, რესტორანი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/რესტორანი - 1225
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სასტუმრო – 1210

<u>1316 გენერალური მენეჯერები სატრანსპორტო, სასაწყობო მეურნეობასა და კავშირგაბმულობაში</u>

სატრანსპორტო, სასაწყობო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის გენერალური მენეჯერები, მფლობელის ან თავიანთი სახელით, გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ სატრანსპორტო, სასაწყობო და კავშირგაბმულობის მცირე დაწესებულებებს საქმიანობას ერთი მენეჯერისა და უფრო დაბალი რანგის თანამშრომლების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა და გატარება;
2. საწარმოს ბიუჯეტის შედგენა;
3. მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
4. რესურსების გამოყენების დაგეგმვა და კონტროლი, პერსონალის დაქირავება;
5. მიმდინარე სამუშაობის წარმართვა;
6. მფლობელისთვის, ანგარიშის წარდგენა მათი არსებობის შემთხვევაში;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გენერალური მენეჯერი, კავშირგაბმულობა
- გენერალური მენეჯერი, სასწყობო მეურნეობა
- გენერალური მენეჯერი, ტრანსპორტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/კავშირგაბმულობა – 1226
- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სასაწყობო მეურნეობა – 1226
- მმართველი დირექტორი, საწარმო/ტრანსპორტი – 1210

1317 გენერალური მენეჯერები კომერციულ მომსახურებაში

გენერალური მენეჯერები კომერციულ მომსახურებაში, მფლობელის ან თავიანთი სახელით, გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ მცირე ზომის ორგანიზაციის სამუშაოებს კომერციული მომსახურების ფეროში, ერთი მენეჯერისა და უფრო დაბალი რანგის თანამშრომლების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა და გატარება;
2. ფირმის ბიუჯეტის შედგენა;
3. მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
4. რესურსების გამოყენების დაგეგმვა და კონტროლი, პერსონალის დაქირავება;
5. მიმდინარე სამუშაობის წარმართვა;
6. მფლობელისთვის, ანგარიშის წარდგენა მათი არსებობის შემთხვევაში;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გენერალური მენეჯერი, ბიზნეს მომსახურებები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/ბიზნეს მომსახურებები – 1227
- მმართველი დირექტორი, საწარმო/ბიზნეს მომსახურებები – 1210

1318 გენერალური მენეჯერები კომუნალურ, პერსონალურ და მათთან დაკავშირებულ მომსახურების სფეროში

გენერალური მენეჯერები კომუნალურ, პერსონალურ და მათთან დაკავშირებულ მომსახურების სფეროში, მფლობელის ან თავიანთი სახელით, ხელმძღვანელობენ მცირე ზომის ორგანიზაციებს, რომლებიც გასწევენ კომუნალურ და სხვა სახის მომსახურებებს, ასევე გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინირებას უწევენ ორგანიზაციის საქმიანობას ერთი მენეჯერისა და უფრო დაბალი რანგის თანამშრომლების დახმარებით.

მათი მოვალეობები შედის:

1. ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა და გატარება;
2. ორგანიზაციის ბიუჯეტის შედგენა;
3. მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
4. რესურსების გამოყენების დაგეგმვა და კონტროლი, პერსონალის დაქირავება;
5. მიმდინარე სამუშაობის წარმართვა;
6. მფლობელისთვის ანგარიშის წარდგენა მათი არსებობის შემთხვევაში;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გენერალური მენეჯერი, დასუფთავება
- გენერალური მენეჯერი, ინდივიდუალური მომსახურება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/დასუფთავება – 1228
- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/ინდივიდუალური მომსახურება – 1228
- მმართველი დირექტორი, საწარმო/დასუფთავება – 1210

1319 გენერალური მენეჯერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან გენერალური მენეჯერები, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფ 131-გენერალური მენეჯერების სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მოცემულ ელემენტარულ ჯგუფში შეიძლება შევიდეს მაგალითად პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მცერე ზომის დაწესებულებებს განთლების, ჯანდაცვის, დასვენების, კულტურის, და სპორტისა სფეროში, თავიანთი ან მესაკუთრის სახელით გეგმავენ, წარმართავენ და კოორდინაციას უწევენ ორგანიზაციის საქმიანობას ერთი მენეჯერისა და უფრო დაბალი რანგის თანამშრომლების დახმარებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა და გატარება;
2. კომპანიის ბიუჯეტის შედგენა;
3. მოლაპარაკებების წარმოება მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
4. რესურსების გამოყენება და პერსონალის დაქირავება;
5. მიმდინარე სამუშაოების წარმართვა;

6. მფლობელებისთვის ანგარიშის წარდგენა მათი არსებობის შემთხვევაში;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გენერალური მენეჯერი, განათლება
- გენერალური მენეჯერი, ჯანდაცვა
- გენერალური მენეჯერი, დასვენება და გართობა
- გენერალური მენეჯერი, ტურიზმი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- დეკანი – 1229
- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/დასვენება და გართობა – 1229
- მმართველი დირექტორი, საწარმო/განათლება – 1210
- მმართველი დირექტორი, საწარმო/ჯანდაცვა – 1210

ძირითადი ჯგუფი 2

სპეციალისტ-პროფესიონალები

სპეციალისტ-პროფესიონალები ზრდიან ცოდნის არსებულ მარაგს, პრაქტიკაში იყენებენ სამეცნიერო და მხატრულ კონცეფციებსა და თეორიებს, დაკავებული არიან ზემოხსენებული მასალის სისტემატური შესწავლით, ასევე შეიძლება მოახდინონ ამ სამი სახის საქმიანობის სხვადასხვაგვარი კომბინაციით შერწყმა. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიებისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის IV დონე.

სპეციალისტ-პროფესიონალების მიერ შესასრულებელი ამოცანები, ჩვეულებრივ, შემდეგია: ანალიზის გაკეთება, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება, კონცეფციების, თეორიებისა და სამუშაო მეთოდების შემუშავება, კონსულტაციების გაწევა, არსებული ცოდნის გამოყენება ფიზიკური მეცნიერებების დარგებში, რომელშიც შედის მათემატიკა, ტექნიკა და ტექნოლოგია, ასევე სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დარგებში, რომელიც შედის მედიცინა, ასევე სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები; ერთზე მეტი დისციპლინის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა განსაზღვრულ საგანმანათლებლო დონეზე; გონებრივად და ფიზიკურად შეზღუდული ადამიანების სწავლება და აღზრდა; სხვადასხვა ბიზნეს, იურიდიული და სოციალური მომსახურებების უზრუნველყოფა; ხელოვნების ნიმუშების შექმნა და წარმოდგენა; ფსიქოლოგიური დახმარება; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი შესრულების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე ეროვნული საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი სისტემების გათვალისწინებით, შესაძლებელია ზოგიერთი პროფესიის კლასიფიცირება მოხდეს ძირითად ჯგუფში 3 – სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ისეთ პროფესიებს როგორიცაა მასწავლებლის პროფესიები, საექთნო და სოციალური მომსახურების პროფესიები.

პროფესიები ამ ძირითად ჯგუფში იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

21 ფიზიკის, მათემატიკის და საინჟინრო მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები

22 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები

23 განათლების სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები

24 სხვა სპეციალისტ-პროფესიონალები

ქვეჯგუფი 21

ფიზიკის, მათემატიკისა და საინჟინრო მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები

ფიზიკის, მათემატიკისა და საინჟინრო მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ხვეწენ და აუმჯობესებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, ასევე პრაქტიკაში იყენებენ მეცნიერულ ცოდნას ისეთ დარგებში, როგორიცაა ფიზიკა, ასტრონომია, მეტეოროლოგია, ქიმია, გეოფიზიკა, გეოლოგია, მათემატიკა, სტატისტიკა, არქიტექტურა, ტექნიკა და ტექნოლოგია.

ამ ქვეჯგუფის სპეციალისტ-პროფესიონალების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: კვლევითი სამუშაოების წარმოება, იმ მეცნიერული ცოდნის გავრცელება და გამოყენება, რომელიც მიღებული აქვთ ფიზიკური ნივთიერებისა და მოვლენების, სხვადასხვა ნივთიერებების ქიმიური თვისებებისა და სხვადასხვა ნივთიერების მდგომარეობის, მასალებისა და პროდუქტების, ასევე მათემატიკური, სტატისტიკური და პროგრამირების კონცეფციების და მეთოდების შესწავლის საფუძველზე; ასევე შენობების, ქალაქების, საგზაო

სისტემების, სამრეწველო და კომუნალური ობიექტების, ასევე მანქანებისა და სხვა მოწყობილობების მშენებლობა, კონსულტირება და პროექტირება, სამთომოპოვებითი მეთოდების დანერგვა და მათი ოპტიმალური გამოყენების კონსულტირება; ხმელეთისა და ზღვის გამოკვლევა და რუკების შედგენა; ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით მასალისა და პროდუქტის წარმოების შესწავლა და კონსულტირება; ორგანიზაციის მუშაობის და წარმოების ეფექტიანობის თაობაზე კონსულტაციების გაწევა; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვა სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

211 ფიზიკოსები, ქიმიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

212 მათემატიკოსები, სტატისტიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

213 კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტ-პროფესიონალები

214 არქიტექტორები, ინჟინრები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

მცირე ჯგუფი 211

ფიზიკოსები, ქიმიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

ფიზიკოსები, ქიმიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ხვეწენ და აუმჯობესებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, ასევე იყენებენ ფიზიკის, ასტრონომიის, მეტეოროლოგიის, ქიმიის, გეოლოგიისა და გეოფიზიკის მეცნიერებებთან დაკავშირებულ ცოდნას.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მეცნიერული ცოდნის გაფართოება ისეთ დარგებში, კვლევებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე როგორიცაა მექანიკა, თერმოდინამიკა, ოპტიკა, აკუსტიკა, ელექტრობა, ელექტრონიკა, ატომური ფიზიკა, ასტრონომია, ქიმიის სხვადასხვა დარგები, ასევე ატმოსფერული პირობების ან დედამიწის ფიზიკური ბუნების შესწავლა, კონსულტაციების გაწევა აღნიშნულ საკითხებზე ან არსებული ცოდნის გამოყენება ისეთ დარგებში, როგორიცაა დამამუშავებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მედიცინა, ნავიგაცია, კოსმოსის კვლევა, ნავთობის, ბუნებრივი აირის, წყლისა და სხვადასხვა მინერალების მოპოვება, კავშირგაბმულობა და სხვა მომსახურებები, ან სამოქალაქო მშენებლობის ინჟინერია; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

2111 ფიზიკოსები და ასტრონომები

2112 მეტეოროლოგები

2113 ქიმიკოსები

2114 გეოლოგები და გეოფიზიკოსები

2111 ფიზიკოსები და ასტრონომები

ფიზიკოსები და ასტრონომები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ხვეწენ და აუმჯობესებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, ან ფიზიკასა და ასტრონომიაში არსებულ მეცნიერულ ცოდნას იყენებენ სამრეწველო, სამედიცინო, სამხედრო და სხვა სფეროებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ფიზიკის და ასტრონომიის დარგებში კვლევითი სამუშაოების წარმოება, კონცეფციების, თეორიებისა და სამუშაო მეთოდების დახვეწა და განვითარება;

2. ექსპერიმენტების, ცდების და ანალიზების ჩატარება ისეთ დარგებში, როგორიცაა მექანიკა, თერმოდინამიკა, ოპტიკა, აკუსტიკა, ელექტრობა, მაგნეტიზმი, ელექტრონიკა, ატომური ფიზიკა, ასევე ასტრონომია;
3. ექსპერიმენტების, ცდებისა და ანალიზების ჩატარება მყარი ნივთიერებების აგებულებების და თვისებების ცვალებადობის შესახებ ტემპერატურის, წნევის, ძაბვისა და სხვა მოვლენათა ზეგავლენის პირობებში;
4. ექსპერიმენტებისა და კვლევების შედეგების შეფასება, დასკვნების გაკეთება, ძირითადად მათემატიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით;
5. პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით ფიზიკის ან ასტრონომიის პრინციპებისა და მეთოდების დახვეწა და განვითარება სამრეწველო, სამედიცინო, სამხედრო და სხვა მიზნებისათვის;
6. ციურ მოვლენებზე დაკვირვება, მათი შესწავლა და ანალიზი, აგრეთვე იმ საშუალებებისა და მეთოდების დახვეწა, რომლებიც გამოიყენება ნავიგაციასა და კოსმოსური კვლევის სფეროებში;
7. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ასტრონომი
- ფიზიკოსი

2112 მეტეოროლოგები

მეტეოროლოგები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ხვეწენ და აუმჯობესებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, დაკავშირებულს ატმოსფეროს სტრუქტურისა და მისი მამოძრავებელი ძალების შესწავლასთან; ამზადებენ დეტალურ და გრძელვადიან ამინდის პროგნოზებს, რომელიც გამოიყენება ავიაციაში, ნაოსნობაში, სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში, ასევე საზოგადოების ინფორმირებისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კვლევითი სამუშაოების წარმოება, კონცეფციების, თეორიების და სამუშაო მეთოდების დახვეწა, რომლებიც დაკავშირებულია ატმოსფეროს მამოძრავებელი ძალების და სტრუქტურის შესწავლასთან;
2. ჰაერის მასების მოძრაობის სიჩქარის და მიმართულებების კვლევა, ასევე წნევის, ტემპერატურის, ტენიანობის და სხვა ისეთი ატმოსფერული მოვლენების შესწავლა, როგორიცაა ღრუბლის წარმოქმნა და ნალექი, ატმოსფეროს ელექტრული მოვლენები ან მზის რადიაცია;
3. მეტეოროლოგიური სადგურებიდან მიღებული მონაცემების შესწავლა, ამინდის დეტალური და გრძელვადიანი პროგნოზების და რუკების მომზადება, რომლებიც გამოიყენება ავიაციაში, ნაოსნობაში, სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში, ასევე საზოგადოების ინფორმირებისათვის;
4. ექსპერიმენტების ჩატარება ნისლის გაფანტვაზე, ნალექების კონტროლსა და ამინდის მართვის სხვა სახეებზე;
5. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კლიმატოლოგი
- სინოპტიკოსი, ამინდი
- მეტეოროლოგი

2113 ქიმიკოსები

ქიმიკოსები ეწევიან სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ხვეწენ და აუმჯობესებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, ასევე ქიმიის სფეროში არსებულ მეცნიერულ ცოდნას იყენებენ ლაბორატორიული ცდების ჩატარებისას, მასალების, სამრეწველო პროდუქტებისა და ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებისა და დახვეწისას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ქიმიის დარგში კვლევითი სამუშაოების ჩატარება, კონცეფციების, თეორიებისა და სამუშაო მეთოდების დახვეწა და შემუშავება;
2. ექსპერიმენტების, ცდებისა და ანალიზების ჩატარება სხვადასხვა ნატურალურ, ხელოვნურ ან სინთეტიკურ ნივთიერებებში, მასალების და პროდუქციის ქიმიური აგებულების, ენერგეტიკული და ქიმიური ცვლილებების გამოსაკვლევად;
3. კვლევების და ექსპერიმენტების შედეგების შეფასება და დასკვნების მომზადება;
4. ფარმაცევტული და სხვა საწარმოო მასალების, პროდუქტებისა და ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება და დახვეწა;
5. ხარისხის მაკონტროლებელი მეთოდების შემუშავება მწარმოებლებისა და მომხმარებლებისათვის;
6. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ქიმიკოსი
- ქიმიკოსი, ფარმაცია

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში

- ბიოქიმიკოსი – 2212
- ფარმაცევტი – 2224
- ფარმაკოლოგი – 2212

2114 გეოლოგები და გეოფიზიკოსები

გეოლოგები და გეოფიზიკოსები აწარმოებენ სამეცნიერ-კვლევით სამუშაოებს, შეიმუშავებენ ან ხვეწენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, ასევე იყენებენ გეოლოგიის და გეოფიზიკის სფეროში არსებულ მეცნიერულ ცოდნას ისეთი საქმიანობების განსახორციელებლად, როგორიცაა ნავთობის, ბუნებრივი აირისა და სხვადასხვა მინერალების მოპოვება, წყლის რესურსების შენარჩუნება, სამოქალაქო მშენებლობა, კავშირგაბმულობა და ნავიგაცია.

მათ მოვალეობებში შედის:

1. გეოლოგიისა და გეოფიზიკის სფეროებში კვლევითი სამუშაოების წარმოება, კონცეფციების, თეორიების და სამუშაო მეთოდების შემუშავება და დახვეწა;
2. დედამიწის ქერქის შემადგენლობის და სტრუქტურისა კვლევა, მთის ქანების, მინერალების, წიაღისეულის ნარჩენების და ა.შ. შესწავლა, დედამიწის სფეროზე მოქმედი პროცესების შესწავლა, ცოცხალ ორგანიზმებზე, ბუნებაზე და გეოლოგიური წარმონაქმნების ქრონოლოგიაზე დაკვირვება;
3. კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების ინტერპრეტირება, გეოლოგიური ანგარიშების მომზადება, რუკების, სქემებისა და დიაგრამების შედგენა;
4. კვლევის შედეგების გამოყენება, რათა განსაზღვრონ მინერალების, ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოების, ასევე მიწისქვეშა წყლების აღმოჩენის ალბათობა;
5. გეოლოგიური ცოდნის გამოყენება ისეთი სამოქალაქო ობიექტების მშენებლობისას, როგორიცაა: კაშხლები, ხიდები, გვირაბები და მაღალი ნაგებობები;
6. დედამიწის სეისმური, გრავიტაციული, ელექტრული, თერმული და მაგნიტური ძალების ზეგავლენის შესწავლა და გაზომვა;
7. ატმოსფეროს ოპტიკური და აკუსტიკური მოვლენების შესწავლა;
8. დედამიწის წონის, ზომის და მასის, ასევე მისი შინაგანი აგებულების და სტრუქტურის განსაზღვრა, ვულკანების, მყინვარებისა და მიწისძვრების ბუნებისა და მოქმედების შესწავლა;
9. დედამიწის მაგნიტური ველის რუკების შედგენა, ამ და სხვა მონაცემების გამოყენება ამინდის პროგნოზისა და ნავიგაციისას;
10. ზღვებისა და ატმოსფეროს ფიზიკური თვისებების შესწავლა და მათი ისეთი ურთიერთქმედების დადგენა, როგორიცაა თბური ენერგიის გაცვლა;
11. ნავთობის, ბუნებრივი აირის, სხვადასხვა მინერალებისა და მიწისქვეშა წყლების მდებარეობისა და პოტენციალის დადგენა სეისმოლოგიური, გრავიმეტრიული, მაგნიტური, ელექტრული და რადიომეტრული მეთოდების გამოყენებით;
12. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
13. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
14. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გეოლოგი
- გეოფიზიკოსი

მცირე ჯგუფი 212

მათემატიკოსები, სტატისტიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

მათემატიკოსები, სტატისტიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ხვეწენ ან შეიმუშავებენ მათემატიკურ, სტატისტიკურ და დაზღვევის თეორიასთან დაკავშირებულ კონცეფციებს, თეორიებს, სამუშაო მეთოდებს, ასევე იყენებენ არსებულ ცოდნას სხვადასხვა ამოცანების გადასაჭრელად ისეთ დარგებში, როგორიცაა ინჟინერია, ბიზნესი და მედიცინა, ასევე საბუნებისმეტყველო, სოციალური და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სხვა დარგებში.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: კვლევითი სამუშაოების წარმოება ფუნდამენტურ მათემატიკაში, სტატისტიკური, მათემატიკური და აქტუარული პრინციპებისა და მეთოდების გამოყენება, სადაზღვეო საქმიანობის კონსულტირება და განხორციელება, რომელიც მოიცავს დაზღვევის პროგრამებისა და

საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებას; ასევე სტატისტიკური დაკვირვებების დაგეგმვა, ჩატარება, სტატისტიკური მონაცემების შეფასება, ორგანიზაცია, შეგროვება, ინტერპრეტაცია და ანალიზი; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

2121 მათემატიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2122 სტატისტიკოსები

2121 მათემატიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

მათემატიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს და ხვეწენ და შეიმუშავებენ მათემატიკურ და დაზღვევასთან დაკავშირებულ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, უწევენ კონსულტაციებს, არსებულ ცოდნას იყენებენ ტექნიკის სფეროში, მედიცინაში, ბიზნესში, ასევე საბუნებისმეტყველო, სოციალური და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სხვა დარგებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მატემატიკური და აქტუარული თეორიებისა და მეთოდოლოგიების შესწავლა, შემუშავება და გაუმჯობესება;
2. მათემატიკური პრინციპების, მოდელებისა და მეთოდების გამოყენება ამოცანების ფართო წრის გადასაჭრელად ტექნიკის სფეროში, აგრონომიასა და მედიცინაში, ასევე საბუნებისმეტყველო, სოციალური ან სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სხვა დარგებში;
3. მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემების, განსაკუთრებით წარმოების დანახარჯებისა და მწარმოებლურობის ეფექტიანობის ლოგიკური გაანალიზება;
4. თითოეული პრობლემის მოგვარებისათვის მათემატიკური მოდელების გამოყენება, რაც უკავშირდება კომპიუტერულ პროგრამირებას;
5. საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების, ასევე სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სოციალური და სხვა ტიპის დაზღვევის სისტემების შემუშავება და დანერგვა;
6. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- აქტუარი
- ანალიტიკოსი, კვლევითი სამუშაოები
- მათემატიკოსი, გამოყენებითი მათემატიკა
- მათემატიკოსი, თეორიული მათემატიკა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ასისტენტი, აქტუარი – 3434
- ასისტენტი, მათემატიკა – 3434
- ოფისის მოსამსახურე, დაზღვევა – 4122
- სტატისტიკოსი, მათემატიკა – 2122

2122 სტატისტიკოსები

სტატისტიკოსები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ხვეწენ და შეიმუშავებენ მათემატიკურ და სტატისტიკურ კონცეფციებს, თეორიებს, სამუშაო მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, იძლევიან კონსულტაციებს და არსებულ ცოდნას იყენებენ ტექნიკის, ბიზნესის, მედიცინის სფეროებში. ასევე საბუნებისმეტყველო, სოციალური და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სხვა დარგებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სტატისტიკური თეორიების და მეთოდოლოგიის შესწავლა, დახვეწა და შემუშავება;
2. სტატისტიკური გამოკვლევების და დაკვირვებების დაგეგმვა და ორგანიზება, კითხვარების შედგენა;
3. სტატისტიკურ მონაცემებს თავმოყრა, შეფასება, ანალიზი, ინტერპრეტირება და მათი მომზადება გამოსაქვეყნებლად;
4. სხვადასხვა სახის სტატისტიკური და მონაცემთა შეგროვების მეთოდების გამოყენება და კონსულტირება, მონაცემთა საიმედოობის განსაზღვრა განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორიცაა ბიზნესი ან მედიცინა, ასევე საბუნებისმეტყველო, სოციალური და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სხვა დარგებში;
5. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დემოგრაფი
- სტატისტიკოსი
- სტატისტიკოსი, გამოყენებითი სტატისტიკა
- სტატისტიკოსი, მათემატიკა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ასისტენტი, სტატისტიკა – 3434
- ოფისის მოსამსახურე, სტატისტიკური – 4122

მცირე ჯგუფი 213

კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტ-პროფესიონალები

კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, გეგმავენ, შეიმუშავებენ და ხვეწენ კომპიუტერული სისტემების, პროგრამული უზრუნველყოფის და სხვა მსგავსი სფეროების კონცეფციებს, პრინციპებსა და სამუშაო მეთოდებს, ასევე ემსახურებიან მონაცემთა ლექსიკონის და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების ფუნქციონირებას, რათა უზრუნველყონ მონაცემთა განზოგადება და უსაფრთხოება.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება, რაც უკავშირდება კომპიუტერების გამოყენების თეორიული საფუძვლების და სამუშაო მეთოდების შემუშავებას, მასში შედის კომპიუტერული არქიტექტურა და დიზაინი, მონაცემთა სტრუქტურები და მონაცემთა ბაზები, ალგორითმები, ხელოვნური ინტელექტი, პროგრამირების ენები, რობოტები; ტექნიკური და პროგრამული კონფიგურაციების შეფასება, დაპროექტება და აგება; კომპიუტერული პროგრამების შედგენა, დაწერა, შემოწმება და

შენახვა; სამეცნიერო მოხსენებებისა და ტექნიკური ანგარიშების, დოკუმენტაციისა და სახელმძღვანელოების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

2131 კომპიუტერული სისტემების დიზაინერები და ანალიტიკოსები

2132 კომპიუტერული პროგრამისტები

2139 კომპიუტერის სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

2131 კომპიუტერული სისტემების დიზაინერები და ანალიტიკოსები

კომპიუტერული სისტემების დიზაინერები და ანალიტიკოსები წარმართავენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ხვეწენ და ავითარებენ კომპიუტერთან დაკავშირებულ კონცეფციებსა და სამუშაო მეთოდებს იყენებენ მათ პრაქტიკაში, უწევენ კონსულტაციებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კომპიუტერისა და კომპიუტერული სისტემების გამოყენების პრინციპებისა და მეთოდების შემუშავება ინფორმაციის უკეთ გადაცემისა და დამუშავებისათვის, რომელიც დაკავშირებულია დაგეგმვის, პროექტირების, ტექნოლოგიური პროცესებისა და პროდუქციის ხარისხის კონტროლთან, პროგრამული უზრუნველყოფის, ასევე მონაცემთა ბაზების და სტრუქტურების, ალგორითმების, ხელოვნური ინტელექტისა და რობოტების ფუნქციონირების დახვეწასა და მომსახურებასთან;
2. მონაცემთა ლექსიკონისა და ბაზების მართვის სისტემების მომსახურება მონაცემთა სიზუსტის და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის;
3. კომპიუტერების, პერიფერიული მოწყობილობების, გამოთვლითი მეთოდებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილის განვითარება, ასევე მათი შესაძლებლობებისა და ნაკლოვანებების განსაზღვრა;
4. ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის კონფიგურაციის განსაზღვრის მიზნით კონსულტაციების საფუძველზე კომპიუტერის მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლა და დანახარჯების ეკონომიკური დასაბუთება;
5. პროგრამული სპეციფიკაციების ბეჭდვა, ტექნიკური ანგარიშებისა და სასწავლო სახელმძღვანელოების მომზადება კომპიუტერის ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებისა და მომსახურების შესახებ;
6. კომპიუტერის ფუნქციონირების მაკონტროლებელი, მისი ტექნიკური და პროგრამული მხარეების დამაკავშირებელი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, მომსახურება და განახლება;
7. საკომუნიკაციო ქსელების შექმნა და გამოყენება სხვადასხვა კომპიუტერულ მოწყობილობებს შორის;
8. გაუმჯობესებული მეთოდების და ინსტრუმენტარის დანერგვა, მათ შორის: პროგრამირების ენების, პროგრამების დაწერის, დოკუმენტირების და შენახვისათვის;
9. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
10. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
11. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ანალიტიკოსი, კომუნიკაციები/კომპიუტერები
- ანალიტიკოსი, მონაცემთა ბაზა/კომპიუტერები
- ანალიტიკოსი, სისტემები/კომპიუტერები

- მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი
- დიზაინერი, სისტემები/კომპიუტერები
- ინჟინერი, კომპიუტერული სისტემები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ინჟინერი, კომპიუტერის გამოყენება – 2139
- ტექნიკური სპეციალისტი, კომპიუტერი – 3121

2132 კომპიუტერული პროგრამისტები

კომპიუტერული პროგრამისტები წერენ, ამოწმებენ და უწევენ ტექნიკურ მომსახურებას კომპიუტერულ პროგრამებს, რათა დააკმაყოფილონ კომპიუტერული სისტემების მომხმარებელთა მოთხოვნები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. პროგრამის მიზნების, თავისებურებებისა და მონაცემთა წყაროების შესწავლა და საჭირო კონტროლის განხორციელება, კომპიუტერული სისტემის დიზაინერებთან, ანალიტიკოსებთან და მონათესავე პროფესიის სპეციალისტებთან კონსულტაციის საფუძველზე;
2. დეტალური ცხრილების და დიაგრამების მომზადება, მონაცემთა შეყვანა და მათი წარმოების ოპერაციების თანმიმდევრული განხორციელება;
3. კომპიუტერული პროგრამების დეტალური ინფორმაციების დაწერა მანქანურ კოდში, ესემბლერის ან სხვა პროგრამირების ენაზე, როგორიცაა PL/1, COBOL, FOR-TRAN, PASCAL, BASIC ან C, რომლებიც შემუშავებულია კომპიუტერული სისტემების დიზაინერებისა და ანალიტიკოსების მიერ, ასევე შეცდომების გამომრიცხავი საკონტროლო პროგრამების შემუშავება;
4. შემავალი და გამომავალი მონაცემების, ასევე ტექნიკური კონფიგურაციების თავისებურებების ცვლილებების განმსაზღვრელი კომპიუტერული პროგრამების ტექნიკური მომსახურება და მათი დოკუმენტაცია;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- პროგრამისტი
- პროგრამისტი, კომუნიკაციები
- პროგრამისტი, მონაცემთა ბაზა

2139 კომპიუტერის სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან კომპიუტერის სპეციალისტ-პროფესიონალები, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფ 213 – კომპიუტერის სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

ამ საწყის ჯგუფში, მაგალითად, უნდა მოხდეს მათი კლასიფიცირება, ვისაც გააჩნია კომპიუტერის, როგორც ტექნიკური, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილის ზოგადი ცოდნა.

ასეთ შემთხვევებში მათ მოვალეობებში შედის:

1. კომპიუტერის პროგრამული ნაწილისა და საოპერაციო სისტემების შემუშავება და დანერგვა;

2. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფისა და საოპერაციო სისტემების ტექნიკური მომსახურება და განახლება;
3. კომპიუტერების დამონტაჟება და მისი ტექნიკური ნაწილის დიაგნოსტიკა;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინჟინერი, კომპიუტერის გამოყენება

მცირე ჯგუფი 214

არქიტექტორები, ინჟინრები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

არქიტექტორები, ინჟინრები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს და ხვეწენ ან აუმჯობესებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, ასევე არსებულ ცოდნას იყენებენ არქიტექტურისა და ინჟინერიის დარგებში, ასევე საწარმოო პროცესების ტექნოლოგიური და ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება, შენობების, საქალაქო, სატრანსპორტო სისტემებისა და ლანდშაფტების დაპროექტება და მშენებლობის პროცესის, ასევე კონსულტაცია, მომსახურება და შეკეთების სამუშაოების ხელმძღვანელობა; სამოქალაქო ინჟინერიისა და სამრეწველო სტრუქტურების, ელექტრული და ელექტრონული სისტემების, მანქანების, მექანიზმებისა და საწარმოო მოწყობილობის მშენებლობის პროცესის წარმართვა; ქიმიური პროცესების გამოყენება სხვადასხვა მასალებისა და ნივთიერებების საწარმოებლად; უახლესი მეთოდების შემუშავება და გამოყენება წყლის, ნავთობის, ბუნებრივი აირის, მინერალებისა და ლითონის მოსაპოვებლად; ხმელეთისა და ზღვის შესწავლა და მიღებული მონაცემების წარმოდგენა გრაფიკული, ციფრული და დასურათებული გამოსახულებების სახით; კონკრეტული ნივთიერებების, პროდუქტებისა და პროცესების ტექნოლოგიური ასპექტების შესწავლა და ორგანიზაციის მუშაობისა და პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის გაზრდა, კონსულტაციების გაწევა აღნიშნულ საკითხებზე; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცავს სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

2141 არქიტექტორები, ქალაქისა და სატრანსპორტო კვანძების დაგეგმარების სპეციალისტ-პროფესიონალები

2142 სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრები

2143 ინჟინერ-ელექტრიკოსები

2144 ინჟინერ-ელექტრიკოსები და ტელეკომუნიკაციების ინჟინრები

2145 ინჟინერ-მექანიკოსები

2146 ინჟინერ-ქიმიკოსები

2147 სამთო ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2148 კარტოგრაფები და ტოპოგრაფები

2149 არქიტექტორები, ინჟინრები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

2141 არქიტექტორები, ქალაქებისა და სატრანსპორტო კვანძების სპეციალისტ-პროფესიონალები

არქიტექტორები, ქალაქებისა და სატრანსპორტო კვანძების სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, იძლევიან რეკომენდაციებს და შეიმუშავებენ საცხოვრებელი, სავაჭრო და საწარმოო ნაგებობების პროექტებს, ასევე ახორციელებენ ქალაქების, სატრანსპორტო მაგისტრალების დახაზვას, გეგემავენ და ხელმძღვანელობენ მათ მომსახურებას, აღჭურვისა და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ახალი ან გაუმჯობესებული არქიტექტურული თეორიების და მეთოდების დანერგვა;
2. სამშენებლო ადგილების შესწავლა, კონსულტაციები კლიენტებთან და რეკომენდაციების გაწევა შენობის სტილსა და მშენებლობის სხვა ასპექტებთან დაკავშირებით;
3. შენობების დაპროექტება, დეტალური ნახაზების და გეგმების მომზადება სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, ასევე საჭირო კონტაქტების გამყარება პროექტების წარმატებით განსახორციელებლად, მშენებლობის სტილის, ღირებულებისა და ვადის დადგენის საკითხებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება, ინსტრუქციების დაცვა და ა.შ.;
4. შენობათა ინტერიერის ხარისხისა და მისი ექსპლუატაციის საკითხებთან დაკავშირებით პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების გამონახვა და ამისთვის აუცილებელი პროექტების, ნახატების და გეგმების შედგენა;
5. სამშენებლო ნორმების და წესების დაცვის კონტროლი;
6. ქალაქის ინფრასტრუქტურის პროექტირება;
7. პარკების, სკოლების, ინსტიტუტების, აეროპორტების, გზების, ასევე კომერციული, სამრეწველო და საცხოვრებელი ნაგებობისთვის მიწის ნაკვეთების დაპროექტება;
8. საგზაო და სხვა ტიპის ტრანსპორტის მარშრუტების ეფექტურობისა და უსაფრთხოების დაგეგმვა;
9. ტექნიკური ხასიათის ურთიერთობების შენარჩუნება სხვა შესაბამისი ტექნიკური დარგის სპეციალისტებთან;
10. სამეცნიერო დოკუმენტების და ანგარიშების მომზადება;
11. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
12. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- არქიტექტორი, მშენებლობა
- არქიტექტორი, ინტერიერი
- არქიტექტორი, ლანდშაფტი
- დამპროექტებელი, გზები
- დამპროექტებელი, ქალაქის ინფრასტრუქტურა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- დეკორატორი, ინტერიერი – 3471
- დიზაინერი, დეკორაცია – 3471

2142 საქალაქო მშენებლობის ინჟინრები

საქალაქო მშენებლობის ინჟინრები აწარმოებენ სამეცნიერ-კვლევით სამუშაოებს, აპროექტებენ და ხელმძღვანელობენ მშენებლობას და საქალაქო ობიექტების ექსპლუატაციის პროცესს, ასევე სწავლობენ და იძლევიან რეკომენდაციებს კონკრეტული მასალის ტექნოლოგიური ასპექტების შესახებ.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება, საქალაქო მშენებლობასთან დაკავშირებული ახალი ან გაუმჯობესებული თეორიების და მეთოდების შემუშავება;
2. ხიდების, კაშხლების, ნავმისადგომების, გზების, აეროპორტების, რკინიგზების, არხების, მილსადენების, საკანალიზაციო და წყალდიდობისაგან დამცავი სისტემების, სამრეწველო და სხვა მასშტაბური ნაგებობების დაპროექტება და კონსულტაციების გაწევა;
3. სამშენებლო მეთოდების, მასალების გამოყენების, ხარისხიანობისს განსაზღვრა და სამშენებლო პროცესის ხელმძღვანელობა;
4. საკონტროლო სისტემის დამონტაჟება აღჭურვილობის, ეფექტური გამოყენებისა და გარემოს დაცვის მიზნით;
5. ხარვეზების დადგენა და მოგვარება;
6. არსებული აღჭურვილობის ექსპლუატაციის და რემონტის ორგანიზაცია და კონტროლი;
7. კონკრეტული მასალების ტექნოლოგიის შესწავლა და კონსულტირება;
8. ტექნიკური ხასიათის ურთიერთობების შენარჩუნება სხვა შესაბამისი ტექნიკური დარგის სპეციალისტებთან;
9. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
10. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
11. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინჟინერი, საქალაქო მშენებლობა
- ინჟინერი, საქალაქო მშენებლობა/აეროდრომი
- ინჟინერი, საქალაქო მშენებლობა/ხიდები
- ინჟინერი, საქალაქო მშენებლობა/შენობები
- ინჟინერი, საქალაქო მშენებლობა/გზატკეცილები და ქუჩები
- ტექნოლოგი, სამშენებლო მასალები

2143 ინჟინერ-ელექტრიკოსები

ინჟინერ-ელექტრიკოსები აწარმოებენ კვლევით სამუშაოებს, აპროექტებენ და ხელმძღვანელობენ ელექტრო სისტემების, ძრავების და მოწყობილობების ექსპლუატაციას და შეკეთებას, ასევე შეისწავლიან და კონსულტაციებს იძლევიან კონკრეტული მასალისა და პროდუქტის ტექნოლოგიური ასპექტების შესახებ.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ელექტროენერგიის გენერაციის, გადაცემისა და განაწილებისთვის სისტემების შემუშავება;
2. სისტემების შექმნა ელექტროძრავების, ელექტრომზიდების და სხვა მოწყობილობებისათვის, ასევე საყოფაცხოვრებო ელექტრო ტექნიკისათვის;
3. ელექტროგაყვანილობის დამონტაჟება სამრეწველო და სხვა სახის შენობებში და ობიექტებში, აუცილებლობის შემთხვევაში რომელიმე ამ საქმიანობის ხელმძღვანელობა;

4. საკონტროლო პარამეტრების და ტექნოლოგიური პროცესების განსაზღვრა, რათა უზრუნველყონ ელექტროენერგიის გენერატორული და გამანაწილებელი სისტემების, ძრავიანი მანქანებისა და სხვა მოწყობილობების ფუნქციონირება და უსაფრთხოება;
5. გაუმართაობის დროული დადგენა და აღმოფხვრა;
6. ელექტრო სისტემების, ძრავების და მოწყობილობების მომსახურებისა და შეკეთების პროცესების ორგანიზაცია და კონტროლი;
7. კონკრეტული მასალების, ნაკეთობების და პროცესების ტექნოლოგიური ასპექტების შესწავლა და კონსულტირება;
8. ტექნიკური ხასიათის ურთიერთობების შენარჩუნება სხვა შესაბამისი ტექნიკური დარგის სპეციალისტებთან;
9. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
10. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
11. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინჟინერი, ელექტროტექნიკა
- ინჟინერი, ელექტროტექნიკა/ელექტროენერგიის გამომუშავება
- ინჟინერი, ელექტროტექნიკა/ელექტრომექანიკური მოწყობილობა
- ტექნოლოგი, მანქანათმშენებლობა/ელექტროტექნიკა

2144 ინჟინერ-ელექტრიკოსები და ტელეკომუნიკაციების ინჟინრები

ინჟინერ-ელექტრიკოსები და ტელეკომუნიკაციების ინჟინრები აწარმოებენ კვლევით სამუშაოებს, იძლევიან კონსულტაციებს, ხელმძღვანელობენ მშენებლობას, ელექტრო სისტემების და მოწყობილობების მომსახურებას და შეკეთებას, ასევე სწავლობენ და უწევენ კონსულტაციებს კონკრეტული მასალის, ნაკეთობისა და პროცესების ტექნოლოგიური ასპექტების შესახებ;

მათ მოვალეობებში შედის:

1. ისეთი ელექტრომოწყობილობების, სისტემების, ძრავების და აღჭურვილობის შემუშავება როგორიცაა კომპიუტერები და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები.
2. სამონტაჟო მეთოდებისა და ხარისხის სტანდარტების დადგენა, ელექტრონული და საკომუნიკაციო სისტემების სამონტაჟო სამუშაოების ხელმძღვანელობა;
3. მაკონტროლებელი პარამეტრებისა და ტექნოლოგიური პროცესების განსაზღვრა, რათა უზრუნველყონ ელექტრონული სისტემების, ძრავების და მოწყობილობების ფუნქციონირება და უსაფრთხოება;
4. გაუმართაობის დროული დადგენა და აღმოფხვრა;
5. ელექტროსისტემების, ძრავებისა და მოწყობილობების მომსახურებისა და შეკეთების პროცესების ორგანიზაცია და კონტროლი;
6. კონკრეტული მასალების, ნაკეთობებისა და პროცესების ტექნოლოგიური ასპექტების შესწავლა და კონსულტირება;
7. ტექნიკური ხასიათის ურთიერთობების შენარჩუნება სხვა შესაბამისი ტექნიკური დარგის სპეციალისტებთან;
8. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;

9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინჟინერი, ელექტრონიკა
- ინჟინერი, ტელეკომუნიკაციები
- ინჟინერი, ტელეკომუნიკაციები/რადიო
- ტექნოლოგი, ინჟინერია/ელექტრონიკა
- ტექნოლოგი, ინჟინერია/ტელეკომუნიკაციები

2145 ინჟინერ-მექანიკოსები

ინჟინერ-მექანიკოსები აწარმოებენ კვლევით სამუშაოებს, უწევენ კონსულტაციებს, ხელმძღვანელობენ მანქანების, მექანიკური მოწყობილობების, დანადგარებისა და სისტემების მომსახურებასა და შეკეთებას. ასევე შეისწავლიან და უწევენ კონსულტაციებს კონკრეტული მასალის, ნაკეთობების და პროცესების ტექნოლოგიური ასპექტების შესახებ,

მათ მოვალეობებში შედის:

სამანქანო მოწყობილობისა და მექანიზმების აგება დამამუშავებელი მრეწველობის, სამთო სამუშაოების, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და სხვა სამრეწველო დანიშნულებისათვის, ასევე კონსულტაციების გაწევა აღნიშნულ საკითხებზე;

1. ორთქლის, შიდა წვისა და სხვა არაელექტრული ძრავების აგება, რომლებიც გამოიყენება სარკინიგზო ლოკომოტივების, მოტოსატრანსპორტო საშუალებების, ან თვითმფრინავების მოძრაობაში მოყვანისთვის, ასევე სამრეწველო ან სხვა მექანიკური დანადგარების ასამოქმედებლად, ასევე კონსულტაციების გაწევა აღნიშნულ საკითხებზე;
2. გემების მამოძრავებელი სისტემების, ენერგიის წარმომქმნელი დანადგარების, გამათბობელი და სავენტილაციო სისტემების, მანქანის სამართავი მექანიზმების, ტუმბოების და სხვა მექანიკური მოწყობილობების აგება, ასევე კონსულტაციების გაწევა აღნიშნულ საკითხებზე;
3. გემების კორპუსის და გემბანის ზედა მოწყობილობების სისტემების დაპროექტება, ასევე კონსულტაციების გაწევა აღნიშნულ საკითხებზე;
4. თვითმფრინავების კორპუსის, შასის და სხვა მოწყობილობების დაპროექტება, ასევე კონსულტაციების გაწევა აღნიშნულ საკითხებზე;
5. საგზაო გადამზიდი საშუალებების ძარების, მუხრუჭების და სხვა ნაწილების დაპროექტება, ასევე კონსულტაციების გაწევა აღნიშნულ საკითხებზე;
6. გამათბობელი, სავენტილაციო და გამაგრილებელი სისტემების შემუშავება, ასევე კონსულტაციების გაწევა აღნიშნულ საკითხებზე;
7. მექანიკური მოწყობილობებისა და დანადგარების აგება ატომური ენერგიის წარმოქმნის, კონტროლისა და გამოყენებისათვის, ასევე კონსულტაციების გაწევა აღნიშნულ საკითხებზე;
8. სხვადასხვა არაელექტრონული ხელსაწყოების და ნაკეთობების შექმნა ისეთი პროდუქციისთვის, როგორიცაა პროცესორები, კომპიუტერები, ზუსტი ხელსაწყოები, ფოტოკამერები, პროჟექტორები და სხვა მოწყობილობები;
9. პროდუქციის კონტროლი და სპეციფიკაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მანქანების, დანადგარების, ძრავების, აგრეგატების სამონტაჟო და გამოყენების მეთოდების დადგენა;

10. მაკონტროლებელი პარამეტრების და ტექნოლოგიური პროცედურების დადგენა, რათა უზრუნველყონ მანქანების, მექანიზმების, დანადგარების, ძრავების, მოწყობილობების და სისტემების ფუნქციონირება და უსაფრთხოება;
11. გაუმართაობის დროული დადგენა და აღმოფხვრა;
12. არსებული მანქანების, მექანიზმების, დანადგარების, ძრავების, აგრეგატების და სისტემების, ორგანიზება, მომსახურება და შეკეთება;
13. კონკრეტული მასალების, ნაკეთობების და პროცესების ტექნოლოგიური ასპექტების შესწავლა და კონსულტირება;
14. ტექნიკური ხასიათის ურთიერთობების შენარჩუნება სხვა შესაბამისი ტექნიკური დარგის სპეციალისტებთან;
15. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
16. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
17. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინჟინერი, საავიაციო
- ინჟინერი, საზღვაო
- ინჟინერი, მექანიკა
- ინჟინერი, მექანიკა/სოფლის-მეურნეობა
- ინჟინერი, ატომური ენერგია
- ტექნოლოგი, მანქანათმშენებლობა/მექანიკური მოწყობილობები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ინჟინერი, გემი – 3141

2146 ინჟინერ-ქიმიკოსები

ინჟინერ-ქიმიკოსები აწარმოებენ კვლევით სამუშაოებს, ავითარებენ და ხელმძღვანელობენ საწარმოო ქიმიურ პროცესებს და სხვადასხვა ნაერთებისა და ნივთიერებათა წარმოებას, როგორიცაა ნედლი ნავთობი, ნავთობპროდუქტები, ასევე საკვები პროდუქტები და სასმელები, მედიკამენტები, სინთეტიკური ნივთიერებები, ასევე ახორციელებენ სამრეწველო დანადგარების მომსახურებასა და სარემონტო სამუშაოებს, სწავლობენ და გასცემენ რეკომენდაციებს კონკრეტული მასალისა და პროდუქტის ტექნოლოგიური ასპექტების შესახებ.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კვლევითი სამუშაოების წარმოება, ქიმიური ცდების ჩატარება, რათა მოახდინონ ნედლი ნავთობის, ბუნებრივი აირისა და სხვა თხევად ნივთიერებათა გაფილტვრა, როგორიცაა ნავთობპროდუქტები, ასაფეთქებელი ნივთიერებები, საკვები პროდუქტები და სასმელები, მედიკამენტები, სინთეტიკური ნივთიერებები;
2. ქიმიური სამრეწველობის ქარხნების მშენებლობის შესაბამისი ასპექტების განსაზღვრა;
3. წარმოების მეთოდების, მასალისა და ხარისხის სტანდარტების განსაზღვრა და მათი ნორმებისადმი შესაბამისობა;
4. წარმოების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის მაკონტროლებელი პარამეტრებისა და ტექნოლოგიური პროცესების განსაზღვრა;

5. გაუმართაობის დროული დადგენა და აღმოფხვრა;
6. არსებული მანქანების, მექანიზმების, დანადგარების, ძრავების, აგრეგატებისა და სისტემების ორგანიზება, მომსახურება და შეკეთება;
7. კონკრეტული მასალების, ნაკეთობების და პროცესების ტექნოლოგიური ასპექტების შესწავლა და კონსულტირება;
8. ტექნიკური ხასიათის ურთიერთობების დამყარება სხვა შესაბამისი ტექნიკური დარგის სპეციალისტებთან;
9. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
10. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
11. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინჟინერი, ქიმიური
- ინჟინერი, ქიმიური პროცესი
- ინჟინერი, ქიმიური/ ნავთობი და ბუნებრივი აირი
- ტექნოლოგი, საკვები და სასმელი
- ტექნოლოგი, საწვავი

2147 სამთო ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

სამთო ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ კვლევით სამუშაოებს, აუმჯობესებენ და ხვეწენ ლითონის, მინერალების, წყლის, ნავთობის ან ბუნებრივი აირის მოპოვების, ასევე ახალი შენადნობების, კერამიკისა და სხვა მასალების წარმოებას. სწავლობენ და იძლევიან რეკომენდაციებს კონკრეტული მასალისა და პროდუქტის ტექნოლოგიური ასპექტების შესახებ.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კვლევითი სამუშაოების წარმოება, ახალი ან გაუმჯობესებული მეთოდების დანერგვა წიაღის, ნავთობის, ბუნებრივი აირისა და წყლის მოპოვების გასაუმჯობესებლად;
2. ყველაზე ხელსაყრელი მეთოდების დანერგვა, რათა გაიზარდოს მადნისა და სხვადასხვა წიაღისეულის მოპოვების ეფექტიანობა;
3. საბურღი ადგილების დადგენა და ჭაბურღილებიდან წყლის, ნავთობის ან ბუნებრივი აირის მოპოვების მეთოდების განსაზღვრა;
4. წყლის, ნავთობისა და ბუნებრივი აირის შენახვის, პირველადი დამუშავებისა და ტრანსპორტირების პროცესის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
5. უსაფრთხოების სპეციალური ზომების მიღება და პირველადი დახმარების აღმოჩენა, განსაკუთრებით მიწისქვეშა სამუშაოების შესრულების პროცესში;
6. კვლევითი სამუშაოების წარმოება და ლითონის მოპოვების მეთოდების გაუმჯობესება;.
7. ლითონებისა და შენადნობების თვისებების შესწავლა, ახალი შენადნობების წარმოება და ლითონებისა და შენადნობების გადამუშავებისა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესების კონტროლი, შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ;
8. კონკრეტული მასალების, ნაკეთობების და პროცესების ტექნოლოგიური ასპექტების შესწავლა და კონსულტირება;

9. ტექნიკური ხასიათის ურთიერთობების დამყარება სხვა შესაბამისი ტექნიკური დარგის სპეციალისტებთან;
10. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
11. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
12. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენარულ ჯგუფს:

- ინჟინერი, სამთამადნო
- ინჟინერი, სამთამადნო/ქვანახშირი
- ინჟინერი, სამთამადნო/ლითონი
- ინჟინერი, სამთამადნო/ნავთობი და ბუნებრივი აირი
- მეტალურგი, მომპოვებელი
- ტექნოლოგი, მომპოვებელი

2148 კარტოგრაფები და ტოპოგრაფები

კარტოგრაფები და ტოპოგრაფები იყენებენ ტოპოგრაფიულ მეთოდებსა და ტექნოლოგიას, რათა დაადგინონ სახმელეთო საზღვრები, ასევე ზღვების, მიწისქვეშა ზონებისა და ციური სხეულების ზუსტი მდებარეობა, ასევე ამზადებენ ან ამოწმებენ ციფრულ, გრაფიკულ და პიქტოგრაფიულ გამოსახულებებს;

მათ მოვალეობებში შედის:

1. მიწის ზედაპირის გამოკვლევა, გაზომვა და აღწერა სხვადახვა მიზნებისათვის, მათ შორის რუკების შესადგენად, მშენებლობისთვის და კერძო საზღვრების დასადგენად;
2. მაღაროების კვლევა, მიწისქვეშა ზედაპირების აღწერა, სხვადასხვა სხეულების ზუსტი მდებარეობის დადგენა, რუკებისა და სქემების შედგენა მოპოვებითი სამუშაოების წარმართვისათვის;
3. ზღვის, ტბისა და მდინარის ფსკერის კვლევა, წყლისქვეშა ზედაპირის აღწერა სხვადასხვა სხეულების ზუსტი მდებარეობის გათვალისწინებით, რუკებისა შედგენა, მათ შორის საზღვაო, მდინარეებისა და არხების სანაოსნო ვარგისიანობის დასადგენად და საზღვაო მშენებლობისათვის;
4. აეროფოტოგადაღების დაგეგმვა და განხორციელება;
5. საჰაერო და სხვა ფოტოების ანალიზი, დისტანციური მონაცემების გამოყენება ტოპოგრაფული და საზღვაო რუკების, ასევე საერთო მოხმარებისა და თემატური რუკების მომზადებისათვის;
6. რუკების შედგენის ტექნიკური, ესთეტიკური და ეკონომიკური ასპექტების შესწავლა და რეკომენდაციების გაწევა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით;
7. ტექნიკური ხასიათის ურთიერთობების შენარჩუნება სხვა შესაბამისი ტექნიკური დარგის სპეციალისტებთან;
8. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კარტოგრაფი
- ფოტოგრამეტრისტი
- აეროფოტოგრაფი

- მკვლევარი, ჰიდროგრაფიული
- მკვლევარი, ხმელეთი
- მკვლევარი, მთა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მკვლევარი, საზღვაო – 3115
- მკვლევარი, რაოდენობა - 2149

2149 არქიტექტორები, ინჟინრები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან არქიტექტორები, ინჟინრები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები, რომელებიც არ კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფის 214 - არქიტექტორები, ინჟინრები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები - სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მაგალითად, აქ კლასიფიცირდებიან ისინი, რომლებიც წარმოების ეფექტურობისა და შრომის ორგანიზაციასთან დაკავშირებით ახორციელებენ კვლევებს და იძლევიან კონსულტაციებს, ასევე ისინი, რომლებიც ახდენენ სამუშაოს ნორმირებას და იძლევიან კონსულტაციებს განსაზღვრული მასალების, ნაკეთობების და საწარმოო პროცესების ტექნოლოგიის შესახებ.

ასეთ შემთხვევაში მათ მოვალეობებში შედის:

1. ხელმძღვანელებთან და სადამკვირვებლო ჯგუფის წევრებთან კონსულტაციბის წარმოება სამუშაო მეთოდების გაუმჯობესების მიზნით;
2. ხელმძღვანელებთან და სადამკვირვებლო ჯგუფის წევრებთან კონსულტაციები წარმოება სამუშაო ძალის, მასალებისა და მოწყობილობების ეფექტური, უსაფრთხო და ეკონომიური გამოყენების საშუალებების შესახებ;
3. რეკომენდაციების გაწევა სამუშაო საშუალებების, ოპერაციების თანმიმდევრობის გათვალისწინებით და მათი შესრულების კონტროლი;
4. რეკომენდაციების მომზადება შრომის ორგანიზაციის შესახებ და მათი შესრულების კონტროლი;
5. რეკომენდაციების მიღება სამუშაო პროცესების ეფექტიანობის გასაზრდელად;
6. რისკის ხარისხის განსაზღვრა და შესაბამისი უსაფრთხოების ზომების მიღება;
7. არქიტექტურული და სამშენებლო პროექტების დანახარჯების განსაზღვრა და თანხების გაკონტროლება;
8. კონკრეტული ნივთიერებების ტექნოლოგიური ასპექტების შესწავლა, ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნება მინა, კერამიკა, ტექსტილი, ტყავის ნაწარმი, ხე, ტექსტილი და სხვადასხვა მასალები;
9. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
10. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
11. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინჟინერი, წარმოების ეფექტიანობა
- ინჟინერი, წარმოება
- ინჟინერი, სამუშაო დროის ტემპების განსაზღვრა
- კონტროლიორი, რაოდენობა
- ტექნოლოგი, ტექსტილი

ქვეჯგუფი 22

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ხვეწენ და შეიმუშავებენ თეორიებს, კონცეფციებს და სამუშაო მეთოდებს, ასევე ეწევიან ბიოლოგიაში, ზოოლოგიაში, ბოტანიკაში, ეკოლოგიაში, ფიზიოლოგიაში, ბიოქიმიაში, მიკრობიოლოგიაში, ფარმაკოლოგიაში, აგრონომიასა და მედიციანაში არსებული მეცნიერულ ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.

ამ ქვეჯგუფის სპეციალისტ-პროფესიონალების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: კვლევითი სამუშაოების წარმოება, კონსულტაციების გაწევა, არსებული გამოცდილების გავრცელება და გამოყენება, რომელიც მიიღება სიცოცხლის ყველა ფორმის - ადამიანთა, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს შესწავლით, მათ შორის ორგანოების, ქსოვილების, უჯრედებისა და მიკროორგანიზმების, ასევე მათზე გარემო ფაქტორების, წამლებისა და სხვა ნივთიერებების ზემოქმედების შესწავლა, ადამიანის, ცხოველისა და მცენარის დაავადებების გამოკვლევა, პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალებების გამოყენება და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გატარება; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი განხორციელების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე ეროვნული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების მოთხოვნების გათვალისწინებით, ზოგიერთი პროფესია შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას ქვეჯგუფში 32 – სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი. ეს ეხება განსაკუთრებით ისეთ პროფესიებს, რომლების კლასიფიკაციაც ხდება ჯგუფში 223 – საექთნო საქმიანობისა და მეანობის სპეციალისტები.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

221 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები

222 ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები (საექთნო საქმიანობის გარდა)

223 საექთნო საქმიანობისა და მეანობის სპეციალისტ-პროფესიონალები

მცირე ჯგუფი 221

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ კვლევით სამუშაოებს, ხვეწენ და შეიმუშავებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, ასევე ეწევიან ბიოლოგიაში, ზოოლოგიაში, ბოტანიკაში, ეკოლოგიაში, ფიზიოლოგიაში, ბიოქიმიაში, ბაქტერიოლოგიში, ბიოქიმიაში, ციტოლოგიაში, გენეტიკაში, მიკრობიოლოგიაში, ფარმაკოლოგიაში, აგრონომიასა და პათოლოგიაში არსებული მეცნიერულ ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: კვლევითი სამუშაოების წარმოება და სამეცნიერო ცოდნის გაღრმავება ადამიანის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს შესწავლის საფუძველზე, რაც ასევე მოიცავს ორგანოების, ქსოვილების და უჯრედების, მიკროორგანიზმების შესწავლას, გარემო ფაქტორების, წამლებისა და სხვადასხვა ნივთიერებების ზეგავლენის დადგენა ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზმებზე. არსებული ცოდნის გამოყენება ისეთ დარგებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ფარმაკოლოგია და სხვა სამრეწველო ან სამედიცინო დარგები. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

2211 ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2212 ფარმაკოლოგები, პათოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2213 აგრონომები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2211 ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ხვეწენ და შეიმუშავებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, ასევე ეწევიან ბიოლოგიაში, მიკრობიოლოგიაში, ბაქტეოროლოგიაში, ციტოლოგიაში, გენეტიკაში, ზოოლოგიაში, ბოტანიკასა და ეკოლოგიაში არსებულ მეცნიერული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას განსაკუთრებით ისეთი დარგებში, როგორიცაა მედიცინა და სოფლის მეურნეობა.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება, კონცეფციების, თეორიებისა და სამუშაო მეთოდების დახვეწა და შემუშავება შესაბამის დარგებში;
2. საველე და ლაბორატორიული ექსპერიმენტების წარმოება ყველა ცოცხლი ორგანიზმის შესწავლის მიზნით, ადამიანის, მწერების, მცენარეებისა და ცხოველების სახეობათა იდენტიფიკაციისა და კლასიფიცირების გზით, ასევე მათი წარმოშობის, განვითარების, ქიმიური და ფიზიკური ფორმის, სტრუქტურის, სიცოცხლისა და გამრავლების პროცესების შესწავლა;
3. ისეთ მიკროორგანიზმთა სტრუქტურის, განვითარებისა და თვისებების შესწავლა როგორიცაა ბაქტერიები ან ვირუსები,;
4. იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც უკავშირდება ადმიანების, ცხოველებისა ან მცენარეების წარმოშობას, განვითარებას და მემკვიდრული თვისებების გადაცემას, ექსპერიმენტების ჩატარება აღნიშნულ საკითხებზე;
5. მცენარეთა სამყაროს შესწავლა და ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენება სოფლის მეურნეობისა და მედიცინის დარგებში;
6. ცხოველთა სამყაროს შესწავლა და ამ ცოდნის გამოყენება სოფლის მეურნეობისა და მედიცინის დარგებში;
7. ცოცხალი უჯრედების სტრუქტურისა და ფუნქციების შესწავლა და ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების ზეგავლენის დადგენა ნორმალურ და პათოლოგიურ უჯრედებზე;
8. ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს ურთიერთკავშირების შესწავლა გარემო ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინებით, კონსულტაციების გაწევა მონათესავე დარგების სპეციალისტებისათვის;
9. ინდუსტრიული, სამედიცინო და სხვა სახის ცოდნის გამოყენება შესაბამის დარგებში;
10. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
11. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
12. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ბაქტერიოლოგი
- ბიოლოგი
- ბოტანიკოსი

- ეკოლოგი
- მიკრობიოლოგი
- ზოოლოგი

2212 ფარმაკოლოგები, პათოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

ფარმაკოლოგები, პათოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს, ხვეწენ და აუმჯობესებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, ახორციელებენ ანატომიაში, ბიოქიმიაში, ბიოფიზიკაში, ფიზიოლოგიაში, პათოლოგიაში, ან ფარმაკოლოგიაში დაგროვილი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას ისეთ დარგებში, როგორიცაა მედიცინა, სოფლის მეურნეობა ან მრეწველობა.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება, კონცეფციების, თეორიებისა და სამუშაო მეთოდების დახვეწა და შემუშავება შესაბამის დარგებში;
2. ექსპერიმენტების წარმოება ცოცხალი ორგანიზმების ფორმის, სტრუქტურის და სხვა ანატომიური თვისებების შესწავლის მიზნით;
3. ექსპერიმენტების წარმოება ცოცხალი ორგანიზმების ქიმიური აგებულებისა და პროცესების შესწავლის მიზნით;
4. ექსპერიმენტების წარმოება ადამიანის, ცხოველის და მცენარის ორგანოების, ქსოვილების, უჯრედების, ჯირკვლების და სხვა ორგანოების ნორმალურ, არანორმალურ ან განსაკუთრებულ პირობებში ფუნქციონირების შესწავლის მიზნით;
5. ექსპერიმენტების წარმოება ადამიანის, ცხოველისა და მცენარის დაავადებების ბუნებისა და მიზეზების, წარმოშობისა და განვითარების შესწავლის მიზნით;
6. ექსპერიმენტების წარმოება სამკურნალო საშუალებებისა და სხვა ნივთიერებების ზეგავლენის დადგენის მიზნით ადამიანებისა და ცხოველების ქსოვილებზე, ორგანოებსა და ფიზიოლოგიურ პროცესებზე, ასევე ახალი მედიკამენტების გამოგონება ან არსებულის გაუმჯობესება;
7. სამრეწველო, სამედიცინო და სხვა დარგების ცოდნის გამოყენება შესაბამის დარგებში;
8. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, როლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ანატომი
- ბიოქიმიკოსი
- ბიოფიზიკოსი
- პათოლოგი
- ფარმაკოლოგი
- ფიზიოლოგი

2213 აგრონომები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

აგრონომები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ სამეცნიერო კვლევებს, აუმჯობესებენ ან შეიმუშავებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, ასევე ახორციელებენ სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის დარგებში არსებული მეცნიერული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას;

მათ მოველეობებში შედის:

1. კვლევების წარმოება მემინდვრეობის დარგში, და მცენარეთა გამოყვანის ახალი მეთოდების დანერგვა ან არსებულის გაუმჯობესება;
2. კვლევების წარმოება მებაღეობის დარგში, მცენარეთა გამოყვანის ახალი მეთოდების დანერგვა ან არსებულის გაუმჯობესება;
3. კვლევების წარმოება მეცხოველეობის დარგში და ცხოველის ჯიშების გამოყვანის ახალი მეთოდების დანერგვა ან არსებულის გაუმჯობესება;
4. კვლევების წარმოება ხის ჯიშების გამოყვანის მეთოდების სრულყოფა და შემუშავება, ტყის მასივების ექსპლოატაციის დაგეგმვა და წარმართვა;
5. კვლევების წარმოება ნიადაგების პროდუქტიულობის, თვისებებისა და გამოყენების შესაძლებლობების შესახებ და მიღებული მონაცემების გამოყენება სოფლის მეურნეობის, მებაღეობისა და სატყეო მეურნეობის დარგების განვითარებისათვის;
6. კვლევების წარმოება და ახალი მეთოდების დანერგვა ან არსებულის გაუმჯობესება ველური სამყაროს დასაცავად;
7. კვლევების წარმოება, ახალი მეთოდების დანერგვა ან არსებულის გაუმჯობესება საძოვარი ტერიტორიების ეკონომიური ექსპლუატაციისათვის;
8. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
9. მსგავსი ამოცანების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს

- აგრონომი
- მეცნიერ-მუშაკი, მეცხოველეობა
- მეცნიერ-მუშაკი, სატყეო მეურნეობა
- მებაღე
- მეცნიერ-მუშაკი, ნიადაგი

მცირე ჯგუფი 222

ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები (საექთნო საქმიანობის გარდა)

ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები (საექთნო საქმიანობის გარდა) აწარმოებენ კვლევებს, აუმჯობესებენ ან ხვეწენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს და მეცნიერულ ცოდნას იყენებენ მედიცინის, სტომატოლოგიის, ვეტერინარიისა და ფარმაცევტიკის დარგებში.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: კვლევების წარმოება და სამეცნიერო ცოდნის მიღება ადამიანისა და ცხოველის ავადმყოფობების, დაავადებებისა და მათი მკურნალობის გზების შესწავლის საფუძველზე; პროფილაქტიკური და სამკურნალო ზომების მიღება, რომენდაციების გაწევა აღნიშნულ

საკითხებთან დაკავშირებით; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

2221 ექიმები

2222 სტომატოლოგები

2223 ვეტერინარები

2224 ფარმაცევტები

2229 ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები (საექთნო საქმიანობის გარდა), სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

2221 ექიმები

ექიმები აწარმოებენ სამეცნიერო კვლევებს, ხვეწენ ან ავითარებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს და მიმართავენ პროფილაქტიკურ ან სამკურნალო ღონისძიებებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამეცნიერო კვლევების წარმოება ადამიანის ავადმყოფობებისა და დაავადებების, ასევე პროფილაქტიკური ან სამკურნალო მეთოდების დასადგენად;
2. სამედიცინო კვლევების წარმოება და დიაგნოზების დასმა;
3. რეცეპტის გამოწერა და მკურნალობის დანიშვნა დიაგნოზირებული დაავადებების, დარღვევებისა და დაზიანებებისათვის;
4. სპეციფიური სამედიცინო და ქირურგიული მკურნალობის გაწევა კონკრეტული ტიპის დაავადებების, დარღვევებისა და დაზიანებებისათვის;
5. სამკურნალო-პროფილაქტიკური მეთოდების შესახებ რეკომენდაციების გაწევა;
6. ჯანდაცვასთან დაკავშირებული კანონებისა და ნორმატიული აქტების განვითარებასა და გამოყენების პროცესში მონაწილეობის მიღება საზოგადოებაში ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად;
7. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს

- ექიმი
- ოფთალმოლოგი
- მკურნალი ექიმი
- ფსიქიატრი
- ქირურგი

2222 სტომატოლოგები

სტომატოლოგები აწარმოებენ სამეცნიერო კვლევებს, ხვეწენ ან აუმჯობესებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს და სამედიცინო ცოდნას იყენებენ სტომატოლოგიის სფეროში.

მათ მოველეობებში შედის:

1. სამეცნიერო კვლევების წარმოება სტომატოლოგიის სფეროში და მასთან დაკავშირებული დარღვევებისა და დაავადებების, ასევე პროფილაქტიკური ან სამკურნალო მეთოდების დასადგენად;
2. დიაგნოზების დასმა, რეკომენდაციების გაწევა და საჭირო სტომატოლოგიური მკურნალობის დანიშვნა;
3. ქირურგიული, სამედიცინო და სხვა სახის მკურნალობის განხორციელება კონკრეტული ტიპის სტომატოლოგიური და პირის ღრუს სხვა დაავადებებისა და ავადმყოფობების სამკურნალოდ;
4. მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივ საქმიანობაში სტომატოლოგიური მკურნალობისა და დახმარების სტანდარტების ამაღლებისა და სრულყოფის მიზნით;
5. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სტომატოლოგი
- სტომატოლოგი, პედოდონტოლოგია
- ქირურგი, ყბის ქირურგია/კბილის მოვლა

2223 ვეტერინარები

ვეტერინარები აწარმოებენ სამეცნიერო კვლევებს, ხვეწენ ან აუმჯობესებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს და იყენებენ სამედიცინო ცოდნას ვეტერინარიის დარგში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამეცნიერო კვლევების წარმოება, კონცეფციების, თეორიებისა და სამუშაო მეთოდების დახვეწა ან გაუმჯობესება;
2. გამოკვლევების წარმოება და ცხოველების დაავადებებისა და დარღვევების დიაგნოსტიკა;
3. ქირურგიული ან სამედიცინო ვეტერინარული მკურნალობის დანიშვნა;
4. სარძევე და სხვა ჯიშის საქონლის შემოწმება და აცრა დაავადებების წინააღმდეგ;
5. რეკომენდაციების გაცემა ცხოველების მოვლასა და კვებასთან დაკავშირებით;
6. მთლიანად ან ნაწილობრივ ცხოველური პროდუქტებისაგან დამზადებული საკვების უსაფრთხოების, ხარისხის შემოწმება;
7. დახმარების გაწევა ცხოველის ჯანმრთელობის ეპიდემიური, რადიოლოგიური და სხვა სახის შემოწმებისას;
8. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ვეტერინარი
- ვეტერინარი, ეპიდემიოლოგი

2224 ფარმაცევტები

ფარმაცევტები იყენებენ ფარმაცევტულ კონცეფციებსა და თეორიებს წამლებისა და სხვა სამკურნალო საშუალებების მომზადების, განაწილებისა და გაყიდვისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ექიმების, სტომატოლოგებისა და ვეტერინარების მიერ გამოწერილი რეცეპტების ან დადგენილი წესების მიხედვით მედიკამენტების დამზადება, ასევე მომზადების პროცესის ზედამხედველობა;
2. რეცეპტების კონტროლი, იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ რეკომენდირებული დოზა არ არის გადაჭარბებული და პაციენტმა სწორად გაიგო ინსტრუქციები, ასევე რეკომენდაციების გაწევა წამლების შესაძლო შეუთავსებლობის შესახებ;
3. მედიკამენტებისა და სხვა სამკურნალო საშუალებების საავადმყოფოებში განაწილება ან მათი აფთიაქებში რეალიზაცია;
4. ნარკოტიკების, მომწამვლელი ნივთიერებებისა და სხვა მსგავსი მედიკამენტების აღრიცხვის წარმოება;
5. წამლების ტესტირება, მათი იდენტიფიკაციის, სისუფთავის და მოქმედების სიძლიერის დადგენის მიზნით;
6. ფარმაცევტული წარმოების კონტროლისა და რეგულირების პროცესებში მონაწილეობა;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ფარმაცევტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ქიმიკოსი, ფარმაცია - 2113

2229 ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები (საექთნო საქმიანობის გარდა), სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან ჯანდაცვის ის სპეციალისტ-პროფესიონალები (საექთნო საქმიანობის გარდა), რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფ 22-ის - ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალები სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მცირე ჯგუფი 223

საექთნო საქმიანობისა და მეანობის სპეციალისტ-პროფესიონალები

საექთნო საქმიანობისა და მეანობის სპეციალისტ-პროფესიონალები იყენებენ სამედიცინო კონცეფციებსა და პრინციპებს ისეთ საქმიანობებში, რომელიც უკავშირდება ბავშვების დაბადებას, ავადმყოფების, დაშავებულებისა და ინვალიდების, ასევე დედებისა და ახალშობილების მოვლას.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ექიმების დახმარება სამკურნალო და პროფილაქტიკური ზომების მიღებაში და გაუთვალისწინებელი შემთხვევების მოგვარება ექიმების არყოფნის დროს; პროფესიონალური სამედიცინო მომსახურების გაწევა, ზრუნვა და კონსულტაციების გაწევა ავადმყოფი, დაშავებული, ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდული ადამიანებისათვის, ან მათთვის, ვისაც მსგავსი სახის დახმარება ესაჭიროება, დამხმარე სამედიცინო პერსონალის ხელმძღვანელობა; მშობიარე დედების დახმარება და

კონსულტაციების გაწევა ახალობილების მოვლასთან დაკავშირებით. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი შესრულების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე ეროვნული საგანმანათლებლო და მოსამზადებელი მოთხოვნების გათვალისწინებით, მართებული იქნება ზოგიერთი ან ყველა პროფესია დაკლასიფიცირდეს მცირე ჯგუფში 323 - საექთნო საქმიანობისა და მეანობის სპეციალისტ-პროფესიონალები.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფად:

2230 საექთნო საქმიანობისა და მეანობის სპეციალისტ-პროფესიონალები

2230 საექთნო საქმიანობისა და მეანობის სპეციალისტ-პროფესიონალები

საექთნო საქმიანობისა და მეანობის სპეციალისტ-პროფესიონალები დახმარებას უწევენ ექიმებს თავიანთი მოვალეობების შესრულებაში, თავს ართმევენ გაუთვალისწინებელ შემთხვევებს მათი არყოფნის დროს, უწევენ პროფესიონალურ სამედიცინო მომსახურებას ავადმყოფებს, დაშავებულებს, ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდულ ადამიანებს, ასევე მათ, ვისაც მსგავსი სახის დახმარება ესაჭიროება; ამშობიარებენ ან ღებულობენ მონაწილეობას მშობიარობის პროცესში, მზრუნველობას უწევენ მშობიაროზამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდში და უწევენ კონსულტაციებს ახალშობილების მოვლასთან დაკავშირებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. პროფესიონალური სამედიცინო მომსახურებისა და მკურნალობის გაწევა, როგორც სამკურნალო ასევე პროფილაქტიკური ზომების მიღება ავადმყოფების, დაშავებულების, ინვალიდი ადამიანების, სხვა პაციენტების, ასევე ახლშობილებისა და მათი დედებისათვის საავადმყოფოებში, კლინიკებსა და სხვა დაწესებულებებში;
2. ექიმებისათვის დახმარების გაწევა მათი ფუნქციების შესრულებაში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევა მათი არყოფნის დროს;
3. წამლებისა და სხვა სახის მედიკმენტების გამოწერა, ქირურგიული ჩარევის შემდგომი გადახვევები და ექიმების მიერ დანიშნული სხვა სახის მკურნალობის გაწევა;
4. საოპერაციოებში მედდებისა და სხვა სამეცინო პერსონალის მუშაობის ზედამხედველობა და კოორდინირება,ოპერაციისას ქირურგებისთვის ასისტენტობის გაწევა;
5. ფსიქიურად ავადმყოფი პაციენტების ფიზიკური და ფსიქოლოგიური მკურნალობის პროცესის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
6. ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდული პაციენტების განათლების, განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის პროცესში მონაწილეობა;
7. პაციენტებისათვის პროფესიონალური სამედიცინო მომსახურების გაწევა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე;
8. პროფესიონალური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, ზრუნვა და კონსულტაციების გაწევა საზოგადოებრივ ადგილებში ან სამუშაო ადგილებზე;
9. სამკურნალო და საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა სკოლებში, საწარმოებსა და სხვა დაწესებულებებში;
10. მომავალი დედების ზოგადი ჯანმრთელობისა და ორსულობის განვითარების პროცესის მიმდინარეობის ზედამხედველობა, ზრუნვა და პროფესიონალური რეკომენდაციების გაწევა;
11. მშობიარობის მიღება და გართულებული სიტუაციების დროს ექიმების დახმარება;

12. დედებზე ზრუნვა ორსულობის შემდგომ პერიოდში მათი რეაბილიტაციის უზრუნველყოფის მიზნით, ბავშვების განვითარების პროცესის შემოწმება და მშობლებისათვის რეკომენდაციების გაწევა ახალშობილების მოვლასთან დაკავშირებით;
13. შობადობის მაკონტროლებელი მეთოდების დაცვა და კონსულტაციების გაწევა;
14. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
15. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- უფროსი მედდა
- მეანი, სპეციალისტ-პროფესიონალი
- ექთანი, სპეციალისტ-პროფესიონალი
- მედდა, საექთნო საქმიანობა/სპეციალისტ-პროფესიონალი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- დამხმარე, საექთნო საქმიანობა/საავადმყოფო - 5132
- მეანი, დამხმარე პერსონალი - 3232
- მედდა, დამხმარე პერსონალი - 3231

ქვეჯგუფი 23

სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში

სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში ასწავლიან ერთი ან მეტი დისიპლინის თეორიას და პრაქტიკას სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეზე, აწარმოებენ კვლევებს და აუჯობესებენ ან ხვეწენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს თავიანთ შესაბამის დისიპლინაში, ამზადებენ სასწავლო წიგნებსა და სხვა დამხმარე სასწავლო საშუალებებს.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: გაკვეთილებისა და ლექციების, მათ შორის კერძო გაკვეთილების, ჩატარება შესაბამის საგანმანათლებლო დონეზე სასწავლო ან პროფესიული მიზნით; მოზარდთა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ინვალიდების განათლება და სწავლება; სასწავლო პროგრამების შედგენა და მოდიფიცირება; სასწავლო მეთოდების შემოწმება და რეკომენდაციების გაწევა; გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა, რაც უკავშირდება სკოლებსა და უნივერსიტეტებში სასწავლო და სხვა შესაბამისი საქმიანობების ორგანიზებას; კვლევების წარმოება თავიანთ კონკრეტულ საგნებში კონცეფციების, თეორიების ან სამუშაო მეთოდების დახვეწისა და განვითარების მიზნით, რომლებიც გამოიყენება სამრეწველო და სხვა დარგებში; სასწავლო წიგნებისა და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი შესრულების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე ეროვნული საგანმანათლებლო და მოსამზადებელი მოთხოვნების გათვალისწინებით, მართებული იქნება ზოგიერთი პროფესიის კლასიფიცირება მოხდეს ქვეჯგუფში 33 - განათლების სფეროს დამხმარე პერსონალი. ეს განსაკუთრებით ეხება მცირე ჯგუფ 233-ში - დაწყებითი და სკოლამდელი განათლების პედაგოგები, და 234-ში - სპეციალური განათლების პედაგოგები, კლასიფიცირებულ პროფესიებს.

პროფესიები ამქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

231 კოლეჯის, უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების სასწავლებლების პედაგოგები

232 საშუალო განათლების პედაგოგები

233 დაწყებითი და სკოლამდელი განათლების პედაგოგები

234 სპეციალური განათლების პედაგოგები

235 სხვა პედაგოგები

მცირე ჯგუფი 231

კოლეჯის, უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების სასწავლებლების პედაგოგები

კოლეჯის, უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების სასწავლებლების პედაგოგები სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეებზე ასწავლიან თავიანთ საგნებს საშუალო განათლების მიღების შემდეგ, აწარმოებენ კვლევებს და ხვეწენ ან აუმჯობესებენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს თავიანთ კონკრეტულ დისიპლინებში, ასევე ამზადებენ სასწავლო წიგნებსა და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სასწავლო პროგრამების შემუშავება და მოდიფიკაცია; სემინარებისა და ლექციების ჩატარება; გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა, რაც უკავშირდება საუნივერსიტეტო სწავლებასა და სხვა მსგავს საქმიანობებს; სამეცნიერო კვლევების წარმოება თავიანთ კონკრეტულ საგნებში კონცეფციების, თეორიებისა და სამუშაო მეთოდების დახვეწისა და განვითარების მოზნით, რომლებიც გამოიყენება სამრეწველო და სხვა დარგებში; სასწავლო წიგნებისა და სხვა დამხმარე საშუალებების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფად:

2310 კოლეჯის, უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების სასწავლებლების პედაგოგები

2310 კოლეჯის, უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების სასწავლებლების პედაგოგები

კოლეჯის, უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების სასწავლებლების პედაგოგები ასწავლიან თავიანთ საგნებს საშუალო განათლების მიღების შემდეგ, სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეზე, აწარმოებენ სამეცნიერო კვლევებს, აუმჯობესებენ ან ხვეწენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, ასევე ამზადებენ სასწავლო წიგნებსა და სხვა დამხმარე საშუალებებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სასწავლო პროგრამებისა და კურსების მომზადება და დახვეწა სასწავლო მოთხოვნების შესაბამისად;
2. ლექციების წაკითხვა, სემინარებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება;
3. სტუდენტებს შორის დისკუსიების გამართვა და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა;
4. საჭიროების შემთხვევაში ექსპერიმენტებისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების პროცესის ზედამხედველობა;
5. საკონტროლო სამუშაოებისა და გამოცდების ჩატარება, შემოწმება და შეფასება;
6. მაგისტრანტებისა და ხარისხის სხვა მაძიებლების სამეცნიერო კვლევების ხელმძღვანელობა;
7. კვლევების წარმოება და სამუშაო მეთოდების დახვეწა სამრეწველო და სხვა დარგებში გამოყენების მიზნით;
8. სასწავლო წიგნების, სხვა დამხმარე საშუალებების და სტატიების მომზადება;
9. მონაწილეობა კონფერენციებსა და სემინარებში;
10. გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მონაწილეობა, რომლებიც უკავშირდება კოლეჯის ან უნივერსიტეტის განვითარების სამეცნიერო, საბიუჯეტო და სხვა მსგავს საკითხებს;

11. არაპროგრამული ღონისძიებების ორგანიზება, როგორიცაა მაგალითად, საზოგადოებრივი დებატები;
12. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
13. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ლექტორი, კოლეჯი
- ლექტორი, უნივერსიტეტი
- პროფესორი, კოლეჯი
- პროფესორი, უნივერსიტეტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- რექტორი, უნივერსიტეტი - 1210
- დეკანი - 1229
- ხელმძღვანელი, კოლეჯის ფაკულტეტი - 1229

მცირე ჯგუფი 232

საშუალო განათლების პედაგოგები

საშუალო განათლების პედაგოგები ასწავლიან ერთ ან რამდენიმე საგანს, სასწავლო ან პროფესიული მიზნებით, სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეზე, სკოლამდელი განათლების მიღების დამთავრებისა და კოლეჯის ან საუნივერსიტეტო სწავლების დაწყებამდე.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სასწავლო პროგრამების შედგენა და სრულყოფა; გაკვეთილების, მათ შორის კერძო გაკვეთილების ჩატარება ერთ ან რამდენიმე საგანში, საგანმანათლებლო ან პროფესიული მიზნებით; მოზარდთა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა, რომლებიც უკავშირდება სასკოლო სწავლებისა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობას. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენატრულ ჯგუფად:

2320 საშუალო განათლების პედაგოგები

2320 საშუალო განათლების პედაგოგები

საშუალო განათლების პედაგოგები ასწავლიან თავიანთ საგნებს სასწავლო ან პროფესიული მიზნებით, სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეზე, სკოლამდელი განათლების მიღების დამთავრებისა და კოლეჯის ან საუნივერსიტეტო სწავლების დაწყებამდე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სასწავლო პროგრამების შედგენა და სრულყოფა, საგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლო კურსების მომზადება მოთხოვნების შესაბამისად;
2. გაკვეთილების ჩატარება თავიანთ საგნებში და მოსწავლეების საკლასო და სადისიპლინო სამუშაოების შესრულების ზედამხედველობა;
3. დავალებების მიცემა და სავარჯიშოების მომზადება;
4. გამოცდებისა და ტესტების ჩატარება მოსწავლეების მოსწრების შემოწმების მიზნით;

5. მოსწავლეების მუშაობის ამსახველი მოხსენებების მომზადება, სხვა მასწავლებლებთან და მშობლებთან ურთიერთობა;
6. მოზარდებისთვის კითხვის, წერისა და სხვა საგნების სწავლება;
7. სკოლის საგანმანათლებლო და საორგანიზაციო საქმეებში მონაწილეობა;
8. არასაპროგრამო ღონისძიებების ორგანიზება, როგორიცაა მაგალითად, საზოგადოებრივი დებატები ან ინტელექტ-კლუბები;
9. კერძო გაკვეთილების ჩატარება;
10. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
11. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მასწავლებელი, საშუალო განათლება
- მასწავლებელი, საშუალო განათლება/მოზარდთა განათლება
- მასწავლებელი, საშუალო განათლება/პროფესიული გადამზადება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- სასწავლო ნაწილის გამგე - 1229
- ზედამხედველი, სკოლა - 2352

მცირე ჯგუფი 233

დაწყებითი და სკოლამდელი განათლების პედაგოგები

დაწყებითი და სკოლამდელი განათლების პედაგოგები ასწავლიან რამდენიმე საგანს განათლების საწყის ეტაპზე და ორგანიზებას უკეთებენ საგანმანათლებლო ღონისძიებებს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სასწავლო პროგრამების მომზადება და სასწავლო საგნების ჩატარება საწყის საგანმანათლებლო ეტაპზე; სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება ბავშვების მეტყველების, ფიზიკური და სოციალური უნარების განვითარების მიზნით; მოხსენებების მომზადება; შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი განხორციელების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე ეროვნული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების დონის მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაძლებელია ზოგიერთი ან ყველა პროფესიის კლასიფიცირება მოხდეს მცირე ჯგუფში 331 - დაწყებითი განათლების პედაგოგები, და 332-ში - სკოლამდელი განათლების პედაგოგები.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

2331 დაწყებითი განათლების პედაგოგები

2332 სკოლამდელი განათლების პედაგოგები

2331 დაწყებითი განათლების პედაგოგები

დაწყებითი განათლების პედაგოგები ასწავლიან სხვადასხვა საგნებს საწყის საგანმანათლებლო ეტაპზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სასწავლო პროგრამის მომზადება, დამტკიცებული ან რეკომენდებული პროგრამების მიხედვით ისეთი საგნების სწავლება, როგორიცაა წერა, კითხვა, მათემატიკა და სხვა;
2. ტესტების, სავარჯიშოებისა და დავალებების მომზადება და შემოწმება, მოსწავლეების აღზრდისა და მათი მოსწრების შეფასების მიზნით, ასევე საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინსტრუქციების მიცემა;
3. მოსწავლეთა არასაპროგრამო ღონისძიებების ორგანიზება და ხელმღვანელობა;
4. მოსწავლეთა პიროვნულ განვითარების ხელშეწყობა და მათი მოსწრების განხილვა მშობლებთან და სასწავლო ნაწილის გამგესთან;
5. მოსწავლეების ზედამხედველობა საკლასო ოთახებში და სკოლის ტერიტორიაზე;
6. ანგარიშების მომზადება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მასწავლებელი, დაწყებითი განათლება/სპეციალისტ-პროფესიონალი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- სასწავლო ნაწილის გამგე - 1229
- ზედამხედველი, სკოლა - 2352
- მასწავლებელი, დაწყებითი განათლება/ დამხმარე პერსონალი - 3310

<u>2332 სკოლამდელი განათლების პედაგოგები</u>

სკოლამდელი განათლების პედაგოგები ორგანიზებას უკეთებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ გასართობ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რათა ხელი შეუწყონ სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფიზიკურ, გონებრივ და სოციალურ განვითარებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება ბავშვების ფიზიკური და სოციალური უნარების განვითარების მიზნით;
2. მეტყველების განვითარების ხელშეწყობა ისტორიების მოყოლის, პიესების დადგმით, სიმღერების, საუბრებისა და დისკუსიების საშუალებით;
3. ბავშვებზე დაკვირვება მათი განვითარების შეფასებისა და შესაძლო პრობლემების მშობლებთან ერთად განხილვის მიზნით;
4. ბავშვების ზედამხედველობა კონფლიქტების თავიდან აცილებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მასწავლებელი, სკოლამდელი განათლება/ სპეციალისტ-პროფესიონალი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მასწავლებელი, სკოლამდელი განათლება/დამხმარე პერსონალი - 3320

მცირე ჯგუფი 234

სპეციალური განათლების პედაგოგები

სპეციალური განათლების პედაგოგები განსაზღვრულ საგანმანათლებლო დონეზე ასწავლიან ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდულ ბავშვებს, მცირეწლოვანებს ან მოზარდებს, ან იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც გააჩნიათ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სასწავლო პროგრამის ადაპტირება გონებრივად და ფიზიკურად შეზღუდული ადამიანებისთვის, ან მათთვის, ვისაც სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს; ერთი ან მეტი საგნის სწავლება მაგალითად, ყრუ ან ბრმა ადამიანებისათვის, ბრაილის შრიფტით, ტუჩების მოძრაობის კითხვისა და სხვა სპეციალური საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით; მოხსენებების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი შესრულების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე ეროვნული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების დონის მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაძლებელია ზოგიერთი ან ყველა პროფესიის კლასიფიცირება მოხდეს მცირე ქვეჯგუფში 333 - სპეციალური განათლების პედაგოგები.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფად:

2340 სპეციალური განათლების პედაგოგები

2340 სპეციალური განათლების პედაგოგები

სპეციალური განათლების პედაგოგები, შესაბამის საგანმანათლებლო დონეზე ასწავლიან ფიზიკურად ან გონებრივად შეზღუდულ ბავშვებს, მცირეწლოვანებს, მოზარდებს, ან მათ, ვისაც სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სასწავლო პროგრამების შედგენა და სრულყოფა, გაკვეთილების ჩატარება და სხვადასხვა ღონისძიებების მომზადება მოთხოვნების შესაბამისად;
2. ინსტრუქციების გაცემა სხვადასხვა ხერხებისა და დამხმარე საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, როგორიცაა ბრაილის შრიფტი, ან ტუჩების მოძრაობის კითხვა, - რაც მისაღები იქნება შეზღუდული უნარების მოსწავლეებისათვის, ასევე კლასში მათი მუშაობის პროცესის ზედამხედველობა;
3. მოსწავლეებისათვის თვითრწმენას ჩანერგვა, ისეთი მეთოდების დაუფლებაში დახმარება, რაც მოახდენდა მათი ნაკლოვანებებით გამოწვეული შეზღუდვების კომპენსირებას, ასევე საკუთარი მიღწევების შეგრძნების უნარის ჩანერგვა;
4. ტესტირებების ჩატარება, თითოეული მოსწავლის პროგრესის შეფასება და შედეგების განხილვა მშობლებთან, სასწავლო ნაწილის გამგესთან, ექიმებთან, სოციალურ მუშაკებთან და ა.შ.;
5. კერძო გაკვეთილების ჩატარება;
6. მოხსენებების მომზადება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მასწავლებელი, სამკურნალო/სპეციალისტ-პროფესიონალი
- მასწავლებელი, სპეციალური განათლება/ბრმებისთვის (სპეციალისტ-პროფესიონალი)

- მასწავლებელი, სპეციალური განათლება/გონებრივად შეზღუდულებისათვის (სპეციალისტ-პროფესიონალი)

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მასწავლებელი, დეფექტოლოგი/დამხმარე პერსონალი - 3330
- მასწავლებელი, სპეციალური განათლება/ბრმებისთვის (დამხმარე პერსონალი) - 3330
- მასწავლებელი,სპეციალური განათლება/გონებრივად შეზღუდული (დამხმარე პერსონალი) - 3330

მცირე ჯგუფი 234

სპეციალური განათლების პედაგოგები

სპეციალური განათლების პედაგოგები ასწავლიან ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდულ ბავშვებს, მოზარდებს და მოზრდილებს, ან მათ, ვისაც სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს განათლების გარკვეულ დონეზე.

შესასრულებელი მოვალეობები, ჩვეულებრივ, შეიცავს: სასწავლო პროგრამების ადაპტირებას გონებრივად და ფიზიკურად შეზღუდული ბავშვების, მოზარდებისა და მოზრდილთათვის ან მათთვის, ვისაც სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს განათლების გარკვეულ დონეზე; ერთი ან მეტი საგნის სწავლებას ყრუ ან ბრმა ადამიანებისათვის, ბრაილის შრიფტის, ტუჩების მოძრაობის მიხედვით კითხვის სისტემისა და სხვა სპეციალური დამხმარე სახელმძღვანელოებისა და ტექნიკის გამოყენებით; მოხსენებების მომზადებას. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ მოვალეობების სპეციფიურობის და მათი შესრულების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე განათლებისა და პროფესიული მომზადების დონის ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაძლოა ზოგიერთი ან ყველა მითითებული პროფესიის კლასიფიცირება მოვახდინოთ მცირე ქვეჯგუფში 333 - სპეციალური განათლების ასოცირებული სპეციალისტები.

ამ მცირე ჯგუფის პროფესიები შედის შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

2340 სპეციალური განათლების პედაგოგები

2340 სპეციალური განათლების პედაგოგები

სპეციალური განათლების პედაგოგები, ასწავლიან ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდულ ბავშვებს, მოზარდებსა და მოზრდილებს, ან მათ, ვისაც სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს განათლების გარკვეულ დონეზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სასწავლო პროგრამების შემუშავება და მოდიფიცირება, გაკვეთილებისა და ღონისძიებების მომზადება მოთხოვნების შესაბამისად;
2. ინსტრუქტირება ტექნიკისა ან სპეციალური დამხმარე საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, როგორიცაა ბრაილის შრიფტი ან ტუჩების მოძრაობის მიხედვით კითხვა, მოსწავლეების ნაკლისა და მათი დონის შესაბამისად, და ასევე კლასში მუშაობის პროცესის დაკვირვება;
3. მოსწავლეებში თავისი თავის რწმენის ჩანერგვა, მათი დახმარება იმ მეთოდების დაუფლებაში, რომლებსაც შეუძლია ნაკლით გამოწვეული შეზღუდვების კომპენსირება, და აგრეთვე მათში თავიანთი მიღწევების შეგნების გრძნობის ჩანერგვა;

4. ტესტირებების ჩატარება, თითოეული მოსწავლის მიღწევების შეფასება და აღნიშვნა, მათი განხილვა მშობლებთან, სასწავლო ნაწილის გამგეებთან, ექიმებთან, სოციალურ მუშაკებთან და მისთ.;
5. ინდივიდუალური ინსტრუქტაჟი;
6. მოხსენებების მომზადება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მასწავლებელი, დეფექტოლოგი/პროფესიონალი
- მასწავლებელი, სპეციალური განათლება/ბრმებისთვის (პროფესიონალი)
- მასწავლებელი, სპეციალური განათლება/გონებრივად შეზღუდული პირებისთვის (პროფესიონალი)

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მასწავლებელი, დეფექტოლოგი/დამხმარე პერსონალი - 3330
- მასწავლებელი, სპეციალური განათლება/ბრმებისთვის (დამხმარე პერსონალი) - 3330
- მასწავლებელი, სპეციალური განათლება/გონებრივად შეზღუდული პირებისთვის (დამხმარე პერსონალი) - 3330

მცირე ჯგუფი 235

სხვა პედაგოგები

განათლების სფეროს სხვა სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს, ამუშავებენ და იძლევიან კონსულტაციებს სწავლების მეთოდებსა და დამხმარე საშუალებებთან დაკავშირებით, ამოწმებენ მასწავლებლების მუშაობას და კონკრეტული სასწავლო პროგრამის დანერგვით მიღწეულ შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში სთავაზობენ ცვლილებებსა და დამატებებს.

შესასრულებელი მოვალეობები, ჩვეულებრივ, შეიცავს: სასწავლო გეგმებში, სწავლების მეთოდიკასა და სასწავლო პროცესის სხვა ასპექტებში, მათ შორის დამხმარე სახელმძღვანელოებში მიმდინარე დამატებების შემუშავებასთან დაკავშირებული კვლევების ჩატარებას და საჭირო ცვლილებებსა და დამატებებთან დაკავშირებით კონსულტირებას; პერიოდული შემოწმება იმისა, თუ როგორ იყენებენ მასწავლებლები განსაზღვრულ პროგრამას და საჭიროების შემთხვევაში დამატებებისა და ცვლილებების შეთავაზება; მოხსენებების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

ამ მცირე ჯგუფის პროფესიები შედის შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებში:

2351 განათლების მეთოდიკის სპეციალისტები

2352 სკოლის ინსპექტორები

2359 განათლების სფეროს სხვა სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

2351 განათლების მეთოდიკის სპეციალისტები

განათლების მეთოდიკის სპეციალისტები აწარმოებენ კვლევებს, ამუშავებენ და უწევენ კონსუტაციებს სწავლების მეთოდებსა და სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სასწავლო პროგრამებში, სწავლების მეთოდიკასა და სასწავლო პროცესის სხვა ასპექტებში მიმდინარე დამატებებთან დაკავშირებული კვლევითი სამუშაოების ჩატარება, კონსულტირება საჭირო ცვლილებებსა და დამატებებთან დაკავშირებულ საკითხებზე;
2. კონსულტირება სასწავლო კურსების შინაარსსა და გამოცდების ჩატარების მეთოდებთან დაკავშირებულ საკითხებზე;
3. აუდიოვიზუალური და სხვა სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელობის საკითხებში კვლევების ჩატარება, კონსულტირება, სასწავლო დაწესებულებებში მათი გამოყენების დაგეგმვა და ორგანიზება;
4. დოკუმენტაციისა და ანგარიშების მომზადება;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კონსულტანტი, სწავლების მეთოდიკა
- სასწავლო პროგრამების შემმუშავებელი
- სპეციალისტი, სწავლების საშუალებები

2352 სკოლის ინსპექტორები

სკოლის ინსპექტორები ამოწმებენ მასწავლებლების მუშაობას და კონკრეტული სასწავლო პროგრამის გამოყენებით მიღწეულ შედეგებს, აგრეთვე საჭიროების შეთხვევაში სთავაზობენ ცვლილებებსა და დამატებებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სკოლების პერიოდული ინსპექტირება და სასწავლო პროგრამების, სწავლების მეთოდების, სასკოლო აღჭურვილობისა და სხვა მსგავსი საკითხების განხილვა სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან;
2. გაკვეთილებზე დასწრება სწავლების მეთოდიკის შესწავლისა და მასწავლებლის მიერ გაკვეთილის ჩატარებისა და მიღწეული შედეგების შეფასების მიზნით;
3. ანგარიშების და რეკომედაციების შედგენა სკოლის ხელმძღვანელობისათვის სასწავლო გეგმის, აღჭურვილობის, სასწავლო პროგრამის, სწავლების მეთოდიკისა და სხვა საკითხების შესაძლო ცვლილების თაობაზე;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სკოლის ინსპექტორი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- სასწავლო ნაწილის გამგე - 1229

2359 განათლების სფეროს სხვა სპეციალისტ-პრიფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ეს ელემენტარული ჯგუფი შეიცავს განათლების სფეროს სხვა სპეციალისტ-პროფესიონალებს, რომლებიც არ არიან ჩართული მცირე ჯგუფის - 235 სხვა ელემენტარულ ჯგუფებში - სხვა პედაგოგები.

ქვეჯგუფი 24

სხვა სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში

სხვა სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში აწარმოებენ კვლევით სამუშაოებს, ამუშავებენ და სრულყოფენ თეორიებსა და მეთოდებს, და აგრეთვე პრაქტიკულად იყენებენ ცოდნას, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის გავრცელების, ბიზნესის ორგანიზების, ასევე ფილოსოფიის, სამართლის, ფსიქოლოგიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, ისტორიის, რელიგიის, სოციოლოგიის, სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების, სანახაობებისა და ხელოვნების საკითხებთან.

ამ ქვეჯგუფის სპეციალისტ-პროფესიონალების მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: ინფორმაციის და ბიზნესის ორგანიზებასთან დაკავშირებული მეთოდების გავრცელება; კანონის გამოყენება; ცოდნის გაღრმავება, კონსულტირება და პრაქტიკული გამოყენება, რომელიც მიღებულია ინდივიდუალური და ჯგუფური ქმედების, ენის განვითარების, ფილოსოფიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, საგანმანათლებლო, სოციალური, რელიგიური და სხვა დოქტრინების, კონცეფციების, თეორიების, სისტემებისა და ორგანიზაციების, მათი ისტორიული და მიმდინარე პერსპექტივების შესწავლის გზით; ხელოვნების ნიმუშების განზრახვა, შექმნა და შესრულება; სამეცნიერო დოკუმენტაციისა და ანგარიშების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ მოვალეობების სპეციფიურობის და მათი განხორციელების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე განათლების დონისა და პროფესიული მომზადების ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაძლოა ზოგიერთი პროფესიის კლასიფიცირება მოვახდინოთ ქვეჯგუფში 34 - სხვა ასოცირებული სპეციალისტები. ეს განსაკუთრებით ეხება პროფესიებს, რომლებიც კლასიფიცირებულია ელემენტარულ ჯგუფში 2446 - სოციალური მომსახურების სპეციალისტ-პროფესიონალები.

ამ მცირე ჯგუფის პროფესიები შედის შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებში:

241 კომერციული საქმიანობის სპეციალისტ-პროფესიონალები

242 სამართლის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები

243 არქივარიუსები, ბიბლიოთეკარები და ინფორმაციასთან დაკავშირებული მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

244 საზოგადოებრივი და მონათესავე მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები

245 ლიტერატორები და ხელოვნების მოღვაწეები

246 რელიგიის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები

მცირე ჯგუფი 241

კომერციული საქმიანობის სპეციალისტ-პროფესიონალები

კომერციული საქმიანობის სპეციალისტ-პროფესიონალები სრულყოფენ, უწევენ კონსულტაციებს, ან პრაქტიკულად იყენებენ მეთოდებს, რომელიც დაკავშირებულია ბიზნესის წარმართვასა და ორგანიზაციასთან.

შესასრულებელი მოვალეობები, ჩვეულებრივ, შეიცავს: ბუღალტრული მომსახურებების ან საკადრო პოლიტიკასა და პროფორიენტაციასთან დაკავშირებული მომსახურებების შესწავლას, დაგეგმვას, კონსულტირებასა და განხორციელებას; ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობას, როგორიცაა მარკეტინგი, რეკლამა, საზოგადოებრივი ურთიერთობები, დაპატენტების წესების გამოყენება, აგრეთვე ბიზნესის ორგანიზება; კონსულტირება შინამეურნეობის წარმართვის პრინციპებზე. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

2411 ბუღალტრები

2412 კადრებისა და პროფორიენტაციის სპეციალისტ-პროფესიონალები

2419 კომერციული საქმიანობის სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

2411 ბუღალტრები

ბუღალტრები იძლევიან კონსულტაციებს ბუღალტრულ საკითხებზე და ეწევიან საბუღალტრო და სააუდიტო მომსახურებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საბიუჯეტო და საბუღალტრო კონტროლისა და აგრეთვე საბუღალტრო საქმიანობის სხვა ასპექტებისა და სისტემების დაგეგმვა, დანერგვა და კონსულტირება;
2. საფინანსო ანგარიშების მომზადება და მათი უტყუარობის დამოწმება ხელმძღვანელების, აქციონერების, იურიდიული და სხვა კანონით დადგენილი პირებისათვის წარსადგენად;
3. საგადასახადო დეკლარაციების მომზადება, დაბეგვრის პრობლემებზე კონსულტირება და სადაო საკითხების დაყანება საგადასახადო კომისიის წინაშე;
4. საშემოსავლო და საბიუჯეტო პროგნოზებთან დაკავშირებული ანგარიშების და მოხსენებების მომზადება;
5. ფინანსური გამოძიებების წარმოება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ეჭვი გაყალბებაზე, გადახდისუუნარობა და გაკოტრება;
6. ბუღალტრული წიგნისა და ანგარიშგების შემოწმება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ბუღალტერი
- ბუღალტერი, ექსპერტიზა
- აუდიტორი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ასისტენტი, ბუღალტერია - 3434
- ბუღალტერი - 3433
- მდივანი, ანგარიშები - 4121

2412 კადრებისა და პროფორიენტაციის სპეციალისტ-პროფესიონალები

კადრებისა და პროფორიენტაციის სპეციალისტ-პროფესიონალები უწევენ პროფესიონალურ მომსახურებას ბიზნესის სფეროში, რომელიც უკავშირდება საკადრო პოლიტიკას, როგორიცაა მუშაკების დაქირავება, მათი დაწინაურება, პროფორიენტაცია და დასაქმების ანალიზი.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კონსულტირება და კადრებთან მუშაობა, დაკავშირებული მუშაკების დაქირავებასთან, თანამდებობაზე დანიშვნასთან, სწავლებასთან, სამსახურში დაწინაურებასთან, წახალისებასტან, ხელმძღვანელებისა და მუშაკების დამოკიდებულებასა და საკადრო პოლიტიკის სხვა სფეროებთან;

2. დაწესებულებაში შესრულებული სამუშაოს შესწავლა და აღწერა სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მათ შორის მუშაკების, კონტროლიორებისა და ხელმძღვანელების ინტერვიუირება, მიღებული მონაცემების საფუძველზე თანამდებობებისა და სამუშაოების დეტალური აღწერების შედგენა;
3. პროფესიებთან დაკავშირებული საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება ან პროფესიათა საკლასიფიკაციო სისტემების შემუშავება;
4. შრომისა და პროფესიული დასაქმების ანალიზის ზემოხსენებული და სხვა ასპექტების შემუშავება და კონსულტირება ისეთ სფეროებში, როგორიცაა პერსონალის მართვა, შტატების შესწავლა და მართვა, სწავლება, ინფორმაცია პროფესიებზე და პროფორიენტაცია;
5. ხალხის დაქირავების, კარიერის და შემდგომი განათლების ან სწავლების საკითხების შესწავლა და კონსულტირება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კონსულტანტი, კარიერა
- ანალიტიკოსი, შრომითი საქმიანობა
- ანალიტიკოსი, პროფესიონალური დასაქმება
- კონსულტანტი, პროფორიენტაცია

<u>2419 კომერციული საქმიანობის სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი</u>

ეს მცირე ჯგუფი შეიცავს კომერციული საქმიანობის სპეციალისტ-პროფესიონალებს, რომლებიც არ არიან კლასიფიცირებული მცირე ჯგუფის 241 - კომერციული საქმიანობის სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მაგალითად, აქ უნდა დაკლასიფიცირდეს ის, ვინც დაკავებულია იმ მეთოდების შესწავლით, კონსულტირებით, გამოყენებით, რაც დაკავშირებულია საწარმოს საქმიანობის სხვადასხვა აპექტებთან: მარკეტინგი, რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობები, დაპატენტების წესების გამოყენებასა და აგრეთვე ბიზნესის ორგანიზებასა და შინამეურნეობების წარმართვის პრინციპების გამოყენებასთან.

ასეთ შემთხვევებში მათ მოვალეობებში შედის:

1. გარკვეული ნაწარმისა ან მომსახურების რეალიზებისას ფასების არსებულ დონესთან დაკავშირებით კვლევების ჩატარება, დადგენა და კონსულტირება, აგრეთვე ბაზრის განვითარების ტენდენციებისა და პოტენციური შესაძლებლობების განსაზღვრა;
2. პროდუქციის სარეკლამო კამპანიების დაგეგმვა, კონსულტირება, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
3. საზოგადოებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული პროგრამების შესწავლა, კონსულტირება და განხორციელება, რომლის მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების გაუმჯობესება საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებით;
4. პატენტებთან დაკავშირებით კონსულტირება და განაცხადების შედგენაში დახმარება, რეგისტრაციისათვის დამტკიცებული განაცხადების განხილვა და პატენტის გაცემის დასაბუთებით ანგარიშების შედგენა;
5. ბიზნესის ორგანიზებასა და წარმართვასთან დაკავშირებული ფინანსური, სამართლებრივი, ორგანიზაციული, საბაზრო და სხვა ასპექტების შესწავლა და კონსულტირება;

6. შინამეურნეობების წარმართვის პრინციპების შესწავლა, ახსნა, ინფორმირება და კონსულტირება ოჯახის კეთლდღეობის უზრუნველყოფისა და ოპტიმალური სამომხმარებლო მოთხოვნილების ფორმირების მიზნით;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- პასუხისმგებელი ბუღალტერი, რეკლამა
- ანალიტიკოსი, ბაზრის შესწავლა
- შინამეურნეობების წარმართვის სფეროს ეკონომისტი
- სპეციალისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობები
- დაპატენტების აგენტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- კომპანიის მდივანი - 1231

მცირე ჯგუფი 242

სამართლის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები

სამართლის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ კვლევებს სამართლებრივ პრობლემებზე, აპროექტებენ კანონებსა და წესდებებს, კონსულტაციებს უწევენ კლიენტებს პრობლემის იურიდიულ ასპექტებზე, უძღვებიან დაცვასთან და ბრალდებასთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლოში ან წარმართავენ სასამართლო სხდომებს და გამოაქვთ განაჩენი სასამართლოში.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: კლიენტების კონსულტირება იურიდიულ საკითხებზე, კლიენტის სახელით კანონიერი ბიზნესის ორგანიზება, საჭიროების შემთხვევში დავების მოგვარება; სასამართლო სხდომების თავმჯდომარეობა და განაჩენის გამოცხადება სასამართლოებში. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

ამ მცირე ჯგუფის პროფესიები შედის შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებში:

2421 იურისტები

2422 მოსამართლეები

2429 სამართლის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

2421 იურისტები

იურისტები უწევენ იურიდიულ კონსულტაციებს კლიენტებს სხვადასხვა იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით, უძღვებიან დაცვასთან და ბრალდებასთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლოში, ინსტრუქციებს აძლევენ ვექილებსა და ადვოკატებს, რომლებიც გამოდიან უმაღლეს სასამართლო ინსტანციებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. იურიდიული პრობლემის თეორიული კვლევა და პრინციპების შემუშავება, რომელიც უნდა დაედოს საფუძვლად კანონმდებლობასა და სასამართლო გადაწყვეტილებებს;
2. კანონების პროექტირება და არსებული კანონმდებლობის საფუძველზე სამთავრობო დადგენილებების მომზადება;

3. კლიენტების, მთავრობის ჩათვლით, კონსულტირება სხვადასხვა იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით და კლიენტების სამართლებრივი ინტერესების წარდგენა ბიზნესში;
4. საქმის წარმართვაში კლიენტების დახმარება იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა იურიდიული პოლემიკა;
5. დავის დეტალების განხილვა ან დანაშაულის გარემოებების აღწერა, ფაქტებისა და მათი იურიდიული მნიშვნელობის დადგენის მიზნით;
6. მოსარჩელესა ან მოპასუხის განაცხადების და აგრეთვე მათ სასარგებლოდ ფაქტების მომზადება და მათი საქმეების წარმართვა სასამართლოში;
7. კლიენტების ინტერესების წარმოდგენა უმდაბლესი ინსტანციის სასამართლოებში და ბარისტერებისა და ადვოკატების ინსტრუქტირება, რომლებიც გამოდიან უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებში;
8. საქმეების მიღება და მათი განხილვა უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებში;
9. მთავრობის სახელით ბრალმდებლის რანგში კრიმინალური საქმეების განხილვა;
10. იურიდიული დოკუმენტების შედგენა;
11. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
12. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ადვოკატი
- რწმუნებული
- ბარისტერი
- იურისტი
- ბრალმდებელი
- იურისკონსულტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- კანტორის მოხელე, დოკუმენტების შედგენა უძრავ ქონებაზე უფლების გადაცემის გაფორმებისათვის - 3432
- კანტორის მოხელე, სასამართლო - 3432

2422 მოსამართლეები

მოსამართლეები ისმენენ და წარმართავენ საქმეებს სასამართლოებში, აძლევენ ინსტრუქციებს ნაფიც მსაჯულებს კანონის ცალკეული დებულებების შესახებ და გამოაქვთ განაჩენი სასამართლოებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საქმეების წარმართვა, არგუმენტებისა და ჩვენებების მოსმენა;
2. სასამართლო პროცედურების მართვა;
3. მონაწილე მხარეების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა, იმ შემთხვევაში როდესაც საქმეს წარმართავენ ნაფიცი მსაჯულები, ნაფიც მსაჯულთა კონსულტირება კანონის ცალკეული დებულებების შესახებ;
4. სასამართლო განაჩენის გამოცხადება;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სასამართლოს თავმჯდომარე
- მოსამართლე
- მოსამართლე, მაგისტრატი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოხელე, სასამართლო - 3432

<u>2429 სამართლის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი</u>

ეს ელემენტარული ჯგუფი შეიცავს სამართლის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალებს, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფის 242 - სამართლის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მაგალითად, აქ შეიძლება დაკლასიფიცირდნენ ის მუშაკები, რომელთა მოვალეობაა დაცვის, ან სასამართლო საქმეების, ან იურიდიული პროცესების მართვისაგან განსხვავებული იურიდიული ფუნქციების შესრულება.

ასეთ შემთხვევებში მათ მოვალეობებში შედის:

1. კონსულტაციების გაწევა სხვადასხვა საქმიანი, ადმინისტრაციული და პირადი პრობლემების იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით;
2. იურიდიული დოკუმენტებისა და კონტრაქტების შედგენა;
3. ქონების გადაცემის ორგანიზება;
4. გამოძიების საფუძველზე სიკვდილის მიზეზების დადგენა, რომელიც აშკარად არაა გამოწვეული ბუნებრივი მიზეზებით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კორონერი (მკვლელობების გამომძიებელი)
- იურისტი, ადვოკატებისა და მოსამართლეების გარდა
- ნოტარიუსი

მცირე ჯგუფი 243

არქივარიუსები, ბიბლიოთეკარები და ინფორმაციასთან დაკავშირებული მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

არქივარიუსები, ბიბლიოთეკარები და ინფორმაციასთან დაკავშირებული მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები ინახავენ და ზრდიან არქივების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სამხატვრო გალერეების და სხვა მსგავსი დაწესებულებების ფონდებს.

შესასრულებელი ამოცანები როგორც წესი, შემდეგია: კვლევების ჩატარება, ისტორიული, კულტურული და მხატრული ღირებულებების მქონე არქივის მასალებისა და ექსპონატების შეკრება, შეფასება და დაცულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; კოლექციებისა და ექსპოზიციების ორგანიზება მუზეუმებში, სამხატრო გალერეებში და მსგავს დაწესებულებებში; ჩაწერილი და გამოქვეყნებული მასალების სისტემატური შევსება, მომსახურება და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკებსა და მონათესავე დაწესებულებების

მომხმარებლებისათვის; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

ამ მცირე ჯგუფის პროფესიები იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

2431 არქივარიუსები და მუზეუმის მცველები

2432 ბიბლიოთეკარები და ინფორმაციასთან დაკავშირებული მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2431 არქივარიუსები და მუზეუმის მცველები

არქივარიუსები და მუზეუმის მცველები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, აგროვებენ და აფასებენ საარქივო მასალებსა და ექსპონატებს, რომლებიც წარმოადგენენ ისტორიულ, კულტურულ და მხატრულ ღირებულებას, აგრეთვე უზრუნველყოფენ ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა ექსპონატების დაცულობასა და უსაფრთხოებას მუზეუმებსა და სამხატვრო გალერეებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება, ისტორიულად მნიშვნელოვანი და ფასეული დოკუმენტების შეგროვება, შეფასება, ორგანიზება და შენახვა, როგორიცაა სამთავრობო დოკუმენტები, პირადი ქაღალდები, ფოტოსურათები, ხმოვანი ჩანაწერები და ფილმები;
2. საძიებლების, ბიბლიოგრაფიების, მიკროფილმების ასლების და მოგროვებული მასალების სხვა საცნობარო დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადების ორგანიზება და ხელმძღვანელობა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მომხმარებლებისათვის;
3. ორიგინალების კვლევა, მასალებისა და ნივთების განაწილება და გამოყენება, რომლებიც წარმოადგენენ კულტურულ და მხატვრულ ინტერესს;
4. ხელოვნური, კულტურული, სამეცნიერო ან ისტორიული მნიშვნელობის საგნების ორგანიზება, შევსება და მომსახურება მუზეუმებსა და სამხატვრო გალერეებში;
5. მუზეუმებისა და სამხატვრო გალერეების კრებულების, კლასიფიკაციებისა და კატალოგების შედგენა და ხელმძღვანელობა, ასევე გამოფენების ორგანიზება;
6. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- არქივარიუსი
- მცველი, სამხატვრო გალერეა
- მცველი, მუზეუმი

2432 ბიბლიოთეკარები და ინფორმაციასთან დაკავშირებული მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

ბიბლიოთეკარები და ინფორმაციასთან დაკავშირებული მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები აგროვებენ და ინახავენ ჩაწერილ და გამოქვეყნებულ მასალებს, დაკავებული არიან მათი აღდგენით და მოთხოვნის შესაბამისად აწვდიან მომხმარებელს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. წიგნების, პერიოდიკის და სხვა ნაბეჭდი ან აუდიო-ვიზუალური ჩაწერილი მასალების სისტემატური კრებულების შევსება, ორგანიზება და მომსახურება;
2. წიგნების და სხვა ნაბეჭდი ან აუდიო-ვიზუალური ჩაწერილი მასალების შერჩევა და შეძენასთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაწვა;
3. საბიბლიოთეკო მასალების ორგანიზება, კლასიფიცირება და კატალოგში შეტანა;
4. წიგნებისა და საინფორმაციო ქსელების დროებითი მოხმარების სისტემების ორგანიზება და ხელმძღვანელობა;
5. მასალების აღდგენა და საკუთარი ფონდებიდან ან საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ქსელებიდან მოძიებული ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლისთვის;
6. კვლევების ჩატარება, საბიბლიოთეკო და სხვა მომსახურების ანალიზი და შეცვლა მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად;
7. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინფორმაციასთან დაკავშირებული სპეციალისტი, კომერციული მომსახურება
- ინფორმაციასთან დაკავშირებული სპეციალისტი, ტექნიკური ინფორმაცია
- ბიბლიოთეკარი

მცირე ჯგუფი 244

საზოგადოებრივი და მონათესავე მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები

საზოგადოებრივი და მონათესავე მეცნიერებების სპეციალისტ-პროფესიონალები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ამუშავებენ და სრულყოფენ კონცეფციებს, თეორიებსა და სამუშაო მეთოდებს, პრაქტიკულად იყენებენ ცოდნას, რომელიც დაკავშირებულია ფილოსოფიასთან, პოლიტიკასთან, ეკონომიკასთან, სოციოლოგიასთან, ანთროპოლოგიასთან, ისტორიასთან, ფილოლოგიასთან, ლინგვისტიკასთან, ფსიქოლოგიასა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან; ასევე უწევენ სოციალურ მომსახურებებს.

შესასრულებელი ამოცანები როგორც წესი, შემდეგია: არსებული და პროგნოზირებადი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების ფორმულირება და პრაქტიკული გადაწყვეტა; წარსული მოვლენებისა და საქმიანობის, კაცობრიობის წარმოშობისა და ევოლუციის კვლევა და ანალიზი; ენების წარმოშობისა და განვითარების შესწავლა; ცალკეული პიროვნებისა და ჯგუფების ქცევისა და გონებრივი განვითარების პროცესების შესწავლა; სოციალური მომსახურების გაწევა; სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის და მათი განხორციელების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე განათლებისა და პროფესიული მომზადების დონის ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით, ზოგიერთი აღნიშნული პროფესიის კლასიფიცირება შეიძლება მოვახდინოთ მცირე ჯგუფში 346 - სოციალური სამსახურის დამხმარე პერსონალი. ეს ეხება განსაკუთრებით ისეთ პროფესიებს, რომლებიც კლასიფიცირებულია ელემენტარულ ჯგუფში 2446 - სოციალური მომსახურების სპეციალისტ-პროფესიონალები.

ამ მცირე ჯგუფის პროფესიები იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

2441 ეკონომისტები

2442 სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

2443 ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და პოლიტოლოგები

2444 ფილოლოგები, მთარგმნელები და თარჯიმნები

2445 ფსიქოლოგები

2446 სოციალური მომსახურების სპეციალისტ-პროფესიონალები

2441 ეკონომისტები

ეკონომისტები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის, მომსახურებისა და შრომის ნაციონალური და საერთაშორისო ბაზრის მდგომარეობის განსაზღვრისა და აღწერისათვის გამოსაყენებელი ეკონომიკური თეორიების, კონცეფციებისა და მეთოდების სრულყოფასა და განვითარებასთან, აგრეთვე უწევენ კონსულტაციებს, იყენებენ ცოდნას ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვისათვის და არსებული და პროგნოზირებადი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სხვადასხვა ეკონომიკური საკითხების შესწავლა, კონსულტირება და განხილვა, როგორიცაა წარმოებისა და მარკეტინგის ხერხები, ნაციონალური და საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციები, სავალუტო, ფისკალური და საფასო პოლიტიკა, შრომითი დასაქმება, შემოსავლები, მწარმოებლურობა და ხარჯები;
2. ეკონომიკური მონაცემების შეგროვება, ანალიზი და ინტერპრეტაცია ეკონომიკური თეორიების, აგრეთვე სტატისტიკური და სხვა მეთოდების გამოყენებით;
3. კონსულტირება ეკონომიკური პოლიტიკისა და მოქმედების მიმართულების არჩევის საკითხებში წარსული, არსებული და მოსალოდნელი ეკონომიკური ფაქტორებისა და ტენდენციების გათვალისწინებით;
4. სამეცნიერო დოკუმენტაციისა და ანგარიშების მომზადება;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ეკონომისტი, ეკონომეტრიკა
- ეკონომისტი

2442 სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები

სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები იკვლევენ და აღწერენ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, კაცობრიობის წარმოშობას და ევოლუციას, გარემო პირობებისა და ადამიანის საქმიანობების ურთიერთ-დამოკიდებულებას, ასევე უზრუნველყოფენ მიღებული ცოდნის ხელმისაწვდომობას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კვლევების ჩატარება საზოგადოების წარმოშობის, განვითარების, სტრუქტურის, სოციალური საფუძვლების, ორგანიზებისა და ურთიერთმიმართებების შესახებ;

2. კაცობრიობის წარმოშობისა და ევოლუციის შესწავლა კულტურული და სოციალური ინსტიტუტების ცვალებადი მახასიათებლების საფუძველზე;
3. კაცობრიობის განვითარებაზე დაკვირვების წარმოება წარსულის მატერიალური ნარჩენების შესწავლის გზით, როგორიცაა საცხოვრებლები, ტაძრები, ინსტრუმენტები, თიხის ნაკეთობები, მონეტები, იარაღი ან ქანდაკებები;
4. რეგიონებისა და ზონების ფიზიკური და კლიმატური ასპექტების შესწავლა და ამ ფაქტორებსა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ საქმიანობას შორის კავშირის დადგენა;
5. კონსულტირება მოსახლეობის ჯგუფებისა და რეგიონებისათვის და აგრეთვე ბაზრის განვითარებისათვის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ფორმირებისას მიღებული შედეგების პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებით;
6. სამეცნიერო დოკუმენტაციისა და ანგარიშების მომზადება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ანთროპოლოგი
- არქეოლოგი
- ეთნოლოგი
- გეოგრაფი
- სოციოლოგი

2443 ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და პოლიტოლოგები

ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და პოლიტოლოგები მუშაობენ ისეთი დარგების არგუმენტებზე დაყრდნობით, როგორიცაა გნოსეოლოგია, მეტაფიზიკა ან ეთიკა. ისინი აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, დაკავშირებულს წარსულის მოვლენებისა და პროცესების, მათ შორის სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურების, ან კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუტებისა და მოძრაობების განვითარების აღწერასთან, ასევე უზრუნველყოფენ არსებული ცოდნის ხელმისაწვდომობას პოლიტიკური, დიპლომატიური და მსგავსი სტრატეგიისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კვლევების წარმოება ძირითადად მსჯელობის გზით საზოგადოების, ადამიანის საქმიანობის, გამოცდილებისა და არსებობის ზოგადი მიზეზების, ცნებებისა და პრინციპების შესახებ, ასევე ფილოსოფიური კონცეფციებისა და თეორიების განვითარება და ინტერპრეტაცია;
2. პირველადი წყაროების კონსულტირება და შედარება, როგორიცაა წარსულის მოვლენების ორიგინალური და თანამედროვე ჩანაწერები და მეორადი წყაროების, როგორიცაა არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური ნამარხები;
3. საქმესთან დაკავშირებული მასალების მოძიება, მათი უტყუარობის შემოწმება, კონკრეტული პერიოდის, ქვეყნის, რეგიონისა ან გარკვეული ისტორიული ასპექტის, მაგალითად ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, ისტორიის გამოკვლევა და აღწერა;
4. კვლევების წარმოება ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკური ფილოსოფია, წარსულისა და აწმყოს პოლიტიკური სისტემების, ინსტიტუტებისა და ქცევების წარსული და თანამედროვე თეორია და პრაქტიკა.

5. თანამედროვე პოლიტიკური ინსტიტუტების მუშაობის შესწავლა და მათზე მონაცემების შეგროვება სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების წევრებთან და სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან გასაუბრების საფუძველზე;
6. მონაცემებისა და დასკვნების წარმოდგენა პუბლიკაციისათვის ან სამთავრობო, პოლიტიკური პარტიების ან ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ გამოყენებისათვის;
7. სამეცნიერო დოკუმენტაციისა და ანგარიშების მომზადება;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ისტორიკოსი
- ფილოსოფოსი
- პოლიტოლოგი

2444 ფილოლოგები, მთარგმნელები და თარჯიმნები

ფილოლოგები, მთარგმნელები და თარჯიმნები სწავლობენ ენების სტრუქტურას, წარმოშობას და განვითარებას და ზეპირი ან წერითი სახით თარგმნიან ერთი ენიდან მეორე ენაზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ძველი ენების საფუძვლებსა და თანამედროვე ენათა ჯგუფებს შორის კავშირის შესწავლა, სიტყვების, გრამატიკული და ენობრივი ფორმების წარმოშობისა და ევოლუციის გამორკვევა და მიღებული შედეგების წარმოდგენა;
2. ენობრივი კლასიფიკაციების სისტემების, გრამატიკის წიგნების, ლექსიკონებისა და სხვა მსგავსი სახელმძღვანელოების მომზადება და კონსულტირება;
3. ერთი ენიდან თარგმნა მეორეზე და ორიგინალის სწორი მნიშვნელობის დაცულობის, იურიდიული, ტექნიკური და სამეცნიერო ნაშრომების თარგმნის სიზუსტის, ასევე ლიტერატურული ნაწარმოების ფრაზეოლოგიის, ტერმინოლოგიის, სულისა და სტილის მაქსიმალურად ზუსტი გადაცემის უზრუნველყოფა;
4. კომპიუტერზე გამოსაყენებელი მეთოდიკებისა და სხვა ინსტრუმენტარის განვითარება თარგმანის პროდუქტიულობისა და ხარისხის სრულყოფის მიზნით;
5. ერთი ენიდან მეორე ენაზე ზეპირი თარგმანის შესრულება, ძირითადად კონფერენციებზე, შეხვედრებსა და სხვა მსგავს ღონისძიებებზე, შინაარსის სისწორის დაცვა და ტექსტის დედნის არსის მაქსიმალური შენარჩუნება;
6. სამეცნიერო დოკუმენტაციისა და ანგარიშების მომზადება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- თარჯიმანი
- ლექსიკოგრაფი
- ფილოლოგი
- მთარგმნელი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- რედაქტორი - 2451

2445 ფსიქოლოგები

ფსიქოლოგები აწარმოებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს და სწავლობენ ფსიქიურ პროცესებსა და ადამიანის ქცევებს, როგორც ცალკეული პიროვნებების, ასევე ჯგუფების, იძლევიან კონსულტაციებს და იყენებენ არსებულ ცოდნას სოციალური, საგანმანათლებლო და პროფესიული პროცესების რეგულირებისა და პიროვნების განვითარების მიზნით;

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტესტების დაგეგმვა და განხორციელება ადამიანის გონებრივი, ფიზიკური და სხვა მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით, როგორიცაა ინტელექტი, შესაძლებლობები, მიდრეკილება, უნარები და ა.შ., შედეგების შეფასება და ინტერპრეტირება, და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების გაწევა;
2. ადამიანის აზროვნებასა და ქცევაზე მემკვიდრეობის, სოციალური, პროფესიული და სხვა ფაქტორების ზეგავლენის ანალიზი;
3. კონსულტაციების გაწევა და თერაპიული საუბრების ჩატარება ცალკეულ პრებთან და ჯგუფებთან და მსგავსი მომსახურების გაწევა;
4. საჭირო კონტაქტების დამყარება, მაგალითად ოჯახის წევრებთან, სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ან დამსაქმებლებთან, რეკომენდაციების გაწევა შესაძლო გადაწყვეტილებების მიღებასა და პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით;
5. ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლა დიაგნოზირების, მკურნალობისა და ემოციური და პიროვნული დარღვევების პრევენციული ზომების მიღებისას და კონსულტაციები მონათესავე პროფესიების სპეციალისტებთან;
6. სამეცნიერო დოკუმენტაციისა და ანგარიშების მომზადება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ფსიქოლოგი

2446 სოციალური მომსახურების სპეციალისტ-პროფესიონალები

სოციალური მომსახურების სპეციალისტ-პროფესიონალები ეხმარებიან კლიენტებს სოციალური და სხვა მსგავსი საკითხების მოგვარებაში, რათა შეძლონ სათანადო რესურსების მოძიება და გამოყენება პრობლემების მოსაგვარებლად და კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ცალკეული პირებისა და ოჯახების დახმარება პირადული და სოციალური პრობლემების მოგვარებაში;
2. ინფორმაციების შეგროვება კლიენტების მოთხოვნების შესაბამისად და მათი კონსულტირება თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების საკითხებში;
3. კლიენტის სიტუაციის გაანალიზება და პრობლემის მოგვარების ალტერნატიული მიდგომის წარმოდგენა;

4. დოკუმენტების შეგროვება და მოხსენებების შედგენა სასამართლოში ან სხვა იურიდიულ ინსტანციებში საქმეების გადასაცემად;
5. სოციალური უზრუნველყოფის სფეროს სხვადასხვა სახის მომსახურების დაგეგმვა, შეფასება, სრულყოფა და განვითარება;
6. სამუშაოების შესრულება სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე დამნაშავეების რეაბილიტაცია სოციალური, რეკრეაციული და საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებისა და მართვის გზით, ან სხვა ხერხებით ახალგაზრდულ კლუბებში, საზოგადოებრივ ცენტრებში და მსგავს დაწესებულებებში;
7. ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდული ადამიანების დახმარება შესაბამისი მკურნალობის მიღებაში და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობების გაუმჯობესებაში;
8. სახლში მომსახურების დაგეგმვა, ორგანიზება და უზრუნველყოფა;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სოციალური მუშაკი, სპეციალისტ-პროფესიონალი
- სოციალური მუშაკი, სპეციალისტ-პროფესიონალი/საწარმო
- სოციალური მუშაკი საზოგადოებრივი კეთილდღეობის საქმეში, სპეციალისტ-პროფესიონალი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- სოციალური მუშაკი, დამხმარე პერსონალი - 3460
- სოციალური მუშაკი, დამხმარე პერსონალი/საწარმო - 3460
- სოციალური მუშაკი საზოგადოებრივი კეთილდღეობის საქმეში, დამხმარე პერსონალი - 3460

მცირე ჯგუფი 245

ლიტერატორები და ხელოვნების მოღვაწეები

ლიტერატორები და ხელოვნების მოღვაწეები ქმნიან ან ასრულებენ ლიტერატურულ, დრამატულ, მუსიკალურ და სხვა სახის ხელოვნების ნიმუშებსა და ნაწარმოებებს.

შესასრულებელი მოვალეობები, როგორც წესი, მოიცავს: ლიტერატურულ სამუშაოებს; ლიტერატურული და სხვა სახის ხელოვნების ნიმუშების მნიშვნელობისა და ღირებულების შეფასებას; მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და მათ აღწერას; ქანდაკებების, ნახატების, გრავიურებისა და კარიკატურების შექმნას; ნახატების რესტავრაციას; მუსიკალური ნაწარმოებების შექმნას; დრამატულ სპექტაკლებში როლების შესრულებას, ან ცეკვას, ან სპექტაკლების რეჟისორობას. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენატრულ ჯგუფებად:

2451 მწერლები, ჟურნალისტები და სხვა ავტორები

2452 მოქანდაკეები, მხატვრები და მონათესავე ხელოვანები

2453 კომპოზიტორები, მუსიკოსები და მომღერლები

2454 ქორეოგრაფები და მოცეკვავეები

2455 ფილმის, თეატრისა და მონათესავე სფეროების მსახიობები და რეჟისორები

2451 მწერლები, ჟურნალისტები და სხვა ავტორები

მწერლები, ჟურნალისტები და სხვა ავტორები ქმნიან ლიტერატურულ ნაწარმოებებს პუბლიკაციის, ან დრამატული წარმოდგენებისათვის, აფასებენ მხატვრული, ლიტერატურული ნაწარმოებებისა და ხელოვნების ნიმუშების ღირსებებს, ასევე წერენ და ბეჭდავენ ახალ ამბებს, სხვადასხვა მოთხრობებსა და კომენტარებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ლიტერატურული ნაწარმოებების ჩაფიქრება და შექმნა პუბლიკაციისა ან დრამატული წარმოდგენებისათვის;
2. სხვადასხვა სცენარებისა და პროგრამების მომზადება თეატრში, კონოში, რადიოსა და ტელევიზიაში წარმოდგენებისთვის;
3. ლიტერატურული, მუსიკალური და ხელოვნების სხვა ნიმუშების შეფასება და აღწერა;
4. ახალი ამბების შეგროვება და მიმდინარე მოვლენების გადმოცემა და კომენტირება გაზეთების, ჟურნალების, ან ტელე და რადიოგადაცემების საშუალებით;
5. პოლიტიკოსებისა და სხვა საზოგადოებრივი მოღვაწეებისაგან ინტერვიუს აღება პრეს-კონფერენცებზე და სხვა ღონისძიებებზე, ინდივიდუალური ინტერვიუების ჩათვლით, რადიოსა და ტელევიზიისათვის;
6. რედაქციული სტატიების დაწერა და განსახილველად წარდგენილი სტატიებისა და სხვა მასალების შერჩევა, შესწორება, დაკაბადონება და რედაქტირება გაზეთებსა და ჟურნალებში პუბლიკაციისათვის;
7. წიგნის სახით პუბლიკაციისათვის წარდგენილი ხელნაწერების შეფასება, მათთვის რეკომენდაციების დაწერა და რედაქტირება, ან მასალების რედაქტირების პროცესის ხელმძღვანელობა;
8. სარეკლამო ტექსტების დაწერა კონკრეტული პროდუქტებისა ან მომსახურების რეკლამირებისათვის;
9. კომერციული ან სხვა ორგანიზაციების შესახებ სარეკლამო მასალების შეგროვება და მომზადება პუბლიკაციისათვის პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და მედიის სხვა საშუალებებისათვის;
10. ბროშურების, ცნობარებისა და მსგავსი სპეციალური პუბლიკაციების შემუშავება და შექმნა;
11. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
12. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ლიტერატორი
- ტექსტის შემდგენელი, სარეკლამო
- კრიტიკოსი
- რედაქტორი
- ჟურნალისტი
- ტექსტის შემდგენელი, სპეციალური

2452 მოქანდაკეები, მხატვრები და მონათესავე ხელოვანები

მოქანდაკეები, მხატვრები და მონათესავე ხელოვანები ქმნიან ხელოვნების ნიმუშებს ქანდაკებებს, ნახატებს, სურათებს, კარიკატურებს, გრავიურებსა ან სხვა მსგავსი ტექნოლოგიით შესრულებულ ნიმუშებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამგანზომილებიანი ან რელიეფური გამოსახულებებისა ან აბსტრაქტული ფორმების შექმნა ისეთი მასალების გამოყენებითა და კომბინირებით, როგორიცაა ხე, ქვა, თიხა ან ლითონი;

2. გამოსახულებების ან აბსტრაქტული ნახატებისა და სურათების შექმნა ფანქრის, მელნის, ცარცის, ზეთის საღებავის, აკვარელის ან სხვა საშუალებების გამოყენებით;
3. ნახატების შექმნა და გრავირება ლითონის, ხისა და სხვა მსგავსი მასალებისაგან;
4. მულტიპლიკაციის შექმნა, რომელიც გამოსახავს ადამიანებსა და სხვადასხვა მოვლენებს, ხშირად კარიკატურის სახით;
5. ილუსტრაციებისა და ნახატების შექმნა წიგნების, ჟურნალების, რეკლამებისა და სხვა მსგავსი მიზნებისათვის;
6. დაზიანებული, დასვრილი და გამოხუნებული ნახატებისა და ხელოვნების სხვა ნიმუშების რესტავრაცია;
7. მინიატურების შექმნა;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მხატვარი, კომერციული
- კარიკატურისტი
- გრავიორი, მხატვრული
- მხატვარი, პორტრეტი
- რესტავრატორი, სურათი
- მოქანდაკე

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- დიზაინერი, საწარმოო პროდუქცია - 3471

2453 კომპოზიტორები, მუსიკოსები და მომღერლები

კომპოზიტორები, მუსიკოსები და მომღერლები ქმნიან ან ადაპტირებას უკეთებენ მუსიკალურ ნაწარმოებებს და დირიჟორობენ ან მონაწილეობენ ამ ნაწარმოებების შესრულებაში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მუსიკალური ნაწარმოებების შექმნა;
2. მუსიკის არანჟირება ან ადაპტირება კონკრეტული ინსტრუმენტული ჯგუფების, ინსტრუმენტების ან ღონისძიებისათვის;
3. ინსტრუმენტული ან ვოკალური ჯგუფების ხელმძღვანელობა;
4. ერთ ან რამდენიმე ინსტრუმენტზე დაკვრა სოლისტის ან ორკესტრის წევრის რანგში;
5. სიმღერების შესრულება სოლისტის ან ვოკალური ჯგუფის წევრის რანგში;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კომპოზიტორი, მუსიკა
- დირიჟორი, ორკესტრი
- დირიჟორი, ვოკალური ჯგუფი

- ინსტრუმენტალისტი
- ორკესტრის წევრი
- მომღერალი, ოპერა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ბენდის ხელმძღვანელი - 3473
- მუსიკოსი, ქუჩის - 3473
- მომღერალი, ქუჩის - 3473

2454 ქორეოგრაფები და მოცაკვავეები

ქორეოგრაფები და მოცაკვავეები დგამენ ან ასრულებენ ცეკვებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ცეკვების ჩაფიქრება და დადგმა სადაც სიუჟეტი, თემა, იდეა, ხასიათი გადმოიცემა გარკვეული საცეკვაო ნაბიჯების, მოძრაობებისა და ჟესტების საშუალებით;
2. ცეკვების შესრულება სოლისტის რანგში, პარტნიორთან ან ქორეოგრაფიულ ჯგუფთან ერთად;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ქორეოგრაფი
- მოცეკვავე, ბალეტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოცეკვავე, ღამის კლუბი - 3473

2455 ფილმის, თეატრისა და მონათესავე სფეროების მსახიობები და რეჟისორები

კინოს, თეატრისა და მონათესავე სფეროების მსახიობები და რეჟისორები ხელმძღვანელობენ, ან იღებენ მონაწილეობას კინოგადაღებებში, რადიო და სატელევიზიო დადგმებსა და სპექტაკლებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. როლებისა და რეპლიკების სწავლა და როლების შესრულება სპექტაკლებში, რადიო ან სატელევიზიო დადგმებში;
2. სხვადასხვა ისტორიების თხრობა ან ლიტერატურული ნაწარმოებების ხმამაღლა წაკითხვა მსმენელების სწავლების ან გართობის მიზნით;
3. სცენარების შესწავლა მათი არტისტული ინტერპრეტირების მიზნით, სასცენო, სატელევიზიო და რადიო დადგმების ყველა ასპექტის ხელმძღვანელობა, მათ შორის მსახიობების შერჩევა, საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება კოსტუმების, დიზაინის, მუსიკისა და განათების შესახებ;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მსახიობი
- რეჟისორი, ფილმი
- რეჟისორი, თეატრი
- მთხრობელი, რადიო ან ტელევიზია

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- კლოუნი- 3474
- იმპრესარიო - 1229
- პროდიუსერი, თეატრი - 1229
- თეატრის მენეჯერი - 1229

მცირე ჯგუფი 246

რელიგიის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები

რელიგიის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები გამოდიან როგორც სულიერი ტრადიციების, პრაქტიკის, რწმენის დოგმების მცველები, ასრულებენ საეკლესიო მსახურებას და წეს-ჩვეულებებს, ხელმძღვანელობენ რიტუალებს შემოქმედებითი, მოსანანიებელი, მხსნელი შედეგების მისაღწევად და ახორციელებენ მსხვერპლად შეწირვებს.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: სასულიერო ტრადიციების, პრაქტიკისა და რწმენის დოგმების დაცვა; რელიგიური მსახურების, წეს-ჩვეულებებისა და ცერემონიების ჩატარება; სხვადასხვა ადმინისტრაციული და სოციალური მოვალეობების შესრულება გარკვეული რელიგიური ორგანიზაციის ფარგლებში; სულიერი და მორალური მხარდაჭერის გაწევა კონკრეტული რელიგიური აღმსარებლობის შესაბამისად; რელიგიური ქადაგებების მომზადება და ქადაგება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენატრულ ჯგუფად:

2460 რელიგიის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები

2460 რელიგიის სპეციალისტ-პროფესიონალები

რელიგიის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები გამოდიან როგორც სულიერი ტრადიციების, პრაქტიკის, რწმენის დოგმების დამცველები, ასრულებენ საეკლესიო მსახურებას და წეს-ჩვეულებებს, ხელმძღვანელობენ რიტუალებს შემოქმედებითი, მოსანანიებელი, მხსნელი შედეგების მისაღწევად, ახორციელებენ მსხვერპლად შეწირვებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სულიერი ტრადიციების, პრაქტიკისა და რწმენის დოგმების დაცვა;
2. რელიგიური მსახურების, წეს-ჩვეულებებისა და ცერემონიების ჩატარება;
3. სხვადასხვა ადმინისტრაციული და სოციალური მოვალეობების შესრულება, მათ შორის რელიგიური ორგანიზაციების შეხვედრებზე და სხდომებზე დასწრება;
4. სულიერი და მორალური ხელმძღვანელობა კონკრეტული რელიგიური აღმსარებლობის შესაბამისად;
5. რელიგიური მოძღვრებების მომზადება თავის ქვეყანაში ან საზღვარგარეთ;

6. რელიგიური ქადაგებების მომზადება და ქადაგება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ბონზე
- იმამი
- წინამძღოლი, რელიგია
- ბერი, პროფესიონალი
- მონაზონი, პროფესიონალი
- პუჯარი
- მღვდელი
- რაბინი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ბერი, დამხმარე პერსონალი - 3480
- მონაზონი, დამხმარე პერსონალი - 3480
- მქადაგებელი, არაპროფესიონალი - 3480

ძირითადი ჯგუფი 3

სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი

სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი ასრულებს ძირითადად ტექნიკურ და შინაარსობრივად მონათესავე სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება სამეცნიერო, სოციალური, სახელმწიფო, კომერციული ან მხატრული კონცეფციების, პრინციპების, წესებისა და მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებას და აგრეთვე სწავლებას გარკვეული საგანმანათლებლო დონის შესაბამისად. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის III დონე.

სპეციალისტებისა და დამხმარე პერსონალის შესასრულებელ მოვალეობებში როგორც წესი, შედის: ტექნიკური სამუშაოების განხორციელება, რომლებიც უკავშირდება საბუნებისმეტყველო, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და საზოგადოებრივი მეცნიერებების და აგრეთვე საინჟინრო ტექნოლოგიებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების კონცეფციებისა და მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებას; მოვალეობებში ასევე შედის: დაწყებით და სკოლამდელმ დონეზე ბავშვების სწავლება, ინვალიდების სწავლება; სხვადასხვა ტექნიკური მომსახურებების გაწევა, რომელიც უკავშირდება ვაჭრობას, ფინანსებს, ადმინისტრირებას, სახელმწიფო კანონებისა და ნორმატიული აქტების მუხლების ადმინისტრირების ჩათვლით და სოციალურ სამუშაოებს; მხატვრული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება; ზოგიერთი რელიგიური ფუნქციების შესრულება; შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

სპეციალისტებს და დამხმარე პერსონალს შესაძლოა ხელმძღვანელობა გაუწიონ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებმა, მენეჯერებმა ან სპეციალისტ-პროფესიონალებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი განხორციელების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემის ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, მართებული იქნება ზოგიერთი პროფესიის კლასიფიცირება მოვახდინოთ ძირითად ჯგუფში 2 - სპეციალისტ-პროფესიონალები.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

31 ფიზიკური და ტექნიკური მეცნიერებების სპეციალისტები

32 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი

33 განათლების სფეროს დამხმარე პერსონალი

34 სხვა დამხმარე პერსონალი

ქვეჯგუფი 31

ფიზიკური და ტექნიკური მეცნიერებების სპეციალისტები

ფიზიკური და ტექნიკური მეცნიერებების სპეციალისტები ასრულებს ტექნიკურ სამუშაოებს, რაც უკავშირდება ფიზიკური მეცნიერებების, ასევე კომპიუტერული და სხვა ტექნიკური დარგების კონცეფციებისა და საექსპლუატაციო მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებას; აკონტროლებენ და ექსპლუატაციას უწევენ ტექნიკურ მოწყობილობებს, საფრენ აპარატებს, გემებს, ასევე ამოწმებენ საწარმოო და სხვა პროცესების უსაფრთხოების ასპექტებს.

ამ ქვეჯგუფის სპეციალისტების მიერ შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: ტექნიკური სამუშაოების განხორციელება ფიზიკური მეცნიერებების, ასევე კომპიუტერული და სხვა ტექნიკის სფეროებში; ოპტიკური, ელექტრონული და სხვა მასთან დაკავშირებული მოწყობილობებისა და სისტემების კონტროლი და ექსპლუატაცია, ასევე საფრენი და სანავიგაციო ხომალდების მართვა; მშენებლობის, მოწყობილობების, საწარმოო პროცესებისა და პროდუქციის უსაფრთხოების წესებისა და სტანდარტების გამოყენების კონტროლი. მათ შესაძლოა

ხელმძღვანელობა გაუწიონ მაღალი რანგის თანამდებობის პირებმა, მენეჯერებმა ან სპეციალისტ-პროფესიონალებმა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

311 ფიზიკური და ტექნიკური მეცნიერებების ტექნიკოსები

312 დამხმარე პერსონალი კომპიუტერული მომსახურების სფეროში

313 ოპტიკური და ელექტრონული მოწყობილობის ოპერატორები

314 სანაოსნო და საჰაერო ხომალდების კონტროლიორები და ტექნიკური სპეციალისტები

315 უსაფრთხოებისა და ხარისხის ინსპექტორები

მცირე ჯგუფი 311

ფიზიკური და ტექნიკური მეცნიერებების ტექნიკოსები

ფიზიკური და ტექნიკური მეცნიერებების ტექნიკოსები ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს ფიზიკურ მეცნიერებებთან დაკავშირებული კონცეფციების, პრინციპებისა და საექსპლუატაციო მეთოდების კვლევისა და პრაქტიკული გამოყენების სფეროში, საინჟინრო საქმიანობის, ტექნიკური ხაზვის (კონსტრუირების), საწარმოო პროცესების ეკონომიკური ეფექტიანობის ჩათვლით.

შესასრულებელ მოვალეობებში როგორც წესი, შედის: ტექნიკური სამუშაოების განხორციელება ისეთ დარგებში, როგორიცაა ქიმია, ფიზიკა, გეოლოგია, მეტეოროლოგია, ასტრონომია, ასევე ინჟინერია, ტექნიკური პროექტირება და წარმოების პროცესების ეკონომიკური ეფექტიანობა. შესაძლებელია მათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მენეჯერებმა ან სპეციალისტ-პროფესიონალებმა. შესაძლებელია ამ მოვალეობებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

3111 ქიმიური და ფიზიკური მეცნიერებების ტექნიკოსები

3112 სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკოსები

3113 ელექტროტექნიკოსები

3114 ელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციების ტექნიკოსები

3115 მექანიკური მოწყობილობების ტექნიკოსები

3116 ქიმიური მანქანა-მოწყობილობების ტექნიკოსები

3117 სამთომოპოვებითი და მეტალურგიული მრეწველობის ტექნიკოსები

3118 მხაზველები

3119 ფიზიკურ და ტექნიკურ მეცნიერებათა სპეციალისტები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

3111 ქიმიური და ფიზიკური მეცნიერებების ტექნიკოსები

ქიმიური და ფიზიკური მეცნიერებების ტექნიკოსები ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება ქიმიის, ფიზიკის, გეოლოგიის, გეოფიზიკის, მეტეოროლოგიისა და ასტრონომიის დარგების კვლევებს, ასევე გამოკვლევების შედეგების სამრეწველო, სამედიცინო, სამხედრო და პრაქტიკული გამოყენების სხვა სფეროების განვითარებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სასინჯი ნიმუშების შეგროვება და მასალებისა და მოწყობილობების მომზადება ექსპერიმენტების, ანალიზებისა და ცდების ჩასატარებლად;
2. ექსპერიმენტების, ცდებისა და ანალიზების მომზადებასა და ჩატარებაში დახმარება;

3. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და შრომითი დანახარჯების განსაზღვრის პროცესში დახმარება;
4. ტექნიკური ცოდნის გამოყენება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და გადაჭრის მიზნით;
5. სამეცნიერო მოწყობილობების რემონტისა და მომსახურების ორგანიზება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ტექნიკოსი, ქიმია
- ტექნიკოსი, გეოლოგია
- ტექნიკოსი, მეტეოროლოგია
- ტექნიკოსი, ფიზიკა

3112 სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკოსები

სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკოსები ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება სამოქალაქო მშენებლობის სფეროში სამეცნიერო კვლევებს და აგრეთვე შენობების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების, ხიდების, გზების, დამბებისა და აეროპორტების დაპროექტებას, მშენებლობას, ფუნქციონირებას, ექსპლუატაციასა და რემონტს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამშენებლო მასალებისა და ნიადაგების ლაბორატორიული და საველე შემოწმება;
2. ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა, რომელიც უკავშირდება შენობებისა და სხვა სტრუქტურების მშენებლობას, კვლევებსა და მათ შესახებ ანგარიშების მომზადებას;
3. არქიტექტორებისა და ინჟინერ-მშენებლების ფუნქციების შესრულება სამშენებლო ადგილებზე პროექტის სპეციფიკაციებისა და სამუშაოსა და მასალების სასურველი სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
4. მშენებლობის დარგის ტექნიკური ცოდნისა და სამოქალაქო მშენებლობის პრინციპებისა და პრაქტიკის გამოყენება სამუშაო პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
5. პროექტის განხორციელებისათვის სპეციფიკაციების შესაბამისად საჭირო მატერიალური და შრომითი დანახარჯების განსაზღვრის პროცესში დახმარება;
6. საექსპლუატაციო და სარემონტო სამუშაოების ორგანიზება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სამუშაოების ხელმძღვანელი
- ტექნიკოსი, სამოქალაქო მშენებლობა
- ტექნიკოსი, ტოპოგრაფია

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ტოპოგრაფი, საზღვაო - 3115
- ნორმადარი - 2149

3113 ელექტროტექნიკოსები

ელექტროტექნიკოსები ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება კვლევებს ელექტროტექნიკის სფეროში, ასევე ელექტრონული მოწყობილობებისა და გამანაწილებელი სისტემების პროექტირებას, დამზადებას, აწყობას, აშენებას, ფუნქციონირებას, ექსპლუატაციასა და რემონტს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა ელექტრული მოწყობილობებისა და აპარატურის, ასევე საცდელი მოდელების კვლევისა და განვითარების საქმეში;
2. ელექტრული მოწყობილობების სქემებისა და ნახაზების შემუშავება და მომზადება სპეციფიკაციების შესაბამისად;
3. მოწყობილობების წარმოებისა და დამონტაჟებისათვის საჭირო მატერიალური და სამუშაო დანახარჯების რაოდენობისა და ღირებულების განსაზღვრა სპეციფიკაციების შესაბამისად;
4. ელექტროსისტემებისა და მოწყობილობების დამზადების, დამონტაჟების, გამოყენების, მომსახურებისა და შეკეთების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა სამუშაოების ხარისხიანად შესრულების უზრუნველყოფისათვის არსებული წესებისა და სპეციფიკაციების შესაბამისად;
5. ელექტროტექნიკის დარგში არსებული ტექნიკური ცოდნის, პრინციპებისა და აგრეთვე პრაქტიკული გამოცდილების გამოყენება მუშაოების პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ტექნიკური სპეციალისტი, ელექტროტექნიკა
- ტექნიკური სპეციალისტი, ელექტროტექნიკა (ელექტროენერგიის გადაცემა)

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ამწყობი, ელექტრული მოწყობილობა - 8282
- მექანიკოსი, ელექტრული - 7241

3114 ელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციების ტექნიკოსები

ელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციების ტექნიკოსები ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება ელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციების დარგში კვლევებს, აგრეთვე ელექტრონული მოწყობილობების, ელექტრონული და ელექტრომექანიკური სატელეკომუნიკაციო სისტემების შემუშავებას, დამზადებას, აწყობას, აშენებას, ექსპლუატაციას, შენახვასა და რემონტს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა ელექტრონული და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების, აგრეთვე საცდელი ნიმუშების გამოცდის კვლევებისა და განვითარების სფეროში;
2. ელექტრონული მოწყობილობების ნახაზებისა და სქემების შემუშავება და მომზადება არსებული სპეციფიკაციების შესაბამისად.
3. ელექტრონული და სატელეკომუნიკაციო სოსტემების წარმოებისა და დამონტაჟებისათვის საჭირო მატერიალური და შრომითი დანახარჯების რაოდენობისა და ღირებულების განსაზღვრა მოცემული სპეციფიკაციების შესაბამისად;

4. ელექტრონული მოწყობილობებისა და სატელეკომუნიკაციო სისტემების დამზადების, აწყობის, გამოყენების, მომსახურებისა და რემონტის ტექნიკური ზედამხედველობა სამუშაოების ხარისხიანად შესრულების მიზნით მათი სპეციფიკაციებისა და წესების შესაბამისად;
5. ელექტრონიკისა და სატელეკომუნიკაციო ტექნიკის სფეროში ტექნიკური ცოდნისა და პრინციპების გამოყენება მუშაოების პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიკეუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ტექნიკოსი, ელექტრონიკა
- ტექნიკოსი, ტელეკომუნიკაციები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ამწყობი, ელექტრონული მოწყობილობა- 8283
- მექანიკოსი, ელექტრონიკა - 7243

<u>3115 მექანიკური მოწყობილობების ტექნიკოსები</u>

მექანიკური მოწყობილობების ტექნიკოსები ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება კვლევებს მანქანათმშენებლობის სფეროში, ასევე აპროექტებენ, აწარმოებენ, აწყობენ, აშენებენ, ამუშავებენ, მომსახურებას უწევენ და არემონტებენ მექანიკურ მოწყობილობებსა და სისტემებს;

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა, რომელიც დაკავშირებულია კვლევების ჩატარებასა და მანქანებისა და მექანიკური სისტემების, მოწყობილობებისა და კომპონენტების სრულყოფასთან და აგრეთვე საცდელი ნიმუშების გამოცდასთან;
2. მანქანებისა და მექანიკური სისტემების, მოწყობილობებისა და კომპონენტების მაკეტების პროექტირება და შექმნა არსებული სპეციფიკაციების შესაბამისად;
3. მოწყობილობების წარმოებისა და დამონტაჟებისათვის საჭირო მატერიალური და შრომითი დანახარჯების რაოდენობისა და ღირებულების განსაზღვრა;
4. მანქანებისა და მექანიკური სისტემების, მოწყობილობებისა და კომპონენტების დამზადების, დაყენების, ექსპლუატაციის, მომსახურებისა და რემონტის ტექნიკური ზედამხედველობის უზრუნველყოფა სამუშაოების ხარისხიანად განხორციელების მიზნით მათი სპეციფიკაციებისა და წესების მიხედვით;
5. ტექნიკური ცოდნის პრინციპების და აგრეთვე პრაქტიკული გამოცდილების გამოყენება მანქანათმშენებლობის სფეროში მუშაოების პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
6. საზღვაო და სამდინარო გემების კორპუსების, მოწყობილობებისა და ტვირთების უსაფრთხოების სტანდარტებისა და პროცედურების დაცვის მონიტორინგი;
7. დოკებში ხომალდების დასუფთავებით, ღებვითა და რემონტით დაკავებული მუშების ზედამხედველობა და კოორდინირება;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ტექნიკოსი, მექანიკა/საჰაერო ხომალდების მშენებლობა
- ტექნიკოსი, მექანიკა/საზღვაო ხომალდების მშენებლობა
- ტექნიკოსი, მექანიკა/მექანიკური ნაწილები
- ტექნიკოსი, მანქანათმშენებლობა/ატომური ენერგია

ზოგიერთი მონეთესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ამწყობი, მექანიკური მოწყობილობები - 8281
- მექანიკოსი, სამრეწველო მოწყობილობები - 7233

3116 ქიმიური მანქანა-მოწყობილობების ტექნიკოსები

ქიმიური მანქანა-მოწყობილობების ტექნიკოსები ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება კვლევებს ქიმიური მანქანათმშენებლობის სფეროში, აგრეთვე ქიმიური მოწყობილობების შემუშავებას, წარმოებას, აწყობას, ექსპლუატაციას, შენახვასა და რემონტს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა, რომელიც უკავშირდება წარმოების ქიმიური პროცესების, მანქანებისა და მოწყობილობების კვლევებსა და სრულყოფას, აგრეთვე საცდელი ნიმუშების გამოცდას;
2. ქიმიური მოწყობილობების სქემების შემუშავება და მომზადება არსებული სპეციფიკაციების შესაბამისად;
3. მოწყობილობების წარმოებისა და მონტაჟისათვის საჭირო მატერიალური და შრომითი დანახარჯების რაოდენობისა და ღირებულების განსაზღვრა მოცემული სპეციფიკაციების შესაბამისად;
4. ქიმიური მოწყობილობების დამზადების, აწყობის, ფუნქციონირების, ექსპლუატაციის, მომსახურებისა და რემონტის ტექნიკური ზედამხედველობა მუშაობის ხარისხიანად შესრულების მიზნით მათი სპეციფიკაციებისა და წესების შესაბამისად;
5. არსებული ტექნიკური ცოდნისა და პრინციპების, აგრეთვე პრაქტიკული გამოცდილების გამოყენება ქიმიური მანქანათმშენებლობის სფეროში მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
6. ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა განსაზღვრული მასალების, პროდუქტებისა და პროცესების ტექნოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებით;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ტექნიკოსი, მანქანათმშენებლობა/ქიმიური
- ტექნიკოსი, მანქანათმშენებლობა /ქიმიური პროცესები
- ტექნიკოსი, მანქანათმშენებლობა /ნავთობპროდუქტები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- გამოსაწვავი ღუმელის ოპერატორი, ქიმიური და მასთან დაკავშირებული პროცესები - 8152
- მექანიკოსი, შერევა/ქიმიური და მასთან დაკავშირებული პროცესები - 8151

3117 სამთომოპოვებითი და მეტალურგიული მრეწველობის ტექნიკოსები

სამთომოპოვებითი და მეტალურგიული მრეწველობის ტექნიკოსები ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება მეტალურგიული დარგის კვლევებს, სამთამადნო, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების მეთოდების სრულყოფას, ასევე მაღაროების, შახტებისა და შახტების მოწყობილობების, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისა და შენახვის სისტემების, მადნიდან ლითონების გამოყოფის და ლითონების გასასუფთავებელი მოწყობილობების დაპროექტებას, აშენებას, ამუშავებას, ექსპლუატაციასა და რემონტს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა ლითონისა და ახალი შენადნობების თვისებების განსაზღვრის პროცესების კვლევისა და სრულყოფის, მყარი მინერალების, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების უფრო სრულყოფილი მეთოდების ძიების და აგრეთვე ნავთობის, ბუნებრივი აირისა და საცდელი ნიმუშების ტრანსპორტირებისა და შენახვის პროცესებში;
2. ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა გეოლოგიურ და ტოპოგრაფიულ კვლევით პროცესებში, სატრანსპორტო სისტემების, აგრეთვე ნავთობის, ბუნებრივი აირისა და მინერალური მადნების მოპოვების სისტემების, მინერალებისა და ლითონების გამოსაყოფი და დასამუშავებელი მოწყობილობების შემუშავების პროცესებში;
3. მინერალების, ნავთობისა და ბუნებრივი აირის კვლევის, მოპოვებისა და ტრანსპორტირების პროექტების განხორციელებისათვის და ასევე მათი ქარხნული დამუშავებისათვის საჭირო მატერიალური და შრომითი დანახარჯების რაოდენობისა და ღირებულების განსაზღვრა;
4. მინერალების, ნავთობისა და ბუნებრივი აირის საკვლევი, მოპოვებითი, სატრანსპორტო, სასაწყობო და დამამუშავებელი მოწყობილობების აშენების, დამონტაჟების, ფუნქციონირების, ექსპლუატაციისა და რემონტის ტექნიკური ზედამხედველობის უზრუნველყოფა სამუშაოების ხარისხიანად განხორციელების მიზნით არსებული სპეციფიკაციებისა და წესების შესაბამისად;
5. მინერალების, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის სფეროში არსებული ტექნიკური ცოდნისა და პრინციპების, ასევე მეტალურგიაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების გამოყენება მუშაოების პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ტექნიკოსი, მანქანათმშენებლობა/სამთომოპოვებითი
- ტექნიკოსი, მეტალურგია/მოპოვებითი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მექანიკოს- ოპერატორი, ბურღვა/მაღარო - 8111
- მაღაროელი - 7111
- ქვის სამტეხლოს მუშა - 7111

3118 მხაზველები

მხაზველები ამზადებენ ტექნიკურ ნახაზებს, რუკებსა და ილუსტრაციებს ესკიზების, გაზომვებისა და სხვა მონაცემების საფუძველზე, ასევე ილუსტრაციებისა და ნახაზების ასლებს გალვანოკლიშესა და საბეჭდი ფორმებისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამუშაო ნახაზების მომზადება და დახვეწა ინჟინრებისა და კონსტრუქტორების მიერ მომზადებული ესკიზებისა და სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, რომლებსაც შემდეგ გამოიყენებენ შენობების, დამბების, ხიდების, გზებისა და სხვა არქიტექტურული და საინჟინრო ნაგებობების აშენების, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციისა და რემონტის, ასევე მანქანებისა და მოწყობილობების წარმოების, აწყობისა და დაყენების საქმეში;
2. კომპიუტერული საშუალებების გამოყენება ძნელად კოპირებადი და ციფრული მონაცემების მქონე სამუშაო ნახაზების შექმნისა და მოდიფიცირებისათვის;
3. ციფრული ტაბლოების ან მსგავსი საშუალებების გამოყენება ძნელად კოპირებადი სამუშაო ნახაზების, რუკებისა და ციფრული ინფორმაციის სხვა დიაგრამების გადაცემისათვის;
4. სტერეო ინსტრუმენტების გამოყენება ტოპოგრაფიული მონაცემების ანალოგური ან ციფრული ფორმით, ასევე სხვა მონაცემების მისაღებად ტოპოგრაფიული, ჰიდროგრაფიული, კომუნიკაციური და სხვა თემატური რუკების შედგენისა და განახლებისათვის;
5. ილუსტრაციების მომზადება და შემოწმება საცნობო გამოცემების, ბროშურებისა და ტექნიკური ცნობარებისათვის, რომელიც ეხება მანქანების და სხვა მოწყობილობებისა და ნაკეთობების აწყობას, დამონტაჟებას, ფუნქციონირებას, ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტს;
6. ნახაზების კოპირება და გამოსახულებების გადატანა ქვის ან ლითონის საბეჭდ ფორმებზე;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მხაზველი
- მხაზველი, არქიტექტურა
- მხაზველი, კარტოგრაფია
- მხაზველი, კონსტრუირება/სამოქალაქო მშენებლობა
- ილუსტრატორი, ტექნიკური

3119 ფიზიკურ და ტექნიკურ მეცნიერებათა სპეციალისტები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან ფიზიკისა და ტექნიკური მეცნიერებების ტექნიკოსები, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფის 311 - *ფიზიკური და ტექნიკური მეცნიერებების სპეციალისტები*, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მაგალითად, აქ შეიძლება კლასიფიცირებული იქნან ისინი, ვის მოვალეობაშიც შედის ინჟინრების დახმარება წარმოების პროცესში ან ღირებულების გათვლებისა და ანგარიშების მომზადებაში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მონაცემების შეგროვება და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა, რაც უკავშირდება:
   - დაგეგმვისა და წარმოების მეთოდებს;

- პერსონალის, მასალებისა და მოწყობილობების უსაფრთხოებას, ეფექტიანობასა და ეკონომიკურ სარგებლიანობას;
- სამუშაო მეთოდებს, ოპერაციების მიმდევრობასა და მათი განხორციელების ზედამხედველობას;
- სამუშაო ვადებისა და ტემპების განსაზღვრას;
- საწარმოს ან დაწესებულების ეფექტურ მოწყობას;

2. სამუშაო პროცესში მონაწილეობა შესაძლო საფრთხეების დადგენისა და უსაფრთხოების საშუალებებისა და წესების განსაზღვრის მიზნით;
3. მონაცემების შეგროვება და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა მშენებლობისათვის ღირებულების გაანგარიშებისა და სამშენებლო და არქიტექტურული პროექტებისათვის ანგარიშების გამოწერის დროს;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ტექნიკოსი, სამრეწველო ეფექტიანობა
- ტექნიკოსი, მწარმოებლურობა
- ტექნიკოსი, სამუშაო ვადები და ტემპების განსაზღვრა
- ტექნიკოსი, ნორმირება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ინჟინერი, წარმოება - 2149
- ინჟინერი, სამუშაო ვადები და ტემპების განსაზღვრა - 2149
- ნორმადარი - 2149

მცირე ჯგუფი 312

დამხმარე პერსონალი კომპიუტერული მომსახურების სფეროში

დამხმარე პერსონალი კომპიუტერული მომსახურების სფეროში დახმარებას უწევს მიკრო-კომპიუტერებისა და სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების მომხმარებლებს, კონტროლს უწევენ კომპიუტერებისა და პერიფერიული მოწყობილობების მუშაობას და ახორციელებენ მათ ექსპლუატაციას, ასევე ასრულებენ პროგრამირების საკითხებში შეზღუდულ მოვალეობებს, რომელიც უკავშირდება პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის ინსტალირებასა და მომსახურებასთან.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: მომხმარებლების დახმარება მიკრო-კომპიუტერებისა და სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების ინსტალირების საქმეში, ან პრობლემების წამოჭრის შემთხვევაში; სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების ინსტალირება კონკრეტული აპარატული უზრუნველყოფისა და მოქმედი სისტემების კონფიგურაციებში და ახალი პერიფერიული მოწყობილობების დაყენება; მცირე ცვლილებებისა და კორექტივების შეტანა არსებულ პროგრამებში მათი შეყვანის, სრულყოფისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით; კომპიუტერებისა და პერიფერიული მოწყობილობების მუშაობის გაკონტროლება და მათი ექსპლუატაცია; კომპიუტერული სამუშაოების ორგანიზება; კომპიუტერული ოპერაციების ჟურნალის წარმართვა; სარეზერვო ოპერაციების განხორციელება; სამრეწველო რობოტების ამუშავება და დაპროგრამება კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად და მათი მუშაობის გაკონტროლება. შესაძლოა მათ

ხელმძღვანელობა გაუწიონ მენეჯერებმა ან სპეციალისტ-პროფესიონალებმა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად;

3121 ასისტენტები კომპიუტერული მომსახურების სფეროში

3122 კომპიუტერული მოწყობილობის ოპერატორები

3123 სამრეწველო რობოტების კონტროლიორები

3121 ასისტენტები კომპიუტერული მომსახურების სფეროში

ასისტენტები კომპიუტერული მომსახურების სფეროში დახმარებას უწევენ მომხმარებლებს მიკროკომპიუტერებისა და სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების ინსტალირების საქმეში, სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში, აინსტალირებენ ახალ კომპიუტერულ პროგრამებს კონკრეტული აპარატული უზრუნველყოფისა და მოქმედი სისტემების კონფიგურაციებში, აყენებენ ახალ პერიფერიულ მოწყობილობებს, კომპიუტერის სპეციალისტ-პროფესიონალების ხელმძღვანელობით ახორციელებენ მცირე ცვლილებებსა და კორექტივებს არსებული პროგრამების დახვეწისა და მომსახურების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მომხმარებლების დახმარება მიკროკომპიუტერებისა და სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების ინსტალირების საქმეში, და წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;
2. ახალი კომპიუტერული პროგრამების ინსტალირება კონკრეტული აპარატული უზრუნველყოფისა და სისტემების მოქმედ კონფიგურაციებში;
3. ახალი პერიფერიული მოწყობილობების ინსტალირება და საჭირო კორექტივების შეტანა მოქმედი სისტემების პარამეტრებში;
4. კომპიუტერის სპეციალისტ-პროფესიონალების ხელმძღვანელობით მცირე ცვლილებები და კორექტივების შეტანა კომპიუტერული პროგრამების ინსტალირების, მომსახურებისა და სრულყოფის მიზნით;
5. კომპიუტერული პროგრამებისა და სისტემების დოკუმენტაციის წარმართვა და სრულყოფა;
6. პროგრამირებისა და კომპიუტერული ტექნიკის სფეროში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ასისტენტი, კომპიუტერი/პროგრამირება
- ასისტენტი, კომპიუტერი/სისტემური ანალიზი
- ასისტენტი, კომპიუტერი/მომხმარებელთა მომსახურება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მექანიკოსი, ელექტრონიკა/კომპიუტერი - 7243
- ტექნიკოსი, ელექტრონიკა - 3114

3122 კომპიუტერული მოწყობილობის ოპერატორები

კომპიუტერული მოწყობილობის ოპერატორები მართავენ და კონტროლს უწევენ კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობების მუშაობას, რომლებიც გამოიყენება ციფრული მონაცემების ჩაწერის, შენახვის, გადაცემისა და დამუშავებისათვის, ასევე მონაცემების ასოითი, ციფრული ან გრაფიკული სახით წარმოდგენისათვის ეკრანზე, ქაღალდზე, ფირზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობების ექსპლუატაცია და მათი მუშაობის კონტროლი, რომლებიც გამოიყენება ციფრული მონაცემების ჩაწერის, შენახვის, გადაცემისა და დამუშავებისათვის, ასევე მონაცემების ასოითი, ციფრული ან გრაფიკული სახით წარმოდგენისათვის ეკრანზე, ქაღალდზე ან ფირზე;
2. კომპიუტერულ სამუშაოების ორგანიზება მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად, სამუშაოების დროული, უსაფრთხო და ეფექტური განხორციელების მიზნით;
3. ფირებისა და დისკების დაყენება მანქანური წაკითხვისათვის მისაღებ ფორმაში მონაცემების დამუშავებისა და ჩაწერისათვის და დისკებისა და ლენტების შენახვა;
4. კომპიუტერული ოპერაციების ჟურნალის წარმართვა;
5. განმეორებითი სამუშაოების განხორციელება ჩეულებრივი პროცედურების შესაბამისად;
6. კომპიუტერებისა და პერიფერიული მოწყობილობების სფეროში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენება მუშაოების პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების, ასევე მცირე სარემონტო სამუშაოების განხორციელების და კორექტივების შეტანის მიზნით;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობა
- ოპერატორი, კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობა/ მაქსიმალური სიჩქარის პრინტერი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მექანიკოსი, ელექტრონიკა/კომპიუტერი - 7243
- ტექნიკოსი, ელექტრონიკა - 3114

3123 სამრეწველო რობოტების კონტროლიორები

სამრეწველო რობოტების კონტროლიორები ამუშავებენ სამრეწველო რობოტებს, აპროგრამებენ მათ კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად, აკონტროლებენ მათ მუშაობას, ახორციელებენ ტექნიკურ კონტროლს მათ მუშაობაზე და უზრუნველყოფენ ადგილზე ძირითად მომსახურებას და კორექტივების შეტანას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შესაძლებლობების ფარგლებში სამრეწველო რობოტების დაპროგრამება და გადაპრპოგრამება კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად;
2. სამრეწველო რობოტების ამუშავება;
3. სამრეწველო რობოტების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და გაკონტროლება;
4. სისტემატური კონტროლის გზით სამრეწველო რობოტების მწყობრიდან გამოსვლის წინასწარი განსაზღვრა და თავიდან აცილება;

5. რობოტების მუშაობაში ადგილზე კორექტივების შეტანა;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კონტროლიორი, რობოტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ინჟინერი, ავტომატური წარმოება - 2149
- ოპერატორი, სამრეწველო რობოტი - 8172
- ტექნიკოსი, ელექტრონიკა - 3114

მცირე ჯგუფი 313

ოპტიკური და ელექტრონული მოწყობილობის ოპერატორები

ოპტიკური და ელექტრონული მოწყობილობის ოპერატორები იღებენ სურათებს, ამოწმებენ აპარატების, ვიდეოკამერებისა და სხვა მსგავსი მოწყობილობების მუშაობას ხმისა და გამოსახულების ჩაწერის მიზნით, ამოწმებენ სამაუწყებლო და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებსა და სისტემებს, ასევე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მოწყობილობებს.

შესასრულებელი მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: ფოტოსურათების გადაღება; კინო და ვიდეოკამერებისა და ხმისა და გამოსახულების სამონტაჟო და ჩამწერი სხვა აპარატურის მუშაობის შემოწმება; რადიო- და ტელესამაუწყებლო აპარატურის და სატელეკომუნიკაციო სისტემების მუშაობის კონტროლი; სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ტექნიკური მოწყობილობების მუშაობის გაკონტროლება.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

3131 ფოტოგრაფები და გამოსახულებისა და ხმის ჩამწერი მოწყობილობის ოპერატორები

3132 სამაუწყებლო და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის ოპერატორები

3133 სამედიცინო მოწყობილობის ოპერატორები

3139 ოპტიკური და ელექტრონული მოწყობილობის ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

3131 ფოტოგრაფები და გამოსახულებისა და ხმის ჩამწერი მოწყობილობის ოპერატორები

ფოტოგრაფები და გამოსახულებისა და ხმის ჩამწერი მოწყობილობის ოპერატორები იღებენ ფოტოებს, აკონტროლებენ კინო- და ვიდეოკამერებისა და სხვა ხმისა და გამოსახულების ჩაწმერი აპარატურის მუშაობას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ფოტოების გადაღება სარეკლამო, ან სხვა კომერციული, სამრეწველო ან სამეცნიერო მიზნებისათვის, ასევე გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პუბლიკაციების მასალების ილუსტრირებისათვის;
2. ცალკეული პირების ან ჯგუფური სურათების გადაღება;
3. კინო- და ვიდეოკამერების, მიკრო- და აეროგადაღების კამერებისა და სხვა გამოსახულების ჩასაწერი სპეციალური კამერების გამართვა და ექსპლუატაცია;
4. კინოფილმების, ვიდეოლენტების, გრამფირფიტების, ხმოვანი ჩანაწერების ლენტების, ციფრული ინფორმაციის დისკების, პირდაპირი ეთერისა და სხვა ხმის ჩამწერი აპარატურის მუშაობის კონტროლირება;

5. გამოსახულებისა და ხმოვანი ჩანაწერების მონტაჟისა და მიქსირების აპარატურის მუშაობის კონტროლირება სასურველი ხარისხის უზრუნველყოფისა და სპეციალური გამოსახულებითი და ხმოვანი ეფექტების შექმნის მიზნით;
6. გამოსახულებისა და ხმოვანი ჩანაწერების გადმოცემის სფეროში არსებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, კამერა/კინოსურათი
- ოპერატორი, ჩამწერი მოწყობილობა/ხმა
- ოპერატორი, სტუდიის მოწყობილობა/ტელევიზია
- ფოტოგრაფი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მექანიკოსი, ელექტრონიკა - 7243
- ფოტოგრაფი, ფოტოგრავირება - 7343
- ფოტოლითოგრაფი - 7343
- შემკეთებელი, ფოტოგრაფიული მოწყობილობა - 7311

3132 სამაუწყებლო და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის ოპერატორები

სამაუწყებლო და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის ოპერატორები აკონტროლებენ რადიო- და ტელემაუწყებლობის აპარატურის ტექნიკურ ფუნქციონირებას, რომლის საშუალებითაც ხდება რადიო და სატელევიზიო ჩანაწერების ან პირდაპირი ეთერის გადაცემა, ასევე სხვა ტიპის სატელეკომუნიკაციო სიგნალების გადაცემა ხმელეთზე, წყალში ან ჰაერში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამაუწყებლო და სატელიტური სისტემების ფუნქციონირების გაკონტროლება რადიო- და ტელეპროგრამების გადასაცემად;
2. რადიოგადამცემი სისტემების, სატელიტური მომსახურებებისა და სხვა რთული სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების ფუნქციონირების გაკონტროლება ხმელეთზე, წყალში და ჰაერში;
3. კინოპროექციული აპრატურის მუშაობის გაკონტროლება;
4. სამაუწყებლობის, ასევე გადამცემი სისტემების და ტელეკომუნიკაციის სადგურების ფუნქციონირების სფეროში არსებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
5. ოპერაციების ჟურნალების წარმოება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, სამაუწყებლო მოწყობილობა/რადიო

- ოპერატორი, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობა
- ოპერატორი, გადამცემი მოწყობილობა/ტელევიზია

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მექანიკოსი, ელექტრონიკა - 7243
- ტექნიკოსი, ტელეკომუნიკაციები - 3114

3133 სამედიცინო მოწყობილობის ოპერატორები

სამედიცინო მოწყობილობის ოპერატორები აკონტროლებენ სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ტექნიკურ მოწყობილობებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტექნიკური მოწყობილობის გაკონტროლება, რომელიც გამოიყენება ნერვული სისტემის ან ორგანული დაავადებების დასადგენად და სამკურნალოდ, ასევე რადიოგრაფიისა ან ანესთეზიოლოგიისათვის;
2. სამედიცინო მოწყობილობების სფეროში არსებული ტექნიკური და პრაქტიკული ცოდნის გამოყენება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, ელექტროკარდიოლოგიური მოწყობილობა
- ოპერატორი, რენდგენის გამოსხივების სამედიცინო მოწყობილობა
- ოპერატორი, ექოსკოპიის მოწყობილობა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მექანიკოსი, ელექტრონიკა - 7243

3139 ოპტიკური და ელექტრონული მოწყობილობის ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან ოპტიკური და ელექტრონული მოწყობილობის ოპერატორები, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფის 313 - *ოპტიკური და ელექტრონული მოწყობილობის ოპერატორები*, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მცირე ჯგუფი 314

სანაოსნო და საჰაერო ხომალდების კონტროლიორები და ტექნიკური სპეციალისტები

სანაოსნო და საჰაერო ხომალდების კონტროლიორები და ტექნიკური სპეციალისტები მართავენ გემებსა და საჰაერო ხომალდებს და ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს, რათა უზრუნველყონ უსაფრთხო გადაადგილება და ეფექტური მუშაობა.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: მექანიკური, ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების მუშაობის გაკონტროლება სანაოსნო და საჰაერო ხომალდებზე, გემებისა და საჰაერო ხომალდების მართვა და მათ გადაადგილების ხელმძღვანელობა.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

3141 გემების მექანიკოსები

3142 კაპიტნის ვახტის თანაშემწეები და ლოცმანები

3143 თვითმფრინავების პილოტები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტები

3144 თვითმფრინავების გადაადგილების კონტროლიორები

3145 თვითმფრინავების უსაფრთხო გადადგილების სპეციალისტები

3141 გემების მექანიკოსები

გემების მექანიკოსები ახორციელებენ მექანიკური, ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და მექანიზმების მომსახურებასა და რემონტს, კონტროლსა და ექსპლუატაციას გემებზე ან ასრულებენ მონათესავე დამხმარე ფუნქციებს ნაპირზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საზღვაო ხომალდების ელექტრონული და მექანიკური მოწყობილობებისა და მექანიზმების გაკონტროლება, ექსპლუატაცია, მომსახურება და რემონტი;
2. საწვავის და სამანქანო განყოფილების სხვა მარაგების მართვა და ხომალდის მუშაობასთან დაკავშირებული ანგარიშების წარმოება;
3. საზღვაო ხომალდების მექანიზმებისა და მოწყობილობების სამონტაჟო, სამომსახურებო და სარემონტო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა მათი წესებისა და სპეციფიკაციების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
4. საზღვაო ხომალდების დანადგარებისა და მოწყობილობების სფეროში არსებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გამოყენება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინჟინერი, საზღვაო ხომალდი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ინჟინერი, საზღვაო - 2145

3142 კაპიტნის ვახტის თანაშემწეები და ლოცმანები

კაპიტნის ვახტის თანაშემწეები და ლოცმანები მართავენ და ხელმძღვანელობენ გემებს და ასრულებენ მასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ხმელეთზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. გემებისა მართვა და ხელმძღვანელობა ზღვაში ან შიდა წყლებში;
2. გემბანისა და სვლის ვახტის ფუნქციების შესრულება და გაკონტროლება;

3. ხომალდების მართვა სრუტეებში, არხებსა და სხვა წყლებში გადაადგილებისას, სადაც საჭიროა სპეციალური ცოდნა;
4. ტვირთების უსაფრთხო გადმოტვირთვისა დ ჩატვირთვის უზრუნველყოფა და ეკიპაჟისა და მგზავრების მიერ უსაფრთხოების წესებისა და პროცედურების დაცვის ზედამხედველობა;
5. გემების სამშენებლო, სამომსახურებო და სარემონტო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა მათი წესებისა და სპეციფიკაციების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
6. ხომალდების მართვისა და ექსპლუატაციის სფეროში არსებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გამოყენება მუშაოების პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
7. გემის მარაგის გაკონტროლება, ეკიპაჟის შერჩევის პროცესის ზედამხედველობა მოთხოვნების შესაბამისად, და ხომალდის მუშაობის შესახებ ანგარიშების წარმოება;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კაპიტანი, გემი/ზღვის
- ლოცმანი, გემი
- შკიპერი, იახტა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მეზღვაური - 8340

3143 თვითმფრინავების პილოტები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტები

თვითმფრინავების პილოტები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტები ახორციელებენ სამგზავრო, საფოსტო და სატვირთი თვითმფრინავების მექანიკური, ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების მუშაობის კონტროლსა და მართვას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საჰაერო ხომალდების მართვა ფრენის პროცესში კონტროლისა და ექსპლუატაციის დადგენილი პროცედურების შესაბამისად;
2. ფრენის გეგმის მომზადება და დამტკიცება ან ფრენის სტანდარტული გეგმის განხილვა;
3. მექანიკური, ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების ფუნქციონირების გაკონტროლება და ყველა ხელსაწყოსა და სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
4. პილოტირებისა და მონათესავე სფეროს არსებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გამოყენება მუშაოების პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინჟინერი, ფრენა
- შტურმანი, ფრენა
- პილოტი, საჰაერო ხომალდი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ინსტრუქტორი, ფრენა - 3340

3144 თვითმფრინავების გადაადგილების კონტროლიორები

თვითმფრინავების გადაადგილების კონტროლიორები ხელმძღვანელობენ საჰაერო ხომალდების გადაადგილებას საჰაერო სივრცეში და მიწაზე, რადიო, რადაროლოკაციური და განათების სისტემების გამოყენებით უზრუნველყოფენ ფრენის შესახებ ინფორმაციის წარდგენას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. თვითმფრინავების მუშაობის მართვა და გაკონტროლება მათი აფრენის, დაჯდომისა და ხმელეთზე გადაადგილების დროს;
2. ხომალდების გადაადგილების მართვა და გაკონტროლება განსაზღვრული საჰაერო სივრცის სექტორში;
3. საფრენი გეგმების განხილვა და დამტკიცება;
4. ხომალდის ეკიპაჟის ინფორმირება ამინდის პროგნოზის, ფრენის შესაძლებლობების, გეგმებისა და მოძრაობის შესახებ;
5. თვითმფრინავის გადაადგილების კონტროლის სფეროში არსებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გამოყენება მუშაოების პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
6. სამძებრო-სამაშველო და საავარიო სამსახურებისა და ოპერაციების ორგანიზება და განხორციელება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კონტროლიორი, საჰაერო ტრანსპორტი

3145 თვითმფრინავების უსაფრთხო გადაადგილების სპეციალისტები

თვითმფრინავების უსაფრთხო გადაადგილების სპეციალისტები ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება თვითმფრინავების მოძრაობისა და აერონავიგაციის კონტროლის სისტემების შემუშავებას, დაპროექტებას, დამონტაჟებას, ექსპლუატაციას, მომსახურებასა და რემონტს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტექნიკური სამუშაოების განხორციელება, რომელიც ეხება აერონავიგაციის სისტემების ელექტრონული და ელექტროტექნიკური მოწყობილობების შემუშავებას, და პროტოტიპების გამოცდა;
2. ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა საჰაერო მართვისა და დაცვის სისტემების პროექტირებასა და შემუშავებაში;
3. დახმარების გაწევა ხარჯთაღრიცხვის, ტექნიკური და სასწავლო სპეციფიკაციების მომზადების პროცესში, რომელიც დაკავშირებულია თვითმფრინავების გადაადგილების კონტროლირებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოწყობილობასთან;
4. დახმარების გაწევა მიწისზედა აერონავიგაციური მოწყობილობების შექმნის, დამონტაჟების, ექსპლუატაციის, მომსახურებისა და რემონტის ტექნიკური ზედამხედველობის პროცესში საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების უზრუნველყოფის მიზნით;

5. თვითმფრინავების უსაფრთხო გადაადგილების სფეროში არსებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გამოყენება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
6. არსებული სანავიგაციო სისტემების მოდიფიცირება მათი თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით;
7. მიწისზედა სანავიგაციო აპარატურის გაკონტროლება და აწყობა ფრენის, აფრენისა და დაფრენის ოპერაციების მაქსიმალური სიზუსტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ტექნიკოსი, საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ავიამექანიკოსი - 7232

მცირე ჯგუფი 315

უსაფრთხოებისა და ხარისხის ინსპექტორები

უსაფრთხოებისა და ხარისხის ინსპექტორები, მთავრობის ან სამრეწველო და სხვა საწარმოების სახელით ამოწმებენ წესებისა და ნორმების შესრულებას, რაც უკავშირდება ხანძარსაწინააღმდეგო ზომების მიღებას, პროფესიულ უსაფრთხოებას, ჯანდაცვასა და გარემოს დაცვას, სარეალიზაციო ან სამომხმარებლო წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების, სამრეწველო პროცესების უსაფრთხოებას, ასევე მწამოებლების მიერ ხარისხის სტანდარტებისა და სპეციფიკაციების დაცვას.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: შენობებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობის უზრუნველყოფა დამტკიცებული გეგმების, გრადაციისა და ზონების შესახებ კანონებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების შესაბამისად; ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების ინსპექტირება და კონსულტირება; ცეცხლის გაჩენის ადგილების ინსპექტირება ხანძრის მიზეზების დადგენის მიზნით; სამრეწველო ან სხვა საწარმოების ისპექტირება პროფესიული უსაფრთხოების, წარმოებული, სარეალიზაციო ან სამომხმარებლო საქონლის და სამრეწველო პროცესების უსაფრთხოების საკითხებში; ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის წესებისა და ნორმების შესრულების უზრუნველყოფა; მწარმოებლების მიერ ხარისხის სტანდარტებისა და სპეციფიკაციების დაცვის უზრუნველყოფა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკევის ზედამხედვალობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

3151 სამშენებლო და სახანძრო ინსპექტორები

3152 უსაფრთხოების, ჯანდაცვისა და ხარისხის ინსპექტორები

3151 სამშენებლო და სახანძრო ინსპექტორები

სამშენებლო და სახანძრო ინსპექტორები მთავრობის, ან სამრეწველო და სხვა საწარმოების სახელით ატარებენ ახალი და არსებული საცხოვრებელი სახლების, სამრეწველო საწარმოების, სასტუმროების, სხვა შენობებისა და ნაგებობების ინსპექტირებას მშენებლობის, გრადაციისა და ზონების შესახებ კანონების, და აგრეთვე დამტკიცებული გეგმების, სპეციფიკაციებისა და სტანდარტების, სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და სხვა

ნორმატივების გათვალისწინების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე სწავლობენ ხანძრის ადგილებს ცეცხლის გაჩენის მიზეზის დადგენის მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შენობებისა და სხვა ნაგებობების მშენებლების კონსულტირება მშენებლობის, გრადაციისა და ზონების შესახებ კანონების სწორი გაგებისა და შესრულების საკითხებში და აგრეთვე შენობების ხარისხთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ნორმატივების საკითხებში;
2. შენობებისა და ნაგებობების ინსპექტირება მშენებლობის პროცესში და შემდგომ პერიოდში მშენებლობის, გრადაციის და ზონების შესახებ კანონების, დამტკიცებული გეგმების, სპეციფიკაციებისა და სტანდარტების, აგრეთვე შენობების ხარისხსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ნორმატივების შესრულების უსაფრთხოების მიზნით;
3. არსებული შენობებისა და ნაგებობების ინსპექტირება შესაძლო დარღვევებისა და საშიშროებასთან დაკავშირებული დარღვევებისა და პირობების დადგენის მიზნით;
4. სამრეწველო საწარმოების, სასტუმროების, კინოთეატრებისა და სხვა შენობებისა და დაწესებულებების ინსპექტირება ხანძრის გაჩენის საშიშროების განსაზღვრისა და მათი თავიდან აცილების მიზნით;
5. რეკომენდაციების გაწევა ხანძარსაწინააღმდეგო და დამცავი სისტემების დამონტაჟების, სამშენებლო მასალებისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების საკითხებში ცეცხლის გაჩენის რისკის, ზარალისა და საშიშროების შემცირების მიზნით;
6. ცეცხლის გაჩენის ადგილების შესწავლა ხანძრის მიზეზების დადგენის მიზნით;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინსპექტორი, შენობა
- ინსპექტორი, სახანძრო
- სპეციალისტი, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მეხანძრე - 5161

<u>3152 უსაფრთხოების, ჯანდაცვისა და ხარისხის ინსპექტორები</u>

უსაფრთხოების, ჯანდაცვისა და ხარისხის ინსპექტორები მთავრობის ან სამრეწველო და სხვა საწარმოების სახელით ახორციელებენ სამუშაო ადგილების ისპექტირებას პროფესიონალური უსაფრთხოების, აგრეთვე სამრეწველო პროცესებისა და წარმოებული, სარეალიზაციო ან სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოების მიზნით, და უზრუნველყოფენ ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის, აგრეთვე მწარმოებლების ხარისხის სტანდარტებისა და სპეციფიკაციების დაცვას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. დამქირავებლებისა და მუშების კონსულტირება მთავრობის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და სათანადო სამუშაო პირობების შექმნის საკითხებზე;
2. სამუშაო ადგილების ინსპექტირება სამუშაო პირობების, მექანიზმებისა და მოწყობილობების სახელმწიფო და სხვა დადგენილ ნორმებთან, წესებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის გასაზღვრის მიზნით;

3. სამუშაო ადგილების ინსპექტირება გამოკითხვების, დაკვირვებებისა და სხვა მეთოდების გამოყენებით უსაფრთხოების ნორმებისა და წესების შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით;
4. პროდუქციის წარმოების, დამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის ადგილების ინსპექტირება მათი სახელმწიფო და სხვა დადგენილ ნორმებთან, წესებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით;
5. წარმოებული პროდუქტების ან მათი ელემენტების ინსპექტირება საწარმოო ტექნიკური მოთხოვნებისა და სტანდარტებისადმი მათი შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით;
6. მწარმოებლებისა და ზოგადად საზოგადოების კონსულტირება მთავრობის მიერ დადგენილი წესებისა და ნორმების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებში, რომელიც ეხება ჰიგიენას, სანიტარიას, პირველადი მოხმარების პროდუქტების, საკვების, წამლების, კოსმეტიკისა და სხვა მსგავსი საქონლის სისუფთავესა და ხარისხიანობას;
7. მწარმოებლების, ოპერატორებისა და სხვა სპეციალისტების, რომლებიც ახორციელებენ თვითმფრინავების, ავტომობილებისა და და სხვა ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მომსახურებასა და რემონტს, კონსულტირება ტექნიკურ სტანდარტებთან დაკავშირებული სახელმწიფო და სხვა ნორმებისა და წესების შესრულების საკითხებში;
8. სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო ადგილების ინსპექტირება არსებული ტექნიკური სტანდარტებთან, სახელმწიფო და და სხვა ნორმატივებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
9. დაწესებულებების ისპექტირება არსებული ნორმებისა და წესების დაცვის შემოწმების მიზნით, რომელიც უკავშირდება საშიში ნივთიერებებისა და საშიში ნარჩენების განადგურების საკითხებს;
10. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
11. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინსპექტორი, პროფესიული უსაფრთხოება
- ინსპექტორი, ხარისხი/პროდუქცია
- ინსპექტორი, უსაფრთხოება და ჯანმრთელობა/მომხმარებლის დაცვა
- ინსპექტორი, უსაფრთხოება და ჯანმრთელობა/გარემოს დაბინძურება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ინსპექტორი, სანიტარია - 3222
- ინსპექტორი, ხელფასი - 3449

ქვეჯგუფი 32

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი ასრულებს ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება კონცეფციების, თეორიების, პრინციპებისა და სამუშაო მეთოდების შემუშავებასა და პრაქტიკულ გამოყენებას განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, სანიტარიის, მედიცინის, ვეტერინარიის, ფარმაცევტიკისა და სხვა მონათესავე დარგებში, ასევე უწევს დახმარებას საექთნო, სამეანო საქმიანობის და ხალხური და არატრადიციული მედიცინის სფეროში.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: კვლევების ჩატარების პროცესში ტექნიკური სამუშაოების განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, სანიტარიის, მედიცინის, ვეტერინარიის, ფარმაცევტიკისა და სხვა მონათესავე დარგებთან; დახმარების გაწევა საექთნო, სამეანო საქმიანობის და ხალხური და არატრადიციული მედიცინის სფეროში. შესაძლოა მათ ხელმძღვანელობა გაუწიონ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალებმა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი შესრულების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე განათლების და პროფესიული მომზადების დონის ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით, მართებული იქნება ზოგიერთი პროფესიის კლასიფიცირება მოვახდინოთ ქვეჯგუფში 22 - სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები. ეს ეხება განსაკუთრებით იმ პროფესიებს, რომლებიც შედიან მცირე ჯგუფში 323- სამეანო და საექთნო საქმიანობის დამხმარე პერსონალი.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

321 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტები და მონათესავე დარგების დამხმარე პერსონალი

322 თანამედროვე ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი (საექთნო საქმიანობის გარდა)

323 სამეანო და საექთნო საქმიანობის დამხმარე პერსონალი

324 სახალხო და არატრადიციული მედიცინის პრაქტიკოსები

მცირე ჯგუფი 321

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტები და მონათესავე დარგების დამხმარე პერსონალი

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტები და მონათესავე დარგების დამხმარე პერსონალი ასრულებს ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება კონცეფციების, თეორიების, პრინციპებისა და სამუშაო მეთოდების შემუშავებასა და პრაქტიკულ გამოყენებას განსაკუთრებით სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სფეროში, ისეთების როგორიცაა ბიოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ბაქტერიოლოგია, ბიოქიმია, და ასევე სოფლის მეურნეობა, აგრონომია და სატყეო მეურნეობა.

შესასრულებელ ამოცანებში, როგორც წესი, შედის: კვლევებთან დაკავშირებული ტექნიკური სამუშაოების განხორციელება სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დარგში, ასევე მათი კონცეფციების, პრინციპებისა და სამუშაო მეთოდების გამოყენება, განსაკუთრებით, მედიცინის, სოფლის მეურნეობის ან ფარმაცევტიკის დარგებში.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

3211 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტები

3212 აგრონომიისა და სატყეო მეურნეობის სპეციალისტები

3213 სასოფლო და სატყეო მეურნეობის კონსულტანტები

3211 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტები

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სპეციალისტები ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება ბიოლოგიის ან საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვა დარგების კვლევებს, ასევე ეწევიან

სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, საზოგადოებრივი, ჯანდაცვისა და სხვა დარგების კვლევითი შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მასალებისა და მოწყობილობების მომზადება ექსპერიმენტების, ცდებისა და ანალიზების ჩასატარებლად;
2. ნიმუშების, ისეთების, როგორიცაა მცენარეული და ცხოველური უჯრედები, ქსოვილები, ნაწილები ან ორგანოები, შეგროვება და მომზადება ექსპერიმენტების, ცდებისა და ანალიზების ჩასატარებლად;
3. თავიანთ სპეციალობების დარგებში ექსპერიმენტების, ცდებისა და ანალიზების ჩატარება და ასისტირება;
4. პროექტების განხორციელებისათვის საჭირო მონაცემების შეგროვება, დახარჯული მასალისა და შრომის მოცულობისა და ღირებულების განსაზღვრა;
5. თეორიული და პრაქტიკული მეცნიერული ცოდნის გამოყენება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და გადაჭრის მიზნით;
6. კვლევითი მოწყობილობების სამომსახურებო და სარემონტო სამუშაოების ორგანიზება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ტექნიკოსი, ბაქტეოროლოგია
- ტექნიკოსი, ბიოქიმია
- ტექნიკოსი, სისხლის ბანკი
- ტექნიკოსი, ფარმაკოლოგია
- ტექნიკოსი, სეროლოგია
- ტექნიკოსი, ზოოლოგია

3212 აგრონომიისა და სატყეო მეურნეობის სპეციალისტები

აგრონომიისა და სატყეო მეურნეობის სპეციალისტები ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება აგრონომიისა და სატყეო მეურნეობის დარგების კვლევებს, ასევე ამ დარგების კვლევითი შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მასალებისა და მოწყობილობების მომზადება ექსპერიმენტების, ცდებისა და ანალიზების ჩასატარებლად;
2. ნიმუშების შეგროვება და მომზადება, როგორიცაა მცენარეული და ცხოველური უჯრედები, ქსოვილები, ნაწილები ან ორგანოები ექსპერიმენტების, ცდებისა და ანალიზების ჩასატარებლად;
3. თავიანთი სპეციალობების დარგებში ექსპერიმენტების, ცდებისა და ანალიზების ჩატარება და ასისტენტობა;
4. თესლების ხარისხის, სისუფთავისა და ზრდის ტემპების შესწავლა;
5. მონაცემების შეგროვება და პროექტებისათვის საჭირო მასალის და შრომის ღირებულებისა და მოცულობის განსაზღვრა;
6. თეორიული და პრაქტიკული მეცნიერული ცოდნის გამოყენება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და გადაჭრის მიზნით;

7. კვლევითი მოწყობილობების მომსახურება და სარემონტო სამუშაოების ორგანიზება;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ტექნიკოსი, აგრონომია
- ტექნიკოსი, სატყეო მეურნეობა
- ტექნიკოსი, ნიადაგის შემსწავლელი მეცნიერება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- კონსულტანტი, სოფლის მეურნეობა - 3213
- კონსულტანტი, სატყეო მეურნეობა - 3213
- ასისტენტი, ვეტერინარია/ხელოვნური განაყოფიერება - 3227
- ასისტენტ-კონსულტანტი სოფლის მეურნეობის დარგში - 3213

<u>3213 სასოფლო და სატყეო მეურნეობის კონსულტანტები</u>

სასოფლო და სატყეო მეურნეობის კონსულტანტები უზრუნველყოფენ ტექნიკურ დახმარებას და გასცემენ კონსულტაციებს სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის დარგის ძირითადი ამოცანებისა და მეთოდების შესახებ.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის დარგების შესაბამისი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება;
2. რეკომენდაციების გაწევა პროდუქციის ხარისხიანობის გაზრდის მეთოდებთან დაკავშირებით, რომლის მიზანია მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა და ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა;
3. კონსულტირება სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მაგალითად, ნიადაგის გამოფიტვა და მწერებისა და მავნე ცხოველების შესევა;
4. მონაცემების შეგროვება და პროექტების განხორციელებისათვის საჭირო მასალების და შრომის მოცულობისა და ღირებულების განსაზღვრა;
5. დემონსტრაციების ორგანიზება, ლექციების წაკითხვა და მასალების განაწილება გაუმჯობესებული მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით;
6. თეორიული და პრაქტიკული მეცნიერული ცოდნის გამოყენება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და გადაჭრის მიზნით;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კონსულტანტი, სოფლის მეურნეობა
- კონსულტანტი, სატყეო მეურნეობა
- ასისტენტ-კონსულტანტი სოფლის მეურნეობის დარგში

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ტექნიკოსი, აგრონომია - 3212
- ტექნიკოსი, სატყეო მეურნეობა - 3212

მცირე ჯგუფი 322

თანამედროვე ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი (საექთნო საქმიანობის გარდა)

თანამედროვე ჯანდაცვის სფეროს დახმარე პერსონალი (საექთნო საქმიანობის გარდა) ასრულებს ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება კონცეფციების, თეორიების, პრინციპებისა და სამუშაო მეთოდების შემუშავებასა და პრაქტიკულ გამოყენებას ისეთ დარგებში, როგორიცაა ვეტერინარია, ფარმაცევტიკა, სანიტარია, სტომატოლოგია, მედიცინა, ჯანდაცვა და სხვა მონათესავე დისციპლინები.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: კონსულტირებასთან, დიაგნოსტიკასთან, პროფილაქტიკასა და მკურნალობასთან დაკავშირებული შეზღუდული მოვალეობები მედიცინის, სტომატოლოგიისა და ვეტერინარიის სფეროში; კონსულტირება ჰიგიენური და სანიტარული პირობების გაუმჯობესების საკითხებში; დიეტებისა და რაციონალური კვების მეთოდების შემუშავება და გამოყენება; პაციენტის მხედველობის შემოწმება და სათვალეების ან კონტაქტური ლინზების დანიშვნა; კონსულტაციების გაწევა ძვლოვანი და კუნთოვანი სისტემების დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებში; დახმარება მედიკამენტებისა და სხვა ფარმაცევტული პროდუქტების დამზადებისა და განაწილების პროცესში; ჰომეოპათიური მკურნალობის ჩატარება და მეტყველების ან სხვა მსგავსი პრობლემების მკურნალობა. შესაძლოა მათ ხელმძღვანელობა გაუწიონ ჯანდაცვის სპეციალისტ-პროფესიონალებმა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენატრულ ჯგუფებად:

3221 ფერშალები

3222 სანიტრები

3223 დიეტოლოგები და რაციონალური კვების სპეციალისტები

3224 ოპტომეტრისტები და ოპტიკოსები

3225 სტომატოლოგის ასისტენტები

3226 ფიზიოთერაპევტები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი

3227 ვეტერინარის ასისიტენტები

3228 ფარმაცევტის ასისიტენტები

3229 თანამედროვე ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი (საექთნო საქმიანობის გარდა), სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

3221 ფერშალები

ფერშალები ახორციელებენ საკონსულტაციო, სადიაგნოსტიკო, პროფილაქტიკურ და სამკურნალო სამუშაოებს, თუმცა მათი უფლებები ბევრად შეზღუდულია ვიდრე ექიმებისა. ისინი მუშაობენ დამოუკიდებლად ან ექიმების ზედამხედველობით სხვადასხვა დაწესებულებებში ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებში, ძირითადად იკვლევენ იმ დაავადებებს, რომლებიც გავრცელებულია თავიანთ რეგიონში, და ხშირად იყენებენ მკურნალობის სპეციფიურ მეთოდებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ცალკეული პირების კონსულტირება შობადობის კონტროლის, ჰიგიენის, დიეტური კვებისა და სხვა პროფილაქტიკური სამედიცინო ღონისძიებების საკითხებში;
2. სამედიცინო შემოწმებების ჩატარება დიაგნოზის დადგენის მიზნით, ასევე საგანგებო სიტუაციებში ექიმების დახმარება;
3. წამლების გამოწერა და მკურნალობის დანიშვნა დაავადებების, სხვადასხვა მოშლილობებისა და დაზიანებების სამკურნალოდ დასმული დიაგნოზის შესაბამისად;

4. მარტივი ქირურგიული ოპერაციების ჩატარება;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ფერშალი

<u>3222 სანიტრები</u>

სანიტრები უწევენ ტექნიკურ დახმარებას და კონსულტაციებს სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ასევე უზრუნველყოფენ ზედამხედველობას მათ განხორციელებაზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ინსპექტირება და კონსულტირება გარემოს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფის მეთოდებისა და პრობლემების საკითხებში;
2. ზომების მიღება წყლის, ჰაერის, კვების პროდუქტებისა და ნიადაგის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით;
3. პროფილაქტიკური და გამანეიტრალებელი ზომების მიღება, როგორიცაა მაგალითად, დაავადების მატარებელი ორგანიზმებისა და ჰაერში არსებული მავნე ნივთიერებების კონტროლი, სანიტარული ნორმების დაცვა საკვები პროდუქტების დამუშავებისას, ნარჩენების სათანადო განლაგება და საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავება;
4. დემონსტრაციების ორგანიზება, ლექციების წაკითხვა და მასალების განაწილება გაუმჯობესებული მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით;
5. მონაცემების შეგროვება და პროექტებისათვის საჭირო მასალის რაოდენობისა და სამუშაოს ღირებულების განსაზღვრა;
6. ჰიგიენისა და სანიტარიის სფეროში არსებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გამოყენება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და გადაჭრის მიზნით;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინსპექტორი, სანიტარია
- სანიტარი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ინსპექტორი, უსაფრთხოება და ჯანმრთელობა - 3152
- ინსპექტორი, უსაფრთხოება და ჯანმრთელობა/სამრეწველო ნარჩენების გადამუშავება - 3152
- ინსპექტორი, უსაფრთხოება და ჯანმრთელობა/გარემოს დაბინძურება - 3152

3223 დიეტოლოგები და რაციონალური კვების სპეციალისტები

დიეტოლოგები და რაციონალური კვების სპეციალისტები აწარმოებენ კვლევებს, ამუშავებენ და სრულყოფენ კონცეფციებსა და სამუშაო მეთოდებს, რომელიც უკავშირდება დიეტების შედგენასა და გამოყენებას ზოგადი და თერაპიული მიზნებისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. დიეტებისა და რაციონალური კვების მეთოდების შემუშავება და გამოცდა;
2. თერაპიული და სხვა ტიპის დიეტების შემუშავების დაგეგმვა და ხელმძღვანელობა ცალკეული პირებისათვის, სავადმყოფოებში მყოფი პაციენტებისათვის, ასევე კონკრეტული სფეროს მუშაკებისთვის;
3. მონაწილეობა რაციონალური კვების სწავლებისა და რაციონალური კვების სარეაბილიტაციო ღონისძიებების პროგრამებში;
4. კონსულტირება საზოგადოებრივი კვების რაციონალური და გამაჯანსაღებელი პროგრამების საკითხებში;
5. მონათესავე დარგებში არსებული ცოდნის გამოყენება და კონტაქტების დამყარება შესაბამის სპეციალისტებთან;
6. ლექციებისა და საუბრების ჩატარება დიეტური და რაცინალური კვების საკითხებზე;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კონსულტანტი, დიეტური/საკვების გადამუშავება
- დიეტოლოგი
- რაციონალური კვების სპეციალისტი

3224 ოპტომეტრისტები და ოპტიკოსები

ოპტომეტრისტები და ოპტიკოსები უნიშნავენ პაციენტებს სათვალეებსა და კონტაქტურ ლინზებს, უწევენ კონსულტაციებს ამ და მხედველობის გაუმჯობესების სხვა საშუალებების გამოყენების საკითხებში, როგორიცაა მაგალითად, ინდივიდუალური განათების საშუალებები კითხვის ან მუშაობის დროს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. პაციენტების მხედველობის შემოწმება, სათვალეებისა და კონტაქტური ლინზების გამოწერა ან სხვა სამკურნალო საშუალებების დანიშვნა მხედველობის გაუმჯობესების მიზნით, სამედიცინო მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში ექიმებთან გაგზავნა;
2. რეკომენდაციების გაწევა სათვალეებისა და კონტაქტური ლინზების გამოყენების, ასევე მუშაობის ან კითხვის დროს სწორი განათებისა და მხედველობის გაუმჯობესების სხვა საშუალებების საკითხებში;
3. ლინზების ჩასმა სათვალის ჩარჩოებში, ჩარჩოებისა და კონტაქტური ლინზების შერჩევაში მომხმარებლების დახმარება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპტიკოსი, სათვალის შერჩევა

- ოპტიკოსი, ოფთალმოლოგიური
- ოპტომეტრისტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ოფთალმოლოგი - 2221

3225 სტომატოლოგის ასისტენტები

სტომატოლოგის ასისტენტები ახორციელებენ საკონსულტაციო, სადიაგნოსტიკო, პროფილაქტიკურ და სამკურნალო სტომატოლოგიურ სამუშაოებს, თუმცა მათი მოვალეობები ბევრად შეზღუდულია და ნაკლები სირთულისაა ვიდრე ექიმ-სტომატოლოგებისა, ისინი ეხმარებიან სტომატოლოგებს სამუშაო ინსტრუმენტებისა და სხვა ხელსაწყოების მომზადებაში, ასევე ამზადებენ მასალებს და ეხმარებიან პაციენტებს მოემზადონ სამკურნალო პროცედურების ჩასატარებლად და გასასინჯად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ცალკეული პირების კონსულტირება პირის ღრუს ჰიგიენის, დიეტური კვების და სხვა პრევენციული ზომების მიღების საკითხებში;
2. სტომატოლოგიური გამოკვლევების ჩატარება დიაგნოზის დადგენის მიზნით, ექიმ-სტომატოლოგებთან გაგზავნა საჭიროების შემთხვევაში;
3. კბილების გასუფთავება და მომზადება გასაბურღად და დასაპლომბად;
4. განსაზღვრული სახის პროტეზების გაკეთება და მცირე ქირურგიული ოპერაციების ჩატარება;
5. სტომატოლოგიური ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების შენახვა და მოვლა;
6. სტომატოლოგიური მასალების მომზადება;
7. პაციენტების მომზადება სამკურნალო პროცედურებისა და გასინჯვისათვის;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ასისტენტი, სტომატოლოგიური
- ასისტენტი, სტომატოლოგიური/სკოლის მომსახურება
- ჰიგიენისტი, სტომატოლოგიური

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- დამხმარე, სტომატოლოგიური - 5132
- მექანიკოსი, სტომატოლოგიური - 7311

3226 ფიზიოთერაპევტები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი

ფიზიოთერაპევტები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი მკურნალობენ ძვლოვანი, კუნთოვანი და ნერვული ან სისხლძარღვთა სისტემების დაავადებებს მანუალური, ულტრაბგერითი, სითბური, ლაზერული ან სხვა სახის თერაპიული მეთოდების საშუალებებით, ან იყენებენ ფიზიოთერაპიულ და მკურნალობის სხვა მსგავს მეთოდებს ფსიქიურად დაავადებული ან ფსიქიური გადახრების მქონე ადამიანებისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ცალკეული პირების კონსულტირება სხეულის სწორი ტანადობის შენარჩუნების საკითხებზე მუშაობისას ან სხვა პირობებში სხვადასხვა სახის დაზიანებებისა და სხეულის დაჭიმულობის თავიდან აცილების მიზნით;
2. გამოკვლევების ჩატარება ძვლოვანი, კუნთოვანი, სისხლძარღვთა ან ნერვული სისტემების დაავადებების დიაგნოზის დადგენის და მკურნალობის სწორი კურსის დანიშვნის მიზნით, ექიმებთან გაგზავნა საჭიროების შემთხვევაში;
3. ძვლოვანი, კუნთოვანი, სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების დაავადებების მკურნალობა მანუალური, ულტრაბგერითი, სითბური, ლაზერული ან სხვა მსგავსი მეთოდების გამოყენებით;
4. კლიენტების ან პაციენტებისათვის მასაჟების გაკეთება სისხლის მომოქცევის გაუმჯობესების, განტვირთვის და ნერვული დაძაბულობის მოხსნის მიზნით;
5. ფიზიკური ნაკლისა და გადახრილობის მქონე პაციენტების გასინჯვა პროტეზირების ან სხვა ხელსამარჯვების შერჩევის მიზნით, ასევე კლიენტების კონსულტირება მათი მორგებისა და გამოყენების საკითხებში;
6. ფიზიოთერაპიული და სხვა მსგავსი მეთოდების გამოყენება ფსიქიურად დაავადებული ან ფსიქიური გადახრილობების მქონე პაციენტების სამკურნალოდ;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ქიროპრაქტიკოსი
- ფიზიოთერაპევტი
- ექიმი ორთოპედი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- თერაპევტი, პროფესიონალი - 3229

3227 ვეტერინარის ასისტენტები

ვეტერინარის ასისტენტები ახორციელებენ საკონსულტაციო, სადიაგნოსტიკო, პროფილაქტიკურ და სამკურნალო ვეტერინარიულ სამუშაოებს, თუმცა მათი მოვალეობების სფერო ბევრად შეზღუდულია და ნაკლები სირთულისაა ვიდრე ვეტერინარებისა, ისინი ეხმარებიან ვეტერინარებს სამუშაო ინსტრუმენტებისა და სხვა ხელსაწყოების მომზადებაში, ასევე ამზადებენ მასალებსა და ცხოველებს სამკურნალო პროცედურების ჩასატარებლად და გასასინჯად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ცალკეული პირების კონსულტირება ცხოველების, მათი დაავადებებისა და დაზიანებების მკურნალობის საკითხებში;
2. ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა დიაგნოზის დასმის მიზნით, ვეტერინარებთან გაგზავნა საჭიროების შემთხვევაში;
3. დაავადებულ ან დაშავებულ ცხოველების მკურნალობა, განსაკუთრებით გავრცელებული დაავადებების შემთხვევებში;
4. სამკურნალო ინსტრუმენტებისა და მასალების მომზადება და მოვლა;

5. ტექნიკური მოვალეობების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია ცხოველების ხელოვნურ განაყოფიერებასთან;
6. ცხოველების მომზადება გამოსაკვლევად ან სამკურნალო პროცედურების ჩასატარებლად;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ასისტენტი, ვეტერინარია
- ასისტენტი, ვეტერინარია/ ხელოვნური განაყოფიერება
- ვაქცინატორი, ვეტერინარია

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- დამხმარე, ვეტერინარია - 5139

3228 ფარმაცევტის ასისტენტები

ფარმაცევტის ასისტენტები ამზადებენ მედიკამენტებს, მალამოებს და სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს აფთიაქებში ფარმაცევტების ხელმძღვანელობით აფთიაქებში, საავადმყოფოებსა და ამბულატორიებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ფარმაცევტების ზედამხედველობით მედიკამენტებისა და სხვა ფარმაცევტული ნაერთების დამზადება;
2. წამლების განაწილება და წერილობითი ან ზეპირი ინსტრუქციების გაცემა ექიმების, ვეტერინარებისა და სხვა მონათესავე სპეციალისტების მიერ გამოწერილი რეცეპტების შესაბამისად;
3. მოწყობილობებისა და სათავსოების დასუფთავება და მომზადება წამლებისა და სხვა ფარმაცევტული ნაერთების დასამზადებლად;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ასისტენტი, ფარმაცევტული

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- დამხმარე, ფარმაცია - 5139

3229 თანამედროვე ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი (საექთნო საქმიანობის გარდა), სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან თანამედროვე ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი (საექთნო საქმიანობის გარდა), რომელიც არ შედის მცირე ჯგუფის 322 - *თანამედროვე ჯანდაცვის სფეროს დამხმარე პერსონალი (საექთნო საქმიანობის გარდა)*, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მაგალითად, აქ შესაძლებელია დაკლასიფიცირდეს ის პირები, რომლებიც იყენებენ მკურნალობისათვის ჰომეოპათიას, გეგმავენ და ახორციელებენ თერაპიულ დახმარებას ფსიქიური ან ფიზიკური გადახრების, მეტყველების დარღვევის მქონე ადამიანებისათვის, იყენებენ პრაქტიკაში ვარჯიშებს მხედველობის გავარჯიშებისა და კორექტირებისათვის ან არიან დაკავებული უსინათლო ადამიანების ორიენტირების პრობლემებით.

ასეთ შემთხვევაში მათ მოვალეობებში შედის:

1. კონკრეტული დაავადებების მკურნალობა მსგავსი დაავადებების გამომწვევი მცირე დოზის მიღებით;
2. თერაპიული საქმიანობების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც უკავშირდება განათლებას, პროფესიულ სწავლებასა და დასვენებას ფსიქიურად დაავადებული ან ფიზიკური გადახრების მქონე ადამიანების დახმარების მიზნით;
3. გამოთქმის დეფექტების გამოსწორება;
4. გამოთქმის ჟღერადობის კორექცია;
5. თვალის კუნთების კორექციული მკურნალობა თვალის ვარჯიშების საშუალებით;
6. უსინათლო ადამიანების ორიენტირებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ჰომეოპათი
- ორთოეპისტი
- ორთოფონისტი
- თერაპევტი, პროფესიონალი

მცირე ჯგუფი 323

სამეანო და საექთნო საქმიანობის დამხმარე პერსონალი

სამეანო და საექთნო საქმიანობის დამხმარე პერსონალი პრაქტიკულად იყენებს სამედიცინო მეთოდებსა და ტექნოლოგიებს ისეთ საქმიანობებში, რომელიც უკავშირდება ბავშვების დაბადებას, ავადმყოფების, დაშავებულებისა და ინვალიდების, ასევე დედებისა და მათი ახალშობილების მოვლას.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: მკურნალი და გინეკოლოგი ექიმების დახმარება პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების პრაქტიკულ სამუშაოებში, საგანგებო სიტუაციებისათვის თავის გართმევა მათი არყოფნის დროს; ავადმყოფი, დაშავებული, გონებრივად და ფიზიკურად შეზღუდული ადამიანების, ან იმ ადამიანების მკურნლობა, ვისაც მსგავსი სახის დახმარება ესაჭიროება; მშობიარობის პროცესში მონაწილეობა ან დახმარება და დედების კონსულტირება ახალშობილების მოვლასთან დაკავშირებულ საკითხებში. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი განხორციელების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე განათლების და პროფესიული მომზადების დონის მიმართ ნაციონალური მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაძლოა ზოგიერთი ან ყველა აღნიშნული პროფესიის კლასიფიცირება მოვახდინოთ მცირე ჯგუფში 223 - *საექთნო საქმიანობისა და მეანობის სპეციალისტ-პროფესიონალები.*

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

3231 საექთნო საქმიანობის დამხმარე პერსონალი

3232 სამეანო საქმიანობის დამხმარე პერსონალი

3231 საექთნო საქმიანობის დამხმარე პერსონალი

საექთნო საქმიანობის დამხმარე პერსონალი უვლის და ეხმარება ავადმყოფ, დაშავებულ, გონებრივად და ფიზიკურად შეზღუდულ ადამიანებს, ან იმ პირებს ვისაც მათი მოვლა ესაჭიროებათ. ექიმებისა ან პროფესიონალი ექთნების არყოფნის გაუთვალისწინებელ შემთხვევაში თავს ართმევენ სამუშაოებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. დახმარება ავადმყოფი, დაშავებული და ინვალიდი ადამიანების, ან იმ ადამიანების ვისაც მსგავსი სახის დახმარება ესაჭიროება მოვლის, მკურნალობისა და კონსულტირების საქმიანობაში;
2. ექიმებსა და უფროსი ექთნების დახმარება მათი მოვალეობების შესრულებაში, წამლების გამოწერა პაციენტებისათვის, ქირურგიული სახვევების გაკეთება და სხვა სახის მკურნალობის ჩატარება ექიმებისა და უფროსი ექთნების ზედამხედველობით;
3. საგანგებო სიტუაციებში პირველადი დახმარების გაწევა პაციენტებისათვის;
4. დახმარება ფსიქიურად დაავადებული პაციენტების ფიზიკური ან ფსიქიატრიული მკურნალობისათვის მომზადებაში;
5. ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდული პაციენტების განათლების, განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის პროცესში დახმარება;
6. საჭიროების შემთხვევაში პაციენტების მკურნალობა თავიანთ სახლებში;
7. სამედიცინო მომსახურების, დახმარებისა და კონსულტაციების გაწევა განსაზღვრული საზოდადოებრივი ჯგუფებისათვის ან სამუშაო ადგილებზე;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მედდა, დამხმარე პერსონალი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- დამხმარე, მკურნალობა/საავადმყოფო - 5132
- მედდა, პროფესიონალი - 2230

3232 სამეანო საქმიანობის დამხმარე პერსონალი

სამეანო საქმიანობის დამხმარე პერსონალი დახმარებას უწევს გინეკოლოგებსა და ექიმებს მშობიარობის პროცესში, ეხმარებიან დედებს მშობიაროზამდელ და მშობიარობის შემდგომ პერიოდში და უწევენ კონსულტაციებს ახალშობილის მოვლასთან დაკავშირებულ საკითხებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მომავალი დედების კონსულტირება კვებასთან, ვარჯიშებთან და მსგავს საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ორსულობის პერიოდისა და მშობიარობის გაადვილების მიზნით, ასევე მათი ზოგადი ჯანმრთელობისა და ორსულობის პროცესის დაკვირვება;
2. მშობიარობის პროცესში ექიმებისა და გინეკოლოგების დახმარება;
3. დედების ზედამხედველობა მშობიარობის შემდგომ პერიოდში მათი რეაბილიტაციის უზრუნველყოფის მიზნით, ახალშობილების განვითარებაზე დაკვირვება და დედების კონსულტირება ახალშობილების მოვლის საკითხებში;
4. ორსულობის თავიდან არიდების მეთოდების საკითხებში დახმარება და კონსულტირება;

5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეანი, დამხმარე პერსონალი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მეანი, პროფესიონალი - 2230

მცირე ჯგუფი 324

ხალხური და არატრადიციული მედიცინის პრაქტიკოსები

ხალხური და არატრადიციული მედიცინის პრაქტიკოსები უწევენ კონსულტაციებს ჯანმრთელობის შენარჩუნების ან გაუმჯობესების საკითხებში და მკურნალობენ ადამიანის გონებრივ და ფიზიკურ დაავადებებს ხალხური მეთოდების დახმარებით, რომლის არსია ბუნებრივი საშუალებებით ორგანიზმის ფუნქციონირების სტიმულირება და დახმარება, ან შთაგონების და ლოცვების გამოყენება.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: კლიენტების კონსულტირება რაციონალური კვებისა და ქცევის საკითხებში ფიზიკური და ფსიქიური ძალების შენარჩუნებისა და აღდგენის მიზნით; პაციენტების მკურნალობა ხალხური მეთოდებითა და ბუნებრივი საშუალებებით; ავადმყოფების განკურნება ჩაგონებითა და ლოცვებით. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

3241 ხალხური მედიცინის პრაქტიკოსები

3242 არატრადიციული მედიცინის პრაქტიკოსები

3241 ხალხური მედიცინის პრაქტიკოსები

ხალხური მედიცინის პრაქტიკოსები მკურნალობენ ადამიანის ფსიქიურ და ფიზიკურ დაავადებებს ბალახებით, სამკურნალო მცენარეებით და სხვა ხალხური მეთოდების გამოყენებით, რომლის არსია ბუნებრივი საშუალებებით ორგანიზმის ფუნქციონირების სტიმულირება და დახმარება; გასცემენ კონსულტაციებს ჯანმრთელობის დაცვისა და გაუმჯობესების საკითხებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ავადმყოფებისა და დაშავებულების მკურნალობა ბალახებით, სამკურნალო მცენარეებითა და სხვა ხალხური საშუალებებით, რომელიც ტრადიციულად გამოიყენება საზოგადოებაში და სთავაზობს ბუნებრივ საშუალებებს ორგანიზმის ფუნქციონირების სტიმულირებისა და დახმარებისათვის;
2. საზოგადოებისა და ცალკეული პირების კონსულტირება რაციონალური კვებისა და სწორი ქცევის საკითხებში ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მკურნალი, უწამლოდ მკურნალობა
- მკურნალი, ბალახეულით მკურნალობა

- მკურნალი, სოფლის
- ნატუროპათი

3242 არატრადიციული მედიცინის პრაქტიკოსები

არატრადიციული მედიცინის პრაქტიკოსები მკურნალობენ ადამიანის ფსიქიურ და ფიზიკური დაავადებებს ჩაგონების, სულიერი გავლენისა და ლოცვების მეშვეობით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ადამიანის ფსიქიური და ფიზიკური დაავადებების მკურნალობა ჩაგონების, სულიერი გავლენისა და ლოცვების მეშვეობით;
2. საზოგადოებისა და ცალკეული პირების კონსულტირება რწმენისა და სათანადო ქცევის საკითხებში ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ჩაგონებით მკურნალი

ქვეჯგუფი 33

განათლების სფეროს დამხმარე პერსონალი

განათლების სფეროს დამხმარე პერსონალი ასწავლის სხვადასხვა საგნებს დაწყებით და სკოლამდელ საგანმანათლებლო დონეზე, ორგანიზებას უკეთებს საგანმანათლებლო ღონისძიებებს განსაკუთრებით დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვებისათვის, ან ასწავლის ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდულ ბავშვებს, მოზარდებს ან მათ ვისაც სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: სასწავლო პროგრამების მომზადება და სხვადასხვა საგნების სწავლება სკოლამდელ და დაწყებით საგანმანათლებლო დონეზე; სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება ბავშვების ენობრივი, ფიზიკური და ზოგადი უნარების განვითარების მიზნით; სასწავლო პროგრამების ადაპტირება გონებრივად და ფიზიკურად შეზღუდული ადამიანების კონკრეტული ჯგუფისათვის, ან მათთვის ვისაც სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, ბრაილის შრიფტის, ტუჩების მიხედვით წაკითხვის ტექნიკისა და სხვა სწავლების სპეციალური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებით სწავლება; სხვა სასწავლო ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის საჰაერო აპარატების, ავტომობილების ან სხვა მანქანების მართვის სწავლება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი განხორციელების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე განათლებისა და პროფესიული მომზადების დონისადმი ნაციონალური მოთხოვნების გათვალისწინებით, მართებული იქნება ზოგიერთი პროფესიის კლასიფიცირება მოვახდინოთ ქვეჯგუფში 23 - განათლების სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალები. ეს ეხება განსაკუთრებით იმ პროფესიებს, რომლებიც გათვალისწინებულია მცირე ჯგუფში 331 - დაწყებითი განათლების დამხმარე პერსონალი, 332 - სკოლამდელი განათლების დამხმარე პერსონალი და 333 - სპეციალური განათლების დამხმარე პერსონალი.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

331 დაწყებითი განათლების დამხმარე პერსონალი

332 სკოლამდელი განათლების დამხმარე პერსონალი

333 სპეციალური განათლების დამხმარე პერსონალი

334 განათლების სფეროს სხვა დამხმარე პერსონალი

მცირე ჯგუფი 331

დაწყებითი განათლების დამხმარე პერსონალი

დაწყებითი განათლების დამხმარე პერსონალი ასწავლის რიგ საგნებს დაწყებით საგანმანათლებლო დონეზე.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: სასწავლო პროგრამების მომზადება, რიგი საგნების სწავლება დაწყებით საგანმანათლებლო დონეზე, და ზოგიერთი საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზება; მოხსენებების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი განხორციელების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე განათლებისა და პროფესიული მომზადების დონის ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით, მართებული იქნება ზოგიერთი ან ყველა აღნიშნული პროფესიის კლასიფიცირება მოვახდინოთ მცირე ჯგუფში 233 - *დაწყებითი და სკოლამდელი განათლების პედაგოგები.*

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფად:

3310 დაწყებითი განათლების დამხმარე პერსონალი

3310 დაწყებითი განათლების დამხმარე პერსონალი

დაწყებითი განათლების დამხმარე პერსონალი ასწავლის რიგ საგნებს დაწყებით საგანმანათლებლო დონეზე.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: სასწავლო პროგრამების მომზადება, რიგი საგნების სწავლება დაწყებით საგანმანათლებლო დონეზე, და ზოგიერთი საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზება; მოხსენებების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სასწავლო პროგრამების მომზადება, კითხვის, მართლწერის, არითმეტიკისა და სხვა საგნების სწავლება შემუშავებული ან რეკომენდირებული გეგმის შესაბამისად;
2. ტესტების, დავალებებისა და სავარჯიშოების მომზადება, ჩატარება და შემოწმება მოსწავლეების განვითარების შეფასების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მეცადინეობების ჩატარება;
3. მოსწავლეთა არასაპროგრამო ღონისძიებების ორგანიზება და ხელმძღვანელობა;
4. მოსწავლეთა პირადი წარმატებების სტიმულირება და მათი მიღწევების განხილვა მშობლებთან და სასწავლო ნაწილის გამგესთან;
5. მოსწავლეების ზედამხედველობა საკლასო ოთახებში და მის გარეთ, სკოლის ტერიტორიაზე;
6. მოხსენებების მომზადება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მასწავლებელი, დაწყებითი განათლება/დამხმარე პერსონალი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- უფროსი მასწავლებელი - 1229
- ინსპექტორი, სკოლა - 2352
- მასწავლებელი, დაწყებითი განათლება/პროფესიონალი - 2331

მცირე ჯგუფი 332

სკოლამდელი განათლების დამხმარე პერსონალი

სკოლამდელი განათლების დამხმარე პერსონალი ორგანიზებას უკეთებს საგანმანათლებლო ღონისძიებებს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება ბავშვების ენობრივი, ფიზიკური და ზოგადი უნარების განვითარების მიზნით. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი განხორციელების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე განათლებისა და პროფესიული მომზადების დონისადმი ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით, მართებული იქნება ზოგიერთი ან ყველა აღნიშნული პროფესიის კლასიფიცირება მოვახდინოთ მცირე ჯგუფში 233 - *დაწყებითი და სკოლამდელი განათლების პედაგოგები.*

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფად:

3320 სკოლამდელი განათლების დამხმარე პერსონალი

3320 სკოლამდელი განათლების დამხმარე პერსონალი

სკოლამდელი განათლების დამხმარე პერსონალი ორგანიზებას უკეთებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ თამაშებსა და სხვადასხვა სასწავლო ღონისძიებებს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფიზიკური, გონებრივი და სოციალური განვითარების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება ბავშვების ფიზიკური და ზოგადი უნარების განვითარების მიზნით;
2. ბავშვების ენობრივი უნარების განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა ამბების მოყოლით, როლების თამაშით, სიმღერებისა და ლექსების, არაფორმალური საუბრებისა და დისკუსიების საშუალებით;
3. ბავშვებზე დაკვირვება მათი წარმატებების შეფასების მიზნით, არსებული მიღწევებისა და სავარაუდო პრობლემების განხილვა მშობლებთან;
4. ბავშვების ზედამხედველობა კონფლიქტების მოგვარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მასწავლებელი, საბავშვო ბაგა/დამხმარე პერსონალი
- მასწავლებელი, სკოლამდელი განათლება/დამხმარე პერსონალი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მასწავლებელი, სკოლამდელი განათლება/პროფესიონალი - 2332

მცირე ჯგუფი 333

სპეციალური განათლების დამხმარე პერსონალი

სპეციალური განათლების დამხმარე პერსონალი, განსაზღვრულ საგანმანათლებლო დონეზე, ასწავლის ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდულ ბავშვებს, ახალგაზრდებს ან მოზარდებს, ან მათ ვისაც სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: სასწავლო პროგრამების ადაპტირება გონებრივად და ფიზიკურად შეზღუდული ადამიანების განსაზღვრული ჯგუფებისათვის, ან მათთვის ვისაც სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს; ერთი ან რამოდენიმე საგნის სწავლება, მაგალითად, ყრუ ან ბრმა ადამიანებისათვის, ბრაილის შრიფტის, ტუჩების მოძრაობის მიხედვით წაკითხვის ტექნიკისა და სხვა სპეციალური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებით; მოხსენებების მომზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი შესრულების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე განათლებისა პროფესიული მომზადების დონისადმი ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით, მართებული იქნება ზოგიერთი ან ყველა აღნიშნული პროფესიის კლასიფიცირება მოვახდინოთ მცირე ჯგუფში 234 - სპეციალური განათლების პედაგოგები.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფი იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფად:

3330 სპეციალური განათლების დამხმარე პერსონალი

3330 სპეციალური განათლების დამხმარე პერსონალი

სპეციალური განათლების დამხმარე პერსონალი, განსაზღვრულ საგანმანათლებლო დონეზე, ასწავლის ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდულ ბავშვებს, ახალგაზრდებს ან მოზარდებს, ან მათ ვისაც სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სასწავლო პროგრამების შემუშავება და სრულყოფა, გაკვეთილებისა და სხვადასხვა ღონისძიებების მომზადება მოთხოვნების შესაბამისად;
2. რეკომენდაციების გაწევა გონებრივად და ფიზიკურად შეზრუდული ბავშვებისათვის სწავლების სპეციალური საშუალებებისა და სხვადასხვა მეთოდების გამოყენების საკითხებზე, როგორიცაა მაგალითად ბრაილის შრიფტი და ტუჩების მოძრაობის მიხედვით წაკითხვის ტექნიკა;
3. მოსწავლეებისათვის საკუთარი თავის რწმენის ჩანერგვა, დახმარება ისეთი მეთოდების მოპოვებაში და ათვისებაში, რომელიც გადახრებით შეზღუდული საკუთარი შესაძლებლობების გაფართოების საშუალებას იძლევა, ასევე საკუთარი წარმატებების გათვითცნობიერებაში;
4. ტესტირებების ჩატარება, თითოეული მოსწავლის მიღწევების განსაზღვრა, შეფასება და და მათი განხილვა მშობლებთან, სასწავლო ნაწილის გამგესთან, ექიმებთან, სოციალური პრობლემების სფეროს მუშაკებთან და ა.შ.;
5. კერძო გაკვეთილების ჩატარება;
6. ანგარიშების მომზადება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მასწავლებელი, მკურნალობა/დამხმარე პერსონალი
- მასწავლებელი, სპეციალური განათლება/უსინათლოებისთვის (დამხმარე პერსონალი)
- მასწავლებელი, სპეციალური განათლება/გონებრივად შეზღუდულებისათვი (დამხმარე პერსონალი)

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მასწავლებელი, მკურნალობა/პროფესიონალი - 2340
- მასწავლებელი, სპეციალური განათლება/უსინათლოებისთვის (პროფესიონალი) - 2340
- მასწავლებელი, სპეციალური განათლება/გონებრივად შეზღუდულებისათვის (პროფესიონალი) - 2340

მცირე ჯგუფი 334

განათლების სფეროს სხვა დამხმარე პერსონალი

განათლების სფეროს სხვა დამხმარე პერსონალი ახორციელებს სწავლებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, სკოლამდელ, დაწყებით და სპეციალურ სწავლებასთან დაკავშირებულის გარდა.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: საფრენი აპარატების, ავტომობილების, სარკინიგზო და სხვა სატრანსპორტო საშუალებების მართვის სწავლება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი შესრულების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე განათლებისა და პროფესიული მომზადების დონისადმი ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით, მართებული იქნება ზოგიერთი ან ყველა აღნიშნული პროფესიის კლასიფიცირება მოვახდინოთ ელემენტარულ ჯგუფში 2359 - განათლების სფეროს სხვა სპეციალისტ-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფად:

3340 განათლების სფეროს სხვა დამხმარე პრსონალი

3340 განათლების სფეროს სხვა დამხმარე პერსონალი

განათლების სფეროს სხვა დამხმარე პერსონალი ახორციელებს სწავლებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, სკოლამდელ, დაწყებით და სპეციალურ სწავლებასთან დაკავშირებულის გარდა. მათ შეიძლება ასწავლონ, მაგალითად, საფრენი აპარატების, ავტომობილების, სარკინიგზო და სხვა სატრანსპორტო საშუალებების მართვა.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საჰაერო ან სახმელეთო გადაადგილების საშუალებების მართვისა მოქმედების პრინციპების ახსნა;
2. მოსწავლეების თანხლება სასწავლო ფრენისა ან მგზავრობის პროცესში;
3. საჰაერო ან სახმელეთო გადაადგილების საშუალებების მოძრაობის წესების ახსნა;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინსტრუქტორი, ავტომანქანის მართვა
- ინსტრუქტორი, საფრენი აპარატის მართვა

ქვეჯგუფი 34

სხვა დამხმარე პერსონალი

სხვა დამხმარე პერსონალი ასრულებს ტექნიკურ სამუშაოებს, რომელიც უკავშირდება ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას ისეთ დარგებში, როგორიცაა ფინანსები და გაყიდვები, კომერცია, საწარმოების ადმინისტრირება, ბუღალტრული აღრიცხვა, იურიდიული, სტატისტიკური და სხვა მომსახურება, სახელმწიფო სამსახური, რომელიც უკავშირდება საბაჟო საქმეს, მოგზაურობებს, გადასახადებს, სოციალურ უზრუნველყოფას, დასაქმებას, ლიცენზიების გაცემას, პოლიციას, ასევე სოციალური პრობლემების სფეროს, გართობას, სპორტსა და რელიგიას.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: ფასიან ქაღალდებთან, დაზღვევასთან და კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული სპეციალური კომერციული საქმიანობა; მოგზაურობების ორგანიზება; ტექნიკური და სხვა საქონელის საბითუმო ვაჭრობის პროცესში მონაწილეობა; შემფასებლებისა და აუქციონერების ფუნქციების შესრულება; აგენტების, სავაჭრო ბროკერებისა და დაქირავებული აგენტების სახით კომერციული მომსახურებების გაწევა; საწარმოს ადმინისტრირება, ბუღალტრული აღრიცხვა, იურიდიული, სტატისტიკური და სხვა მომსახურებები გაწევა; სახელმწიფო საქმიანობა სხვადასხვა სფეროებში, როგორიცაა კადრების განაწილება, საზღვრის კონტროლი, საბაჟო საქმე, მოგზაურობა, გადასახადები, სოციალური უზრუნველყოფა, დასაქმება, ლიცენზიების გაცემა, პოლიცია; სამუშაოების განხორციელება; საქონლისა და დეკორაციების დიზაინის შექმნა; გასართობი და სპორტული ღონისძიებების განხორციელება სოციალურ სფეროში; სამრეწველო დიზაინთან და ინტერიერების გაფორმებასთან დაკავშირებული საქმიანობა; საქმიანობა გართობისა და სპორტის სფეროში; სხვადასხვა რელიგიური საქმიანობა; შესაძლოა მათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირებმა, მენეჯერებმა და სპეციალისტ-პროფესიონალებმა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათი შესრულების პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე განათლებისა და პროფესიული მომზადების დონისადმი ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით, მართებული იქნება ზოგიერთი აღნიშნული პროფესიის კლასიფიცირება მოვახდინოთ ძირითად ქვეჯგუფ 24-ში - სხვა სპეციალისტ-პროფესიონალები განათლების სფეროში. ეს ეხება განსაკუთრებით იმ პროფესიებს, რომლებიც შედის მცირე ჯგუფში 346 - სოციალური სამსახურის დამხმარე პერსონალი.

ამ ქვეჯგუფის პროფესიები იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

341 საფინანსო და გაყიდვების სფეროს დამხმარე პერსონალი

342 კომერციული მომსახურების აგენტები და სავაჭრო ბროკერები

343 ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი

344 საბაჟო, საგადასახადო და მსგავსი სახელმწიფო საქმიანობების დამხმარე პერსონალი

345 პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები

346 სოციალური სამსახურის დამხმარე პერსონალი

347 ხელოვნების, გართობისა და სპორტის სფეროს დამხმარე პერსონალი

348 რელიგიის სფეროს დამხმარე პერსონალი

მცირე ჯგუფი 341

საფინანსო და გაყიდვების სფეროს დამხმარე პერსონალი

საფინანსო და გაყიდვების სფეროს დამხმარე პერსონალი ყიდულობს და ყიდის ფინანსურ დოკუმენტებს, სხვადასხვა სახის დაზღვევებს, უძრავ ქონებას, მოგზაურობასთან დაკავშირებულ და სხვა კომერციულ მომსახურებებს, უცხოურ ვალუტას, მოქმედებენ ორგანიზაციის სახელით საბითუმო ვაჭრობის აგენტებისა და

მყიდველების რანგში აფასებენ სხვადასხვა საქონლის, უძრავი ქონებისა და სხვა კერძო საკუთრების ღირებულებას და აუქციონის საშუალებით ახდენენ მათ რეალიზაციას.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: საბაზრო ტენდენციების გაანლიზება ფინანსურ დოკუმენტებთან, უცხოური ვალუტასთან, ფართო მოხმარების საქონელთან და უძრავ ქონებასთან მიმართებაში და კლიენტების ან საკუთარი სახელით ვაჭრობა; სადაზღვევო პოლისების გაყიდვა და კონსულტირება მსგავს საკითხებში; უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებისა და ფინანსური დოკუმენტების რეგისტრაციის უზრუნველყოფა; სამოგზაურო ტურების და მასთან დაკავშირებული მომსახურებების ორგანიზება, კონსულტირება და გაყიდვა; იმპორტიორის ან მწარმოებლის სახელით სხვადასხვა სახის საქონლით საბითუმო ვაჭრობა, მათ შორის ტექნიკური მოწყობილობებითა და აღჭურვილობებით; ორგანიზაციის სახელით საქონელის ან მომსახურების ყიდვა; ფართო მოხმარების საგნების, უძრავი ქონებისა და სხვა კერძო საკუთრების ღირებულების შეფასება და მათი აუქციონზე გაყიდვა. შესაძლებელია მათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მენეჯერებმა ან სპეციალისტ-პროფესიონალებმა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

ამ მცირე ჯგუფის პროფესიები იყოფა შემდეგე ელემენტარულ ჯგუფებად:

3411 ფასიანი ქაღალდების დილერები და ბროკერები

3412 სადაზღვევო აგენტები

3413 უძრავი ქონების აგენტები

3414 მოგზაურობის კონსულტანტები და მისი ორგანიზატორები

3415 გაყიდვების აგენტები

3416 შესყიდვების აგენტები

3417 საქონელმცოდნეები, შეფასების ექსპერტები და აუქციონისტები

3419 საფინანსო და გაყიდვების სფეროს დამხმარე პერსონალი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

<u>3411 ფასიანი ქაღალდების დილერები და ბროკერები</u>

ფასიანი ქაღალდების დილერები და ბროკერები თავიანთი კომპანიის ან კლიენტების სახელით, ყიდულობენ და ყიდიან ფასიან ქაღალდებს, აქციებს, ობლიგაციებსა და სხვა ფინანსურ დოკუმენტებს, ახდენენ უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვას ნაღდი საქონლის ბაზარზე ან ვადიან ბაზრებზე, უწევენ კონსულტაციებს კლიენტებსა და ხელმძღვანელ პირებს მსგავს საკითხებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ინფორმაციების მოძიება იმ კლიენტებისა და კომპანიების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომლებშიც შეიძლება ინვესტიციების ჩადება;
2. ბაზრის ტენდეციების გაანალიზება ფასიან ქაღალდებთან, აქციებთან, ობლიგაციებთან და სხვა ფინანსურ დოკუმენტებთან, მათ შორის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში;
3. პოტენციურ მომხმარებლების ინფორმირება ბაზრის პერსპექტივებისა და მდგომარეობის შესახებ;
4. ორგანიზაციებისა და კლიენტების სახელით საფინანსო ბაზრებზე აქციებისა და ობლიგაციების დაბანდებებისა და სესხების გაცემის ორგანიზებასა და პირობების განხილვაში მონაწილეობა და კონსულტირება კლიენტების კაპიტალის გაზრდის მიზნით;
5. ფასიანი ქაღალდების, აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფინანსური დოკუმენტების და ასევე უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ორდერების რეგისტრაცია და წარმოდგენა ვადიანი, ან დაუყოვნებლივ გადაცემისათვის;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ბროკერი, ვალუტის გაცვლა
- ბროკერი, ფასიანი ქაღალდები
- ბროკერი, აქციები და ობლიგაციები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოხელე, ფასიანი ქაღალდები - 4122

3412 სადაზღვევო აგენტები

სადაზღვევო აგენტები ყიდიან დაზღვევის ისეთ სახეებს, როგორიცაა სიცოცხლის დაზღვევა, უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა, ავტომობილის დაზღვევა, ქონების დაზღვევა, შერეული დაზღვევა, ხანძრისაგან დაზღვევა, საზღვაო დაზღვევა და სხვა ტიპის დაზღვევა, ახალ და მუდმივ კლიენტებზე, ასევე უწევენ მათ კონსულტაციებს მსგავს საკითხებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ინფორმაციების მოძიება კლიენტების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც საჭიროა შესაბამისი სადაზღვევო პაკეტისა და მისი პირობების განსაზღვრისათვის;
2. მოლაპარაკებების წარმოება კლიენტებთან, რათა განსაზღვრონ რისკის ხარისხი, გადახდის პირობები და შეურჩიონ შესაბამისი სადაზღვევო პაკეტი;
3. გადაზღვევის კონტრაქტების შედგენა და პირობების განხილვა;
4. კონსულტაციების გაწევა, მოლაპარაკებების წარმოება და სადაზღვევო კონტრაქტების შედგენა ფართო მასშტაბიანი და განსაკუთრებული ტიპის პროექტებისთვის, მოწყობოლობებისთვის ან რისკებისთვის;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- აგენტი, დაზღვევა
- სადაზღვევო ბროკერი
- დამზღვევი, დაზღვევა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ექსპერტ-კონსულტანტი, დაზღვევა - 3417
- საკანტორო მოხელე, დაზღვევა - 3432

3413 უძრავი ქონების აგენტები

უძრავი ქონების აგენტები, კლიენტების სახელით ან მათი დავალებით, ორგანიზებას უკეთებენ კერძო საკურების ყიდვის, გაყიდვის, გაქირავებისა და დაგირავების საქმიანობებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ინფორმაციის მიძიება გასაყიდი ან იჯარით გასაცემი საკუთრების, მისი მფლობელების ფინანსური მდგომარეობისა და პოტენციური მყიდველების ან მოიჯარეების მოთხოვნების შესახებ;

2. გასაყიდი ან დასაგირავებელი ქონების ჩვენება პოტენციური მყიდველებისთვის ან მოიჯარეებისათვის და მათთვის ყიდვის, გაქირავების ან დაგირავების პირობების გაცნობა;
3. იჯარისა და საკუთრებაზე უფლებების გადაცემის ხელშეკრულებების ხელმოწერის ორგანიზება;
4. მფლობელების სახელით გირაოს და ქირის თანხის შეგროვება, კერძო საკუთრების დათვალიერება გაქირავებამდე და გაქირავების პერიოდში ან დასრულების შემდეგ;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- აგენტი, უძრავი ქონება
- რიელტორი
- გამყიდველი, ქონება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ოფისის მოსამსახურე, იპოთეკა - 4122

3414 მოგზაურობის კონსულტანტები და მისი ორგანიზატორები

მოგზაურობის კონსულტანტები და მისი ორგანიზატორები გეგმავენ მოგზაურობის მარშრუტსა და განრიგს მომხმარებლებისათვის, ორგანიზებას უწევენ მგზავრების განთავსებას, ორგანიზებას უკეთებენ ან ყიდიან ჯგუფურ სამოგზაურო ტურნეებს საქმიანი ან დასასვენებელი მიზნებისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა სახის ტრანსპორტისა და მგზავრების განსათავსებელი ადგილების ღირებულების, ვარგისიანობისა და კომფორტულობის შესახებ, ასევე კონსულტირება მგზავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებში;
2. სამოგზაურო ბილეთებისა და სასტუმროს ოთახების დაჯავშნა, კლიენტებისათვის ბილეთებისა და ტალონების გადაცემა და გადასახადის აკრეფვა;
3. ჯგუფური სამოგზაურო ტურების ორგანიზება საქმიანი მივლინებების ან დასვენების მიზნით, მათი გაყიდვა ცალკეული პირებზე ან ჯგუფებზე;
4. კლინტების დახმარება საჭირო საბუთებისა და სამოგზაურო დოკუმენტაციის მომზადებაში;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კონსულტანტი, მოგზაურობა
- ორგანიზატორი, მოგზაურობა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- საკანტორე მოხელე, ბილეთის დაჯავშნა/მოგზაურობა - 4221
- საკანტორე მოხელე, ტურისტული სააგენტო - 4221
- გენერალური მენეჯერი, ტურისტული სააგენტო - 1319

3415 გაყიდვების აგენტები

გაყიდვების აგენტები ბითუმად ყიდიან სხვადასხვა სახის საქონელს, დანადგარების, მოწყობილობებსა და სხვა ტექნიკურ პროდუქციის, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურების ჩათვლით, და მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოფენ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შეკვეთების მიღება და სხვადასხვა სახის საქონელის გაყიდვა ცალკეულ პირების, საწამოების, საბითუმო ვაჭრობის მაღაზიებსა და სხვა დაწესებულებებისათვის;
2. ტექნიკური მოწყობილობების, პროდუქციისა და სხვადასხვა მომსახურებების გაყიდვა ცალკეულ პირებისა ან ბიზნეს დაწესებულებებისათვის;
3. პოტენციური მომხმარებლების ინფორმაციით უზრუნველყოფა ზოგად და კონკრეტულ საკითხებზე მოწყობილობის ფუნქციებისა და თვისებების შესახებ, მათთვის სარგებლობის წესების გაცნობა;
4. მომხმარებლების აზრისა და მოთხოვნების გაცნობა მწარმოებლებისათვის;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მრჩეველ-კონსულტანტი, საგარანტიო მომსახურება
- აგენტი-ფირმის წარმომადგენელი
- კომივოიაჟერი
- გამყიდველი, ტექნიკური

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- გამყიდველი, საცალო ვაჭრობის დაწესებულება - 5220

3416 შესყიდვების აგენტები

შესყიდვების აგენტები ყიდულობენ საქონელსა და მომსახურებას სამრეწველო, კომერციული და სხვა სახის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახელით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოლაპარაკებების წარმოება და კონტრაქტების დადება მოწყობილობების, ნედლი მასალებისა და პროდუქციის შესაძენად სამრეწველო ქარხნების, სამთავრობო დეპარტამენტების ან სხვა დაწესებულებებისათვის და საქონლის შეძენა გადაყიდვისათვის;
2. ინფორმაციების მოძიება მოთხოვნებისა და საქონლის არსებული მარაგის შესახებ, გასაყიდი საქონლის რაოდენობის, ხარისხის, ღირებულების, გადაცემის ვადებისა და კონტრაქტის სხვა პირობების განსაზღვრა;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მყიდველი
- მყიდველი, საქონელი/საცალო ვაჭრობა
- მყიდველი, საქონელი/საბითუმო ვაჭრობა

3417 საქონელმცოდნეები, შეფასების ექსპერტები და აუქციონისტები

საქონელმცოდნეები, შეფასების ექსპერტები და აუქციონისტები აფასებენ ქონებას და სხვადასხვა სახის საქონელს, ასევე აფასებენ სადაზღვეო პოლისების მიხედვით ასანაზღაურებელ ხარჯებს, აუქციონის საშუალებით ყიდიან საგნებს, ქონებასა და სხვადასხვა ნივთებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ნედლი მასალის, უძრავი ქონების, სამრეწველო მოწყობილობების, პირადი და საოჯახო ნივთების, ხელოვნების ნიმუშების, ძვირფასეულობისა და სხვა გასაყიდი ან დასაზღვევი ნივთების ხარისხისა და ღირებულების დადგენა;
2. ზარალისა და დანაკარგების ოდენობის და სადზღვევო კომპანიების სადაზღვევო პოლისების მიხედვით ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობის განსაზღვრა;
3. აუქციონის საშუალებით სხვადასხვა სახის ქონების, მანქანების, ფართო მოხმარების საგნების, პირუტყვის, ხელოვნების ნიმუშების, ძვირფასეულობისა და სხვა ნივთების გაყიდვა;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- შემფასებლები
- ექსპერტ-კონსულტანტი, მოთხოვნები ზარალის ასანაზღაურებლად
- ექსპერტ-კონსულტანტი, დაზღვევა
- აუქციონისტი
- ინსპექტორი, მოთხოვნები ზარალის ასანაზღაურებლად
- შემფასებელი ექსპერტი

3419 საფინანსო და გაყიდვების სფეროს დამხმარე პერსონალი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედის საფინანსო და გაყიდვების სფეროს დამხმარე პერსონალი, რომლიც არ შედის მცირე ჯგუფის 341 - საფინანსო და სარეალიზაციო სფეროს დამხმარე პერსონალი, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში

მცირე ჯგუფი 342

კომერციული მომსახურების აგენტები და სავაჭრო ბროკერები

კომერციული მომსახურების აგენტები და სავაჭრო ბროკერები ამყარებენ საჭირო კონტაქტებს მყიდველებსა და გამყიდველებს შორის, ბითუმად ყიდულობენ და ყიდიან ფართო მოხმარების საგნებს, ახორციელებენ მომხმარებელთა საკლირინგო პროცედურებს და უზრუნველყოფენ ექსპორტ/იმპორტის ლიცენზიებისა და დაზღვევების მოწესრიგებას, ასევე უზრუნველყოფენ მუშახელის მოძიებას ვაკანტური ადგილებისთვის, დებენ შრომით კონტრაქტებს კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად და ყიდიან სხვადასხვა სახის კომერციულ მომსახურებას.

შესასრულებელ მოვალეობებში, როგორც წესი, შედის: ფართო მოხმარების საგნების ბითუმად გაყიდვა ან ყიდვა; მომხმარებელთა საკლირინგო პროცედურების განხორციელება და ექსპორტ/იმპორტის ლიცენზიებისა და დაზღვევების მოწესრიგება; მუშახელის მოძიება სხვადასხვა ვაკანტური ადგილებისთვის ან შრომითი კონტრაქტების დადება კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად საწარმოების, მთავრობის ან სხვა

დაწესებულებების მოთხოვნების შესაბამისად; საქმიანი კონტაქტების ორგანიზება; კომერციული მომსახურების გაყიდვა, როგორიცაა, მაგალითად, სარეკლამო ადგილები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, სატრანსპორტო მომსახურება, ასევე კრედიტი და სხვა კომერციული ინფორმაცია; კონტრაქტების შედგენა მსახიობებისა და ხელოვნების სხვა მუშაკებისათვის სპექტაკლებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ასევე წიგნებისა და პიესების გამოცემასა და მუსიკის გასაყიდვასა ან ჩაწერასთან დაკავშირებით. შესაძლოა მათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მენეჯერებმა ან სპეციალისტ-პროფესიონალებმა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

ამ მცირე ჯგუფის პროფესიები იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

3421 სავაჭრო ბროკერები

3422 კლირინგისა და ფორვარდული გარიგების აგენტები

3423 დაქირავებისა და შრომითი ხელშეკრულების აგენტები

3429 კომერციული მომსახურების აგენტები და სავაჭრო ბროკერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

3421 სავაჭრო ბროკერები

სავაჭრო ბროკერები ბითუმად ყიდულობენ და ყიდიან ფართო მოხმარების საგნებს ნაღდი საქონლის ბაზრის, ან ვადიანი ბაზრის აუქციონებზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კონტაქტების დამყარება საქონლის, პროდუქციისა ან მომსახურების მყიდველებსა და გამყიდველებს შორის;
2. კლიენტების ყიდვა ან გაყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნების განხილვა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა;
3. გასაყიდი ნივთების შეტანა აუქციონის კატალოგებში, დაწყებითი ფასების დაწესება, აუქციონებზე დასწრება და კლიენტების სახელით საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა;
4. მოლაპარაკებების წარმოება საქონელის შეძენისა და გაყიდვის პირობებთან დაკავშირებით, რომელიც არ გაიყიდა აუქციონზე;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ბროკერი, ფართო მოხმარების საგნები
- ბროკერი, სატვირთო გადაზიდვები
- ბროკერი, ვაჭრობა

3422 კლირინგისა და ფორვარდული გარიგების აგენტები

კლირინგისა და ფორვარდული გარიგების აგენტები ახორციელებენ საბაჟოს საკლირინგო პროცედურებს და უზრუნველყოფენ დაზღვევის, ექსპორტ/იმპორტის ლიცენზიებისა და სხვა დოკუმენტების სათანადო გაფორმებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საბაჟოს საკლირინგო პროცედურების განხორციელება ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებით;
2. სადაზღვევო დოკუმენტების სათანადო გაფორმების უზრუნველყოფა;

3. საიმპორტო და საექსპორტო ლიცენზიებისა და სხვა ფორმალური დოკუმენტების სათანადო გაფორმების უზრუნველყოფა;
4. ზედნადებების ხელმოწერა და გაცემა;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- აგენტი, კლირინგი
- აგენტი, სატვირთო გადაზიდვები
- აგენტი, ექსპედიტორი

3423 დაქირავებისა და შრომითი ხელშეკრულების აგენტები

დაქირავებისა და შრომითი ხელშეკრულების აგენტები ასაქმებენ უმუშევრებს, დამქირავებლებისთვის ეძებენ მუშაკებს და დებენ შრომით ხელშეკრულებებს კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად საწარმოებისა და სხვა, მათ შორის სამთავრობო დაწესებულებების მოთხოვნების შესაბამისად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ვაკანტური ადგილების შერჩევა დასაქმების სახელმწიფო დაწესებულებებში იმ პირებისათვის, ვინც სამსახურს ეძებს, ან კონსულტირება პროფესიული მომზადების საკითხებთან დაკავშირებით;
2. ვაკანტური ადგილების მოძიება დამსაქმებლების ან მუშაკის დავალებით;
3. საწარმოებთან და ორგანიზაციებთან დასაქირავებელი მუშაკებისათვის ან იმ პირებისათვის, ვისთანაც იგეგმება ხელშეკრულების დადება, საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სხვა მახასიათებლების განხილვა;
4. შესაბამისი კვალიფიკაციების მქონე მუშახელის მოძიება და საჭირო ფორმალური პროცედურების ჩატარება ეროვნული ან საერთაშორისო წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად;
5. შრომითი ხელშეკრულებების რატიფიცირება და მათი იურიდიული მოთხოვნებისადმი შესაბამისობა;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- აგენტი, დასაქმება
- აგენტი, შრომითი ხელშეკრულება
- კონტრაქტორი, დასაქმება

3429 კომერციული მომსახურების აგენტები და სავაჭრო ბროკერები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან კომერციული მომსახურების აგენტები და სავაჭრო ბროკერები, რომლებიც არ შედის მცირე ჯგუფის 342 - კომერციული მომსახურების აგენტები და სავაჭრო ბროკერები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მაგალითად, აქ შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას ის პირები, რომელთა მოვალეობაა საქმიანი კონტაქტების დამყარება, კომერციული მომსახურებების გაყიდვა, როგორიცაა, მაგალითად, სარეკლამო ადგილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, სატრანსპორტო მომსახურება, კრედიტი და სხვა კომერციული

ინფორმაცია, ხელშეკრულებების შედგენა საესტრადო მსახიობებისა და სხვა ხელოვანებისათვის სპექტაკლებში მონაწილეობასთან, ასევე წიგნების გამოცემასთან, პიესების დადგმასთან, მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებასთან, მათ ჩაწერასთან და მუსიკალური ნაწარმოებების გაყიდვასთან დაკავშირებით.

ასეთ შემთხვევაში მათ მოვალეობებში შედის:

1. ინფორმაციების მოძიება გასაყიდი მომსახურებებისა და პოტენციური მყიდველების მოთხოვნების შესახებ;
2. მყიდველებისა ან გამყიდველების სახელით მოლაპარაკებების წარმოება ხელშეკრულების საკითხებზე და კლიენტებისათვის გაყიდვისა და გადახდის პირობების გაცნობა;
3. მყიდველებისა და გამყიდველების სახელით ხელშეკრულებების ხელმოწერა და ხელშეკრულების პირობების დაცვის უზრუნველყოფა;
4. გაწეული კომერციული მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა მყიდველისათვის ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში და დათქმული ფორმით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- აგენტი, საავტორო უფლება
- აგენტი, მუსიკალური წარმოდგენები
- აგენტი, სპორტული ღონისძიებები
- აგენტი, თეატრალური
- მოვაჭრე, კომერციული მომსახურება/რეკლამა

მცირე ჯგუფი 343

ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი

ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი ახორციელებს საინფორმაციო კავშირების უზრუნველყოფასთან, დოკუმენტაციის წარმოებასა და გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფის შიდა ადმინისტრაციულ კოორდინაციასთან დაკავშირებულ საქმიანობას, უზრუნველყოფენ ინფორმაციის გაცვლას ორგანიზაციის სხვადასხვა ქვეგანყოფილებებს შორის.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სხვადასხვა საქმიანობების განხორციელება, რაც უკავშირდება საინფორმაციო კავშირების უზრუნველყოფას, დოკუმენტაციის წარმოებასა და გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფის შიდა ადმინისტრაციულ კოორდინაციას განყოფილების ხელმძღვანელისა და სხვა პერსონალის დახმარების მიზნით; სხდომების ოქმების წარმოება; იურიდიული დოკუმენტების შესწავლა და შეჯამება; ფინანსური ოპერაციების სრული აღრიცხვა; მათემატიკური, სტატისტიკური და აქტუარული მონაცემების შეგროვება, დამუშავება და მიწოდება. შესაძლოა მათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მენეჯერებმა ან სპეციალისტ-პროფესიონალებმა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

3431 მდივან-ადმინისტრატორები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი

3432 იურიდიული და მონათესავე სფეროების დამხმარე პერსონალი

3433 ბუღალტერ-მოანგარიშეები

3434 სტატისტიკის, მათემატიკისა და მონათესავე სფეროების დამხმარე პერსონალი

3439 ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

3431 მდივან-ადმინისტრატორები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი

მდივან-ადმინისტრატორები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობებს, რაც უკავშირდება ორგანიზაციის საინფორმაციო კავშირების უზრუნველყოფას, დოკუმენტაციის წარმოებასა და გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფის შიდა ადმინისტრაციულ კოორდინაციას განყოფილების ხელმძღვანელისა და სხვა პერსონალის დახმარების მიზნით, ასევე უზუნველყოფენ სხდომების ოქმების წარმოებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ადმინისტრაციული მიმოწერისა და ოქმების წარმოება;
2. სხვადასხვა ღონისძიებების ვადების განსაზღვრა და მათი დაცვის კონტროლი შესაძლო გადავადების გათვალისწინებით;
3. განაცხადების შერჩევა სხდომებისთვის, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება, ასევე განყოფილების ხელმძღვანელის ან პერსონალის სხვა წევრების გამგზავრების ორგანიზება;
4. დახმარება ბიუჯეტის პროექტის მომზადებაში, ხარჯების კონტროლი, კონტრაქტების პროექტებისა და შესყიდვების შეკვეთების მომზადება;
5. განყოფილების ხელმძღვანელისა და პერსონალის სხვა წევრების დახმარება ადმინისტრაციული ან ორგანიზაციული სახის ცნობის მისაღებად;
6. განყოფილების ხელმძღვანელის დახმარება სტუმრების ან პერსონალის სხვა წევრების მიღების ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
7. საკანონმდებლო ორგანოში, სასამართლოში ან სხვა დაწესებულებებში სხდომების ოქმების წარმოება სტენოგრაფიით ან სხვა საშუალებებით;
8. საქმიანი, ტექნიკური და სხვა სახის მიმოწერის წარმოება;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მდივანი, ადმინისტრაციული
- ასისტენტი, კორესპონდენცია
- სტენოგრაფისტი, ოქმების წარმოება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მდივანი - 4115

3432 იურიდიული და მონათესავე სფეროების დამხმარე პერსონალი

იურიდიული და მონათესავე სფეროების დამხმარე პერსონალი დახმარებას უწევს კორპორაციულ მენეჯერებს, გენერალურ მენეჯერებს, და სამართლის სფეროს სხვა სპეციალისტ-პროფესიონალებს, ასევე სხვადასხვა სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალებს ისეთ საკითხებში, როგორიცაა იურიდიული საქმეების წარმოება, მათ შორის სადაზღვევო კონტრაქტების შედგენა, სესხების გაცემა და სხვა ფინანსური საქმეების წარმოება.

მათ მოვალეობებში შედის:

1. იურიდიული ან სხვა მსგავსი დოკუმენტების შესწავლა ან შესწავლის ორგანიზება;

2. მოხსენებითი ჩანაწერების მომზადება იურიდიული მდგომარეობის, სესხების გაცემისა და დაზღვევის პირობების შესახებ;
3. კლიენტების ან აგენტების კონსულტირება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებულ იურიდიულ ან ტექნიკურ საკითხებზე;
4. დოკუმენტების მომზადება უძრავი ქონების გადაცემის, აქციების შეძენა-გაყიდვისა და სხვა საქმეების წარმოებისთვის, რომლებიც ფორმალურ რეგისტრაციას საჭიროებენ;
5. დოკუმენტების კანონიერების შემოწმება და გადაცემა კომპანიის სარეგისტრაციო კანტორაში;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სასამართლო აღმასრულებელი
- ოფისის მოსამსახურე, ქონების გადაცემისათვის დოკუმენტაციის მომზადება
- ოფისის მოსამსახურე, სასამართლო
- ოფისის მოსამსახურე, მოსამართლის
- ოფისის მოსამსახურე, იურისპრუდენცია

3433 ბუღალტერ-მოანგარიშეები

ბუღალტერ-მოანგარიშეები ახოციელებენ საწარმოს ფინანსური ოპერაციების სრულ აღრიცხვას და ამოწმებენ იმ დოკუმენტებისა და ანგარიშების კანონიერებას, რომლებიც მსგავს ოპერაციებს ეხება.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საწარმოს ყველა ფინანსური გარიგების სრული აღრიცხვა ბუღალტერიის ზოგადი პრინციპების შესაბამისად ბუღალტერი-ექსპერტების ხელმძღვანელობით;
2. გადასახადებთან, შემოსავლებთან და სხვა ფინანსურ საშუალებებთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ანგარიშების კანონიერების შემოწმება;
3. ფინანსური ანგარიშების მომზადება განსაზღვრული პერიოდისთვის;
4. ბურალტერიის სფეროში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენება მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და გადაჭრის მიზნით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ბუღალტერ-მოანგარიშე

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ბუღალტერი - 2411
- ოფისის მოსამსახურე, ბუღალტერია - 4121

3434 სტატისტიკის, მათემატიკისა და მონათესავე სფეროების დამხმარე პერსონალი

სტატისტიკის, მათემატიკისა და მონათესავე სფეროების დამხმარე პერსონალი მონაწილეობს სტატისტიკური, მათემატიკური ან აქტუარული მონაცემების შეგროვებაში, დამუშავებაში, მიწოდებასა და სხვა

მასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებაში. მათ საქმიანობას, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ მათემატიკოსები, სტატისტიკოსები და მონათესავე პროფესიების სპეციალისტ-პროფესიონალები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მათემატიკური, აქტუარული, სტატისტიკური, ბუღალტრული და სხვა მათთან დაკავშირებული გამოთვლითი სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მონაწილეობა;
2. სტატისტიკური კვლევებისა და აღწერებისათვის საჭირო მასალების რაოდენობისა და სამუშაოს ღირებულების განსაზღვრა;
3. ტექნიკური სამუშაოების შესრულება, რაც უკავშირდება სტატისტიკური კვლევებისა და აღწერისათვის საჭირო მანქანებისა და სემპლინგური სისტემების დამონტაჟებას, მომსახურებასა და გამოყენებას;
4. ტექნიკური სამუშაოების შესრულება, რაც უკავშირდება აღწერებისა და კვლევებისათვის საჭირო მონაცემების შეგროვებასა და მათი ხარისხის კონტროლს;
5. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის სტანდარტული პაკეტის გამოყენება მათემატიკური, აქტუარული, სტატისტიკური, ბურალტრული და სხვა მათთან დაკავშირებული გამოთვლითი სამუშაოების შესასრულებლად;
6. მათემატიკური, აქტუარული, სტატისტიკური, ბურალტრული და სხვა შედეგების მომზადება გრაფიკული და ცხრილური ფორმით წარმოდგენის მიზნით;
7. პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გამოყენება მათემატიკური, აქტუარული, სტატისტიკური, ბუღალტრული აღრიცხვის ჩატარებისას მონათესავე სფეროებში მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განსაზღვრისა და მოგვარების მიზნით;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ასისტენტი, ბუღალტერ-მოანგარიშე
- ასისტენტი, აქტუარი
- ასისტენტი, მათემატიკა
- ასისტენტი, სტატისტიკა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- აქტუარი - 2121
- ოფისის მოსამსახურე, სტატისტიკური - 4122
- მათემატიკოსი, სადაზღვევო საქმე - 2121
- სტატისტიკოსი - 2122

3439 ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფს მიეკუთვნება ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი, რომელიც არ შედის მცირე ჯგუფის 343 - ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგალითად, ისეთი პროფესიები, რომელთა მოვალეობაში შედის საკონსულოს მოსამსახურის, უწყებების ან სამთავრობო კომიტეტების პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობების შესრულება, კარტოთეკებისა და ინფორმაციის სხვა წყაროების ანალიზი, ანგარიშების მომზადება

ხელმძღვანელი ადმინისტრატორებისათვის, საჭირო ინფორმაციის გაცემა და კონსულტაციები პოლიტიკის საკითხებზე, უწყების პროგრამებზე, ადმინისტრაციულ პრობლემებსა და სხვა მსგავს საკითხებზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საკონსულოს მოსამსახურის მოვალეობების შესრულება;
2. პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობების შესრულება განყოფილების ხელმძღვანელებისათვის;
3. აღმასრულებელი მდივნის მოვალეობების შესრულება სამთავრობო კომიტეტებში;
4. კარტოთეკებისა და ინფორმაციის სხვა წყაროების კვლევა და ანგარიშების მომზადება ხელმძღვანელი ადმინისტრატორებისათვის;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- აღმასრულებელი მდივანი, კომიტეტი
- აღმასრულებელი მდივანი, მთავრობის ადმინისტრაცია
- სახელმწიფო მოხელე, საკონსულო

მცირე ჯგუფი 344

საბაჟო, საგადასახადო და მსგავსი სახელმწიფო საქმიანობების დამხმარე პერსონალი

საბაჟო, საგადასახადო და მსგავსი სახელმწიფო საქმიანობების დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს იმ სახელმწიფო კანონებისა და დადგენილებების დაცვას ან განხორციელებას, რომლებიც ეხება სახელმწიფო საზღვრებს, გადასახადებსა და სოციალურ დახმარებებს, უზრუნველყოფს და აკონტროლებს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას მგზავრობაზე, საქონლის ექსპორტსა და იმპორტზე, ბიზნესის წამოწყებაზე, მშენებლობასა და სხვა საქმიანობებზე, რომლებიც სახელმწიფო რეგულირებას ექვემდებარებიან.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სახელმწიფო საზღვრების დაცვა, ადამიანების, სატრანსპორტო საშუალებების, მგზავრობასთან, ტრანსპორტთან და საზღვარზე პროდუქციის გადაზიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმება სახემწიფო კანონებისა და დადგენილებების დაცვის მიზნით; საგადასახადო დეკლარაციების შემოწმება ცალკეული პირებისა და საწარმოების გადასახადის თანხის დასადგენად; სოციალური მდგომარეობის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება სოციალური შეღავათებისა და დახმარებების გასაცემად; შემოწმება და გადაწყვეტილების მიღება ნებართვებისა და ლიცენზიების გასაცემად, რომლებიც ეხება მგზავრობას, საქონლის ექსპორტსა და იმპორტს, მშენებლობას, ბიზნესის წამოწყებას ან სხვა საქნიანობებს, რომლებიც სახელმწიფო რეგულირებას ექვემდებარებიან; საფასო და სახელფასო პოლიტიკის მონიტორინგი. შესაძლოა მათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მაღალი რანგის თანამდებობის პირებმა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

3441 საბაჟო და სასაზღვრო ინსპექტორები

3442 სახელმწიფო მოსამსახურეები საგადასახადო და სააქციზო მოსაკრებლების ამოღების სფეროში

3443 სახელმწიფო მოსამსახურეები სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში

3444 სახელმწიფო მოსამსახურეები ლიცენზირების სფეროში

3449 საბაჟო, საგადასახადო და მსგავსი სახელმწიფო საქმიანობების დამხმარე პერსონალი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

3441 საბაჟო და სასაზღვრო ინსპექტორები

საბაჟო და სასაზღვრო ინსპექტორები ამოწმებენ ადამიანებსა და სატრანსპორტო საშუალებებს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას მთავრობის შესაბამისი კანონებისა და დადგენილებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიული წყლების დაცვა და არალეგალურად ქვეყანაში შემოსული ან ქვეყნიდან გასული ადამიანების, კონტრაბანდული ვალუტისა და არალეგალურად ექსპორტირებუილი ან იმპორტირებული საქონლის დაკავება;
2. ადამიანების დოკუმენტების შემოწმება, რათა დარწმუნდნენ, რომ მათ გააჩნიათ ყველა შესაბამისი ნებართვა და მოწმობა საზღვრის გადასაკვეთად;
3. მგზავრთა ბარგის დათვალიერება, რომლებიც კვეთენ სახელმწიფო საზღვარს, იმ სახელმწიფო კანონებისა და დადგენილებების დაცვის მიზნით, რომლებიც ეხება საქონლისა და ვალუტის ექსპორტ-იმპორტს;
4. სატრანსპორტო დოკუმენტაციისა და ტვირთების შემოწმება, რომლებიც კვეთენ სახელმწიფო საზღვარს, იმ სახელმწიფო კანონებისა და დადგენილებების დაცვის მიზნით, რომლებიც ეხება საქონლის ექსპორტ-იმპორტს, ასევე საბაჟო გადასახადების გადახდის კონტროლი;
5. საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს წინაშე წარდგომა ჩვენებით ჩატარებული საგამოძიებო გარემოებებისა და შედეგების შესახებ;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინსპექტორი, საზღვარი
- ინსპექტორი, საბაჟო
- მოსამსახურე, პასპორტების შემოწმება

3442 სახელმწიფო მოსამსახურეები საგადასახადო და სააქციზო მოსაკრებლების ამოღების სფეროში

სახელმწიფო მოსამსახურეები საგადასახადო და სააქციზო მოსაკრებლების ამოღების სფეროში ამოწმებენ საგადასახადო, გირავნობის და სხვა დოკუმენტებს, რათა განსაზღვრონ ცალკეული პირების ან საწარმოების გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების სახეობა და რაოდენობა, გამონაკლისი ან მნიშვნელოვანი შემთხვევების დროს კი მიმართავენ მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ორგანიზაციების, საწარმოებისა და საერთოდ საზოგადოების კონსულტირება სახელმწიფო კანონების, წესებისა და დადგენილებების სწორად გაგების მიზნით, რაც უკავშირდება გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა სახელმწიფო გადასახდელების განსაზღვრასა და დაბეგვრას, ასევე მოქალაქეების კონსულტირება მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ;
2. საგადასახადო, გირავნობისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების შემოწმება გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა სახის გადასახდელების სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრის მიზნით;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოსამსახურე, აქციზი
- მოსამსახურე, გადასახადი

3443 სახელმწიფო მოსამსახურეები სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში

სახელმწიფო მოსამსახურეები სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში განიხილავენ სოციალური დახმარების მოთხოვნებს, რათა განსაზღვრონ სოციალური დახმარების (ფულადი ან ნატურალური ფორმით) და პენსიის მიღების უფლება და ოდენობა, გამონაკლისი ან მნიშვნელოვანი შემთხვევების დროს კი მიმართავენ მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების კონსულტირება იმ სახელმწიფო კანონების, წესებისა და დადგენილებების შესახებ, რომლებიც ეხება სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამებსა და მათი ოდენობის განსაზღვრას, ასევე მოქალაქეთა კონსულტირება მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ;
2. მოთხოვნებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების შემოწმება სოციალური შემწეობებისა და პენსიების სახეობისა და ოდენობის განსაზღვრის მიზნით ინდივიდუალურად ცალკეული პირისათვის;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოსამსახურე, პენსიები
- მოსამსახურე, სოციალური შემწეობები
- მოსამსახურე, სოციალური დახმარების მოთხოვნები

3444 სახელმწიფო მოსამსახურეები ლიცენზირების სფეროში

სახელმწიფო მოსამსახურეები ლიცენზირების სფეროში განიხილავენ მოთხოვნებს ლიცენზიების გასაცემად საქონლის ექსპორტისა და იმპორტისათვის, ბიზნესის წამოსაწყებად, სახლების ან სხვა ნაგებობების მშენებლობისათვის, ან პასპორტის მისაღებად, განსაზღვრავენ არის თუ არა არსებული მონაცემები წესრიგში ლიცენზიების ან პასპორტების გასაცემად, გამონაკლისი ან მნიშვნელოვანი შემთხვევების დროს კი მიმართავენ მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების კონსულტირება იმ სახელმწიფო კანონების, წესებისა და დადგენილებების შესახებ, რომლებიც ეხება ლიცენზიების სახეობისა და გაცემის პირობების განსაზღვრას, ასევე მოქალაქეების კონსულტირება მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ;
2. მოთხოვნებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების შემოწმება, რათა განსაზღვრონ ლიცენზიების გაცემის შესაძლებლობა და პირობები;
3. მოთხოვნებისა და პასპორტების გაცემაზე ნებართვების შემოწმება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოსამსახურე, ლიცენზირება
- მოსამსახურე, პასპორტების გაცემა

3449 საბაჟო, საგადასახადო და მსგავსი სახელმწიფო საქმიანობების დამხმარე პერსონალი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფს მიეკუთვნება საბაჟო, საგადასახადო და მსგავსი სახელმწიფო საქმიანობების დამხმარე პერსონალი, რომელიც არ შედის მცირე ჯგუფ 344 - საბაჟო, საგადასახადო და მსგავსი სახელმწიფო საქმიანობების დამხმარე პერსონალი, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგალითად, ისეთი პროფესიები, რომელთა მოვალეობაში შედის სავაჭრო ადგილების ინსპექტირება მართებული საზომებისა და სასწორების გამოყენების უზრუნველსაყოფად, ფასებისა და ხელფასების შესახებ ნორმების დაცვის კონტროლი, გამონაკლისი ან მნიშვნელოვანი შემთხვევების დროს კი მიმართავენ მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირებს.

ასეთ შემთხვევებში მათ მოვალეობებში შედის:

1. სავაჭრო ადგილების ინსპექტირება მართებული საზომებისა და სასწორების გამოყენების უზრუნველსაყოფად;
2. ფასების შესახებ ნორმების დაცვის კონტროლი;
3. ხელფასების შესახებ ნორმების დაცვის კონტროლი;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ინსპექტორი, ფასები
- ინსპექტორი, სანიტარული
- ინსპექტორი, ხელფასები
- ინსპექტორი, წონა და ზომა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ინსპექტორი, პროფესიული უსაფრთხოება - 3152
- ინსპექტორი, ხარისხი/პროდუქცია - 3152

მცირე ჯგუფი 345

პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები

პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები იძიებენ ჩადენილ დანაშაულებს და აგროვებენ ინფორმაციას ადამიანებსა და სხვადასხვა დაწესებულებებზე, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გამოძიება დამნაშავეების დადგენის მიზნით; ინფორმაციის შეგროვება ადამიანებსა და დაწესებულებებზე ჩვეულებრივ დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით; საეჭვო მოქმედებების გამოძიება საწარმოებში, მაღაზიებსა და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში; დაპატიმრებების განხორციელება,

სანქციების საფუძველზე; მოწმედ გამოსვლა სასამართლო პროცესზე; შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

3450 პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები

3450 პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები

პოლიციის ინსპექტორები და დეტექტივები იძიებენ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებულ ფაქტებსა და გარემოებებს, აგროვებენ ინფორმაციას გარემოებებზე, დაწესებულებებისა და პირთა ქმედებებზე, რაც შესაძლოა სირთულეებთან იყოს დაკავშირებული, ძირითადად, დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კონტაქტების დამყარება და ინფორმაციის მოძიება დაგეგმილი ან ჩადენილი დანაშაულების შესახებ მათი თავიდან აცილების ან დამნაშავეების დადგენის მიზნით;
2. სხვადასხვა შემთხვევებისა და საეჭვო კრიმინალური ხასიათის გარემოებების გამოძიება, მტკიცებულებების მოსაპოვებლად და დამნაშავეების დასადგენად;
3. კონტაქტების დამყარება და ინფორმაციის მოძიება გარემოებებზე, დაწესებულებებისა და პირთა ქმედებებზე, რაც შესაძლოა სირთულეებთან იყოს დაკავშირებული, ძირითადად, დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით;
4. კომერციული დაწესებულებებიდან ნივთების, ინფორმაციისა და ფულის მოპარვის შესაძლო შემთხვევების, ასევე მომხმარებლებისა და პერსონალის უკანონო ქმედებებთან დაკავშირებული საქმეების გამოძიება;
5. კლიენტების ან საგამოძიებო ორგანოების სახელით გარემოებებისა და პირთა ან საწარმოთა დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიება;
6. დაპატიმრებების განხორციელება ან დახმარების გაწევა დაპატიმრების პროცესში სანქციების საფუძველზე;
7. მოწმედ გამოსვლა სასამართლო პროცესზე ან ინფორმაციის მიწოდება კლიენტებისთვის ან ზემდგომი ინსტანციებისთვის გამოძიების გარემოებებისა და შედეგების შესახებ;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- აგენტი, გამოძიება/პოლიცია
- დეტექტივი
- ინსპექტორი, პოლიცია

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- გენერალური ინსპექტორი, პოლიცია - 1120
- კომისარი, პოლიცია - 1120
- პოლიციელი - 5162

მცირე ჯგუფი 346

სოციალური სამსახურის დამხმარე პერსონალი

სოციალური სამსახურის დამხმარე პერსონალი დახმარებას უწევს კლიენტებს სოციალური და სხვა მსგავსი საკითხების მოგვარებაში, რათა მათ შეძლონ რესურსების მოძიება და გამოყენება პრობლემების დაძლევისა და კონკრეტული მიზნის მიღწევისათვის.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ცალკეული პირებისა და ოჯახების დახმარება პირადი და სოციალური პრობლემების მოგვარებაში; საქმიანობა სამართალდარღვევათა ზრდის აღსაკვეთად და სამართალდამრღვევთა რეაბილიტაცია ცალკეული პირის ან პირთა ჯგუფის სოციალური საქმიანობის ორგანიზაციით და მათი ზედამხედველობა; ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდული ადამიანების დახმარება შესაბამისი მკურნალობის მიღებაში, ასევე საზოგადოებაში მათი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობების სრულყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანების სპეციფიურობის, მათ შესრულებაზე პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე განათლებისა და პროფესიული მომზადებისადმი ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით, ზოგიერთი პროფესია შესაძლოა კლასიფიცირებულ იქნას ელემენტარულ ჯგუფში 2446 - სოციალური მომსახურების სპეციალისტ-პროფესიონალები.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

3460 სოციალური სამსახურის დამხმარე პერსონალი

3460 სოციალური სამსახურის დამხმარე პერსონალი

სოციალური სამსახურის დამხმარე პერსონალი დახმარებას უწევს კლიენტებს სოციალური და სხვა მსგავსი საკითხების მოგვარებაში, რათა მათ შეძლონ რესურსების მოძიება და გამოყენება პრობლემების დაძლევისა და კონკრეტული მიზნის მიღწევისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ცალკეული პირებისა და ოჯახების დახმარება პირადი და სოციალური პრობლემების მოგვარებაში;
2. შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება კლიენტების მოთხოვნების შესაბამისად და კონსულტაციების გაწევა მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ;
3. სიტუაციის გაანალიზება, რომელშიც მოხვდა კლიენტი, და არსებული პრობლემების მოგვარების ალტერნატივების შეთავაზება;
4. ინფორმაციული მასალების შეგროვება პრობლემურ ოჯახებზე ან პირებზე, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას და მათთვის დახმარების გაწევა სასამართლოებში;
5. სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების დაგეგმვა, შეფასება, სრულყოფა და განვითარება;
6. საქმიანობა სამართალდარღვევათა ზრდის აღსაკვეთად და სამართალდამრღვევთა რეაბილიტაციისათვის სოციალური, გასართობი და საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება ახალგაზრდულ კლუბებში, საზოგადოებრივ ცენტრებსა და მსგავს ორგანიზაციებში და მათი ზედამხედველობა;
7. ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდული ადამიანების დახმარება შესაბამისი მკურნალობის მიღებაში, ასევე საზოგადოებაში მათი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობების სრულყოფა.
8. სახლში მოსამსახურეთა მომსახურების დაგეგმვა და ორგანიზაცია;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სოციალური მუშაკი, დამხმარე პერსონალი
- სოციალური მუშაკი, დამხმარე პერსონალი/საწარმო
- სოციალური მუშაკი საზოგადოების კეთილდღეობის საკითხებში, დამხმარე პერსონალი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- სოციალური მუშაკი, სპეციალისტ-პროფესიონალი - 2446
- სოციალური მუშაკი, სპეციალისტ-პროფესიონალი/საწარმო - 2446
- სოციალური მუშაკი საზოგადოების კეთილდღეობის საკითხებში, სპეციალისტ-პროფესიონალი - 2446

მცირე ჯგუფი 347

ხელოვნების, გართობისა და სპორტის სფეროების დამხმარე პერსონალი

ხელოვნების, გართობისა და სპორტის სფეროების დამხმარე პერსონალი ქმნის საქონლის დიზაინს ან ინტერიერის დეკორაციებს, გადასცემს ინფორმაციებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ართობს მაყურებელს გასართობი და სანახაობრივი სპექტაკლებით სცენაზე, მიუზიკ-ჰოლებში, ქუჩებში, ცირკებში, სტადიონებზე, მონაწილეობს სპორტულ შეჯიბრებებში და ზოგიერთ შემთხვევაში ამზადებს ან ხელმძღვანელობს იმ ადამიანებს, რომლებიც დაკავებულნი არიან აღნიშნული საქმიანობებით.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: საქონლის დიზაინის შექმნა და ინტერიერის გაფორმება; ინფორმაციების გადაცემა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით; მაყურებელის გართობა სანახაობებით სცენაზე ან ქუჩებში; რთული და გასართობი აკრობატული ტრიუკებისა და ილუზიონისტური წარმოდგენების შესრულება; სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

3471 დეკორატორები და კომერციული დიზაინერები

3472 რადიო-, ტელე- და სხვა წამყვანები

3473 ქუჩის, ღამის კლუბებისა და მისთ. მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები

3474 მასხარები, ილუზიონისტები, აკრობატები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი

3475 სპორტსმენები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი

3471 დეკორატორები და კომერციული დიზაინერები

დეკორატორები და კომერციული დიზაინერები იყენებენ მხატვრულ მეთოდებს დიზაინერული ნამუშევრების შექმნისათვის, ინტერიერის გაფორმებისა და საქონლის რეალიზაციის სტიმულირებისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამრეწველო და კომერციული პროდუქციის დიზაინის შექმნა, მათ შორის ახალი ტიპისა და სტილის ტანსაცმლისა და აქსესუარების; მხატვრული გადაწყვეტილებებისა და ტექნიკური და სხვა მოთხოვნების შეხამება;
2. ინტერიერის გაფორმებისა და გაწყობის პროექტების შექმნა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისათვის, გემებისა და სხვა ადგილებისათვის;
3. სასცენო დეკორაციების შექმნა;

4. ტატუირების გაკეთება სხეულზე კლიენტის შეკვეთით;
5. მხატვრული ეფექტების შექმნა ვიტრინებისა და საქონლის გამოფენის სხვა ადგილების გასაფორმებლად;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მხატვარ-დეკორატორი, ჩვენება <დემონსტრირება ან გამოფენა>
- მხატვარ-დეკორატორი, ინტერიერი
- დიზაინერი, მოდა
- დიზაინერი, სამრეწველო პროდუქცია
- ტატუირების სპეციალისტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- არქიტექტორი, ინტერიერი - 2141
- მხატვარი, კომერციული - 2452

3472 რადიო-, ტელე- და სხვა წამყვანები

რადიო-, ტელე- და სხვა წამყვანები ეთერში კითხულობენ ახალ ამბებს, უძღვებიან ინტერვიუებს და გადმოსცემენ სხვა განცხადებებს ან წარადგენენ გარკვეულ პიროვნებებს რადიოთი, ტელევიზიით, თეატრებსა და სხვა ადგილებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ახალი ამბებისა და სხვა განცხადებების გადმოცემა რადიოთი და ტელევიზიით;
2. არტისტების წარდგენა ან იმ პირებისა, რომელთაგანაც იღებენ ინტერვიუს, ასევე შესაბამისი განცხადებების გადმოცემა რადიოთი, ტელევიზიით, თეატრებში, მიუზიკ-ჰოლებში, ღამის კლუბებსა და სხვა ადგილებში;
3. ადამიანებისათვის ინტერვიუების ჩამორთმევა საჯაროდ, განსაკუთრებით რადიოთი ან ტელევიზიით;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დიქტორი, რადიო
- დიქტორი, ტელევიზია
- კონფერანსიე
- ინტერვიუერი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები
- დიქტორი, ახალი ამბები

3473 ქუჩის, ღამის კლუბებისა და მისთ. მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები

ქუჩის, ღამის კლუბებისა და მისთ. მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები ასრულებენ მუსიკალურ ნაწარმოებებს, მღერიან ან ცეკვავენ მიუზიკ-ჰოლებში, ქუჩებში, ღამის კლუბებში, ცირკებსა და სხვა მსგავს ადგილებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ერთ ან რამოდენიმე მუსიკალურ საკრავზე დაკვრა სოლისტის, ცირკის პოპულარული მუსიკალური ორკესტრის ან სხვა ორკესტრების წევრის რანგში;
2. პოპულარული ნაწარმოებების შესრულება სოლისტის ან ვოკალური ჯგუფის წევრის რანგში მიუზიკ-ჰოლებში, ღამის კლუბებში ან ქუჩებში;
3. ცეკვების შესრულება სოლოს, პარტნიორთან ან საცეკვაო ანსამბლის წევრის რანგში, ცირკებში, ღამის კლუბებში ან ქუჩებში;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ჯაზ-ორკესტრის ხელმძღვანელი
- მოცეკვავე, ღამის კლუბი
- მუსიკოსი, ღამის კლუბი
- მომღერალი, ქუჩის

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- დირიჟორი, ორკესტრი - 2453
- მოცეკვავე, ბალეტი - 2454
- ინსტრუმენტალისტი - 2453
- მომღერალი, გუნდი - 2453

3474 მასხარები, ილუზიონისტები, აკრობატები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი

მასხარები, ილუზიონისტები, აკრობატები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი ართობს მაყურებლებს ცირკებში და სხვა ადგილებში სხვადასხვა წარმოდგენების შესრულებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. გასართობი ტრიუკების შესრულება და სასაცილო ისტორიების მოყოლა;
2. ილუზიონისტური წარმოდგენებისა და ჰიპნოზის ხელოვნების ჩვენება;
3. რთული და ეფექტური აკრობატული, გიმნასტიკური და ჟონგლიორის ტრიუკების შესრულება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- აკრობატი
- საჰაერო გიმნასტი
- კლოუნი
- ჰიპნოტიზიორი
- ილუზიონისტი

3475 სპორტსმენები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი

სპორტსმენები და მონათესავე პროფესიების დამხმარე პერსონალი მონაწილეობს სპორტულ შეჯიბრებებში, წვრთნის სპორტსმენებს და არეგულირებს სპორტულ ღონისძიებებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა;
2. სპორტსმენების წვრთნა მათი სპორტული გამოცდილებისა და შესაძლებლობების განვითარებისათვის;
3. სპორტული შეჯიბრებების რეგულირებასა და ჩატარებაში მონაწილეობა;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სპორტსმენი
- მოკრივე
- მწვრთნელი, სპორტი
- მოსამსახურე, სპორტი
- მოჭიდავე

მცირე ჯგუფი 348

რელიგიის სფეროს დამხმარე პერსონალი

რელიგიის სფეროს დამხმარე პერსონალი მონაწილეობს რელიგიური რიტუალების ჩატარებაში, ცხოვრებას ატარებს ლოცვებსა და მედიტაციებში, ასევე ქადაგებს და პროპაგანდას უწევს გარკვეულ რელიგიურ მიმდინარეობას.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა; მთელი ცხოვრების გატარება ლოცვებსა და მედიტაციებში; ქადაგება და პროპაგანდის გაწევა გარკვეული რელიგიური მიმდინარეობის გასავრცელებლად. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა პირების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირდება შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

3480 რელიგიის სფეროს დამხმარე პერსონალი

3480 რელიგიის სფეროს დამხმარე პერსონალი

რელიგიის სფეროს დამხმარე პესონალი, რომელთაც არა აქვთ სასულიერო წოდება, ახორციელებს რელიგიურ საქმიანობას, ცხოვრებას ატარებს ლოცვებსა და მედიტაციებში, ასევე ქადაგებს და პროპაგანდას უწევს გარკვეულ რელიგიურ მიმდინარეობას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. რელიგიური საქმიანობების განხორციელება;
2. განცალკევებულ საზოგადოებაში ცხოვრება და მათი წესებისა და ნორმების დაცვა;
3. ცხოვრების გატარება ლოცვებსა და მედიტაციებში;
4. გარკვეული რელიგიური მიმდინარეობის ქადაგება და პროპაგანდა;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ბერი, დამხმარე პერსონალი
- მონაზონი, დამხმარე პერსონალი
- მღვდელი, რომელსაც არა აქვს სასულიერო წოდება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- თეოლოგი -2460
- რელიგიური ორდენის მეთაური - 2460
- იმამი - 2460
- მისიონერი - 2460
- ბერი, პროფესიონალი - 2460
- მონაზონი, პროფესიონალი - 2460
- მღვდელი - 2460
- რაბინი - 2460

ძირითადი ჯგუფი 4

ოფისის პერსონალი

ოფისის პერსონალი ჩვეულებრივ აწარმოებს საჭირო ინფორმაციების მოძიებას, ჩაწერას, ორგანიზებას, შენახვასა და დამუშავებას, ასრულებს განსაზღვრულ საოფისე სამუშაოებს, უმეტესად ფუნქციებს, რომელიც უკავშირდება საკასო ოპერაციებს, მოგზაურობების ორგანიზებას, საქმიანი შეხვედრების ორგანიზებასა და ინფორმაციების მოძიებას. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის II დონე.

ოფისის პერსონალის მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სტენოგრაფია, საბეჭდ მანქანაზე, კომპიუტერზე და სხვა ორგტექნიკაზე მუშაობა; სხვადასხვა სახის ინფორმაციის შეტანა კომპიუტერებში; მდივნის მოვალეობის შესრულება; ციფრული მონაცემების ჩაწერა და დამუშავება; ჩანაწერების წარმოება ინვენტარის, წარმოებისა და ტრანსპორტის შესახებ; სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტთან დაკავშირებული ანგარიშების წარმოება; საკანცელარიო სამუშაოების შესრულება ბიბლიოთეკებში; დოკუმენტების შევსება; საფოსტო გზავნილებთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება; დასაბეჭდი მასალების მომზადება და შემოწმება; წერა-კითხვის უცოდინარ პირთა სახელით წერა; საკასო ოპერაციების შესრულება; მოგზაურობების ორგანიზება; კლიენტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება და საქმიანი შეხვედრების ორგანიზება; სატელეფონო კომუტატორზე მუშაობა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ძირითად ჯგუფში იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

41 ოფისის მოსამსახურეები

42 მომხმარებლებთან მომუშავე მოსამსახურეები

ქვეჯგუფი 41

ოფისის მოსამსახურეები

ოფისის მოსამსახურეები იწერენ, ორგანიზებას უკეთებენ, ინახავენ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში მოიძიებენ მათ ჩანაწერებში, ასევე კომპიუტერის მეშვეობით ამუშავებენ ფინანსურ, სტატისტიკურ და სხვა ციფრობრივ მონაცემებს.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სტენოგრაფია და საბეჭდ მანქანასთან მუშაობა; ტექსტის სარედაქციო პროგრამასთან მუშაობა, ციფრობრივი მონაცემების შეტანა, გამოთვლების ჩატარება და ანგარიშების წარმოება ორგტექნიკის გამოყენებით; საოფისე სამუშაოების შესრულება; ბუღალტრული, სტატისტიკური, ფინანსური და სხვა ციფრობრივი მონაცემების ჩაწერა და შეტანა კომპიუტერში; წარმოებული, დასაწყობებული, შეკვეთილი და მიწოდებული საქონლის აღწერა; სხვადასხვა ოპერატიული მონაცემების აღრიცხვა და სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების კოორდინაცია; საკანცელარიო სამუშაოების შესრულება ბიბლიოთეკებში; დოკუმენტების შევსება; საფოსტო გზავნილებთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება; დასაბეჭდი მასალების მომზადება და შემოწმება; წერა-კითხვის უცოდინარ პირთა სახელით წერა; ზოგადი საკანცელარიო ფუნქციების შესრულება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

411 მდივნები და საბეჭდი მანქანების ოპერატორები

412 მოსამსახურეები, დაკავებული ციფრობრივი ინფორმაციის დამუშავებით

413 მოსამსახურეები, დაკავებული მასალებისა და ტრანსპორტირების აღრიცხვით

414 ბიბლიოთეკის, ფოსტისა და სხვა მსგავსი დაწესებულებების მოსამსახურეები

419 ოფისის სხვა მოსამსახურეები

მცირე ჯგუფი 411

მდივნები და საბეჭდი მანქანების ოპერატორები

მდივნები და საბეჭდი მანქანების ოპერატორები იწერენ ზეპირ ან წერილობით ინფორმაციებს ფურცელზე ან მანქანური წაკითხვისათვის განკუთვნილი ფორმით, იყენებენ საანგარიშო, გამომთვლელ მანქანებს, ასევე რედაქტირებას უკეთებენ და აფორმებენ კორესპონდენციასა და დოკუმენტაციას მიღებული სტანდარტების შესაბამისად, ასრულებენ მდივნის სხვა ფუნქციებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ნაკარნახევი ინფორმაციისა და სხვა მასალების ჩაწერა სტენოგრამის სახით; ინფორმაციის ბეჭდვა საბეჭდ მანქანაზე, პრინტერის ან ტელეტაიპის გამოყენებით; სხვადასხვა ინფორმაციის შეტანა კომპიუტერში, პერფობარათებსა და სპეციალურ ლენტებზე; საანგარიშო და გამომთვლელი მანქანების გამოყენება; კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის რედაქტირება და გაფორმება მიღებული სტანდარტების შესაბამისად; მდივნის სხვა ფუნქციების შესრულება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

4111 სტენოგრაფისტები და მბეჭდავები

4112 ტექსტების სარედაქციო მოწყობილობის ოპერატორები და სხვა მსგავსი სამუშაოების შემსრულებლები

4113 მონაცემთა შემყვანი ოპერატორები

4114 გამომთვლელი მანქანების ოპერატორები

4115 მდივნები

4111 სტენოგრაფისტები და მბეჭდავები

სტენოგრაფისტები და მბეჭდავები იწერენ ზეპირ ან წერილობით მასალებს სტენოგრამის სახით და ბეჭდავენ მათ მანქანაზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ზეპირი და სხვა მასალების სტენოგრაფია;
2. სტენოგრამებისა და სხვა მასალების ბეჭდვა მანქანაზე;
3. ზოგიერთი საკანცელარიო სამუშაოების შესრულება, როგორიცაა მაგალითად, საქმის წარმოება ან ასლის გადასაღებ მანქანასთან მუშაობა;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მბეჭდავი
- მბეჭდავი, სტენოგრაფია

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მდივანი, მანქანით ბეჭდვა - 4115
- სტენოგრაფისტი, ოქმების წარმოება - 3431

4112 ტექსტების სარედაქციო მოწყობილობის ოპერატორები და სხვა მსგავსი სამუშაოების შემსრულებლები

ტექსტების სარედაქციო მოწყობილობის ოპერატორები და სხვა მსგავსი სამუშაოების შემსრულებლები ბეჭდავენ, რედაქტირებას უკეთებენ და გამოსცემენ სხვადასხვა სახის დოკუმენტებს სპეციალური მოწყობილობების გამოყენებით; გზავნიან და ღებულობენ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას ტელეტაიპის, ფაქსის ან სხვა მსგავსი მოწყობილობების საშუალებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კორესპონდენციის, საქმიანი დოკუმენტებისა და სხვა მასალების ბეჭდვა მანქანებზე;
2. ფორმატის განსაზღვრა და განთავსება, თუ ეს წინასწარ არაა დადგენილი;
3. დაბეჭდილი ტექსტის ფორმისა და სტრუქტურის შეცვლა და რედაქცია;
4. მუშაობა პრინტერთან, რომელიც ჩვეულებრივ დაკავშირებულია კომპიუტერთან;
5. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაგზავნა და მიღება ტელეტაიპის, ფაქსის ან სხვა მსგავსი მოწყობილობების საშუალებით;
6. ზოგიერთი საკანცელარიო სამუშაოების შესრულება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, ტელეფაქსი
- ოპერატორი, ტელეპრინტერი
- ოპერატორი, ტელექსი
- ოპერატორი, “რედაქტორი“-ს ტიპის პროგრამებთან მუშაობა

4113 მონაცემთა შემყვანი ოპერატორები

მონაცემთა შემყვან ოპერატორებს ციფრობრივი და სხვა მონაცემები შეჰყავთ ელექტრონულ მოწყობილობებში დასამუშავებლად და გადასაცემად, წერენ ინფორმაციებს დისკებსა და ლენტებზე პერფორაციული მანქანების გამოყენებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ციფრობრივი და სხვა მონაცემების შეყვანა კომპიუტერებში შესანახად და დასამუშავებლად;
2. ინფორმაციების ჩაწერა პერფობარათებსა და ლენტებზე;
3. საჭიროების შემთხვევაში შეყვანილი ინფორმაციის კორექტირება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, მონაცემთა ბაზის შეყვანა/კომპიუტერი
- ოპერატორი, მონაცემთა ბაზის შეყვანა/კონვერტერი (ბარათიდან ლენტაზე)
- ოპერატორი, მონაცემთა ბაზის შეყვანა/ელექტრონული ფოსტა
- ოპერატორი, მონაცემთა ბაზის შეყვანა/პერფორაციულ-საშტამპავი მანქანა (ბარათი და ლენტა)

4114 გამომთვლელი მანქანების ოპერატორები

გამომთვლელი მანქანების ოპერატორები მუშაობენ საანგარიშო, გამომთვლელ მანქანებზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მუშაობა საანგარიშო მანქანაზე განხორციელებული საქმიანი ოპერაციების აღრიცხვისათვის;
2. ელექტრული ან მექანიკური მანქანების გამოყენება არითმეტიკული გამოთვლების საწარმოებლად;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, გამომთვლელი მანქანა
- ოპერატორი, არითმომეტრი
- ოპერატორი, საანგარიშო მანქანა
- ოპერატორი, კალკულატორი

4115 მდივნები

მდივნები მუშაობენ საბეჭდ მანქანებსა და კომპიუტერებზე კორესპონდენციისა და სხვა დოკუმენტების რედაქტირებისა და გაფორმებისათვის, ამუშავებენ მიღებულ და გაგზავნილ ფოსტას, ორგანიზებას უკეთებენ საქმიან შეხვედრებს, აწარმოებენ ანგარიშებს პერსონალის შვებულებების შესახებ, ორგანიზაციას უწევენ საქმის წარმოების სისტემას და პასუხს აგებენ მასზე, დამოუკიდებლად ახორციელებენ მიმოწერას გარკვეულ საკითხებზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კორესპონდენციის, ოქმებისა და ანგარიშების რედაქტირება და გაფორმება, ზეპირი (ნაკარნახევი) ან წერილობითი მასალების გამოყენებით, მიღებული სტანდარტების შესაბამისად, საბეჭდი მანქანის ან კომპიუტერის გამოყენებით;
2. მიღებული ან გაგზავნილი კორესპონდენციის დამუშავება;
3. ფოსტის, კორესპონდენციისა და დოკუმენტების შემოწმება, რეგისტრაცია და სორტირება;
4. შეხვედრებისა და მოლაპარაკებების მოთხოვნათა ჩაწერა და დახმარების გაწევა მათ ორგანიზებაში;
5. პერსონალის შვებულებებისა და სხვა შეღავათების კონტროლი და ჩაწერა;
6. საქმისწარმოების სისტემის ორგანიზაცია და მასზე პასუხისმგებლობა;
7. მიმოწერის წარმოება საკუთარი ინიციატივით;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მდივანი
- მდივანი, სტენოგრაფია/ბეჭდვა
- მდივანი, მანქანაზე ბეჭდვა
- მდივანი, “რედაქტორი“-ს ტიპის პროგრამებთან მუშაობა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ასისტენტი, კორესპონდენციასთან მუშაობა - 3431
- მდივანი, ადმინისტრაციული - 3431

მცირე ჯგუფი 412

მოსამსახურეები, დაკავებული ციფრობრივი ინფორმაციის დამუშავებით

მოსამსახურეები, დაკავებული ციფრობრივი ინფორმაციის დამუშავებით იღებენ, ორგანიზებას უკეთებენ და ამუშავებენ ბუღალტრულ ოპერაციებთან და აღრიცხვასთან დაკავშირებულ, სტატისტიკურ, ფინანსურ და სხვა ციფრობრივ მონაცემებს, აღრიცხავენ კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ გარიგებებს ნაღდი ანგარიშსწორებით.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ბუღალტრული ოპერაციებისა და აღრიცხვის მონაცემთა დამუშავება; წარმოებული პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების გამოთვლა; ხელფასების გამოთვლა და ზოგიერთ შემთხვევაში სახელფასო ფულადი თანხების მომზადება და გაცემა; კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული, ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული გარიგებების აღრიცხვა; სტატისტიკური ან აქტუარული მონაცემების შეგროვება და დამუშავება; საკანცელარიო სამუშაოების შესრულება, რაც უკავშირდება ბანკის ან სხვა დაწესებულებების ფინანსურ ოპერაციებს. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

4121 მოსამსახურეები, დაკავებული ბუღალტრული ოპერაციებისა და აღრიცხვის წარმოებით

4122 მოსამსახურეები, დაკავებული სტატისტიკური და ფინანსური ინფორმაციის დამუშავებით

4121 მოსამსახურეები, დაკავებული ბუღალტრული ოპერაციებისა და აღრიცხვის წარმოებით

მოსამსახურეები, დაკავებული ბუღალტრული ოპერაციებისა და აღრიცხვის წარმოებით, დახმარებას უწევენ ბუღალტრული ოპერაციებისა და აღრიცხვის წარმოებაში, ხელფასებისა და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების გამოთვლაში, ასევე ახორციელებენ ნაღდ ანგარიშსწორებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ბუღალტრულ ოპერაციებთან და აღრიცხვასთან დაკავშირებული ჩანაწერების წარმოება;
2. საჭირო გაანგარიშებების წარმოება;
3. ბუღალტრულ აღრიცხვაში სხვა განსაზღვრული მოვალეობების შესრულება;
4. არსებული მონაცემების საფუძველზე პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების გამოთვლა;
5. ხელფასების გამოთვლა ცალკეული მომუშავის მიერ ნამუშევარი დროის ან შესრულებული სამუშაოს მიხედვით;
6. მუშაობა ფულად საშუალებებთან და კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა, ხელფასების გაწერა და გაცემა;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოფისის მოსამსახურე, ანგარიშები
- ოფისის მოსამსახურე, ბუღალტერია
- ოფისის მოსამსახურე, თვითღირებულების გამოთვლა
- ოფისის მოსამსახურე, ხელფასები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ასისტენტი, ბუღალტერ-მოანგარიშე - 3434
- ბუღალტერ-მოანგარიშე - 3433

4122 მოსამსახურეები, დაკავებული სტატისტიკური და ფინანსური ინფორმაციის დამუშავებით

მოსამსახურეები, დაკავებული სტატისტიკური და ფინანსური ინფორმაციის დამუშავებით, იღებენ, აგროვებენ და ამუშავებენ სტატისტიკურ ან აქტუარულ მონაცემებს ან ასრულებენ საოფისე მოვალეობებს დაკავშირებულს საბანკო და სხვა ფინანსური დაწესებულებების ოპერაციებთან.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სტატისტიკური მონაცემების მიღება და შერჩევა, ინფორმაციის ჩვეულებრივ ან განსაკუთრებულ წყაროებზე დაყრდნობით;
2. აბსოლუტური და საშუალო სიდიდეების, პროცენტული მნიშვნელობებისა და სხვა მაჩვენებლების გამოთვლა და მათი წარმოდგენა სასურველი ცხრილის სახით;
3. ფინანსური დოკუმენტების მომზადება, კაპიტალზე პროცენტების, საბროკერო წილებისა და საგერბო მოსაკრებლების გამოთვლა;
4. კლიენტების ან ხელმძღვანელების სახელით შეძენილი ან გაყიდული ობლიგაციების, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოფისის მოსამსახურე, აქტუარული საქმე
- ოფისის მოსამსახურე, მაკლერობა
- ოფისის მოსამსახურე, ფინანსები
- ოფისის მოსამსახურე, ფასიანი ქაღალდები
- ოფისის მოსამსახურე, სტატისტიკური
- ოფისის მოსამსახურე, გადასახადები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ასისტენტი, სტატისტიკა - 3434
- ბროკერი, აქციები და ობლიგაციები - 3411
- ბროკერი, ვაჭრობა - 3421

მცირე ჯგუფი 413

მოსამსახურეები, დაკავებული მასალებისა და ტრანსპორტირების აღრიცხვით

მოსამსახურეები, დაკავებული მასალებისა და ტრანსპორტირების აღრიცხვით, აღრიცხავენ წარმოებულ და შეძენილ საქონელს, საქონელს საწყობში და გადატვირთულ საქონელს, მასალებს, რაც აუცილებელია განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით წარმოებისათვის, ან კოორდინაციას უწევენ სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: წარმოებული, დასაწყობებული, შეკვეთილი და გადატვირთული საქონლის აღრიცხვა; წარმოებისათვის მიღებული, საწყობში შემოტანილი ან საწყობიდან გატანილი მასალების აღრიცხვა; განსაზღვრული ვადების შესაბამისად წარმოებისათვის აუცილებელი მასალების მოცულობის შესახებ მონაცემთა გაანგარიშება, დახმარების გაწევა საწარმოო პროცესების გრაფიკის შედგენასა და მისი განხორციელების კონტროლში; წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებულ ზოგიერთ მონაცემთა

აღრიცხვა; სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტის მოძრაობის კოორდინაცია. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

4131 საწყობში აღრიცხვით დაკავებული მოსამსახურეები

4132 მოსამსახურეები, დაკავებული პროდუქციის აღრიცხვით

4133 მოსამსახურეები, დაკავებული ტრანსპორტირების აღრიცხვით

4131 საწყობში აღრიცხვით დაკავებული მოსამსახურეები

საწყობში აღრიცხვით დაკავებული მოსამსახურეები აღრიცხავენ წარმოებულ საქონლს, მიღებულ, აწონილ, გაცემულ, გადატვირთულ და საწყობში მოთავსებულ მასალებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საქონლის მიღებისა და მიწოდების კონტროლი და ორგანიზება, ასევე შესაბამისი აღრიცხვის წარმოება;
2. საწყობში არსებული საქონლის აღრიცხვა, საქონლის მიწოდების კონტროლი, მოთხოვნების განსაზღვრა და მარაგებზე განაცხადების შედგენა ;
3. ინსტრუმენტების, სათადარიგო ნაწილების, სხვადასხვა მოწყობილობების მიღება, საწყობში მოთავსება და გაცემა, შესაბამისი აღრიცხვის წარმოება;
4. მიღებული, საწყობში მოთავსებული, გამოშვებული და მიწოდებული საქონლის აწონვა და შესაბამისი აღწერის წარმოება;
5. საწყობში მიღებული ავეჯისა და სხვა საქონლის ინვენტარიზაცია;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოფისის მოსამსახურე, ტვირთების გადაზიდვა/გაგზავნა
- ოფისის მოსამსახურე, ტვირთების გადაზიდვა/მიღება
- ოფისის მოსამსახურე, საწყობი/რეგისტრაცია და აღრიცხვა
- ოფისის მოსამსახურე, საწყობი/საცავი
- ოფისის მოსამსახურე, აწონვა

4132 მოსამსახურეები, დაკავებული პროდუქციის აღრიცხვით

მოსამსახურეები, დაკავებული პროდუქციის აღრიცხვით, ანგარიშობენ საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის საჭირო მასალების რაოდენობას, ადგენენ საწარმოო პროცესების გრაფიკს და აკონტროლებენ მის შესრულებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. წარმოებისათვის საჭირო მასალების რაოდენობის გაანგარიშება ხარისხისა და სახეობის მითითებით;
2. საწარმოო გრაფიკების მომზადება საჭირო მასალების უზრუნველყოფით, მეთვალყურეობა, რათა აუცილებლობის შემთხვევაში წარმოება უზრუნველყოფილი იყოს საჭირო მასალებით და შესაბამისი აღრიცხვის წარმოება;
3. საწარმოო გრაფიკების შედგენა ან დახმარება მის შედგენაში მომხმარებელთა შეკვეთების, საწარმო სიმძლავრეებისა და მისი ფუნქციონირების საფუძველზე;

4. საწყობებში არსებული მარაგების შემოწმება, მიწოდების ორგანიზაცია და შეფერხების შემთხვევების შესწავლა;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოფისის მოსამსახურე, შეკვეთა/მასალები
- ოფისის მოსამსახურე, დაგეგმვა/მასალები
- ოფისის მოსამსახურე, წარმოების დაგეგმვა
- ოფისის მოსამსახურე, აღწერა/მასალები

4133 მოსამსახურეები, დაკავებული ტრანსპორტირების აღრიცხვით

მოსამსახურეები, დაკავებული ტრანსპორტირების აღრიცხვით, აწარმოებენ აღრიცხვას ტრანსპორტის მუშაობასთან დაკავშირებით, კოორდინაციას უწევენ სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტის მოძრაობას და ამზადებენ ინფორმაციას ხელმძღვანელობისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტრანსპორტის მუშაობის აღრიცხვა, სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტის მოძრაობის კოორდინაცია;
2. მატარებლების მოძრაობის განსაზღვრა გარკვეულ სარკინიგზო ზონაში და შესაბამისი აღრიცხვის წარმოება;
3. სარკინიგზო საწყობებში ტვირთების დამუშავება;
4. საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის კოორდინაცია და აღრიცხვა, რაშიც შედის განაწილება და განსაზღვრა ავტომობილების მოძრაობისა და მძღოლების მუშაობის გრაფიკებისა, ტვირთების ჩატვირთვა და გადმოტვირთვა საავტომობილო ტრანსპორტიდან, საქონლის შენახვა ტრანსპორტირებისას;
5. სამგზავრო და სატვირთო საჰაერო ტრანსპორტის მუშაობის კოორდინაცია და აღრიცხვა, რაშიც შედის მგზავრების სიებისა და სატვირთო დეკლარაციების შედგენა;
6. ინფორმაციის მომზადება ხელმძღვანელობისათვის;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კონტროლიორი, ოფისი/საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება
- კონტროლიორი, ოფისი/სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურება
- კონტროლიორი, ოფისი/საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურება
- დისპეტჩერი, ოფისი/გემი
- დისპეტჩერი, ოფისი/ავტობუსი
- დისპეტჩერი, ოფისი/მატარებელი
- დისპეტჩერი, ოფისი/სატვირთო ავტომობილი

მცირე ჯგუფი 414

ბიბლიოთეკის, ფოსტისა და სხვა მსგავსი დაწესებულებების მოსამსახურეები

ბიბლიოთეკის, ფოსტისა და სხვა მსგავსი დაწესებულებების მოსამსახურეები ასრულებენ საოფისე სამუშაოებს ბიბლიოთეკებსა და საფოსტო ოფისებში, ავსებენ დოკუმენტებს, ამზადებენ მონაცემებს დასამუშავებლად, ამოწმებენ დასაბეჭდ მასალებს და წერენ წერა-კითხვის არმცოდნე პირთა სახელით.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: წიგნის შეძენასთან, გატანასთან და დაბრუნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩაწერა; დოკუმენტებისა და სხვა მასალების კლასიფიცირება და შენახვა (კარტოთეკის წარმოება); ფოსტის დახარისხება, რეგისტრაცია და გაგზავნა საფოსტო ოფისებიდან, ასევე თვით საწარმოს ფარგლებში; კოდირება; კორექტირება; წერა-კითხვის არმცოდნე პირთა სახელით წერა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

4141 ბიბლიოთეკისა და კარტოთეკის მოსამსახურეები

4142 ფოსტის დამტარებლები და დამხარისხებლები

4143 კოდების მიმნიჭებლები, კორექტორები და მონათესავე პროფესიების მოსამსახურეები

4144 გადამწერები და მონათესავე პროფესიების მოსამსახურეები

4141 ბიბლიოთეკისა და კარტოთეკის მოსამსახურეები

ბიბლიოთეკისა და კარტოთეკის მოსამსახურეები ასრულებენ საბიბლიოთეკო სამუშაოებს ან ისეთ სამუშაოებს, რაც უკავშირდება მონაცემების კლასიფიცირებასა და შენახვას (კარტოთეკის წარმოება).

მათ მოვალეობებში შედის:

1. შეძენილი, გატანილი და დაბრუნებული წიგნებისა და სხვა პუბლიკაციების შესახებ ჩანაწერების წარმოება;
2. დოკუმენტებისა და სხვა მასალების ქსეროკოპირება და ასლის გადაღება სხვა ფორმით;
3. საბუთების, დოკუმენტებისა და სხვა მასალების კლასიფიცირება და სისტემატიზაცია;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოფისის მოსამსახურე, დოკუმენტების სისტემატიზაცია
- ოფისის მოსამსახურე, ბიბლიოთეკა

4142 ფოსტის დამტარებლები და დამხარისხებლები

ფოსტის დამტარებლები და დამხარისხებლები ახარისხებენ, არეგისტრირებენ და გზავნიან ფოსტას საფოსტო ოფისებიდან ან სხვა მსგავსი დაწესებულებებიდან, ასევე თვით დაწესებულებიდან ან მის ფარგლებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საფოსტო სამუშაოების შესრულება სახელმწიფო საფოსტო ოფისებში;
2. ფოსტის დახარისხება და მიწოდება კერძო პირებისათვის და სხვა ადრესატებისათვის;
3. მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციის დახარისხება და რეგისტრაცია, კოორდინაცია გაგზავნილი ფოსტისა სხვადასხვა დაწესებულებებში;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოფისის მოსამსახურე, ფოსტა/გაგზავნა
- ოფისის მოსამსახურე, ფოსტა/დახარისხება
- ფოსტის დამტარებელი [ქალი]
- ფოსტალიონი [კაცი]
- ფოსტალიონი [ქალი]

4143 კოდების მიმნიჭებლები, კორექტორები და მონათესავე პროფესიების მოსამსახურეები

კოდების მიმნიჭებლები, კორექტორები და მონათესავე პროფესიების მოსამსახურეები ანიჭებენ კოდებს ცალკეულ ინფორმაციას, აკეთებენ კორექტურას და ასრულებენ სხვა მასთან დაკავშირებულ საოფისე სამუშაოებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ინფორმაციის კოდირება, ინფორმაციის კლასიფიცირება მისი შემდგომი დამუშავების მიზნით;
2. დასაბეჭდად მომზადებული ტექსტებისა და დამატებითი მასალების შედარება ორიგინალთან, შეცდომების გასწორება და დასაბეჭდად მომზადება დადგენილი წესების შესაბამისად;
3. ბლანკების დახარისხება და შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრების მინიჭება;
4. დოკუმენტების დახარისხება საქმეთა ორგანიზებისა და შემოწმებისათვის;
5. სარეკლამო წერილებსა და კონვერტებზე მისამართების ხელით მიწერა;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოფისის მოსამსახურე, კოდირება
- კორექტორი, კანცელარია

4144 გადამწერები და მონათესავე პროფესიების მოსამსახურეები

გადამწერები და მონათესავე პროფესიების მოსამსახურეები წერენ წერილებს და ავსებენ სხვადასხვა ბლანკებს წერა-კითხვის არმცოდნე პირთა სახელით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. წერილებისა და სხვა მასალების კითხვა წერა-კითხვის არმცოდნე პირთათვის და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ცნობებისა და განმარტებების მიწოდება;
2. წერილების წერა და სხვადასხვა ბლანკების შევსება წერა-კითხვის არმცოდნე პირთა სახელით;
3. კერძო პირთა კონსულტირება და დახმარება სახელმწიფო და სხვა ოფიციალური ბლანკების შევსებაში;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გადამწერი

მცირე ჯგუფი 419

ოფისის სხვა მოსამსახურეები

ოფისის სხვა მოსამსახურეები ასრულებენ სხვადასხვა სახის საოფისე სამუშაოებს, რომელიც ძირითადად უკავშირდება სხვადასხვა ჩანაწერების წარმოებას.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: საცხოვრებელი ადგილებისა და ელექტრონული ფოსტის მისამართების, ასევე თანამშრომლების შესახებ მონაცემებისა და სხვა საოფისე ჩანაწერების წარმოება; სხვა საოფისე სამუშაოების შესრულება, როგორიცაა მაგალითად, დოკუმენტების შევსება, ქსეროკოპირება, ან ასლის გადაღება სხვა ფორმით. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

4190 ოფისის სხვა მოსამსახურეები

4190 ოფისის სხვა მოსამსახურეები

ოფისის სხვა მოსამსახურეები ასრულებენ სხვადასხვა სახის საოფისე სამუშაოებს, რომელიც ძირითადად უკავშირდება საოფისე ჩანაწერების წარმოებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ორგანიზაციის ყველა თანამშრომლის შესახებ ჩანაწერების წარმოება გვარის, სახელის, მისამართისა და სხვა მონაცემების მითითებით;
2. თანამშრომლების შვებულებებისა და სხვა ინფორმაციის შესახებ აღრიცხვის წარმოება;
3. ორგანიზაციების მისამართებისა და ტელეფონის ნომრების ნუსხის წარმოება და პერიოდული განახლება;
4. საფოსტო გზავნილებისათვის მისამართების ნუსხის წარმოება და პერიოდული განახლება;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოფისის მოსამსახურე, მონაცემების შეგროვება/ცნობარი
- ოფისის მოსამსახურე, სია/მისამართები
- ოფისის მოსამსახურე, ჩანაწერები/პერსონალი

ქვეჯგუფი 42

მომხმარებლებთან მომუშავე მოსამსახურეები

მომხმარებლებთან მომუშავე მოსამსახურეები მუშაობენ უშუალოდ კლიენტებთან, რაც უკავშირდება საკასო ოპერაციებს, მოგზაურობების ორგანიზებას, მომხმარებლებისათვის საჭირო ინფორმაციების მოძიებას, საქმიანი შეხვედრების ორგანიზებასა და კომუტატორებზე მუშაობას.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: საკასო ოპერაციების განხორციელება ბანკებში, საფოსტო ოფისებში, დაწესებულებებში, რომლებიც ღებულობენ ფსონებს, ნაყიდი ან დაგირავებული საქონლისა და მომსახურების საფასურის გადახდის ცენტრებში; მოგზაურობების ორგანიზება; მომხმარებლების უზრუნველყოფა საჭირო ინფორმაციით; შეხვედრების ორგანიზება; კომუტატორებზე მუშაობა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

421 მოლარეები და მონათესავე სპეციალობების მოსამსახურეები

422 კლიენტების ინფორმირებით დაკავებული მოსამსახურეები

მცირე ჯგუფი 421

მოლარეები და მონათესავე სპეციალობების მოსამსახურეები

მოლარეები და მონათესავე სპეციალობების მოსამსახურეები ახორციელებენ საკასო ოპერაციებს მაღაზიებსა და სხვა ორგანიზაციებში, მათ შორის იმ დაწესებულებებში, რომლებიც ღებულობენ ფსონებს, გირაოს გადასახადს, დაკავებულნი არიან ვალების აკრეფით.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: კლიენტების მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების საფასურის მიღება; კლიენტებთან მუშაობა ბანკებსა და საფოსტო ოფისებში ფულად და საფოსტო ოპერაციებზე; ფსონების მიღება და მოგებული თანხების გაცემა სპორტული შეჯიბრებების შედეგებიდან გამომდინარე; ფსონებზე აზარტული თამაშების გაძღოლა; ფულადი თანხების გაცემა ნივთების ან ფასიანი ქაღალდების დაგირავების საფუძველზე. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

4211 მოლარეები, ბილეთების გამყიდველების ჩათვლით

4212 ბანკის მოლარეები და სხვა მოსამსახურეები

4213 ბუკმეკერები და კრუპიეები

4214 ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტები

4215 ვალების აკრეფითა და მსგავსი საქმიანობით დაკავებული მოსამსახურეები

4211 მოლარეები, ბილეთების გამყიდველების ჩათვლით

მოლარეები, ბილეთების გამყიდველების ჩათვლით, უშუალოდ კლიენტისაგან იღებენ შეძენილი საქონლის ან მომსახურების საფასურს ისეთ დაწესებულებებში, როგორიცაა მაღაზიები, ბილეთის სალაროები, ფულადი თანხების გაცემა ბანკებში და სხვა მსგავს ორგანიზაციებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ნაღდი ფულით, ჩეკებითა და საკრედიტო ბარათებით გადახდილი თანხების მიღება და შემოწმება მაღაზიებში, ბილეთის სალაროებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებში;
2. ხურდის დაბრუნება და ქვითრის გაცემა;
3. სალაროებში ბილეთების გაცემა და შესაბამისი საფასურის მიღება;
4. ნაღდი ფულის გაცემა, ძირითადად ბანკებში საგადასახადო და საკრედიტო ორდერების ან ქვითრების მიღება უცხოური ვალუტის გადახურდავების საფუძველზე;
5. ანგარიშების წარმოება და მათი შედარება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთთან;
6. დაწესებულებებიდან ნაღდი ფულის მიღება, მათი შედარება შესაბამის დოკუმენტებთან და მომზადება ბანკში შესატანად;
7. ხელფასების გაცემა დაწესებულებების თანამშრომლებზე;
8. სალაროს აპარატზე მუშაობა;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოლარე, ბანკი
- მოლარე, სავაჭრო ობიექტი
- ოფისის მოსამსახურე, ბილეთების გაყიდვა/ სამოგზაუროს გარდა

<u>4212 ბანკის და ოფისის სხვა მოანგარიშე მოსამსახურეები</u>

ბანკის და ოფისის სხვა მოანგარიშე მოსამსახურეები მუშაობენ უშუალოდ ბანკებისა და საფოსტო ოფისების კლიენტებთან, ახდენენ ვალუტების გადაცვლას, იღებენ და გასცემენ ფულად თანხებს, ასევე ახორციელებენ საფოსტო მომსახურებებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კლიენტებისაგან ნაღდი ფულის ან ჩეკების მიღება;
2. კლიენტებისთვის ფულის გადახდა;
3. გადასახდელი ანგარიშების განაღდება და ფულის გადარიცხვების წარმოება კლიენტების სახელით;
4. კლიენტების ანგარიშების დაკრედიტება და დებეტში შეტანა;
5. ფულის გადაცვლა ერთი ვალუტიდან მეორეზე კლიენტების მოთხოვნის შესაბამისად;
6. ანგარიშების წარმოება და მათი შედარება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთთან;
7. ფოსტის მიღება, საფოსტო მარკების გაყიდვა და სხვა საფოსტო საქმიანობა, როგორიცაა მაგალითად, გადასახდელი ანგარიშების განაღდება, ფულის გადარიცხვა და სხვა მსგავსი ოპერაციები;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოფისის მოსამსახურე, საფოსტო ოფისის მოანგარიშე
- ფულის გადამცვლელი
- ოპერაციონისტი, ბანკი

<u>4213 ბუკმეკერები და კრუპიეები</u>

ბუკმეკერები და კრუპიეები განსაზღვრავენ კოეფიციენტებს, იღებენ ფსონებს ან გასცემენ მოგებულ თანხებს სპორტული შეჯიბრებების ან სხვა ღონისძიებების შედეგებიდან გამომდინარე, ან უძღვებიან აზარტულ თამაშებს სათამაშო დაწესებულებებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. თამაშის მიმდინარეობისას რისკის დონის განსაზღვრა, რათა გადაწყვიტოს მიიღოს ფსონები თუ შეწყვიტოს მათი მიღება;
2. მიახლოებითი ფსონების სიების მომზადება და შედგენა;
3. კარტის დარიგება, კამათლების გაგორება ან რულეტის დატრიალება;
4. სათამაშო დაწესებულების წესების ახსნა და განმარტება;
5. მომგებიანი ნომრების გამოცხადება, მოგებული თანხების გაცემა და წაგებული თანხების აკრეფა;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ბუკმეკერი
- კრუპიე

4214 ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტები

ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტები გასცემენ სესხებს ნივთების, უძრავი ქონების ან ფასიანი ქაღალდების დაგირავების საფუძველზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. დასაგირავებელი ნივთების შეფასება, პროცენტის ოდენობის განსაზღვრა და ფულის გაცემა სესხად;
2. სესხის დაფარვის შემთხვევაში დაგირავებული ნივთების დაბრუნება, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში დაგირავებული ნივთების გაყიდვა;
3. ფულის გაცემა სესხად ცალკეულ პირებზე მომავალი მოსავლის, ან სხვა გარანტიების საფუძველზე;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კრედიტორი
- მევახშე, სესხის გაცემა გირაოს საფუძველზე

4215 ვალების აკრეფითა და მსგავსი საქმიანობით დაკავებული მოსამსახურეები

ვალების აკრეფითა და მსგავსი საქმიანობით დაკავებული მოსამსახურეები აგროვებენ გადასახდელებს და ასრულებენ სხვა მასთან დაკავშირებულ საოფისე მოვალეობებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კლიენტებთან ტელეფონით დარეკვა ან წერილის გაგზავნა გადასახდელების გადახდის მოთხოვნით ან გადავადების თაობაზე შესათანხმებლად;
2. კლიენტების მისამართების დადგენა და მათთან სტუმრობა გადასახდელის აკრეფის მიზნით;
3. მიღებული თანხების აღრიცხვა;
4. საქმის სასამართლოში გადაცემის თაობაზე საკითხის დასმა თუ თანხის მიღება სხვა გზით შეუძლებელია;
5. საქველმოქმედო მიზნებისათვის თანხების მოძიება და შეგროვება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ამკრეფი, შემოწირულობები საქველმოქმედო მიზნებისათვის
- ამკრეფი, სავალო თანხები

მცირე ჯგუფი 422

კლიენტების ინფორმირებით დაკავებული მოსამსახურეები

კლიენტების ინფორმირებით დაკავებული მოსამსახურეები მუშაობენ უშუალოდ კლიენტებთან სხვადასხვა საკითხებზე, რომელშიც შედის მოგზაურობების ორგანიზება, სხვადასხვა სახის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, საქმიანი შეხვედრების ორგანიზება, როგორიცაა მაგალითად, ექიმებთან ვიზიტები და საავადმყოფოში მოთავსება, ასევე სხვადასხვა სატელეფონო ზარების განხორციელება და მიღება.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მოგზაურობების მარშრუტების პროგრამების მომზადება, სასტუმროებისა და ბილეთების დაჯავშნა კლიენტებისთვის; კლიენტების ან პაციენტების მიღება; სხვადასხვა სახის საჭირო ინფორმაციის მიწოდება და საქმიანი შეხვედრების ორგანიზება საავადმყოფოებისა და სხვა დაწესებულებების სახელით, ექიმებთან ვიზიტებისა და საავადმყოფოში პაციენტების მოთავსების ჩათვლით; კომპუტატორზე მუშაობა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

4221 ტურისტული სააგენტოს მოსამსახურეები

4222 მომსვლელთა მიღებითა და ინფორმირებით დაკავებული მოსამსახურეები

4223 ტელეფონის ოპერატორები

4221 ტურისტული სააგენტოს მოსამსახურეები

ტურისტული სააგენტოს მოსამსახურეები აწვდიან კლიენტებს საჭირო ინფორმაციებს, ადგენენ მოგზაურობის მარშრუტებს და ახორციელებენ საჭირო დარეზერვებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. რეკომენდაციების გაწევა კლიენტებისთვის სამოგზაურო მარშრუტებისა და საშუალებების შესახებ;
2. მარშრუტების შედგენა;
3. საჭირო დარეზერვების განხორციელება;
4. ბილეთების, ვაუჩერებისა და სხვა დოკუმენტების გადაცემა კლიენტებისთვის;
5. საჭიროების შემთხვევაში ვიზების მიღება;
6. ქვითრების გამოწერა და თანხის მიღება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოფისის მოსამსახურე, ბილეთების გაცემა/მოგზაურობა
- ოფისის მოსამსახურე, მოგზაურობა/ავიახაზები
- ოფისის მოსამსახურე, ტურისტული სააგენტო

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ოფისის მოსამსახურე, ბილეთის გადაცემა/ სამოგზაუროს გარდა - 4211
- კონსულტანტი, მოგზაურობა - 3414
- ორგანიზატორი, მოგზაურობა - 3414
- განყოფილების მენეჯერი, წარმოება და ექსპლუატაცია/ტურიზმი - 1229
- გენერალური მენეჯერი, ტურიზმი - 1319

4222 მომსვლელთა მიღებითა და ინფორმირებით დაკავებული მოსამსახურეები

მომსვლელთა მიღებითა და ინფორმირებით დაკავებული მოსამსახურეები იღებენ კლიენტებს ან პაციენტებს, აწვდიან მათ საჭირო ინფორმაციას და ორგანიზებას უკეთებენ საქმიან შეხვედრებს, მათ შორის საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში ან სტომატოლოგიურ კლინიკებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კლიენტების ან პაციენტების მიღება, კითხვარების შევსება და შესაბამისი ინფორმაციების მიწოდება;
2. საქმიანი შეხვედერების ორგანიზება მომსვლელთათვის და პაციენტებისათვის;
3. ტელეფონის საშუალებით საქმიანი შეხვედრების დანიშვნა ან ინფორმაციის მიწოდება;
4. კლიენტების ან პაციენტების გაგზავნა შესაბამის დანიშნულების ადგილებში ან პიროვნებებთან;
5. ადგილების დაჯავშნა სასტუმროებში მოგზაურთათვის და პაციენტებისათვის, აღრიცხვის წარმოება და ქვითრების გამოწერა გამგზავრებისას;
6. კლიენტებისთვის სარეკლამო ბროშურების, ბუკლეტებისა და ბლანკების გადაცემა;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოფისის მოსამსახურე, ინფორმაცია
- მდივანი, მისაღები
- მდივანი, მისაღები/სტომატოლოგიური კაბინეტი
- მდივანი, მისაღები/სასტუმრო
- მდივანი, მისაღები/სამედიცინო

4223 ტელეფონის ოპერატორები

ტელეფონის ოპერატორები მუშაობენ კომუტატორებზე ან მათ სექციებზე ადგილობრივ ან საერთაშორისო ხაზებზე, ასევე პასუხობენ სხვადასხვა შეკითხვებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. აბონენტების ერთმანეთთან დაკავშირება;
2. დაკავშირება აბონენტებთან საზღვარგარეთ და საერთაშორისო ხაზებით;
3. გაწეული მომსახურების დანახარჯების აღრიცხვა;
4. ტელეფონით სხვადასხვა ცნობების მიწოდება და შეტყობინებების ჩაწერა შემდგომ მათ გადასაცემად სხვა აბონენტებისთვის;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, სატელეფონო სადგური

ძირითადი ჯგუფი 5

მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი

მომსახურების სფეროს და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი ახორციელებს ინდივიდუალურ მომსახურებებს მოგზაურობისას, შინამეურნეობებში, პერსონალურ მოვლას, ან იცავს ხანძრისაგან და უკანონო ქმედებებისაგან, ასევე მუშაობენ მოდელებად მხატვრულ ჩვენებებსა და გამოფენებზე; დემონსტრირებას უკეთებენ და ყიდიან საქონელს საბითუმო და საცალო ვაჭრობის მაღაზიებში ან სხვა მსგავს დაწესებულებებში, ასევე ჯიხურებსა და ბაზრებში. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის II დონე.

მომსახურების სფეროს და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალის მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მოგზაურობების დროს მომსახურების გაწევა და ორგანიზაცია; შინამეურნეობების მომსახურება; საკვებისა და სასმელების მომზადება და მირთმევა; ბავშვების მოვლა; დახმარების გაწევა ავადმყოფებისათვის, ინვალიდებისათვის და ხანდაზმულთათვის სახლში ან დაწესებულებებში; პერსონალური მოვლა, როგორიცაა მაგალითად საპარიკმახეროებისა და სილამაზის სალონების მომსახურება; კომპანიონობა; ასტროლოგია და წინასწარმეტყველება; ბალზამირება; დაკრძალვების ორგანიზება; ადამიანებისა და კერძო საკუთრების დაცვა ხანძრისა და უკანონო ქმედებებისაგან; კანონის დაცვა და წესრიგის დამყარება; მოდელებად მუშაობა მხატვრულ ჩვენებებსა და გამოფენებზე; საქონლის გაყიდვა საცალო და საბითუმო ვაჭრობის მაღაზიებში ან სხვა მსგავს დაწესებულებებში, ასევე ჯიხურებსა და ბაზრებში; საქონლის წარდგენა პოტენციური მომხმარებლებისათვის. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ძირითად ჯგუფში იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

51 ინდივიდუალური მომსახურებისა და დაცვის სამსახურის მუშაკები

52 მოდელები, გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები

ქვეჯგუფი 51

ინდივიდუალური მომსახურებისა და დაცვის სამსახურის მუშაკები

ინდივიდუალური მომსახურებისა და დაცვის სამსახურის მუშაკები ახორციელებენ სხვადასხვა ინდივიდუალურ მომსახურებებს, რაც უკავშირდება მოგზაურობებს, შინამეურნეობათა მომსახურებას, პერსონალურ მოვლას, ასევე დაცვას ხანძრებისა და უკანონო ქმედებებისაგან.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სხვადასხვა მომსახურების გაწევა მოგზაურობების დროს და ტურისტების თანხლება; შინამეურნეობების მომსახურება; საკვებისა და სასმელების მომზადება და მირთმევა; ბავშვების მოვლა; დახმარების გაწევა ავადმყოფებისათვის, ინვალიდებისათვის და ხანდაზმულთათვის სახლში ან დაწესებულებებში; პერსონალური მოვლა, როგორიცაა მაგალითად საპარიკმახეროებისა და სილამაზის სალონების მომსახურება; კომპანიონობა; ასტროლოგია და წინასწარმეტყველება; ბალზამირება; დაკრძალვების ორგანიზება; ადამიანებისა და კერძო საკუთრების დაცვა ხანძრისა და უკანონო ქმედებებისაგან; კანონის დაცვა და წესრიგის დამყარება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

511 თანხმლები პერსონალი მოგზაურობისას და მონათესავე პროფესიების მუშაკები

512 შინამეურნეობების მომსახურებითა და კვების ობიექტებში დასაქმებული მუშაკები

513 ინდივიდუალური მომსახურებისა და მონათესავე სფეროების მუშაკები

514 ინდივიდუალური მომსახურების სხვა მუშაკები

515 ასტროლოგები, მკითხავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

516 დაცვის სამსახურების მუშაკები

მცირე ჯგუფი 511

თანხმლები პერსონალი მოგზაურობისას და მონათესავე პროფესიების მუშაკები

თანხმლები პერსონალი მოგზაურობისას და მონათესავე პროფესიების მუშაკები ახორციელებენ სხვადასხვა ინდივიდუალურ მომსახურებებს დაკავშირებულს მოგზაურობებთან თვითმფრინავით, მატარებლით, გემით, ავტობუსით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით, კომპანიონობას უწევენ ცალკეულ პირებს ან ჯგუფებს ტურისტული მოგზაურობებისას, ღირშესანიშნავი ადგილების დათვალიერებისა და ექსკურსიების დროს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მგზავრებისათვის კომფორტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; მომსახურება საკვებისა და სასმელების მირთმევით; საჭირო ინფორმაციის მიწოდება და მოგზაურობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კითხვებზე პასუხის გაცემა; საზოგადოებრივ ტრანსპორტში ბილეთების შეგროვება ან გაცემა; კომპანიონობის გაწევა ცალკეული პირების ან ტურისტების ჯგუფებისათვის ღირშესანიშნავი ადგილების დათვალიერებისა და ექსკურსიების დროს; ასევე გიდის სხვა მოვალეობების შესრულება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

5111 თანხმლები პერსონალი მოგზაურობისას, ბორტგამცილებლები და სტიუარდები

5112 საზოგადოებრივი ტრანსპორტის კონდუქტორები

5113 გიდები

5111 თანხმლები პერსონალი მოგზაურობისას, ბორტგამცილებლები და სტიუარდები

თანხმლები პერსონალი მოგზაურობისას, ბორტგამცილებლები და სტიუარდები ახორციელებენ პერსონალურ მომსახურებებს მგზავრთა კომფორტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ემსახურებიან კლიენტებს საკვებისა და სასმელების მირთმევით, ასევე ემსახურებიან ტურისტებს კაიუტებში, იცავენ წესრიგს, ასევე ორგანიზებას უკეთებენ გასართობ ღონისძიებებს ტურისტებისთვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მგზავრების დახვედრა თვითმფრინავების შესასვლელში, თავიანთ ადგილებამდე მიცილება, შემოწმება მყარად არის თუ არა შეკრული უსაფრთხოების ღვედები და კონტროლი იცავენ თუ არა მგზავრები მითითებებს, მაგალითად, მითითებას „ნუ მოსწევთ“ და მისთ.;
2. მაშველი საშუალებების გამოყენების წესების ახსნა, რომელშიც შედის უსაფრთხოების ღვედები და ჟანგბადის ნიღბები;
3. ჟურნალებისა და გაზეთების, საყურისების, დასაფარებლებისა და სხვა მსგავსი ნივთების დარიგება, ასევე მგზავრთა მოთხოვნების დაკმაყოფილება;
4. მზა საკვებისა და სასმელების მირთმევა;
5. უბაჟო საქონლის გაყიდვა;
6. საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა მგზავრებისათვის;
7. საგანგებო სიტუაციების ან უბედური შემთხვევების დროს შესაბამისი ზომების მიღება;
8. მგზავრების მომსახურება აეროპორტებში;
9. მგზავრებისთვის კომფორტის უზრუნველყოფა გემებზე, კაიუტების დასუფთავება და მოთხოვნის შემთხვევაში საკვების მირთმევა;

10. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
11. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ბორტგამცილებელი, აეროპორტი
- ბორტგამცილებელი, თვითმფრინავი
- სტიუარდი, გემი

5112 საზოგადოებრივი ტრანსპორტის კონდუქტორები

საზოგადოებრივი ტრანსპორტის კონდუქტორები აგროვებენ ან ამოწმებენ მგზავრების ბილეთებს, ზრუნავენ მათ კომფორტსა და უსაფრთხოებაზე მატარებლით, ტრამვაით, ავტობუსითა და სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების დროს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამგზავრო ბილეთების, საშვებისა და გადასახდელი თანხების შეგროვება და ბილეთებისა და საშვების გაცემა ან წინასწარ შეძენილი ბილეთების შემოწმება;
2. სამგზავრო მატარებლებში საძილე ვაგონების მომსახურება, მგზავრების ბილეთების შემოწმების, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საჭირო ინფორმაციის მიწოდების ჩათვლით;
3. მგზავრების მიერ უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფა;
4. მგზავრებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება გაჩერებებისა და გადაჯდომების შესახებ;
5. მძღოლთან კოორდინირებულად მოქმედება მოძრაობის გრაფიკის დაცვის მიზნით;
6. საგანგებო სიტუაციების ან უბედური შემთხვევების დროს შესაბამისი ზომების მიღება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კონდუქტორი, ავტობუსი
- კონდუქტორი, ფუნიკულიორი
- კონდუქტორი, მატარებელი
- კონდუქტორი, ტრამვაი

5113 გიდები

გიდები კომპანიონობას უწევენ ცალკეულ პირებს ან ტურისტულ ჯგუფებს ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებისა და ექსკურსიების დროს, აწვდიან ცნობებს ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ და უზრუნველყოფენ სხვა ტურისტულ მომსახურებებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტურისტებისთვის კომპანიონობის გაწევა და მათთვის კომფორტის უზრუნველყოფა;
2. ტურისტებისთვის კომპანიონობის გაწევა ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების დროს და საინტერესო ცნობების მიწოდება მათ შესახებ;
3. ტურისტებისთვის კომპანიონობის გაწევა მუზეუმებისა და გამოფენების დათვალიერებისას და ინფორმაციების მიწოდება მათ შესახებ;

4. ტურისტული ჯგუფებისათვის გიდობის გაწევა დაწესებულებებსა და სხვა მსგავს ადგილებში და შესაბამისი ინფორმაციების მიწოდება მათ შესახებ;
5. ექსკურსიების მოწყობა, როგორიცაა მაგალითად, ლაშქრობები მთებში, ნადირობა ან თევზაობა;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გიდი, სამხატვრო გალერეა
- გიდი, მოგზაურობა
- გიდი, მოგზაურობა/გასართობი პარკი
- გიდი, მოგზაურობა/საფარი
- გიდი, მოგზაურობა/ღირსშესანიშნავი ადგილები

მცირე ჯგუფი 512

შინამეურნეობების მომსახურებითა და კვების ობიექტებში დასაქმებული მუშაკები

შინამეურნეობების მომსახურებითა და კვების ობიექტებში დასაქმებული მუშაკები ორგანიზებას უკეთებენ, ხელმძღვანელობენ და ასრულებენ მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფუნქციებს კომერციულ საწარმოებში, სამედიცინო დაწესებულებებში ან შინამეურნეობებში, ასევე ასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს, რაც უკავშირდება საკვების მომზადებას, საკვებისა და სასმელების მირთმევით მომსახურებას სხვადასხვა კომერციულ საწარმოებში, სამედიცინო დაწესებულებებში, შინამეურნეობებში, გემებზე და სამგზავრო მატარებლებში.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: შინამოსამსახურეების დაქირავება, სწავლება და განთავისუფლება; შინამეურნეობებში სამუშაოების ორგანიზება და განხორციელება; კეთილდღეობის უზრუნველყოფა და პაციენტთა რეჟიმის გაკონტროლება საავადმყოფოებში, ინვალიდთა და ხანდაზმულთა სახლებში და სხვა მსგავს დაწესებულებებში; პროდუქტებისა და სხვა მასალების შეძენის, შენახვისა და გამოყენების პროცესის გაკონტროლება; საკვების მომზადება; საკვებისა და სასმელების მირთმევა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

5121 დამხმარე პერსონალი ოჯახებში და ეკონომები

5122 მზარეულები

5123 ოფიციანტები, ბარმენები და მებუფეტეები

5121 დამხმარე პერსონალი ოჯახებში და ეკონომები

დამხმარე პერსონალი ოჯახებში და ეკონომები ორგანიზებას უკეთებენ, ხელმძღვანელობენ და ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციებს მეურნეობის გაძღოლის მიზნით სასტუმროებში, კლუბებში, სკოლა-ინტერნატებში, სამკურნალო და სხვა დაწესებულებებსა და საწარმოებში, ასევე შინამეურნეობებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შინამოსამსახურეების დაქირავება, სწავლება, განთავისუფლება მათი საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა;
2. პროდუქტებისა და სხვა მასალების შეძენა ან მათი ხარჯვის გაკონტროლება;

3. არსებული მარაგების და პროდუქტებისა და სხვა მასალების გაცემის კონტროლი;
4. კეთილდღეობის უზრუნველყოფა და პაციენტთა რეჟიმის გაკონტროლება სამკურნალო დაწესებულებებში;
5. მსუბუქი ტრავმების ან ავადმყოფობის შემთხვევაში დახმარების გაწევა: ტემპერატურის გაზომვა, წამლის მიცემა, სახვევების დადება და მისთ.;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ეკონომი
- მთავარი მოახლე, შინამეურნეობა
- შინამეურნეობის მმართველი

5122 მზარეულები

მზარეულები გეგმავენ, ორგანიზებას უკეთებენ და ამზადებენ საკვებს სასტუმროებში, რესტორნებში და სხვა კვების ობიექტებში, გემებზე, სამგზავრო მატარებლებში და შინამეურნეობებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მენიუს შედგენა და კერძების მომზადება;
2. სამზარეულოში სამუშაოების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კოორდინირება;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მზარეული
- მზარეული, უფროსი

5123 ოფიციანტები, ბარმენები და მებუფეტეები

ოფიციანტები, ბარმენები და მებუფეტეები ემსახურებიან კლიენტებს საკვებისა და სასმელების მირთმევით კვების ობიექტებში, დაწესებულებებში, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა სასმელების მირთმევა, კლუბებსა და სხვა დაწესებულებებში, ასევე გემებსა და სამგზავრო მატარებლებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საკვებისა და სასმელების მირთმევა;
2. დახმარების გაწევა ღვინოების შერჩევისას და მათი მირთმევა;
3. ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების მირთმევა ბარებში;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ბარმენი
- ოფიციანტი [კაცი]
- ოფიციანტი [კაცი], უფროსი

- ოფიციანტი [ქალი]
- ოფიციანტი [ქალი], ღვინო

მცირე ჯგუფი 513

ინდივიდუალური მომსახურებისა და მონათესავე სფეროების მუშაკები

ინდივიდუალური მომსახურებისა და მონათესავე სფეროების მუშაკები უვლიან ბავშვებს, ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოებს ექიმების, ექთნებისა და სხვა სამედიცინო პერსონალის დახმარების მიზნით საავადმყოფოებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში, უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მოვლას სახლის პირობებში, ან ეხმარებიან ვეტრინარებს, ფარმაცევტებს ან სხვა მსგავს მუშაკებს თავიანთი სამუშაოების შესასრულებაში.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: დამქირავებლების ბავშვების მოვლა და მასწავლებლების დახმარება ბავშვების ზედამხედველობაში შესვენებებზე, ლანჩის ან ექსკურსიების დროს; მარტივი მოვალეობების შესრულება ავადმყოფების მოვლისას და ინდივიდუალური მომსახურებისას საავადმყოფოებში და სხვა მსგავს სამედიცინო დაწესებულებებში ან კერძო სახლებში; ვეტერინარებისა და ფარმაცევტების დახმარება მათი მოვალეობების შესრულებაში. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

5131 ბავშვების მომვლელები

5132 პერსონალური მომვლელები სამედიცინო დაწესებულებებში

5133 პერსონალური მომვლელები სახლში

5139 ინდივიდუალური მოვლისა და მონათესავე სფეროების მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

5131 ბავშვების მომვლელები

ბავშვების მომვლელები უვლიან დამქირავებლების ბავშვებს, ორგანიზებას უკეთებენ მათ ყოველდღიურ საქმიანობას ან ეხმარებიან მასწავლებლებს სკოლის მოსწავლეების მეთვალყურეობაში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ბავშვების დაბანა, ჩაცმა და კვება;
2. ბავშვების წაყვანა სკოლაში ან მოყვანა სკოლიდან, გასეირნება;
3. ბავშვებთან თამაში, მათთვის წიგნების კითხვა, ზღაპრებისა და სხვადასხვა ისტორიების მოყოლა;
4. ბავშვების საძინებელი და სათამაშო ოთახების მოწესრიგება;
5. მოსწავლეების ზედამხედველობა ლანჩის ან შესვენებების დროს;
6. ბავშვების ზედამხედველობა ექსკურსიების დროს, მუზეუმების დათვალიერებისას და მსგავსი ღონისძიებების დროს;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- აღმზრდელი, ბავშვები
- ძიძა

5132 პერსონალური მომვლელები სამედიცინო დაწესებულებებში

პერსონალური მომვლელები სამედიცინო დაწესებულებებში ასრულებენ მარტივ მოვალეობებს ექიმების, ექთნების, მეანების, სტომატოლოგებისა და მათ დამხმარე პერსონალის დახმარების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. პაციენტების მომზადება გამოკვლევისათვის ან სამკურნალო პროცედურებისათვის;
2. ავადმყოფების საწოლის თეთრეულის გამოცვლა და მათი დახმარება სააბაზანოში;
3. პაციენტების უზრნველყოფა გამათბობელი საშუალებებით და მათთვის კომფორტის შექმნა;
4. საკვების მიწოდება, ლანგრების აკრეფა და საჭიროების შემთხვევაში პაციენტების დახმარება ჭამის დროს;
5. ქირურგიული და სხვა ინსრუმენტებისა და მოწყობილობების სტერილიზაცია;
6. სტომატოლოგების დახმარება საჭირო განათების მოწესრიგებაში, ხელსაწყოებისა და მასალების მიწოდება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- თანაშემწე, სტომატოლოგიური კაბინეტი
- თანაშემწე, მოვლა/კლინიკა
- თანაშემწე, მოვლა/საავადმყოფო
- სანიტარი [კაცი] <სასწრაფო დახმარების მანქანები>
- სანიტარი [ქალი]

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- დამხმარე, მოვლა/სახლი - 5133
- მედდა, დამხმარე პერსონალი - 3231
- მედდა, პროფესიონალი - 2230

5133 პერსონალური მომვლელები სახლში

პერსონალური მომვლელები სახლში დახმარებას უწევენ ფიზიკური თუ ფსიქიკური დაავადებების მქონე პაციენტებს, ინვალიდებს ან ხანდაზმულებს, რომელთაც ასაკის გამო გაუუარესდათ ჯანმრთელობა.

მათ მოვალეობებში შედის:

1. პაციენტებისათვის დახმარების გაწევა დაწოლისას და ადგომისას, ან ტანსაცმლის გამოცვლაში;
2. პაციენტებისათვის საწოლის თეთრეულის გამოცვლა და მათი დახმარება სააბაზანოში;
3. საჭმელის მირთმევა - თავიანთი, ან სხვის მიერ მომზადებული და დახმარება ჭამის პროცესში;
4. პაციენტების მიერ საჭირო მედიკამენტების მიღების უზრუნველყოფა;
5. პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის მეთვალყურეობა და გაუარესების შემთხვევაში მკურნალი ექიმების ან სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მუშაკების ინფორმირება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამხმარე, მოვლა/სახლი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- დამხმარე, მოვლა/კლინიკა - 5132
- მედდა, დამხმარე პერსონალი - 3231
- მედდა, პროფესიონალი - 2230
- სოციალური მუშაკი, დამხმარე პერსონალი - 3460
- სოციალური მუშაკი, პროფესიონალი - 2446

5139 ინდივიდუალური მოვლისა და მონათესავე სფეროების მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან ინდივიდუალური მოვლისა და მონათესავე სფეროების მუშაკები, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფის 513 - ინდივიდუალური მომსახურებისა და მონათესავე სფეროების მუშაკები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგალითად, ისეთი პროფესიები, რომელთა მოვალეობაში შედის ვეტერინარების, ფარმაცევტებისა და მათი დამხმარე პერსონალისათვის დახმარების გაწევა. ასეთ შემთხვევაში მათ მოვალეობებში შედის:

1. ცხოველების დაბანა და გამოკვება;
2. ცხოველების მიყვანა სამკურნალო კაბინეტებში და მათი დაკავება სამკურნალო პროცედურების ჩატარებისას;
3. ვეტერინარული ქირურგიული ინსტრუმენტების გასუფთავება და სტერილიზაცია;
4. წამლების, სამკურნალო საშუალებების, ქიმიური და სხვა ფარმაცევტული პრეპარატების ეტიკეტირება და თაროებზე მათი მარაგების შევსება;
5. ბოთლების, მენზურებისა და სხვა აღჭურვილობის სტერილიზება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამხმარე, ფარმაცია
- დამხმარე, ვეტერინარია

მცირე ჯგუფი 514

ინდივიდუალური მომსახურების სხვა მუშაკები

ინდივიდუალური მომსახურების სხვა მუშაკები ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოებს კლიენტების გარეგნობის გაუმჯობესების მიზნით; უწევენ კომპანიონობას ან აწესრიგებენ დამქირავებლების ტანსაცმელსა და სხვა პირად ნივთებს; აკეთებენ ბალზამირებას და აგვარებენ დაკრძალვებთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: თმის შეჭრა და დავარცხნა, პარსვა და წვერის შესწორება; კოსმეტიკური მომსახურებების გაწევა, მაკიაჟისა და გრიმის გაკეთება; პედიკიურისა და მანიკიურის გაკეთება; ფეხის კანისა და ფრჩხილების მსუბუქი დაავადებების მკურნალობა; კლიენტებისათვის მომსახურების

გაწევა აბაზანის მიღების დროს და მსუბუქი მასაჟის გაკეთება; კომპანიონობის გაწევა და სხვა ინდივიდუალური მომსახურება; ბალზამირება და დაკრძალვებთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

5141 ქალისა და მამაკაცის პარიკმახერები, კოსმეტოლოგები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

5142 კომპანიონები და მოსამსახურეები

5143 დამკრძალავები და მებალზამეები

5149 ინდივიდუალური მომსახურების სხვა მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

5141 ქალისა და მამაკაცის პარიკმახერები, კოსმეტოლოგები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ქალისა და მამაკაცის პარიკმახერები, კოსმეტოლოგები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ჭრიან და ვარცხნიან თმას, პარსავენ და კრეჭენ წვერს, უწევენ კოსმეტიკურ მომსახურებას, უკეთებენ მაკიაჟსა და გრიმს და ახორციელებენ კლიენტების სხვადასხვა სახის მომსახურებას მათი გარეგნობის გაუმჯობესების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. თმის შეჭრა, დაბანა, შეღებვა და დახვევა;
2. თმის შეჭრა და დაბანა ან წვერის შეკრეჭა და გაპარსვა;
3. თავის კანის მასაჟი;
4. პარიკების მორგება მომხმარებლების მოთხოვნების შესაბამისად;
5. კანის გაწმენდა, კრემების, ლოსიონებისა და სხვა მსგავსი საშუალებების წასმა სახესა და სხეულის სხვა ნაწილებზე;
6. სახისა და ტანის მასაჟი;
7. მაკიაჟის გაკეთება სილამაზის სალონებში;
8. მსახიობებისა და სხვა შემსრულებლებისათვის გრიმის გაკეთება;
9. ხელისა და ფეხის ფრჩხილების წმენდა, ფორმის მიცემა, დაგრძელება, ფეხის კანისა და ფრჩხილების მსუბუქი დაავადებების, მაგალითად, მაზოლების, გაუხეშებული ნაწილების, ფრჩხილების დეფორმაციების მკურნალობა;
10. კლიენტებისათვის მომსახურების გაწევა აბაზანის მიღების დროს და მსუბუქი მასაჟი;
11. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
12. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეაბანოე
- დალაქი
- კოსმეტოლოგი
- მემანიკიურე
- მეპედიკიურე
- პარიკმახერი

5142 კომპანიონები და მოსამსახურეები

კომპანიონები და მოსამსახურეები უვლიან და კომპანიონობას უწევენ დამქირავებლებს და უწევენ მათ სხვადასხვა ინდივიდუალურ მომსახურებებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. დამქირავებლისათვის კომპანიონობის გაწევა, კითხვა, საუბარი და მათთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებებში , მაგალითად, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა;
2. დამქირავებლის დახმარება სტუმრების მიღებაში;
3. დამქირავებლის გარდერობისა და სხვა პირადი ნივთების მოწესრიგება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კომპანიონი
- მოსამსახურე

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- თანმხლები, გასართობი ადგილები - 5149
- პარტნიორი, საცეკვაო დარბაზი - 5149

5143 დამკრძალავები და მებალზამეები

დამკრძალავები და მებალზამეები ასრულებენ დაკრძალვებთან დაკავშირებულ სხვადასხვა მოვალეობებს. მათ მოვალეობებში შედის:

1. დაკრძალვების, კრემაციის ორგანიზება და შესაბამისი სამუშაოების შესრულება;
2. გარდაცვლილი ადამიანების სხეულის ბალზამირება მათი გახრწნის პროცესის შეჩერების მიზნით;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მებალზამე
- მეკუბოე

5149 ინდივიდუალური მომსახურების სხვა მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან ინდივიდუალური მომსახურების სხვა მუშაკები, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფის 514 - ინდივიდუალური მომსახურების სხვა მუშაკები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგალითად, ისეთი პროფესიები, რომელთა მოვალეობაში შედის პარტნიორობის გაწევა ცეკვისას ან კომპანიონობის გაწევა სხვადასხვა გასართობ ღონისძიებებზე, ან ემსახურებიან კლიენტებს კლუბებსა და ღამის კლუბებში ანაზღაურებადი პარტნიორების რანგში. ასეთ შემთხვევაში მათ მოვალეობებში შედის:

1. კლიენტებისათვის კომპანიონობის გაწევა რესტორნებსა და სხვა გასართობ ადგილებში;
2. პარტნიორობის გაწევა ცეკვის პროცესში;
3. კლიენტების შეხვედრა ღამის კლუბებში და მათი გართობის უზრუნველყოფა;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- თანმხლები, გასართობი ადგილები
- პარტნიორი [კაცი], ღამის კლუბი
- პარტნიორი [ქალი], ღამის კლუბი
- პარტნიორი, საცეკვაო დარბაზი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- კომპანიონი - 5142

მცირე ჯგუფი 515

ასტრლოგები, მკითხავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ასტროლოგები, მკითხავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები წინასწარმეტყველებენ კლიენტების ცხოვრებაში მოსალოდნელ მოვლენებს ასტროლოგიის ან სხვა მეთოდების გამოყენებით, აფრთხილებენ და აძლევენ რჩევებს კლიენტებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მომავალში.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მომავალი მოვლენების წინასწარმეტყველება ვარსკვლავებისა და პლანეტების განლაგების ან კლიენტების ხელისგულების თავისებურებების მიხედვით, ალალბედზე ამოღებული სათამაშო კარტის, ჩაის ფოთლების განლაგების ან ფინჯანში ყავის ნალექის მიხედვით და სხვა მსგავსი მეთოდებით.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

5151 ასტროლოგები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

5152 მკითხავები, ქირომანტები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

5151 ასტროლოგები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ასტროლოგები და მონათესავე პროფესიების მუშაკები წინასწარმეტყველებენ კლიენტების ცხოვრებაში მოსალოდნელ მოვლენებს ასტროლოგიისა და სხვა მეთოდების გამოყენებით, აფრთხილებენ და აძლევენ რჩევებს კლიენტებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მომავალში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კლიენტების ჰოროსკოპების შედგენა დაბადებისთანავე ან მოგვიანებით, რათა დაწვრილებით გადმოსცენ მათი წარსული და იწინასწარმეტყველონ მათი ცხოვრების მომავალი მოვლენები და პირობები;
2. ყველაზე ხელსაყრელი დროის განსაზღვრა ადამიანების სხვადასხვა საქმიანობებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინაუგურაცია, ქორწინება, მოგზაურობა, რელიგიური და სხვა ცერემონიები;
3. თანავარსკვლავედების, ვარსკვლავებისა და სხვა ფენომენების ადამიანის ცხოვრებაზე ზეგავლენის შესწავლა;
4. ადამიანების გაფრთხილება მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით ნეგატიური ზეგავლენების თავიდან აცილების მიზნით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ასტროლოგი

5152 მკითხავები, ქირომანტები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

მკითხავები, ქირომანტები და მონათესავე პროფესიების მუშაკები აწვდიან ინფორმაციას კლიენტებს მათი წარსულის შესახებ და წინასწარმეტყველებენ მომავალს მათი ხელისგულების თავისებურებებზე დაყრდნობით, ალალბედზე ამოღებული სათამაშო კარტის მიხედვით ან სხვა მეთოდებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კლიენტების ხელისგულების თავისებურებების გაშიფვრა, ალალბედზე ამოღებული სათამაშო კარტის, ჩაის ფოთლების განლაგების ან ფინჯანში ყავის ნალექის გამოსახულებების, მკვდარი ცხოველების ძვლების ფორმისა და მათი მოხაზულობების ინტერპრეტაცია;
2. ამ ინტერპრეტაციების საფუძველზე მომავალი მოვლენების წინასწარმეტყველება;
3. კლიენტების გაფრთხილება და რჩევების მიცემა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მომავალში;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მკითხავი
- ციფრებზე მკითხავი
- ქირომანტი

მცირე ჯგუფი 516

დაცვის სამსახურების მუშაკები

დაცვის სამსახურების მუშაკები იცავენ ადამიანებსა და კერძო საკუთრებას, ხანძრისაგან და სხვა საშიშროებებისაგან, იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს და უზრუნველყოფენ კანონებისა და ინსტრუქციების დაცვას.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ხანძრის თავიდან აცილება და ჩაქრობა, ადამიანების, კერძო საკუთრებისა და მატერიალური ფასეულობების გადარჩენა ხანძრისას, მისი ჩაქრობის შემდეგ და სხვა უბედური შემთხვევებისას; კანონისა და მართლწესრიგის დაცვა, ადამიანებისა და კერძო საკუთრების დაცვა სხვადასხვა საშიშროებებისა და უკანონო ქმედებებისაგან, ადამიანების დაკავება კანონდარღვევისათვის; საგზაო მოძრაობის გაკონტროლება, ოპერაციების ხელმძღვანელობა უბედური შემთხვევების დროს; წესრიგისა და დისციპლინის დამყარება პატიმრებთან ციხეებში, კოლონიებსა და პენიტენციალური სისტემის სხვა დაწესებულებებში. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

5161 მეხანძრეები

5162 პოლიციელები

5163 ციხის მცველები

5169 დაცვის სამსახურების მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

5161 მეხანძრეები

მეხანძრეების მოვალეობაა ხანძრის თავიდან აცილება და მისი ჩაქრობა, ადამიანების, კერძო საკუთრებისა და მატერიალური ფასეულობების გადარჩენა ხანძრისას, მისი ჩაქრობის შემდეგ და სხვა უბედური შემთხვევებისას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ხანძრის თავიდან აცილება და მისი ჩაქრობა;

2. სამრეწველო დაწესებულებებში სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული ხანძრის ჩაქრობა სპეციალური მოწყობილობების გამოყენებით;
3. ხანძრის თავიდან აცილება და ჩაქრობა თვითმფრინავების დაზიანების ან ავარიების შემთხვევაში და მგზავრებისა და ეკიპაჟის გადარჩენა;
4. ადამიანების, კერძო საკუთრებისა და მატერიალური ფასეულობების გადარჩენა ხანძრისას, მისი ჩაქრობის შემდეგ და სხვა უბედური შემთხვევებისას;
5. ხანძრებისა და უბედური შემთხვევების დროს მავნე ნივთიერებების ჰაერში გავრცელების თავიდან აცილება ან შეზღუდვა;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეხანძრე
- მეხანძრე, ავიაკატასტროფა
- მეხანძრე, ტყე
- მაშველი [კაცი], ხანძარი
- მაშველი [ქალი], ხანძარი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ინსპექტორი, ხანძარი - 3151
- გამომძიებელი, ხანძარი - 3151
- სპეციალისტი, სახანძრო უსაფრთხოება - 3151

5162 პოლიციელები

პოლიციელები ამყარებენ მართლწესრიგს და იცავენ კანონებსა და ინსტრუქციებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კანონის დაცვა და მართლწესრიგის დამყარება;
2. ადამიანებისა და კერძო საკუთრების დაცვა უკანონო ქმედებებისა და სხვადასხვა საშიშროებებისაგან;
3. ადამიანების დაკავება კანონდარღვევისათვის;
4. საგზაო მოძრაობის გაკონტროლება და ოპერაციების ხელმძღვანელობა უბედური შემთხვევების დროს;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- პოლიციელი
- პატრული [კაცი], პოლიცია
- პატრული [ქალი], პოლიცია

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- პოლიციის უფროსი, პოლიცია - 1120
- კომისარი, პოლიცია - 1120
- გენერალური ინსპექტორი, პოლიცია - 1120

5163 ციხის მცველები

ციხის მცველები ამყარებენ დიციპლინას და წესრიგს პატიმრებთან ციხეებში, კოლონიებსა და პენიტენციალური სისტემის სხვა დაწესებულებებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. პატიმრების ჩხრეკა, მათი ფასეული ნივთების გადაცემა სეიფში შესანახად, საკნებამდე მიცილება და საკნების ჩაკეტვა;
2. საკნების პერიოდული შემოწმება;
3. პატიმრების ზედამხედველობა მუშაობისას, კვებისა და სეირნობის დროს, ციხის ტერიტორიაზე პატრულირება ციხიდან გაქცევის თავიდან აცილების მიზნით;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მცველი, ციხე

5169 დაცვის სამსახურების მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან დაცვის სამსახურის მუშაკები, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფის 516 - დაცვის სამსახურის მუშაკები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგალითად, ისეთი პროფესიები, რომელთა მოვალეობაში შედის შენობებისა და ტერიტორიების პატრულირება ძარცვის, ქურდობის, ყაჩაღობისა და სხვა უკანონო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით, ასევე საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენება მსგავსი ქმედებების თავიდან აცილებისა და კანონდამრღვევთა, მათ შორის პირადი მცველების, მაშველებისა და ეგერების ფუნქციების შემსრულებელთა დაკავებისათვის, ასეთ შემთხვევაში მათ მოვალეობებში შედის:

1. შენობებისა და ტერიტორიების პატრულირება ქურდობის, ყაჩაღობის, წესების ან ინსტრუქციების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით;
2. საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენება დამნაშავეების დაკავების მიზნით;
3. პირადი მცველის ფუნქციების შესრულება;
4. სანაპიროებსა და საცურაო აუზებზე პატრულირება უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით და მოცურავეების დახრჩობისაგან გადარჩენა;
5. ნაკრძალებში, ტყეებსა და შემოსაზღვრულ ტერიტორიებზე პატრულირება ნადირის მოკვლისა და ქურდობის თავიდან აცილების მიზნით;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- პირადი მცველი
- ეგერი
- მაშველი
- პატრული [კაცი],დაცვის სამსახური
- პატრული [ქალი],დაცვის სამსახური

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- შვეიცარი - 9152
- მცველი, მუზეუმი - 9152
- დარაჯი [კაცი] - 9152
- დარაჯი [ქალი] - 9152

ქვეჯგუფი 52

მოდელები, გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები

მოდელები, გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები მუშაობენ მენატურეებად და გამოდიან ჩვენებებზე მოდელების რანგში, დემონსტრირებას უკეთებენ საქონელს ან ყიდიან მას საბითუმო ან საცალო ვაჭრობის მაღაზიებში და სხვა მსგავს დაწესებულებებში, მათ შორის ჯიხურებსა და ბაზრებში.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მენატურეებად მუშაობა და მოდელების ფუნქციების შესრულება საქონლის რეკლამირებისას და ჩვენებებზე; საქონელის გაყიდვა საბითუმო და საცალო ვაჭრობის დაწესებულებებში, ასევე განსაზღვრულ ადგილებში მდებარე ჯიხურებსა და ბაზრებში; საქონლის დემონსტრირება პოტენციური მყიდველებისათვის. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

521 მანეკენები და სხვა ცოცხალი მოდელები

522 მაღაზიის გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები

523 ჯიხურებისა და ბაზრების გამყიდველები

521 მანაკენები და სხვა ცოცხალი მოდელები

მანეკენები და სხვა ცოცხალი მოდელები დემონსტრირებას უკეთებენ ტანსაცმელს და სხვადასხვა აქსესუარებს გაყიდვის მიზნით, მუშაობენ ცოცხალი მოდელების რანგში პროდუქციის რეკლამირების მიზნით ან ასრულებენ მენატურეების ფუნქციას.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ტანსაცმლისა და სხვადასხვა აქსესუარების დემონსტრირება პოტენციური მყიდველებისათვის ტანსაცმლის მწარმოებელთა სადემონტრაციო სალონებში, საბითუმო და საცალო ვაჭრობის მაღაზიებში ან ტანსაცმლის მოდელების ჩვენებებზე; მოდელების რანგში მუშაობა ფოტო-გადაღებებზე, მოქანდაკეებისა და მხატვრების მენატურეებად მუშაობა; ასევე ასრულებენ მოდელების ფუნქციებს ფოტო- და კინო-გადაღებებზე პროდუქციის რეკლამირების მიზნით. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

5210 მანეკენები და სხვა ცოცხალი მოდელები

5210 მანეკენები და სხვა ცოცხალი მოდელები

მანეკენები და სხვა ცოცხალი მოდელები დემონსტრირებას უკეთებენ ტანსაცმელს და სხვადასხვა აქსესუარებს გაყიდვის მიზნით, ასრულებენ მოდელების ფუნქციებს პროდუქციის რეკლამირებისათვის და მუშაობენ მენატურეებად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტანსაცმლის ახალი ან კლიენტების შეკვეთით შექმნილი მოდელების დემონსტრირება;
2. სიარული, მობრუნება და სხვა ილეთების გამოყენება პროდუქციის დემონსტრირებისას;
3. მოდელების რანგში მუშაობა ფოტო-გადაღებებზე, მოქანდაკეებისა და მხატვრების მენატურეებად მუშაობა;
4. მოდელების ფუნქციების შესრულება ფოტო- და კინო-გადაღებებზე პროდუქციის რეკლამირების მიზნით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოდელი, რეკლამირება
- მენატურე
- მოდელი, მოდა

მცირე ჯგუფი 522

მაღაზიის გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები

მაღაზიის გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები ყიდიან საქონელს საბითუმო და საცალო ვაჭრობის დაწესებულებებში, დემონსტრირებას უკეთებენ და აცნობენ პოტენციურ მყიდველებს მათ ფუნქციებსა და ხარისხს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: საქონლის გაყიდვა საბითუმო ვაჭრობის დაწესებულებებიდან საცალო მოვაჭრეებზე და მომხმარებლებზე მსხვილი პარტიებით ან საცალო ვაჭრობის მაღაზიებში კლიენტებზე; საქონლის დემონსტრირება, მათი ფუნქციებისა და ხარისხის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მყიდველებისთვის.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

5220 მაღაზიის გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები

5220 მაღაზიის გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები

მაღაზიის გამყიდველები და საქონლის დემონსტრატორები დემონსტრირებას უკეთებენ და ყიდიან საქონელს საბითუმო ვაჭრობის დაწესებულებებიდან საცალო მოვაჭრეებზე და მომხმარებლებზე მსხვილი პარტიებით ან საცალო ვაჭრობის მაღაზიებში კლიენტებზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საქონლის გადაზიდვა საწყობიდან სავაჭრო დარბაზში და მათი გამოფენა ვიტრინებში;
2. მყიდველის მიერ შეკვეთილი საქონლის სახეობისა და ხარისხის განსაზღვრა;
3. მყიდველების დახმარება საქონლის არჩევისას;
4. მყიდველებისათვის საქონლის ფასების, კრედიტისა და ფასდაკლების პირობების გაცნობა;
5. საქონელის შეფუთვა და მოთხოვნის შესაბამისად დამკვეთთან მისი მიტანის ორგანიზება;
6. ანგარიშ-ფაქტურების, ინვოისისა და ქვითრების გამოწერა;
7. საჭიროების შემთხვევაში მოლარის ქვითრების შემოწმება;

8. გასაყიდი საქონლის დემონსტრირება მათი მახასიათებლებისა და გამოყენების წესების შესახებ მომხმარებლების ინფორმირების მიზნით, ასევე მომხმარებელთა დაინტერესების წახალისება;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დემონსტრატორი
- გამყიდველი, საცალო ვაჭრობის დაწესებულება
- გამყიდველი, საბითუმო ვაჭრობის დაწესებულება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- გამყიდველი, კიოსკი - 5230
- გამყიდველი, ბაზარი - 5230
- გამყიდველი, ჯიხური - 5230

მცირე ჯგუფი 523

ჯიხურებისა და ბაზრების გამყიდველები

ჯიხურებისა და ბაზრების გამყიდველები ქუჩებში განსაზღვრულ ადგილებზე ან სხვა ღია ტერიტორიაზე დადგმულ ჯიხურებში ყიდიან სხვადასხვა სახის საქონელს, როგორიცაა მაგალითად ტყავის ან ტექსტილის ნაწარმი, ხის სხვადასხვა ნაკეთობები, მოქარგული ნივთები, მაქმანები, გაზეთები, სხვადასხვა პერიოდული გამოცემები, საფოსტო ბარათები, სიგარეტები, შოკოლადები და ნაყინები, ასევე ყიდიან ხილს, ბოსტნეულს და სხვა, ძირითადად მალფუჭებად, საკვებ პროდუქტებს ბაზრებში.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ზემოხსენებული და სხვა მსგავსი საქონლის ყიდვა და შემდგომ გაყიდვა ქუჩებში განსაზღვრულ ადგილებზე ან სხვა ღია ტერიტორიაზე დადგმულ ჯიხურებში, ადგილობრივი მმართველობის ნებართვის შესაბამისად; ხილის, ბოსტნეულის და სხვა, უმეტესად მალფუჭებადი, საკვები პროდუქტების გაყიდვა ბაზრებში. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

5230 ჯიხურებისა და ბაზრების გამყიდველები

5230 ჯიხურებისა და ბაზრების გამყიდველები

ჯიხურებისა და ბაზრების გამყიდველები ქუჩებში განსაზღვრულ ადგილას, ან სხვა ღია ტერიტორიაზე დადგმულ ჯიხურებში ყიდიან სხვადასხვა სახის საქონელს, როგორიცაა მაგალითად ტყავის ან ტექსტილის ნაწარმი, ხის სხვადასხვა ნაკეთობები, მოქარგული ნივთები, მაქმანები, გაზეთები, სხვადასხვა პერიოდული გამოცემები, საფოსტო ბარათები, სიგარეტები, შოკოლადები და ნაყინები, ასევე ყიდიან ხილს, ბოსტნეულს და სხვა, ძირითადად მალფუჭებად, საკვებ პროდუქტებს ბაზრებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ადგილობრივი მმართველობისაგან ნებართვის მიღება ქუჩაში განსაზღვრულ ადგილას ან სხვა ღია ტერიტორიაზე ჯიხურის დასადგმელად;

2. ყიდვა ან კონტრაქტების დადება მომწოდებლებთან სხვადასხვა სახის საქონლის რეგულარული მოწოდების უზრუნველსაყოფად, რომელშიც შედის ტყავის ან ტექსტილის ნაწარმი, ხის სხვადასხვა ნაკეთობები, ასევე მოქარგული ნივთები და მაქმანები, მათი ფასების დადგენა და გაყიდვა ჯიხურებში;
3. ყიდვა ან კონტრაქტების დადება მომწოდებლებთან სხვადასხვა სახის საქონლის რეგულარული მოწოდების უზრუნველსაყოფად, რომელშიც შედის გაზეთები, სხვადასხვა პერიოდული გამოცემები, საფოსტო ბარათები, სიგარეტები, შოკოლადი და ნაყინი, მათი ფასების დადგენა და გაყიდვა კიოსკებში;
4. საბითუმო ბაზარზე ან უშუალოდ ფერმერებისაგან ახალი ხილის, ბოსტნეულის ან სხვა, ძირითადად მალფუჭებადი, საკვები პროდუქტების ყიდვა და მეთი შემდგომი გაყიდვა ბაზარში;
5. გასაყიდი საქონლის ჩატვირთვა და გადმოტვირთვა;
6. გაყიდული საქონლის გადასახადის მიღება;
7. აღრიცხვის წარმოება;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გამყიდველი, კიოსკი
- გამყიდველი, ბაზარი
- გამყიდველი, ჯიხური

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ფარდულში (ხელზე) მოვაჭრე, საუზმეული და სასმელები/კინოთეატრი - 9111
- ფარდულში (ხელზე) მოვაჭრე, ქუჩის/სასურსათო პროდუქცია - 9111
- ფარდულში (ხელზე) მოვაჭრე, ქუჩის/არასასურსათო პროდუქცია - 9112

ძირითადი ჯგუფი 6

სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები

სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციურ მუშაკებს მოჰყავთ მინდვრის კულტურები, ან ხეხილი და ბუჩქოვანი კულტურები და იღებენ მათ მოსავალს, აგროვებენ ველურად მზარდი ხეების ნაყოფებსა და მცენარეებს, ეწევიან ცხოველების მოშენებას ან ნადირობენ მათზე, აწარმოებენ სხვადასხვა სახის ცხოველურ პროდუქტებს, აშენებენ, იცავენ ან ექსპლუატაციას უწევენ ტყის მასივებს, ეწევიან თევზის მოშენებას ან თევზჭერას, ასევე ეწევიან წყლის სხვადასხვა სახეობის ფლორისა და ფაუნის მოშენებასა და შეგროვებას საკუთარი და ოჯახის წევრების საკვებით, საცხოვრისითა და შემოსავლებით უზრუნველყოფის მიზნით. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის II დონე.

სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ნიადაგის მომზადება; მინდვრის კულტურების თესვა, დარგვა, მორწყვა, ნიადაგის განოყიერება და მოსავლის აღება; ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მოყვანა; ბოსტნეული კულტურებისა და მებაღეობის პროდუქციის მოყვანა; ველურად მზარდი ხეების ნაყოფებისა და მცენარეების შეგროვება; ცხოველების მოშენება, მოვლა, ასევე მათზე ნადირობა ძირითადად ხორცის, რძის, ბეწვის, ტყავის, მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის პროდუქციის ან სხვა პროდუქტების მიღების მიზნით; ტყის მასივების გაშენება, დაცვა და ექსპლუატაცია; თევზის მოშენება და თევზჭერა; წყლის სხვადასხვა სახეობის ფლორისა და ფაუნის მოშენება და ჭერა; მათ მიერვე მოყვანილი პროდუქტების შენახვა და პირველადი დამუშავება; პროდუქციის გაყიდვა მყიდველებზე, სავაჭრო ორგანიზაციებზე ან ბაზრებში. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ძირითად ჯგუფში იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

61 ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები

62 საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები

შენიშვნა

ეს ძირითადი ჯგუფი დაიყო ორ ქვეჯგუფად, 61 - ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები და 62 - საკუთარ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები, ბაზარზე ორიენტირების თავისებურებების მიხედვით, რომელიც შეესაბამება განსხვავებებს შემდეგი მიმართულებებით: სამუშაოების ორგანიზება, ხარისხის კონტროლი, კომერციული ან უხვმოსავლიანი თესლებისა და სასუქების გამოყენება, ასევე ირიგაციის ტრადიციული ან თანამედროვე მეთოდების გამოყენება, ოფიციალური კრედიტების მიცემა, წარმოებისა და მისი რეალიზაციის მოცულობები. საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკებს შეუძლიათ თავიანთი პროდუქციის ნაწილის გაყიდვა თანხის მისაღებად, პირველადი მოხმარების საგნების შესაძენად, გადასახადებისათვის, მაგრამ, როგორც წესი, მათ არა აქვთ არანაირი უპირატესობა, რაც დაკავშირებულია ოფიციალურ კრედიტებთან ან მარკეტინგულ ღონისძიებებთან.

სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები, რომლებიც ძირითადად მმართველობით ფუნქციებს ასრულებენ კლასიფიცირდებიან ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ელემენტარულ ჯგუფში: 1210 - დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები, 1221 -საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში, ან 1311 -გენერალური მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში. მუშები, რომლებიც ძირითადად მართავენ სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის დამამზადებელ მოწყობილობებს, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 833 - სასოფლო-სამეურნეო და სხვა მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები. დაქირავებული და არაკვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომლებიც ასრულებენ მარტივ სამუშაოებს, ფიზიკური ძალისა და მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებით, აქვთ მცირე გამოცდილება და მათ ფუნქციებში არ შედის განსაკუთრებული ცოდნის, ინიციატივის გამოვლენა და გადაწყვეტილების მიღება, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 921 - სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები.

ქვეჯგუფი 61

ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები

ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები გეგმავენ და ახორციელებენ ძირითად სამუშაოებს მინდვრის კულტურების, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მოსაყვანად და მოსავლის ასაღებად, აგროვებენ ველურად მზარდი ხეების ნაყოფებსა და მცენარეებს, ეწევიან ცხოველების მოშენებას ან ნადირობენ მათზე, აწარმოებენ სხვადასხვა სახის ცხოველურ პროდუქტებს, აშენებენ, იცავენ და ექსპლუატაციას უწევენ ტყის მასივებს, ეწევიან თევზის მოშენებას ან თევზჭერას, ასევე ეწევიან წყლის სხვადასხვა სახეობის ფლორისა და ფაუნის მოშენებასა და შეგროვებას, რომელთაც შემდეგ ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ბაზრებს.

ამ ძირითადი ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ნიადაგის მომზადება, მინდვრის კულტურების თესვა, დარგვა, მორწყვა, ნიადაგის განოყიერება და აღება; ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების, ბოსტნეულის, მებაღეობის პროდუქციისა და სხვა მსგავსი პროდუქტების მოყვანა; ველურად მზარდი ხეების ნაყოფების და მცენარეების შეგროვება, სამკურნალო მცენარეების მოყვანა ან შეგორვება; ცხოველების მოშენება, მოვლა და მათზე ნადირობა ძირითადად ხორცის, რძის, ბეწვის, ტყავის, მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის პროდუქციის ან სხვა პროდუქტების მიღების მიზნით; ტყის მასივების გაშენება, დაცვა და ექსპლუატაცია; თევზის მოშენება და თევზჭერა; წყლის სხვადასხვა სახეობის ფლორისა და ფაუნის მოშენება და ჭერა; მათ მიერვე მოყვანილი პროდუქტების შენახვა და პირველადი დამუშავება; პროდუქციის გაყიდვა მყიდველებზე, სავაჭრო ორგანიზაციებზე, ან მათი რეალიზაცია ბაზრებში. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

611 ბაზარზე ორიენტირებული ბოსტნეულის, ხილისა და მინდვრის კულტურების მწარმოებლები

612 ბაზარზე ორიენტირებული მეცხოველეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

613 ბაზარზე ორიენტირებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები

614 მეტყევეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

615 მეთევზეები, მონადირეები და ტრაპერები

შენიშვნა

სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები, რომლებიც ძირითადად მმართველობით ფუნქციებს ასრულებენ კლასიფიცირდებიან ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ელემენტარულ ჯგუფში: 1210 - დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები, 1221 -საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში, ან 1311 -გენერალური მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში. მუშები, რომლებიც ძირითადად მართავენ სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის დამამზადებელ მოწყობილობებს, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 833 - სასოფლო-სამეურნეო და სხვა მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები. დაქირავებული და არაკვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომლებიც ასრულებენ მარტივ სამუშაოებს, ფიზიკური ძალისა და მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებით, აქვთ მცირე გამოცდილება და მათ ფუნქციებში არ შედის განსაკუთრებული ცოდნის, ინიციატივის გამოვლენა და გადაწყვეტილების მიღება, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 921 - სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები.

მცირე ჯგუფი 611

ბაზარზე ორიენტირებული ბოსტნეულის, ხილისა და მინდვრის კულტურების მწარმოებლები

ბაზარზე ორიენტირებული ბოსტნეულის, ხილისა და მინდვრის კულტურების მწარმოებლები გეგმავენ და ახორციელებენ ძირითად სამუშაოებს მინდვრის კულტურების, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მოსაყვანად და მოსავლის ასაღებად, მოჰყავთ ბოსტნეული, სამკურნალო და სხვა სახეობის მცენარეები, აწარმოებენ მებაღეობისა და სანერგეების პროდუქციას, რომელთაც შემდეგ ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ახდენენ მათ რეალიზაციას ბაზრებში.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სასურველი მინდვრის კულტურების, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების, ასევე ბოსტნეულისა და მებაღეობის პროდუქციის, მათ შორის სანერგეების პროდუქციის სახეობებისა და რაოდენობის განსაზღვრა; თესლების, ბოლქვებისა და სასუქების შეძენა; მიწის არენდა ან ინვესტიციების განხორციელება სამელიორაციო სისტემებში, შენობებში, მუშა პირუტყვის მოსაშენებლად, სხვადასხვა მოწყობილობებსა და მანქანა-დანადგარებში; მიწის დამუშავება, სხვადასხვა კულტურების თესვა, დარგვა, მიწის კულტივაცია და მოსავლის აღება; შინაური ცხოველების მოვლა, რომელთაც იყენებენ მიწის დამუშავებისათვის; ფერმის შენობების, მანქანა-დანადგარებისა და სხვადასხვა მოწყობილობების მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება; ნერგების გამოყვანა, ბოლქვებისა და თესლის მიღება; მათ მიერვე მოყვანილი მოსავლის შენახვა და პირველადი დამუშავება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდება და გაყიდვა ბაზრებში. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

6111 მემინდვრეები და მებოსტნეები

6112 ხეხილისა და კენკროვანი კულტურების მწარმოებლები

6113 მებაღეები და ნაყოფსანერგეების სხვა მუშაკები

6114 შერეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლები

შენიშვნა

სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები, რომლებიც ძირითადად მმართველობით ფუნქციებს ასრულებენ, კლასიფიცირდებიან ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ელემენტარულ ჯგუფში: 1210 - დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები, 1221 -საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში, ან 1311 -გენერალური მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში. მუშები, რომლებიც ძირითადად მართავენ სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის დამამზადებელ მოწყობილობებს, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 833 - სასოფლო-სამეურნეო და სხვა მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები. დაქირავებული და არაკვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომლებიც ასრულებენ მარტივ სამუშაოებს, ფიზიკური ძალისა და მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებით, აქვთ მცირე გამოცდილება და მათ ფუნქციებში არ შედის განსაკუთრებული ცოდნის, ინიციატივის გამოვლენა და გადაწყვეტილების მიღება, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 921 - სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები.

6111 მემინდვრეები და მებოსტნეები

მემინდვრეები და მებოსტნეები გეგმავენ და ახორციელებენ შემდეგ ძირითად სამუშაოებს: სხვადასხვა სახეობის მინდვრის კულტურების მოყვანა და მოსავლის აღება, რომელშიც შედის ხორბალი და სხვა მარცვლეული კულტურები, ბრინჯი, შაქრის ჭარხალი, შაქრის ლერწამი, მიწის თხილი, თამბაქო, ლერწამი ან სხვა მინდვრის კულტურები და კარტოფილი, კომბოსტო ან სხვა მინდვრის ბოსტნეული, რომელთაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ახდენენ მათ რეალიზაციას ბაზრებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სასურველი კულტურების სახეობებისა და რაოდენობის განსაზღვრა;
2. თესლის, სასუქებისა და სხვა მსგავსი საქონლის შეძენა;
3. მიწის არენდა ან ინვესტიციების დაბანდება მიწის კულტივაციისა და მელიორაციის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო მშენებლობებში, მუშა პირუტყვის, სხვადასხვა მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების შესაძენად;
4. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება, როგორიცა მიწის დამუშავება, მარცვლეული კულტურებისა და მინდვრის ბოსტნეულის თესვა, დარგვა, მოყვანა და მოსავლის აღება;
5. მოყვანილი მოსავლის შენახვა და პირველადი დამუშავება;

6. მუშა პირუტყვის მოვლა, ფერმის შენობების, მანქანა-დანადგარებისა და სხვადასხვა მოწყობილობების მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება;
7. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება და რეალიზაცია;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სოფლის მეურნეობის მუშაკი, კვალიფიციური/მინდვრის კულტურები
- ფერმერი, მარცვლეული კულტურები
- ფერმერი, ბამბა
- ფერმერი, მინდვრის კულტურები
- ფერმერი, ბრინჯი
- ფერმერი, შაქრის ლერწამი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სოფლის მეურნეობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, სოფლის მეურნეობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, სოფლის მეურნეობა - 9211
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სოფლის მეურნეობა - 1210
- ოპერატორი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები - 8331

6112 ხეხილისა და კენკროვანი კულტურების მწარმოებლები

ხეხილისა და კენკროვანი კულტურების მწარმოებლები გეგმავენ და ახორციელებენ შემდეგ ძირითად სამუშაოებს: ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მოყვანა და მოსავლის აღება, რომელშიც შედის ხეხილი, თხილი, ჩაისა და ყავის ბუჩქები, ვაზი, კენკროვანი მცენარეები, კაკაოსა და კაუჩუკის ხეები, ასევე აგროვებენ ხის წვენს, რომელთაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ახდენენ მათ რეალიზაციას ბაზრებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ხეხილისა და კენკროვანი კულტურების სასურველი სახეობებისა და რაოდენობის განსაზღვრა;
2. თესლის, სასუქებისა და სხვა მსგავსი საქონლის შეძენა;
3. მიწის არენდა ან ინვესტიციების დაბანდება მიწის კულტივაციისა და მელიორაციის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო მშენებლობებში, მუშა პირუტყვის, სხვადასხვა მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების შესაძენად;
4. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება, როგორიცაა მიწის დამუშავება, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების თესვა, დარგვა და მოვლა, ხის წვენის შეგროვება და მოსავლის აღება;
5. მოყვანილი მოსავლის შენახვა და პირველადი დამუშავება;
6. მუშა პირუტყვის მოვლა, ფერმის შენობების, მანქანა-დანადგარებისა და სხვადასხვა მოწყობილობების მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება;
7. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება და რეალიზაცია;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სოფლის მეურნეობის მუშაკი, კვალიფიციური/კენკროვანი კულტურები
- ფერმერი, ხილი
- ფერმერი, კაუჩუკი
- ფერმერი, ჩაი
- ფერმერი, ვენახი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სოფლის მეურნეობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, სოფლის მეურნეობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, სოფლის მეურნეობა - 9211
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სოფლის მეურნეობა - 1210
- ოპერატორი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები - 8331

<u>6113 მებაღეები და ნაყოფსანერგეების სხვა მუშაკები</u>

მებაღეები და ნაყოფსანერგეების სხვა მუშაკები გეგმავენ და ახორციელებენ შემდეგ ძირითად სამუშაოებს: მოჰყავთ ბოსტნეული ინტენსიური ტექნოლოგიური მეთოდით, აგრეთვე მოჰყავთ ხეები, ბუჩქოვანი კულტურები, ყვავილები და სხვა სახეობის მცენარეები, ნერგები, ბოლქვები და თესლი, რომელთაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ახდენენ მათ რეალიზაციას ბაზრებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ბოსტნეულის, მებაღეობისა და სანერგეების პროდუქციის სასურველი სახეობებისა და რაოდენობის განსაზღვრა;
2. თესლის, ბოლქვების, სასუქებისა და სხვა მსგავსი საქონლის შეძენა;
3. მიწის არენდა ან ინვესტიციების დაბანდება მიწის კულტივაციისა და მელიორაციის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო მშენებლობებში, მუშა პირუტყვის, სხვადასხვა მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების შესაძენად;
4. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება, როგორიცაა მიწის დამუშავება, ბოსტნეულის მოყვანა ინტენსიური ტექნოლოგიური მეთოდით, ხეების, ბუჩქოვანი მცენარეებისა და ყვავილების მოყვანა, მოსავლის აღება;
5. ნერგების, ბოლქვებისა და თესლის წარმოება;
6. ყვავილების, ხეების, ბუჩქოვანი კულტურებისა და სხვა მცენარეების მოყვანა პარკებში ან საზოგადოებრივ და კერძო ბაღებში;
7. მცენარეების მოყვანა გამოფენებისა და სამკურნალო მიზნებისათვის;
8. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება და რეალიზაცია;
9. მოყვანილი მოსავლის შენახვა და პირველადი დამუშავება;
10. მუშა პირუტყვის მოვლა, ფერმის შენობების, მანქანა-დანადგარებისა და სხვადასხვა მოწყობილობების მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება;
11. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
12. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მხვნელ-მთესველი, სოკო
- სოფლის მეურნეობის მუშაკი, კვალიფიციური/სანერგე
- მებაღე
- მემცენარე, ბაღის მცენარეების ნერგები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სოფლის მეურნეობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, სოფლის მეურნეობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, სოფლის მეურნეობა - 9211
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სოფლის მეურნეობა - 1210
- ოპერატორი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები - 8331

6114 შერეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლები

შერეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლები გეგმავენ და ახორციელებენ შემდეგ ძირითად სამუშაოებს: მოჰყავთ კომბინირებულად მინდვრის სხვადასხვა სახეობის მარცვლეული კულტურები, ბოსტნეული, ხეხილი, ბუჩქოვანი კულტურები, მებაღეობისა და სანერგეების პროდუქტები, რომელთაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ახდენენ მათ რეალიზაციას ბაზრებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სასურველი კულტურების სახეობებისა და რაოდენობის განსაზღვრა;
2. თესლის, სასუქებისა და სხვა მსგავსი საქონლის შეძენა;
3. მიწის არენდა ან ინვესტიციების დაბანდება მიწის კულტივაციისა და მელიორაციის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო მშენებლობებში, მუშა პირუტყვის, სხვადასხვა მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების შესაძენად;
4. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება, როგორიცაა მიწის დამუშავება, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების თესვა, დარგვა და მოვლა, ხის წვენის შეგროვება და მოსავლის აღება;
5. ბოსტნეულის მოყვანა ინტენსიური ტექნოლოგიური მეთოდით და ნერგების, ბოლქვებისა და თესლის წარმოება;
6. ყვავილების, ხეების, ბუჩქოვანი კულტურებისა და სხვა მცენარეების მოყვანა პარკებში ან საზოგადოებრივ და კერძო ბაღებში;
7. მცენარეების მოყვანა გამოფენებისათვის ან სამკურნალო მიზნებისათვის;
8. მოყვანილი მოსავლის შენახვა და პირველადი დამუშავება;
9. მუშა პირუტყვის მოვლა, ფერმის შენობების, მანქანა-დანადგარებისა და სხვადასხვა მოწყობილობების მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება;
10. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება და რეალიზაცია;
11. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
12. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სოფლის მეურნეობის მუშაკი, კვალიფიციური/შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურები
- ფერმერი, შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სოფლის მეურნეობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, სოფლის მეურნეობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, სოფლის მეურნეობა - 9211
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სოფლის მეურნეობა - 1210
- ოპერატორი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები - 8331

მცირე ჯგუფი 612

ბაზარზე ორიენტირებული მეცხოველეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ბაზარზე ორიენტირებული მეცხოველეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები გეგმავენ და ახორციელებენ შემდეგ ძირითად სამუშაოებს: შინაური ცხოველების, მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, ღორის, თხის, ცხენისა და სხვა ცხოველების, აგრეთვე შინაური და გარეული ფრინველების, ქვეწარმავლების, ძვირფასბეწვიანი ცხოველების მოშენება და მოვლა, ასევე სხვადასხვა სახის ცხოველური პროდუქტების წარმოება, რომელთაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ახდენენ მათ რეალიზაციას ბაზრებში.

შესასრულებელი ამოცანები, როგორ წესი, შემდეგია: სასურველი პირუტყვის, შინაური და გარეული ფრინველების, ქვეწარმავლების, ფუტკრების, აბრეშუმის ჭიებისა და სხვა ცხოველების სახეობებისა და რაოდეობის განსაზღვრა; ცხოველების, მათი საკვებისა და სხვა საჭირო პროდუქტების შეძენა; არენდა ან ინვესტიციების დაბანდება საძოვრებში, სამელიორაციო სისტემებში, სასოფლო-სამეურნეო მშენებლობებში, მანქანა-დანადგარების, პირუტყვისა და სხვა ცხოველების შესაძენად; სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება, ისეთების როგორიცაა პირუტყვის, შინაური ფრინველებისა და მისთ. მოშენება, სხვადასხვა ცხოველური პროდუქტების წარმოება; პროდუქციის შენახვა და პირველადი დამუშავება; სასოფლო-სამეურნეო შენობების, მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება; სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება და რეალიზაცია. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცავს სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

6121 რძისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები

6122 მეფრინველეები

6123 მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები

6124 შერეული ტიპის მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები

6129 ბაზარზე ორიენტირებული მეცხოველეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

შენიშვნა

სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები, რომლებიც ძირითადად მმართველობით ფუნქციებს ასრულებენ, კლასიფიცირდებიან ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ელემენტარულ ჯგუფში: 1210 - დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები, 1221 -საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში, ან 1311 -გენერალური მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში. მუშები, რომლებიც ძირითადად მართავენ სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის დამამზადებელ მოწყობილობებს, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 833 - სასოფლო-სამეურნეო და სხვა მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები. დაქირავებული და არაკვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომლებიც ასრულებენ მარტივ სამუშაოებს, ფიზიკური ძალისა და მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებით, აქვთ მცირე გამოცდილება და მათ ფუნქციებში არ შედის განსაკუთრებული ცოდნის, ინიციატივის გამოვლენა და გადაწყვეტილების მიღება, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 921 - სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები.

6121 რძისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები

რძისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები გეგმავენ და ახორციელებენ შემდეგ ძირითად სამუშაოებს: შინაური ცხოველების, მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, ღორის, თხის, ცხენის, ძაღლის ან კატის (რომელთაც შეიძლება იყენებდნენ როგორც მუშა ცხოველებს, ან მონაწილეობას იღებდნენ სპორტულ შეჯიბრებებში, ან ჰყავდეთ, როგორც საყვარელი შინაური ცხოველები) მოშენება და მოვლა, ძირითადად რძის, ხორცის, ბეწვის, ტყავისა და სხვა პროდუქტების საწარმოებლად, რომელთაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ახდენენ მათ რეალიზაციას ბაზრებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. პირუტყვისა და მეცხოველეობის პროდუქციის სასურველი სახეობებისა და რაოდენობის განსაზღვრა;
2. პირუტყვის ყიდვა, მათთვის საკვებისა და სხვა საჭირო პროდუქტების წარმოება და შეძენა;
3. არენდა ან ინვესტიციების დაბანდება სასოფლო-სამეურნეო მშენებლობებში, მანქანა-დანადგარებსა და მოწყობილობებში;
4. პირუტყვის მოშენება და მოვლა;
5. ცხოველების წველა და ცხვრების გაკრეჭა;
6. პირუტყვის დაკვლა და გატყავება-გამოშიგნვა, ცხოველების ან ცხოველური პროდუქტების მომზადება გასაყიდად;
7. პროდუქციის შენახვა და პირველადი დამუშავება;
8. სასოფლო-სამეურნეო შენობების, სხვადასხვა მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება;
9. პროდუქციის მიწოდება და რეალიზაცია;
10. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
11. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სელექციონერი, კატა
- სელექციონერი, ძაღლი
- სოფლის მეურნეობის მუშაკი, კვალიფიციური/პირუტყვი
- ფერმერი, რძის პროდუქტები
- ფერმერი, ცხენების მოშენება
- ფერმერი, პირუტყვი
- მეცხვარე
- მეცხვარე, კრაველი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სოფლის მეურნეობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, სოფლის მეურნეობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, სოფლის მეურნეობა - 9211
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სოფლის მეურნეობა - 1210

6122 მეფრინველეები

მეფრინველეები გეგმავენ და ახორციელებენ შემდეგ ძირითად სამუშაოებს: შინაური ფრინველების მოშენება და მოვლა, კვერცხის, ხორცისა და ბუმბულის მისაღებად, რომელთაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ახდენენ მათ რეალიზაციას ბაზრებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ფრინველებისა და მეფრინველეობის პროდუქტების სასურველი სახეობებისა და რაოდენობის განსაზღვრა;
2. ფრინველების შეძენა, მათთვის საკვებისა და სხვა საჭირო პროდუქტების მოყვანა ან შეძენა;
3. არენდა ან ინვესტიციების დაბანდება სასოფლო-სამეურნეო მშენებლობებში, მანქანა-დანადგარებსა და მოწყობილობებში;
4. შინაური ფრინველების მოშენება და მოვლა, ასევე კვერცხის შეგროვება;
5. ფრინველების დაკვლა, ბუმბულის მოცილება, გამოშიგნვა და შეფუთვა გადასაზიდად;
6. პროდუქციის შენახვა და პირველადი დამუშავება;
7. სასოფლო-სამეურნეო შენობების, სხვადასხვა მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება;
8. პროდუქციის მიწოდება და რეალიზაცია;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სოფლის მეურნეობის მუშაკი, კვალიფიციური/შინაური ფრინველები
- ფერმერი, შინაური ფრინველები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სოფლის მეურნეობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, სოფლის მეურნეობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, სოფლის მეურნეობა - 9211
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სოფლის მეურნეობა - 1210

6123 მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები

მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები გეგმავენ და ახორციელებენ შემდეგ ძირითად სამუშაოებს: მწერების, მათ შორის ფუტკრების, აბრეშუმის ჭიების ან მწერების სხვა სახეობების მოშენება და მოვლა, ძირითადად თაფლის, ფუტკრის ცვილის, აბრეშუმის ჭიის პარკებისა და მისთ. მიღების მიზნით, რომელთაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ახდენენ მათ რეალიზაციას ბაზრებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მწერების მოშენების პროდუქტების სასურველი სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრა;
2. მწერების შეძენა, მათთვის საკვებისა და სხვა საჭირო პროდუქტების მოყვანა ან შეძენა;
3. არენდა ან ინვესტიციების დაბანდება სასოფლო-სამეურნეო მშენებლობებში, მანქანა-დანადგარებსა და მოწყობილობებში;
4. მწერების მოშენება და მოვლა, ასევე მათი პროდუქტების შეგროვება;
5. პროდუქციის შენახვა და პირველადი დამუშავება;

6. სასოფლო-სამეურნეო შენობების, სხვადასხვა მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება;
7. პროდუქციის მიწოდება და რეალიზაცია;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეფუტკრე
- მეფუტკრე, კვალიფიციური
- მეაბრეშუმე

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სოფლის მეურნეობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, სოფლის მეურნეობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, სოფლის მეურნეობა - 9211
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სოფლის მეურნეობა - 1210

<u>6124 შერეული ტიპის ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები</u>

შერეული ტიპის ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები გეგმავენ და ახორციელებენ შემდეგ ძირითად სამუშაოებს: კომბინირებულად შინაური ცხოველების სხვადასხვა სახეობების, მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, ღორის, თხის, ცხენისა და მისთ., ასევე შინაური ფრინველების, ფუტკრებისა და აბრეშუმის ჭიის მოშენება, რომელთაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ახდენენ მათ რეალიზაციას ბაზრებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ცხოველების შერეული ჯოგის მოსაშენებლად სპეციფიური კომბინაციების შერჩევა;
2. პირუტყვისა და მეცხოველეობის პროდუქტების, შინაური ფრინველებისა და მეფრინველეობის პროდუქტების, მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის პროდუქტების სასურველი სახეობებისა და რაოდენობის განსაზღვრა;
3. ცხოველების შეძენა, მათთვის საკვებისა და სხვა საჭირო პროდუქტების მოყვანა ან ყიდვა;
4. არენდა ან ინვესტიციების დაბანდება სასოფლო-სამეურნეო მშენებლობებში, მანქანა-დანადგარებსა და მოწყობილობებში;
5. შერეული ჯოგის განსაზღვრული სახეობების პირუტყვის, შინაური ფრინველებისა და/ან მწერების სხვადასხვა სახეობების მოშენება და მოვლა;
6. ცხოველების წველა და ცხვრების კრეჭა;
7. ცხოველების დაკვლა, გატყავება-გამოშიგნვა, ცხოველებისა და ცხოველური პროდუქტების გასაყიდად მომზადება;
8. კვერცხის, თაფლისა და სხვა პროდუქტების შეგროვება;
9. პროდუქციის შენახვა და პირველადი დამუშავება;
10. სასოფლო-სამეურნეო შენობების, სხვადასხვა მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება;
11. პროდუქციის მიწოდება და რეალიზაცია;

12. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
13. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სოფლის მეურნეობის მუშაკი, კვალიფიციური/შერეული ტიპის მეცხოველეობის პროდუქტები
- ფერმერი, შერეული ტიპის მეცხოველეობის პროდუქტები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სოფლის მეურნეობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, სოფლის მეურნეობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, სოფლის მეურნეობა - 9211
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სოფლის მეურნეობა - 1210

6129 ბაზარზე ორიენტირებული მეცხოველეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან ბაზარზე ორიენტირებული მეცხოველეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფის 612 - ბაზარზე ორიენტირებული მეცხოველეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგალითად, ისეთი პროფესიები, რომელთა მოვალეობაში შედის გარეული ძუძუმწოვარი ცხოველების, გარეული ფრინველების, ლოკოკინების, გველებისა და სხვა ქვეწარმავლების, ძვირფასბეწვიანი გარეული ცხოველების, ასევე მწერებისა და ლაბორატორიული ცდებისათვის საჭირო ცხოველების მოშენება და მოვლა, მათ გასაყიდად ან რეგულარულად მისაწოდებლად მყიდველებისათვის, სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, ზოოპარკებისა და ცირკებისათვის ან ახდენენ მათ რეალიზაციას ბაზრებში. აქვე უნდა იქნან კლასიფიცირებულნი იმ პროფესიის მუშაკებიც, რომლებიც უვლიან და წვრთნიან ცხოველებს ნაკრძალებში, საჯინიბოებში, ზოოპარკებში, ცირკებში, კვლევით ორგანიზაციებში, ცხოველთა თავშესაფრებში და მსგავს დაწესებულებებში. ასეთ შემთხვევაში მათ მოვალეობებში შედის:

1. ღია ან დახურული ტიპის საჭირო შენობების, მოწყობილობებსა და მისთ. ყიდვა ან აშენება და ტექნიკური მომსახურება;
2. ცხოველების სასურველი ჯიშებისა და რაოდენობის განსაზღვრა;
3. ცხოველების შეძენა, მათთვის საკვებისა და სხვა საჭირო პროდუქტების მოყვანა ან ყიდვა;
4. ცხოველების მოშენება, გაზრდა და მოვლა;
5. ცხოველების დაკვლა, გატყავება-გამოშიგნვა, ცხოველებისა და ცხოველური პროდუქტების მომზადება სარეალიზაციოდ;
6. პროდუქციის შენახვა და პირველადი დამუშავება;
7. ცხოველების დაცვა, განსაკუთრებით ნაკრძალებში;
8. ცხოველების გაწვრთნა დოღისთვის, საცირკო წარმოდგენებისა და სხვა მსგავსი მიზნებისათვის;
9. პროდუქციის მიწოდება და რეალიზაცია;
10. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
11. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სელექციონერი, ფრინველი
- სელექციონერი, გარეული ფრინველი
- სელექციონერი, ლაბორატორიული ცხოველები/თაგვები
- სელექციონერი, ლომი
- სელექციონერი, ლოკოკინა
- ფერმერი, ბეწვი/გარეული ცხოველები
- მუშაკი, ცხოველების მომვლელი/ნაკრძალი
- მუშაკი, ცხოველების მომვლელი/ზოოპარკი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ეგერი - 5169

მცირე ჯგუფი 613

ბაზარზე ორიენტირებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები

ბაზარზე ორიენტირებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები გეგმავენ და ახორციელებენ შერეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ ძირითად სამუშაოებს, რომლის დროსაც ფერმერს ერთდროულად მოჰყავს სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ეწევა შინაური ცხოველების მოშენებას, აწარმოებს მეცხოველეობის პროდუქტებს, რომლებსაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ახდენენ მათ რეალიზაციას ბაზრებში.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მინდვრის კულტურების, ხეხილისა და ბუჩქოვანი მცენარეების, ასევე პირუტყვის სასურველი სახეობებისა და რაოდენობის განსაზღვრა; თესლის, სასუქების, პირუტყვის საკვებისა და სხვა საჭირო პროდუქტების შეძენა; არენდა ან ინვესტიციების დაბანდება სახნავ-სათეს მიწებსა და საძოვრებში, სასოფლო-სამეურნეო მშენებლობებში, მანქანა-დანადგარებში და პირუტყვის შესაძენად; სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება, როგორიცაა ნიადაგის დამუშავება, თესვა, მოსავლის მოყვანა და აღება; ცხოველების მოშენება და მოვლა, ასევე სხვადასხვა ცხოველური პროდუქტების წარმოება; სასოფლო-სამეურნეო შენობების, სხვადასხვა მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება; მიღებული პროდუქციის შენახვა და პირველადი დამუშავება; პროდუქციის მიწოდება და რეალიზაცია. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

6130 ბაზარზე ორიენტირებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები

შენიშვნა

სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები, რომლებიც ძირითადად მმართველობით ფუნქციებს ასრულებენ, კლასიფიცირდებიან ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ელემენტარულ ჯგუფში: 1210 - დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები, 1221 -საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში, ან 1311 -გენერალური მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში. მუშები, რომლებიც ძირითადად მართავენ სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის დამამზადებელ მოწყობილობებს, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 833 - სასოფლო-სამეურნეო და სხვა მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები. დაქირავებული და არაკვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომლებიც ასრულებენ მარტივ სამუშაოებს, ფიზიკური ძალისა და მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებით, აქვთ მცირე გამოცდილება და მათ ფუნქციებში არ შედის განსაკუთრებული ცოდნის, ინიციატივის გამოვლენა და გადაწყვეტილების მიღება, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 921 - სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები.

6130 ბაზარზე ორიენტირებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები

ბაზარზე ორიენტირებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები გეგმავენ და ახორციელებენ შემდეგ ძირითად სამუშაოებს: მინდვრის კულტურების, ხეხილის, ბუჩქოვანი მცენარეებისა და სხვა კულტურების მოყვანა და აღება, ასევე ცხოველების მოშენება, მოვლა და სხვადასხვა ცხოველური პროდუქტების წარმოება, რომელთაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მყიდველებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ახდენენ მათ რეალიზაციას ბაზრებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მცენარეული კულტურებისა და ცხოველების სასურველი სახეობებისა და რაოდენობის განსაზღვრა;
2. თესლის, სასუქების, საკვებისა და სხვა საქონლის შეძენა;
3. მიწის არენდა ან ინვესტიციების დაბანდება მიწის კულტივაციისა და მელიორაციის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო მშენებლობებში, მუშა პირუტყვისა და სხვა ცხოველების, სხვადასხვა მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების შესაძენად;
4. სხვადასხვა სამუშაოების შესრულება, როგორიცაა მიწის დამუშავება, თესვა, დარგვა, მოსავლის მოყვანა და აღება;
5. ცხოველებისათვის საკვებისა და სხვა საჭირო პროდუქტების ყიდვა ან მოყვანა;
6. ცხოველების მოშენება და მოვლა;
7. ცხოველების დაკვლა, გატყავება-გამოშიგნვა, ცხოველებისა და ცხოველური პროდუქტების მომზადება სარეალიზაციოდ;
8. პროდუქციის შენახვა და პირველადი დამუშავება;
9. სასოფლო-სამეურნეო შენობების, სხვადასხვა მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება;
10. პროდუქციის მიწოდება და რეალიზაცია;
11. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
12. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სოფლის მეურნეობის მუშაკი, კვალიფიციური/შერეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია
- ფერმერი, შერეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/სოფლის მეურნეობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, სოფლის მეურნეობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, სოფლის მეურნეობა - 9211
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სოფლის მეურნეობა - 1210

მცირე ჯგუფი 614

მეტყევეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

მეტყევეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები გეგმავენ და ახორციელებენ ძირითად სამუშაოებს ტყის მასივების გასაშენებლად, დასაცავად და გამოსაყენებლად, აწარმოებენ ხის პროდუქციას, რომლებსაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მოვაჭრეებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ბაზრებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ტყის მასივების გაშენება და მოვლა; მოსაჭრელი ხეების ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მერქნის მარაგის შეფასება; ხეების მოჭრა და მორებად დახერხვა; ხეების კენწეროების წაჭრა და ტოტების გასხვლა; მოჭრილი მორებისაგან ხის მასალების დამზადება; მორების შტაბელებად დაწყობა, გადატვირთვა და მდინარეზე დაცურება; ხე-ტყის მარტივი საშრობებისა და ავტოკლავების მართვა ხის ნახშირისა და ნედლი სკიპიდარის მისაღებად; ტყის დაცვა და ზედამხედველობა ხანძრების თავიდან აცილების მიზნით და მონაწილეობა ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოებში. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

6141 მეტყევეები და ხე-ტყის დამამზადებლები

6142 ხის ნახშირის გამომწველები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

შენიშვნა

სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები, რომლებიც ძირითადად მმართველობით ფუნქციებს ასრულებენ, კლასიფიცირდებიან ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ელემენტარულ ჯგუფში: 1210 - დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები, 1221 -საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში, ან 1311 -გენერალური მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში. მუშები, რომლებიც ძირითადად მართავენ სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის დამამზადებელ მოწყობილობებს, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 833 - სასოფლო-სამეურნეო და სხვა მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები. დაქირავებული და არაკვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომლებიც ასრულებენ მარტივ სამუშაოებს, ფიზიკური ძალისა და მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებით, აქვთ მცირე გამოცდილება და მათ ფუნქციებში არ შედის განსაკუთრებული ცოდნის, ინიციატივის გამოვლენა და გადაწყვეტილების მიღება, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 921 - სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები.

6141 მეტყევეები და ხე-ტყის დამამზადებლები

მეტყევეები და ხე-ტყის დამამზადებლები ახორციელებენ ძირითად სამუშაოებს ტყის მასივების გასაშენებლად, დასაცავად და გამოსაყენებლად, რეგულარულად ყიდიან ან აწვდიან ხის მასალას ბითუმად მოვაჭრეებს, სავაჭრო ორგანიზაციებს ან ბაზრებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტყის მასივების გაშენება და მოვლა;
2. მოსაჭრელი ხეების ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მერქნის მარაგის შეფასება;
3. ხეების კენწეროების წაჭრა და ტოტების გასხვლა, მათი წაქცევა და მორებად დახერხვა;
4. მორების პირველადი დამუშავება გაჩეხილ ტყეში;
5. მორების შტაბელებად დაწყობა, გადატვირთვა და მდინარეზე დაცურება;
6. ტყის დაცვა და ზედამხედველობა ხანძრების თავიდან აცილების მიზნით და მონაწილეობა ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოებში;
7. ხის მასალის გაყიდვა ან სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებების მომარაგება;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ხე-ტყის დამამზადებელი, ხეზე მცოცავი
- დამცურებელი, ხე-ტყე
- მჭრელ-მხერხავი, ხე
- სატყეო მეურნეობის მუშა, კვალიფიციური
- ტყის მჭრელი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლოატაციო განყოფილება/სატყეო მეურნეობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, სატყეო მეურნეობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, სატყეო მეურნეობა - 9212
- მმართველი დირექტორი, საწარმო/სატყეო მეურნეობა - 1210
- ოპერატორი, ხე-ტყის დასამუშავებელი მოწყობილობა - 8331

<u>6142 ხის ნახშირის გამომწველები და მონათესავე პროფესიების მუშაკები</u>

ხის ნახშირის გამომწველები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ასრულებენ აუცილებელ სამუშაოებს და იყენებენ ტრადიციულ მეთოდებს ხის დასამუშავებლად, ნახშირის საწარმოებლად და სკიპიდარის მისაღებად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მარტივი გამოსაწვავი ღუმელების გამოყენება, რომლებიც ნელი წვის საშუალებით აწარმოებენ ხის ნახშირს;
2. მარტივი ავტოკლავების გამოყენება ხის ნედლი სკიპიდარის მისაღებად ან გასაწმენდად;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ხის გამომწველი, ხის ნახშირი
- სატყეო მეურნეობის მუშა, კვალიფიციური/ხის გამოხდა (ტრადიციული მეთოდები)

მცირე ჯგუფი 615

მეთევზეები, მონადირეები და ტრაპერები

მეთევზეები, მონადირეები და ტრაპერები იჭერენ, აშენებენ და უვლიან თევზებს და წყლის სხვა მცენარეებსა და ცხოველებს, ან იჭერენ ძუძუმწოვარ ცხოველებს, ფრინველებსა და ქვეწარმავლებს, ზრდიან ცხოველებს ან აწარმოებენ ცხოველურ პროდუქტებს, რომლებსაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მოვაჭრეებს, სავაჭრო ორგანიზაციებსა და ბაზრებს.

მათ მოვალეობებში შედის: ბადეებისა და თევზის საჭერი სხვა მოწყობილობების დამზადება; თევზსაჭერი გემების მართვა თევზჭერის ადგილისაკენ, ადგილზე და უკან; სატყუარის ჩამოცმა, სათევზაო მოწყობილობის გადასროლა და ამოქაჩვა; თევზის გასუფთავება, გაყინვა, გაგრილება და დამარილება გემბანზე ან ნაპირზე; თევზების, ხამანმწკების, ლოკოკინებისა და წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების დაჭერა და მოშენება; ძუძუმწოვარი ცხოველების, ფრინველებისა და ქვეწარმავლების დაჭერა ან მათზე ნადირობა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

6151 წყლის მცენარეებისა და ცხოველების მოშენებით დაკავებული მუშაკები

6152 შიდა და სანაპირო წყლებში თევზჭერით დაკავებული მუშაკები

6153 ღრმა წყლებში თევზჭერით დაკავებული მუშაკები

6154 მონადირეები და ტრაპერები

შენიშვნა

სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები, რომლებიც ძირითადად მმართველობით ფუნქციებს ასრულებენ, კლასიფიცირდებიან ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ელემენტარულ ჯგუფში: 1210 - დირექტორები და მთავარი ხელმძღვანელი პირები, 1221 -საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილების მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, წადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში, ან 1311 -გენერალური მენეჯერები სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში. მუშები, რომლებიც ძირითადად მართავენ სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის დამამზადებელ მოწყობილობებს, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 833 - სასოფლო-სამეურნეო და სხვა მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები. დაქირავებული და არაკვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომლებიც ასრულებენ მარტივ სამუშაოებს, ფიზიკური ძალისა და მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებით, აქვთ მცირე გამოცდილება და მათ ფუნქციებში არ შედის განსაკუთრებული ცოდნის, ინიციატივის გამოვლენა და გადაწყვეტილების მიღება, კლასიფიცირდებიან მცირე ჯგუფში 921 - სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები.

6151 წყლის მცენარეებისა და ცხოველების მოშენებით დაკავებული მუშაკები

წყლის მცენარეებისა და ცხოველების მოშენებით დაკავებული მუშაკები ეწევიან თევზების, ხამანმწკების, ლოკოკინებისა და წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების მოშენებას, რომლებსაც ყიდიან ან რეგულარულად აწვდიან ბითუმად მოვაჭრეებს, სავაჭრო ორგანიზაციებსა და ბაზრებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შენობებში, სხვადასხვა მოწყობილობებსა და მანქანა-დანადგარებში ინვესტირება ან იჯარა;
2. საკვები და სხვა საქონლის შეძენა;
3. თევზების, ხამანმწკების, ლოკოკინებისა და წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების მოშენება და მოვლა;
4. თევზისა და სხვა პროდუქტების მომზადება გადასაზიდად;
5. თევზის გასუფთავება, გაყინვა, გაგრილება და დამარილება;
6. შენობების, მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების ტექნიკური მომსახურება;
7. პროდუქტების გაყიდვა ბაზრებში ან სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებების მომარაგება;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მწარმოებელი, ზღვის წყალმცენარეები
- მწარმოებელი, მარგალიტი
- ფერმის მუშა, კვალიფიციური/თევზი
- ფერმის მუშა, კვალიფიციური/ზღვის პროდუქტები ნაპირზე ან ნაპირიდან მოშორებით
- ფერმერი, თევზი
- ფერმერი, ხამანწკა
- ფერმერი, ზღვის პროდუქტები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/მეთევზეობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, მეთევზეობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, მეთევზეობა - 9213
- მმართველი დირექტორი, საწარმო/მეთევზეობა - 1210

6152 შიდა და სანაპირო წყლებში თევზჭერით დაკავებული მუშაკები

შიდა და სანაპირო წყლებში თევზჭერით დაკავებული მუშაკები, დამოუკიდებლად ან თევზსაჭერი გემის ეკიპაჟის წევრებთან ერთად შიდა ან სანაპირო წყლებში ეწევიან თევზისა და წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების

ჭერას და შეგროვებას საბითუმო მოვაჭრეებისათვის, გასაღების ორგანიზაციებისა ან ბაზრებისათვის რეგულარულად მიყიდვის ან მიწოდების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ბადეებისა და თევზის საჭერი სხვა მოწყობილობების დამზადება და შეკეთება;
2. თევზსაჭერი გემების მართვა თევზჭერის ადგილისაკენ, ადგილზე და უკან;
3. სატყუარის ჩამოცმა, სათევზაო მოწყობილობის გადასროლა და ამოქაჩვა;
4. წყლის სხვადასხვა მცენარეებისა და ცხოველების შეგროვება სანაპიროებზე ან წყალმარჩხ ადგილებში;
5. თევზის გასუფთავება, გაყინვა, გაგრილება და დამარილება;
6. პროდუქტების გაყიდვა ბაზრებში ან სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებების მომარაგება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მყვინთავი, ხამანწკა
- მყვინთავი,ზღვის ღრუბელი
- მეთევზე [კაცი], სანაპირო წყლები
- მეთევზე [ქალი], შიდა წყლები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/მეთევზეობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, მეთევზეობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, მეთევზეობა - 9213
- მმართველი დირექტორი, საწარმო/მეთევზეობა - 1210

<u>6153 ღრმა წყლებში თევზჭერით დაკავებული მუშაკები</u>

ღრმა წყლებში თევზჭერით დაკავებული მუშაკები თევზსაჭერი გემების ეკიპაჟის წევრებთან ერთად ღრმა წყლებში ეწევიან თევზის ჭერას საბითუმო მოვაჭრეებისათვის, გასაღების ორგანიზაციების ან ბაზრებისათვის რეგულარულად მიყიდვის ან მიწოდების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ბადეებისა და თევზის საჭერი სხვა მოწყობილობების დამზადება და შეკეთება;
2. თევზსაჭერი გემების მართვა თევზჭერის ადგილისაკენ, ადგილზე და უკან;
3. სატყუარის ჩამოცმა, სათევზაო მოწყობილობის გადასროლა და ამოქაჩვა;
4. თევზის გასუფთავება, გაყინვა, გაგრილება და დამარილება;
5. პროდუქტების გაყიდვა ბაზრებში ან სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებების მომარაგება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეთევზე [კაცი], ღრმა წყლები
- მეთევზე [ქალი], ღრმა წყლები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/მეთევზეობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, მეთევზეობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, მეთევზეობა - 9213
- მმართველი დირექტორი, საწარმო/მეთევზეობა - 1210

6154 მონადირეები და ტრაპერები

მონადირეები და ტრაპერები იჭერენ და კლავენ ძუძუმწოვარ ცხოველებს, ფრინველებს ან ქვეწარმავლებს ძირითადად ხორცის, ტყავის, ბუმბულისა და სხვა პროდუქტების მისაღებად, საბითუმო მოვაჭრეებისათვის, გასაღების ორგანიზაციების ან ბაზრებისათვის რეგულარულად მიყიდვის ან მიწოდების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ხაფანგების დაგება ძუძუმწოვარი ცხოველების, ფრინველების ან ქვეწარმავლების დასაჭერად;
2. ხაფანგში გაბმული ან თავისუფალი ძუძუმწოვრების, ფრინველებისა და ქვეწარმავლების ცეცხლსასროლი ან სხვა იარაღებით მოკვლა;
3. მოკლული ცხოველების, ფრინველების ან ქვეწარმავლების გატყავება ან სხვა პროცედურების ჩატარება ტყავის და სხვა სასურველი პროდუქტების მიღების მიზნით;
4. დაჭერილი ცოცხალი ცხოველების, ფრინველებისა და ქვეწარმავლების გაყიდვა ან სავაჭრო დაწესებულებებისათვის გადაცემა;
5. აღჭურვილობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მონადირე, სელაპი
- მონადირე, ვეშაპი
- ტრაპერი, ბეწვიანი ნადირი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- განყოფილების მენეჯერი, საწარმოო და საექსპლუატაციო განყოფილება/ნადირობა - 1221
- გენერალური მენეჯერი, ნადირობა - 1311
- არაკვალიფიციური მუშა, ხაფანგით ჭერა - 9213
- მმართველი დირექტორი, საწარმო/ნადირობა - 1210

ქვეჯგუფი 62

საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები

საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები იწევენ და იღებენ მოსავალს მინდვრის კულტურებიდან, ხეხილიდან და ბუჩქოვანი კულტურებიდან, მოჰყავთ ბოსტნეული და ხილი, აძოვებენ ან ინადირებენ ცხოველებს, აგროვებენ ველურ

ნაყოფებსა და მცენარეებს, თევზაობენ და აგროვებენ წყლის მცენარეებსა და ცხოველებს საკუთარი მოთხოვნილების, თავშესაფრისა და მინიმუმი ფულადი შემოსავლის უზრუნველყოფის მიზნით.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ნიადაგის დამუშავება; მინდვრის კულტურების დათესვა, დარგვა, მოვლა და აღება; ბისტნეულის მოყვანა; ხილის, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მოყვანა და შეგროვება; ტყის ხილის, სამკურნალო და სხვა მცენარეების შეგროვება; ცხოველების მოშენება, გამოკვება ან მათზე ნადირობა, ძირითადად, ხორცის, რძის, ბეწვის, ტყავისა და სხვა პროდუქტების მიღების მიზნით; შეშის შეგროვება; წყლის მოტანა; თევზისა და წყლის სხვა ცხოველებისა და მცენარეების მოშენება ან დაჭერა და შეგროვება; თავშესაფრის აშენება და მარტივი ხელსაწყოების, ტანსაცმლის, ავეჯისა და სხვა საოჯახო ნივთების დამზადება; მოსავლის შენახვა და მცირე დამამუშავებელი სამუშაოების განხორციელება; ზოგიერთი პროდუქტის გაყიდვა ადგილობრივ ბაზრებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი უნარი - ბუნებრივი გარემოს, ცხოველების მოვლისა და მოსავლის მოყვანის ცოდნა, ასევე ფიზიკური ძალა და სიმარჯვე - ჩვეულებრივ მათ მოეთხოვებათ ბავშვობიდან, რათა აწარმოონ პირველადი მოხმარების საგნები და განახორციელონ სხვა საჭირო სამუშაოები.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ მცირე ჯგუფში:

621 საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები

მცირე ჯგუფი 621

საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები

საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები იწევენ და იღებენ მოსავალს მინდვრის კულტურებიდან, ხეხილიდან და ბუჩქოვანი კულტურებიდან, მოჰყავთ ბოსტნეული და ხილი, აძოვებენ ან ინადირებენ ცხოველებს, აგროვებენ ველურ ნაყოფებსა და მცენარეებს, თევზაობენ და აგროვებენ წყლის მცენარეებსა და ცხოველებს საკუთარი მოთხოვნილების, თავშესაფრისა და მინიმუმი ფულადი შემოსავლის უზრუნველყოფის მიზნით.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ნიადაგის დამუშავება; მინდვრის კულტურების დათესვა, დარგვა, მოვლა და აღება; ბოსტნეულის მოყვანა; ხილის, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მოყვანა და შეგროვება; ტყის ხილის, სამკურნალო და სხვა მცენარეების შეგროვება; ცხოველების მოშენება, გამოკვება ან მათზე ნადირობა, ძირითადად ხორცის, რძის, ბეწვის, ტყავის და სხვა პროდუქტების მიღების მიზნით; შეშის შეგროვება; წყლის მოტანა; თევზის, წყლის სხვა ცხოველებისა და მცენარეების მოშენება ან დაჭერა და შეგროვება; თავშესაფრების აშენება და მარტივი ხელსაწყოების, ტანსაცმლის, ავეჯისა და სხვა საოჯახო ნივთების დამზადება; მოსავლის შენახვა და მცირე დამამუშავებელი სამუშაოების განხორციელება; ზოგიერთი პროდუქტის გაყიდვა ადგილობრივ ბაზრებში.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

6210 საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები

შენიშვნა

მცირე ჯგუფ 621-ის - საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები - შემდგომ დაყოფაში უნდა იასახოს განსხვავება კვალიფიკაციებს შორის ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა კლიმატი და სხვა ბუნებრივი მოვლენები.

6210 საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები

საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკები იწევენ და იღებენ მოსავალს მინდვრის კულტურებიდან, ხეხილიდან და ბუჩქოვანი კულტურებიდან, მოჰყავთ ბოსტნეული და ხილი, აძოვებენ ან ინადირებენ ცხოველებს, აგროვებენ ველურ ნაყოფებსა და მცენარეებს, თევზაობენ და აგროვებენ წყლის მცენარეებსა და ცხოველებს საკუთარი მოთხოვნილების, თავშესაფრისა და მინიმუმი ფულადი შემოსავლის უზრუნველყოფის მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ნიადაგის დამუშავება, მინდვრის კულტურების დათესვა, დარგვა, მოვლა და აღება;
2. ბოსტნეულის, ხილის, ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მოყვანა და შეგროვება;
3. ველური ხილის, სამკურნალო და სხვა მცენარეების შეგროვება;
4. ცხოველების მოშენება, გამოკვება ან მათზე ნადირობა, ძირითადად ხორცის, რძის, ბეწვის, ტყავისა და სხვა პროდუქტების მიღების მიზნით;
5. წყლის მოტანა და შეშის შეგროვება;
6. თევზჭერა და წყლის სხვა ცხოველების დაჭერა და მცენარეების შეგროვება;
7. მოსავლის შენახვა და მცირე დამამუშავებელი სამუშაოების განხორციელება;
8. თავშესაფრის აშენება და მარტივი ხელსაწყოების, ტანსაცმლის, ავეჯისა და სხვა საოჯახო ნივთების დამზადება;
9. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
10. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ფერმის მუშა, კვალიფიციური/საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის პროდუქტების წარმოება
- ფერმერი, საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის პროდუქტების წარმოება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- არაკვალიფიციური მუშა, ფერმა - 9211
- არაკვალიფიციური მუშა, მეთევზეობა - 9213

ძირითადი ჯგუფი 7

ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები იყენებენ თავიანთ პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას ისეთ დარგებში, როგორიცაა სამთომოპოვება და მშენებლობა, მეტალურგია, ლითონის კონსტრუქციების აგება, დანადგარების მოწყობა, ან აკეთებენ, აწყობენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და რესტავრაციას უკეთებენ მექანიზმებს, მოწყობილობებს ან ხელსაწყოებს, ახორციელებენ საბეჭდ სამუშაოებს, ასევე აწარმოებენ ან ამუშავებენ სასურსათო, საფეიქრო ან ხის, ლითონის ან სხვა სახის საგნებს, მათ შორის ხელით ნაკეთობებს.

სამუშაო ხორციელდება ხელით ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით, კონკრეტული სამუშაოების შესასრულებლად პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ფიზიკური დატვირთვის ოდენობისა და დროის შემცირების მიზნით, ამოცანები გულისხმობს გამოსაყენებელი მასალებისა და ხელსაწყოების, აგრეთვე წარმოების პროცესის ყველა ეტაპის, მათ შორის საბოლოო პროდუქციის თვისებებისა და გამოყენების შესაძლო სფეროების ცოდნას. მოცემული ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის II დონე.

ხელოსნებისა და მონათესავე პროფესიების მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მყარი მინერალების მოპოვება და დამუშავება; შენობებისა და სხვა სახის ნაგებობების აშენება, ტექნიკური მომსახურების გაწევა და რესტავრირება; ლითონის ჩამოსხმა, შედუღება და დაყალიბება; ლითონის მძიმე კონსტრუქციების, მოწყობილობებისა და მსგავსი აღჭურვილობის დამონტაჟება და აწყობა; მექანიზმების, ხელსაწყოების, აღჭურვილობებისა და ლითონის სხვა სახის საგნების გაკეთება; სხვადასხვა სახის მექანიკური ხელსაწყოების აწყობა და ამუშავება; სამრეწველო და სატრანსპორტო საშუალებების მექანიზმების აწყობა, ტექნიკური მომსახურების გაწევა ან შეკეთება, ელექტრული და ელექტრონული ინსტრუმენტების აწყობა, მონტაჟი და რემონტი, მგრძნობიარე ხელსაწყოების, საიუველირო ნაკეთობების, საოჯახო ან სხვა სახის პრეციზიული ხელსაწყოების ძვირფასი ლითონებისაგან დამზადება, ნაკეთობების დამზადება ლითონისაგან, თიხის, მინისა და სხვა მსგავსი მასალებისაგან; მხატვრული რეწვის ნაკეთობების დამზადება; საბეჭდი სამუშაოების შესრულება; კვების პროდუქტებისა და ხის, ტექსტილის, ტყავისა და სხვა მსგავსი მასალებისაგან სხვადასხვა პროდუქციის წარმოება და დამუშავება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ძირითად ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

71 მოპოვებასა და მშენებლობაზე დასაქმებული მუშები

72 ლითონგადამამუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

73 პრეციზიული, ხელით ნაკეთი და პოლიგრაფიული პროდუქციის მწარმოებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

74 მრეწველობის სხვა კვალიფიციური მუშები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და მისი კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე ან არანაირ გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

ქვეჯგუფი 71

მოპოვებასა და მშენებლობაზე დასაქმებული მუშები

მოპოვებასა და მშენებლობაზე დასაქმებული მუშები ამუშავებენ და მოიპოვებენ მყარ მინერალებს ღია ან დახურული მაღაროებიდან ან კარიერებიდან, ამუშავებენ და აპრიალებენ ქვებს მშენებლობის ან სხვა მიზნებისათვის, ან აშენებენ, არემონტებენ და რესტავრაციას უკეთებენ შენობებსა და ნაგებობებს.

სამუშაო ხორციელდება ხელით ან მექანიკური და სხვა სახის ხელსაწყოებით, რომლებიც გამოიყენება იმისთვის, რათა გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი და შემცირდეს ფიზიკური დატვირთვის ოდენობა და დრო, რომელიც საჭიროა კონკრეტული სამუშაოების შესასრულებლად. ამოცანები გულსხმობს გამოსაყენებელი მასალებისა და ხელსაწყოების, აგრეთვე წარმოების პროცესის ყველა ეტაპის, მათ შორის საბოლოო პროდუქციის თვისებებისა და გამოყენების შესაძლო სფეროების ცოდნას.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ღია ან დახურული მაღაროებიდან ან კარიერებიდან მყარი მინერალების მოპოვება და დამუშავება; ქვების დაჭრა და დამუშავება მშენებლობის ან სხვა მიზნებისათვის; შენობებისა და ნაგებობების აგება, ტექნიკური მომსახურება და რემონტი; შენობებისა და ნაგებობების, ასევე სატრანსპორტო საშუალებების ან სხვადასხვა წარმოებული ნაკეთობების შეღებვა, შიდა კედლებზე შპალერის ან ქსოვილის გაკვრა; კვამლსადენების, შენობებისა და სხვა სახის ნაგებობების გარე ზედაპირების გაწმენდა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

711 სამთომომპოვებლები, ამფეთქებლები, ქვისმთლელები და მჭრელები

712 მშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

713 მომპირკეთებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

714 მღებავები, შენობების ზედაპირის მწმენდავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და მისი კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე ან არანაირ გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

მცირე ჯგუფი 711

სამთომომპოვებლები, ამფეთქებლები, ქვისმთლელები და მჭრელები

სამთომომპოვებლები, ამფეთქებლები, ქვისმთლელები და მჭრელები მოიპოვებენ მყარ მინერალებს ღია ან დახურული მაღაროებიდან ან კარიერებიდან, აწყობენ და აფეთქებენ ასაფეთქებელ ნივთიერებებს, ჭრიან და თლიან ქვებს სამშენებლო ან სხვა მიზნებისათვის.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ღია ან დახურული მაღაროებიდან ან კარიერებიდან მყარი მინერალების მოპოვება; მაღაროებში, კარიერებზე, შენობებსა და სხვა ადგილებში ასაფეთქებელი ნივთიერებების დაწყობა და აფეთქება; ქვების დაჭრა და გათლა მშენებლობის ან სხვა მიზნებისათვის. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7111 მაღაროელები და კარიერების მუშები

7112 ამფეთქებლები

7113 ქვის მტეხავები, ქვისმთლელები და ქვაზე მჭრელები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და მისი კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე ან არანაირ გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

7111 მაღაროელები და კარიერების მუშები

მაღაროელები და კარიერების მუშები მოიპოვებენ მყარ მინერალებს ღია ან დახურული მაღაროებიდან ან კარიერებიდან.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ღია ან დახურული მაღაროებიდან ან კარიერებიდან ქვანახშირის, მადნის ან სხვა სახის მყარი მინერალების მოპოვება;
2. კარიერებიდან გრანიტის, კირქვის, ფიქლის, კაჟის ან სხვა სახის ქვების მოპოვება;
3. მანქანების აწყობა და მართვა, რომლებიც გამოიყენება სანაღმე შურფების სათხრელად, შპურების გასაბურღად მაღაროს სამუშაო სანგრევში ან ქვის სამტეხლოში;
4. ხის ან ფოლადის ღერძების, მილების და თაღების დაჭრა, დადგმა და დამონტაჟება მიწისქვეშა სამუშაოების დროს კედელებისა და სახურავების საყრდენად;
5. ნახშირის ან მადნის ნიმუშების შეგროვება ლაბორატორიული ანალიზის ჩასატარებლად;
6. ღია კარიერებიდან ცარცის, თიხის, ხრეშის ან სილის მოპოვება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეშახტე
- ქვის მტეხელი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მემანქანე, ბურღვა/მაღარო - 8111
- მემანქანე, სამთომოპოვება/უწყვეტი სამუშაოები - 8111

7112 ამფეთქებლები

ამფეთქებლები განსაზღვრავენ აფეთქების ადგილსა და ძალას, აწყობენ და აფეთქებენ ასაფეთქებელ ნივთიერებებს ნახშირის, მადნის ან სხვა სახის მყარი მინერალების ფენების დაპობის ან წანაცვლების მიზნით მაღაროებსა და კარიერებში, ან სამშენებლო ადგილებისა და სხვა მსგავსი ტერიტორიების გასასუფთავებლად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების ტექნიკისა და წესების დაცვა;
2. ასაფეთქებელი და გასაბურღი ადგილის განსაზღვრა და ინსტრუქციების გაცემა შპურების გასაბურღად;
3. აფეთქების სიძლიერის განსაზღვრა და ფეთქებადი ნივთიერებების ზუსტი რაოდენობის გამოყენება, ასაფეთქებელი ადგილების მომზადება;
4. მაღაროებსა და კარიერებზე ნაღმის აფეთქება;

5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეფალიე, ამნთები
- ამფეთქებელი

7113 ქვის მტეხავები, ქვისმთლელები და ქვაზე მჭრელები

ქვის მტეხავები, ქვისმთლელები და ქვაზე მჭრელები ტეხენ მოპოვებულ ქვებს ბლოკებად და ფილებად ხელით ან მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებით, ჭრიან, თლიან და ამუშავებენ სამშენებლო, დეკორატიულ, ძეგლებისა და სხვა დანიშნულებისთვის საჭირო ქვებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ქვებში სოლის დამაგრება, ბლოკებად ან ფილებად დაჭრის მიზნით;
2. გრანიტის, მარმარილოს ან სხვა სახის ბლოკებისა და ფილების შერჩევა და დახარისხება;
3. გრანიტის ან მარმარილოს ქვების დაჭრა, დათლა და გაპრიალება ხელის ან მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებით, სამშენებლო დანიშნულებითა და ძეგლებისათვის;
4. ქვების მონიშვნა დასაჭრელად, გასაბურღად და სხვა დასამუშავებელი და მოსაპირკეთებელი სამუშაოების საწარმოებლად;
5. ძეგლებზე ან მემორიალური დანიშნულების ქვის ფირფიტებზე წარწერების, ფიგურების ან სხვადასხვა ნახატების ამოჭრა და გრავირება;
6. ძეგლების ან მემორიალების ასაგები ქვების დამუშავება;
7. შენობების ფასადების დეკორატიული მოპირკეთებისთვის საჭირო ქვებზე წარწერების, ფიგურების ან სხვადასხვა ნახატების ამოჭრა და გრავირება;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ამომჭრელი, ქვა
- ქვის მთლელი
- კალატოზი, ძეგლები
- ქვის მტეხელი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მანქანის ოპერატორი, გრავირება/ქვის ნაკეთობა - 8212
- მანქანის ოპერატორი, დაჭრა/ქვის ნაკეთობა - 8212
- მანქანის ოპერატორი, ტეხვა/ქვა- 8112
- მოქანდაკე - 2452
- კალატოზი, მშენებლობა - 7122

მცირე ჯგუფი 712

მშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

მშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები აშენებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ შენობებისა და სხვა ნაგებობების საძირკველს, კედლებსა და ძირითად ნაწილებს როგორც შიგნიდან, ასევე გარედან.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მცირე და დიდი შენობებისა და ნაგებობების აშენება და რემონტი ისეთი ტრადიციული სამშენებლო მეთოდებისა და მასალების გამოყენებით, როგორიცაა ბამბუკი, თივა, ჩალა ან თიხა; აგურით, ქვითა და მსგავსი მასალით საძირკველების, კედლებისა და ნაგებობების აგება და რემონტი; რკინა-ბეტონის კარკასებისა და კონსტრუქციების აგება და ცემენტის ზედაპირების მოპირკეთება; სხვადასხვა ტიპის ხის ნაგებობებისა და სახლების აგება და ტექნიკური მომსახურება; სხვადასხვაგვარი სამშენებლო სამუშაოების შესრულება და ტექნიკური მომსახურების გაწევა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7121 ტრადიციული მასალებით მშენებლები

7122 კალატოზები და ფილებზე მომუშავეები

7123 ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7124 ხუროები და დურგლები

7129 მშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და მისი კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე ან არანაირ გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

უნდა აღინიშნოს, რომ ის მუშაკები, რომლებიც ამზადებენ, აწყობენ და აგებენ ლითონის სამშენებლო კონსტრუქციებს, შედიან ელემენტარულ ჯგუფში 7214 - კონსტრუქციული ლითონის დამამზადებელი მუშები და მემონტაჟეები.

7121 ტრადიციული მასალებით მშენებლები

ტრადიციული მასალებით მშენებლები აშენებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ მცირე და დიდ შენობებსა და ნაგებობებს ისეთი ტრადიციული სამშენებლო მეთოდებისა და მასალების გამოყენებით, როგორიცაა ბამბუკი, თივა, ჩალა, ლელქაში, თიხა, ფიცარი, ლატანი ან ფოთლები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამშენებლო მოედნის მომზადება შენობების ან ნაგებობების ასაგებად;
2. აუცილებელი მასალების შეგროვება;
3. სახურავის გასამაგრებელი საყრდენების დადგმა, კედლების აშენება და დაფარვა თიხით, ჩალით ან სხვა სახის მასალებით;
4. ნივნივის დამაგრება და გადახურვა;
5. იატაკის მოსწორება და დაგება, რათა გახდეს საცხოვრებლად ვარგისი და გლუვი;
6. სხვადასხვა ნაგებობების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მშენებელი-მუშა, ტრადიციული მასალები

7122 კალატოზები და ფილებზე მომუშავეები

კალატოზები და ფილებზე მომუშავეები აგებენ და რესტავრაციას უკეთებენ საძირკველებს, კედლებსა და სხვა სახის ნაგებობებს აგურის, ქვისა და სხვა მსგავსი მასალების გამოყენებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ქვის, აგურის, ღრუ ფილებისა და სხვა მსგავსი სამშენებლო მასალების დაწყობა კედლების, ტიხრების, ბუხრებისა და ისეთი სახის ნაგებობების ასაგებად და შესაკეთებლად, როგორიცაა საკვამურები, ღუმელები, კონვერტერები, აგურის გამოსაწვავი ღუმელები, ქურები და ხიდის საყრდენები;
2. ბორდიურების, ქვაფენილებისა და ტროტუარების დაგება;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- კალატოზი, მშენებლობა
- დამგები, მშენებლობა

7123 ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე პროფესიების მუშაკები აგებენ რკინა-ბეტონის კარკასებსა და ნაგებობებს, აკეთებენ ყალიბებს ბეტონის ჩასასხმელად, ამაგრებენ რკინა-ბეტონის ზედაპირებს, ამაგრებენ ჭაბურღილის მილებს, აპირკეთებენ ბეტონის ზედაპირებს, ასევე ასრულებენ „ტერაცოს“ ტიპის ბეტონის მოზაიკურ სამუშაოებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. რკინა-ბეტონის იატაკების, კედლების, საცავების, რეზერვუარების, ბუნკერებისა და ბეტონის სხვა ნაგებობების აშენება და რემონტი;
2. ბეტონისთვის ყალიბების გაკეთება ან მზა ფორმების აწყობა;
3. კედლებში ხვრელებისა და ჭაბურღილის სამაგრი მილების ჩაცემენტება;
4. ბეტონის ნაგებობების ზედაპირების მოსწორება და მოპირკეთება;
5. იატაკზე მყარი, სწორი ზედაპირების დაგება ცემენტის, ფერადი ქვიშის და მარმარილოს ნამცეცებისაგან, ანუ „ტერაცოს“ ტიპის ბეტონის მოზაიკური ფილების დამზადება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მომპირკეთებელი, ცემენტი
- დამგები, ბეტონი
- მოზაიკოსი, ბეტონის, „ტერაცოს“ ტიპის

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მანქანების ოპერატორები, დამუშავება/ბეტონი - 8212
- ოპერატორი, გზის ზედაპირის დამგები მოწყობილობა - 8332

7124 ხუროები და დურგლები

ხუროები და დურგლები ჭრიან, ამუშავებენ, აწყობენ, აგებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ სხვადასხვა ტიპის ხის ნაგებობებსა და მოწყობილობებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სადურგლო დაზგასა და სამშენებლო ადგილზე ხის კონსტრუქციებისა და სხვა ხის ნაკეთობების დამუშავება, გადაკეთება და რესტავრირება;
2. სამშენებლო ადგილებზე მასიური ხის კონსტრუქციების აშენება, აწყობა და დამონტაჟება;
3. შენობების შიდა და გარე ელემენტების დაყენება, აწყობა და გადაკეთება, როგორიცაა კედლები, კარები, კარისა და ფანჯრის ჩარჩოები, დეკორაციები და სხვა;
4. სასცენო მოწყობილობების დადგმა, რესტავრირება და დამონტაჟება თეატრალური წარმოდგენებისათვის, კინოფილმებისა და სატელევიზიო გადაცემებისათვის;
5. მატარებლის ვაგონებში, თვითმფრინავებში, გემებში, ნავებში, ბორნებში, დოკებსა და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებებში ხის ელემენტებისა და მოწყობილობების აგება, აწყობა, გადაკეთება და რემონტი;
6. ხის ნაწილების დაჭრა, გათლა, დამონტაჟება და აწყობა, ძირითადად სადურგლო დაზგაზე;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ხურო
- დურგალი
- გემის ხურო, ხე

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- დურგალ-მეავეჯე - 7422
- მეთვლე - 7422

7129 მშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან მშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფის 712 - მშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მაგალითად, მათ მიეკუთვნებიან პირები, რომელთა მოვალეობაა სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების შესრულება და შენობების ტექნიკური მომსახურება.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სხვადასხვაგვარი სამშენებლო სამუშაოების შესრულება და ნაგებობების, საოფისე შენობების, საცხოვრებელი სახლების, ქარხნების ტექნიკური მომსახურება და მსგავსი დაწესებულებების კარგ მდგომარეობაში შენარჩუნება;

2. სიმაღლეზე ტექნიკური მომსახურება, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების წარმოება;
3. სამშენებლო ადგილებზე ლითონის ან ხის ხარაჩოების აგება;
4. შენობებისა და სხვა სახის კონსტრუქციების დანგრევა;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მნგრეველი
- მშენებელი-მუშა, არატრადიციული მასალები
- მემაღლივე მუშა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- არაკვალიფიციური მუშა /შენობების აგება - 9313
- არაკვალიფიციური მუშა, სანგრევი სამუშაოები - 9131

მცირე ჯგუფი 713

მომპირკეთებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

მომპირკეთებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ამზადებენ, აწყობენ ან ამონტაჟებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ სახურავებს, იატაკებს, კედლებს, საიზოლაციო სისტემებს, აწარმოებენ ფანჯრების ან სხვა სახის ჩარჩოების შემინვას.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: შენობის გადახურვა ერთი ან რამდენიმე სახის მასალით; პარკეტისა და სხვა სახის იატაკის დაგება ან იატაკისა და კედლების მოპირკეთება ფილებით ან მოზაიკით; კედლებისა და ჭერის მობათქაშება; კედლებზე, იატაკსა და ჭერზე საიზოლაციო მასალების დამაგრება; მინების ჭრა, მორგება და ჩასმა ფანჯრების ჩარჩოებსა და ღიობებში; წყალსადენი და მილსადენი სისტემების დამონტაჟება; ელექტროგადამცემი ხაზებისა და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობის დამონტაჟება. აქვე შეიძლება გავაერთიანოთ სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7131 მხურავები

7132 იატაკისა და ფილების დამგებები

7133 მებათქაშეები

7134 საიზოლაციო სამუშაოებზე დასაქმებული მუშები

7135 მეშუშეები

7136 ზეინკალ-სანტექნიკოსები და ზეინკალ-მილგამყვანები

7137 შენობების ელექტრიკოსები და მონათესავე პროფესიების მუშები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და მისი კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე ან არანაირ გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

7131 მხურავები

მხურავები ხურავენ შენობებსა და ნაგებობებს ერთი ან რამდენიმე სახის მასალის გამოყენებით, არემონტებენ და უწევენ მათ ტექნიკურ მომსახურებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შენობის გადახურვა შიფერით, კრამიტით, სინთეტიკური მასალებით, ბიტუმით, ლითონის ფურცლებით ან ჩალით;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მხურავი, ბიტუმი
- მხურავი, ლითონი
- მხურავი, შიფერი
- მხურავი, კრამიტი
- მხურავი, ჩალა ან ლელქაში

7132 იატაკისა და ფილების დამგებები

იატაკისა და ფილების დამგებები აგებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ პარკეტსა და სხვა სახის იატაკს, ან აპირკეთებენ იატაკს, კედლებს და სხვა ზედაპირებს ფილებით ან მოზაიკით დეკორატიული ან სხვა დანიშნულებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. იატაკის ზედაპირის მომზადება პარკეტის, ფილების ან სხვა სახის მასალის დასაგებად;
2. პარკეტის ან სხვა სახის მასალების აწყობა და იატაკზე დალაგება ესკიზების ან სხვა დეტალების მიხედვით;
3. კედლების ზედაპირების მომზადება ფილების ან სხვა სახის მასალების დასაგებად დეკორატიული ან სხვა დანიშნულებით, მაგალითად, ხმის იზოლაციისათვის;
4. კედლების მოპირკეთება ფილებით, აგრეთვე კედლებზე, იატაკსა და სხვა სახის ზედაპირებზე მოზაიკის აწყობა და დაგება;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამგები, პარკეტი
- დამგები, მარმარილო
- დამგები, კაფელი

7133 მებათქაშეები

მებათქაშეები აბათქაშებენ და არემონტებენ შენობების კედლებსა და ჭერს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საბათქაშე ბადის დამონტაჟება და რემონტი, ბათქაშის ერთი ან რამდენიმე ფენის დატანა შენობების შიდა კედლებსა და ჭერზე დასრულებული ზედაპირის მისაღებად;
2. დეკორატიული თაბაშირის პანელების ჩამოსხმა და დამონტაჟება, დეკორატიული ბათქაშის კარნიზების ჩამოსხმა და აწყობა;
3. შენობების შიდა ინტერიერისათვის დეკორატიული და დამცავი ზედაპირების გაკეთება ცემენტით, ბათქაშითა და მსგავსი სახის მასალებით;
4. ბოჭკოვანი დეკორატიული თაბაშირის დეტალების დამზადება და დამონტაჟება ბოჭკოვანი მინით დაარმატურებული თაბაშირით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მებათქაშე
- მებათქაშე, დეკორატიული სამუშაო
- მებათქაშე, გარე სამუშაოები

<u>7134 საიზოლაციო სამუშაოებზე დასაქმებული მუშები</u>

საიზოლაციო სამუშაოებზე დასაქმებული მუშები აკეთებენ და არემონტებენ საიზოლაციო მასალებს შენობებზე, რეზერვუარებზე, მილსადენებზე ან მაცივებელ და სავენტილაციო მოწყობილობებზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სითბოს ან ხმის შემაკავებელი მასალის ფილებისა და ფირფიტების დაყენება შენობების კედლებზე, იატაკსა და ჭერზე;
2. საიზოლაციო ან ხმის შემაკავებელი მასალების დატანება შენობების კედლებს, იატაკსა და ჭერს შორის არსებულ სიცარიელეებში მექანიზმების დახმარებით;
3. საიზოლაციო მასალების დაყენება ღია ზედაპირებზე, როგორიცაა ქვაბები, მილსადენები და რეზერვუარები;
4. მაცივებელი და სავენტილაციო საშუალებების იზოლირება;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეიზოლირე
- მეიზოლირე, აკუსტიკური
- მეიზოლირე, ორთქლის ქვაბები და მილები
- მეიზოლირე, მაცივებელი მოწყობილობები და კონდიციონერები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მანქანების ოპერატორი, იზოლაცია - 8290

7135 მეშუშეები

მეშუშეები ეწევიან მინის ჭრას, დამონტაჟებას და ჩასმას ფანჯრებში, კარებში, მაღაზიების ვიტრინებსა და სხვა სახის ღიობებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მინის შერჩევა, მათი ზომაზე დაჭრა და ფანჯრებზე, კარებსა და შენობის სხვა ნაწილებში ჩასმა;
2. მინების ჩასმა სახურავებზე მინის ზედაპირით;
3. მაღაზიების ფასადებზე, მბრუნავ კარებზე, ვიტრინებზე, ილუმინატორებსა და სხვა სახის შესასვლელებზე ბრტყელი ან მრუდე მინების დაყენება;
4. ტყვიის ან სპილენძის ჩარჩოში მინის ნაჭრების ჩასმა, აწყობა და დამონტაჟება დეკორატიული ფანჯრებისა და პანელების დასამზადებლად;
5. სატრანსპორტო საშუალებების ფანჯრებში, კარებსა და საქარე მინებში ჩვეულებრივი ან არამტვრევადი მინის პანელის დაყენება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეშუშე
- მეშუშე, გადახურვა
- მეშუშე, სატრანსპორტო საშუალებები

7136 ზეინკალ-სანტექნიკოსები და ზეინკალ-მილგამყვანები

ზეინკალ-სანტექნიკოსები და ზეინკალ-მილგამყვანები აწყობენ, აყენებენ, ამონტაჟებენ და არემონტებენ წყალსადენებს ან მილსადენებს და სხვა მსგავს სისტემებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სადრენაჟო, გასათბობი, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მილების, მოწყობილობებისა და სხვა მსგავსი ნაწილების დაჭრა, აწყობა, მოღუნვა, შენაწევრება, დამონტაჟება, ტექნიკური მომსახურება და რემონტი.
2. გემებში, თვითმფრინავებში, შენობებში, სამრეწველო ქარხნებში და ა.შ. მილსადენი სისტემების აწყობა, დამონტაჟება, ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
3. ორმოებში თიხის, ბეტონის ან თუჯის მილების ჩადგმა წყალსადენების, საკანალიზაციო ან სადრენაჟო სისტემების დამონტაჟების მიზნით;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ზეინკალ-მილგამყვანები,
- ზეინკალ-სანტექნიკოსები,
- წყალსადენის გამყვანი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მანქანების ოპერატორი, მილების ჩაწყობა - 8290

7137 შენობების ელექტრიკოსები და მონათესავე პროფესიების მუშები

შენობების ელექტრიკოსები და მონათესავე პროფესიების მუშები ამონტაჟებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ ელექტროგადამცემ სისტემებსა და მსგავს მოწყობილობებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ელექტროგადამცემი სისტემებისა და მსგავსი მოწყობილობების დამონტაჟება, ტექნიკური მომსახურების გაწევა და რემონტი სკოლებში, საავადმყოფოებში, სავაჭრო დაწესებულებებში, საცხოვრებელ შენობებსა და სხვა სახის ნაგებობებში;
2. თეატრებში და რადიო- ან ტელესტუდიებში ელექტროგადამცემი ხაზების დამონტაჟება, ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ელექტრიკოსი
- ელექტრიკოსი, შენობის რემონტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ელექტრო-მემონტაჟე - 7241
- ელექტრო-მექანიკოსი - 7241

მცირე ჯგუფი 714

მღებავები, შენობების ზედაპირის მწმენდავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

მღებავები, შენობების ზედაპირის მწმენდავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ამზადებენ ზედაპირებს, ღებავენ საღებავითა და მსგავსი მასალებით შენობებსა და ნაგებობებს, სატრანსპორტო საშუალებებს ან სხვადასხვა ნაკეთობებს, წმენდენ საკვამურებს, აკრავენ შპალერს შენობების შიდა კედლებსა და ჭერზე, ასევე სხვა სახის ნაგებობების გარე ფასადებზე.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ზედაპირების მომზადება და შენობებსა და სხვა სახის ნაგებობებზე საღებავისა და მსგავსი მასალების წასმა; სატრანსპორტო საშუალებების ან სხვადასხვა ნაკეთობების შეღებვა ან გალაქვა, ჩვეულებრივ ხელის შესასხურებელი საშუალებით; შიდა კედლებსა და ჭერზე შპალერის, აბრეშუმის ან სხვა ქსოვილების გაკვრა; საკვამურების გაწმენდა; შენობებისა და ნაგებობების გარე ფასადების გაწმენდა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7141 მღებავები და მონათესავე პროფესიების მუშები

7142 მლაქავები და მონათესავე პროფესიების მუშები

7143 შენობა-ნაგებობების ზედაპირის მწმენდავები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და მისი კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე ან არანაირ გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

7141 მღებავები და მონათესავე პროფესიების მუშები

მღებავები და მონათესავე პროფესიების მუშები შესაღებად ამზადებენ შენობებისა და სხვა სახის ნაგებობების ზედაპირებს, უსვამენ საღებავის ან მსგავსი მასალების დამცავ ან დეკორატიულ ფენას ან აკრავენ შპალერს, აბრეშუმს ან სხვა ქსოვილებს შენობების შიდა კედლებსა და ჭერზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შენობების კედლების ან სხვა ზედაპირის გაწმენდა და მომზადება შესაღებად ან შპალერის გასაკრავად;
2. შენობების ფასადებზე, ჩარჩოებსა და სხვა ზედაპირებზე საღებავის, ლაქის, შელაქის ან მსგავსი მასალების წასმა ან შესხურება;
3. შენობებისა და გემების შიდა კედლებსა და ჭერზე შპალერის, აბრეშუმის ან მსგავსი ქსოვილების მონიშვნა და მიკვრა;
4. გემების კორპუსებსა და გემბანებზე, შენობების, ხიდების და ლითონის კონსტრუქციების კარკასებზე საღებავის, სურინჯის, ბიტუმის ემულსიის და მსგავსი სახის მასალების წასმა ან შესხურება;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მღებავი, შენობა
- შპალერის მიმკვრელი

7142 მლაქავები და მონათესავე პროფესიების მუშები

მლაქავები და მონათესავე პროფესიების მუშები ღებავენ სატრანსპორტო საშუალებებს, მათ შორის ავტობუსებს, მსუბუქ ან სატვირთო მანქანებს, უსვამენ ემალის ან ლაქის დამცავ ფენას ლითონის, ქვის ან სხვა სახის ნაკეთობებს, ჩვეულებრივ საღებავსაშხეფი საშუალებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ავტობუსების, მსუბუქი და სატვირთო მანქანების ან სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების შეღებვა და ლაქის ან სხვა დამცავი საფარის წასმა;
2. საღებავის, ასევე ემალის ან ლაქის დამცავი ფენის წასმა ხისა და სხვა სახის ნაკეთობებზე, ჩვეულებრივ საღებავსაშხეფი საშუალებით;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მღებავი, ნაკეთობები
- მღებავი, სატრანსპორტო საშუალებები
- მლაქავი, ნაკეთობები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მოწყობილობის ოპერატორი, ღებვა/ლითონი - 8223
- მოწყობილობის ოპერატორი, ღებვა/ხე - 8240
- მღებავი, შენობა - 7141
- მომხატველი, დეკორატიული - 7324

7143 შენობა-ნაგებობების ზედაპირის მწმენდავები

შენობა-ნაგებობების ზედაპირის მწმენდავები წმენდენ საკვამურებს ჭვარტლისაგან ან ასუფთავებენ შენობებისა და ნაგებობების გარე ფასადებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. გამწოვი მილების, საკვამურებისა და შემაკავშირებელი მილების გაწმენდა ჭვარტლისაგან;
2. ქვის, აგურის, ლითონისა და მსგავსი მასალების გარე ზედაპირების გაწმენდა დიდი წნევით ქიმიური საშუალებების, ორთქლის ან ქვიშის მეშვეობით;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მწმენდავი, ბუხარი
- მწმენდავი, შენობის გარე ფასადი
- ქვიშით მწმენდელი, შენობის გარე ფასადი

ქვეჯგუფი 72

ლითონგადამამუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ლითონგადამამუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ასხამენ, ადუღებენ, ჭედავენ ლითონს, აგებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ მძიმე ლითონის კონსტრუქციებს, აგებენ მანქანა-მოწყობილობებს, ასევე აწყობენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ მექანიზმებს, მათ შორის ორთქლმავლებს, სატრანსპორტო საშუალებებს, ელექტრულ და ელექტრონულ მოწყობილობებს ან აწარმოებენ ხელსაწყოებსა და სხვადასხვა არაკეთილშობილი ლითონის ნაკეთობებს.

სამუშაო ხორციელდება ხელით ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით, რომლებიც გამოიყენება იმისთვის, რათა გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი და შემცირდეს ფიზიკური დატვირთვის ოდენობა და დრო, რომელიც საჭიროა კონკრეტული სამუშაოების შესასრულებლად. ამოცანები გულისხმობს გამოსაყენებელი მასალებისა და ხელსაწყოების, აგრეთვე წარმოების პროცესის ყველა ეტაპის, მათ შორის საბოლოო პროდუქციის თვისებებისა და გამოყენების შესაძლო სფეროების ცოდნას.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბებისა და ღერძების გაკეთება; ლითონის დაჭრა, შედუღება და დაყალიბება; მძიმე ლითონის კონსტრუქციების დამონტაჟება, აგება, ტექნიკური მომსახურების გაწევა და რემონტი; ფოლადისა და სხვა არაკეთილშობილი ლითონის გამოჭედვა და დაყალიბება მოწყობილობების, ხელსაწყოებისა და სხვა ნაკეთობების გასაკეთებლად და გასარემონტებლად; სხვადასხვა სახის მექანიკური დაზგების აწყობა და ამუშავება; სამრეწველო მექანიზმების აწყობა, ტექნიკური მომსახურების გაწევა ან შეკეთება, მათ შორის ორთქლის მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების, როგორც ელექტრული, ასევე ელექტრონული ინსტრუმენტებისა და სხვა სახის მოწყობილობების. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

721 ლითონის მეყალიბეები, შემდუღებლები, ფურცლოვანი ლითონის დამამუშავებლები, კონსტრუქციული ლითონის დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშები

722 მჭედლები, ზეინკალ-მეხელსაწყოეები და მონათესავე პროფესიების მუშები

723 მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები

724 ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

მცირე ჯგუფი 721

ლითონის მეყალიბეები, შემდუღებლები, ფურცლოვანი ლითონის დამამუშავებლები, კონსტრუქციული ლითონის დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ლითონის მეყალიბეები, შემდუღებლები, ფურცლოვანი ლითონის დამამუშავებლები, კონსტრუქციული ლითონის დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები აკეთებენ ყალიბებსა და კოპებს ლითონის ჩასასხმელად, ადუღებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს, ამზადებენ და არემონტებენ ფურცლოვანი ლითონის ნაწილებს, ამონტაჟებენ, აგებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ ლითონის მძიმე კონსტრუქციებს, საბაგირო გზის ვაგონებსა და სხვა მსგავს მოწყობილობებს ან ახორციელებენ მსგავს სამუშაოებს წყალქვეშ.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ლითონის ჩასასხმელად ყალიბებისა და კოპების დამზადება; ლითონის ჩასხმა, შედუღება და დაყალიბება; ფურცლოვანი ლითონის საგნების გაკეთება და რემონტი, როგორიცაა ფურცლოვანი ფოლადი, სპილენძი, თუნუქი ან თითბერი; ლითონის მძიმე კონსტრუქციების, ასევე მოწყობილობების, საბაგირო გზის ვაგონებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების დამონტაჟება, აგება, ტექნიკური მომსახურების გაწევა და რემონტი; მსგავსი სახის სამუშაოების განხორციელება წყალქვეშ. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7211 ლითონის მეყალიბეები და მეკოპეები

7212 შემდუღებლები და აირით მჭრელები

7213 მვალცავები

7214 კონსტრუქციული ლითონის დამამზადებელი მუშები და მემონტაჟეები

7215 მეტაკელაჟეები და მეკაბელე- მრჩილავები

7216 წყალქვეშ მომუშავეები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

7211 ლითონის მეყალიბეები და მეკოპეები

ლითონის მეყალიბეები და მეკოპეები ამზადებენ ყალიბებსა და კოპებს ლითონის ჩასასხმელად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ხელით ან დამხმარე ხელსაწყოების გამოყენებით ყალიბების დამზადება დაზგაზე მცირე მოცულობის ლითონის ლუგვებისათვის, სამსხმელო საამქროში ან სამსხმელო ორმოში დიდი მოცულობის ლუგვების ჩამოსასხმელად;
2. კოპების დამზადება ლითონის ფორმების მისაღებად;

3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეკოპე, ლითონი
- მეყალიბე, ლითონის ყალიბები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მანქანების ოპერატორი, ღერძების გაკეთება/ლითონი - 8211

7212 შემდუღებლები და აირით მჭრელები

შემდუღებლები და აირით მჭრელები ადუღებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს აირის სანთურის ან ელექტრორკალის ან გაცხელების სხვა წყაროების გამოყენებით, რათა გაადნონ და დაჭრან ან გაადნონ და შეადუღონ ლითონის ნაწილები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ლითონის ნაწილების შედუღება აირის სანთურის, ელექტრორკალის, თერმიტული ნაერთების ან სხვა მეთოდების გამოყენებით;
2. შემდუღებელი მოწყობილობების გამოყენება;
3. სარჩილავი ნათურის გამოყენება ტყვიის შემოსაფენის, მილების, იატაკებისა და სხვა სახის საშუალებების გასაკეთებლად და გასარემონტებლად;
4. ლითონის ნაწილების შედუღება;
5. აირის სანთურის, ან ელექტრორკალის გამოყენებით ლითონის ნაწილებად დაჭრა;
6. ლითონის ნაწილების შეერთება ხელის სარჩილავით;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- შემდუღებელი
- აირით მჭრელი

7213 მვალცავები

მვალცავები ამზადებენ, ამონტაჟებენ და არემონტებენ ფურცლოვანი ლითონის ნაკეთობებს და ნაკეთობების ისეთ ნაწილებს, როგორიცაა ფურცლოვანი ფოლადი, სპილენძი, თუნუქი, თითბერი, ალუმინი, თუთია ან მოთუთიებული რკინა.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ფურცლოვანი ლითონის მომზადება დასაჭრელად და დასაყალიბებლად;
2. თუნუქის, სპილენძისა და რბილი შენადნობებისაგან დამზადებული საოჯახო ნივთებისა და სხვა ნაკეთობების ან ორნამენტული საგნებისა და მისი ნაწილების დამზადება და რემონტი;
3. გამაცხელებლების, ავზების, ცისტერნებისა და მსგავსი კონტეინერების დამზადება და რემონტი;

4. ავტოტრანსპორტისა და თვითმფრინავების ფურცლოვანი ფოლადის ნაწილების დამონტაჟება და რემონტი;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მჭედელი, გაცხელებული ფირფიტა
- მესპილენძე
- მვალცავი
- მეთუნუქე

7214 კონსტრუქციული ლითონის დამამზადებელი მუშები და მემონტაჟეები

კონსტრუქციული ლითონის დამამზადებელი მუშები და მემონტაჟეები აყალიბებენ, აწყობენ და აგებენ მძიმე ლითონის კოჭებსა და ფირფიტებს კონსტრუქციებისა და კარკასებისთვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ლითონის ნაწილების მონიშვნა საბურღი, საჭრელი და საჩარხი სამუშაოების შესრულებისთვის, რომელსაც გამოიყენებენ შენობების, გემებისა და სხვა სახის კონსტრუქციების მშენებლობისათვის;
2. საამქროებში კონსტრუქციული ლითონის ბურღვა, დაჭრა და ჩარხვა;
3. ფოლადის დეტალების დამონტაჟება შენობებზე, ხიდებზე და სხვა სახის კონსტრუქციებზე;
4. გემების კარკასებისა და ლითონის სხვა ნაწილების აწყობა და დამონტაჟება;
5. კონსტრუქციული ლითონის დაყალიბება და აწყობა გემების ასაგებად და შესაკეთებლად;
6. ხელით, მანქანით ან პნევმატური ჩაქუჩით კონსტრუქციული ლითონის დეტალების მოქლონვა;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მემონტაჟე, კონსტრუქციული ლითონი
- დამმუშავებელი, კონსტრუქციული ლითონი
- მქლონავი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ჩარხის ოპერატორი, მოქლონვის პროდუქცია - 8211

7215 მეტაკელაჟეები და მეკაბელე-მრჩილავები

მეტაკელაჟეები და მეკაბელე-მრჩილავები აგებენ ასაწევ და გადასატან მოწყობილობებს ან ამონტაჟებენ და ტექნიკურ მომსახურებას უწევენ კაბელებს, ბაგირებსა და სადენებს მშენებლობის ადგილებზე, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ჭაბურღილებზე, გემებზე, თვითმფრინავებსა და სხვა ადგილებზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სხვადასხვა ტიპის კაბინების, ფუნიკულიორების საბაგიროების, მოძრავი პლატფორმების, ასაწევი მოწყობილობებისა და სხვა სახის ამწევი აღჭურვილობის დამონტაჟება მგზავრების, მუშების,

მასალების, მანქანებისა და სხვა მძიმე საგნების გადასატანად მთიან ადგილებში, ღრმა ხეობებზე ან ფიორდებზე, ასევე საამქროებში, გემსაშენებსა და სხვა ადგილებზე;

2. მავთულებზე, ქერელის ბაგირებსა და სადენებზე სამარჯვების მიმაგრება, დამონტაჟება და რემონტი;
3. გემებზე და თვითმფრინავებში ბაგირების, მავთულებისა და სადენების დამონტაჟება და რემონტი;
4. ბრიგადის წევრად მუშაობა, რომელიც ამონტაჟებს და არემონტებს წყლის, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ჭაბურღილების საბურღ კოშკებს, ამონტაჟებს ბაგირებს, ამწევ და საბურღ მოწყობილობებს;
5. ბრიგადის წევრად მუშაობა, რომელიც აგებს, აწყობს და ამონტაჟებს ლითონის ბაგირებს დაკიდული ხიდების კონსტრუქციებზე;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეტაკელაჟე
- მეტაკელაჟე, გემი
- გადამბმელი, სადენი და ბაგირი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, გადაბმა/სადენი და ბაგირი - 8290

7216 წყალქვეშ მომუშავეები

წყალქვეშ მომუშავეები მუშაობენ წყალქვეშ, ატარებენ საყვინთ კოსტუმებს ან სკაფანდრებს და აკვირდებიან, ამონტაჟებენ, არემონტებენ და გადააქვთ აღჭურვილობა და კონსტრუქციები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. წყალქვეშ მუშაობა ნავსადგურის ხიდების, ბურჯების, საძირკველების დასადგმელად და შესაკეთებლად;
2. სავარაუდო დაზიანებებზე დაკვირვება და გემების კორპუსებსა და წყალქვეშა გაყვანილობაზე სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება;
3. ჩაძირული გემების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადება;
4. წყალქვეშა დაბრკოლებების ლიკვიდირება;
5. წყალქვეშა აფეთქებებისთვის შპურების გაბურღვა;
6. წყალქვეშ სხვადასხვა ამოცანის შესრულება, რომელიც უკავშირდება სამაშველო სამუშაოების ჩატარებას ან დაღუპულთა სხეულების ძიებასა და ამოყვანას;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მყვინთავი, მაშველი
- წყალქვეშ მომუშავე

მცირე ჯგუფი 722

მჭედლები, ზეინკალ-მეხელსაწყოეები და მონათესავე პროფესიების მუშები

მჭედლები, ზეინკალ-მეხელსაწყოეები და მონათესავე პროფესიების მუშები ჭედენ და წნეხენ რკინის, ფოლადის ან სხვა სახის ლითონის ძელაკებს, ძელებს ან ზოდებს, რათა დაამზადონ და გაარემონტონ სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოები, მოწყობილობები და სხვა საგნები, აწყობენ და ამუშავებენ სხვადასხვა სახის დაზგებს, აპრიალებენ და ლესავენ ლითონის ზედაპირებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: რკინის, ფოლადისა და სხვა სახის ლითონების ჭედვა და წნეხვა სხვადასხვა ტიპის მექანიკური ხელსაწყოების, მოწყობილობებისა და სხვა საგნების დამზადებისა და რემონტის მიზნით; სხვადასხვა სახის ჩარხების აწყობა და და მართვა უმნიშვნელო უზუსტობის დაშვებით; ლითონის ზედაპირებისა და ხელსაწყოების გაპრიალება და გალესვა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7221 მჭედლები, უროებზე და წნეხებზე მჭედლები

7222 ზეინკალ-მეხელსაწყოეები და მონათესავე პროფესიების მუშები

7223 მეჩარხეები და ამწყობი ოპერატორები

7224 მხეხავები, გამპრიალებლები და ინსტრუმენტების მლესავები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

7221 მჭედლები, უროებზე და წნეხებზე მჭედლები

მჭედლები, უროებზე და წნეხებზე მჭედლები ჭედენ და წნეხენ რკინის, ფოლადისა და სხვა ლითონების ძელაკებს, ძელებს, ზოდებსა და ფირფიტებს სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოების, ლითონის საგნების, მოწყობილობის ნაწილების, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მსგავსი ხელსაწყოების დამზადებისა და შეკეთების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ლითონის გახურება გამოსაჭედ ღუმელში და საგნების წარმოება და რემონტი გრდემლზე ლითონის დამუშავებით, დაღუნვით, დაჭრით, გამოჭედვით, წნეხვით, შენაწევრებითა და გამოწრთობით ან მოშვებით;
2. გახურებული ლითონის გამოჭედვა ორთქლის გრდემლზე, რომელიც აღჭურვილია ღია შტამპებით;
3. ლითონის საგნების გამოჭედვა უროებზე დახურული შტამპის გამოყენებით;
4. ლითონის საგნების გამოჭედვა დახურული შტამპით აღჭურვილი წნეხის გამოყენებით;
5. მავთულის ადიდვა;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მჭედელი
- უროსმცემელი
- წნეხზე მჭედელი
- უროზე მჭედელი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მოწყობილობის ოპერატორი, ჩამოსხმა/ლითონი - 8122
- მოწყობილობის ოპერატორი, ლითონმჭრელი- 8211

7222 ზეინკალ-მეხელსაწყოეები და მონათესავე პროფესიების მუშები

ზეინკალ-მეხელსაწყოეები და მონათესავე პროფესიების მუშები ამზადებენ და არემონტებენ ხელსაწყოებს, სპორტულ თოფებს, საკეტებს, შტამპებს, ყალიბებსა და სხვა სახის ლითონის ნაკეთობებს, ასევე აკეთებენ ძრავებს, მექანიზმებისა და მანქანების ნაწილებს, იყენებენ ლითონის ზუსტი დამუშავებისათვის ხელის ან მექანიკურ ხელსაწყოებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შტამპების, წვრილი ხელსაწყოების, ყალიბებისა და მოწყობილობების დამზადება, ტექნიკური მომსახურების გაწევა და რემონტი სხვადასხვა სახის ჩარხების ან ხელსაწყოების გამოყენებით;
2. ძრავიანი მანქანებისა და მექანიზმების შემადგენელი ნაწილებისა და სათადარიგო ნაწილების დამზადება;
3. ნაწილების აწყობა და დამაგრება შაბლონების, მოწყობილობებისა და ყალიბების დასამზადებლად და გასარემონტებლად;
4. სპორტული თოფებისა და სხვა სახის ხელსაწყოების რესტავრირება და სათადარიგო ნაწილების დამზადება, დამაგრება, აწყობა, რესტავრირება და დამონტაჟება;
5. ყალიბებისათვის საჭირო შაბლონების დამზადება და რემონტი;
6. მოზომვა და მისათითებელი ნიშნების გაკეთება იმ მუშებისთვის, რომლებიც ჭრიან, ღარავენ, ხეხავენ, ლესავენ ან სხვა სახით აყალიბებენ ლითონს;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- იარაღის მჭედელი
- საკეტების მჭედელი
- ხელსაწყოების დამამზადებელი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, ხელსაწყოების დამზადება - 8211

7223 მეჩარხეები და ამწყობი ოპერატორები

მეჩარხეები და ამწყობი ოპერატორები აწყობენ მანქანებს ან აწყობენ და ამუშავებენ სხვადასხვა სახის ზუსტი დამუშავების ხელსაწყოებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ერთი ან რამდენიმე ტიპის დაზგის აწყობა სტანდარტული სერიის ლითონის ნაწილების საწარმოებლად;
2. სხვადასხვა სახის დანადგარების აწყობა და ამუშავება;

3. ლითონზე მომუშავე განსაზღვრული ტიპების დანადგარის აწყობა და დამუშავება, რომელშიც შედის სახარატო ჩარხი, საფქვავი, სარანდი, სახვრეტი, საბურღი, სალესი და საჩარხი მანქანები, მათ შორის მრავალფუნქციური ლითონზე მომუშავე ციფრული მანქანები;
4. მსგავსი ამოცანების შესრულება პლასტმასის ან ლითონის სხვა შემცვლელი ნაკეთობების დასამზადებლად;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გამმართველი, დაზგა
- მეჩარხე, საბურღი მანქანა/ლითონდამუშავება
- მეჩარხე, სახეხი მანქანა/ლითონდამუშავება
- მეჩარხე, სახარატო დანადგარი/ლითონდამუშავება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, ბურღვა/ლითონი - 8211
- მოწყობილობის ოპერატორი, ხეხვა/ლითონი - 8211
- მოწყობილობის ოპერატორი, ლითონმჭრელი - 8211

7224 მხეხავები, გამპრიალებლები და ინსტრუმენტების მლესავები

მხეხავები, გამპრიალებლები და ინსტრუმენტების მლესავები ხეხავენ და აპრიალებენ ლითონის ზედაპირებს, ასევე ლესავენ ხელსაწყოებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სტაციონარული ან მოძრავი საპრიალებელი და სალესი მანქანების ამუშავება;
2. საჭრელი ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების გალესვა სალესი თვლის ან მექანიკური სალესი მანქანების გამოყენებით;
3. საფეიქრო საჩეჩ მანქანებში ცილინდრების პირებისა და ლითონის კბილანების რემონტი, მორგება და გალესვა;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მომპირკეთებელი, ლითონი
- მხეხავი, ხელსაწყო
- გამპრიალებელი, ლითონი
- მლესავი, დანა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, მოპირკეთება/ლითონი - 8223
- მოწყობილობის ოპერატორი, გაპრიალება/ლითონი - 8223

მცირე ჯგუფი 723

მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები

მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები აწყობენ, ამონტაჟებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ ძრავებს, ავტოტრანსპორტს, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მანქანებსა და მექანიკურ მოწყობილობებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ძრავების, ავტოტრანსპორტის, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობების აწყობა, დამონტაჟება, ტექნიკური მომსახურება და რემონტი. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7231 ავტომობილების მექანიკოსები და ამწყობები

7232 საავიაციო ძრავების მექანიკოსები და ამწყობები

7233 სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარების და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

7231 ავტომობილების მექანიკოსები და ამწყობები

ავტომობილების მექანიკოსები და ამწყობები აწყობენ, ამონტაჟებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ ძრავებს, მოტოციკლების, სამგზავრო მანქანებისა და გადასაზიდი საბარგო მანქანებისა და სხვა სახის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მექანიკურ და მსგავს მოწყობილებებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების ძრავების აწყობა, შემოწმება, გამოცდა და ტექნიკური მომსახურება;
2. ძრავის ნაწილების ან მთლიანად ძრავის გამოცვლა;
3. ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებული ნაწილების აწყობა, შემოწმება, რეგულირება, დაშლა, აღდგენა და შეცვლა;
4. ძრავებისა და მუხრუჭების დამონტაჟება და მორგება და ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების სამართავი ან სხვა ნაწილების დამონტაჟება;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ზეინკალ-ამწყობი, ძრავა/ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება
- მექანიკოსი, ავტოფარეხი
- მექანიკოსი, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ამწყობი, ძრავა/ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება - 8281

7232 საავიაციო ძრავების მექანიკოსები და ამწყობები

საავიაციო ძრავების მექანიკოსები და ამწყობები აწყობენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ, რესტავრაციას უკეთებენ და ამოწმებენ საავიაციო ძრავებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საავიაციო ძრავების აწყობა, დათვალიერება, გამოცდა და ტექნიკური მომსახურება;
2. ძრავის ნაწილების ან მთლიანად ძრავის შეცვლა;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ზეინკალ-ამწყობი, ძრავა/საავიაციო
- მექანიკოსი, ძრავა/საავიაციო

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ზეინკალ-ამწყობი, ძრავები/საავიაციო - 8281

7233 სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები

სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები აწყობენ, ამონტაჟებენ, ამოწმებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ ძრავებს (გარდა ავტომანქანებისა და საავიაციო ძრავებისა), სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მანქანებს და მექანიკურ მოწყობილობებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ძრავების (გარდა ავტომობილებისა და საავიაციო ძრავებისა), სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობების აწყობა, დამონტაჟება, შემოწმება, ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
2. სტაციონარული ძრავების, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების დაზეთვა და გაპოხვა;
3. ახალი მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობების შემოწმება და გამოცდა სტანდარტებთან და ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ზეინკალ-ამწყობი, ძრავა/ხომალდი
- მემონტაჟე, სამთო მოწყობილობა
- მემონტაჟე, საფეიქრო მანქანა
- მექანიკოსი, სამშენებლო ტექნიკა
- მექანიკოსი, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ზეინკალ-ამწყობი, საფეიქრო მანქანა - 8281

მცირე ჯგუფი 724

ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები

ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსები და ამწყობები აწყობენ, არეგულირებენ, ამონტაჟებენ და არემონტებენ ისეთ ელექტრულ და ელექტრონულ მოწყობილობებს, როგორიცაა კომპიუტერული ტექნიკა, ხმისა და გამოსახულების ჩამწერი და სატელეკომუნიკაციო სისტემები, აგებენ, ამონტაჟებენ და რესტავრაციას უკეთებენ ელექტროგადამცემ და შემაერთებელ ხაზებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ელექტრული მანქანებისა და მოწყობილობების აწყობა, დარეგულირება და რემონტი; კომპიუტერული ტექნიკისა და სხვა ელექტრონული პროდუქციის აწყობა, დარეგულირება, ტექნიკური მომსახურება და რემონტი; რადიომიმღების, ტელევიზორისა და მუსიკალური ცენტრის ამუშავება და რემონტი; ტელეგრაფისა და ტელეფონის დამონტაჟება და რემონტი; ელექტროგადამცემი ხაზებისა და შემაერთებელი სადენების დამონტაჟება და რემონტი. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7241 ელექტრული მოწყობილობის მექანიკოსები და ამწყობები

7242 ელექტრონული მოწყობილობების ამწყობები

7243 ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსები და მომსახურე მუშები

7244 ტელეგრაფისა და ტელეფონის მემონტაჟეები და მომსახურე მუშები

7245 ელექტროგადამცემი ხაზების მემონტაჟეები, შემკეთებლები და მეკაბელე-მრჩილავები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

7241 ელექტრული მოწყობილობის მექანიკოსები და ამწყობები

ელექტრული მოწყობილობის მექანიკოსები და ამწყობები აწყობენ, არეგულირებენ, ამონტაჟებენ და არემონტებენ ელექტრულ მექანიზმებს და სხვა სახის აპარატურასა და მოწყობილობებს შენობებში, ქარხნებში, სახელოსნოებსა და სხვა ადგილებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სხვადასხვა სახის ელექტრული მექანიზმებისა და ძრავების, გენერატორების, გამანაწილებელი და საკონტროლო-გამზომი აპარატურის, ინსტრუმენტების ან ელექტროამწეების ელექტრული ნაწილებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების აწყობა, დარეგულირება და რემონტი;
2. საოჯახო ელექტრული მოწყობილობების, სამრეწველო მანქანებისა და სხვა სახის ელექტრული მოწყობილობის ნაწილების ან თვითმფრინავების, გემებისა და სატრანსპორტო საშუალებების ელექტრული აპარატების აწყობა, დარეგულირება და რემონტი;
3. წარმოებული ელექტრული პროდუქციის დათვალიერება და გამოცდა;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მშენებელი, არმატურა

- ელექტრომონტიორი, გენერატორი
- ელექტრომექანიკოსიმექანიკოსი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ამწყობი, ელექტრული მოწყობილობა - 8282

7242 ელექტრონული მოწყობილობების ამწყობები

ელექტრონული მოწყობილობების ამწყობები აწყობენ და არეგულირებენ როგორც კომპიუტერულ ტექნიკას, ასევე ხმისა და გამოსახულების ჩამწერ და გადამცემ სატელეკომუნიკაციო და სხვა სახის ელექტრონულ მოწყობილობებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კომპიუტერული ტექნიკის, ხმისა და გამოსახულების ჩამწერი და გადამცემი საშუალებების, სარადარო მოწყობილობების, მუსიკალური ინსტრუმენტების ელექტრონული ნაწილების, სამედიცინო და სამრეწველო მოწყობილობებისა და კავშირის სისტემების აწყობა და რეგულირება;
2. წარმოებული ელექტრონული პროდუქციის დათვალიერება და გამოცდა;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მემონტაჟე, ელექტრონული მოწყობილობები/კომპიუტერული ტექნიკა
- მემონტაჟე, ელექტრონული მოწყობილობები/სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ამწყობი, ელექტრონული მოწყობილობა - 8283

7243 ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსები და მომსახურე მუშები

ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსები და მომსახურე მუშები ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ რადიომიმღებებსა და ტელევიზორებს, აუდიომაგნიტოფონებს, ვიდეომაგნიტოფონებს და სხვა სახის აუდიო-ვიდეომოწყობილობებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. რადიომიმღებებისა და ტელევიზორების, აუდიომაგნიტოფონების, ვიდეომაგნიტოფონებისა და სხვა სახის აუდიო-ვიდეომოწყობილობების შემოწმება, დაზიანებული ნაწილების შეცვლა და მარეგულირებელი და სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მემონტაჟე, რადიოანტენა
- მექანიკოსი, ელექტრონული მოწყობილობები/აუდიო-ვიდეომოწყობილობა
- მომსახურე მუშა, ელექტრონული მოწყობილობა

7244 ტელეგრაფისა და ტელეფონის მემონტაჟეები და მომსახურე მუშები

ტელეგრაფისა და ტელეფონის მემონტაჟეები და მომსახურე მუშები ამონტაჟებენ, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ და არემონტებენ სატელეფონო და სატელეგრაფო მოწყობილობებს საკომუნკაციო ცენტრებსა და ინდივიდუალური გამოყენების ადგილებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საკომუნიკაციო ცენტრებსა და ინდივიდუალური გამოყენების ადგილებში სატელეფონო და სატელეგრაფო მოწყობილობების დამონტაჟება, ამუშავება და რემონტი;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მემონტაჟე, ტელეფონი
- მექანიკოსი, ტელეგრაფი
- მომსახურე მუშა, ტელეფონი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მემონტაჟე, ელექტრონიკა/სატელეომუნიკაციო მოწყობილობა - 7242

7245 ელექტროგადამცემი ხაზების მემონტაჟეები, შემკეთებლები და მეკაბელე-მრჩილავები

ელექტროგადამცემი ხაზების მემონტაჟეები, შემკეთებლები და მეკაბელე-მრჩილავები ამონტაჟებენ და რესტავრაციას უკეთებენ ელექტროგადამცემ და შემაერთებელ კაბელებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგადამცემი და ელექტოგამტარი ხაზების დამონტაჟება და შეკეთება;
2. მიწისზედა და მიწისქვეშა სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზების დამონტაჟება და შეკეთება;
3. მიწისზედა და მიწისქვეშა კაბელების შეერთება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეკაბელე, ტელეგრაფი
- მრჩილავი, კაბელი/ელექტრული
- ხაზების გამყვანი/ელექტროენერგია

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, ელექტროგადამცემი ხაზების მემონტაჟეები - 8290

ქვეჯგუფი 73

პრეციზიული, ხელით ნაკეთი და პოლიგრაფიული პროდუქციის მწარმოებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

პრეციზიული, ხელით ნაკეთი და პოლიგრაფიული პროდუქციის მწარმოებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ამზადებენ და რესტავრაციას უკეთებენ პრეციზიულ ინსტრუმენტებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, სხვადასხვა ნაკეთობებს, როგორიცაა საიუველირო ნაკეთობები, ძვირფასი ლითონების ნაკეთობები, კერამიკის, ფაიფურის, მინის, ასევე ხის, ტექსტილის, ტყავის ან სხვა მსგავსი მასალების ხელით ნაკეთობები ან ასრულებენ ბეჭდვით ან წიგნის აკინძვის სამუშაოებს.

სამუშაო ხორციელდება ხელით ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით, რომლებიც გამოიყენება იმისთვის, რათა გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი და შემცირდეს ფიზიკური დატვირთვის ოდენობა და დრო, რომელიც საჭიროა კონკრეტული სამუშაოების შესასრულებლად. ამოცანები გულისხმობს გამოსაყენებელი მასალებისა და ხელსაწყოების, აგრეთვე წარმოების პროცესის ყველა ეტაპის, მათ შორის საბოლოო პროდუქციის თვისებებისა და გამოყენების შესაძლო სფეროების ცოდნას.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სანავიგაციო, მეტეოროლოგიური, ოპტიკური და სხვა პრეციზიული ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების დამზადება და შეკეთება; საიუველირო ნაკეთობებისა და პრეციზიული ლითონის ნაკეთობების დამზადება; თიხის, კერამიკის, ფაიფურისა და მინის ნაკეთობების დამზადება; სხვადასხვა ნაკეთობების მოხატვა და გაწყობა; ხის, ტექსტილის, ტყავისა და სხვა მსგავსი მასალების ხელის ნაკეთობების დამზადება; ბეჭდვითი და წიგნის აკინძვასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

731 ლითონისა და სხვა მსგავსი მასალების პრეციზიული ნაკეთობების დამამზადებლები

732 მეთუნეები, მემინეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

733 ხეზე, ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები

734 პოლიგრაფიული წარმოების მუშები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას.

მცირე ჯგუფი 731

ლითონისა და სხვა მსგავსი მასალების პრეციზიული ნაკეთობების დამამზადებლები

ლითონისა და სხვა მსგავსი მასალების პრეციზიული ნაკეთობების დამამზადებლები ამზადებენ და არემონტებენ პრეციზიულ ინსტრუმენტებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, საიუველირო ნაკეთობებს და ძვირფასი ლითონის სხვა ნაკეთობებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მაჯისა და კედლის მექანიკური საათების, სანავიგაციო, მეტეოროლოგიური, ოპტიკური, ქირურგიული, სტომატოლოგიური, ორთოპედიული და სხვა პრეციზიული ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების დამზადება და შეკეთება; მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადება და შეკეთება; ძვირფასი ქვების დაწახნაგება და ფორმებში მოთავსება, ასევე საიუველირო ნაკეთობებისა

და პრეციზიული ლითონის ნაკეთობების დამზადება და შეკეთება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7311 პრეციზიული ინსტრუმენტების დამამზადებლები და შემკეთებლები

7312 მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებლები და ამწყობები

7313 ბვირფასი ლითონებისა და ქვებისაგან ნაკეთობების დამამზადებლები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარების და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას.

7311 პრეციზიული ინსტრუმენტების დამამზადებლები და შემკეთებლები

პრეციზიული ინსტრუმენტების დამამზადებლები და შემკეთებლები ამზადებენ და რესტავრაციას უკეთებენ მაჯის და კედლის მექანიკურ საათებს, სანავიგაციო, მეტეოროლოგიურ, ოპტიკურ, ქირურგიულ, სტომატოლოგიურ, ორთოპედიულ და სხვა პრეციზიულ ინსტრუმენტებსა და მოწყობილობებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ხელისა და კედლის მექანიკური საათების დამზადება, რეგულირება და შეკეთება;
2. სანავიგაციო და მეტეოროლოგიური ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების დამზადება, რეგულირება და შეკეთება;
3. ოპტიკური ინსტრუმენტების დამზადება, რეგულირება და შეკეთება;
4. ქირურგიული ინსტრუმენტებისა და სხვა სამედიცინო მოწყობილობების დამზადება, რეგულირება და შეკეთება;
5. სამედიცინო, ორთოპედიული და სტომატოლოგიური ხელსაწყოებისა და პროტეზების დამზადება და შეკეთება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამამზადებელი, ინსტრუმენტი/მეტეოროლოგიური
- დამამზადებელი, ინსტრუმენტი/ქირურგიული
- დამამზადებელი, ორთოპედიული ხელსაწყო
- დამამზადებელი, საათი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში;

- ამწყობი, საათი -8283
- მოწყობილობის ოპერატორი, ხელსაწყო - 8211

7312 მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებლები და ამწყობები

მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებლები და ამწყობები ამზადებენ, აწყობენ და არემონტებენ სიმებიან, ჩასაბერ ან დასარტყამ ინსტრუმენტებს ხელით ან მექნიკური ინსტრუმენტების საშუალებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. აკორდეონების, სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტების დამზადება და შეკეთება;
2. ორღანებისა და ორღანის ნაწილების დამზადება და შეკეთება;
3. ფორტეპიანოს ინსტრუმენტალური ნაწილების დამზადება, ფორტეპიანოების აწყობა და შეკეთება;
4. ორღანების, ფორტეპიანოებისა და სხვა ინსტრუმენტების აწყობა;
5. სხვა მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადება და შეკეთება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამამზადებელი, ინსტრუმენტი/მუსიკალური (ჩასაბერი)
- დამამზადებელი, ინსტრუმენტი/მუსიკალური (სიმებიანი)
- დამამზადებელი, ინსტრუმენტი/მუსიკალური (ხის ჩასაბერი)
- ამწყობი, მუსიკალური ინსტრუმენტი

7313 ძვირფასი ლითონებისა და ქვებისაგან ნაკეთობების დამამზადებლები

ძვირფასი ლითონებისა და ქვებისაგან ნაკეთობების დამამზადებლები ამზადებენ და არემონტებენ საიუველირო და ძვირფასი ლითონის ნაკეთობებს, ჭრიან და ბუდეებში სვამენ ძვირფას ქვებს, აგრავიორებენ საიუველირო და ძვირფასი ლითონის ნაკეთობებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საიუველირო და არალითონის ნაკეთობების ხელით დამზადება;
2. საიუველირო ნაკეთობების დამზადება, როგორიცაა ბეჭდები, ქინძისთავები და სამაჯურები;
3. ძვირფასი ქვების დაწახნაგება და გაპრიალება და მათი საიუველირო ნაკეთობებში ჩასმა;
4. ძვირფასი ლითონის ნაკეთობების დამზადება და შეკეთება;
5. ძვირფასი ლითონების გლინვა და ჩარხვა;
6. საიუველირო და ძვირფასი ლითონის ნაკეთობებზე ასოებისა და სხვადასხვა ინიციალების გრავირება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მემინანქრე, საიუველირო ნაკეთობა
- ოქრომჭედელი
- იუველირი
- ჩამსმელი, ძვირფასი ქვა
- ვერცხლის მჭედელი

მცირე ჯგუფი 732

მეთუნეები, მემინეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

მეთუნეები, მემინეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ამზადებენ აგურებს, ფილებს, თიხის, ფაიფურისა და შუშის ნაკეთობებს, ჭრიან და აგრავიორებენ სხვადასხვა ნახატებს შუშის ნაკეთობებზე, ხატავენ შუშის, კერამიკისა და სხვა მსგავსი მასალის ნაკეთობებზე.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: აბრაზიული თვლების, თიხისა და ფაიფურის ნაკეთობების, აგურებისა და კრამიტის დამზადება; შუშის ნაკეთობების დამზადება; შუშის ნაკეთობებზე სხვადასხვა ნახატების ამოტვიფრა და გრავირება; შუშისა და კერამიკის ნაკეთობების მოხატვა; დეკორატიული საღებავებისა და სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენებით სხვადასხვა ნაკეთობების მოხატვა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7321 აბრაზიული ნაწარმის მეყალიბეები, მეთუნეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7322 მემინეები, შუშის მჭრელები, მხეხავები და გამპრიალებლები

7323 მინის ამომჭრელები და გრავიორები

7324 მინაზე, კერამიკასა და სხვა მსგავს მასალებზე დეკორატიული ხატვის ოსტატები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას.

7321 აბრაზიული ნაწარმის მეყალიბეები, მეთუნეები და მონათესავე პროფესიების მუშები

აბრაზიული ნაწარმის მეყალიბეები, მეთუნეები და მონათესავე პროფესიების მუშები ამზადებენ თიხისა და ფაიფურის ნაკეთობებს, აგურებს, კრამიტსა და აბრაზიულ ქარგოლებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. თიხისა და ფაიფურის ნაკეთობების დამზადება;
2. თაბაშირისა და თიხის ყალიბების დამზადება;
3. ხელით თიხის საოჯახო ნივთების დამზადება თიხის დაზგაზე ან სხვადასხვა საყალიბე ფორმებისა და ხელსაწყოების გამოყენებით;
4. ნაკეთობების დამზადება საყალიბე ფორმებში ნახევრად თხევადი თიხის ჩასხმით:
5. აგურებისა და კრამიტის ხელით დაყალიბება სპეციალურ ფორმებში;
6. ხელით საპრეს ყალიბებში პლასტიკური თიხისაგან სხვადასხვა ნაკეთობების დამზადება;
7. ხრახნიანი ან ჰიდრავლიკური პრესის გამოყენება თიხის ნაკეთობების დასამზადებლად;
8. ნოტიო თიხის საპრესი მანქანის გამოყენება თიხის შემდგომი დამუშავებისათვის;
9. აბრაზიული ქარგოლების დამზადება აბრაზიული მასალის დაყალიბებითა და პრესვით;
10. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
11. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამამზადებელი, თიხისა და ფაიფურის ნაკეთობები
- მემოდელე, თიხისა და ფაიფურის ნაკეთობები
- მეთუნე

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში;

- გამოსაწვავი ღუმელის ოპერატორი, აგური და კრამიტი- 8131
- გამოსაწვავი ღუმელის ოპერატორი, თიხა და ფაიფური - 8131

7322 მემინეები, შუშის მჭრელები, მხეხავები და გამპრიალებლები

მემინეები, შუშის მჭრელები, მხეხავები და გამპრიალებლები ბერავენ, აყალიბებენ, პრესავენ და აწახნაგებენ თხევად მინას, ასევე ჭრიან, ხეხავენ და აპრიალებენ მას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. თხევადი მინის დაყალიბება მინასაბერი მილით, ხელით, გაცხელებითა და მოღუნვით;
2. ლინზების დამზადება ოპტიკური მინის გაცხელებით, დაყალიბებითა და დაპრესვით;
3. ლინზების გახეხვა და გაპრიალება;
4. მინის პირების გახეხვა და გაპრიალება;
5. ფურცლოვანი მინის დაჭრა ხელის ინსტრუმენტების საშუალებით, ოპტიკური მინისაგან პრიზმებისა და სხვა გეომეტრიული ფორმების დაჭრა;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მინამბერი
- მჭრელი, მინა
- მომპირკეთებელი, მინა
- მლესავი, მინა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, მინის ნაწარმი - 8131

7323 მინის ამომჭრელები და გრავიორები

მინის ამომჭრელები და გრავიორები აგრავიორებენ და ჭრიან ფიგურებს მინის ნაკეთობებზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მინის ნაკეთობებზე მონოგრამებისა და დეკორატიული ფიგურების გრავირება;
2. დეკორატიული ნახატების, საკალიბრებელი ნიშნებისა და სხვა სახის ფიგურების ამოჭრა მინის ნაკეთობებზე;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მჭრელი, ბროლი
- გრავიორი, მინა
- მჭრელი,მინა

<u>7324 მინაზე, კერამიკასა და სხვა მსგავს მასალებზე დეკორატიული ხატვის ოსტატები</u>

მინაზე, კერამიკაზე და სხვა მსგავს მასალებზე დეკორატიული ხატვის ოსტატები დეკორატიული ნახატებით აფორმებენ ხის, ლითონის, ტექსტილის, მინის, კერამიკისა და სხვა მსგავსი მასალების ნაკეთობებს, აკეთებენ ესკიზებს და ხატავენ ასოებსა და სხვადასხვა მოხატულობას ნაკეთობების გასაფორმებლად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ნაკეთობებზე ფიგურების მოხატვა ფუნჯის, საფრქვევი ან გადასაყვანი საშუალებების გამოყენებით და ტრაფარეტების, გადასაყვანი სურათების, რეზინის შტამპებისა და სხვა საშუალებების დახმარებით;
2. საღებავების, მინანქრის, ემალის, ლაკისა და სხვა მსგავსი მასალების გამოყენება დეკორატიული მიზნით, ნაკეთობების გასაფორმებლად;
3. ამალგამას გადასმა სარკის მინაზე;
4. ასოებისა და ფიგურების დახატვა და გადაყვანა ნაკეთობებზე გასაფორმებლად;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეემალე, მინა
- მომხატველი, დეკორატიული
- გამფორმებელი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მოწყობილობის ოპერატორი, მოხატვა/კერამიკა - 8131
- მოწყობილობის ოპერატორი, მოხატვა/მინა - 8131
- მხატვარი, მშენებლობა - 7141
- მღებავი, ნაკეთობების წარმოება - 7142
- მღებავი,, ავტოტრანსპორტი - 7142

მცირე ჯგუფი 733

ხეზე, ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები

ხეზე, ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები იყენებენ ტრადიციულ მეთოდებს სხვადასხვა ნაკეთობების საწარმოებლად, როგორც პირადი, ასევე საოჯახო გამოყენებისათვის ან დეკორატიული მიზნებისათვის.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ხის, ჩალის, პალმის ფურცლების, ლერწმის, ძვლის, ქვის, ნიჟარებისა და სხვა მასალების დამზადება; სხვადასხვა ნაკეთობების გრავირება, დაყალიბება, მოხატვა და გაფორმება; წვნა, ქსოვა, ქარგვა და არშიების გაკეთება; ძველებური ფეხსაცმლის, ხელჩანთების, ქამრებისა და სხვა აქსესუარების წარმოება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7331 ხეზე და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები

7332 ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარების და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას.

7331 ხეზე და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები

ხეზე და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები იყენებენ ტრადიციულ მეთოდებს ხის, ჩალის, პალმის ფურცლების, ლერწმის, ძვლის, ქვის, ნიჟარებისა და სხვა მასალების დასამზადებლად, აგრავიორებენ, აყალიბებენ, ქსოვენ ან ხატავენ და აფორმებენ სხვადასხვა ნაკეთობებს როგორც პირადი, ასევე საოჯახო გამოყენებისათვის ან დეკორატიული მიზნებისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ხის, ჩალის, პალმის ფურცლების, ლერწმის, ძვლის, ქვის, ნიჟარებისა და სხვა მასალების დამზადება;
2. სხვადასხვა ნაკეთობების გრავირება, დაყალიბება, მოხატვა და გაფორმება როგორც პირადი, ასევე საოჯახო გამოყენებისათვის, რომელშიც შედის სალათის თასები, კოვზები, საჭრელი დაფები, ლანგრები, ვაზები, ტოლჩები, კალათები, ჩალის ქუდები, იატაკის ჩალის საფენები და სხვა მსგავსი საგნები;
3. სხვადასხვა დეკორატიული ნაკეთობების გრავირება, მოხატვა და მოქსოვა, რომელშიც შედის სტატუეტები და სხვა ქანდაკებები, ჭადრაკის ფიგურები, საიუველირო ნაკეთობები და სხვა მსგავსი საგნები;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამამზადებელი, ლერწმით ქსოვა
- დამამზადებელი, ქვის ნაკეთობები
- დამამზადებელი, ხის ნაკეთობები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- დამამზადებელი, ჯაგრისი -7424
- მოწყობილობის ოპერატორი, კვეთა/ქვის ნაწარმი -8212
- მოწყობილობის ოპერატორი, ხის ნაწარმი - 8240

7332 ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები

ტექსტილზე, ტყავსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავეები იყენებენ ტრადიციულ მეთოდებსა და მოდელებს ქსოვილების საწარმოებლად, ქსოვენ, ქარგავენ, წნავენ და სხვადასხვაგვარად აფორმებენ ნაკეთობებს,

როგორც პირადი, ასევე საოჯახო გამოყენებისათვის, რომელშიც შედის ძველებური ფეხსაცმელი, ხელჩანთები, ქამრები და სხვა აქსესუარები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ხის, ბამბისა და სხვა ქსოვილების შეღებვა და მოხატვა ნატურალური საღებავებით;
2. ტანსაცმლისა და საოჯახო ნაკეთობების ქსოვა, ქარგვა და მაქმანების ქსოვა;
3. ტყავის მომზადება და შეღებვა ნატურალური საღებავებით და ხალხური ტრადიციებით ფეხსაცმლის, ხელჩანთების, ქამრებისა და სხვა აქსესუარების დამზადება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამამზადებელი, ხალიჩები
- დამამზადებელი, ტყავი
- დამამზადებელი, ტექსტილი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მოწყობილობის ოპერატორი, ქსოვა/ქსოვილები - 8262
- მქსოველი, მაუდი - 7432

მცირე ჯგუფი 734

პოლიგრაფიული წარმოების მუშები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

პოლიგრაფიული წარმოების მუშები და მონათესავე პროფესიების მუშაკები აწყობენ და ამზადებენ საბეჭდ შრიფტებს ხელით ან ელექტრონულ-კლავიატურიანი და სხვა მანქანების გამოყენებით, ამზადებენ საბეჭდ ფორმებს, აგრავიორებენ ლითოგრაფიულ ქვებს და საბეჭდ ფორმებს, ამზადებენ შაბლონებს და იყენებენ ტრაფარეტული ბეჭდვის მეთოდებს, ბეჭდავენ ქაღალდზე და სხვა მასალებზე ან კინძავენ წიგნებს და ასრულებენ სხვა საამკინძაო სამუშაოებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: საბეჭდი შრიფტების მომზადება და აწყობა ხელის ან ელექტრონული ან სხვა მანქანების გამოყენებით; საბეჭდი ფორმების დამზადება; ლითოგრაფიული ქვების, საბეჭდი ფორმების, შტამპებისა და ბლოკების გრავირება; შაბლონების დამზადება და ტრაფარეტული საბეჭდი მეთოდების გამოყენება; ქაღალდზე ან სხვა მასალებზე ბეჭდვა; წიგნების აკინძვა და სხვა საამკინძაო სამუშაოების განხორციელება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7341 ასოთამწყობები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7342 სტერეოტიპერები და ელექტროტიპერები

7343 საბეჭდი ფორმების გრავიორები და ამომჭრელები

7344 ფოტოგრაფები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7345 მკინძავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7346 აბრეშუმგრაფიის, ქსილოგრაფიისა და ქსოვილების მეტრაფარეტეები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარების და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას.

7341 ასოთამწყობები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ასოთამწყობები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ამზადებენ და აწყობენ საბეჭდ ფორმებს ხელით ან მანქანის გამოყენებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შრიფტების აწყობა ხელით ან ანაბეჭდების აწყობა მარტივი მანქანების გამოყენებით;
2. ლინოტიპების, მონოტიპებისა და შრიფტის ჩამომსხმელი მანქანების მართვა;
3. შრიფტების აწყობა, მასალების მოთავსება და ილუსტრირება გვერდების მომზადების მიზნით;
4. გვერდების თანმიმდევრული დაწყობა დასაბეჭდად;
5. ელექტრონული ამწყობი მანქანების გამოყენება, რომლის საშუალებითაც ხდება ასოების ან სხვა ფიგურების გადატანა ფირზე ან შუქმგრძნობიარე ქაღალდზე ფოტოგრაფიული საბეჭდი ფორმების მიღების მიზნით;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ასოთამწყობი, ბეჭდვა
- მბეჭდავი
- ამწყობი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მანქანის ოპერატორი, საბეჭდი/ცილინდრული - 8251

7342 სტერეოტიპერები და ელექტროტიპერები

სტერეოტიპერები და ელექტროტიპერები ამზადებენ საბეჭდ ფორმებს აკრეფილი შრიფტებისაგან სტერეოტიპებისა და ელექტროტიპების საშუალებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. პაპიე-მაშესაგან, ცვილის ან სხვა მასალებისაგან შრიფტის ფორმების დამზადება;
2. საბეჭდი მატრიცების დამზადება პაპიე-მაშეს ან სხვა მასალებისაგან, ასევე შრიფტების შექმნის მიზნით გალვანური სტერეოტიპირების მეთოდის გამოყენება;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ელექტროტიპერი
- სტერეოტიპერი

7343 საბეჭდი ფორმების გრავიორები და ამომჭმელები

საბეჭდი ფორმების გრავიორები და ამომჭმელები აგრავიორებენ ლითოგრაფიულ ქვებს და საბეჭდ მატრიცებს, შტამპებსა და ბლოკებს სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ლითოგრაფიული ქვების ზედაპირებზე ნახატების ამოჭრა ფირების გამოყენებით;
2. ფოლადისა და სპილენძის შრიფტების, შტამპების, მატრიცული კალანდრების, ასევე ხის, რეზინის და ლინოლეუმის ბლოკების გრავირება;
3. ლითონის ფირფიტებისა და კალანდრების გრავირება მანქანის საშუალებით;
4. ნახატების გადატანა ლითოგრაფიული ქვებიდან ლითონის ფირფიტებზე;
5. ფოტოგრავირების მეთოდით საბეჭდი ფორმების მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ან ზოგიერთი სამუშაოს შესრულება;
6. მჟავით და რეტუშირებით ლითონის ფორმების ამოჭმა;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გრავიორი, საბეჭდი/ლითოგრაფიული ქვა
- გრავიორი, საბეჭდი/ლითონის ფორმა
- ამომჭელი, საბეჭდი/ლითონის ფორმა
- ფოტოგრავიორი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- დიზაინერი, გრაფიკა - 3471

7344 ფოტოგრაფები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ფოტოგრაფები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ამჟღავნებენ და ბეჭდავენ ფოტო- ფირებს სურათებისა და სლაიდების დამზადების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შავ-თეთრი და ფერადი ფირებისა და ფირფიტების გამჟღავნება ნეგატივებისა და ნათელი პოზიტივების მიღების მიზნით;
2. შავ-თეთრი და ფერადი ფოტოების დაბეჭდვა;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ფოტოლენტების დამამზადებელი, ფირის გამჟღავნება/ფერადი ფოტოგრაფია
- გამმჟღავნებელი, ფირი/ფერადი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, ფირის გამჟღავნება - 8224

7345 მკინძავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

მკინძავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები კინძავენ წიგნებს და ასრულებენ სხვა საამკინძაო სამუშაოებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ჟურნალებისა და წიგნების აკინძვა ხელით;
2. საამკინძაო მანქანების აწყობა და გამოყენება;
3. ნახატების ან სათაურების ტვიფრვა წიგნებზე ხელით ან მანქანის საშუალებით;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ამკინძავი
- მტვიფრავი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, წიგნის აკინძვა - 8252

7346 აბრეშუმგრაფიის, ქსილოგრაფიისა და ქსოვილების მეტრაფარეტეები

აბრეშუმგრაფიის, ქსილოგრაფიისა და ქსოვილების მეტრაფარეტეები ჭრიან მრუდთარგებს ტრაფარეტული ბეჭდვისათვის, ასევე ფურცლებზე, ლითონზე, ტექსტილზე და სხვა მასალებზე რეზინის, ხისა და სხვა მასალების ტრაფარეტების გადასატანად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მრუდთარგების გამოჭრა ტრაფარეტული ბეჭდვისათვის;
2. ტრაფარეტული ბეჭდვა ფურცელზე, ლითონზე, ტექსტილზე და სხვა მასალებზე აბრეშუმგრაფიის მეთოდით;
3. ნახატებისა და სხვადასხვა მოხატულობის ბეჭდვა ტანსაცმელზე და შპალერზე საგრავიორო მანქანის გამოყენებით;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გამომჭრელი, ფორმა/ტრაფარეტი
- მბეჭდავი, ქსილოგრაფია
- მბეჭდავი, აბრეშუმგრაფია
- მბეჭდავი, ქსოვილზე

ქვეჯგუფი 74

მრეწველობის სხვა კვალიფიციური მუშები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

მრეწველობის სხვა კვალიფიციური მუშები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ეწევიან სასოფლო-სამეურნეო და მეთევზეობის პროდუქტების დამუშავებასა და გადამუშავებას, აწარმოებენ და არემონტებენ ხის, ტექსტილის, ბეწვის, ტყავის ან სხვა მასალებისაგან დამზადებულ საქონელს.

სამუშაო ხორციელდება ხელით ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით, რომლებიც გამოიყენება იმისთვის, რათა გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი და შემცირდეს ფიზიკური დატვირთვის ოდენობა და დრო, რომელიც საჭიროა კონკრეტული სამუშაოების შესასრულებელად. ამოცანები გულისხმობს გამოსაყენებელი მასალებისა და ხელსაწყოების, აგრეთვე წარმოების პროცესის ყველა ეტაპის, მათ შორის საბოლოო პროდუქციის თვისებებისა და გამოყენების შესაძლო სფეროების ცოდნას.

ამ ქვეჯგუფი მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ხორცის, თევზის, მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის, თამბაქოსა და სხვა მსგავსი მასალების დამუშავება და გადამუშავება და საკვები პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოება; საკვები პროდუქტებისა და სასმელების დეგუსტაცია და ხარისხის დადგენა; ნატურალური ბოჭკოებისა და ტყავის დამუშავება და გადამუშავება; ავეჯისა და სხვა ხის ნაკეთობების დამზადება და რესტავრირება; ტყავისა და მერქნის მომზადება შემდგომი გამოყენებისათვის; ტექსტილის, ტანსაცმლის, ქუდების, ფეხსაცმლებისა და სხვა მსგავსი ნაწარმის დამზადება და შეკეთება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

741 საკვები პროდუქტების მწარმოებელი და მონათესავე პროფესიების მუშაკები

742 ხის დამამუშავებლები, მეავეჯეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

743 ფეიქრები, მკერავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

744 ტყავისა და ბეწვის მწარმოებელი და ფეხსაცმლის დამამზადებელი მუშაკები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას.

მცირე ჯგუფი 741

საკვები პროდუქტების მწარმოებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

საკვები პროდუქტების მწარმოებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები კლავენ პირუტყვს, იჭერენ თევზებს, ამუშავებენ და ამზადებენ მათ და ასევე სხვა მსგავს საკვებ პროდუქტებს ადამიანებისა და ცხოველებისათვის, ამზადებენ სხვადასხვა სახეობის პურს, ნამცხვრებსა და სხვა საკონდიტრო ნაწარმს, დეგუსტაციას უკეთებენ და ადგენენ სხვადასხვა საკვები პროდუქტებისა და სასმელების ხარისხს ან ამზადებენ და აწარმოებენ თამბაქოს და თამბაქოს სხვა პროდუქტებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: პირუტყვის დაკვლა; თევზის დაჭერა; ხორცისა და თევზის პროდუქტების დამუშავება და მათგან სხვა საკვები პროდუქტების მომზადება; სხვადასხვა სახეობის პურის, ნამცხვრებისა და სხვა საკონდიტრო ნაწარმის დამზადება; ხილის, ბოსტნეულისა და სხვა მსგავსი პროდუქტების დამუშავება და დაკონსერვება; სხვადასხვა საკვები პროდუქტებისა და სასმელების დეგუსტაცია და ხარისხის დადგენა; თამბაქოს და თამბაქოს პროდუქტების დამზადება და წარმოება. შესაძლებელია ამ ფუნქციება მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7411 ხორცის, თევზისა და მსგავსი კვების პროდუქტების მწარმოებელი მუშაკები

7412 მცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები

7413 რძის პროდუქტების დამამზადებლები

7414 ხილის, ბოსტნეულისა და მსგავსი პროდუქტების დამკონსერვებლები

7415 კვების პროდუქტებისა და სასმელების დეგუსტატორები და დამხარისხებლები

7416 თამბაქოს დამამზადებლები და თამბაქოს პროდუქციის მწარმოებლები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას.

7411 ხორცის, თევზისა და მსგავსი კვების პროდუქტების მწარმოებელი მუშაკები

ხორცის, თევზისა და მსგავსი კვების პროდუქტების მწარმოებელი მუშაკები კლავენ პირუტყვს, იჭერენ თევზს, ასუფთავებენ, ჭრიან და ამუშავებენ ხორცს, თევზის პროდუქტებს და ამზადებენ სხვა მსგავს საკვებ პროდუქტებს, აკონსერვებენ ხორცს, თევზის პროდუქტებს და საკვებ მასალებს ან ინახავენ საკვებ პროდუქტებს გამშრალი, დამარილებული ან შებოლილი სახით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ცხოველების კვლა და თევზის ჭერა;
2. დაკლული ცხოველების გატყავება და გამოშიგვნა;
3. ხორცისა და თევზის პროდუქტების დაჭრა და დამუშავება გასაყიდად ან შემდეგი დამუშავებისათვის;
4. ინგრედიენტების მომზადება და ძეხვის ან სხვა მსგავსი პროდუქტების დამზადება მარტივი მოწყობილობის, საკეპი, სარევი და საპრესი მანქანების გამოყენებით;
5. ხორცის, თევზის პროდუქტებისა და სხვა საკვები პროდუქტების დაკონსერვება;
6. შესაბოლი მოწყობილობებისა და ღუმელების გამოყენება ხორცის, თევზის პროდუქტებისა და სხვა მსგავსი საკვები პროდუქტების შესაბოლად;
7. ხორცის, თევზის პროდუქტების და საკვები მასალების მოხარშვა ან სხვა თბური დამუშავება გაყიდვისათვის მოსამზადებლად;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ყასაბი
- თევზით მოვაჭრე

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, ხორცის დამუშავება - 8271
- მოწყობილობის ოპერატორი, თევზის პროდუქტების დამუშავება - 8271

7412 მცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები

მცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები აცხობენ სხვადასხვა სახეობის პურს, ნამცხვრებსა და სხვა საკონდიტრო პროდუქტებს, ასევე ამზადებენ შოკოლადებს ცალობით და სხვა ტკბილეულს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. პურის, ნამცხვრების, ბისკვიტების, ღვეზელებისა და სხვა საკონდიტრო ნაწარმის გამოცხობა;
2. ტკბილეულის დამზადება შაქრის, შოკოლადისა და სხვა ინგრედიენტებისაგან სხვადასხვა ხელსაწყოებისა და მანქანების გამოყენებით;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მცხობელი
- კონდიტერი
- დამამზადებელი, შოკოლადი
- ტკბილეულის დამამზადებელი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მზარეული - 5122
- მოწყობილობის ოპერატორი, პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი - 8274
- მოწყობილობის ოპერატორი, პურის ცხობა - 8274
- მოწყობილობის ოპერატორი, შოკოლადის წარმოება - 8274

7413 რძის პროდუქტების დამამზადებლები

რძის პროდუქტების დამამზადებლები აწარმოებენ კარაქს, სხვადასხვა სახეობის ყველს, ნაღებს ან რძის სხვა პროდუქტებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. რძის მოხარშვა, რძისგან ნაღების განცალკევება, ნაღების დღვება და კარაქის დამზადება;
2. რძის აჭრა და ხაჭოს გაცხელება სასურველ სიმკვრივემდე, მიღებული შედედებული მასის გაწურვა და საბოლოოდ ყველის მოთავსება სპეციალურ ფორმებში, რათა დაიპრესოს და მიიღოს სასურველი ფორმა;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამამზადებელი, კარაქი
- დამამზადებელი, ყველი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, რძის პროდუქტები - 8272
- მოწყობილობის ოპერატორი, რძის გადამუშავება - 8272

7414 ხილის, ბოსტნეულისა და მსგავსი პროდუქტების დამკონსერვებლები

ხილის, ბოსტნეულისა და მსგავსი პროდუქტების დამკონსერვებლები ამუშავებენ და აკონსერვებენ ხილს, კაკალს და სხვა მსგავს საკვებ პროდუქტებს სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის ხარშვით, გამოშრობით, დამარილებით ან წვენისა და ზეთის გამოწურვით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. წვენის დამზადება სხვადასხვა ხილისაგან;
2. ზეთისშემცველი თესლებისგან, თხილისგან ან ხილისგან ზეთის გამოწურვა;
3. ხილის, ბოსტნეულისა და სხვა ანალოგიური პროდუქტების ხარშვა, დამარილება და გამოშრობა;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ზეთის მხდელი
- კონსერვის დამამზადებელი, ხილი
- კონსერვის დამამზადებელი, ბოსტნეული

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მოწყობილობის ოპერატორი, დაკონსერვება/ხილი - 8275
- მოწყობილობის ოპერატორი, დაკონსერვება/ბოსტნეული - 8275

7415 საკვები პროდუქტებისა და სასმელების დეგუსტატორები და დამხარისხებლები

საკვები პროდუქტებისა და სასმელების დეგუსტატორები და დამხარისხებლები ათვალიერებენ, დეგუსტაციას უკეთებენ და აფასებენ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, საკვები პროდუქტებისა და სასმელების ხარისხს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. წარმოების სხვადასხვა ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, საკვები პროდუქტებისა და სასმელების დათვალიერება, შემოწმება და დეგუსტირება, რათა მიენიჭოს ხარისხი და შესაბამისი კლასი;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამხარისხებელი, საკვები პროდუქტები
- დეგუსტატორი, საკვები პროდუქტები
- დეგუსტატორი, ლიქიორები
- დეგუსტატორი, ღვინო

7416 თამბაქოს დამამზადებლები და თამბაქოს პროდუქციის მწარმოებლები

თამბაქოს დამამზადებლები და თამბაქოს პროდუქციის მწარმოებლები ამზადებენ თამბაქოს ფურცლებს და აწარმოებენ სხვადასხვა სახის თამბაქოს პროდუქტებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ფერმენტირებული თამბაქოს დახარისხება და განაწილება სახეობის, ხარისხის და მოყვანის ადგილის მიხედვით;
2. მოსამზადებელი რეცეპტის მიხედვით თამბაქოს ფურცლების შერევა განსაკუთრებული არომატის პროდუქტის მიღების მიზნით;
3. ვაკუუმიანი კონტეინერის გამოყენება თამბაქოს დანოტივებისათვის შემდგომი დამუშავების მიზნით;
4. თამბაქოს ფურცლებისათვის ღეროებისა და ყუნწების მოცლა და თამბაქოს დაჭრა;
5. სიგარების, სიგარეტების, ბურნუთის და თამბაქოს სხვა პროდუქტების დამზადება ხელით ან მარტივი მოწყობილობის მანქანების გამოყენებით;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამხარისხებელი, თამბაქო
- დამამზადებელი, სიგარა
- დამამზადებელი, სიგარეტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, სიგარა - 8279
- მოწყობილობის ოპერატორი, სიგარეტი - 8279

მცირე ჯგუფი 742

ხის დამამუშავებლები, მეავეჯეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ხის დამამუშავებლები, მეავეჯეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ამუშავებენ ხეს და ხის მასალებს, ამზადებენ და რესტავრაციას უკეთებენ ხის ავეჯს, ხის ნაკეთობებს, შაბლონებსა და მოდელებს ხელსაწყოების ან ხის დამამუშავებელი დაზგების გამოყენებით; ხის დამამუშავებელი დაზგების აწყობა და გამოყენება, მოწნული ავეჯისა და სხვა მსგავსი ნაკეთობების დამზადება, ხის ნაკეთობებისა და მისი ნაწილების დამზადება და შეკეთება.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ხის დამუშავება; ხის ავეჯის დამზადება, მოჩუქურთმება და შეკეთება; ხის ტრანსპორტის, ხის მოდელების, შაბლონებისა და ისეთი ნაკეთობების დამზადება, მოჩუქურთმება და შეკეთება, როგორიცაა ჩიბუხები, თხილამურები, ფეხსაცმლები ან სპორტული ინვენტარი; ხის დამამუშავებელი დაზგების აწყობა და გამოყენება ხის დასახერხად, დასაჭრელად და მოსაჩუქურთმებლად.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7421 ხის დამამუშავებლები

7422 მეავეჯეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7423 ხის დამამუშავებელი დაზგების ამწყობები და ოპერატორები

7424 კალათის მწვნელები, ჯაგრისების დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარების და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას.

7421 ხის დამამუშავებლები

ხის დამამუშავებლები აშრობენ და ამუშავებენ ხეს სხვადასხვა მეთოდებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ორთქლის ღუმელების გამოყენება ხის გამოსაშრობად;
2. ხის დამუშავება ქიმიური ნივთიერებებით დალპობისგან ან მწერებისგან დაცვის მიზნით;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ხის გამომშრობი
- ხის დამამუშავებელი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, დამუშავება/ხე - 8141

7422 მეავეჯეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

მეავეჯეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, ხელსაწყოების ან ხის დამამუშავებელი დაზგების გამოყენებით, ამზადებენ, აჩუქურთმებენ და რესტავრაციას უკეთებენ ხის ავეჯს, თვლებს და სატრანსპორტო საშუალებების ხის სხვა ნაწილებს, ასევე ხის ნაკეთობებს, შაბლონებს, მოდელებს და სხვა ისეთ ნაკეთობებს, როგორიცაა მილები, ხის თხილამურები, ფეხსაცმელები, სპორტული ჩოგნები და ჯოხები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ხის ნაკეთობების, მათ შორის კაბინეტის და სხვა ავეჯის დამზადება და შეკეთება ხელსაწყოების ან ხის დამამუშავებელი დაზგების გამოყენებით;
2. ხის სატრანსპორტო საშუალებების, თვლების ან სხვა ნაწილების დამზადება და შეკეთება;
3. ხის ნაკეთობების, მათ შორის შაბლონების, მოდელების, მაკეტების, კასრების, ჩიბუხების, ხის თხილამურების, ფეხსაცმელების ან სპორტული ჩოგნებისა და ჯოხების დამზადება და შეკეთება;
4. ავეჯისა და სხვადასხვა ნაკეთობების მოჩუქურთმება ფიგურების ამოტვიფრით, მოფანერება;
5. ხის ნაკეთობების ან ავეჯის ზედაპირების გაპრიალება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეავეჯე
- ეტლის დამამზადებელი
- თვლების დამამზადებელი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ხურო - 7124
- დურგალი - 7124
- მოწყობილობის ოპერატორი, ავეჯის წარმოება - 8240

7423 ხის დამამუშავებელი დაზგების ამწყობები და ოპერატორები

ხის დამამუშავებელი დაზგების ამწყობები და ოპერატორები აწყობენ და მართავენ ხის დამამუშავებელ დაზგებს, როგორიცაა ხის პრეციზიული სახერხი, საჭრელი, საბურღი, სარანდი და სატვიფრი დაზგები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სხვადასხვა სახის დაზგების აწყობა და რეგულირება, რომლებიც ოპერატორების მიერ იმართება;
2. ერთი ან რამდენიმე სახის ხის დამამუშავებელი დაზგის აწყობა და რეგულირება;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მხერხავი, ხის პრეციზიული დამუშავება
- ამწყობი, ხის დამამუშავებელი დაზგა
- ამწყობი-ოპერატორი, ხის დამამუშავებელი დაზგა
- ხარატი, ხე

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მოწყობილობის ოპერატორი, ხის დამუშავება - 8240
- ამწყობი-ოპერატორი, ლითონის დამამუშავებელი დაზგა - 7223

7424 კალათის მწვნელები, ჯაგრისების დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

კალათის მწვნელები, ჯაგრისების დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ამზადებენ მოწნულ ავეჯს, ჯაგრისებს, ცოცხებს და ნაქსოვ კალათებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწნული ავეჯის დამზადება გასხეპილი და დარბილებული წნულებით, ლერწმით, კორპით, ტირიფის წნელებითა და სხვა მსგავსი მასალებით;
2. სხვადასხვა სახის კალათების დამზადება ტირიფის წნელებით, ლერწმით, კორპით ან სხვა მსგავსი მასალებით;
3. ჯაგრისების დასამზადებელი მასალების შერჩევა და მომზადება, რომელშიც შედის ჯაგარი, ნეილონი, ბოჭკოები და მავთულები;
4. ისეთი მასალების შერჩევა და მომზადება, როგორიცაა ცოცხი, ქორჭილა, ქილვაშიანი ბოჭკოები ჯაგრისების დამზადების მიზნით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამამზადებელი, კალათა
- დამამზადებელი, ჯაგრისი
- დამამზადებელი, ავეჯი/მოწნული

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ხელოსანი, ხის ნაკეთობები - 7331
- მოწყობილობის ოპერატორი, ხის დამუშავება - 8240

მცირე ჯგუფი 743

ფეიქრები, მკერავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ფეიქრები, მკერავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ამზადებენ ნატურალური ტექსტილის ბოჭკოებს, ნართებსა და ძაფებს, ამზადებენ ბოჭკოებს დართვით, დაწვნით და სხვა საშუალებებით, ამზადებენ და აკერებენ ტანსაცმლებს და ტექსტილის სხვა პროდუქციას, ასევე ბეწვეულს, ან აკრავენ ავეჯს ზედაპირებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ნატურალური ტექსტილის ბოჭკოების მომზადება, ძაფებისა და ნართების დართვა, გაორკეცება, გადახვევა და დაგრეხა; ბოჭკოების დამზადება დართვით, დაწვნით და სხვა საშუალებებით; ტანსაცმლის შეკერვა; მზა ტანსაცმლის წარმოების პროცესში მონაწილეობა; ბეწვის ნაწარმის დამზადება, გადაკეთება და შეკეთება; ნიმუშების მომზადება, ტექსტილისა და სხვა მსგავსი მასალების მომზადება და დაჭრა; ტექსტილის და სხვა მსგავსი მასალების შეკერვა ხელით ან ხელით სამართავი მანქანებით; ავეჯზე ზედაპირის გადაკვრა და მატრასების დამზადება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7431 ბოჭკოს დამამზადებელი მუშაკები

7432 ფეიქრები, დამრთველები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7433 ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის მკერავები და მექუდეები

7434 ბეწვის ტანსაცმლის დამამზადებელი ოსტატები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7435 ტექსტილის, ტყავისა და სხვა მსგავსი მასალებისაგან მრუდთარგების დამამზადებლები და გამომჭრელები

7436 მკერავები, მქარგავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

7437 ავეჯის გადამკვრელები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას.

7431 ბოჭკოს დამამზადებელი მუშაკები

ბოჭკოს დამამზადებელი მუშაკები ამზადებენ შალის, ბამბის, სელის, ჯუთის, ლაფნისა და სხვა ნატურალური ტექსტილის ბოჭკოებს დასართველად და გადასახვევად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ნატურალური ტექსტილის ბოჭკოების შეფასება და დახარისხება;
2. შალის ნართის გარეცხვა;
3. ტექსტილის ბოჭკოების გასუფთავება და ჩეჩვა;
4. ბოჭკოების გადახვევა და შეკვრა;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მჩეჩავი, ბოჭკო/ტექსტილი
- მხვეველი, ბოჭკო/ტექსტილი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, დამხვევი/ტექსტილის ბოჭკო - 8261

7432 ფეიქრები, დამრთველები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ფეიქრები, დამრთველები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ართავენ და ქსოვენ ძაფებს ხელით ან ხელის დაზგებით, ქსოვენ ხალიჩებს ხელით, ქსოვენ ტანსაცმლის ბოჭკოებს ხელით ან ხელით საქსოვი მანქანით ან ასრულებენ სხვა მსგავს სამუშაოებს ხელით ან ხელით საქსოვი მანქანების გამოყენებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ძაფების ხელით დართვა და ქსოვა;
2. ძაფების დართვა ხელით სართავი მანქანის გამოყენებით;
3. ფერადი და არაფერადი ქსოვილების, დეკორატიული ქსოვილების, მაქმანების, ხალიჩების ან სხვა ქსოვილების ქსოვა საქსოვი დაზგის საშუალებით;
4. ხალიჩების ქსოვა ხელით ნასკვების საშუალებებით;
5. ტანსაცმლის ან სხვა ნაკეთობების ქსოვა ხელით ან ხელით საქსოვი მანქანის გამოყენებით;
6. კაუჭით ქარგვა ან ხელით მოწვნა;
7. ბადეების მოწვნა ხელით;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მქსოველი
- დამრთველი, ძაფი და ნართი
- მქსოველი, საქსოვი მანქანა
- მქსოველი, ხალიჩა
- მქსოველი, ქსოვილი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- დამამზადებელი, ტექსტილი - 7332
- მოწყობილობის ოპერატორი, საქსოვი - 8262
- მოწყობილობის ოპერატორი, საფეიქრო -8262

7433 ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის მკერავები და მექუდეები

ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის მკერავები და მექუდეები კერავენ პიჯაკებს, კაბებსა და სხვა ჩასაცმელს ტექსტილის ბოჭკოების, ტყავის ან სხვა მასალების გამოყენებით, გარდა ბეწვისა, აწარმოებენ გადაკეთებას და აკერებენ ტანსაცმელს, კერავენ ქუდებს ან მონაწილეობენ მზა ტანსაცმლის წარმოებაში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. პალტოების, პიჯაკების, პერანგების, ქვედატანების, საცვლების, კორსეტებისა და სხვა მსგავსი ტანსაცმლის წარმოება ჩვეულებრივ კლიენტების ინდივიდუალური შეკვეთით;
2. მზა ტანსაცმლის კერვის პროცესში მონაწილეობა;
3. თავსაბურავების დამზადება;

4. ტანსაცმლის გადაკეთება და განახლება;
5. თეატრებში, ტელევიზიებსა და კინოსტუდიებში გამოსაყენებელი კოსტიუმების კერვა და მოვლა;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მკერავი [ქალი]
- მკერავი [ქალი]

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- დამამზადებელი, ტექსტილი -7332
- მოწყობილობის ოპერატორი, კერვა -8263

7434 ბეწვის ტანსაცმლის დამამზადებელი ოსტატები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ბეწვის ტანსაცმლის დამამზადებელი ოსტატები და მონათესავე პროფესიების მუშაკები კერავენ ბეწვეულისგან დამზადებულ ტანსაცმელსა და სხვა ნაკეთობებს, ეწევიან მათ გადაკეთებას, შეკეთებასა და გაახლებას ან მონაწილეობენ ბეწვის მზა ტანსაცმლის წარმოებაში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ბეწვის ამორჩევა, გადაჭიმვა და ტანსაცმლისა და სხვა ნაკეთობების ბეწვით გაფორმება შერჩეული თარგის მიხედვით;
2. პალტოების, ქურთუკებისა და ბეწვის სხვა ტანსაცმლის წარმოება;
3. მონაწილეობა ბეწვის მზა ტანსაცმლის კერვაში;
4. ტყავისა და ბეწვის ძველი ტანსაცმლის აღდგენა, შიდა მხრიდან ქსოვილების გამოკვრა და დაზიანებული ადგილების შემოჭრა;
5. ბეწვის ტანსაცმლისა და სხვა ნაკეთობების გადაკეთება, გაახლება და შეკეთება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ბეწვის გამომყვანი <ჭონი>

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, კერვა/ბეწვეული -8263

7435 ტექსტილის, ტყავისა და სხვა მსგავსი მასალებისაგან მრუდთარგების დამამზადებლები და გამომჭრელები

ტექსტილის, ტყავისა და სხვა მსგავსი მასალებისაგან მრუდთარგების დამამზადებლები და გამომჭრელები ამზადებენ თარგებს, ზომავენ და ჭრიან ტექსტილს, ტყავსა და სხვა მასალებს ტანსაცმლის, ხელთათმანების და სხვადასხვა ნაწარმის დამზადების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. თარგების გამოჭრა პიჯაკების, კაბების, ქვედატანების, პერანგების, ბლუზების, ხელთათმანების, ქუდების, კეპებისა და სხვა ტანსაცმლის წარმოების მიზნით;
2. ქსოვილზე, ტყავზე ან სხვა მასალებზე თარგების გადაღება შემდგომი დაჭრის მიზნით;
3. თარგების მიხედვით მასალების დაჭრა ტანსაცმლის, ხელთათმანებისა და სხვა მსგავსი ნაწარმის დამზადების მიზნით;
4. თარგების აღება, აზომვა და დაჭრა სხვა ნაკეთობების დასამზადებლად, როგორიცაა ტანსაცმლის დეტალები დეკორატიული ქსოვილისაგან, ნაწარმი ბრეზენტისაგან და ქოლგები;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გამომჭრელი, ტანსაცმელი
- გამომჭრელი, ხელთათმანი
- თარგის ამღები, ბეწვი
- თარგის ამღები, ტანსაცმელი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, თარგის ამღები/ტექსტილი - 8269

<u>7436 მკერავები, მქარგავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები</u>

მკერავები, მქარგავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები კერავენ, არემონტებენ და დეკორატიულად აწყობენ ტანსაცმელს, ხელთათმანებსა და ტექსტილის, ტყავისა და სხვა მასალების ნაწარმს ხელით ან მარტივი მოწყობილობის საკერავი მანქანებით, ასევე ასრულებენ სხვა მსგავს სამუშაოებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კერვასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სამუშაოების შესრულება, რომელიც უკავშირდება ტექსტილის, ტყავისა და სხვა მასალების ნაწარმის დამზადებას, გადაკეთებასა და შეკეთებას;
2. ტანსაცმელზე, ტექსტილის, ტყავისა და სხვა მასალისგან დამზადებულ ნაწარმზე დეკორატიული ფიგურების ამოქარგვა;
3. აფრების, კარვების, ტენტებისა და სხვა მსგავსი ნაწარმის კერვა;
4. ქოლგების აწყობა და გადაკვრა;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მქარგველი
- დამამზადებელი, ქოლგა
- მკერავი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- კაბების მკერავი - 7433
- დამამზადებელი-მუშა, ტექსტილი - 7332
- მოწყობილობის ოპერატორი, კერვა - 8263

7437 ავეჯის გადამკვრელები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ავეჯის გადამკვრელები და მონათესავე პროფესიების მუშაკები აკრავენ ტექსტილსა და სხვა მასალებს ავეჯზე, ამზადებენ მატრასებს ან ამზადებენ და აწყობენ ინტერიერის დეკორაციებს ტექსტილის, ტყავისა და სხვა მსგავსი მასალებისაგან.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ზამბარებისა და სხვადასხვა მოწყობილობების დამონტაჟება, დაჭიმვა და დამაგრება, სხვადასხვა მასალების გადაკვრა ავეჯზე;
2. ბალიშებისა და რბილი საფენების გადაკვრა და დამონტაჟება სკამებსა და ავტომანქანების, სარკინიგზო ვაგონებისა და თვითმფრინავების სხვა ნაწილებზე;
3. მატრასების დამზადება;
4. ტექსტილის, ტყავისა და სხვა მსგავსი მასალებისაგან დამზადებული ინტერიერის საგნების მორგება და დაყენება;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამამზადებელი, მატრასების
- გადამკვრელი, ავეჯი
- გადამკვრელი, სატრანსპორტო საშუალება

მცირე ჯგუფი 744

ტყავისა და ბეწვის მწარმოებელი და ფეხსაცმლის დამამზადებელი მუშაკები

ტყავისა და ბეწვის მწარმოებელი და ფეხსაცმლის დამამზადებელი მუშაკები ამუშავებენ ბეწვიან და მატყლიან ტყავებს შემდგომი გამოყენების მიზნით, ამზადებენ ტყავს, ამზადებენ და არემონტებენ ფეხსაცმლებს, ნატურალური ან სინთეტიკური ტყავისაგან დამზადებულ ნაწარმს, გარდა ტანსაცმლის, ქუდებისა და ხელთათმანებისა, ან ტყავისა და სხვა მასალებისაგან ამზადებენ სხვადასხვა ნაკეთობებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ხელით ან სხვა მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით ბეწვიანი და მატყლიანი ტყავების მომზადება ტანსაცმლისა და სხვა ნაწარმის დასამზადებლად; ტყავის დამზადება; ფეხსაცმლის ან ტყავისა და სხვა მასალებისაგან დამზადებული სხვა ნაწარმის დამზადება და შეკეთება ტანსაცმლის, ქუდებისა და ხელთათმანების გარდა. შესასძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

7441 ტყავისა და ბეწვის დამამუშავებლები და გამომყვანები

7442 ფეხსაცმლისა და მსგავსი ნაწარმის მწარმოებელი მუშები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 8 - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად ითვალისწინებს მექანიზმების ამუშავებისა და კონტროლის ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას.

7441 ტყავისა და ბეწვის დამამუშავებლები და გამომყვანები

ტყავისა და ბეწვიანი ტყავის მთრიმლავები და გამომყვანები ამზადებენ ბეწვიან და მატყლიან ტყავებს ტანსაცმლისა და სხვა ნაწარმის დასამზადებლად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტყავისა და ბეწვიანი ტყავის დახარისხება ხარისხისა და კლასის მიხედვით;
2. ბეწვიანი ტყავის გასუფთავება ხორცისა და ცხიმისაგან;
3. ტყავის გასუფთავება თმისა და ხორცისაგან;
4. ტყავის გასუფთავება გრძელი, უხეში თმისაგან ან თმის შეკრეჭა ძირამდე;
5. ტყავის მახვილი ბოლოების დამუშავება სპეციალური მანქანის გამოყენებით;
6. ბეწვიანი ტყავის დამუშავება სუფთა ტყავის მისაღებად;
7. ბეწვიანი ტყავის ღებვა;
8. საღებავებისა და სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენება ტყავის შესაღებად;
9. ტყავის გაჭიმვა და დასწორება;
10. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
11. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ტყავის გამომყვანი
- დამხარისხებელი, ტყავი
- მთრიმლავი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, თრიმვლა - 8265

7442 ფეხსაცმლისა და მსგავსი ნაწარმის მწარმოებელი მუშები

ფეხსაცმლისა და მსგავსი ნაწარმის მწარმოებელი მუშაკები კერავენ და არემონტებენ სტანდარტულ ან სპეციალურ ფეხსაცმელს და ტყავის ტანსაცმლის, ქუდებისა და ხელთათმანების გარდა ამზადებენ ნატურალური ან სინთეტიკური ტყავის ნაკეთობებს, როგორიცაა ჩემოდნები, ჩანთები და ქამრები, ან მონაწილეობენ ფეხსაცმლისა და სხვა მსგავსი საქონლის წარმოების პროცესში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. თარგების აღება ფეხსაცმლის ნაწილების გამოსაჭრელად;
2. ფეხსაცმლის ნაწილების გამოჭრა, მომზადება და ერთად აწყობა საბოლოო შედეგის მისაღებად;
3. ფეხსაცმლის ნაწილების გადაკერება;
4. სტანდარტული ან ორთოპედიული ფეხსაცმლის დამზადება ინდივიდუალური შეკვეთით;
5. სხვა სახის ფეხსაცმლის დამზადება სპეციალური შეკვეთით;
6. ფეხსაცმლის ხარისხის შემოწმება და მოპირკეთება;
7. ფეხსაცმლების შეკეთება;
8. ისეთი ნაკეთობების დამზადება და შეკეთება, როგორიცაა ცხოველების უნაგირი და აღკაზმულობა, სამგზავრო ჩემოდნები, ჩანთები, ხელის ჩემოდნები, ტყავის ხელჩანთები და სხვა აქსესუარები;
9. ტყავის ნაკეთობების დასამზადებლად ქვესადების გამოჭრა და მიმაგრება;
10. ტყავის ნაწილების დაკერება და დაგვირისტება ხელით ან მანქანის საშუალებით;

11. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
12. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეწაღე
- მეუნაგირე
- ფეხსაცმლის მკერავი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მოწყობილობის ოპერატორი, ფეხსაცმლის წამოება - 8266

ძირითადი ჯგუფი 8

სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები

სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები მართავენ და აკონტროლებენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მოწყობილობებს, უშუალოდ ადგილზე ან დისტანციური მართვის საშუალებით, მართავენ მატარებლებს, ავტომანქანებს, მოძრავ მოწყობილობებსა და მექანიზმებს, ან აწყობენ პროდუქციას ნაწილებისაგან წესებისა და პროცედურების მკაცრი დაცვით.

სამუშაო ძირითადად მოითხოვს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობების მართვის ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე მოითხოვს მანქანის რიტმში მუშაობის ცოდნას და ტექნიკურ ნოვაციებთან ადაპტირებას. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის II დონე.

სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებისა და ამწყობების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სამთო და სხვა სამრეწველო მანქანებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ლითონის, მინერალების, მინის, კერამიკის, ხის, ქაღალდის ან ქიმიური ნივთიერებების დასამუშავებლად, ასევე ელექტროენერგიის წარმომქმნელი მოწყობილობებისა და სხვა მსგავსი მექანიზმების ამუშავება და გაკონტროლება; მანქანებისა და მოწყობილობების ამუშავება და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ლითონის, მინერალების, კერამიკის, რეზინის, პლასტმასის, ხის, ქაღალდის, ტექსტილის, ბეწვის ან ტყავის ნაკეთობების, ასევე საკვებისა და სხვა პროდუქტების საწარმოებლად; საბეჭდი და საამკინძაო მანქანების ამუშავება; მატარებლებისა და ავტომანქანების მართვა; მოძრავი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობების მართვა და კონტროლი; პროდუქციის აწყობა ნაწილებისაგან წესებისა და პროცედურების მკაცრი დაცვით. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

81 სამრეწველო დანადგარების ოპერატორები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

82 სტაციონარული მანქანების ოპერატორები და ზეინკალ-ამწყობები

83 მძღოლები და მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

ქვეჯგუფი 81

სამრეწველო დანადგარების ოპერატორები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

სამრეწველო დანადგარების ოპერატორები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ამუშავებენ და აკონტროლებენ, უშუალოდ ადგილზე ან დისტანციური მართვის საშუალებით, სამრეწველო მოწყობილობებს ლითონის, მინერალების, მინისა და კერამიკის დამუშავების ან ელექტროენერგიის წარმოქმნის მიზნით, ასევე მართავენ ავტომატიზებულ და ნახევრად ავტომატიზებულ აგრეგატებსა და სამრეწველო რობიტებს.

სამუშაო ძირითადად მოითხოვს სამრეწველო მანქანებისა და მოწყობილობების მართვის ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე მოითხოვს მანქანის რიტმში მუშაობის ცოდნას და ტექნიკურ ნოვაციებთან ადაპტირებას.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სამრეწველო მანქანებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ლითონის, მინერალების,

კერამიკის, რეზინის, პლასტმასის, ხის, ქაღალდის, ტექსტილის, ბეწვის ან ტყავის დასამუშავებლად, ელექტროენერგიის წარმოსაქმნელად ან სხვა მიზნებისათვის; ავტომატიზირებული და ნახევრად ავტომატიზირებული აგრეგატებისა და სამრეწველო რობოტების მართვა და გაკონტროლება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

811 სამთომოპოვებითი და სამთოგამამდიდრებელი დანადგარების ოპერატორები

812 ლითონის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

813 მინის, კერამიკისა და მსგავსი დანადგარების ოპერატორები

814 ხის დამამუშავებელი და ქაღალდის საწარმოებელი დანადგარების ოპერატორები

815 ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

816 ელექტროენერგიის მწარმოებელი და ანალოგიური მოწყობილობების ოპერატორები

817 ავტომატიზებული საამწყობო ხაზებისა და სამრეწველო რობოტების ოპერატორები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

მცირე ჯგუფი 811

სამთომოპოვებითი და სამთოგამამდიდრებელი დანადგარების ოპერატორები

სამთომოპოვებითი და სამთოგამამდიდრებელი დანადგარების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება მაღაროებში არხების გასაჭრელად, ქვებისა და მინერალების დასამუშავებლად, ან ჭების გასაბურღად და გასათხრელად.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მანქანებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება მაღაროებში და კარიერებზე სანგრევი შპურების გასაჭრელად ან ხვრელების გასაბურღად; მანქანებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ქვებისა და მინერალების დასამუშავებლად, ასევე ჭების გასაბურღად და გასათხრელად. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8111 სამთო მოწყობილობებისა და მანქანების ოპერატორები

8112 მადნისა და ქვის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

8113 ჭაბურღილებისა და ჭების მბურღავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8111 სამთო მოწყობილობებისა და მანქანების ოპერატორები

სამთო მოწყობილობებისა და მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებსა და მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება შახტასა და კარიერებზე შპურების გასაჭრელად და ასაფეთქებელი ხვრელების გასაბურღად, ან მართავენ სამთომომპოვებელ მექანიზმებს, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მანქანებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება შახტასა და კარიერებზე არხების გასაჭრელად და ასაფეთქებელი ხვრელების გასაბურღად;
2. უწყვეტ რეჟიმში მომუშავე სამთომომპოვებელი მექანიზმების მართვა და გაკონტროლება;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, საყელავი მანქანა/შახტა
- მოწყობილობის ოპერატორი, საბურღი მოწყობილობა/შახტა
- მოწყობილობის ოპერატორი, სამთომოწყობილობა/უწყვეტ რეჟიმში მუშაობა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მეშახტე - 7111
- კარიერის მუშა - 7111
- ამფეთქებელი - 7112

8112 მადნისა და ქვის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

მადნისა და ქვის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებსა და მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება ქვისა და მინერალების დასამუშავებლად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება მინერალებისა და ქვის ლოდების დასამსხვრევად და სასურველ ზომაზე დასაჭრელად;
2. სარეცხი, დამხარისხებელი, საწური, მფილტრავი და შემრევი მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება მინერალების გასარეცხად და ნარჩენი მასალების მოსაშორებლად;
3. მადნის დამუშავება სხვადასხვა ხსნარებით შემდგომი დამუშავების გაადვილების მიზნით;
4. მადნის გაცალკევება ლითონების, კონცენტრატებისა და ნარჩენებისაგან გასქელებით, ფლოტაციით, გრავიტაციით, ფილტრაციით ან მაგნიტური და ელექტროსტატიკური ველის გამოყენებით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ფლოტატორი, მინერალები
- მოწყობილობის ოპერატორი, დამსხვრევა/მინერალები
- მეწისქვილე, დაფქვა/მინერალები
- მოწყობილობის ოპერატორი, ქვის დამუშავება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ქვის მტეხელი - 7113
- მსხვრეველი, ქვა - 7113

8113 ჭაბურღილებისა და ჭების მბურღავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ჭაბურღილებისა და ჭების მბურღავები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ამონტაჟებენ და მართავენ საბურღ მანქანებსა და მოწყობილობებს და ასრულებენ სხვა მსგავს სამუშაოებს ჭების გასათხრელად და ასამუშავებლად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. დერიკ-ამწეებისა და საბურღი ტუმბოების მომზადება და გამოყენება მილების ტრანსპორტირებისათვის;
2. მბრუნავი და დასარტყამი მანქანებისა და მოწყობილობების გამოყენება ნავთობისა და გაზის ჭების გასაბურღად;
3. ნავთობისა და გაზის ჭების გასუფთავება, მომსახურება და სატუმბი შტანგის, მბრუნავი მილებისა და ტიუბინგების შეცვლა;
4. საბურღი მექანიზმებისა და მოწყობილობების დამონტაჟება და გამოყენება ჭების გასაბურღად, ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების გარდა;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, საბურღი მოწყობილობა/ჭაბურღილი
- ოპერატორი, დერიკ-ამწე/ნავთობისა და გაზის ჭაბურღილი

მცირე ჯგუფი 812

ლითონის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

ლითონის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ ღუმელების მუშაობას, რომლებიც გამოიყენება ლითონის გასადნობად და დასამუშავებლად, ასევე მართავენ გამწმენდ ღუმელებს, საგლინავ ჩარხებს, ლითონის თერმულად დამამუშავებელ და საპრეს მექანიზმებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ლითონის გასადნობი, გასალღობი, გამწმენდი, გადასამუშავებელი ან გასაცხელებელი ღუმელების, ასევე ლითონის საგლინი, საპრესი ან საჩარხი დანადგარების მართვა და გაკონტროლება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8121 მადნისა და ლითონის ღუმელების ოპერატორები

8122 მდნობელები, ჩამომსხმელები და მგლინავები

8123 ლითონის თბური დამუშავების დანადგარების ოპერატორები

8124 ლითონის ამდიდავები და ექსტრუდერები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8121 მადნისა და ლითონის ღუმელების ოპერატორები

მადნისა და ლითონის ღუმელების ოპერატორები ამუშავებენ და აკონტროლებენ ლითონის სადნობ, გადასამუშავებელ და მფილტრავ ღუმელებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ბრძმედის მართვა და გაკონტროლება, რომელიც გამოიყენება ლითონის გასადნობად შავი და ფერადი ლოთონის წარმოების მიზნით;
2. გადასამუშავებელი და მფილტრავი ღუმელების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება თუჯისა და მსხვრევადი ლითონის გადასამუშავებლად და გასაფილტრად ფოლადის წარმოების მიზნით;
3. გადასამუშავებელი და გამწმენდი ღუმელების მართვა და გაკონტროლება ფერადი ლითონის წარმოების მიზნით;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ღუმელის ოპერატორი, კონვერტერული დნობა/ფერადი ლითონები
- ღუმელის ოპერატორი, რაფინირება/რკინა (მარტენის ღუმელი)
- ღუმელის ოპერატორი, დნობა/ლითონი (საბრძმედი ღუმელი)

8122 მდნობელები, ჩამომსხმელები და მგლინავები

მდნობელები, ჩამომსხმელები და მგლინავები ამუშვებენ და აკონტროლებენ საგლინ დგანებს ლითონის საგლინად, ამუშავებენ ღუმელებს ლითონის სადნობად ან ხელმეორედ გასაცხელებლად, ან მართავენ მანქანებს ლითონის დასაყალიბებლად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შავი და ფერადი ლითონების სადნობი ღუმელების მართვა და გაკონტროლება;
2. ლითონის სადნობი ღუმელების მართვა და გაკონტროლება, შემდგომ დაყალიბების, წნეხვის, გლინვისა და დამუშავების მიზნით;
3. საგლინი დგანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ცხელი ან ცივი გლინვის ან ნაგლინის შემდგომი დამუშავების მიზნით;
4. საგლინი დგანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ცხლად ან ცივად ფერადი ლითონებისათვის ფორმის მისაცემად და დაყალიბების მიზნით;
5. საგლინი დგანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება უნაკერო მილების საწარმოებლად;
6. გამდნარი ლითონის ჩასხმა ყალიბებში, სამსხმელო მანქანების მართვა და კონტროლი;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ღუმელის ოპერატორი, სადნობი/ლითონები

- მანქანის ოპერატორი, სხმული/ლითონი
- ოპერატორი, საგლინი დგანი/ფერადი ლითონი

8123 ლითონის თბური დამუშავების დანადგარების ოპერატორები

ლითონის თბური დამუშავების დანადგარების ოპერატორები ამუშავებენ და აკონტროლებენ მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება ლითონის საგნების გარეგანი ზედაპირების გადასაკეთებლად გაცხელების, გაცივებისა და ქიმიური დამუშავების საშუალებით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ღუმელების მართვა და გაკონტროლება, ლითონის საგნების გასაცხელებლად და გასაცივებლად შიდა დაჭიმულობის შემცირების, პლასტიკურობის აღდგენისა და გრანულებიანი სტრუქტურების გაუმჯობესების მიზნით;
2. ფოლადის ნაკეთობების გამოსაწრთობი ღუმელების მართვა და გაკონტროლება;
3. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რკინის ნაკეთობის მაგარი და უხეში ზედაპირებისა და მოქნილი გულარის მისანიჭებლად ქიმიური საშუალებების, ცხელი და ცივი ადიდვის და გამოწრთობის საშუალებით;
4. ღუმელების მართვა და გაკონტროლება, ფოლადის მყარი ნაკეთობების ხელახლა გასაცხელებლად შიდა დაჭიმულობის შემცირებისა და სიმტკიცის მინიჭების მიზნით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ლითონის მომწველი
- ღუმელის ოპერატორი, გამოწრთობა/ლითონი
- ღუმელის ოპერატორი, გაცხელება/ლითონი

8124 ლითონის ამდიდავები და ექსტრუდერები

ლითონის ამდიდავები და ექსტრუდერები ამუშავებენ და აკონტროლებენ მექანიზმებსა და მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება ლითონების გასაჭიმად და ექსტრუდირებისათვის მავთულების, მილებისა და სხვა მსგავსი პროდუქციის წარმოების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მავთულის გასაჭიმი მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება;
2. უნაკერო ლითონის მილების საწარმოებელი მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება;
3. საექსტრუდერო-საშტამპი მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება ლითონის ძელების, ძელაკებისა და უნაკერო მილების წარმოების მიზნით;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, ადიდვა/მავთული
- მოწყობილობის ოპერატორი, ექსტრუდირება/ლითონი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ამდიდავი, მავთული - 7221

მცირე ჯგუფი 813

მინის, კერამიკისა და მსგავსი დანადგარების ოპერატორები

მინის, კერამიკისა და მსგავსი დანადგარების ოპერატორები ამუშავებენ და აკონტროლებენ ღუმელებსა და სხვა მსგავს მოწყობილობებსა და მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება მინისა და კერამიკის პროდუქციის საწარმოებლად.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ღუმელებისა და სხვა მსგავსი მექანიზმებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება მინისა და კერამიკის პროდუქციის საწარმოებლად. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8131 მინისა და კერამიკის გამოსაწვავი ღუმელებისა და სხვა მსგავსი დანადგარების ოპერატორები

8139 მინის, კერამიკისა და მსგავსი დანადგარების ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8131 მინისა და კერამიკის გამოსაწვავი ღუმელებისა და სხვა მსგავსი დანადგარების ოპერატორები

მინისა და კერამიკის გამოსაწვავი ღუმელებისა და სხვა მსგავსი დანადგარების ოპერატორები ამუშავებენ და აკონტროლებენ გამოსაწვავ ღუმელებსა და სხვა მსგავს მექანიზმებსა და მოწყობილობებს მინის, კერამიკის, ფაიფურის ან აგურის საწარმოებლად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მინის სადნობი ღუმელების მართვა და გაკონტროლება;
2. მინის გამოსაწვავი ღუმელების მართვა და გაკონტროლება, შიდა დაჭიმულობის შესამცირებლად ან მოსახსნელად;
3. ღუმელების მართვა და გაკონტროლება, მინის დასამუშავებლად და გასამაგრებლად;
4. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, მინის ნაკეთობების გასაბერად ან დასაპრესად;
5. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, დამდნარი მინის გასაჭიმად ან საგლინად უწყვეტი ფურცლოვანი მინის წარმოების მიზნით;
6. ფლოატ-მინის საწარმოებელი მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება;
7. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, სარკისებრი მინის გასახეხად და გასაპრიალებლად;
8. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, დამდნარი მინისაგან ძელებისა და მილების საწარმოებლად გაჭიმვით ან გაბერვით;
9. გამოსაწვავი ღუმელების მართვა და გაკონტროლება, თიხისა და ფაიფურის ნაკეთობების გამოსაწვავად ან მოჭიქული და დეკორატიული ნაკეთობების დასამზადებლად;
10. გამოსაწვავი ღუმელების მართვა და გაკონტროლება, აგურისა და კრამიტის გამოსაწვავად;
11. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
12. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, მინის პროდუქცია

- ღუმელის ოპერატორი, აგური და ფილა
- ღუმელის ოპერატორი, თიხა და ფაიფური
- მოწყობილობის ოპერატორი, გაბერვა/მინა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მბერავი, მინა - 7322
- მჭრელი, მინა - 7322
- დამყალიბებელი, აგური და ფილა - 7321

8139 მინის, კერამიკისა და მსგავსი დანადგარების ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან მინისა და კერამიკის დასამუშავებელი მოწყობილობის ოპერატორები, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფის 813 - მინის, კერამიკისა და მსგავსი დანადგარების ოპერატორები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგალითად, ისეთი პროფესიები, რომელთა მოვალეობაში შედის მექანიზმებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება ინგრედიენტების ასარევად მინის წარმოების მიზნით, ან თიხის, მოჭიქული და აბრაზიული ნაკეთობების დასამზადებლად, ან ბოჭკოვანი მინისა და მინაძაფების საწარმოებლად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, ინგრედიენტების ასარევად მინის წარმოების მიზნით;
2. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, თიხის, კერამიკისა და აგურის ნაკეთობების წარმოების მიზნით;
3. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, მოჭიქული და აბრაზული ნაკეთობების საწარმოებლად;
4. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, ბოჭკოვანი მინისა და მინაძაფების საწარმოებლად;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, არევა/თიხა
- მოწყობილობის ოპერატორი, არევა/მინა

მცირე ჯგუფი 814

ხის დამამუშავებელი და ქაღალდის საწარმოებელი დანადგარების ოპერატორები

ხის დამამუშავებელი და ქაღალდის საწარმოებელი დანადგარების ოპერატორები ამუშავებენ და აკონტროლებენ მანქანებსა და მოწყობილობებს, რომლებიც ხერხავენ, ჭრიან და ფქვავენ ხეს შემდგომი დამუშავებისათვის, აქცევენ ხესა და სხვა მასალებს ქაღალდის მასად, რომლისგანაც შემდგომ ამზადებენ ქაღალდს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მანქანებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება ხის დამუშავებისა და მისი შემდგომი გამოყენების მიზნით, ხისა და სხვა მასალების გარდაქმნა ქაღალდის მასად და შემდგომ ქაღალდის წარმოება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8141 ხის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

8142 ქაღალდის მასის დამამზადებელი დანადგარების ოპერატორები

8143 ქაღალდის დამამზადებელი დანადგარების ოპერატორები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8141 ხის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

ხის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მექანიზმებსა და მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება ხის დასახერხად, ერთფენიანი ფანერის დასაჭრელად და მრავალფენიანი ფანერის დასამზადებლად, ასევე ხის სხვა სახით დასამუშავებლად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მორების ჩასატვირთი და გადასაზიდი მოწყობილობების საკონვეიერო სისტემების მართვა და გაკონტროლება;
2. ლენტისებრი სახერხი ჩარხებისა და მრავალპირიანი სახერხების მართვა და გაკონტროლება, მორების, ძელების, ფიცრების, ყუაფიცრის დასახერხად და დახერხილი მორებისათვის ნაშურის შემოსაჭრელად;
3. მორების დასაჭრელი მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება;
4. შრეებიანი მრავალფენიანი ფანერებისა და ცხელი პრესვით ფანერების დამამზადებელი მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, ლენტისებრი ხერხვა
- ოპერატორი, ხე-ტყის სახერხი
- ოპერატორი, ხის დამამუშავებელი მოწყობილობა
- საპრესი მოწყობილობის ოპერატორი, ფანერი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ხის სეზონურად დამამუშავებელი მუშა - 7421
- ხის დამამუშავებელი - 7421

8142 ქაღალდის მასის დამამზადებელი დანადგარების ოპერატორები

ქაღალდის მასის დამამზადებელი დანადგარების ოპერატორები ამუშავებენ და აკონტროლებენ მექანიზმებსა და მოწყობილობებს, რომლებიც ამუშავებენ ხეს, ესპარტოს, ჩალას, საქაღალდე ნარჩენებსა და მაკულატურას, რომლისგანაც შემდგომ ამზადებენ ქაღალდს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საკეპი ჩარხებისა და საფქვავი მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება მორებისგან საქაღალდე მასის წარმოება;
2. ავტოკლავების მართვა და გაკონტროლება, ხისგან, ესპარტოსგან, ჩალისაგან, საქაღალდე ნარჩენებისა და მაკულატურისაგან ქაღალდის მასის საწარმოებლად;
3. მექანიზმების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც ათეთრებენ ხის მასას, ესპარტოს, ჩალას, საქაღალდე ნარჩენებსა და მაკულატურას;
4. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც ურევენ და ფქვავენ ქაღალდის მასას და სხვა ინგრედიენტებს მასალების მომზადებისა და შემდგომ ქაღალდის წარმოების მიზნით;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, დაფქვა/ხე
- ოპერატორი, საკეპი ჩარხი/ქაღალდის მასა
- ოპერატორი, ქაღალდის მასის დამამზადებელი მოწყობილობა

8143 ქაღალდის დამამზადებელი დანადგარების ოპერატორები

ქაღალდის დამამზადებელი დანადგარების ოპერატორები ამუშავებენ და აკონტროლებენ მექანიზმებსა და მოწყობილობებს, რომლებიც აწარმოებენ ქაღალდს, მუყაოსა და ფურცლოვან ცელულოზას საქაღალდე მასისაგან.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ქაღალდის დასამზადებელი მექანიზმებისა და მოწყობილობების იმ სექტორის მართვა და გაკონტროლება, რომელშიც სველი მასა გარდაიქმნება ქაღალდად, ან რომლებშიც ხდება ქაღალდის გაშრობა, კალანდვრა, დაჭრა და აკინძვა;
2. სუპერკალანდრის მართვა და გაკონტროლება, ქაღალდის ზედაპირის გასაპრიალებლად და მოსასწორებლად;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, ქაღალდის დასამზადებელი მოწყობილობა
- ოპერატორი, სუპერკალანდრი

მცირე ჯგუფი 815

ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები

ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მექანიზმებსა და მოწყობილობებს, რომლებიც გადაამუშავებენ ქიმიურ ნედლეულსა და სხვა მსგავს მასალებს სასურველი თვისებების მქონე პროდუქციის მიღების მიზნით.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მექანიზმებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ქიმიური ნედლეულის დამუშავებისათვის დაფქვით, გაცხელებით, არევით, დისტილაციითა და ფილტრაციით სასურველი თვისებების მქონე პროდუქციის მიღების მიზნით, ასევე

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასამუშავებლად. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8151 ქიმიკატების სამსხვრევი, საფქვავი და შესარევი დანადგარების ოპერატორები

8152 ქიმიკატების თერმული დამუშავების დანადგარების ოპერატორები

8153 ქიმიკატების საფილტრავი მოწყობილობებისა და სეპარატორების ოპერატორები

8154 ქიმიკატების გამოსახდელი მოწყობილობებისა და რეაქტორების ოპერატორები (გარდა ნავთობისა და ბუნებრივი აირისა)

8155 ნავთობისა და ბუნებრივი აირის საწმენდი მოწყობილობების ოპერატორები

8159 ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8151 ქიმიკატების სამსხვრევი, საფქვავი და შესარევი დანადგარების ოპერატორები

ქიმიკატების სამსხვრევი, საფქვავი და შესარევი დანადგარების ოპერატორები ამუშავებენ და აკონტროლებენ მოწყობილობებს, რომლებიც ამსხვრევენ, ფქვავენ და ურევენ ქიმიურ ნედლეულსა და სხვა მასალებს, რომლებიც შემდგომ გამოიყენება ქიმიური და სხვა პროცესებისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საფქვავი და სამსხვრევი მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც ამუშავებენ მყარ ქიმიურ ნედლეულსა და სხვა მსგავს მასალებს შემდგომი გადამუშავებისათვის;
2. მექანიზმების მართვა და გაკონტროლება, რომლებშიც ხდება მყარი და თხევადი მასალების შერევა და დაფქვა ქიმიურ და სხვა მსგავს პროცესებში გამოსაყენებლად;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, დამსხვრევა/ქიმიური და მსგავსი პროცესები
- მოწყობილობის ოპერატორი, ცემენტი/ქიმიური და მსგავსი პროცესები
- ოპერატორი, საწვავი მოწყობილობა/ქიმიური და მსგავსი პროცესები

8152 ქიმიკატების თერმული დამუშავების დანადგარების ოპერატორები

ქიმიკატების თერმული დამუშავების დანადგარების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მექანიზმებსა და მოწყობილობებს, რომლებიც აცხელებენ, წვავენ და უზრუნველყოფენ სხვა თერმული სახით დამუშავებას ქიმიურ პროცესებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მექანიზმებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება მასალების გაცხელება გამოშრობის მიზნით და მათთვის სასურველი თვისებების მისანიჭებლად ან მათში ქიმიური ცვლილებების მოსახდენად;
2. გამოსაწვავი ღუმელების ან სხვა მსგავსი მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ნივთიერებების გაცხელება მათი გაშრობის, სასურველი თვისებების მინიჭებისა და მათში ქიმიური ცვლილებების მოხდენის მიზნით;
3. საშრობი მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება ქიმიური ნედლეულისა და სხვა მსგავსი მასალების დამუშავების მიზნით;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გამოსაწვავი ღუმელის ოპერატორი, ქიმიური ნედლეული და სხვა მსგავსი მასალები
- ოპერატორი, ცემენტის საწარმოებელი მოწყობილობა
- ოპერატორი, გამოსაწვავი მოწყობილობა/ქიმიური ნედლეული და სხვა მსავსი მასალები

8153 ქიმიკატების საფილტრავი მოწყობილობებისა და სეპარატორების ოპერატორები

ქიმიკატების საფილტრავი მოწყობილობებისა და სეპარატორების ოპერატორები ამუშავებენ და აკონტროლებენ მექანიზმებსა და მოწყობილობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ქიმიური ნედლეულისა და სხვა მსგავსი მასალების გაფილტვრა და სეპარაცია.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომელშიც ხდება ხსნარების გაფილტვრა პრესვის საშუალებით;
2. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომელშიც ხდება ხსნარების გატარება მბრუნავ ცილინდრზე მიმაგრებულ ვაკუუმიან საფილტრ საშუალებებში;
3. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომელშიც ხდება ნივთიერებების სეპარაცია ცენტრიდანული ძალის საშუალებით;
4. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომელშიც ხდება ნედლი ნავთობისაგან ნალექისა და წყლის განცალკევება;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, სეპარატორი/ქიმიური ნედლეული და სხვა მსგავსი პროცესები
- ოპერატორი, დასამუშავებელი მოწყობილობა/ნედლი ნავთობი
- საფილტრ-საპრესი მოწყობილობის ოპერატორი, ქიმიური ნედლეული და სხვა მსგავსი მასალები

8154 ქიმიკატების გამოსახდელი მოწყობილობებისა და რეაქტორების ოპერატორები (გარდა ნავთობისა და ბუნებრივი აირისა)

ქიმიკატების გამოსახდელი მოწყობილობებისა და რეაქტორების ოპერატორები (გარდა ნავთობისა და ბუნებრივი აირისა) მართავენ და აკონტროლებენ მოწყობილობებს, რომელშიც ხდება ქიმიური ნედლეულის დისტილაცია და რაფინირება, გარდა ნავთობისა.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომელშიც ხდება თხევადი ქიმიური ნივთიერებების რაფინირება ან სეპარაცია;
2. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს ქიმიურ ოპერაციებს;
3. ასაორთქლებელი აპარატების, ვაკუუმიანი აპარატების ან სხვა მსგავსი მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება ხსნარებისა და სუსპენზიების კონცენტრაციის მიზნით;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, კონვერტერი/ქიმიური პროცესები (ნავთობისა და ბუნებრივი აირის გარდა)
- ოპერატორი, რეაქტორი/ქიმიური პროცესები (ნავთობისა და ბუნებრივი აირის გარდა)
- ოპერატორი, გამოსახდელი მოწყობილობა/სკიპიდარი

8155 ნავთობისა და ბუნებრივი აირის გამწმენდი მოწყობილობის ოპერატორები

ნავთობისა და ბუნებრივი აირის გამწმენდი მოწყობილობის ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მექანიზმებს, რომლის საშუალებითაც ხდება ნავთობის, ნავთობპროდუქტების, თანამდე პროდუქტების ან ბუნებრივი აირის რაფინირება, დისტილაცია და გადამუშავება.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მექანიზმის მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და თანამდე პროდუქტებისგან გოგირდის სეპარაცია;
2. ტუმბოების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც ახდენენ ნავთობის, წყლისა და ქიმიური ნარევების ცირკულირებას გამწმენდ საწარმოებში;
3. სახდელი მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებშიც ხდება ნავთობ- პროდუქტების დისტილაცია ან რაფინირება;
4. მექანიზმების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ნავთობის, ქიმიური ნივთიერებებისა და სხვა დანამატების შერევა;
5. მექანიზმების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ბუნებრივი აირის რაფინირება და სხვა სახით დამუშავება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, შემრევი მოწყობილობა/ნავთობისა და ბუნებრივი აირის რაფინირება (ეთილენი)
- ოპერატორი, პარაფინის საწარმოებელი მოწყობილობა
- ოპერატორი, გამოსახდელი მოწყობილობა/ნავთობისა და ბუნებრივი აირის რაფინირება

8159 ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი მექანიზმების ოპერატორები, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფის 815 - ქიმიური ნედლეულის დამამუშავებელი დანადგარების ოპერატორები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგალითად, ისეთი პროფესიები, რომელთა მოვალეობაა მექანიზმებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ქიმიური ნარევების დამუშავება მათეთრებელი რეაქტივებით, კოქსის ან გაზის წარმოება ქვანახშირისგან, ბუნებრივი ან სინთეტიკური პოლიმერების ექსტრუდირება და გარდაქმნა სინთეტიკურ ბოჭკოებად, სასუქების ან რადიოაქტიური ნივთიერებების დამზადება და წარმოება.

ასეთ შემთხვევაში მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება ქიმიური ნარევების დამუშავება მათეთრებელი რეაქტივებით;
2. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება ქვანახშირისაგან კოქსისა და გაზის წარმოება;
3. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება ნატურალური და სინთეტიკური პოლიმერების ექსტრუდირება და გარდაქმნა სინთეტიკურ ბოჭკოებად;
4. სასუქების საწარმოებელი მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება;
5. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება მადნებიდან რადიოაქტიური ნივთიერებების ამოღება და სეპარაცია, ან მსგავსი ნივთიერებების გადამუშავება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, კოქსის დამამუშავებელი მოწყობილობა
- ოპერატორი, სასუქების საწარმოებელი მოწყობილობა
- ოპერატორი, სინთეტიკური ბოჭკოს საწარმოებელი მოწყობილობა

მცირე ჯგუფი 816

ელექტროენერგიის მწარმოებელი და სხვა მსგავსი მოწყობილობების ოპერატორები

ელექტროენერგიის მწარმოებელი და სხვა მსგავსი მოწყობილობების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მექანიზმებსა და მოწყობილობებს ელექტროსადგურებში; მართავენ წყლის დამამუშავებელ მექანიზმებს, მაღალი ტემპერატურის ღუმელებსა და სხვა მსგავს მოწყობილობებს, მართავენ და ტექნიკურ მომსახურებას უწევენ გემების და სხვა ტიპის ორთქლის ტურბინებს, ასევე ქვაბებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ელექტროენერგიის წარმომქმნელი მექანიზმებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება; ორთქლის ტურბინების, ქვაბების, სტაციონარული მექანიზმებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, როგორიცაა მაღალტემპერატურული ღუმელები ან წყლის დამამუშავებელი მოწყობილობები და სატუმბი სადგურები. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8161 ენერგიის მწარმოებელი დანადგარების ოპერატორები

8162 ორთქლის ძრავებისა და ქვაბების ოპერატორები

8163 მაღალტემპერატურული ღუმელების, წყლის დამამუშავებელი მსგავსი მოწყობილობების ოპერატორები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8161 ენერგიის მწარმოებელი დანადგარების ოპერატორები

ენერგიის მწარმოებელი დანადგარების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მექანიზმებსა და მოწყობილობებს, რომლის საშუალებითაც ხდება ელექტრო ან სხვა სახის ენერგიის წარმოქმნა და განაწილება.

მათ მოვალეობებში შედის:

1. თბოენერგიის წარმომქმნელი მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც მუშაობენ ნახშირზე, დიზელზე ან ბუნებრივ აირზე;
2. ბირთვული ენერგიის წარმომქმნელი მექანიზმების მართვა და გაკონტროლება;
3. ჰიდროელექტროსადგურების მართვა და გაკონტროლება;
4. სხვა სახის ენერგიის წარმომქმნელი მექანიზმების მართვა და გაკონტროლება, რომელშიც შედის მზის, მოქცევის, გეოთერმული ან ქარის ენერგია:
5. გამომუშავებული ენერგის გაკონტროლება და ელექტროსადგურებში წარმოქმნილი ელექტროენერგიის განაწილება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, ელექტროენერგიის წარმომქმნელი მექანიზმები
- ოპერატორი, ჰიდროენერგიის წარმომქმნელი მექანიზმები
- ოპერატორი, ბირთვული ენერგიის წარმომქმნელი მექანიზმები
- ოპერატორი, მზის ენერგიის წარმომქმნელი მექანიზმები

8162 ორთქლის ძრავებისა და ქვაბების ოპერატორები

ორთქლის ძრავებისა და ქვაბების ოპერატორები ამუშავებენ და აკონტროლებენ ორთქლის ტურბინებისა და ქვაბების მუშაობას, მათ შორის გემებზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ნახშირზე და დიზელზე მომუშავე ორთქლის ტურბინებისა და ქვაბების მართვა და გაკონტროლება, როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაში;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, ორთქლის ქვაბი/გემი
- ოპერატორი, ორთქლის ტურბინა

8163 მაღალტემპერატურული ღუმელების, წყლის დამამუშავებელი მსგავსი მოწყობილობების ოპერატორები

მაღალტემპერატურული ღუმელების, წყლის დამამუშავებელი მსგავსი მოწყობილობების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ სხვადასხვა სახის მექანიზმებს, როგორიცაა მაღალტემპერატურული ღუმელები, წყლის დამამუშავებელი მექნიზმები, გაზისა და ჰაერის კომპრესორები, სატუმბი სადგურები, მაცივებელი ან გათბობის, ასევე სავენტილაციო სისტემები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მაღალტემპერატურული მექანიზმებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება ნაგავის ან სხვა ნარჩენების წვა;
2. მექანიზმებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება წყლის გაწმენდა და გასუფთავება დასალევად ან საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის.
3. ჰაერისა და გაზის კომპრესორების მართვა და გაკონტროლება;
4. სატუმბი სადგურების მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება სითხეების, ნახევრადსითხეების, გაზისა და ფხვიერი მასალების ტრანსპორტირება ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე;
5. მაცივებელი სისტემების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება საწყობში სასურველი ტემპერატურის შესაქმნელად წარმოების პროცესისათვის ან სხვა მიზნით;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, მაღალტემპერატურული ღუმელი/ნარჩენები
- ოპერატორი, სატუმბი სადგური/წყალი
- ოპერატორი, წყლის გამწმენდი მოწყობილობა

მცირე ჯგუფი 817

ავტომატიზირებული საამწყობო ხაზებისა და სამრეწველო რობოტების ოპერატორები

ავტომატიზირებული საამწყობო ხაზებისა და სამრეწველო რობოტების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ ავტომატიზირებულ ან ნახევრად ავტომატიზირებულ აგრეგატებს, ასევე სამრეწველი რობოტებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ავტომატიზირებული ან ნახევრად ავტომატიზირებული აგრეგატების, ასევე სამრეწველი რობოტების მართვა და გაკონტროლება.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8171 ავტომატიზირებული საამწყობო ხაზების ოპერატორები

8172 სამრეწველო რობოტების ოპერატორები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8171 ავტომატიზირებული საამწყობო ხაზების ოპერატორები

ავტომატიზირებული საამწყობო ხაზების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ ავტომატიზირებულ ან ნახევრად ავტომატიზირებულ აგრეგატებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ავტომატიზირებული ან ნახევრად ავტომატიზირებული აგრეგატების მართვა და გაკონტროლება;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, აგრეგატი/ავტომატიზირებული

8172 სამრეწველო რობოტების ოპერატორები

სამრეწველო რობოტების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ სამრეწველო რობოტების მუშაობას და ასრულებენ სხვა მასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამრეწველო რობოტების მართვა და გაკონტროლება;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, რობოტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- კონტროლიორი, რობოტი - 3123

ქვეჯგუფი 82

სტაციონარული მანქანების ოპერატორები და ზეინკალ-ამწყობები

სტაციონარული მანქანების ოპერატორები და ზეინკალ-ამწყობები მართავენ და აკონტროლებენ სამრეწველო მექანიზმებს ადგილზე ან დისტანციური მართვის საშუალებით, ან აწყობენ პროდუქციას მაკომპლექტებელი ნაწილებისაგან დადგენილი პროცედურებისა და წესების მკაცრი დაცვით.

სამუშაო ძირითადად მოითხოვს სამრეწველო მოწყობილობებისა და მექანიზმების მართვის ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე მოითხოვს მანქანის ტემპით მუშაობის ცოდნას და ტექნიკურ ნოვაციებთან ადაპტირებას.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მექანიზმების მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება ლითონის, მინერალური მასალების, ქიმიური ნივთიერებების, რეზინის, პლასტმასის, ხის, ქაღალდის, ტექსტილის, ტყავისა და ბეწვის, ასევე საკვები და სხვა პროდუქტების წარმოება; საბეჭდი და საამკინძაო დაზგების მართვა; შესაფუთი და მარკირების მოწყობილობების მართვა; პროდუქციის აწყობა კომპონენტებისაგან პროცედურებისა და წესების მკაცრი დაცვით. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

821 ლითონისა და მინერალური ნედლეულის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

822 **ქიმიური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები**

823 **რეზინისა და პლასტიკატის პროდუქციის გადამამუშავებელი მანქანების ოპერატორები**

824 **ხის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები**

825 **საბეჭდი, საამკინძაო და ქაღალდის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები**

826 **ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები**

827 **კვების და მსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები**

828 **ამწყობები**

829 **სხვა მანქანების ოპერატორები და ამწყობები**

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

მცირე ჯგუფი 821

ლითონისა და მინერალური ნედლეულის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

ლითონისა და მინერალური ნედლეულის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ ლითონის დასამუშავებელ მექანიზმებს ან მოწყობილობებს, რომლის საშუალებითაც ხდება პროდუქციის წარმოება ძირითადად არალითონური მინერალური მასალებისაგან.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ლითონის დამამუშავებელი მექანიზმების მართვა და გაკონტროლება, როგორიცაა სახარატო ჩარხები, ელექტროსაჭრელი მანქანები, ასევე საბურღი, სახეხი და სახერხი დაზგები, ან ისეთი მექანიზმების მართვა, რომელთა საშუალებითაც ხდება თხევადი ბეტონისა და ქვის ნაკეთობების ექსტრუდირება, დაყალიბება, არევა, დაქუცმაცება და დაჭრა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8211 **ჩარხების ოპერატორები**

8212 **ცემენტისა და სხვა მინერალური მასალების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები**

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8211 ჩარხების ოპერატორები

ჩარხების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ ავტომატიზირებულ ან ნახევრად-ავტომატიზირებულ ლითონის დამამუშავებელ მექანიზმებს, რომლითაც ხორციელდება მრავალჯერადი სამუშაოები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ერთი ან რამდენიმე მექანიზმის მართვა და გაკონტროლება, როგორიცაა სახარატო ჩარხები, ელექტროსაჭრელი მანქანები, ლითონის მოსაღუნი, სამსხვრევი, საფხეკი, საბურღი, სახვრეტი, სახეხი, სალესი ან სახერხი ჩარხები, რომლებიც შესაძლებელია დაპროგრამდეს ან მიუერთდეს ავტომატურად სამართავ მექანიზმებს;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- სახარატო ჩარხის ოპერატორი, ბრუნვა/ლითონის დამუშავება
- მოწყობილობის ოპერატორი, ბურღვა/ლითონი
- მოწყობილობის ოპერატორი, ლითონის საჭრელი ხელსაწყო

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ამწყობი, ხელსაწყო - 7223
- ამწყობი-ოპერატორი, ხელსაწყო - 7223

<u>8212 ცემენტისა და სხვა მინერალური მასალების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები</u>

ცემენტისა და სხვა მინერალური მასალების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ საექსტრუდერო, დასაყალიბებელ, ამრევ, სახეხ და საჭრელ დაზგებს, რომლის საშუალებითაც ხდება თხევადი ბეტონის პროდუქტების წარმოება და ქვის პროდუქტების გაპრიალება, ან ქვის დაყალიბება სამშენებლო მიზნებისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საექსტრუდერო, დასაყალიბებელი, ამრევი, სახეხი და საჭრელი დაზგების მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება თხევადი ბეტონის პროდუქტების წარმოება და ქვის პროდუქტების გაპრიალება, როგორიცაა მოსაპირკეთებელი ქვის ფილები, შემოსაღობი ბოძები, მილების მოხრილი სეგმენტები, ფასადებისა და შიდა ინტერიერის ფილები, სამშენებლო კონსტრუქციების ელემენტები, საკაბელო მილები, საკანალიზაციო და სავენტილაციო მილები;
2. მექანიზმების მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება სილის, ხრეშის, ცემენტისა და წყლის არევა ბეტონის წარმოების მიზნით;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, ბეტონის პროდუქცია
- მოწყობილობის ოპერატორი, ქვის პროდუქცია

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- გამოსაწვავი ღუმელის ოპერატორი - 8152
- მოწყობილობის ოპერატორი, ქვის დამუშავება - 8112

მცირე ჯგუფი 822

ქიმიური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

ქიმიური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სხვადასხვა ქიმიური და სხვა ინგრედიენტების დამუშავება ფარმაცევტული პრეპარატების, პარფიუმერიის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, ფოტოგრაფიული ან სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების მიზნით, ასევე ლითონის ნაკეთობების გასაპრიალებლად, მოსავარაყებლად და შესაღებად.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მექანიზმების მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება ქიმიური პროდუქციისა და სხვა მასალების გაფილტვრა, ფერმენტირება, არევა, დანამატების შერევა და სხვაგვარად დამუშავება მათთვის სასურველი თვისებების მინიჭების მიზნით; მექანიზმების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ლითონის პროდუქტების გასაპრიალებლად და ლითონის დამცავი ფენით დასაფარად. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ხედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8221 ფარმაცევტული და პარფიუმერული პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8222 საბრძოლო და ასაფეთქებელი მასალების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8223 გასაპრიალებელი, მეტალიზაციისა და ლითონზე დამცავი ფენის დასადები დანადგარების ოპერატორები

8224 ფოტოგრაფიული პროდუქციის დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8229 ქიმიური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8221 ფარმაცევტული და პარფიუმერული პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

ფარმაცევტული და პარფიუმერული პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მოწყობილობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებისა და სხვა ინგრედიენტების დამუშავება ფარმაცევტული და პარფიუმერული პროდუქტების წარმოების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მექანიზმებისა და მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება მასალების გაფილტვრა, ფერმენტირება, გაცხელება, არევა, დაფქვა, ასევე პაკეტების გავსება და ჰერმეტული შეფუთვა ფარმაცევტული და პარფიუმერული პროდუქციის, გამწმენდი საშუალებებისა და სხვა მსგავსი პროდუქტებისათვის;
2. ოპერაციის ტემპერატურის, წნევის, ნაკადისა და სიჩქარის მუდმივი კონტროლი;
3. მოწყობილობების გაწმენდა და დეზინფექცია;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, გამწმენდი საშუალებები
- მოწყობილობის ოპერატორი, ფარმაცევტული პროდუქტი
- მოწყობილობის ოპერატორი, პარფიუმერული პროდუქტი

8222 საბრძოლო და ასაფეთქებელი მასალების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

საბრძოლო და ასაფეთქებელი მასალების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მოწყობილობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებისა და სხვა ინგრედიენტების დამუშავება საბრძოლო მასალებისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ქიმიური ნივთიერებების არევა, დანამატების შერევა და სხვაგვარი დამუშავება ისეთი ასაფეთქებელი ნივთიერებების წაროების მიზნით, როგორიცაა ნიტროცელულოზა, გელიგნიტი და სხვადასხვა სახის პროპელენტები;
2. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ასაფეთქებელი მასალების დამზადება ასაფეთქებელი და პიროტექნიკური საშუალებებისათვის;
3. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ჭურვების, ბომბების, რაკეტების, ნაღმების და სხვა მსგავსი მოწყობილობების აწყობა და დატენვა;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, საბრძოლო მასალები
- მოწყობილობის ოპერატორი, ასაფეთქებელი ნივთიერებები
- მოწყობილობის ოპერატორი, ასანთის წარმოება

8223 გასაპრიალებელი, მეტალიზაციისა და ლითონზე დამცავი ფენის დასადები დანადგარების ოპერატორები

გასაპრიალებელი, მეტალიზაციისა და ლითონზე დამცავი ფენის დასადები დანადგარების ოპერატორები ამუშავებენ და აკონტროლებენ მოწყობილობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ლითონის ნაკეთობების გაპრიალება, მეტალიზაცია და ლითონის დამცავი ფენის დადება დაჟანგვისა და გაცვეთის თავიდან აცილების მიზნით, ასევე დეკორატიული მიზნებისათვის, ან ელექტრული ან მაგნიტური თვისებების მინიჭების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ლითონის ნაკეთობების გაწმენდა და მომზდება გალვანიზაციის, ემალიზაციისა და სხვა მსგავსი პროცესებისათვის;
2. საგალვანიზაციო მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება;
3. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება რკინისა და ფოლადის მეტალიზაცია ცხელი ჩაძირვის მეთოდით;
4. ავტომატური მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება მავთულის ზედაპირის დაფარვა ფერადი ლითონის თხელი ფენით;

5. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება თხევადი ლითონისა და სხვა ნივთიერებების შესხურება ლითონის ნაკეთობებზე დაცვის ან დეკორატიული მიზნებისათვის, ასევე დაზიანებული ზედაპირების აღდგენის მიზნით;
6. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება ლითონის ნაკეთობების დამუშავება ქიმიური საშუალებებით და გაცხელებით დაჟანგვის საწინააღმდეგო საფარის დადების მიზნით;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, დამცავი ფენის დადება/ლითონი
- მოწყობილობის ოპერატორი, გაპრიალება/ლითონი
- მოწყობილობის ოპერატორი, მეტალიზაცია/ლითონი

8224 ფოტოგრაფიული პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

ფოტოგრაფიული პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მოწყობილობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ფოტოფირებისა და ფოტოქაღალდების დამზადება, ასევე ფოტოფირების გამჟრავნება და დაბეჭდვა.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება ფოტოფირებისა და ფოტოქაღალდების დამზადება;
2. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება ფერადი და შავ-თეთრი ფირებისა და ფირფიტების გამჟღავნება ნეგატივებისა და პოზიტივების მიღების მიზნით;
3. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება ფერადი ან შავ-თეთრი ფოტოსურათების დაბეჭდვა ან მათი გადიდება ან შემცირება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, გამჟღავნება/ფოტოგრაფია
- მოწყობილობის ოპერატორი, გადიდება/ფოტოგრაფია
- მოწყობილობის ოპერატორი, ფოტოფირების წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, დაბეჭდვა/ფოტოგრაფია (ფერადი)

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ფირის გამმჟღავნებელი (ფერადი) - 7344
- ფოტოსურათების გამადიდებელი - 7344
- ფოტოსურათების მბეჭდავი - 7344

8229 ქიმიური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან ქიმიური პროდუქციის მწარმოებელი მექაზმების ოპერატორები, რომლებიც არ შედიან მცირე ჯგუფის 822 - ქიმიური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებში.

მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგალითად, ისეთი პროფესიები, რომელთა მოვალეობაა იმ მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ისეთი ქიმიური პროდუქციის წარმოება, როგორიცაა ლინოლეუმი, სანთელი, ჰალოგენური გაზი და სხვა მსგავსი საშუალებები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ლინოლეუმის, სანთლის, ჰალოგენური გაზის და სხვა მსგავსი ქიმიური პროდუქციის წარმოება;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, სანთლის წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, ჰალოგენური გაზის წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, ლინოლეუმის წარმოება

მცირე ჯგუფი 823

რეზინისა და პლასტიკატის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

რეზინისა და პლასტიკატის პროდუქციის გადამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მოწყობილობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება რეზინისა და რეზინის კომპონენტების შერევა, ასევე ნატურალური და სინთეტიკური რეზინისა და პლასტმასისაგან სხვადასხვა კომპონენტებისა და პროდუქციის წარმოება.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება რეზინისა და რეზინის კომპონენტების შერევა, ასევე ნატურალური და სინთეტიკური რეზინისა და პლასტმასისაგან სხვადასხვა კომპონენტებისა და პროდუქციის წარმოება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8231 რეზინის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8232 პლასტიკური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8231 რეზინის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

რეზინის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მოწყობილობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება რეზინისა და რეზინის კომპონენტების შერევა, ასევე ნატურალური და სინთეტიკური რეზინისაგან სხვადასხვა კომპონენტებისა და პროდუქტების წარმოება, როგორიცაა მაგალითად ფეხსაცმლის საფენები, საყოფაცხოვრებო ნივთები, საიზოლაციო საშუალებები, სამრეწველო მოწყობილობები, ველოსიპედების, ავტომობილების, ტრაქტორების, საფრენი აპარატებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების საბურავები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება რეზინისა და რეზინის კომპონენტების შერევა შემდგომი დამუშავების მიზნით;
2. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ფორებიანი რეზინის ან დარეზინებული ქსოვილების წარმოება გლინვის საშუალებით;
3. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება საბურავების წარმოება, ვულკანიზაცია და ძველი საბურავების შეკეთება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, ექსტრუდირება/რეზინი
- მოწყობილობის ოპერატორი, დაფქვა/რეზინი
- მოწყობილობის ოპერატორი, საბურავების წარმოება

8232 პლასტიკური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

პლასტიკური პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მოწყობილებებს, რომლის საშუალებითაც ხდება კომპონენტების შერევა პლასტმასის ნივთების, დეტალებისა და სხვადასხვა კომპონენტების მიღების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება კომპონენტების შერევა პლასტმასის მიღების მიზნით;
2. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება პლასტმასის ნივთების წარმოება ექსტრუდირებით, დაჭრით და სხვა საშუალებებით;
3. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება პლასტმასისა და ნახევრადპლასტმასის ნივთების ლამინირება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, ექსტრუდირება/პლასტმასი
- მოწყობილობის ოპერატორი, დაყალიბება/პლასტმასი
- მოწყობილობის ოპერატორი, პლასმასის წარმოება

მცირე ჯგუფი 824

ხის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

ხის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ ავტომატიზირებულ და ნახევრადავტომატიზირებულ ხის დამამუშავებელ მოწყობილობებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ხის დამამუშავებელი მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ხის ხერხვა, დარანდვა, ბურღვა, გაშალაშინება ან ხეზე გრავირება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

8240 ხის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8240 ხის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

ხის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ ავტომატიზირებულ ან ნახევრადავტომატიზირებულ ხის დამამუშავებელ მოწყობილობებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ერთი ან რამოდენიმე მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც სრულდება ხის ხერხვა, რანდვა, ბურღვა, გაშალაშინება და ხეზე გრავირება;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, გრავირება/ხე
- მოწყობილობის ოპერატორი, ავეჯის წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, ხის პროდუქცია

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ამწყობი, ხის დამამუშავებელი მოწყობილობა - 7423
- ამწყობი-ოპერატორი, ხის დამამუშავებელი მოწყობილობა - 7423

მცირე ჯგუფი 825

საბეჭდი, საამკინძაო და ქაღალდის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

საბეჭდი, საამკინძაო და ქაღალდის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ სხვადასხვა ტიპის საბეჭდ და პირის გადასაღებ მოწყობილობებს, ასევე წიგნების საამკინძაო, გასაფორმებელ ან ქაღალდის, მუყაოსა და სხვა მსგავსი მასალების სხვადასხვა ნივთების საწარმოებელ მოწყობილობებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: სხვადასხვა ტიპის საბეჭდი და პირის გადასაღები მოწყობილობების, ასევე წიგნების საამკინძაო, გასაფორმებელი ან ქაღალდის, მუყაოსა და სხვა მსგავსი მასალების საწარმოებელი მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8251 საბეჭდი მანქანების ოპერატორები

8252 საამკინძაო მანქანების ოპერატორები

8253 ქაღალდის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8251 საბეჭდი მანქანების ოპერატორები

საბეჭდი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ სხვადასხვა ტიპის მანქანებს ქაღალდზე, თუნუქის ფურცლებსა და სხვა მსგავს მასალებზე დასაბეჭდად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საპრესი ცილინდრების, სატიგელე, როტაციული, ოფსეტური, ლითოგრაფიული, როტოგრავიურული, ასევე შპალერის დასამზადებელი მანქანების მართვა და გაკონტროლება;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, ბეჭდვა/საპრესი ცილინდრი
- მოწყობილობის ოპერატორი, ბეჭდვა/ოფსეტური
- მოწყობილობის ოპერატორი, როტაციული

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ასოთამწყობი, ბეჭდვა - 7341
- მბეჭდავი - 7341
- ასოთამწყობი - 7341

8252 საამკინძაო მანქანების ოპერატორები

საამკინძაო მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ წიგნების საამკინძაო და გასაფორმებელ მანქანებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საამკინძაო მანქანების მართვა და გაკონტროლება;
2. საპრესი მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება წიგნის ყდების გაფორმება;

3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, წიგნის აკინძვა
- მოწყობილობის ოპერატორი, წიგნის გაფორმება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მკინძავი - 7345
- წიგნის გამფორმებელი - 7345

<u>8253 ქაღალდის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები</u>

ქაღალდის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომელთა საშუალებით ამზადებენ ყუთებს, კონვერტებს, პაკეტებსა და სხვა საქონელს ქაღალდის, მუყაოს, გოფრირებული ქაღალდის, ცელოფნისა და სხვა მსგავსი მასალებისაგან.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ქაღალდის მიწებება მუყაოზე, მათი დაჭრა სასურველ ზომებად, ან მუყაოსა და გოფრირებული ქაღალდის დაჭრა და დაკეცვა ყუთების შეკვრის მიზნით;
2. საპრესი მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებით ხდება ქაღალდის ჭიქების ან სხვა კონტეინერების დამზადება ქაღალდის, მუყაოს ან გოფრორებული ქაღალდისაგან;
3. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ქაღალდების დაჭრა, შეკვრა და დაწებება, ასევე კონვერტებისა და ქაღალდის ჩანთების დამზადება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, მუყაოს პროდუქცია
- მოწყობილობის ოპერატორი, კონვერტებისა და ქაღალდის ჩანთების წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, ქაღალდის ყუთების წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, ქაღალდის პროდუქცია

მცირე ჯგუფი 826

ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ქსოვილების, ნართებისა და ტყავის დამზადება, ასევე ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის ნაწარმის წარმოება ან გაწმენდა.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ქსოვილების მომზადება, ძაფებისა და ნართების დართვა და დაგრეხა; დაწვნა და ქსოვა; მექანიკური მანქანით შეკერილი ტანსაცმლის წარმოება სხვადასხვა მასალებისაგან; ტექსტილის ტანსაცმლის

გათეთრება, შეღებვა და გაწმენდა; ტყავის ან ბეწვის გამოყვანა და მომზადება ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ან სხვა მსგავსი პროდუქციის საწარმოებლად. შესაძლებელის ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8261 ბოჭკოს მოსამზადებელი სართავი და სახვევი მანქანების ოპერატორები

8262 საკერავი და საქსოვი მანქანების ოპერატორები

8263 საკერავი მანქანების ოპერატორები

8264 გასათეთრებელი, შესაღები და საწმენდი მანქანების ოპერატორები

8265 ბეწვისა და ტყავის პროდუქციის გამოსაყვანი მანქანების ოპერატორები

8266 ფეხსაცმლისა და მსგავსი პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

8269 ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8261 ბოჭკოს მოსამზადებელი სართავი და სახვევი მანქანების ოპერატორები

ბოჭკოს მოსამზადებელი სართავი და სახვევი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ბოჭკოების მომზადება, ასევე ძაფებისა და ნართების დართვა, დუბლირება, გადახვევა და დაგრეხა.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება ტექსტილის ბოჭკოების თანაბრად შერევა;
2. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ხდება ტექსტილის ბოჭკოების გაწმენდა და ჩეჩვა, ფთილებად ფორმირება, მათი პირველადი დართვა, შედეგ უკვე ძაფებად დართვა და დახვევა;
3. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ბოჭკოების გარდაქმნა ფთილებად;
4. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ძაფებისა და ნართების დართვა ფთილებისაგან, ერთი ან რამოდენიმე ძაფის გადახვევა კოჭებზე, ერთი ან რამოდენიმე პირის დაგრეხა და ერთ პირად გადაქცევა;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, ბოჭკოების მომზადება
- მოწყობილობის ოპერატორი, დართვა/ძაფი და ნართი
- მოწყობილობის ოპერატორი, დაგრეხა/ძაფი და ნართი
- მოწყობილობის ოპერატორი, დახვევა/ძაფი და ნართი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- დამრთველი - 7432

8262 საკერავი და საქსოვი მანქანების ოპერატორები

საკერავი და საქსოვი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ საკერავ და საქსოვ მანქანებსა და სხვა მსგავს მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება ბოჭკოებისა და სხვა მსგავსი მასალების დასამზადებლად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება სადა ან ფიგურებიანი ქსოვილების, მოფარდული ქსოვილების, მაქმანების, ხალიჩების, ტანსაცმლის, ტრიკოტაჟის ან სხვა ქსოვილებისა და ნივთების ქსოვა და დაწვნა;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, დაწვნა
- მოწყობილობის ოპერატორი, ბადეების წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, ქსოვა
- მოწყობილობის ოპერატორი, ქსოვა/ ხალიჩები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- დაწვნა - 7432
- ქსოვა, ხალიჩები - 7432
- ქსოვა, ქსოვილები - 7432

8263 საკერავი მანქანების ოპერატორები

საკერავი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ საკერავ მანქანებს ტექსტილის, ბეწვის ან ტყავის ტანსაცმლის კერვის, ან ტანსაცმელზე და სხვა ნივთებზე ორნამენტებისა და სხვადასხვა ფიგურების გაკეთების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სტანდარტული ან სპეციალური ერთ ან მრავალნემსიანი საკერავი მანქანების მართვა და გაკონტროლება ტანსაცმლის, ხელთათმანებისა და სხვადასხვა ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის ნაწარმის კერვისა და შეკეთების მიზნით;
2. სტანდარტული ან სპეციალური ერთ ან მრავალნემსიანი საკერავი მანქანების მართვა და გაკონტროლება ტექსტილზე და სხვა მასალებზე ორნამენტებისა და სხვადასხვა ფიგურების გაკეთების მიზნით;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, კერვა
- მოწყობილობის ოპერატორი, კერვა/ქარგვა
- მოწყობილობის ოპერატორი, კერვა/ტექსტილის ნაწარმი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მქარგველი - 7436

- ბეწვის გამომყვანი <ჭონი>- 7434
- დამამზადებელი, ტექსტილი - 7332
- თერძი - 7433

8264 გასათეთრებელი, შესაღები და საწმენდი მანქანების ოპერატორები

გასათეთრებელი, შესაღები და საწმენდი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ბოჭკოების, ძაფებისა და ქსოვილების გათეთრება, შეღებვა, გარეცხვა და ა.შ. ან ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის ქიმიური გაწმენდა.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ტექსტილის ნაწარმის გაღიავება ან სხვა სასურველი ფერის მიცემა;
2. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის ნაწარმის რეცხვა და ქიმიური წმენდა გასუფთავებისა და ქიმიური და წებოვანი ნივთიერებების მოშორების მიზნით;
3. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ქსოვილის გადიდება ან დაპატარავება ბოჭკოების ჩაქსოვისა და გადაბმის გზით;
4. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ტექსტილის გაჟღენთვა ქიმიური ნივთიერებებით წყალგაუმტარი თვისებების მინიჭების მიზნით;
5. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება აბრეშუმის დამუშავება წონისა და მოცულობის მინიჭების მიზნით;
6. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ტექსტილის ან სხვა ნაწარმის დაპრესვა, გაჭიმვა ან მისთვის ბრწყინვის მინიჭება;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, ქიმიური წმენდა
- მოწყობილობის ოპერატორი,ღებვა/ტექსტილის ბოჭკოები
- მოწყობილობის ოპერატორი, რეცხვა
- მოწყობილობის ოპერატორი, დაუთოება/თეთრეული

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ხელით მრეცხავი - 9133
- ხელით დამუთოებელი - 9133
- დამამზადებელი, ტექსტილი - 7332
- თერძი - 7433

8265 ბეწვისა და ტყავის პროდუქციის გამოსაყვანი მანქანების ოპერატორები

ბეწვისა და ტყავის პროდუქციის გამოსაყვანი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ ტყავის მოსამზადებელ და ბეწვის ან ბეწვიანი ტყავის გამოსაყვან სხვადასხვა სახის მანქანებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ტყავის ცხიმგაცლა და დაკონსერვება;
2. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ბეწვიან ტყავებზე გრძელი და უხეში თმის მოშორება ან შეჭრა სასურველ ზომაზე, შეღებვა, გაჭიმვა და გასწორება;
3. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ტყავისაგან თანამდე მატყლის, ხორცისა და ბეწვის მოშორება;
4. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ტყავისა და ბეწვის დამუშავება და სასურველი სახის მიცემა;
5. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ტყავის საღებავით დამუშავება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, თმის მოშორება/ტყავი
- მოწყობილობის ოპერატორი, ღებვა/ტყავი
- მოწყობილობის ოპერატორი, თრიმლვა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მღებავი, ტყავი - 7441
- თრიმვლავი - 7441

<u>8266 ფეხსაცმლისა და მსგავსი პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები</u>

ფეხსაცმლისა და მსგავსი პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სტანდარტული ან სპეციალური ფეხსაცმლების, ჩანთებისა და სხვადასხვა აქსესუარების, ძირითადად ტყავის წარმოება და შეკეთება.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ფეხსაცმლის მრუდთარგების საჭრელი მანქანების მართვა და გაკონტროლება;
2. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ფეხსაცმლის ნაწილების კერვა, ნაპირების შემოჭრა, გაპრიალება ან ორნამენტების დამაგრება და სხვა მსგავსი ფუნქციების შესრულება;
3. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ჩემოდნების, ჩანთების, ქამრებისა და სხვა აქსესუარების, ასევე სხვა ნაწარმის, მათ შორის უნაგირების, ღვედების ან სხვა აღკაზმულობის წარმოება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, ფეხსაცმლის წარმოება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მეწაღე - 7442
- დამამზადებელი, ტყავი - 7332

8269 ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები, სხვა დაუჯგუფებებში ჩაურთველი

ამ ელემენტარულ ჯგუფში შედიან ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის ნაწარმის საწარმოებელი მანქანების ოპერატორები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან მცირე ჯგუფის 826 - ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები, სხვა ელემენტარულ ჯგუფებს.

მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგალითად, ისეთი პროფესიები, რომელთა მოვალეობაა ქუდების, ნაწნავების ან სხვადასხვა აქსესუარების დამამზადებელი მანქანების მართვა და გაკონტროლება.

ასეთ შემთხვევაში მათ მოვალეობებში შედის:

1. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ქუდების წარმოება ტექსტილის, ბეწვის ან ტყავის ნაწარმისაგან;
2. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება დაწნული ზონარებისა და სხვადასხვა აქსესუარების დამზადება;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, დაწნული ზონარების წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, ქუდების დამზადება
- მოწყობილობის ოპერატორი, თარგების დამზადება/ტექსტილი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მკერავი - 7433
- თარგების დამამზადებელი, ტანსაცმელი - 7435

მცირე ჯგუფი 827

კვების და მსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

კვების და მსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომელთა საშუალებითაც ხდება კვებისა და სხვა პროდუქტების წარმოება და დამუშავება ადამიანისა და ცხოველის მოხმარებისათვის.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ცხოველების დასაკლავი, თევზისა და გატყავებული საქონლის საჭრელი მანქანების მართვა და გაკონტროლება; თევზისა და ხორცის დამუშავება; რძის, ნაღებისა და რძის სხვა პროდუქტების წარმოება; მარცვლეულის, სანელებლების და სხვა მსგავსი პროდუქტების დაფქვა; შაქრის წარმოება და რაფინირება; ჩაის, ყავისა და კაკაოს, ან ლუდის, ღვინის, არყისა და სხვა სასმელების, ასევე თამბაქოს პროდუქტების წარმოება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8271 ხორცისა და თევზის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8272 რძის პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8273 მარცვლეულისა და სუნელების საფქვავი მანქანების ოპერატორები

8274 ფქვილეული, დაღერღილი მარცვლეულის ნაწარმისა და შოკოლადის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

8275 ხილის, ბოსტნეულისა და თხილის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

8276 შაქრის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

8277 ჩაის, ყავისა და კაკაოს დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

8278 ლუდ-სახარში, ღვინისა და სხვა სასმელების დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

8279 თამბაქოს დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8271 ხორცისა და თევზის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

ხორცისა და თევზის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომლებიც გამოიყენება ცხოველების დასაკლავად, გასატყავებლად, ხორცისა და თევზის დასაჭრელად და ხორცისა და თევზის პროდუქტების საწარმოებლად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ცხოველების დასაკლავად და გატყავებული საქონლის ან თევზეულის სტანდარტულ ნაჭრებად დასაჭრელად;
2. ხორცისა და თევზეულის დასაკეპი და ასარევი მანქანების მართვა და გაკონტროლება;
3. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ხორცისა და თევზეულის დასამუშავებლად, ხორცისა და თევზის სხვადასხვა პროდუქტების საწარმოებლად, როგორიცაა მაგალითად ძეხვი, შებოლილი ხორცი ან შებოლილი თევზეული;
4. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება დაკონსერვებული ან გაყინული ხორცის საწარმოებლად;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, თევზეულის დამუშავება
- მოწყობილობის ოპერატორი, ხორცის დამუშავება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ყასაბი - 7411
- თევზის დამამუშავებლი - 7411

8272 რძის პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

რძის პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ რძის, ნაღებისა და რძის სხვა პროდუქტების საწარმოებელ მანქანებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. რძისა და ნაღების პასტერიზაციის, ჰომოგენიზაციისა და თერმული დამუშავების მანქანების მართვა და გაკონტროლება;

2. რძის ფხვნილისა და შესქელებული რძის საწარმოებელი მანქანების მართვა და გაკონტროლება;
3. კარაქის, ყველისა და რძის სხვა პროდუქტების საწარმოებელი მანქანების მართვა და გაკონტროლება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, რძის პროდუქტები
- მოწყობილობის ოპერატორი, პასტერიზაცია/რძე

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- კარაქის დამამზადებელი - 7413
- ყველის დამამზადებელი - 7413

8273 მარცვლეულისა და სანელებლები საფქვავი მანქანების ოპერატორები

მარცვლეულისა და სანელებლების საფქვავი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომლებიც გამოიყენება მარცვლეულის, სანელებლებისა და სხვა მსგავსი პროდუქტების დასაფქველად და დასამუშავებლად ადამიანებისა და ცხოველების მოხმარებისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ბრინჯის, წმინდად დაფქული და დაღერღილი ხორბლისა და ცხოველების საკვების საწარმოებელი მანქანების მართვა და გაკონტროლება;
2. მარცვლეულისა და სანელებლების საფქვავი მანქანების მართვა და გაკონტროლება;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, დაფქვა/მარცვლეული
- მოწყობილობის ოპერატორი, დაფქვა/ბრინჯი
- მოწყობილობის ოპერატორი, დაფქვა/სანელებლები

8274 ფქვილეული, დაღერღილი მარცვლეულის ნაწარმისა და შოკოლადის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

ფქვილეული, დაღერღილი მარცვლეულის ნაწარმისა და შოკოლადის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ ასარევ, საკეპ და საცხობ მანქანებს, რომელთა საშუალებითაც აწარმოებენ ბურღულეულს, პურს, საკონდიტრო ნაწარმს, მაკარონს, შოკოლადს და სხვა მსგავს პროდუქტებს ფქვილის, კაკაოსა და სხვა ინგრედიენტებისაგან.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ფქვილისა და სხვადასხვა ინგრედიენტების შერევა და ცომის მიღება, რომლისგანაც შემდგომ ამზადებენ პურს, საკონდიტრო ნაწარმს, მაკარონს და სხვა მსგავს პროდუქტებს;

2. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ცომის მოზელა და ექსტრუდირება პურის, საკონდიტრო ნაწარმის, მაკარონისა და სხვა მსგავსი პროდუქტების წარმოების მიზნით;
3. პურის, საკონდიტრო ნაწარმის, მაკარონისა და სხვა მსგავსი პროდუქტების საცხობი მანქანების მართვა და გაკონტროლება;
4. ბურღულეულის დასამზადებელი მანქანების მართვა და გაკონტროლება;
5. შოკოლადისა და სხვა ტკბილეული ნაწარმის დამამზადებელი მანქანების მართვა და გაკონტროლება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, პურის წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, შოკოლადის წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, ტკბილეულის წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, საკონდიტრო ნაწარმის წარმოება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მცხობელი - 7412
- შოკოლადის დამამზადებელი - 7412

<u>8275 ხილის, ბოსტნეულისა და თხილის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები</u>

ხილის, ბოსტნეულისა და თხილის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომელთა საშუალებითაც ხდება წვენის გამოწურვა ხილისა და ბოსტნეულისაგან, ან ზეთის გამოწურვა ზეთის შემცველი თესლების, კაკლისა და თხილისაგან, ასევე ხილის, ბოსტნეულისა და კაკლის დამუშავება მზეზე გამოშრობის, დაკონსერვებისა ან გაყინვის გზით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება წვენის გამოწურვა ხილისა და ბოსტნეულისაგან გაცხელების ან დაპრესვის გზით;
2. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ზეთის შემცველი თესლების, კაკლისა და ხილისაგან ზეთის გამოწურვა და რაფინირება;
3. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება მარგარინისა და სხვა მსგავსი პროდუქტების დამზადება ცხოველური და მცენარეული ცხიმებისაგან;
4. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ხილის, ბოსტნეულისა და კაკლის მომზადება შემდეგომი დამუშავების მიზნით;
5. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომელთა საშუალებითაც ხდება ხილის, ბოსტნეულისა და კაკლის გამოშრობა, დაკონსერვება, გაყინვა და სხვა სახით დამუშავება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, ხილის დამუშავება
- მოწყობილობის ოპერატორი, ბოსტნეულის დამუშავება

- მოწყობილობის ოპერატორი, საკვები ზეთი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ზეთის დამამზადებელი - 7414
- მოწყობილობის ოპერატორი, მსუბუქი სასმელების წარმოება - 8278
- დამკონსერვებელი, ხილი - 7414
- დამკონსერვებელი, ბოსტნეული - 7414

8276 შაქრის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

შაქრის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომელთა საშუალებითაც ხდება შაქრის ლერწმისა და შაქრის ჭარხლის დამუშავება და რაფინირებული შაქრის წარმოება.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შაქრის ლერწმის დასანაწილებელი მანქანის ან შაქრის ჭარხლის გამოსაწური ექსტრაქტორის მართვა და გაკონტროლება;
2. რეზერვუარების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება შაქრის სითხის გასაწმენდად ან შაქრის კრისტალების საწარმოებლად ცხელი შაქრის სითხისგან;
3. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც მუშაობენ უწყვეტ რეჟიმში და რომლებიც გამოიყენება შაქრის ჭარხლისა და შაქრის ლერწმისაგან წარმოებული შაქრის რაფინირებისათვის;
4. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ნეკერჩხლის, პალმისა და სხვა მცენარეული წყაროსაგან მიღებული შაქრის წვენის გამოწურვისა და რაფინირებისათვის;
5. თაფლის დამამუშავებელი მანქანების მართვა და გაკონტროლება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, შაქრის წარმოება

8277 ჩაის, ყავისა და კაკაოს დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

ჩაის, ყავისა და კაკაოს დასამზადებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომლებიც გამოიყენება ჩაის ფოთლის, ყავისა და კაკაოს მარცვლების, ასევე ვარდკაჭაჭას მოსამზადებლად და შესარევად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ჩაის ფოთლის გასაშრობად, დამჭკნარი ფოთლის დასახვევად ან დახვეული ფოთლის გასაშრობად, ასევე ჩაის სხვადასხვა სახეობის შესარევად;
2. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ყავისა და კაკაოს მარცვლების დასამტვრევად, მარცვლებისგან ჩენჩოსა და რბილობის მოსაშორებლად, ასევე მარცვლების შესარევად და გამოსაშრობად;
3. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება კაკაოსა და ყავის მარცვლების ან ვარდკაჭაჭას გამოსაშრობად;

4. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ჩაის ფოთლის დასაჭრელად ან ყავისა და კაკაოს მარცვლების, ან ვარდკაჭაჭას ძირების დასაფქვავად;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, კაკაოს მარცვლების წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, ყავის მარცვლების წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, ჩაის ფოთლის წარმოება

8278 ლუდ-სახარში, ღვინისა და სხვა სასმელების დასამზადებელი მანქანების ოპერატორები

ლუდ-სახარში, ღვინისა და სხვა სასმელების დასამზადებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება ხილისა და მარცვლეულის შესარევად, დასაპრესად ან ასადუღებლად ლიქიორის, ღვინისა და სხვა ალკოჰოლური ან არაალკოჰოლური სასმელების დამზადების მიზნით, გარდა ხილისა და ბოსტნეულის წვენებისა.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ქერისა და სხვა მარცვლეულის დასამუშავებლად, ქერის დისტილირებული სასმელის დასამზადებლად და ფერმენტიზაციის პროცესის გასაკონტროლებლად;
2. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ყურძნისა და სხვა ხილის დასამუშავებლად ღვინის დასამზადებლად და ფერმენტიზაციის პროცესის გასაკონტროლებლად;
3. გამოსახდელი ქვაბების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ალკოჰოლურ სასმელებში ალკოჰოლის შემცველობის გასაზრდელად ან შესამცირებლად;
4. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ღვინისა და სასმელების შესარევად სასურველი გემოსა და არომატის მიღების მიზნით;
5. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება არააკლოჰოლური სასმელების დასამზადებლად, გარდა ხილისა და ბოსტნეულის წვენებისა;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ლუდის მხარშავი
- მოწყობილობის ოპერატორი, ალკოჰოლური სასმელების წაროება
- მოწყობილობის ოპერატორი, მსუბუქი სასმელების წარმოება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მოწყობილობის ოპერატორი, ხილის წვენის წარმოება - 8275
- დეგუსტატორი, ღვინო - 7415

8279 თამბაქოს დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები

თამბაქოს დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება თამბაქოს დასამუშავებლად, სიგარეტისა და თამბაქოს სხვა პროდუქციის საწარმოებლად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება თამბაქოს დასამუშავებლად სიგარეტისა და თამბაქოს სხვა პროდუქტების საწარმოებელი მასალების მომზადების მიზნით;
2. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება სიგარეტისა და თამბაქოს სხვა პროდუქტების საწარმოებლად;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოწყობილობის ოპერატორი, სიგარის წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, სიგარეტის წარმოება
- მოწყობილობის ოპერატორი, თამბაქოს დამუშავება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- დამხარისხებელი, თამბაქო - 7416
- დამამზადებელი, სიგარა - 7416

მცირე ჯგუფი 828

ამწყობები

ამწყობები აწყობენ პროდუქციას ნაწილებისაგან პროცედურების მკაცრი დაცვით. გამოსაშვები პროდუქცია შესაძლოა გადავიდეს საამწყობო ხაზზე ერთი მუშიდან მეორე მუშის ხელში.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ნაწილებისაგან სხვადასხვა ტიპის პროდუქციის აწყობა პროცედურების მკაცრი დაცვით.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8281 მექანიკური მანქანების ზეინკალ-ამწყობები

8282 ელექტრული მოწყობილობების ამწყობები

8283 ელექტრონული მოწყობილობების ამწყობები

8284 ლითონის, რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის ამწყობები

8285 ხისა და მსგავსი მასალების ნაწარმის ამწყობები

8286 ქაღალდის, ტექსტილისა და მსგავსი მასალების ნაწარმის ამწყობები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8281 მექანიკური მანქანების ზეინკალ-ამწყობები

მექანიკური მანქანების ზეინკალ-ამწყობები აწყობენ მექანიკური მოწყობილობების დეტალებსა და ცალკეულ ნაწილებს პროცედურების მკაცრი დაცვით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მექანიკური მოწყობილობების, მექანიზმებისა და მანქანების დეტალებისა და ცალკეული ნაწილების აწყობა ტექნოლოგიური პროცესების მკაცრი დაცვით;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ამწყობი, საფრენი აპარატი
- ამწყობი, მექანიკური მოწყობილობა
- ამწყობი, ავტოსატრანსპორტო საშუალება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ოპერატორი, აგრეგატი/ავტომატიზირებული - 8171

8282 ელექტრული მოწყობილობების ამწყობები

ელექტრული მოწყობილობების ამწყობები აწყობენ ელექტრული მოწყობილობების დეტალებსა და ცალკეულ ნაწილებს პროცედურების მკაცრი დაცვით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ელექტრული მოწყობილობების დეტალებისა და ცალკეული ნაწილების აწყობა პროცედურების მკაცრი დაცვით;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ამწყობი, ელექტრული მოწყობილობა

8283 ელექტრონული მოწყობილობების ამწყობები

ელექტრონული მოწყობილობების ამწყობები აწყობენ ელექტრონული მოწყობილობების დეტალებსა და ცალკეულ ნაწილებს პროცედურების მკაცრი დაცვით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ელექტრონული მოწყობილობების დეტალებისა და ცალკეული ნაწილების აწყობა პროცედურების მკაცრი დაცვით;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ამწყობი, ელექტრონული მოწყობილობა

8284 ლითონის, რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის ამწყობები

ლითონის, რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის ამწყობები ახორციელებენ განსაზღვრულ, სპეციალიზირებულ სამუშაოებს ლითონის, რეზინისა და პლასტმასის სხვადასხვა ტიპის პროდუქციის დეტალებისა და ცალკეული ნაწილების აწყობის პროცესში, ასეთ პროდუქციას მიეკუთვნება სათამაშოები, სპორტული ნაკეთობები, ველოსიპედები და სხვა.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სხვადასხვა ტიპის პროდუქციის ლითონის, რეზინისა და პლასტმასის დეტალებისა და ცალკეული ნაწილების აწყობა პროცედურების მკაცრი დაცვით;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ამწყობი, ლითონის პროდუქცია
- ამწყობი, პლასტმასის პროდუქცია
- ამწყობი, რეზინის პროდუქცია

8285 ხისა და მსგავსი მასალების ნაწარმის ამწყობები

ხისა და მსგავსი მასალების ნაწარმის ამწყობები აწყობენ სხვადასხვა სახის ხის პროდუქციისა და სხვა მსგავსი მასალების დეტალებსა და ცალკეულ ნაწილებს პროცედურების მკაცრი დაცვით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სხვადასხვა სახის ხის პროდუქციისა და სხვა მსგავსი მასალების ნაწილებისა და კომპონენტების აწყობა პროცედურების მკაცრი დაცვით;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ამწყობი, ხის პროდუქცია

8286 ქაღალდის, ტექსტილისა და მსგავსი მასალების ნაწარმის ამწყობები

ქაღალდის, ტექსტილისა და მსგავსი მასალების ნაწარმის ამწყობები აწყობენ სხვადასხვა ტიპის ქაღალდის, ტექსტილისა და სხვა მსგავსი მასალის ნაკეთობების დეტალებსა და ცალკეულ ნაწილებს პროცედურების მკაცრი დაცვით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სხვადასხვა ტიპის ქაღალდის, ტექსტილის, ტყავისა და სხვა მსგავსი მასალის ნაკეთობების დეტალებისა და ცალკეული ნაწილების აწყობა პროცედურების მკაცრი დაცვით;
2. ლითონის, პლასტმასის ან სხვა მსგავსი მასალებისაგან მოწყობილობების აწყობა;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ამწყობი, ტყავის ნაწარმი
- ამწყობი, ქაღალდის ნაკეთობა
- ამწყობი, ტექსტილის ნაწარმი

მცირე ჯგუფი 829

სხვა მანქანების ოპერატორები და ამწყობები

სხვა მანქანების ოპერატორები და ამწყობები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომლებიც ფუთავენ, აკრავენ პროდუქტებს, პაკეტებსა და კონტეინერებს მარკირებას და საჭიროების შემთხვევაში ფასს, ან წესების მკაცრი დაცვით აწყობენ პროდუქტებს სხვადასხვა მასალების დეტალებისა და ცალკეული ნაწილებისაგან.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება შესაფუთად, იარლიყის მისაკრავად და საჭიროების შემთხვევაში ფასის მისაკრავად პროდუქტებზე, პაკეტებსა და კონტეინერებზე; პროდუქციის აწყობა სხვადასხვა სახის დეტალებისა და ცალკეული ნაწილებისაგან პროცედურების მკაცრი დაცვით.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

8290 სხვა მანქანების ოპერატორები და ამწყობები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

<u>8290 სხვა მანქანების ოპერატორები და ამწყობები</u>

სხვა მანქანების ოპერატორები და ამწყობები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომლებიც ფუთავენ, იარლიყს აკრავენ და საჭიროების შემთხვევაში ფასს აკრავენ პროდუქტებს, პაკეტებსა და კონტეინერებს, ან წესების მკაცრი დაცვით აწყობენ პროდუქტებს სხვადასხვა მასალების დეტალებისა და ცალკეული ნაწილებისაგან.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სხვადასხვა სახის პროდუქციის შესაფუთი მანქანების მართვა და გაკონტროლება, მათ შორის თხევადი პროდუქტების შენახვის ან გადაზიდვის მიზნით;
2. მანქანების მართვა და გაკონტროება, რომლებიც გამოიყენება წებოთი ან სხვა საშუალებებით, იარლიყის ან ფასის მისაკრავად პროდუქტებზე, პაკეტებსა და სხვადასხვა კონტეინერებზე;
3. პროდუქციის აწყობა სხვადასხვა სახის დეტალებისა და ცალკეული ნაწილებისაგან, პროცედურების მკაცრი დაცვით.
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ამწყობი, აწყობილი პროდუქცია
- მოწყობილობის ოპერატორი, იარლიყის მიკვრა
- მოწყობილობის ოპერატორი, შეფუთვა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მფუთავი, ხელით - 9322

ქვეჯგუფი 83

მძღოლები და მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები

მძღოლები და მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები მართავენ და მომსახურებას უწევენ მატარებლებსა და მოტოტრანსპორტს, ან მართავენ, ამუშავებენ და აკონტროლებენ მოძრავ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მექანიზმებსა და მოწყობილობებს, ან ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოებს გემებსა და წყლის სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე.

სამუშაო ძირითადად მოითხოვს მოწყობილობებისა და მექანიზმების მართვის ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე, - მანქანის ტემპში მუშაობის ცოდნას და ტექნიკურ ნოვაციებთან ადაპტირებას.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მატარებლებისა და მოტოტრანსპორტის მართვა და მომსახურება; მოძრავი სამრეწველო და სასოფლო- სამეურნეო მექანიზმებისა და მოწყობილობების მართვა, ამუშავება და გაკონტროლება; სხვადასხვა სამუშაოების შესრულება გემებსა და წყლის სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

831 ლოკომოტივების მემანქანეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

832 მოტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლები

833 სასოფლო-სამეურნეო და სხვა მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები

834 გემების ეკიპაჟები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

მცირე ჯგუფი 831

ლოკომოტივების მემანქანეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

ლოკომოტივების მემანქანეები და მონათესავე პროფესიების მუშაკები მართავენ ლოკომოტივებს ტვირთებისა და მგზავრების გადაყვანის მიზნით, ახორციელებენ მანევრირებას რკინიგზებზე ან მართავენ სარკინიგზო სიგნალიზაციას.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ლოკომოტივების მართვა, სარკინიგზო სიგნალიზაციის გაკონტროლება, მატარებლის ერთი ხაზიდან მეორე ხაზზე გადაყვანა და მატარებლების დაყენება სარკინიგზო სადგომზე. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ გჯფუებად:

8311 ლოკომოტივების მემანქანეები

8312 რკინიგზის მამუხრუჭებელი მუშები, გადამბმელები და მეისრეები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8311ლოკომოტივების მემანქანეები

ლოკომოტივების მემანქანეები მართავენ ან მონაწილეობენ ლოკომოტივების მართვაში ტვირთებისა და მგზავრების გადაყვანის მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ორთქლის, ელექტრული ან დიზელ-ელექტრული ლოკომოტივების მართვა ან მართვის პროცესში მონაწილეობა;
2. მიწისქვეშა და მიწისზედა სამგზავრო ამწეების მართვა;
3. ლოკომოტივების მართვა ვაგონების გადასაადგილებლად შახტაში ან კარიერზე;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მძღოლი, ორთქლის მანქანა/შახტა
- მძღოლი, ლოკომოტივი
- მძღოლი, მატარებელი

8312 რკინიგზის მამუხრუჭებელი მუშები, გადამბმელები და მეისრეები

რკინიგზის მამუხრუჭებელი მუშები, გადამბმელები და მეისრეები უზრუნველყოფენ ტვირთების უსაფრთხოდ გადატანას, აკონტროლებენ სარკინიგზო მოძრაობას სიგნალების გამოყენებით, ახორციელებენ მატარებლების სხვა ხაზზე გადაყვანას და თავს უყრიან მატარებლებს სარკინიგზო სადგომებზე, ვაგონეტებისაგან ადგენენ მატარებლებს შახტებში და აკონტროლებენ მათ მოძრაობას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტვირთების უსაფრთხო გადაზიდვის უზრუნველყოფა;
2. სარკინიგზო მოძრაობის გაკონტროლება სიგნალების გამოყენებით;
3. მატარებლის ერთი ხაზიდან სხვა ხაზზე გადაყვანა, მატარებლების სარკინიგზო სადგომზე დაყენება წესების გათვალისწინებით;
4. მატარებლის ფორმირება ვაგონეტებისაგან ლოკომოტივის ან კაბელის საშუალებით გადაადგილებისათვის, ასევე მათი მოძრაობის გაკონტროლებისათვის შახტებში ან კარიერებზე;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მემუხრუჭე,რკინიგზა
- სათადარიგო ხაზზე გადამყვანი, რკინიგზა
- მესიგნალე, რკინიგზა

მცირე ჯგუფი 832

მოტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლები

მოტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლები მართავენ და ემსახურებიან მოტოტრანსპორტს მასალების, საქონლისა და მგზავრების გადაყვანის მიზნით.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მოტოციკლების, ავტომანქანების, ტაქსების, ტრამვაების, ავტობუსების, სატვირთო, საბარგო ავტომობილებისა და ფურგონების მართვა და მომსახურება მასალების, საქონლისა და მგზავრების გადაყვანის მიზნით. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8321 მოტოციკლების მძღოლები

8322 მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები

8323 ავტობუსისა და ტრამვაის მძღოლები

8324 სატვირთო ავტომობილების მძღოლები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 - არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8321 მოტოციკლების მძღოლები

მოტოციკლების მძღოლები მართავენ და მომსახურებას უწევენ მოტოციკლებსა და ძრავიან მოტოციკლებს, რომლებიც მოწყობილია მასალების, საქონლისა და მგზავრების ტრანსპორტირებისათვის.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოტოციკლებისა და ძრავიანი სამთვლიანი მოტოციკლების მართვა და მომსახურება მასალების, საქონლისა და მგზავრების ტრანსპორტირების მიზნით;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მოტოციკლისტ-კურიერი
- მოტოციკლისტი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- მძღოლი, პედალიანი სატრანსპორტო საშუალება - 9331

8322 მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები

მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები მართავენ და მომსახურებას უწევენ ავტომანქანებსა და ფურგონებს მგზავრების, ფოსტის ან საქონლის ტრანსპორტირების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სამგზავრო ავტომანქანების ან ტაქსების მართვა და მომსახურება;

2. ავტომანქანების, ფურგონების ან მსუბუქი სატვირთოების მართვა და მომსახურება ფოსტის ან საქონლის ტრანსპორტირების მიზნით;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მძღოლი, ავტომანქანა
- მძღოლი, ტაქსი
- მძღოლი, ფურგონი

8323 ავტობუსისა და ტრამვაის მძღოლები

ავტობუსისა და ტრამვაის მძღოლები მართავენ და მომსახურებას უწევენ ავტობუსებს ან ტრამვაებს მგზავრების, ფოსტის ან საქონლის ტრანსპორტირების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ძრავიანი ავტობუსების, ტროლეიბუსებისა და ადგილობრივი ან საქალაქთაშორისო ავტობუსების მართვა და მომსახურება მგზავრების, ფოსტის ან საქონლის ტრანსპორტირების მიზნით;
2. ტრამვაების მართვა და მომსახურება მგზავრების ტრანსპორტირების მიზნით;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მძღოლი, ავტობუსი
- მძღოლი, ტრამვაი

8324 სატვირთო ავტომობილების მძღოლები

სატვირთო ავტომობილების მძღოლები მართავენ და მომსახურებას უწევენ საბარგო და სატვირთო ავტომობილებს საქონლის, თხევადი ნივთიერებებისა და მძიმე მასალების ტრანსპორტირების მიზნით ახლო ან შორ მანძილზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საბარგო და სატვირთო ავტომობილების მართვა და მომსახურება, მასში შედის: ჩასაბმელიანი სატვირთო ავტომობილები და თვითმცლელები საქონლის, თხევადი ნივთიერებების ან მძიმე მასალების ტრანსპორტირების მიზნით, ახლო ან შორ მანძილზე;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მძღოლი, სატვირთო ავტომობილი/მძიმე
- ოპერატორი, სატვირთო მატარებელი/შახტა

მცირე ჯგუფი 833

სასოფლო-სამეურნეო და სხვა მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები

სასოფლო-სამეურნეო და სხვა მოძრავი ტექნიკური საშუალებების ოპერატორები მართავენ, მომსახურებას უწევენ, ამუშავებენ და აკონტროლებენ სასოფლო-სამეურნეო და სხვა მექანიზმებსა და მოწყობილობებს მასალებისა და მძიმე საგნების ტრანსპორტირების მიზნით.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ტრაქტორებისა და სხვა სპეციალიზირებული მანქანების მართვა, მომსახურება და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების საწარმოებლად, ტვირთების ასაწევად და სხვა მიზნებისათვის. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

8331 სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორები

8332 მიწასათხრელი და მსგავსი მანქანების ოპერატორები

8333 ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები

8334 ავტოსაწეველების ოპერატორები

შენიშვნა

პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 7 - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები ძირითადად გულისხმობს ხელით, ან მექანიკური ან სხვა სახის ხელსაწყოებით მუშაობას და მოითხოვს სამუშაო პროცესის ორგანიზების, ასევე გამოსაყენებელი მასალების, ხელსაწყოებისა და საბოლოო პროდუქციის თვისებების ცოდნას.
პროფესიები კლასიფიცირებულია ძირითად ჯგუფში 9 -არაკვალიფიციური მუშაკები, იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები მარტივი და რუტინული ხასიათისაა, რაც ძირითადად გულისხმობს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენებას, ფიზიკურ დატვირთვას, მცირე გამოცდილებასა და მხოლოდ მცირედი ინიციატივებისა და გონებრივი მონაცემების გამოვლენას.

8331 სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორები

სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორები მართავენ, მომსახურებას უწევენ, ამუშავებენ და აკონტროლებენ ერთ, ან რამდენიმე ტიპის მოტორიზებულ, მოძრავ მანქანასა და მოწყობილობას, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო და სატყეო სამუშაოების შესასრულებლად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ტრაქტორების ან თვითმავალი სახნავი, სათესი, მოსავლის ასაღები, შესაკვრელი ან სხვა სასოფლო-სამეურნეო, ან მსგავსი მოწყობილობების მართვა და მომსახურება;
2. მოსასუფთავებელი, სარგავი, ასაღები, მორების გადასაზიდი ტრაქტორების ან თვითმავალი მანქანების ან სხვა სპეციალური სატყეო მექანიზმების მართვა და მომსახურება;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მძღოლი, მორების ტრანსპორტირება
- ოპერატორი, ტრაქტორი
- ოპერატორი, კომბაინი
- ოპერატორი, მოტორიზირებული სასოფლო- სამეურნეო მოწყობილობა

8332 მიწასათხრელი და მსგავსი მანქანების ოპერატორები

მიწასათხრელი და მსგავსი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მანქანებს, რომლებიც გამოიყენება გრუნტის ამოსაღებად, მოსასწორებლად და დასატკეპნად, ასევე ასფალტისა და ბეტონის დასაგებად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ნიადაგის ამოსაღები მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც აღჭურვილია მოძრავი სათხრელი ან საფხეკი ციცხვებით, ნიადაგის, ქვის, სილის, ხრეშის ან სხვა მსგავსი მასალების ამოღების მიზნით, ასევე შენობებისა და სხვა კონსტრუქციების დასანგრევად;
2. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ნიადაგის გასათხრელად საკანალიზაციო, სადრენაჟო, წყლის, ნავთობის, გაზის ან სხვა მილსადენების გასაყვანად;
3. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც აღჭურვილია ჩაზნექილი ფოლადის პირით და გამოიყენება მიწის, ქვიშის, თოვლისა და სხვა მასალების ტრანსპორტირებისათვის, გასანაწილებლად და მოსასწორებლად;
4. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება წყლის ფსკერიდან ქვიშის, ხრეშის და ტალახის ამოსაღებად;
5. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ხის, ბეტონის ან რკინის ბოძების ჩასასობად;
6. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება გზების, ტროტუარების ან სხვა ზედაპირების დასაგებად და მოსასწორებლად;
7. მოწყობილობების მათვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ბეტონის ან ასფალტის მოსასწორებლად და გუდრონის მოსამზადებლად გზების, გზატკეცილებისა და სხვა სამუშაოების შესრულების მიზნით;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, ბულდოზერი
- ოპერატორი, ექსკავატორი
- ოპერატორი, კომბაინი
- ოპერატორი, გზის სატკეპნი

8333 ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები

ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ ამწეებს და სხვა ასაწევ მოწყობილობებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მოძრავი ან სტაციონარული ამწეების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც აღჭურვილია მოძრავი ან ფიქსირებული მკლავით ან ისრით;
2. მოწყობილობის მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ადამიანებისა და მასალების სიმაღლეზე ასაწევად ან დასაშვებად სამშენებლო ადგილებზე ან შახტებში;
3. მოთხილამურეთა ან სხვა ნივთების ასატანი მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება;
4. მოწყობილობების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება წყალზე ტვირთების, მანქანების და მგზავრების გადასაზიდი ბორნების ბუქსირზე ასაყვანად მცირე მანძილებზე;

5. მექანიზმების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება ხიდების ასაწევად ან დასაწევად სახმელეთო და საწყალოსნო ტრანსპორტის გავლის მიზნით;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, ამწე
- ოპერატორი, საწეველა

8334 ავტოსაწეველების ოპერატორები

ავტოსაწეველების ოპერატორები მართავენ და აკონტროლებენ მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება მანქანების ან სხვა მოწყობილობების გადასაზიდად და ასაწევად.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მანქანების მართვა და გაკონტროლება, რომლებიც გამოიყენება მანქანებისა და სხვა მოწყობილობების ჩასატვირთად, გადმოსატვირთად, ტრანსპორტირებისათვის და ასაწევად ტერმინალებში, ნავსადგურებში, საწყობებში, ქარხნებში და სხვა მსგავს დაწესებულებებში;
2. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
3. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ოპერატორი, მანქანების გადასაზიდი მოწყობილობა

მცირე ჯგუფი 834

გემების ეკიპაჟები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

გემების ეკიპაჟები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ახორციელებენ ეკიპაჟის მოვალეობებს გემბანსა და წყლის სხვა ტრანსპორტზე.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მართვის პროცესის ზედამხედველობა ზღვაზე და ნავსადგურებში, გემების მართვა ინსტრუქციების შესაბამისად, გემების დასუფთავება, შეღებვა და ტექნიკური მომსახურება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

8340 გემების ეკიპაჟები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

8340 გემების ეკიპაჟები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

გემების ეკიპაჟები და მონათესავე პროფესიების მუშაკები ახორციელებენ ეკიპაჟის მოვალეობებს გემბანებსა და წყლის სხვა ტრანსპორტზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. გემების მართვის ზედამხედველობა ზღვაში, ასევე გემების მიერ ნავსადგურების დატოვების ან ნავსადგურებში შესვლის პროცესის გაკონტროლება;
2. გემების მართვა ინსტრუქციების შესაბამისად;

3. მუშაობა ნავმისადგომის გვარლით გემების ბორტებზე;
4. გემის ასამუშავებელი მექანიზმების, სატვირთო მექანიზმების, სამაშველო და ცეცხლსაწინააღმდეგო მოწყობილობების მომსახურება;
5. გემბანების დასუფთავება, ღებვა და სხვა მსგავსი სამუშაოების შესრულება ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ბოცმანი
- მეზღვაური [კაცი], კვალიფიციური
- მეზღვაური [ქალი], კვალიფიციური

ძირითადი ჯგუფი 9

არაკვალიფიციური მუშები

არაკვალიფიციური მუშები ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოებს, რომლებიც ძირითადად მოითხოვს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენების ცოდნას და მცირე ფიზიკურ დატვირთვას. ამ ძირითადი ჯგუფის პროფესიათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ISCO-ს კვალიფიკაციის I დონე.

არაკვალიფიციური მუშების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: საქონლის გაყიდვა ქუჩებში ან საზოგადოებრივ ადგილებში, ან მყიდველებისთვის საქონლის შეთავაზება საცხოვრებელ ადგილებზე; ქუჩის სხვადასხვა მომსახურებების უზრუნველყოფა; დასუფთავება, რეცხვა, დაუთოება; საცხოვრებელი სახლების, სასტუმროების, ოფისებისა და სხვა შენობების მოვლა; ფანჯრებისა და შენობის სხვა მინის ზედაპირების გაწმენდა; კორესპონდენციისა და საქონლის გადაცემა; ბარგის გადატანა; შენობის შესასვლელებისა და კერძო საკუთრების დაცვა; სავაჭრო ავტომატებიდან ფულის აკრეფა ან მრიცხველების ჩვენებების ჩაწერა; ნაგვის შეგროვება; ქუჩებისა და სხვა ადგილების დასუფთავება; სხვადასხვა მარტივი სამუშაოების შესრულება სოფლის მეურნეობაში, მეთევზეობაში, ნადირობასა ან ცხოველთა ჭერაში; მარტივი სამუშაოების შესრულება სამთომოპოვებაში, მშენებლობასა და დამამუშავებელ მრეწველობაში, ამ სამუშაოებში შედის პროდუქტის დახარისხება და მარტივი ნაწილების ხელით აწყობა; საქონლის ხელით შეფუთვა; ტვირთების ხელით გადატანა; მგზავრების ან საქონლის ტრანსპორტირება პედალიანი ან ხელით სამართავი მანქანებით; გამწევ-ძალიანი მანქანების ან სხვა სატრანსპორტო საშუალებების მართვა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ძირითად ჯგუფში იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

91 ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს არაკვალიფიციური მუშები

92 სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები

93 მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის არაკვალიფიციური მუშები

ქვეჯგუფი 91

ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს არაკვალიფიციური მუშები

ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს არაკვალიფიციური მუშები ძირითადად ასრულებენ მარტივ სამუშაოებს, რომლებიც უკავშირდება საქონლის ქუჩებში ან საცხოვრებელ ადგილებზე გაყიდვას ან მომსახურებას, ასევე დასუფთავებას, კერძო საკუთრების დაცვას და მოვლას, საქონლისა და კორესპონდენციის გადაცემას ან ბარგის მიტანას.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: საქონლის გაყიდვა ქუჩებში ან საზოგადოებრივ ადგილებში, ან მყიდველებისთვის საქონლის შეთავაზება საცხოვრებელ ადგილებზე; ქუჩის სხვადასხვა მომსახურებების უზრუნველყოფა; დასუფთავება, რეცხვა, დაუთოება, დაგვა ან ნაგვის შეგროვება; შენობის შესასვლელების ზედამხედველობა, კერძო საკუთრების დაცვა ან შენობების დასუფთავება; ფანჯრებისა და სხვა ზედაპირების გაწმენდა; შვეიცარის ფუნქციების შესრულება; კორესპონდენციის ან საქონლის გადაცემა; სავაჭრო ავტომატებიდან ფულის აკრეფა ან მრიცხველების ჩვენებების ჩაწერა; ბარგის მიტანა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ მცირე ჯგუფებად:

911 ქუჩაში მოვაჭრე და მონათესავე პროფესიების მუშები

912 ფეხსაცმლის მწმენდავები და ქუჩაში სხვადასხვა მომსახურების გამწევი არაკვალიფიციური მუშები

913 შინამოსამსახურეები და დალაგებითა და რეცხვით დაკავებული პირები

914 შენობების მეთვალყურეები, ფანჯრის მწმენდავები და მონათესავე პროფესიების მუშები

915 კურიერები, პორტიეები, შვეიცარები და მონათესავე პროფესიების მუშები

916 მენაგვეები და მსგავსი არაკვალიფიციური მუშები

მცირე ჯგუფი 911

ქუჩაში მოვაჭრე და მონათესავე პროფესიების მუშები

ქუჩაში მოვაჭრე და მონათესავე პროფესიების მუშები ყიდიან საკვებ პროდუქტებსა და სხვა სახის საქონელს ქუჩებში ან საზოგადოებრივ ადგილებში, ან უშუალოდ საცხოვრებელ ადგილებზე, ასევე ტელეფონით.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: საკვები პროდუქტების, სასმელების ან სხვა სახის საქონლის მომზადება და გაყიდვა, ან წინასწარ მომზადებულის გაყიდვა ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში; საქონლის გაყიდვა ტელეფონით ან ადგილზე მიტანით. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

9111 ქუჩაში სურსათით მოვაჭრეები

9112 ქუჩაში არასასურსათო პროდუქტებით მოვაჭრეები

9113 კარდაკარ და ტელეფონის საშუალებით მოვაჭრეები

9111 ქუჩაში სურსათით მოვაჭრეები

ქუჩაში სურსათით მოვაჭრეები ამზადებენ და ყიდიან, ან ყიდიან წინასწარ მომზადებულ ცხელ და ცივ საკვებს, ბოსტნეულს, ხილს, ნაყინს და სხვადასხვა სასმელებს ქუჩებში და საზოგადოებრივ ადგილებში, როგორიცაა მაგალითად სადგურები, კინოთეატრები ან თეატრები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საკვები პროდუქტებისა და სასმელების შეძენა და შედგომ გაყიდვა;
2. საკვებისა და სასმელების მომზადება წინასწარ ან ადგილზე და გაყიდვა;
3. ხელის ურიკების დატვირთვა და გადმოტვირთვა საკვებისა და სასმელების დანიშნულების ადგილზე მიტანის მიზნით ქუჩებში და საზოგადოებრივ ადგილებში, როგორიცაა მაგალითად სადგურები ან კონოთეატრები;
4. საკები პროდუქტებისა და სასმელების დახლებზე დალაგება;
5. საფასურის მიღება ადგილზე;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გამყიდველი, გამაგრილებელი სასმელები/კინოთეატრი
- გამყიდველი, გამაგრილებელი სასმელები/თეატრი
- გამყიდველი, ქუჩა/საკვები პროდუქტები

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- გამყიდველი, ბაზარი - 5230
- გამყიდველი, ქუჩის ფარდული - 5130
- გამყიდველი, ქუჩა/არასასურსათო პროდუქტები - 9112

9112 ქუჩაში არასასურსათო პროდუქტებით მოვაჭრეები

ქუჩაში არასასურსათო პროდუქტებით მოვაჭრეები ყიდიან სხვადასხვა სახის საქონელს ქუჩებში და საზოგადოებრივ ადგილებში, როგორიცაა სადგურები, კინოთეატრები და თეატრები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სხვადასხვა საქონლის გაყიდვა ან დამზადება გასაყიდად;
2. ხელის ურიკების, ველოსიპედების ან სხვა სატრანსპორტო საშუალებების დატვირთვა და გადმოტვირთვა საქონლის სასურველ ადგილზე ტრანსპორტირების მიზნით ქუჩებში და საზოგადოებრივ ადგილებში, როგორიცაა სადგურები ან კონოთეატრები;
3. საქონლის დალაგება დახლებზე;
4. გაზეთებისა და სხვა მსგავსი საქონლის გაყიდვა;
5. საფასურის მიღება ადგილზე;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ქუჩის მოვაჭრე
- დამტარებელი
- გამყიდველი, თეატრალური პროგრამა
- გამყიდველი, ქუჩა/არასასურსათო საქონელი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- გამყიდველი, ბაზარი - 5230
- გამყიდველი, ფარდული - 5130
- გამყიდველი, ქუჩა/ პროდუქტები - 9112

9113 კარდაკარ და ტელეფონის საშუალებით მოვაჭრეები

კარდაკარ და ტელეფონის საშუალებით მოვაჭრეები ადგილზე სთავაზობენ მყიდველებს თავიანთი კომპანიის პროდუქციას, ან ყიდიან ტელეფონით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა სახის საქონლის ან მომსახურების შესახებ, ასევე ფირმის მიერ მათი ადგილზე ან ტელეფონით გაყიდვის პირობებთან დაკავშირებთ;
2. საქონლის დემონსტრირება მათი ძირითადი დამახასიათებელი თვისებების წარმოჩენით;
3. მიღებული შეკვეთების ჩანიშვნა და მათი გადაცემა ფირმისთვის;
4. სარეკლამო ლიტერატურის დარიგება ან ნიმუშების დატოვება;
5. საჭიროების შემთხვევაში ღირებულების გადახდის გადავადება;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- გამყიდველი, ადგილზე დატარებით
- გამყიდველი, ტელეფონით

მცირე ჯგუფი 912

ფეხსაცმლის მწმენდავები და ქუჩაში სხვადასხვა მომსახურების გამწევი არაკვალიფიციური მუშები

ფეხსაცმლის მწმენდავები და ქუჩაში სხვადასხვა მომსახურების გამწევი არაკვალიფიციური მუშები ადგილზე უწევენ კლიენტებს სხვადასხვა სახის მომსახურებებს, როგორიცაა მაგალითად ფეხსაცმელების გაწმენდა, მანქანის ფანჯრების გარეცხვა ან სხვა მსგავსი სამუშაოების შესრულება.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ფეხსაცმელების გაწმენდა ქუჩაში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში; მანქანის ფანჯრების გარეცხვა ქუჩაში; სხვა მსგავსი სამუშაოების შესრულება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში კლასიფიცირებულია შემდეგ ელემენტარულ ჯგუფში:

9120 ფეხსაცმლის მწმენდავები და ქუჩაში სხვადასხვა მომსახურების გამწევი არაკვალიფიციური მუშები

9120 ფეხსაცმლის მწმენდავები და ქუჩაში სხვადასხვა მომსახურების გამწევი არაკვალიფიციური მუშები

ფეხსაცმლის მწმენდავები და ქუჩაში სხვადასხვა მომსახურების გამწევი არაკვალიფიციური მუშები წმენდენ ფეხსაცმელებს, რეცხავენ მანქანის ფანჯრებს და უზრუნველყოფენ ქუჩის სხვა მომსახურებას ადგილზე.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მასალების შეძენა, რომლებიც საჭიროა საწმენდი სამუშაოების შესასრულებლად;
2. ფეხსაცმელების გაწმენდა და გაპრიალება;
3. მანქანის ფანჯრების გაწმენდა და გაპრიალება;
4. ანაზღაურების მიღება ადგილზე შესრულებისთანავე;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ფეხსაცმლის გამპრიალებელი
- მრეცხავი, ხელით/ქუჩა (მანქანის ფანჯრები)

მცირე ჯგუფი 913

შინამოსამსახურეები და დალაგებითა და რეცხვით დაკავებული პირები

შინამოსამსახურეები და დალაგებითა და რეცხვით დაკავებული პირები ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოებს კერძო სახლებში, სასტუმროებში, ოფისებში, საავადმყოფოებში და სხვა დაწესებულებებში, აგრეთვე თვითმფრინავებში, მატარებლებში, ავტობუსებში, ტრამვაისა და სხვა მსგავს სატრანსპორტო საშუალებებში შიდა ინტერიერის დასუფთავებისა და მოწესრიგების მიზით, ასევე რეცხავენ და აუთოებენ სარეცხს ხელით.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მტვერსასრუტით ან ხელით დაგვა; თეთრეულის გამოცვლა, იატაკის, ავეჯისა და სხვა საგნების რეცხვა და გაპრიალება, ან ლოგინების ალაგება; სამზარეულოს სხვადასხვა სამუშაოების შესრულება კერძო სახლებში; საჭმლის მომზადება და მიწოდება; ხელით რეცხვა და დაუთოება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

9131 შინამოსამსახურეები, დამლაგებლები და მრეცხავები

9132 მოსამსახურეეები და დამლაგებლები ოფისებში, სასტუმროებსა და სხვა დაწესებულებებში

9133 ხელით მრეცხავები და დამუთოებლები

9131 შინამოსამსახურეები, დამლაგებლები და მრეცხავები

შინამოსამსახურეები, დამლაგებლები და მრეცხავები გვიან ან აპრიალებენ იატაკს ხელით ან მტვერსასრუტით, რეცხავენ და ცვლიან თეთრეულს, ყიდულებენ სანოვაგეს, ამზადებენ საჭმელს და ასრულებენ სხვა მსგავს სამუშაოებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. იატაკის დაგვა ხელით ან დასუფთავება მტვერსასრუტით; ავეჯის, ასევე ფანჯრებისა და სხვა საგნების გაპრიალება და გაწმენდა;
2. თეთრეულისა და ტექსტილის სხვა ნივთების რეცხვა, დაუთოება და დაკერება;
3. ჭურჭლის რეცხვა;
4. საკვების მომზადება და მსუბუქი საუზმეულისა და კერძების მიწოდება;
5. საკვები და სხვა პროდუქტების ყიდვა;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- შინამოსამსახურე
- დამლაგებელი, ბინის

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- დამლაგებელი, სასტუმრო - 9132
- ეკონომი - 5121
- მრეცხავი, ხელით - 9133
- მეეზოვე, ქუჩა - 9162

9132 შინამოსამსახურეები, დამლაგებლები და მრეცხავები

შინამოსამსახურეები, დამლაგებლები და მრეცხავები ოფისებში, სასტუმროებში და სხვა დაწესებულებებში ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოებს ინტერიერისა და ავეჯის დალაგებისა და დასუფთავების მიზნით სასტუმროებში, ოფისებში და სხვა დაწესებულებებში, როგორიცაა მაგალითად თვითმფრინავები, მატარებლები, ავტობუსები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები.

მათ მოვალეობებში შედის:

1. იატაკის დაგვა ხელით ან დასუფთავება მტვერსასრუტით, ავეჯისა და სხვა საგნების გაპრიალება და გაწმენდა შენობებში, ავტობუსებში, ტრამვაებში, მატარებლებსა და თვითმფრინავებში;
2. ლოგინების ალაგება, აბაზანების დასუფთავება, საპნების, პირსახოცებისა და სხვა საჭირო ნივთების მომარაგება;
3. სამზარეულოს დალაგება და სხვა სამუშაოების შესრულება სამზარეულოში, მათ შორის ჭურჭლის რეცხვა;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამლაგებელი, თვითმფრინავი

- დამლაგებელი, სასტუმრო
- დამლაგებელი, ოფისი
- მრეცხავი, ხელით/ჭურჭელი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ზედამხედველი, შენობა - 9141
- დამლაგებელი, ბინა - 9131
- ეკონომი - 5121
- მეეზოვე, ქუჩა - 9162

9133 ხელით მრეცხავები და დამუთოებლები

ხელით მრეცხავები და დამუთოებლები ხელით რეცხავენ, აუთოებენ ან ქიმიურად წმინდენ თეთრეულს და ტექსტილის სხვა ნივთებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. თეთრეულის, ტანსაცმელის, ქსოვილების და სხვა მსგავსი ნივთების ხელით რეცხვა და დაუთოება სამრეცხაოებსა და სხვა დაწესებულებებში;
2. ტანსაცმლის, ქსოვილების, ტყავისა და სხვა ნივთების ხელით ან ქიმიური ნივთიერებებით წმენდა სამრეცხაოებში ან სხვა დაწესებულებებში;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ქიმიური საშუალებებით მწმენდავი, ხელით
- მრეცხავი, ხელით
- დამუთოებელი, ხელით

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მოწყობილობის ოპერატორი, ქიმწმენდა - 8264
- მოწყობილობის ოპერატორი, დაუთოება/სამრეცხაო - 8264
- მოწყობილობის ოპერატორი, რეცხვა/სამრეცხაო - 8264

მცირე ჯგუფი 914

შენობების მეთვალყურეები, ფანჯრის მწმენდავები და მონათესავე პროფესიების მუშები

შენობების მეთვალყურეები, ფანჯრის მწმენდავები და მონათესავე პროფესიების მუშები თვალყურს ადევნებენ საცხოვრებელ სახლებს, სასტუმროებს, ოფისებს, რელიგიურ და სხვა შენობებს, ასევე უზრუნველყოფენ მათ დალაგებასა და დასუფთავებას.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი შემდეგია: საცხოვრებელი სახლების, სასტუმროების, ოფისების, რელიგიური და სხვა შენობების მეთვალყურეობა და დასუფთავების პროცესში მონაწილეობა, მცირე სარემონტო სამუშაოების შესრულება და მომმსახურება; მცხოვრებლების ან შენობის სხვა მოსარგებლეების ქცევის გაკონტროლება გადაჭარბებული ხმაურის ან შენობის ხელყოფის შემთხვევაში; მცირე მომსახურებების

განხორციელება მცხოვრებთა არყოფნის შემთხვევაში, როგორიცაა მაგალითად მათ სახელზე მოსული ამანათების ან სტუმრებისგან ინფორმაციის მიღება; ფანჯრების, ვიტრინებისა და შენობის ან მანქანების მინის სხვა ზედაპირების გაწმენდა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფი იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

9141 შენობების მეთვალყურეები

9142 სატრანსპორტო საშუალებების, ფანჯრების მრეცხავები და მონათესავე პროფესიების მუშები

9141 შენობების მეთვალყურეები

შენობების მეთვალყურეები თვალყურს ადევნებენ საცხოვრებელ სახლებს, სასტუმროებს, ოფისებს, რელიგიურ და სხვა შენობებს, ასევე უზრუნველყოფენ მათ დალაგებასა და დასუფთავებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შენობის ინტერიერის დალაგებაში მონაწილეობა, მცირე სარემონტო სამუშაოების შესრულება და მომომსახურება;
2. ღუმელებისა და ბოილერების მუშაოების გაკონტროლება სითბოსა და ცხელი წყლის უზრუნველყოფის მიზნით;
3. მაცხოვრებლების ან შენობის სხვა მომხმარებლების ქცევის გაკონტროლება გადაჭარბებული ხმაურის ან შენობის ხელყოფის შემთხვევაში;
4. მცირე მომსახურებების განხორციელება მცხოვრებეთა არყოფნის შემთხვევაში, როგორიცაა მაგალითად მათ სახელზე მოსული ამანათების ან სტუმრებისგან ინფორმაციის მიღება;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეთვალყურე, შენობა/დასუფთავება
- კონსიერჟი, შენობა
- შვეიცარი
- ეკლესიის დარაჯი

9142 სატრანსპორტო საშუალებების, ფანჯრების მრეცხავები და მონათესავე პროფესიების მუშები

სატრანსპორტო საშუალებების, ფანჯრების მრეცხავები და მონათესავე პროფესიების მუშები წმენდენ ფანჯრებს, ვიტრინებს ან შენობისა და მანქანების მინის სხვა ზედაპირებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ავტომანქანებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების წმენდა, რეცხვა და გაპრიალება ხელით ან მანქანით;
2. ფანჯრებისა და მინის სხვა ზედაპირების რეცხვა წყლით ან სხვადასხვა ხსნარებით, ასევე მათი გამშრალება და გაპრიალება;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მწმენდავი, ფანჯარა
- მრეცხავი, ხელით/მანქანა

მცირე ჯგუფი 915

კურიერები, პორტიეები, შვეიცარები და მონათესავე პროფესიების მუშები

კურიერები, პორტიეები, შვეიცარები და მონათესავე პროფესიების მუშები არიგებენ კორესპონდენციას ან საქონელს, ატარებენ ბარგს ხელით, თვალყურს ადევნებენ ავტოსადგომებს და კერძო ან საზოგადოებრივ საკუთრებას უკანონო შეჭრის, ქურდობის ან ხანძრის თავიდან აცილების მიზნით, ასრულებენ შვეიცარის ფუნქციების, იღებენ ფულს სავაჭრო ავტომატებიდან ან იწერენ ელექტროენერგიის, გაზის ან წყლის მრიცხველების ჩვენებებს.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: კორესპონდენციის, ამანათებისა და სხვა ნივთების დატარება დაწესებულებებში, კერძო სახლებში ან სხვა ადგილებში; ბარგის გადატანა სასტუმროებში, სადგურებში ან აეროპორტებში; კერძო საკუთრების მეთვალყურეობა; შვეიცარის ფუნქციების შესრულება; სავაჭრო ავტომატებიდან, ავტოსადგომების მრიცხველებიდან ან სხვა ყუთებიდან ფულის აკრეფა; ელექტროენერგიის, გაზის ან წყლის მრიცხველების ჩვენებების ჩაწერა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

9151 კურიერები, პორტიეები და ბარგის დამტარებლები

9152 შვეიცარები, დარაჯები და მონათესავე პროფესიების მუშები

9153 სავაჭრო ავტომატებიდან ფულის ამკრეფები, მრიცხველების კონტროლიორები და მონათესავე პროფესიების მუშები

9151 კურიერები, პორტიეები და ბარგის დამტარებლები

კურიერები, პორტიეები და ბარგის დამტარებლები ატარებენ და არიგებენ კორესპონდენციას, ამანათებს და სხვა ნივთებს დაწესებულებებში, კერძო სახლებში ან სხვა ადგილებში, გადააქვთ ბარგი უმეტესად სასტუმროებში, სადგურებში და აეროპორტებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. კორესპონდენციის, ამანათების და სხვა ნივთების დატარება დაწესებულებებში, კერძო სახლებში ან სხვა ადგილებში;
2. საფოსტო კურიერის ფუნქციების შესრულება;
3. სხვადასხვა ნივთების მიტანა საწარმოებში, მაღაზიებში, კერძო სახლებში და სხვა ადგილებში;
4. ბარგის გადატანა სასტუმროებში, სადგურებში, აეროპორტებში და სხვა ადგილებში;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- დამტარებელი, ხელით/გაზეთები
- კურიერი
- დამტარებელი, ბარგი
- საფოსტო კურიერი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფში:

- ფოსტალიონი [კაცი] - 4142
- ფოსტალიონი [ქალი] - 4142

9152 შვეიცარები, დარაჯები და მონათესავე პროფესიების მუშები

შვეიცარები, დარაჯები და მონათესავე პროფესიების მუშები ასრულებენ შვეიცარის ფუნქციებს კერძო სახლებში და სხვა შენობებში, უწევენ მეთვალყურეობას ავტოსადგომებს, სახლებს და სხვა კერძო საკუთრებას უკანონო შეჭრის, ქურდობის, ხანძრის ან სხვა საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, ასევე ამოწმებენ ბილეთებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. შვეიცარის მოვალეობების შესრულება სასტუმროებში და სტუმრების დახმარება, განსაკუთრებით მოსვლის და გამგზავრების დროს ბარგის ტარებაში, ინფორმაციის მიწოდებასა და სხვა საქმეებში;
2. შვეიცარის მოვალეობების შესრულება საცხოვრებელ სახლებში და სხვა შენობებში, საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციების მიწოდება და მომსვლელების გაკონტროლება;
3. სახლებისა და სხვა საკუთრების მეთვალყურეობა უკანონო შეჭრის, ქურდობის, ხანძრის ან სხვა საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით;
4. მოქალაქეების მიცილება სასამართლო ოთახებამდე, სპორტულ და სხვა მსგავს დაწესებულებებამდე;
5. ბილეთების შემოწმება კინოთეატრებში, თეატრებში, ცირკებსა და სხვა მსგავს ადგილებში;
6. გარდერობებისა და ტუალეტების მოვლა საზოგადოებრივ ადგილებში;
7. ავტოსადგომების მეთვალყურეობა;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეგარდერობე
- ბილეთების კონტროლიორი
- კონსიერჟი, სასტუმრო
- შვეიცარი
- მცველი, მუზეუმი
- ბარგის მტარებელი, სასტუმრო
- დარაჯი [კაცი]
- დარაჯი [ქალი]

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- პირადი მცველი - 6169
- კონსიერჟი, შენობა - 9141
- ეგერი - 5169
- პატრული [კაცი], დაცვა - 5169
- პატრული [ქალი], დაცვა - 5169
- მებარგული - 9151

9153 სავაჭრო ავტომატებიდან ფულის ამკრეფები, მრიცხველების კონტროლიორები და მონათესავე პროფესიების მუშები

სავაჭრო ავტომატებიდან ფულის ამკრეფები, მრიცხველების კონტროლიორები და მონათესავე პროფესიების მუშები კრეფენ ფულს სავაჭრო ავტომატებიდან, ავტოსადგომების მრიცხველებიდან და სხვა სხვა ყუთებიდან, ან იწერენ ელექტროენერგიის, გაზის ან წყლის მრიცხველების ჩვენებებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. სავაჭრო ავტომატების შევსება და მისი კონტეინერებიდან ფულის აკრეფა;
2. ავტოსადგომის მრიცხველებიდან და სხვა ყუთებიდან ფულის აკრეფა:
3. ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მრიცხველების ჩვენებების ჩაწერა;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ფულის ამკრეფი, სავაჭრო ავტომატი
- მრიცხველის ჩვენების ჩამწერი

მცირე ჯგუფი 916

მენაგვეები და მსგავსი არაკვალიფიციური მუშები

მენაგვეები და მსგავსი არაკვალიფიციური მუშები აგროვებენ ნაგავს შენობებიდან, ეზოებიდან, ქუჩებიდან და სხვა საზოგადოებრივი ადგილებიდან, ან ასუფთავებენ ქუჩებს და სხვა საზოგადოებრივ ადგილებს, ასევე ასრულებენ მსგავს სამუშაოებს სახლებში ან დაწესებულებებში.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: ნაგვის შეგროვება, დატვირთვა და გადმოტვირთვა; ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დაგვა; ნახშირის ან შეშის გადმოტვირთვა და სახლების ან დაწესებულებების სარდაფებში მოთავსება; შეშის დაჭრა; წყლის მიტანა; ხალიჩების დაბერტყვა, სხვა მსგავსი სამუშაოების შესრულება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

9161 მენაგვეები

9162 მეეზოვეები და მსგავსი არაკვალიფიციური მუშები

9161 მენაგვეები

მენაგვეები აგროვებენ ნაგავს შენობებიდან, ქუჩებიდან, ეზოებიდან და სხვა საზოგადოებრივი ადგილებიდან.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ნაგვის შეგროვება და კონტეინერებში მოთავსება;
2. ნაგვის შეგროვება და ნაგვის მანქანებში მოთავსება;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- შემგროვებელი, ნარჩენები
- მენაგვე [კაცი]
- მენაგვე [ქალი]

<u>9162 მეეზოვეები და მსგავსი არაკვალიფიციური მუშები</u>

მეეზოვეები და მსგავსი არაკვალიფიციური მუშები გვიან და ასუფთავებენ ქუჩებს, პარკებს, აეროპორტებს, სადგურებს და სხვა საზოგადოებრივ ადგილებს, ან ასრულებენ სხვა მსგავს სამუშაოებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ქუჩების, პარკების, აეროპორტების, სადგურების და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დაგვა;
2. ნახშირის ან შეშის გადმოტვირთვა და კერძო სახლების ან დაწესებულებების საწყობებში მოთავსება;
3. შეშის დაჭრა და შტაბელებად დაწყობა;
4. წყლის მიტანა;
5. გადათოვლა;
6. ხალიჩების დაბერტყვა;
7. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
8. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- შავი მუშა
- დამგველი (მეეზოვე), პარკი
- დამგველი (მეეზოვე), ქუჩა

ქვეჯგუფი 92

სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები

სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები ძირითადად ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოებს სოფლის მეურნეობაში, მეთევზეობაში, სატყეო მეურნეობაში ან ცხოველთა ჭერაში, რაც დაკავშირებულია მარტივი მექანიკური ხელსაწყოების გამოყენების ცოდნასა და უმეტესწილად ფიზიკურ დატვირთვასთან.

ამ ქვეჯგუფის მუშაკების მიერ შესასრულებლი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მიწის თხრა, გრუნტის გადაყრა ნიჩბით, გადატვირთვა და გადმოტვირთვა, ფოცხით მოსწორება; ნაკელისა და მინერალური სასუქების შეტანა; მორწყვა და გამარგვლა; ხილის, ბოსტნეულისა და სხვა მცენარეების მოკრეფა; ცხოველების გამოკვება; ცხოველების სადგომებისა და ფერმის ეზოების დასუფთავება; ტყეებისა და ბუჩქნარების დასუფთავება; გალიების დასუფთავება და სხვა მსგავსი სამუშაოების შესრულება, რაც უკავშირდება აკვაკულტურას; წყალმცენარეების, მოლუსკების და სხვა პროდუქტების შეგროვება; მარტივი სამუშაოების შესრულება, რაც უკავშირდება ნადირობასა და ცხოველთა ჭერას. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენატრულ ჯგუფად:

921 სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები

მცირე კგუფი 921

სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები

სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მონათესავე სფეროების არაკვალიფიციური მუშები ძირითადად ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოებს სოფლის მეურნეობაში, მეთევზეობაში, სატყეო მეურნეობაში ან ცხოველთა ჭერაში, რაც მოითხოვს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენების ცოდნას და ძალიან ხშირად მნიშვნელოვან ფიზიკურ დატვირთვას.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მიწის გათხრა, დატვირთვა და გადმოტვირთვა, დაწყობა, ასევე ფოცხით მოსწორება; ნაკელისა და მინერალური სასუქების შეტანა; მორწყვა და გამარგვლა; ხილის, ბოსტნეულისა და სხვა მცენარეების კრეფა; ცხოველების გამოკვება; ცხოველების სადგომებისა და ფერმის ეზოების დასუფთავება; ტყეებისა და ქვეტყის დასუფთავება; გალიების დასუფთავება და სხვა მსგავსი სამუშაოების შესრულება, რაც უკავშირდება აკვაკულტურას; წყალმცენარეების, მოლუსკებისა და სხვა პროდუქტების შეგროვება; ორმოების გათხრა, მარტივი სამუშაოების შესრულება ნადირობის ან ცხოველთა ჭერის დროს. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

9211 სოფლის მეურნეობის არაკვალიფიციური მუშები

9212 სატყეო მეურნეობის არაკვალიფიციური მუშები

9213 მეთევზეობის არაკვალიფიციური მუშები, მონადირეები და ტრაპერები

9211 სოფლის მეურნეობის არაკვალიფიციური მუშები

სოფლის მეურნეობის არაკვალიფიციური მუშები მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში და ასრულებენ სხვადასხვა მარტივ სამუშაოებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. გრუნტის ამოღება არხების გაწმენდისა და სხვა მიზნებისათვის;
2. სხვადასხვა სახის მოსავლისა და ნედლეულის ჩატვირთვა და გადმოტვირთვა;
3. ფოცხითა და ფიწლით თივის შეგროვება და ზვინებად დაწყობა;
4. მორწყვა და გამარგვლა;
5. ხილის, ბოსტნეულისა და სხვადასხვა მცენარების ნაყოფის კრეფა;
6. სხვადასხვა კულტურების დარგვა, მოსავლის აღება და სხვა მსგავსი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება;
7. ცხოველების გამოკვება, დარწყულება და მათი სადგომების დასუფთავება;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მუშა, ფერმა
- მკრეფავი, ხილი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მეცხვარე - 6121
- ფერმის მუშა, კვალიფიციური/მინდვრის კულტურები - 6111
- ფერმის მუშა, კვალიფიციური/პირუტყვი- 6121

9212 სატყეო მეურნეობის არაკვალიფიციური მუშები

სატყეო მეურნეობის არაკვალიფიციური მუშები ასრულებენ სხვადასხვ მარტივ სამუშაოებს ბუნებრივ ან ხელოვნურად გაშენებულ ტყეებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ორმოების ამოღება ხეების დარგვის მიზნით;
2. მორებისა და ხე-ტყის მასალების დაშტაბელება;
3. ტყის მასივებში ქვეტყის დასუფთავება;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- არაკვალიფიციური მუშა, მეტყევეობა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მეტყევეობის მუშა, კვალიფიციური - 6141

9213 მეთევზეობის არაკვალიფიციური მუშები, მონადირეები და ტრაპერები

მეთევზეობის არაკვალიფიციური მუშები, მონადირეები და ტრაპერები ასრულებენ სხვადასხვა მარტივ სამუშაოებს, რაც უკავშირდება თევზის მოშენებას და დაჭერას, ასევე წყლის სხვა პროდუქტების შეგროვებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. აკვარიუმების დასუფთავება და თევზების, მოლუსკების და წყლის სხვა ცხოველების გამოკვება;
2. ზღვის პროდუქტების, მოლუსკების და წყლის სხვა ფლორისა და ფაუნის შეგროვება;
3. ორმოების გათხრა, ხაფანგების დადგმა, მათი მეთვალყურეობა და სხვა მარტივი სამუშაოების შესრულება, რაც უკავშირდება ნადირობასა და ცხოველთა ჭერას;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- არაკვალიფიციური მუშა, მეთევზეობა
- არაკვალიფიციური მუშა, ნადირობა
- არაკვალიფიციური მუშა, ცხოველთა ჭერა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მონადირე - 6154
- ტრაპერი, ბეწვი - 6154
- მუშა, კვალიფიციური/მეთევზეობა - 6151

ქვეჯგუფი 93

მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის არაკვალიფიციური მუშები

მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის არაკვალიფიციური მუშები ასრულებენ ძირითადად მარტივ და რუტინულ სამუშაოებს, რაც უკავშირდება სამთო მოპოვებას, მშენებლობას, დამამუშავებელ მრეწველობას და სატრანსპორტო სფეროს, რაც მოითხოვს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენების ცოდნას და ძალიან ხშირად მნიშვნელოვან ფიზიკურ დატვირთვას.

ამ ქვეჯგუფის მიერ შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: გრუნტის გათხრა, ამოღება, გადატანა, გასუფთავება, დატვირთვა და გადმოტვირთვა; შახტებისა და კარიერების გასუფთავება; ხრეშის მოყრა, აგურების გადატანა და სხვა მსგავსი სამუშაოების შესრულება, რაც უკავშირდება გზების, დამბების ან შენობების მშენებლობას; ნაგებობების აღება; მარტივი სამუშაოების განხორციელება, როგორიცაა მაგალითად პროდუქტის დახარისხება და ნაკეთობის დეტალების აწყობა, სადაც არაა აუცილებელია წესების მკაცრად დაცვა; ხელით შეფუთვა; ტვირთების ხელით გადატანა; პედალიანი და ხელით სამართავი მანქანების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების მართვა მგზავრებისა და ტვირთების გადატანის მიზნით. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ ქვეჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

931 სამთომოპოვებითი და სამშენებლო სფეროების არაკვალიფიციური მუშები

932 დამამუშავებელი მრეწველობის არაკვალიფიციური მუშები

933 სატრანსპორტო სფეროს არაკვალიფიციური მუშები და მტვირთავები

მცირე ჯგუფი 931

სამთომოპოვებითი და სამშენებლო სფეროების არაკვალიფიციური მუშები

სამთომოპოვებითი და სამშენებლო სფეროების არაკვალიფიციური მუშები ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოებს, რაც უკავშირდება მშენებლობას და სამთომოპოვებას, მოითხოვს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენების ცოდნას და ძალიან ხშირად მნიშვნელოვან ფიზიკურ დატვირთვას.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: გრუნტის გათხრა, ამოღება, გადატანა, გასუფთავება, დატვირთვა და გადმოტვირთვა; შახტებისა და კარიერების გასუფთავება; ცარცის, თიხის, ქვიშის ან ხრეშის მოპოვება ღია კარიერებიდან; ნაგებობების აღება; ხრეშის მოყრა, აგურების გადატანა და სხვა მსგავსი სამუშაოების შესრულება, რაც უკავშირდება გზების, დამბების ან შენობების მშენებლობას; შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

9311 სამთომოპოვებით სამუშაოებსა და კარიერების დამუშავებაზე დაკავებული არაკვალიფიციური მუშები

9312 სამშენებლო სამუშაოებზე და გზების, კაშხლებისა და ანალოგიური ნაგებობების შეკეთებაზე დაკავებული არაკვალიფიციური მუშები

9313 შენობების მშენებლობაზე დაკავებული არაკვალიფიციური მუშები

9311 სამთომოპოვებით სამუშაოებსა და კარიერების დამუშავებაზე დაკავებული არაკვალიფიციური მუშები

სამთომოპოვებით სამუშაოებსა და კარიერების დამუშავებაზე დაკავებული არაკვალიფიციური მუშები ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოებს, რაც უკავშირდება სამთომოპოვებას და კარიერულ მოძიებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ხისა და რკინის საბჯენების დამაგრება შახტებში და კარიერებზე;
2. ცარცის, თიხის, ქვიშის და ხრეშის მოპოვება ღია კარიერებიდან;
3. სხვადასხვა სახის დაბრკოლებების გადალახვა ინსტრუქციების შესაბამისად;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- არაკვალიფიციური მუშა, მიწის სამუშაოები/კარიერი
- არაკვალიფიციური მუშა, სამთომოპოვება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მაღაროელი - 7111
- კარიერის მუშა - 7111

9312 სამშენებლო სამუშაოებზე და გზების, კაშხლებისა და ანალოგიური ნაგებობების შეკეთებაზე დაკავებული არაკვალიფიციური მუშები

სამშენებლო სამუშაოებზე და გზების, კაშხლებისა და ანალოგიური ნაგებობების შეკეთებაზე დაკავებული არაკვალიფიციური მუშები ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოებს, რაც უკავშირდება გზების, დამბების და სხვა მსგავსი ნაგებობების მშენებლობას და შეკეთებას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ორმოებისა და თხრილების გათხრა და ამოვსება, ხრეშისა და სხვა მსგავსი მასალების მოყრა, სხვა მსგავსი სამუშაოების შესრულება, რაც უკავშირდება სარკინიგზო და სახმელეთო გზების მშენებლობას და შეკეთებას;
2. აგურებისა ან დუღაბის მიტანა კალატოზებისათვის ან მათი სხვა გზით დახმარება დამბებისა და სხვა მსგავსი ნაგებობების მშენებლობის პროცესში;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- არაკვალიფიციური მუშა, მშენებლობა
- არაკვალიფიციური მუშა, შეკეთება/დამბები

9313 შენობების მშენებლობაზე დაკავებული არაკვალიფიციური მუშები

შენობების მშენებლობაზე დაკავებული არაკვალიფიციური მუშები ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოებს, რაც უკავშირდება შენობების მშენებლობის სხვადასხვა ასპექტებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. გამოყენებული აგურების გატანა და სხვა მსგავსი სამუშაოების შესრულება სამშენებლო ადგილებზე;
2. სხვადასხვა სახის დაბრკოლებების გადალახვა ინსტრუქციების შესაბამისად;
3. აგურებისა და დუღაბის მიტანა კალატოზებისათვის სამშენებლო მოედანზე;
4. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
5. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- არაკვალიფიციური მუშა, მშენებლობა/შენობა
- არაკვალიფიციური მუშა, შენობის აღება

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- კალატოზი, მშენებლობა - 7122
- მშენებელი, სახლი/ტრადიციული მასალები - 7121
- შენობის აღებაზე მომუშავე მუშა - 7129

მცირე ჯგუფი 932

დამამუშავებელი მრეწველობის არაკვალიფიციური მუშები

დამამუშავებელი მრეწველობის არაკვალიფიციური მუშები ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოებს, რაც უკავშირდება დამამუშავებელ მრეწველობას, მოითხოვს მექანიკური ხელსაწყოების გამოყენების ცოდნას და ძალიან ხშირად მნიშვნელოვან ფიზიკურ დატვირთვას.

შესასრულებლი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მარტივი დეტალების ხელით აწყობა; ნედლი მასალების ან პროდუქტების ჩატვირთვა, გადმოტვირთვა და რეცხვა; ხელით შეფუთვა. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

9321 არაკვალიფიციური ამწყობები

9322 ხელით მფუთავები და სამრეწველო სფეროს სხვა არაკვალიფიციური მუშები

9321 არაკვალიფიციური ამწყობები

არაკვალიფიციური ამწყობები ახარისხებენ საქონელს და აწყობენ მარტივ დეტალებს.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ნაკეთობების ან მათი დეტალების ხელით დახარისხება;
2. მარტივი დეტალების ხელით აწყობა;
3. მსგავსი ამოცანების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- ბოთლების დამხარისხებელი
- არაკვალიფიციური მუშა, აწყობა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ამწყობი, ელექტრული მოწყობილობა - 8282
- ამწყობი, ელეტრონული მოწყობილობა - 8283
- ამწყობი, ტყავის პროდუქცია - 8286
- ამწყობი, რეზინის პროდუქცია - 8284
- ზეინკალ-ამწყობი, სატრანსპორტო საშუალება- 8281
- ამწყობი, ხის პროდუქცია - 8285

9322 ხელით მფუთავები და სამრეწველო სფეროს სხვა არაკვალიფიციური მუშები

ხელით მფუთავები და სამრეწველო სფეროს სხვა არაკვალიფიციური მუშები ფუთავენ მასალებსა და პროდუქტებს ხელით, ასევე ასრულებენ მარტივ და რუტინულ სამუშაოებს, რაც უკავშირდება დამამუშავებელ მრეწველობას.

მათ მოვალეობებში შედის:

1. მასალების ან პროდუქტების ხელით ფუთვა ყუთებში, ჩანთებში, კასრებში და სხვა კონტეინერებში ტრანსპორტირების ან შენახვის მიზნით;
2. ნედლი მასალების ან პროდუქტების რეცხვა, გადაადგილება, აწევა, გადატანა, ჩატვირთვა და გადმოტვირთვა;
3. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
4. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- არაკვალიფიციური მუშა, დამამუშავებელი მრეწველობა
- საქონლის ხელით მფუთავი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მოწყობილობის ოპერატორი, იარლიყის მიკვრა - 8290
- მოწყობილობის ოპერატორი, შეფუთვა - 8290

მცირე ჯგუფი 933

სატრანსპორტო სფეროს არაკვალიფიციური მუშები და მტვირთავები

სატრანსპორტო სფეროს არაკვალიფიციური მუშები და მტვირთავები მართავენ ველოსიპედებს და სხვა მსგავს სატრანსპორტო საშუალებებს, ასევე ცხოველებით შებმულ ტრანსპორტს, სასოფლო სამეურნეო ან სხვა მანქანებს, ატარებენ ტვირთებს ხელით.

შესასრულებელი ამოცანები, როგორც წესი, შემდეგია: მოტოციკლების და სხვა მსგავსი მანქანების, ასევე ცხოველებით შებმული სატრანსპორტო საშუალებების მართვა ტვირთებისა და მგზავრების ტრანსპორტირების მიზნით; ტვირთების ხელით ტრანსპორტირება. შესაძლებელია ამ ფუნქციებმა მოიცვას სხვა მუშაკების ზედამხედველობაც.

პროფესიები ამ მცირე ჯგუფში იყოფა შემდეგ ელემენტარულ ჯგუფებად:

9331 ხელითა და პედლით სამართავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები

9332 მეეტლეები და გამწევი ძალით სამართავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები

9333 მტვირთავები

9331 ხელითა და პედლით სამართავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები

ხელითა და პედლით სამართავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები მართავენ ველოსიპედებს და სხვა მსგავს სატრანსპორტო საშუალებებს მგზავრებისა და საქონლის ტრანსპორტირების მიზნით.

მათ მოვალეობებში შედის:

1. საქონლის ჩატვირთვა და გადმოტვირთვა, მგზავრების დახმარება სატრანსპორტო საშუალებაში ჩაჯდომისას ან გადმოსვლაში;

2. სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება სასურველი მიმართულებით საგზაო წესების დაცვით;
3. მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარება და სატრანსპორტო საშუალების წესრიგში მოყვანა;
4. მგზავრობის გადასახადის აკრეფა;
5. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
6. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მძღოლი, პედალიანი ავტომობილი
- მძღოლი, რიკშა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მოტოციკლისტი - 8321

9332 მეეტლეები და გამწევი ძალით სამართავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები

მეეტლეები და გამწევი ძალით სამართავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები მართავენ ცხოველებით შებმულ სატრანსპორტო საშუალებებს მგზავრებისა და საქონლის ტრანსპორტირების მიზნით. მათ ძირითადად გამოიყენებენ სოფლის მეურნეობაში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ცხოველების შეკაზმა და უღელში შებმა;
2. საქონლის ჩატვირთვა და გადმოტვირთვა, მგზავრების დახმარება სატრანსპორტო საშუალებებში ჩაჯომისა და გადმოსვლის დროს;
3. ცხოველების მართვა სასურველი მიმართულებით გადასაადგილებლად საგზაო წესების დაცვით;
4. მგზავრობის გადასახადის აკრეფა;
5. ცხოველების მართვა ვაგონების გადაადგილების მიზნით შახტებში ან კარიერებზე;
6. მუშა სპილოების მართვა;
7. მცირე სარემონტო სამუშაოების განხორციელება და მანქანების წესრიგში მოყვანა;
8. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
9. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მეეტლე, ეკიპაჟი გამწევი ძალით/სამგზავრო
- გამრეკი, ცხოველების ქარავანი
- მეხრე, სპილოს მართვა

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- მძღოლი, ავტომანქანა - 8322
- მემანქანე, ლოკომოტივი - 8311

9333 მტვირთავები

მტვირთავები ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოებს, როგორიცაა მაგალითად ავეჯისა და სხვა ნივთების შეკვრა, ტარება, ჩატვირთვა და გადმოტვირთვა, ტვირთების ჩატვირთვა და გადმოტვირთვა გემებსა და აეროპორტებში.

მათ მოვალეობებში შედის:

1. ოფისისა და საცხოვრებელი სახლების ავეჯის, მანქანების, მოწყობილობებისა და სხვა მსგავსი ნივთების შეფუთვა და ტრანსპორტირება ერთი ადგილიდან მეორეში;
2. საქონლის ჩატვირთვა და გადმოტვირთვა ფურგონებიდან, საბარგო მანქანებიდან, ვაგონებიდან, გემებიდან ან თვითმფრინავებიდან;
3. მარცვლეულის, ნახშირის, ქვიშისა და სხვა მსგავსი მასალების ჩატვირთვა და გადმოტვირთვა კონვეიერზე და სხვა;
4. ბარჟების ცისტერნებისა და ტანკერების მიერთება ძირითადი სანაპირო ობიექტების მილებთან ნავთობის, თხევადი გაზისა და სხვა სითხეების ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის მიზნით;
5. საქონლის გადატანა და დალაგება საწყობებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებში;
6. მსგავსი მოვალეობების შესრულება;
7. სხვა მუშაკების ზედამხედველობა.

პროფესიების მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ ელემენტარულ ჯგუფს:

- მტვირთავი, ტვირთი

ზოგიერთი მონათესავე პროფესია, რომელიც კლასიფიცირებულია სხვა ელემენტარულ ჯგუფებში:

- ოპერატორი, ამწე - 8333
- ოპერატორი, ავტოსატვირთველი/აწევა - 8334

ძირითადი ჯგუფი 0

შეიარაღებული ძალები

შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებად ითვლებიან ადამიანები, რომლებიც ამჟამად ნებაყოფლობით ან სავალდებულო საფუძველზე მსახურობენ შეიარაღებულ ძალებში, მათ შორის დამხმარე სამსახურში, და რომელთაც არ შეუძლიათ თავისუფლად დაკავდნენ სამოქალაქო სამსახურებში. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო ძალებისა და სხვა საჯარისო სამსახურების რიგითი მოსამსახურეები, ასევე სამხედრო წვრთნის მიზნით ან სხვა სამსახურისთვის ქვეყანაში დადგენილი კონკრეტული პერიოდით ჯარში მყოფი ახალწვეულები. ამ ჯგუფში არ შედიან თავდაცვის საკითხებზე სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე პირები, როგორიცაა მაგალითად პოლიციელები (სამხედრო პოლიციის გარდა), საბაჟოს ინსპექტორები და სასაზღვრო და სხვა შეიარაღებული სამოქალაქო სამსახურების მუშაკები, ქვეყანაში დადგენილი ვადით სამხედრო წვრთნის ან გადამზადებისათვის სამოქალაქო ცხოვრებას დროებით მოწყვეტილი და სამხედრო რეზერვში მყოფი პირები, რომლებიც ამჟამად არ იმყოფებიან აქტიურ სამსახურში. ამ ძირითად ჯგუფს მითითებული არ აქვს კვალიფიკაციის დონე.

პროფესიები ამ ძირითად ჯგუფში იყოფა შემდეგ ქვეჯგუფად, მცირე და ელემენტარულ ჯგუფებად:

01 შეიარაღებული ძალები

011 შეიარაღებული ძალები

0110 შეიარაღებული ძალები

შენიშვნები ISCO-88-ის პროფესიების სტრუქტურირებულ დასახელებებთან (ინდექსებთან) დაკავშირებით

„პროფესიათა საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია 1988“-ის (ISCO-88) ინდექსები მოიცავს პროფესიათა სახელწოდებების სრულ ჩამონათვალს და მათ შესაბამის კოდებს. თითოეულ ინდექსს მინიჭებული აქვს კოდი, რომელიც განსაზღვრავს თითოეული პროფესიის ჯგუფის ნომერს ISCO-88-ში. წარმოდგენილია ინდექსების ორი ჩამონათვალი. პირველი შექმნილია ISCO-88-ის რიგობითი თანმიმდევრობით, ხოლო მეორე ანბანური თანმიმდევრობით.

ინდექსების სტრუქტურა

ISCO-88-ის ინდექსები მოიცავს ამოსავალ სიტყვას და განმარტებით დასახელებებს, რომელთა მიზანია შესაბამისი სამუშაოსა და პროფესიის მოძიების გაადვილება ინდექსების პროფესიათა ჩამონათვალში. ინდექსი ჩვეულებრივ, მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1. *ამოსავალი სიტყვა:* ეს არის ერთი სიტყვა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს პროფესიის დასახელებას. მაგალითად, მასწავლებელი, ინჟინერი, ოფისის მოსამსახურე - ამოსავალი სიტყვებია. ზოგიერთ შემთხვევაში ამოსავალი სიტყვა მოიცავს ერთზე მეტ სიტყვას. მსგავსი შემთხვევები განხილულია ქვემოთ წარმოდგენილ პარაგრაფში „პროფესიათა სპეციალური დასახელებები“.
2. *პირველი დაზუსტება:* ეს არის ერთი სიტყვა, რომელიც განსაზღვრავს ამოსავალ სიტყვას. პირველი დაზუსტება წარმოადგენს პროფესიის შედარებით კონკრეტულ დასახელებას და ამოსავალი სიტყვისაგან გამოყოფილია მძიმით. მაგალითად: „ფიზიკოსი, ატომური“; „ფერმერი, ხილი“; და სხვა. უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს ამოსავალი სიტყვისა და დაზუსტების გადანაცვლება, მაგალითად: „ფიზიკოსი, ატომური“ შესაძლოა შეიცვალოს როგორც „ატომური ფიზიკოსი“, ან „მძღოლი, სატვირთო მანქანა“ შეიცვალოს როგორც „ სატვირთო მანქანის მძღოლი“ და ასე შემდეგ.
3. *მეორე დაზუსტება:* ეს არის სიტყვა, რომელიც უზრუნველყოფს დამატებით ინფორმაციას ისეთ შემთხვევებში, როცა კონკრეტული პროფესია საჭიროებს იდენტიფიკაციას. მეორე დაზუსტება პირველი დაზუსტებისაგან გამოყოფილია დახრილი ხაზით. მაგალითად: „ინჟინერი, სამოქალაქო მშენებლობა/მიწის სამუშაოები,“ „ინჟინერი, სამოქალაქო მშენებლობა/ჰიდრავლიკა“ და ასე შემდეგ.
